ფილიპე მახარაძე.

# თხზულებათა კრებული

## ტომი III

### წერილები სხვადასხვა საკითხებზე.

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი—1926

# შ ი ნ ა ა რ ს ი.

## I. დაუბეჭდავი წერილები 1907 წლისა.


| | | |
|---|---|---|
| | | გვ. |
| 1. | წარმოების წინანდელი ფორმების ნაშთები და კაპიტალისტური სისტემა | 5 |
| 2. | საგლეხო რეფორმა | 29 |
| 3. | ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობის მდგომარეობა | 35 |
| 4. | სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა ამიერ-კავკასიაში | 68 |


## II. ჟურნალი „სხივი“ 1910 წლისა.


| | | |
|---|---|---|
| 5. | ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას | 97 |


## III. „ასტრახანსკი ლისტოკი“ 1911 წლისა.


| | | |
|---|---|---|
| 6. | ბატონყმობა ასტრახანის გუბერნიაში რეფორმის წინა დღით | 103 |


## IV. ჟურნალი „ჩვენი წყარო“ 1913 წლისა.


| | | |
|---|---|---|
| 7. | შინაური მიმოხილვა | 119 |
| 8. | კარგი გაკვეთილი | 123 |
| 9. | ვინ გაიმარჯვა | 126 |
| 10. | მეორე მხარესაც მოვუსმინოთ | 131 |
| 11. | უკანასკნელი პასუხი ცილის მწამებლებს | 141 |
| 12. | ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონ-პროექტი და ლიბერალები | 144 |
| 13. | ივანე ჯაბადარის ხსოვნას | 147 |
| 14. | ბიუჯეტი და სახელმწიფო დუმა | 151 |
| 15. | პირველი ნაყოფი | 156 |


## V. გაზეთი „ფიქრი“ 1913 წლისა.


| | | |
|---|---|---|
| 16. | მოკლე მეხსიერება | 161 |


## VI. გაზ. „ახალი კვალი“ 1916 წლისა.


| | | |
|---|---|---|
| 17. | კადეტების მეექვსე სიეზდი | 171 |
| 18. | სამხედრო ცენზურის კანონ-პროექტი სახელმწიფო დუმაში | 174 |

| | |
|---|---|
| | 83 |
| 19. კადეტების იმპერიალისტური სულისკვეთება | 179 |
| 20. ამხ. ზაქარია ჩოდრიშვილის ხსოვნას | 183 |
| 21. საერთო ინტერესები და შეთანხმება | 186 |


## VII. გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 და 1917 წ. წ.


| | |
|---|---|
| 22. ბ-ნ გ. მაიაშვილის ახალი აღმოჩენა | 193 |
| 23. ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას | 197 |
| 24. რუსეთის ბურჟუაზია და იმპერიალიზმი | 200 |
| 25. სასოფლო-სამეურნეო აღწერის გამო | 204 |
| 26. ქალაქის თვითმართველობა და მცხოვრებნი | 207 |
| 27. სამეურნეო აღწერა | 211 |
| 28. სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავების გამო | 218 |
| 29. ზოგიერთი ახალი სტატისტიკური ცნობები ტფილისის გუბერ. შესახებ | 222 |
| 30. ვისი ხელში ვიმყოფებით | 249 |
| 31. სოფელი 1916 წელს | 253 |


## VIII. დამატებანი.


| | |
|---|---|
| 32. წერილი ჩვენი ცხოვრების შესახებ | 265 |
| 33. აგრარული საკითხი | 292 |
| 34. პასუხად ბ-ნ კიტა აბაშიძეს | 299 |
| შენიშვნები | 305 |

# I

# დაუბეჭდავი წერილები 1907 წლისა.

# წარმოების წინანდელი ფორმების ნაშთები და კაპიტალისტური სისტემა.

„Барщинная система была подорвана,
но не уничтожена окончательно".
Ильин.

„კაპიტალისტური წარმოების დასაწყისი ფეოდალურ საზოგადოებაში ინახება*). საშუალო საუკუნოებში დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში (იტალიაში, ინგლისში) ვაჭრობის და მევახშეობის საშუალებით განვითარდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, ე. ი. გაჩნდა დიდძალი თავისუფალი ფული. მაგრამ ამ თავისუფალი ფულის წარმოებაში დამანდებას ხელს უშლიდა ორი გარემოება: ფეოდალური წესწყობილება სოფლად და ამქრული წესები ქალაქად. კაპიტალისტური წარმოების განვითარება აუცილებლათ თხოულობდა როგორც ერთის, ისე მეორის დანგრევას. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ კაპიტალიზმმა დაამარცხა როგორც ფეოდალური წესწყობილება სოფლად, ისე ამქრული რეჟიმი ქალაქად. ამ ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მხოლოდ საფრანგეთში მიიღო, სადაც ფეოდალიზმის აღმოსაფხვრელათ აუცილებელი შეიქნა ძალდატანებითი ცვლილება.

ის, რაც იტალიის პატარა ქვეყნებში და ინგლისში ხანგრძლივ განვითარებას მოყვა, ე. ი. სოფლის ხალხის, ანუ გლეხკაცობის ფეოდალური ულლისაგან განთავისუფლება, ერთი მხრით, თავისუფალ, დამოუკიდებელ წვრილ მიწის მფლობელების, ფერმერების და, მეორე მხრით, უმიწაწყლო ბოგანო ხალხის გაჩენა, ქალაქის მრეწველობის განვითარება, ბურჟუაზიის შექმნა და გაძლიერება, ყოველივე ეს საფრანგეთშიაც ხდებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ფორმა საზოგადოებრივი ცვლილებისა თავის გამოხატულებას ვერ პოულობდა ქვეყნის კანონმდებლობაში.

მთავრობა თავის ძველ მოკავშირეებთან ერთად, ე. ი. მაღალ თავადაზნაურობასთან და სამღვდელოებასთან, არ ცნობდა იმ ძალებს,

*) იხ. მარქსი ტ. I, გვ. 802, რუს. თარგ.

რომლებიც უკვე ცხოვრებაში არსებობდენ და რომლებიც ფეოდალურ წესწყობილების უარყოფას შეადგენდენ. ამიტომ შეტაკება, ძალდატანებით ძველი წესწყობილების დანგრევა აუცილებელი შეიქნა. ეს მოხდა საფრანგეთში მე-XVIII-ტე საუკუნის დამლევს, დიდი რევოლიუციის დროს.

რამდენათაც ძლიერი იყო მთავრობის ჯიუტობა ცხოვრების ახალ პირობების აბუჩათ აღებაში, იმდენათ ძლიერი და შეუბრალებელი იყო რევოლიუცია ფეოდალური წესწყობილების აღმოფხვრის საქმეში. იმდენათ ღრმა და საგრძნობელი იყო რევოლიუცია, რომ კაცს ეგონებოდა, საფრანგეთის ხალხი ერთბაშათ მოწყდა მთელ თავის წარსულ ცხოვრებასო. რევოლიუცია თითქო ცეცხლის ალს აძლევდა ყოველივე იმას, რასაც ძველი ცხოვრების დაღი აჩნდა. მაშინ, როცა ფეოდალური წესწყობილების ნაშთები, ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი, როგორიც არის, მაგ., ინგლისი, თითქმის დღემდის შენახულია, საფრანგეთში ერთი დაკვრით იქნენ აღმოფხვრილი რევოლიუციის საშუალებით.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი დაკვრით რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო იგი, შესაძლებელი იქნებოდა ერთბაშათ ყველა იმ წესების აღმოფხვრა, რომლებიც მთელი საუკუნოების განმავლობაში ბატონებდენ. მიუხედავათ რევოლიუციის შეუბრალებელი მოქმედებისა ფეოდალური წესების აღმოფხვრის საქმეში, ამ წესების მკრთალი ნაშთები რევოლიუციის შემდეგაც კიდევ დიდხანს განაგრძობდენ საფრანგეთში თავის არსებობას და, მაშასადამე, თავის გავლენასაც ახდენდენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით საფრანგეთში დიდი რევოლიუციის შემდეგ კაპიტალისტური წარმოების ზრდა-განვითარება ხდებოდა დაუბრკოლებლათ, ე. ი. მის წარმატებას შედარებით ნაკლებათ უშლიდენ ხელს ფეოდალიზმის ნაშთები*).

ამნაირათ საფრანგეთში დიდი რევოლიუციის შემდეგ საზოგადოებრივი წარმოების სფეროში დაწესდა კაპიტალისტური სისტემა ყველაზე უფრო წმინდა სახით. დაქირავებული მუშის და კაპიტალისტის ურთიერთობა აქ აშკარავდება ნამდვილი თავის სახით და არა დაფარული და დაჩრდილული ფეოდალური ელფერით. ამას ამტკიცებს საფრანგეთის მუშათა მოძრაობა გასულ საუკუნეში.

*) კაპიტალისტური წარმოების განვითარება დაუბრკოლებლათ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა.

სულ სხვანაირათ არის საქმე ევროპის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც პირველათ საღათას ძილიდან მხოლოდ საფრანგეთის რევოლიუციამ გამოიყვანა. რევოლიუციის გავლენა ამ ქვეყნებზე ორნაირი იყო: ერთი მხრით, საკონლის გაცვლა-გამოცვლის საოცარი ზრდა და, მეორე მხრით, ფეოდალური წესების ასალაგმავათ რეფორმების მოხდენა. უმთავრესად ამ უკანასკნელი გარემოების მეოხებით მოხდა, რომ ფეოდალური წესწყობილების სრულიად აღმოფხვრა დასახელებულ ქვეყნებში შეჩერდა და დიდი ხნით გადაიდვა.

მმართველი პირები და გაბატონებული წოდებები მსჯელობდენ ასე: საფრანგეთის მთავრობამ დროზე არ მიიღო ზომები, არ მოახდინა რეფორმები, რითაც მან რევოლიუცია გამოიწვია. რევოლიუციამ კი სულ ყველაფერი წალეკა და ძველი წესწყობილება სრულიად დაანგრია. ჩვენ გამოვიყენოთ საფრანგეთის მაგალითი და რომ რევოლიუცია თავიდან ავიცილოთ, წინდაწინ მოვახდინოთ ზოგი რეფორმებიო.

ზიზღი და სიძულვილი, რასაც ისინი ხალხის მიმართ გრძნობდენ, იმათ არ უშლიდა ხელს, რა თქმა უნდა, რევოლიუციის შიშის გამო, პატარ-პატარა რეფორმები მოეხდინათ. აქ ჩვენ განსაკუთრებით გლეხების ბატონ-ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლება გვაქვს მხედველობაში. მმართველ წრეებს და ფეოდალებს არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ძველი დამოკიდებულების არსებული სახით შენარჩუნება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, მაგრამ, მეორე მხრით, იმასაც კარგათ გრძნობდენ, რომ გლეხების სრული განთავისუფლება მებატონეების სიკვდილს ნიშნავდა. ამიტომ მებატონეების ინტერესები თხოულობდა, რომ გლეხების განთავისუფლება მხოლოდ გარეგნობით, შესახედავათ მომხდარიყო, ნამდვილათ კი გლეხები ისევ მებატონეების სრულ განკარგულებაში დარჩენილიყვნენ.

ამგვარი „განთავისუფლების“ დასახასიათებლათ საკმარისია დავასახელოთ აქ, თუ როგორ მოხდა რუსეთში გლეხების განთავისუფლება 1861 წელს. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის გამოძიებას, თუ რა უძღოდა წინ ამ განთავისუფლებას, თუ რა ხდებოდა რუსეთის გლეხკაცობაში გასული საუკუნის პირველ ნახევარში; არც იმას გამოვუდგებით, თუ რა მოელოდა რუსეთის სახელმწიფოს იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთა ძლიერება დამყარებული იყო განსაკუთრებულ კაპიტალისტურ წარმოებაზე.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამბობთ, რუსეთის მთავრობა დარწმუნდა იმაში, რომ თუ გლეხობა მაღლიდან არ იქნა განთავისუფლებული, შემდეგ გვიანლა იქნება, როცა თავის განთავისუფლების საქმეს იგი თვითონ შეუდგებაო.

ამნაირათ მაღლიდან მოხდენილი რეფორმის საშუალებით დროებით აცილებულ იქნა რევოლიუცია დაბლიდან. სწორედ ამას თხოულობდა მებატონეების ინტერესებიც. გლეხები დროებით დააშოშმინეს მით, რომ მათ გამოუცხადეს, ორი წლის შემდეგ*) თქვენ თავისუფალი იქნებით მებატონეთა დამოკიდებულებისაგან, რომ თქვენ აღარ იქნებით ვალდებული იმათთვის იმუშაოთ და შინა-ყმები აძლიოთ, მაგრამ საქმე მარტო პირად განთავისუფლებაში როდი იყო. გლეხების განთავისუფლება, ბოლოს მიწის საკითხი იყო. გაანთავისუფლებდენ იმათ მიწით, თუ მიწას მებატონეების საკუთრებათ გამოაცხადებდენ, აი რა იყო მთავარი საგანი. თავის თავად იგულისხმება, რომ, რადგანაც გლეხების განთავისუფლება მაღლიდან ხდებოდა, იგი გლეხების სასარგებლოთ არ გათავდებოდა.

უპირველეს ყოვლისა, რუსეთში 1861 წლის რეფორმით გაუქმდა პირადი დამოკიდებულება გლეხისა მებატონესაგან, მაგრამ იმავე დროს მებატონეთა წოდება, ე. ი. თავად-აზნაურობა, ისევ მაღალ, უფლება მოსილ წოდებათ დარჩა, ისე, როგორც გლეხკაცობა ყოველგვარ უფლება მოკლებულ, დაბალ, გადამხდელ წოდებათ დატოვეს. მაგრამ უფლება თავის თავად არაფერი არაა, თუ იგი არაფერზეა დამყარებული. თავად-აზნაურობის უფლებაც არარაობა იქნებოდა, რომ რეფორმას ყველა მიწები მის საკუთრებათ არ გამოეცხადებია, ეს ნიშნავდა 52 **) მილ. გლეხ-კაცობის სრულებით უმიწაწყლოთ დატოვებას და ქუჩაზე გამოყრას.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ხელსაყრელი არც მთავრობისათვის და არც მებატონეებისათვის. საჭირო იყო ისეთი საშუალების გამოგონება, რომ ყველა მიწები ფაქტიურათ მებატონეებისა და ხაზინის ხელში დარჩენილიყო, მაგრამ შესახედავათ გლეხ-კაცობის ხელში ყოფილიყო. ყო-

*) რეფორმა გამოცხადდა 1861 წელს 19 თებერვალს. ბატონყმური ურთიერთობა უნდა შეწყვეტილიყო მხოლოდ 1863 წელს 19 თებ. ორი წლის განმავლობაში კი ყველაფერი ისევ ძველებურათ უნდა ყოფილიყო. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორი სატანჯველი უნდა ყოფილიყო ეს ორი წელიწადი გლეხობისათვის.

**) მარტო ევროპის რუსეთში 1861 წლის დასაწყისში ითელებთდა: 22 მილ. მეტი სული საბატონო გლეხი და 29 მილ. მეტი სახაზინო გლეხი.

ველივე ეს, რასაკვირველია, მოახერხეს, და მერე ისე, რომ კერძო მებატონეები და ხაზინა დაეპატრონენ არა მარტო საგლეხო ნადელების თითქმის მთელ შემოსავალს, არამედ თვით გლეხის შრომის ნაწილის მითვისებაც შესაძლებელი შეიქნა. როგორ და რა საშუალებით მოხდა ეს?

ბატონყმობის დროს ყველა მიწები, გარდა სამოსახლოსი, სამ ნაწილათ, სამ კატეგორიათ იყო გაყოფილი. ერთ ნაწილს შეადგენდა საბატონო მიწები, რომლებსაც გლეხები თავისი თესლითა და იარაღით ამუშავებდენ სავალდებულო, საბეგრო შრომის (барщинный труд) საფუძველზე: ეს შეადგენდა ზედმეტ შრომას (прибавочный труд). მეორე კატეგორიას შეადგენდენ ის მიწები, რომლებსაც გლეხები თავის გამოსაკვებათ ამუშავებდენ (необходимый труд). მესამე კატეგორიას ეკუთვნოდენ უმთავრესად საძოვარი, ტყე და წყალი. ამ უკანასკნელი კატეგორიის მიწები არავის განსაკუთრებულ სარგებლობაში არ იმყოფებოდა. თავის საჭიროების მიხედვით აქედან ყველანი ერთნაირათ სარგებლობდენ, როგორც გლეხი, ისე მებატონე.

რეფორმამ ამ პირველი და მესამე კატეგორიის მიწები მებატონეთა ხელშეუხლებელ საკუთრებათ იცნო. რაც შეეხება იმ მიწებს, რომლებიც გლეხების განსაკუთრებულ სარგებლობაში იყვენ (მეორე კატეგორიის მიწები), რეფორმა აი როგორ მოიქცა: ერთი ნაწილი ამ მიწებისა გლეხებს პირდაპირ ჩამოაცალა და მებატონეებს გადასცა (ეგრეთ წოდებული ჩამონაჭრები—отрезки); დანარჩენი ნაწილი გლეხების სარგებლობაში დატოვა („ნადელები"), მაგრამ ეს ამ მიწების გლეხების საკუთრებათ გამოცხადებას სრულებით არ ნიშნავდა. პირიქით, ამ მიწების (ნადელების) ნამდვილ მესაკუთრეებათ ისევ მებატონეები იცნეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მებატონეებს უფლება არ ქონდათ გლეხებისათვის ეს მიწები ჩამოერთმიათ *) და მით უმეტეს გაეყიდათ ან დაეგირავებიათ ისინი. მეორე მხრით, არც გლეხებს შეეძლოთ თავის „ნადელების" გაყიდვა ან დაგირავება, არამედ მებატონეს მხრით ნებადაურთველად არც უარის თქმა შეეძლოთ თავის ნადელზე. საქმე იმაშია, რომ გლეხი ვალდებული გახადეს თავის ნადელში ყოველ წლივ, სანამ ამ უკანასკნელს იგი მებატონესაგან გამოიყიდდა ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, თავს დაიხსნიდა, მებატონეს სასარგებლოთ ეხადა ღალა ან ფულათ (оброк) ან მუშაობით

*) მებატონეებს შეეძლოთ მხოლოდ გამოეცვალათ გლეხებისთვის ნადელები... როცა ისინი თავისი საკუთარი ინტერესებისათვის საჭიროთ დაინახავდენ შეეძლოთ განსაზღვრულ ადგილას „ნადელი" ჩამოერთვათ და მეორე აგდილას მიეღო მათ.

(барищина). მაგრამ ეს გადასახადი (ღალა) იმ ზომამდე დიდი იყო, რომ ნადელის შემოსავლიდან იმის გასწორება არა შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ამას ერთხმათ მოწმობენ გლეხების მდგომარეობის ყველა მკვლევარები. მაგრამ რეფორმა ამაზე არ გაჩერდა. მან სავალდებულოთ *) სცნო გლეხებისათვის თავიანთ ნადელების გამოყიდვა, რა თქმა უნდა, იმავე გადაჭარბებული გადასახადის კვალობაზე. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო დასცა და წელში მოღუნა ისედაც შევიწროებული გლეხ-კაცობა.

რეფორმის დასახასიათებლათ საჭიროა გავიცნოთ ცოტა უფრო დაწვრილებით ნადელების გამოყიდვის საქმე ევროპის რუსეთის გუბერნიებში. თავის თავად იგულისხმება, რომ გლეხობას ნადელების გამოსაყიდი ფული არ ქონდა, მაგრამ ამ საქმეში მას მიეშველა მთავრობა. პირველად გლეხებს შეაწერეს ნადელებში მეტად გადაჭარბებული გადასახადები, შემდეგ დააკისრეს მათ, მათდა უნებურათ გადიდებულ, აწეულ ფასებში ძალდატანებითი სესხის საშუალებით ამ ნადელების გამოყიდვა, ამ სესხის რაოდენობას მთავრობა ასე ანგარიშობდა: წლიური გადასახადი უნდა გამრავლებულაყო $16^2/_3$ და საერთო ჯამიდან უნდა გამოეკლოთ ერთი მეხუთედი, თუ გლეხის საკუთრებაში გადადიოდა მთელი „ნადელი" ან ერთი მეოთხედი, თუ გლეხის საკუთრებაში გადადიოდა შემცირებული ნადელი. სესხის გადახდის ვადა განაწილებული იყო 49 წელიწადზე, ყოველ წლივ უნდა ეხადა გლეხებს სესხის $6^0/_0$. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ გლეხებისათვის მეტად სამძიმო შეიქნა სანადელო გადასახადის ძლევა, 1880 წელს სანადელო გადასახადების ნედოიმკების (აუკრეფელი გადასახადების) რაოდენობა 17 მილიონ მანეთამდე მიაღწია, 1900 წელს კი იმათი რაოდენობა 117 მილიონამდე მივიდა, ე. ი. 20 წლის განმავლობაში $590^0/_0$ მოიმატა, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობამ ამ ხნის განმავლობაში რამდენიმეთ შეამცირა ეს გადასახადები. უკანასკნელ დროს საშვალო წლიური გადასახადი ნადელების გამოსაყიდათ შეადგენდა 85 მილიონ მანეთს.

დასასრულ ამ გადასახადის შესახებ აი რა უნდა ვთქვათ: როგორც ვიცით, მთავრობამ 1905 წლის მანიფესტით გამოაცხადა, რომ 1906 წელს იგი აიღებს ამ გადასახადის ნახევარს და 1907 წლიდან კი ნადელების გამოსასყიდი გადასახადი სულ მოისპობაო, თუმც თანახმათ ოფიცია-

*) ეს ვალდებულება დღემდის არ შეხებია მხოლოდ ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობას, სადაც ნადელის გამოყიდვა მებატონეს სრულ ნებაზეა დამოკიდებული.

ლური გახცხადებისა „ნადელების“ გამოყიდვის ვადის დასასრული გლეხების უმეტესობისათვის, თითქმის იმათთვისაც კი, ვისაც ვადა გადიდებული არ აქვს, უმეტეს შემთხვევაში მოახწევდა არა უადრეს 1931 წლისაო“. ბევრს შესაძლებელია, ეს მართალი ეგონოს, მაგრამ ეს ასე არ არის. მთელი ვალი, რომელიც მებატონეებს უნდა აეღოთ თავიანთ ნაყმევებიდან სანადელო მიწებში, უდრიდა 897 მილიონ მანეთს. ამ ვალის გასტუმრება, როგორც ვიცით, იკისრა მთავრობამ და მან კიდევაც დააკმაყოფილა მებატონეები სარგებლიანი ქაღალდების საშუალებით. დაწვრილებითი გამოანგარიშება გვეუბნება, რომ 44 წლის განმავლობაში, 1861 წლიდან დაწყებული 1905 წლის გასვლამდე, ნაყმევ გლეხებს შეუტანიათ სულ 1.570 მილ. მანეთი ნადელების გამოსაყიდათ, აქედან 447 მილ. მან. წასულა მემამულეების ვალის დასაფარავად, რომელიც გლეხებზე გადაიტანეს. დანარჩენი 1.123 მილ. მან. დახარჯულია: დარჩენილი გადასახდელი ვალი 578 მილ. მან. 510 მილ. მან. დაიხარჯა ვალის სარგებელზე, 18 მილ. მან. წავიდა სესხის აღებისათვის ნაღდათ; 15 მილ. მან. მოუნდა საქმის წარმოების ხარჯებს და დარჩა კიდევ ხაზინას 2 მილ. მან. ნაღდი მოგება *). ამნაირად მთავრობის ზევით მოყვანილი განცხადება ფაქტიურად მართალი არ არის: 1906 წლის 1-ლ იანვრისათვის ყოველგვარი ვალდებულება გლეხებს უკვე გასწორებული ჰქონდათ და 1906 წლიდან მთავრობას არავითარი უფლება აღარ ჰქონდა გამოსაყიდი გადასახადები ეღო.

ზევით ნათქვამიდან აშკარათ სჩანს, რომ როგორც სანადელო გადასახადი (оброк ანუ барщина), ისე ნადელების გამოსაყიდი ფასი სრულებით არ შეეფერებოდა იმ მიწების შემოსავალს, რომლებიც გლეხებს მიეცათ ნადელებათ. ყველა პირუთვნელი მკვლევარი დაინახავს, რომ აქ მარტო ნადელების გამოყიდვაში არ ყოფილა საქმე; რომ აქ ნადელების გამოყიდვის სახით გლეხები ყიდულობდენ მებატონეებისაგან თავის პირად დამოუკიდებლობას. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდენ, როგორც მთავრობამ, ისე მებატონეებმა. ეს ვერ გაიგეს მხოლოდ გლეხებმა.

ამნაირად საგლეხო რეფორმის დროს გლეხკაცობა ორნაირად გაძარცული და მოტყუებული დარჩა: 1) მას წაართვეს არა თუ საძოვავარი, ტყე და წყალი, არამედ იმ მიწების ნაწილიც კი, რომლებიც მის

*) იხ. დაწვრილებით ამის შესახებ გაზ. „Начало“ 1905 წ. № 11. წერილი ა. ლ.-სა.

განსაკუთრებულ სარგებლობაში იყვენ, 2) იმ მიწებში კი, რომლებიც მას დაუტოვეს ნადელებათ, ძალდატანებით გადაახდევინეს სამჯერ იმაზე მეტი, რაც ნამდვილად ის მიწები ღირდენ. რაც შეეხება სახაზინო და საუფლისწულო გლეხებს, იმათი მიწების გამოყიდვისათვის მთავრობას სარგებლიანი ქალალდები არ გამოუცია, რადგანაც აქ მესამე პირთან მას საქმე არ ჰქონებია. გარდა ამისა, როგორც სახაზინო, ისე საუფლისწულო გლეხების ბედი შედარებით უკეთესი იყო ნაყმევ გლეხებზე, ვინაიდან იმათ მიწებიც მეტი მიიღეს ნადელებათ და გადასახადიც თითქმის ორჯერ ნაკლები შეაწერეს, ვინემ უკანასკნელთ. რასაკვირველია, დაწვრილებით ჩვენ აქ არ ვეხებით გლეხების ეგრეთ წოდებულ „განთავისუფლების“ ისტორიას. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ნათლად გამოვააშკარავოთ 1861 წ. რეფორმის ნამდვილი ხასიათი, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია აგრარული საკითხის და აგრარული მოძრაობის შესწავლა რუსეთში.

ზევით ნათქვამიდან ჩვენ დავინახეთ, რომ 1861 წლის საგლეხო რეფორმას ბატონ-ყმური დამოკიდებულება არსებითად არ გაუუქმებია და არც შეეძლო რომ გაეუქმებია; რეფორმამ მხოლოდ იურიდიული საფუძველი გამოაცალა ბატონ-ყმურ ურთიერთობას. რაც შეეხება მის ნივთიერ საფუძველს, აქ მან ისეთი ყალთაბანდობა იხმარა, რომ ნახევარი საუკუნით დააგვიანა ბატონ-ყმურ ურთიერთობათა სრულიად აღმოფხვრა. ვინც სოციალური რეფორმებით გატაცებულია და ვინც ასეთი რეფორმებით ცდილობს რევოლიუციის თავიდან აცილებას, იმათ ჩვენ მიეუთითებთ 1861 წლის საგლეხო რეფორმაზე იმის დასამტკიცებლად, რომ რეფორმის საშუალებით შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის რამდენიმე ხნით გადადება და არა სრულებით მისი თავიდან აცდენა.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ბატონ-ყმური ურთიერთობა რუსეთის სოფლის ცხოვრებაში 1861 წლის რეფორმის შემდეგ ისევ განაგრძობდა თავის არსებობას, რასაკვირველია, შედარებით სულ სხვა პირობებში, ვინემ წინეთ. ამ სხვა პირობებს განსაკუთრებით ქმნიდა კაპიტალისტური წარმოების აღორძინება ქალაქის მრეწველობაში. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისათვის საგლეხო რეფორმამ რამდენიმეთ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა. ერთი მხრით, მან ფორმალურათ გაანთავისუფლა გლეხის პიროვნება მებატონეს დამოკიდებულებისაგან და მეორე მხრით რეფორმამ ერთბაშათ დატოვა გლეხების საკმარისათ მოზრდილი ნაწილი სრულიად უმიწაწყლოთ, მაგ., ეგრეთ წოდებული ში-

ნაყმები (дворовые), რომლებიც სრულებით უნადელოთ ბატონეს, და იმავე დროს გლეხობის დანარჩენი ნაწილი იმნაირ პირობებში დარჩა ჩაყენებული, რომ უმეტესობას თავისი არსებობის დასახსნელათ თავისი სამუშაოს ძალა უნდა გამოეტანა ბაზარზე გასაყიდათ. ამნაირათ კაპიტალმა მოიპოვა თავისი მასაზრდოებელი და განმავითარებელი ძალა— თავისუფალი საქირაო სამუშაო ძალა, სრულიად უმიწაწყლო ან მცირე მიწის მესაკუთრე გლეხის სახით. მაგრამ ჩვენ აქ არ ვეხებით კაპიტალიზმის განვითარებას მრეწველობაში. ჩვენ აქ ვიკვლევთ რუსეთის მეურნეობის პირობებს. რა თქმა უნდა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მეურნეობის განვითარება თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში თავისი საკუთარი კაპიტალიზმისაგან დამოუკიდებელი მიმართულებით არ წარმოებს; პირიქით, მეურნეობის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოთ კაპიტალისტურ წარმოების განვითარებაზე. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვცნობთ, რომ მეურნეობის სფეროში არსებობენ განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ასე თუ ისე მოქმედებენ მეურნეობის განვითარებაზე, ე. ი. ან აბრკოლებენ ან ხელს უწყობენ მის განვითარებას. აი სწორეთ ამ პირობების აღნიშვნა და გარკვევა გვინდა ჩვენ აქ.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა წესით მოხდა რუსეთში გლეხების განთავისუფლება ბატონყმური დამოკიდებულებისაგან და თუ რაში გამოიხატა ეს განთავისუფლება. ნატურალური წარმოების ქვეყანაში, სადაც 50 მილიონზე მეტი გლეხ-კაცობა ცხოვრობდა მიწის მუშაობით და სადაც ამ უკანასკნელს ბატონ-ყმურ უღელს ქვეშ უზრუნველყოფილი ქონდა საკმაო მიწა თავისი მეურნეობის დასაყმაყოფილებლათ, პირობები უეცრათ შეიცვალა. როგორც ზევით იყო ნათქვამი, გლეხობას ბატონ-ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლების სახით ფაქტიურათ ჩამოერთვა თითქმის ყველა მიწები, რომლებიც წინეთ მის სარგებლობაში იყო. მართალია, გლეხებს მიუზომეს ნადელები, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ ნადელი შეამცირეს და მეორე ის, რომ ამ ნადელების გამოყიდვა თავზე დაატეხეს გლეხებს მათდა უნებურათ და უზომოთ გადიდებულ ფასებში. ყველა ამ მიწების მესაკუთრეებათ იცნეს უწინარეს ყოვლისა კერძო მემამულეები, ანუ ყოფილი მებატონეები, ე. ი. თავად-აზნაურობა, შემდეგ მეფის გვარეულობა და ბოლოს ხაზინა *). ასეთ

*) აქ საჭიროთ მიგვაჩნია შევნიშნოთ შემდეგი: თუმც ხაზინას სივრცით ყველაზე მეტი ეკუთვნის, მაგრამ მეორე მხრით სახაზინო მიწების დიდი უმეტესობა სრულებით უვარგისია და

პირობებში გლეხ-კაცობა ან უნდა სიმშილისაგან ამოხოცილიყო, ანდა ისევ ყოფილ მებატონეებისათვის უნდა მიემართნა და მუხლმოდრეკით უნდა გამოეთხოვნა იმათაგან მიწა საიჯაროთ. გარდა ამისა, გლეხკაცობას უმეტეს შემთხვევაში არ ქონდა ტყე, არ ქონდა საძოვარი ანუ საბალახო, არ ქონდა წყალი. უამისოთ ხომ გლეხის მეურნეობა შეუძლებელია. ყოველივე ეს იმავე მებატონეების ხელში გადავიდა უმთავრესათ. ამიტომ გლეხებს უმეტეს შემთხვევაში ფეხის გადადგმა არ შეეძლო ისე, რომ თავის ყოფილ მებატონესათვის არ მიემართნა. ამ გარემოებამ გამოიწვია საიჯარო გადასახადის საოცარი ზრდა. პროფ. კარიშევის მოწმობით*), საიჯარო გადასახადი ზოგ ადგილას ხუთჯერ და ათჯერ გაიზარდა, 1861 წლის რეფორმის შემდეგ. ეს ზრდა ამ უკანასკნელ ხანამდე არ შეჩერებულა. ჯერ კიდევ მეოთხმოცე წლებში, იმავე კარიშევის სიტყვით, ევროპის რუსეთის გლეხობის ნახევარს იჯარით აღებული ქონდა 50 მილ. დესეტინამდე მიწა, რისთვისაც ყოველ წლიე იხდიდა 300 მილ. მანეთზე მეტს საიჯარო გადასახადს.

მიწის იჯარით აღება შეიძლება ორნაირი მიზნით: შეძლებული გლეხი, კაპიტალისტი-ფერმერი, მიწას იღებს იჯარით იმიტომ, რომ ყოველგვარ ხარჯების დაფარვის შემდეგ, რაშიაც მემამულეს რენტაც შედის, აიღოს სარგებელი; ლატაკი გლეხი იჯარით იღებს მიწას იმიტომ, რომ სხვა გზა მას აღარ დარჩენია სიმშილს შეებრძოლოს. თუ შეძლებულ გლეხს, კაპიტალისტ-ფერმერს შეუძლია მიწის იჯარით აღებისაგან თავი შეიკავოს, როცა ეს უკანასკნელი მას მოგებას არ აძლევს, ლატაკი გლეხი ასე ვერ მოიქცევა, რადგანაც მას მოგება კი არ აქვს მიზნათ, არამედ თავის შრომის ფასის აღება, ე. ი. იმდენი აიღოს, რომ სიმშილისაგან არ მოკვდეს. რამდენათაც მატულობს ამ უკანასკნელ ტიპის მეიჯარეთა რიცხვი, იმდენათ იზრდება საიჯარო გადასახადი. ასეთი მეიჯარე იძულებულია მაღლა აწიოს საიჯარო ქირა, რომ იჯარით მიწა აიღოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეიჯარეს მთელ მოგებას და ზოგიერთ

---

იმყოფება ისეთ ადგილებში, სადაც მეურნეობა მეტად გასაჭირია. ასე მაგ., ევროპის რუსეთში სულ ითვლება სახაზინო მიწა 144.587.536 დესეტინა, ე. ი. ყველა მიწების 36,5%. აქედან 70.227,663 დესეტინა მარტო არხანგელის გუბერნიაში, 30.245,010 დეს. ვოლოგდის გუბ. 12.422,477 დეს. პერმის გუბ. 8.570,791 დეს. ოლონეცის გუბ. და 5.820.462 დეს. ვიატკის გუბერნიაში. სულ ამ ხუთ გუბერნიაში ირიცხება 126 816,403 დეს. სახაზინო მიწა, ანუ ყველა სახაზინო მიწების 88%-ზე მეტი. ამნაირათ სახაზინო მიწების უმეტესი ნაწილი ისეთ გუბერნიებში იმყოფება, სადაც მეურნეობის წარმოება ბუნებრივი პირობების გამო შეზღუდულია.

*) იხ. Россия в конце XIX в., გვ. 118.

შემთხვევაში მისი სამუშაო ხელფასის ნაწილსაც, მიწის რენტასთან ერთად, ისაკუთრებს მემამულე; ეს ნიშნავს იმას, რომ მიწის იჯარით აღება კაპიტალისტური მოგების მისათვისებლათ შეუძლებელი ხდება; დასასრულ ეს იმას ნიშნავს, რომ მეურნეობაში საწარმოო ძალა დაბლა ეცემა, ვინაიდან უზომო დიდი საიჯარო ქირა შეუძლებლათ ხდის მეურნეობაში ფულის დაბანდებას სამეურნეო იარაღების გასაუმჯობესებლათ ან თვით მიწის გასასუქებლათ *).

საიჯარო ქირის აწევა იწვევს იმავე დროს მიწის ფასის უზომო აწევას, ასე რომ იმ შემთხვევაში მიწის ფასი სრულებით აღარ შეეფერება მიწის ნორმალურ ფასს, რამდენადაც ეს ფასი კაპიტალისტური რენტის კვალობაზე ისაზღვრება. კაუცკი ამბობს: „დასამუშავებელი მიწის ფასი მხოლოდ იქ ისაზღვრება რენტით, სადაც მიწას ხმარობენ საქონლის კაპიტალისტურათ წარმოებისათვის. მიწის ფასი რენტაზე მაღლა იწევს იქ, სადაც მიწას საქონლის წარმოების მხრით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, სადაც იგი უმთავრესათ მეოჯახეობის დამატებას შეადგენს... რა თქმა უნდა, ეს გარემოება სოფლის მცხოვრებთა ექსპლოატაციის, გაყვლეფის, უმთავრეს წყაროთ ხდება. თუ სოფლის მუშას სურს საკუთარი მეურნეობის დაწყება, მაშინ რამდენათაც უფრო დიდია მიწის პატარა ნაკრების—პარცელლების ფასი, რომლებიც მან უნდა შეიძინოს, იმდენათ უფრო უნდა მოუკლოს მან ხარჯს ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომ თავის ხელ ფასიდან მოაგროვოს ფული მიწის პატარა ნაკერის საყიდლათ. და სადაც მან ვერ მოახერხა პარცელების ყიდვა და სადაც იგი მიწას იჯარით იღებს, მან მით უფრო აუცილებლათ უნდა მიმართოს ქირაზე მუშობას, რამდენათაც საიჯარო გადასახადი უფრო დიდია; და ამ გადასახადს იგი შოულობს არა თავისი ერთი ციდა მიწის ნაყოფისაგან, არამედ თავისი შრომის ხელფასისაგან; რამდენათაც დიდია საიჯარო გადასახადი, იმდენათ უფრო მეტია შრომის მიწოდება, და იმდენათ მას უფრო ნაკლებათ შეუძლია სამუშაო ქირის დაწევას წინააღმდეგობა გაუწიოს, იმდენათ მას უფრო უპირს საიჯარო ქირის გადახდა, რაც ხდება მისი დავალიანების და დამოუკიდებლობის დაკარგვის მუდმივ წყაროთ“ **).

---

*) ყველა ეს შედეგები არა კაპიტალისტური იჯარისა ნაჩვენებია უფრო დაწვრილებით პ. მასლოვის წიგნში: „Аграрный вопрос в России“.

**) იხ. Аграрный вопрос (Аграрная программа) რუს. თარგმანი.

ზევით მოყვანილი ამონაწერი თვალწინ გვიყენებს რუსეთის მეურნეობის პირობებს საგლეხო რეფორმის შემდეგ: 1) მიწის ფასის და მიწის საიჯარო ქირის შეუწყვეტელი ზრდა, 2) მიწის ნაყოფით ქირის გადახდის შეუძლებლობა და 3) წვრილ მეიჯარე—გლეხების მევახშეებისა და მემამულეების ბრეყალში ჩავარდნა.

მიწით იჯარით აღება ორნაირი სახით შეიძლება: 1) პირდაპირ ფულზე და 2) ნატურალური იჯარა, ე. ი. საიჯარო ქირის გადახდა ან მიწის მოსავლით (рента продуктами) და ან მუშაობით (отработочная рента—Arbeitsrente). ვისაც რაიმე შეძლება აქვს, ის არაოდეს არ მიმართავს მეორეგვარ იჯარას, ე. ი. ნატურალურს. პროფ. კარიშევის მოწმობით, —ადგილობრივმა გამოკვლევებმა დამტკიცეს, რომ საიჯარო გადასახადის სხვადასხვა ფორმათა შორის ერთი მხრით და მეიჯარეთა კეთილდღეობას შორის, მეორე მხრით, არსებობს ერთნაირი დამოკიდებულება, რომელიც ყველა შესწავლილ ადგილებში ერთნაირათ მეორდება. მეიჯარეთა უღარიბესი ჯგუფები სხვისი მიწის ასაღებათ ნატურალურ იჯარას ამჯობინებენ იჯარის ფულით გადახდასო *). თუ რას ნიშნავს ეს „ამჯობინებენ", ამის შესახებ კარიშევი გარკვევით არაფერს არ ამბობს, თუმცა სხვა ადგილას იგივე ავტორი აი რასა სწერს: „ნატურალური იჯარა ყოველთვის უძვირესია ფულით გადახდაზე. ნატურალური იჯარა, აიღებს რა ფასს და ერეკება რა მეიჯარეებს, გაცხარებულ მუშაობის დროს თავის საკუთარ მეურნეობიდან მიწის მესაკუთრეთა წინაშე ვალდებულების შესასრულებლათ, ხალხის მეურნეობისათვის დიდათ საზარალოაო **). ბ. კარიშევი, როგორც ერთგული ნაროდნიკი, არ ბრკვევს, სახელდობრ თუ ვისთვის, მემამულეთათვის, თუ ღატაკ მეიჯარე გლეხებისათვის არის ნატურალური იჯარა საზარალო. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი.

ჩვენ ვიცით, რომ ბატონ-ყმობის დროს გლეხი კვირაში სამი დღის განმავლობაში მუშაობდა თავისთვის და დანარჩენი სამი დღის განმავლობაში მებატონესთვის, გარდა სხვა სავალდებულო საბეგრო გადასახადისა. ამ ნაირათ გლეხის და მებატონეს მეურნეობა მხოლოდ ადგილმდებარეობით იყო ერთი ერთმანეთისაგან დაშორებული, თორემ ისე პირველიც და მეორეც მჭიდროთ დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან:

*) მოყვანილია მასლოვის წიგნში Аграр. воп. გვ. 265.
**) იხ. Россия в конце XIX в. გვ. 118.

როგორც ერთის, ისე მეორეს დამმუშავებელი იყო გლეხი თავის ხარ-კამეჩით და კავ-სახნისით. გლეხი მხოლოდ იმიტომ ამუშავებდა თავის-თვის ყანას, რომ მისი შრომა საჭირო იყო მებატონეს ყანის დასამუშ-ავებლათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლეხი არსებობდა იმიტომ, რომ მისი არსებობა საჭირო იყო მებატონეს არსებობისათვის. ამნაირათ, აქ არ იყო მარტო ეკონომიური დამოკიდებულება მებატონესაგან. ამ და-მოკიდებულებაში იხატებოდა, მაშასადამე, „ეკონომიურ ურთიერთობის გარეშე ძალდატანება“ (вне-экономическое принуждение), რო-მელზედაც ლაპარაკობს მარქსი.

ბატონ-ყმობის გაუქმებით დამოკიდებულება, ანუ მარქსის სიტ-ყვით, „ეკონომიურ ურთიერთობის გარეშე ძალდატანება“, საბოლოოთ არ მოსპობილა. აი რას ამბობს ამის შესახებ ვლ. ილინი: „გლეხის მეურ-ნეობა სრულებით არ იქნა გამოყოფილი (რეფორმის შემდეგ ხანაზეა ლა-პარაკი) მემამულეთა მეურნეობისაგან, ეინაიდან უკანასკნელების ხელში დარჩენ საგლეხო ნადელების ისეთი ელემენტები, ურომლისოთ გლეხე-ბის მეურნეობა შეუძლებელი იყო, როგორც: „ჩამონაპერი მიწები“, ტყე, მინდვრები, წყალი, საძოვარი და სხ. უამისოთ გლეხებს სრულე-ბით არ შეეძლოთ დამოუკიდებლათ ეწარმოებიათ მეურნეობა და ამნაი-რათ მებატონეებს შეძლება ქონდათ განეგრძოთ მეურნეობის ძველი სის-ტემა მუშაობით გადახდის სახით (в форме отработков). „ეკონომიურ ურთიერთობის გარეშე ძალდატანების“ გავლენაც დარჩა: დროებით ვალ-დებული მდგომარეობა, საერთო პასუხისმგებლობა (круговая порука) გლეხის როზგვით გალახვა, მისი საზოგადო სამუშაოზე მიცემა და სხვა“ *).

**

მოვიყვანოთ აქ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად ახასიათებს როგორც გლეხების, ისე ყოფილ მებატონეების მეურ-ნეობას საგლეხო რეფორმის შემდეგ. „მემამულეთა მსხვილ ეკონომიებ-ში, სწერს ერთი კორესპონდენტი ორლოვის გუბერნიიდან, წლიური მუ-შების გარდა, მიწის მომეტებულ ნაწილს ამუშავებენ გლეხები, რისთვი-საც ისინი იჯარით იღებენ მიწას. ყოფილი ყმები თავიანთ ყოფილ მება-ტონეებისაგან იჯარით იღებენ მიწას და ამისთვის ამუშავებენ იმათ მიწებს. ასეთ სოფლებს უწოდებენ ამა და ამ მემამულეს საბეგრო სოფელს **).

*) იხ. Вл. Ильин. Развитие капитализма в России გვ. 130—31.

**) С. А. Короленко. Вольно-наемный труд—მოყვანილია ილინის წიგნში გვ. 131 (შენიშვნა).

ეს პირდაპირ ბატონ-ყმურ ურთიერთობას მოგვაგონებს. „სამუშაო იჯარის წყალობით (отработная аренда) მეიჯარე გლეხები — ამბობს მეორე ავტორი, — ვერასოდეს თავს ვეღარ ახწევენ ადგილობრივი მემამულეს კალიდან და იმყოფებიან რა მუდამ მისგან ასეთ დამოკიდებულებაში, იძულებული ხდებიან დათანხმდენ ყოველგვარ სიმუშაოზე *).

„არავისთვის საეჭვო აღარ უნდა იყოს, — ამბობს იგივე ავტორი, — რომ დესიატინობით იჯარის გაცემამ (იგივე სამუშაო იჯარა) ტამბოვის გუბერნიაში უკვე დიდი ხანია დაკარგა იჯარის ხასიათი და ახლა მას უნდა ვუცქეროდეთ, როგორც ერთ საშუალებათაგანს მამულისათვის იაფი მუშა-ხელი რომ უზრუნველყონ. იმავე დროს თანდათან აშკარავდება ის როლი, რომელსაც ასრულებს ის მიწა, რომელიც დესეტინობით იცემა იჯარით. იგი ხდება იარაღათ, რომლის შემწეობით თავისუფალი მიწის მუშა დამოკიდებულ, დაბეგრულ მუშათ ხდება, რომელიც თავის შრომას ჰყიდის იმ ფასში, რომელსაც მას უკარნახებს გაჭივრება **); შაგრამ მემამულესათვის მარტო იაფ მუშა ხელის შოვნის მხრით კი არ არის ხელსაყრელი დაქირავების ასეთი სისტემა. საქმე იმაშია, რომ იაფ მუშა ხელის გარდა იგი მუქთად შოულობს აგრეთვე თავის მეურნეობისათვის სამეურნეო იარაღს. „მსხვილი მეურნეობის ხარჯები პირუტყვის და სამეურნეო იარაღების საყიდლათ და შესანახად მეტი ხდება და გლეხები თავის მოწყობილობით ხდებიან როგორღაც მემამულეს მეურნეობის „შემადგენელ ნაწილად“ ***). ამიტომ მრავალ მემამულეთა ეკონომიებში ხშირად სრულებით არ მოიპოვება არც სამეურნეო იარაღი და არც საქონელი, ვინაიდან, როგორც კარიშევი ამბობს, ნატურალური იჯარის (სამუშაო იჯარის — отработки) საშუალებით კეთდება მებატონეთა ეკონომიებში ყოველგვარი სამეურნეო საქმე, როგორც ყანების დათესვა, ისე მომკა, თივის შენახვა, შეშის დამზადება, ტვირთის გადაზიდვა, სახლის შეკეთება და თითქმის ქათმების და კვერცხების მოტანაც კი ****).

აუარებელი გამოკვლევების მეოხებით დამტკიცებულია, რომ ნატურალური იჯარის მეოხებით ფასი ასჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე კაპი-

*) Липский. Цены на рабочия руки. მოყვანილია მასლოვის წიგნში (Аграр. воп.) გვ. 263—4.

**) იქავე, გვ. 264.

***) იქავე, გვ.

****) იხ. ილინი, გვ. 185.

ტალისტური წესით დაქირავების დროს *). რადგანაც ასეთია ნატურალური იჯარის მნიშვნელობა რუსეთის მეურნეობაში, ეს ასე იყო მაინც დღემდის, ამიტომ საჭიროა გარკვევით ვუჩვენოთ, თუ რა უწყობს ან რა უწყობდა მას ხელს. ამის შესახებ ი რას ამბობს ილინი: „ვინაიდან მუშაობით იჯარის გადახდა (отработки) შეუძლია იკისროს მხოლოდ ადგილობრივ და ისიც „ნადელით უზრუნველყოფილ" გლეხს, აქედან ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ხელფასის შემცირებაში ნადელს, შრომის ნატურალურ ხელფასს. ნადელი დღემდე მუშა ხელის უზრუნველსაყოფელი საშუალებაა. მაგრამ ამით არ თავდება განსხვავება. კაპიტალისტურ დაქირავებასა და ნატურალურ იჯარას შორის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ნატურალურ იჯარასთან იგულისხმება ყოველთვის დაქირავებულის პირადი დამოკიდებულება დამქირავებელისაგან, ე. ი. „ეკონომიურ ურთიერთობის გარეშე ძალდატანების" გავლენა. ეს გარემოება მშვენივრად დაახასიათა ენგელგარდტმა შემდეგი სიტყვებით: „აღმასრულებელი ფურცლით გლეხს საძნელოა რაიმე გადაახდევინოთ, მაგრამ იმ მუშაობას, რომელიც მან იკისრა, ადმინისტრაცია ძალას დაატანს შეასრულოს, თუმც მას საკუთარი პური მოუმკელი დარჩესო". მოჰყავს რა კარიშევს ეს სიტყვები, იგი ამბობს: „მხოლოდ ხანგრძლივ მონობით, ბატონყმური ბეგარით ბატონის სასარგებლოდ შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ გლეხი აღუშფოთებლათ (хладнокровно) სტოვებს თავის ხორბალს წვიმაში და მიდის, რათა გადაიტანოს სხვისი პურიო" **). რა თქმა უნდა, აქ არაფერ შუაშია არც წინანდელი მონობა და არც წინანდელი ბატონ-ყმობა. საქმე ის არის, რომ დღესაც არსებობენ ისეთი პირობები, რომლებიც გლეხს აიძულებენ თავისი პური მოუმკელი დატოვოს, თავისი ყანა - დაუთესავი და თავისი ხარ-კამეჩით და ურმით მემამულეს ყანა დაამუშაოს, მისი პური მომკას და გადაზიდოს. გარდა იმისა, რომ გლეხი ეკონომიურად დამოკიდებულია მემამულესაგან, ზევით აღნიშნული გარემოება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენში შენახული არ იყვენ ბატონ-ყმობის ნაშთები, როგორც გლეხის სრული უუფლებობა მემამულეთა წინაშე და ამისი ასე თუ ისე საცხოვრებელ ადგილზე მიკვრა

*) იქვე, გვ. 139.

**) მოყვანილია ილინის წიგნში გვ. 136. შეადარეთ მასლოვი „Аграрный вопрос в России". გლეხი ძლიერ ხშირად იძულებული ხდება მიატოვონ თავის ყანა, რომ მემამულეს სამუშაო შეასრულოს. გვ. 265.

„ნადელის“ საშუალებით. ყველა ამის შედეგი იყო და არის, ერთი მხრით, საწარმოო ძალების განუვითარებლობა და, მეორე მხრით, გლეხის დამონავება (закабаление).

ზევით ნათქვამიდან აშკარად სჩანს, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარებას რუსეთის მეურნეობაში წინ ეღობებოდა არა მარტო გლეხის ეკონომიურად გაძარცვა მიწების ჩამორთმევით, არამედ კიდევ უფრო „ეკონომიურ ურთიერთობის გარეშე ძალდატანება“ ფეოდალური წესწყობილების ნაშთების სხვადასხვა სახით.

ჩვენ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტორებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ერთი მხრით, გლეხის ეკონომიური კეთილდღეობის დაქვეითება და, მეორე მხრით, საწარმოო ძალთა განვითარების შეჩერება მეურნეობაში. ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს გლეხის ეკონომიური კეთილდღეობის დაქვეითებას და საწარმოო ძალების განვითარების შეჩერებას, იმავე დროს აფერხებს კაპიტალისტური წარმოების ზრდა-განვითარებას მეურნეობაში. ამ ნხრით სახელმწიფო და საეკლესიო გადასახადებსაც საკმარისათ დიდი მნიშვნელობა ქონდა. ჩვენ ვიცით, თუ ბატონ-ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლების მეოხებით გლეხებს რა მძიმე გადასახადი დააწვათ კისერზე, როგორც ნადელების გამოსაყიდათ, ისე საიჯარო მიწების საშოვნელათ. მაგრამ ყველა ეს გადასახადები მხოლოდ მემამულეების ჯიბეში მიდიოდა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო თავის თავსაც არ ივიწყებდა. რაც დრო გადიოდა, სახელმწიფოს ხარჯები შეუჩერებლათ იზრდებოდა. აურაცხელი მოხელეების და მუდმივი ჯარის შენახვა, სხვას რომ თავი დავანებოთ, აუარებელ საშუალებას თხოულობდა. რუსეთის სახელმწიფო უმთავრესათ ორი წყაროდან იკვებება: სესხით და გლეხობაზე გადასახადის დადებით. ტყუილათ ხომ არ ითვლება რუსეთში გლეხობა ერთად ერთ გადამხდელ წოდებათ. მაგრამ უკანასკნელ ანგარიშში სესხის აღებაც შესაძლებელი ხდება მხოლოდ გლეხის ზურგით. ამიტომ, რაღა გასაკვირალია, რომ ამოდენა სახელმწიფოს ხარჯები, მთელი თავისი სიმძიმით რუსეთის გლეხობას დააწვა კისერზე. რაც ნადელების გადასახადს და მიწის იჯარას გადაურჩებოდა, იმას ხაზინა თავის საჭიროებისათვის აძრობდა გლეხს. ყველამ კარგათ იცის, თუ რა ზომებით იღებს მთავრობა გადასახადს გლეხიდან. ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, გაჭირვებული გლეხის „მხსნელათ“ გამოდის სოფლის წურბელა, ანუ მევახშე. გლეხის მთელი წლის მონაგარს იგი ჩალის ფასათ იძენს და შემდეგ გლეხი ისევ იძუ-

ლებული ხდება. იმავე ჩარჩ-მევახშეს მიმართოს და სულიან-ხორციანათ დაეწინდროს. ამნაირათ მთელი წლების განმავლობაში გლეხის მონაგარს შინ, თუ გარეთ, თავისი მეურნეობის საშუალებით, თუ ქირაზე წასვლით (отхожие промыслы) ხაზინა, მემამულეები და ჩარჩ-მევახშეები ისაკუთრებდნენ. ასეთ პირობებში მეურნეობის გაუმჯობესობა იშვიათათ თუ ვისმეს მოუვიდოდა თავში. საერთოთ კი ეს პირობები აფერხებდენ მეურნეობის განვითარებას, ვინაიდან შეუძლებლათ ხდიდენ მასში გაუმჯობესობის შემოღებას. მეურნეობის გასაუმჯობესებელი საშუალება უმეტეს შემთხვევაში გლეხს ხელიდან ეცლებოდა. ამას მოყვა გლეხობის დიდი უმრავლესობის საშინელი გაღატაკება, ქრონიკული დამშევა და ბოლოს აშკარა არეულობა ანუ „ბუნტი“. მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკი შემდეგ გვექნება.

აქ უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელიც რუსეთის მეურნეობის დიდმნიშვნელოვან ფაქტს შეეხება და რომელსაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ჩვენ ვამბობთ რუსეთის სოფლის ცნობილ „ობშჩინაზე“, ე. ი. სათემო მიწათმფლობელობაზე. რამდენათაც აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით განსაკუთრებით ბატონ-ყმური წესწყობილების ნაშთებზე, როგორც კაპიტალისტური წარმოების განვითარების შემაფერხებელ მოვლენებზე, იმდენათ ახლა ვილაპარაკებთ პირველ-ყოფილი კომუნიზმის ნაშთზე—რუსეთის „ობშჩინაზე“, რომელიც იმავე როლს თამაშობდა და შეიძლება დღესაც თამაშობს რუსეთის მეურნეობის განვითარების ისტორიაში. რუსეთის „ობშჩინის“ სახელწოდებასთან შეკავშირებულია სახელები ერთი მხრით რუსეთის გამოჩენილი მწერლების: ჩერნიშევსკის, გერცენის, ბაკუნინის, ტკაჩოვის და მიხაილოვსკის და, მეორე მხრით, თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმის მამათავართა: მარქსის და ენგელსის. შემდეგ „ობშჩინის“ გამო დიდი კამათი იყო რუსეთის მარქსისტებსა და მერთხმოცე წლების ნაროდნიკების შორის. ეს კამათი, როგორც ვიცით, მარქსისტების სრული გამარჯვებით გათავდა. კამათის უმთავრეს საგანს შეადგენდა „ობშჩინის“ მომავალი ბედი. ნაროდნიკები (ვ. ვორონცოვი, ნ.—ონი, კარეშევი, მიხაილოვსკი, კაბლუკოვი და სხვები), იმეორებდნენ რა ჩერნიშევსკის შეხედულებას რუსეთის „ობშჩინაზე“, ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმი რუსეთში ფეხს ვერ მოიკიდებს არა თუ მეურნეობაში, არამედ მრეწველობაშიაც კი. რუსეთის გლეხობა ბუნებით კომუნისტია, და ამიტომ სოციალისტური წესწყობილების მისაღწევად სრულებით საჭირო არ არის კაპიტალიზმის დარჯაკში გავლა. ამის თავ-

დები „ობშჩინა“ ანუ სათემო მიწათმფლობელობაა, რომელიც თავისი წმინდა, გაურყვნელი სახით მარტო რუსეთის გლეხობაშია დღეს დაცული. რაც შეეხება კაპიტალიზმს, იგი მთავრობის მოგონილია და როგორც ასეთს, მას არავითარი საფუძველი არა აქვს რუსეთის ცხოვრებაშიო. მარქსისტების შეხედულებით, პირიქით, „ობშჩინა“ უკვე წარსულს ეკუთვნის; როგორც ობშჩინის ხსნა, ისე კაპიტალიზმის უარყოფა სრულებით ფუჭე ოცნებაა. რუსეთის „ობშჩინა“ თავის-თავად საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების უდაბლესი საფეხურია. ასე რომ, საწარმოო ძალების განვითარება აუცილებლათ მოითხოვს „ობშჩინის“ დაშლას და კაპიტალისტური წარმოების განვითარებას, სანამ უმაღლესი ფორმა წარმოებისა,—სოციალიზმი, დამყარდებოდეს. რაც ჩქარა მოხდება ეს პროცესი, ე. ი. ობშჩინის დაშლა და კაპიტალიზმის განვითარება, მით უმჯობესია საზოგადოებისათვის. სანამ ეს კამათი დამთავრდებოდა, ცხოვრებამ უკვე გამოიტანა თავისი განაჩენი, რომლითაც სამუდამოთ ბოლო ეღებოდა ნაროდნიკების ტკბილ ოცნებებს. მაგრამ აქ ჩვენ იმდენათ ობშჩინის ბედი არ გვაინტერესებს, რამდენადაც ის გარემოება, რომ „ობშჩინა“ აფერხებდა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთის მეურნეობაში.

რუსეთის „ობშჩინის“ შესახებ რუსეთის მწერლებს ის მოუვიდათ, რაც მოლიერის ერთ გმირს დაემართა. ამ უკანასკნელმა ბოლოს გაიგო, რომ იგი თურმე პროზით ლაპარაკობდა. ასე დაემართა რუსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა და მწერლებს: თვალ წინ რუსეთის გლეხობის დიდი უმრავლესობა საერთო მიწათმფლობელობას მისდევდა. რუსეთის მწერლებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს თავის სამშობლოში „ობშჩინის“ არსებობა, როცა 1845 წელს, პრუსიის ერთმა მოხელემ, გვარათ ჰაქსტჰაუზენმა რუსეთის „ობშჩინის“ არსებობა ქვეყანას ამცნო.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ საზოგადოებრივი მეცნიერება ჯერ კიდევ დაბლა იდგა, როგორც ფაქტების, ისე ცოტა თუ ბევრათ სწორი თეორიის უქონლობის გამო. იცოდენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში რამდენიმე ხანა იყო, ველურობიდან დაწყებული თანამედროვე ცივილიზაციამდე, მაგრამ სრულებით არ იცოდნენ, თუ რა იწვევს ერთი ეპოქის მეორით შეცვლას; რით აიხსნება ის მოვლენა, რომ მონობის ადგილი ბატონყმობამ დაიპირა, ამ უკანასკნელმა კი ბურჟუაზიულ წესწყობილებას დაუთმო ალაგი? მართალია საფრანგეთის ზოგიერთ ისტორიკო-

სების ნაწარმოებებში მაგ., ოგუსტენ ბიერის[2]) და გიზოსი[3]*), უკვე გამოსჭვიოდა ზოგიერთი მართალი აზრი—საზოგადოებრივ განვითარების შესახებ, განსაკუთრებით საშუალო საუკუნოების საზოგადოების შესახებ, მაგრამ სწორი და მართალი კანონების დამყარებამდე საზოგადოების განვითარების შესახებ ჯერ კიდევ შორს იყო. რაც შეეხება მარქს-ენგელსის დიალექტიური მატერიალიზმის თეორიას, ის მხოლოდ იმ ხანებში ისახებოდა, და ჯერ კიდევ დიდ ხანს უნდა განეცლო, სანამ ის ჯეროვან გავლენას იქონიებდა. ამიტომ სრულებით გასაკვირვალი არ არის ის გარემოება, რომ ეროპა რუსეთის „ობშჩინა“ იქნა აღმოჩენილი, იგი მიიღეს არა როგორც პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთი, არამედ სრულებით განსაკუთრებული მოვლენა, რომელიც შეადგენს რუსეთის გლეხკაცობის, საერთოდ სლავიანთა ტომის დამახასიათებელ თვისებას. იმავე დროს „ობშჩინა“ დაუპირდაპირეს დასავლეთ ევროპის და კაპიტალისტურ წესწყობილებას, რომელშიაც ღვივის ღრმა კლასობრივი წინააღმდეგობა, განხეთქილება, რომელიც მუდამ საზოგადოებრივ რყევას და მწვავე კონფლიქტებს იწვევს მოწინააღმდეგე კლასებს შორის. საკმარისი იყო ასეთი დაპირდაპირება, რომ მაშინვე „ობშჩინის“ უპირატესობა ელიარებინათ კაპიტალიზმის წინაშე.

სულ პირველათ გერცენმა[4]) გამოაცხადა რუსეთის გლეხები სოციალიზმის ჭეშმარიტ მატარებლებათ, ბუნებით კომუნისტებათ (als geborne Kommunisten) ეს შეხედულება გერცენიდან ბაკუნინმა[5]) შეითვისა და ბაკუნინიდან ტკაჩოვმა[6]) **). ამ შემცდარ შეხედულებას შემდეგ თუთიყუშივით იმეორებდნენ ყველა ჯურის ნაროდნიკები. ამათში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიკ. ჩერნიშევსკის[7]) — „რუსეთის ამ უდიდეს მეცნიერს და კრიტიკოსს“, როგორც მას მარქსმა უწოდა. როგორც ეიცით, ჩერნიშევსკი დიალექტიური მეთოდის მიმდევარი იყო, ამიტომ მისი მსჯელობა ყოველთვის ღრმა ფილოსოფიურ მოსაზრებაზე იყო დამყარებული. „ობშჩინა“ მისთვის არ იყო წარმოების უმაღლესი ფორმა

---

*) მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ უკვე საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ერთი მისი მოღვაწის მიერ თითქმის სავსებით დაფუძნებულ იქნა ისტორიის მატერიალისტური გაგება, ერთად-ერთი სწორი შეხედულება კაცობრიობის განვითარებაზე. ეს იყო ბარნოვი (Baruove), ბურეუაზიის გამოჩენილი იდეოლოგი, რომელიც რევოლიუციის მსხვერპლი შეიქნა. მისი შრომა: „Lnrtaductiorale Bebelntion fransaise“ (საფრანგეთის რევოლიუციის შესავალი) მისი სიკვდილის შემდეგ სრულიად დავიწყებულ იქნა და მხოლოდ 1845 წელს იქნა გამოქვეყნებული.

**) Fr. Snyels. Internationaies ausdem Wolksstaat (1871—75) გვ. 56.

-კაპიტალიზმთან შედარებით. პირიქით, ჩერნიშევსკი რუსეთის ობშჩინაში ხედავდა მხოლოდ საშუალებას დღევანდელ საზოგადოებიდან განვითარების ახალ საფეხურზე გადასასვლელათ, რომელიც უმაღლესი უნდა ყოფილიყო, ვინემ რუსეთის „ობშჩინა“, ერთი მხრით, და დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური საზოგადოება, მეორე მხრით და რადგანაც მისი აზრით რუსეთს ჰქონდა ასეთი საშუალება, ე. ი. „ობშჩინა“, მხოლოდ ამაში ხედავთ იგი რუსეთის უპირატესობას. მაგრამ ჩერნიშევსკის იმავე დროს კარგათ ესმოდა, რომ იმის შეუთვისებლათ, რაც კაპიტალისტურმა წარმოებამ შესძინა კაცობრიობას, წარმოების უმაღლესი ფორმის მიხწევა შეუძლებელი იყო. აი რას ამბობდა ამის შესახებ მარქსი: „თავის შესანიშნავ წერილებში ჩერნიშევსკი არკვევდა იმ საკითხს, რომ რუსეთის განვითარება უნდა მოხდეს სოფლის ობშჩინის დაშლით და კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებით, როგორც ამას ლიბერალები თხოულობენ, თუ, პირიქით, რუსეთს შეუძლია კაპიტალისტური წარმოების ტანჯვას გვერდი აუაროს და იმავე დროს ყველა მისი ნაყოფიერი შედეგები შეითვისოს, რათა თავისი საკუთარი ისტორიულათ ნაანდერძევი თვისება კიდევ უფრო განავითაროს. იგი ამ უკანასკნელ გზას თვლიდა შესაძლებლად.“

ასე ფიქრობდა ჩერნიშევსკი 1861 წლის რეფორმამდე. თუ რამდენათ ღრმა და საფუძვლიანი იყო ჩერნიშევსკის შეხედულება რუსეთის მაშინდელ მდგომარეობაზე საზოგადოთ და კერძოთ ობშჩინაზე, იქიდან სჩანს, რომ თითქმის 20 წლის შემდეგ იმისა, რაც მან თავის შეხედულება გამოსთქვა, მარქსი კიდევ შესაძლებლათ თვლიდა რუსეთისათვის კაპიტალისტური წარმოების განუვითარებლათ პირდაპირ სოციალისტური წესწყობილების დამყარებას; რასაკვირველია, ამისთვის ჯერ უნდა მომხდარიყო პროლეტარული რევოლიუცია დასავლეთ ევროპაში ერთი მხრით და აბსოლიუტიზმის დამხობა რუსეთში, მეორე მხრით. აი თვით მარქსის სიტყვები, წარმოთქმული 1877 წელს: „რუსეთის ოფიციალურ და სხვა წყაროების შესწავლამ მე შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა: თუ რუსეთი განაგრძობს იმ გზით სვლას, რომელიც მან 1861 წელს აირჩია, იგი დაკარგავს მშვენიერ შემთხვევას, რომელიც კი ოდესმე ისტორიას ურგუნებია რომელიმე ხალხისთვის, რომ მით კაპიტალისტური სისტემის ყველა ტანჯვა განვლოს“. და შემდეგ: „მიისწრაფის თუ არა რუსეთი იქითკენ, რომ დასავლეთ ევროპის მსგავსათ კაპიტალისტური ნაციათ გადაიქცეს? ამ უკანასკნელ წლებში მან ამ მხრით ბევრი მოიმოქმედა, ეს

მისთვის შეუძლებელი იქმნება უიმისოთ, რომ კარგა დიდი ნაწილი თავის გლეხებისა პროლეტარებათ არ გარდაქმნას; და შემდეგ, მოყვება რა იგი კაპიტალისტური წარმოების მორევში, იგი იძულებული იქნება განიცადოს ამ სისტემის ულმობელი კანონები ისე, როგორც სხვა უვიც (profan) ერებმაო. მაგრამ საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ მარქსი და ენგელსი რუსეთის ობშჩინის საქმეს ამის შემდეგაც სრულიად წაგებულათ კიდევ არ თვლიდენ. 1882 წელს კომუნისტური მანიფესტის რუსულ თარგმანის წინასიტყვაობაში აი რას სწერდენ ისინი: „კაპიტალისტური თავბრუ-დამხვევი განვითარების და სოფლის ბურჟუაზიის წარმოშობის გვერდით ჩვენ ვხედავთ რუსეთში საგლეხო მიწების დიდ უმეტესობას საზოგადო მფლობელობაში. თავის თავად იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა რუსეთის ობშჩინა, ამ პირველყოფილი საზოგადო მიწამფლობელობის ფორმა, რომელიც დღეს უკვე საკმარისათ დარღვევისაკენ იხრება, პირდაპირ საკუთრების უმაღლეს კომუნისტურ ფორმაში გადავიდეს, ან მან უნდა განვლოს ის დაშლის პროცესი, რომელიც დასავლეთ ევროპის ისტორიულ განვითარებას ახასიათებს. ერთად ერთი შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: თუ რუსეთის რევოლიუცია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის რევოლიუციას გამოიწვევს, ისე რომ ერთი მეორეს დახმარებას გაუწევს, მაშინ, შესაძლებელია, რომ რუსეთის ობშჩინა გახდეს კომუნისტური განვითარების საფუძველათ (Ausgangspunt)". მაგრამ 12 წლის შემდეგ ენგელსს (მარქსი იმ დროს უკვე საფლავში იყო) უკვე აღარავითარი იმედი აღარ ქონდა ობშჩინის გადარჩენის შესახებ, რადგანაც ერთი მხრით რუსეთის რევოლიუციამ დაიგვიანა, და მეორე მხრით, თვით ობშჩინის დაშლა მეტად შორს წავიდა.

ზევით ნათქვამიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ მარქსი და ენგელსი რუსეთის ობშჩინას. იმათთვის მიწის მფლობელობის ის ფორმა, რომელიც რუსეთის გლეხობის უდიდეს ნაწილში გავრცელებული იყო და რამდენიმეთ დღესაც არის, მხოლოდ პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთია. საქონლის წარმოების განვითარებამ თანდათან დაშალა პირველყოფილი კომუნიზმი, ხოლო კაპიტალისტურმა წარმოებამ კი თითქმის სრულებით მოსპო იგი. ასეთი პროცესი განვლო პირველყოფილმა კომუნიზმმა ყოველგან ჩვენ დრომდის. მაგრამ მარქსის და ენგელსის გონების და დაკვირვების სიძლიერე იმაში იხატებოდა, რომ ისინი მეტად ღრმათ და ყოველი მხრიდან უკვირდებოდენ და იხილავდენ ყოველივე მოვლენას. საქმე ის არის, რომ რუსეთის ობ-

შრინის გვერდით, დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წარმოების ნიადაგზე თანდათან განვითარდა და აღორძინდა სრულიად ახალი მოვლენა,—სრულიად ახალი საზოგადოებრივი ძალა, დღემდის სრულებით უცნობი. მე ვამბობ პროლეტარულ მოძრაობაზე. მარქსი და ენგელსი იყვენ ისინი, ვინც პირველათ სავსებით დააფასეს ეს მოძრაობა, გამონახეს მისი რეალური საფუძველი და აღნუსხეს მისი განვითარების გზა. თავის თავად იგულისხმება, რომ იმ საკითხის განხილვის დროს, თუ რა გზით წავა რუსეთის განვითარება, რომელშიაც ჯერ კიდევ შენახულიყო პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთი, საზოგადო მიწათმფლობელობის სახით, და რომელიც სავსებით ჯერ კიდევ არ მოყოლოდა კაპიტალისტური წარმოების მორევში,—ვიმეორებ, როცა ასეთ ქვეყანას ეხებოდა კითხვა, შეუძლებელი იყო მხედველობაში არ მიეღოთ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მოძრაობა. კაპიტალიზმის განვითარების ბედს რუსეთში და რუსეთის ობშრინის დაშლას ისინი უკავშირებდნენ, ერთი მხრით, პოლიტიკურ რევოლიუციას რუსეთში და, მეორეს მხრით, პროლეტარულ რევოლიუციას დასავლეთ ევროპაში. აქედან აშკარაა, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობდა ობშრინის შესახებ, ერთი მხრით, ყველა ჯურის ნაროდნიკებსა და, მეორე მხრით, მარქსისტებს შორის.

ჩვენ აქ საკმარისათ დაწვრილებით გავჩერდით მარქსისა და ენგელსის შეხედულებაზე რუსეთის „ობშრინის“ საკითხის შესახებ. ამას ორი მიზანი ქონდა: ერთი მხრით, ჩვენ გვინდოდა რამდენიმეთ დაგვენახვებია მკითხველისათვის, თუ რა ყურადღებას აქცევდენ საერთაშორისო სოციალიზმის შემქმნელები რუსეთის ხალხის ბედ-იღბალს. მეორე მხრით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ მარქსისა და ენგელსის შეხედულების გაცნობა „ობშრინის“ საკითხში იმავე დროს აშკარათ დაგვანახვებს იმასაც, თუ რა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა რუსეთის „ობშრინა“ კაპიტალიზმის განვითარებისათვის არა მარტო მეურნეობაში, არამედ ინდუსტრიაშიაც. მართლაც—თუ განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელი იყო რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების შეჩერება და იმავე დროს ობშრინის განვითარების უმაღლესი ფორმის ბაზისათ (Ausgangspunbt) გარდაქცევა, სჩანს რუსეთის „ობშინას“ კიდევ ქონდა შენარჩუნებული საკმარისი ცხოველმყოფელი ძალა თავის განვითარებისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ მარქსი და ენგელსი სრულებით იმას არ ამტკიცებდენ, ვითომც ობშრინაში მოიპოვებოდეს ისეთი ძალა, რომელიც მას განვითარებისაკენ ეზიდებოდეს; პირიქით, იმათი შეხედულებით რუსეთის „ობშრინის“ მსგავს

ფორმას არასოდეს და არსად არ განუვითარებია დამოუკიდებლათ საზოგადო მფლობელობის უმაღლესი ფორმა. თუ რუსეთის „ობშჩინისათვის“ ამას ისინი შესაძლებლათ თვლიდენ, ეს არა იმიტომ, რომ თვით „ობშჩინაში“ ხედავდენ ისინი ამისათვის საკმაო ძალას, პირიქით, როგორც ზევით ნათქვამიდან ვიცით, ასეთ ძალას ისინი „ობშჩინის“ გარეთ ეძებდენ.

ჩვენ ჯერ არსებითად არ შეეხებივართ იმ კითხვის განხილვას, თუ თავის თავათ რას წარმოადგენს რუსეთის დღევანდელი ობშჩინა? მარტო იმის თქმა, რომ იგი პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთია, მის დასახასიათებლათ საკმარისი არაა. როგორც ვიცით, პირველყოფილი კომუნიზმის არსებით თვისებას შეადგენდა ის გარემოება, რომ იქ წარმოება ხდებოდა კომუნის ანუ თემის შეერთებული ძალით და ამიტომ იქ ადგილი არ ქონდა კერძო დამოუკიდებელ ოჯახებს. სულ სხვას წარმოადგენს რუსეთის თანამედროვე „ობშჩინა“: აქ შენახულია მხოლოდ მიწის საზოგადო მფლობელობა; რაც შეეხება თვით წარმოებას, მას უკვე საზოგადო ხასიათი სრულებით აღარ აქვს; წარმოების ცენტრათ აქ გადაქცეულია კერძო, დამოუკიდებელი ოჯახები. ეს არის განსაკუთრებული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, რომელსაც საფუძვლად უდევს პატრიარქალურ-ნატურალური წარმოება. თითეული კერძო ოჯახის დამოუკიდებლობა და თანასწორობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ვითარდება ასეთ საზოგადოებაში საქონლის გაცვლა-გმოცვლა და წარმოება. მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში საქონლის წარმოების განვითარება იწყება, მიწის საზოგადო მფლობელობა მხოლოდ გარეგანი ქერქის სახეს ინახავს, რომლის შიგნით კერძო ოჯახების წინანდელი დამოუკიდებლობა და თანასწორობა თანდათან ქრება. ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს რუსეთის ობშჩინა. მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადო მიწათმფლობელობას ობშჩინის თითეული წევრი მიწის მხრით თანასწორათ უნდა უზრუნველეყო, ნამდვილათ კი ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ: „ობშჩინის“ გულში უკვე წარმოიშვა, ერთი მხრით, ეგრეთ წოდებული აგრარული პროლეტარიატი და მეორე მხრით, სოფლის ბურჟუაზია, „კულაკების“ და „სოფლის მჭამელების“ (мироеды) სახით, რომლების ხელში გროვდება „ობშჩინის“ გაღატაკებულ წევრების მთელი სარჩო-საბადებელი. „რაც დრო გადის,—ამბობს მ. კოვალევსკი [8]), ჩვენ ვამჩნევთ, რომ მიწის საზოგადო მფლობელობის სარგებლობიდან უფრო და უფრო მეტი პირი რჩება გამორიცხული ფაქტიურათ, თუ იურიდიულათ არა. აგრარული პროლეტარიატი დღითი-დღე მატულობს და მისი განვითა-

რების შეჩერება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ „ობშჩინას“ ნება ექნება ზედმეტი წევრი ქალაქში გაისტუმროს ან კიდევ ციმბირისაკენ გადაასახლოს“ *). კოვალევსკი აგრარული პროლეტარიატის განვითარებას იმით ხსნის, რომ მცხოვრებთა რიცხვმა იმატაო. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ის გარემოება რითიღა აიხსნება, რომ „კულაკების“ და „სოფლის მჭამელების“ ხელში გროვდება „ობშჩინის“ გაღატაპებულ წევრების შესახვედრი ნაწილი საზოგადო მიწებიდან? თვით კოვალევსკის მოყავს თავის წიგნში ისეთი მაგალითი, როცა ერთ კულაკს, „სოფლის მჭამელს“ ხელში ჩაუგდია ის მიწები, რომლებიც ობშჩინის წესის მიხედვით 200 წევრის წილს უდრიდა **). აშკარაა, მცხოვრებთა გამრავლება აქ არაფერ შუაშია. საქმე იმაშია, რომ რუსეთის დღევანდელ „ობშჩინაში“ მიწის საზოგადო მფლობელობა მხოლოდ სიტყვით არსებობს; ნამდვილათ კი ამ საზოგადო მიწებით ის სარგებლობს, ვისაც შეძლება აქვს, ვინც მდიდარია, ე. ი. ვისაც თანამედროვე პირობებში, საქონლის წარმოების წყალობით, დიდძალი ფული შეუძენია ***). ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის ობშჩინაში უკვე მიწის საზოგადო მფლობელობის ბაირაღის ქვეშ ნამდვილი კაპიტალისტური წარმოებაა გაბატონებული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „ობშჩინა“ მეტათ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის; იგი ამ შემთხვევაში ნამდვილათ მუხრუჭის როლს თამაშობდა.

ობშჩინური წესწყობილება უმეტეს შემთხვევაში შეუძლებლათ ხდიდა „ობშჩინის“ ფარგალში მეურნეობის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების განვითარებას. მიწების ხელახალი გადაყოფა, რაც ობშჩინის ჩვეულების თანახმად უნდა ხდებოდეს განსაზღვრულ ხნის განმავლობაში (ჩვეულობრივ თვითეულ 12 წლის განმავლობაში) იმის მიზეზი იყო, რომ ნიადაგის გასუქებაზე იშვიათათ თუ ვინმე ფიქრობდა, მეორე მხრით, ობშჩინა იყო ისეთი დაწესებულება, რომელიც საშინლათ ზღუდავდა თავის წევრების პიროვნების თავისუფლებას. ეს შეზღუდვა განსაკუთრებით მთელი თავისი სისასტიკით თავზე აწვებოდა ობშჩინის გაპივრებულ ნაწილს. პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე უფრო აშკარა მაგალითს ჩვენ გვაძლევს ეგრეთ წოდებული საერთო პასუხისმგებლობა (кру-

*) M. Kovalewsky. de regime economipue de la Russie. Paris გვერ. 137.

**) ibid.

***) ობშჩინის წევრებათ დღეს ითვლებიან ერთი მხრით თითქმის მილიონერები და მეორე მხრით სრულებით მათხოვრები, რომელთაც სრულებით არაფერი არ გააჩნიათ.

говая порука), ობშჩინის საერთო პასუხისმგებლობა მთავრობამ შექნა იმ მიზნით, რომ გლეხობისაგან გადასახადების აკრეფა უზრუნველეყო. მთავრობა გადასახადებს პირდაპირ ობშჩინებზე ანაწილებდა, ასე რომ, მას საქმე მთელ ობშჩინასთან ქონდა და არა მის კერძო წევრებთან. ობშჩინა თავის მხრით ანაწილებდა ამ გადასახადებს თავის წევრებს შორის და აკრეფის შემდეგ ერთად აბარებდა ხაზინას. ამასთანავე წინაალმდეგ, ვისაც თავის დროზე არ შეეძლო გადასახადის მიცემა, ობშჩინა ყოველგვარ სასტიკ ზომას ხმარობდა: უყიდდა მოძრავ ქონებას, გარდა სამეურნეო იარაღებისა: გზავნიდა იმათ სამუშაოზე კერძო მემამულეს ეკონომიაში ან მახლობელ ქარხანაში და რაც იმათ აქედან ხელფასი ერგებოდა, თვითონ იღებდა *). იმავე დროს ობშჩინა თავის წევრებს ობშჩინიდან გასვლის ნებას არ აძლევდა.

ამნაირათ ერთნაირი ბატონ-ყმური წესწყობილება თვით ობშჩინა'ში იქნა შემოღებული. ამას, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა მთავრობა უწყობდა ხელს. მაგრამ ობშჩინა არ წარმოადგენდა ისეთ წეს წყობილებას, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა შესძლებოდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის. რაც დრო მიდიოდა, ობშჩინაში ცხოვრება გლეხს უჭირდებოდა; იქ იგი თავის-თავს შეეიწროვებულათ სთვლიდა, მას იქ სული ეხუთებოდა და იგი სულ-ყოველთვის მზათ იყო იქიდან რაიმე ნაირათ თავი დაეხწია. მიუხედავათ ობშჩინის წინაალმდეგობისა, მისგან თავის დახწევა მაინც შესაძლებელი ხდება წევრებისათვის. „რუსის გლეხი—ამბობს კოვალევსკი—ტოვებს თავის ობშჩინას და მიდის სამუშაოს საძებნელათ სხვაგან ერთად ერთი მიზნით, რათა თავი დაახწიოს პასუხისმგებლობას გადასახადის შეუტანლობისათვის. ეს ტენდენცია ობშჩინიდან თავის დახწევისა არსებობს ყველაზე უფრო იქ, სადაც გლეხი—კომუნისტი დარწმუნებულია, რომ იგი ობშჩინის გარეთ იშოვნის ლუკმა პურს. სწორეთ ასეთია სამრეწველო ადგილები, სადაც ფაბრიკები და ქარხნები არსებობენ და სადაც გლეხები სამუშაოს შოულობენ“ **).

ზევით ნათქვამიდან ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ ეკონომიური უთანასწორობა და ამ უთანასწორობაზე დამყარებული ღრმა კლასობრივი

*) იხ. M. Kovalevsky ibid გვ. 140. აღიარებს რა ამას კოვალევსკი, კითხულობს: ამას შემდეგ ყველას აქვს უფლება იკითხოს: რაში ესაჭიროება გლეხს პიროვნების თავისუფლება, რომელიც ვითომდა მას მიანიჭეს 1861 წლის განმათავისუფლებელი კანონით, როცა სოფლის მამასახლისს ყოველ წუთს შეუძლია იგი ძალდატანებით სამუშაოზე გაიწვიოს.

**) ibid გვ. 147-8.

განხეთქილება უკვე თვით ობშჩინაში საკმარისად განვითარებულია. უკანასკნელ დრომდე ობშჩინის არსებობა იმაში იხატებოდა, რომ მას დაეფარა ის, რაც მის შიგნით ხდებოდა. და მართლაც, ამ საქმეში მან დროებით საკმარისი უნარი გამოიჩინა; მაგრამ ბოლოს ეს შეუძლებელი შეიქნა. დღეს ობშჩინის როლი შესრულებულათ უნდა ჩაითვალოს. ის, რასაც რუსეთის ობშჩინა მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ემსახურებოდა, კაპიტალისტური წარმოების თავისუფლათ განვითარების შეფერხება იყო, ჩვენ ვიცით, რომ მან ეს განვითარება შეაფერხა, მაგრამ მისი შეჩერება კი ობშჩინას არ შეეძლო. მეორე მხრით სრულებით გამტყუნდა იმათი ოცნება, ვინც ფიქრობდა, რომ ობშჩინის საშვალებით, კაპიტალიზმის გვერდის ავლით, რუსეთის ხალხი განახორციელებს ტანჯული კაცობრიობის, ანუ უფრო მართალი რომ ვთქვათ, მუშა ხალხის უმაღლეს საზოგადოებრივ იდეალს,—ე. ი. განახორციელებს სოციალისტურ წესწყობილებასო. ასეთ ოცნებაზე ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ მ. კოვალევსკის შემდეგი სიტყვებით, რომლებიც მან სწორედ ამის თაობაზე წარმოსთქვა: „ასეთი სურვილი რომ განხორციელდეს, ამისათვის საჭირო იქნებოდა, რომ ის ბრძოლა, რომელსაც ობშჩინის შიგნით იწვევს ინტერესთა შეჯახ-შემოჯახება, ერთი დაკვრით შეჩერებულიყო, რომ ერთი მეორეს გვერდით საკუთრების ორი სულ სხვადასხვა ფორმის, ერთი მხრით, კერძო და, მეორე მხრით, საზოგადო საკუთრების არსებობამ არ იქონიოს გავლენა ობშჩინის ბედზე, რომ კაპიტალიზმი, რომელიც მრეწველობაში სრულ განვითარებამდე აღწევს, სოფლად არ გავრცელდეს, რომ ბურჟუაზიამ ხელი აიღოს თავის ისტორიულ როლზე მიწების შეძენის შესახებ... მაგრამ თუ ეს შესაძლებელია, მაშინ რათ არ არის შესაძლებელი, რომ კაცობრიობის ტანჯვა და უსამართლობა ერთბაშათ შეწყდეს და ქვეყნად სიმართლე დამკვიდრდესო“ *).

*) ibid გვ. 157.

# საგლეხო რეფორმა.

## (1861 წლის 19 თებერვლის დებულება).

19 თებერვლის დებულება, რომელიც საგლეხო რეფორმის სახელით არის ცნობილი და რომლის ძალით რუსეთში ბატონ-ყმური ურთიერთობა უქმდებოდა, გამოცხადდა 1861 წლის 5 მარტს. რაში მდგომარეობდა ამ რეფორმის არსებითი მხარე, მისი ძირითადი საფუძველი?

როცა 1861 წლის საგლეხო რეფორმაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მუდამ თვალწინ უნდა გვედგას ის გარემოება, რომ რუსეთის მთავრობა, წინაღმდეგ თავის სურვილისა, ყამთა ვითარების გამო, იძულებული შეიქნა ბატონ-ყმობა გაეუქმებია. ამ გარემოებას წაუშლელი დაღი უნდა დაესვა,— და დაასვა კიდეც,—ჯერ თვით რეფორმაზე და შემდეგ აგრარულ ურთიერთობის განვითარებაზე.

19 თებერვლის დებულებამ გლეხი სოფლის თავისუფალ მცხოვრებლათ აღიარა. გლეხი, როგორც საგანი ანუ ნივთი ბატონ-ყმობის დროს, რომლის ბედ-იღბალს სავსებით მებატონე განაგებდა, ამიერიდან თავისუფალი შეიქნა. უეჭველია, დიდი საქმე იქნებოდა, რომ ეს განთავისუფლება ნამდვილი ყოფილიყო, ესე იგი, რომ ეს მკვიდრ საფუძველზე ყოფილიყო აგებული. თავის თავად, განყენებულათ, არავითარი თავისუფლება არ არსებობს. ყოველგვარი თავისუფლება დამოკიდებულია ამ კონკრეტულ პირობებზე, რომლებშიაც იგი უნდა განხორციელდეს. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას ნიშნავს თავისუფალი ხელშეკრულება მუშასა და კაპიტალს შორის. თავისუფლება მუშის, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საშვალებას, ცხოვრების ყოველგვარ სახსარს და იძულებულია თავისი სამუშაო ძალა მიყიდოს სხვას და თავისუფლება კაპიტალისტის, რომელსაც ეკუთვნის წარმოების საშვალება ანუ იარაღი და რომელიც თავის სიმდიდრის გასაადიდებლათ ყიდულობს ბაზარზე სამუშაო ძალას, არსებითათ სულ სხვადასხვა მოვლენაა. პირველის, ე. ი. მუშის თავისუფლება ამ შემთხვევაში ნიშნავს სიმშილისაგან სიკვდილის თავისუფლებას, მეორესი, ე. ი. კაპიტალისტის თავისუფლება კი მოასწავებს სხვისი გაყვლეფის, სხვისი შრომის ნაყოფით სარგებლობის თავი-

სუფლებას. ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიული თავისუფლების ძირითადი თვისება. ახლა განვიხილოთ ის, თუ რაზე იყო აგებული გლეხების განთავისუფლება?

ბატონ-ყმობის დროს გლეხი საესებით ბატონის სურვილზე იყო დამოკიდებული. ისპობოდა თუ არა ეს დამოკიდებულება გლეხების განთავისუფლებით? სრულებითაც არა. ამ დამოკიდებულებამ მხოლოდ გარეგნულათ იცვალა სახე, არსებითად კი იგი ისეთივე დარჩა, როგორიც წინათ იყო, თუ კიდეე უფრო არ გამაგრდა. საქმე იმაშია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისუფლება დამყარებულია ეკონომიურ საფუძველზე. გლეხების განთავისუფლებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა მკვიდრი საფუძველი, თუ რომ გლეხს თავისუფლებასთან ერთად ცხოვრებისათვის და ცოლ-შვილის გამოსაკვებათ სამყოფ მიწასაც მისცემდენ, ისე რომ იგი მიწის მხრით უზრუნველყოფილი და არავისზე დამოკიდებული არ იქნებოდა. სამწუხაროთ ეს ასე არ მოხდა და არც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო. მართალია, გლეხის პიროვნება განთავისუფლებულ იქნა მებატონის თვითნებობისაგან, მაგრამ იმავე დროს გლეხის მარჩენალი მიწა, მისი ცხოვრების უმთავრესი, თითქმის ერთად ერთი წყარო, მებატონის სრულ საკუთრებათ იქნა აღიარებული. აქ საჭიროა ორი სიტყვით გავიხსენოთ, თუ რაგვარი ხასიათის იყო ბატონ-ყმობის დროს მიწის სარგებლობა, ან თუ როგორ იყო დანაწილებული მიწა მებატონესა და გლეხებს შორის.

ყოველგვარი მიწები, სამოსახლო მიწებს გარდა, ბატონ-ყმობის დროს, სამ კატეგორიათ (ნაწილათ) იყო დაყოფილი. პირველი კატეგორიის მიწებს შეადგენდა, ეგრეთ წოდებული, საბატონო მიწები. ამ მიწებზე მებატონეები აწარმოებდენ თავის საკუთარ მეურნეობას, რისთვისაც გლეხები ვალდებული იყვენ შეესრულებიათ ყოველგვარი მუშაობა, როგორც მაგალითად, გაწმენდა, გათოხნა, დაბარვა, მოხვნა, დაფარცხვა, მომკა, გადატანა და სხვ. ამგვარ მუშაობას ბეგარა ეწოდებოდა. საბეგრო სამუშაოს გლეხები თავისივე ხელსაწყოთი, სამეურნეო იარაღებით, თავისი ხარ-კამეჩით ასრულებდენ, ასე რომ, მებატონეს უზრუნველყოფილი ქონდა თავისი საკუთარი მეურნეობის საწარმოებლათ როგორც გლეხ-კაცის მუქთი შრომა, ისე მუშაობისათვის საჭირო ყოველგვარი იარაღი.

მეორე კატეგორიის მიწებს შეადგენდა ის მიწები, რომლებიც გლეხებს ქონდათ მიზომილი და რომლითაც ისინი სარგებლობდენ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

მესამე კატეგორიის მიწებს შეადგენდა განსაკუთრებით საძოვარი და სათიბი ადგილები და აგრეთვე ტყე და წყალი. ესენი არავის განსაკუთრებულ სარგებლობაში არ იმყოფებოდენ და ამიტომ აქედან ყველა, როგორც გლეხი, ისე მებატონე, თავის საჭიროების კვალობაზე თავისუფლათ სარგებლობდა.

გლეხების განთავისუფლებისათვის საჭირო იყო,—რა თქმა უნდა, თუ ეს განთავისუფლება მარტო სიტყვით არ იქნებოდა, არამედ საქმით,—ყველა იმ მიწების გლეხების სრულ, ხელუხლებელ საკუთრებათ გამოცხადება, რომლებითაც ისინი სარგებლობდენ და აგრეთვე უზრუნველყოფა მათთვის, როგორც საძოვარ და სათიბ ადგილების, ისე ტყისა და წყლის. სულ სხვანაირათ მოიქცა რეფორმა: მან სამივე კატეგორიის მიწები იმ მიწების მიმატებით, რომლებზედაც გლეხებს შენობები ქონდათ აგებული, ესე იგი სამოსახლო მიწებიანათ, მებატონეების სრულ საკუთრებათ აღიარა. ეს ნიშნავდა გლეხკაცობის აშკარა ექსპროპრიაციას, გაძარცვას.

ამნაირათ რამდენიმე მილიონი გლეხკაცობა, როგორც ყოველგვარ საკუთრებას მოკლებული, რომელსაც საცხოვრებელი სახსარი,—მიწა, ხელიდან გამოაცალეს, ქუჩაზე უნდა გამოეყარათ. და თუ ერთბაშათ გლეხების ქუჩაზე გამოყრა არ მოხდა, ეს საესებით რეფორმის მოთავეების ჯამბაზობასა და მოხერხებას უნდა მიეწეროს. იმათ, რა თქმა უნდა, კარგათ იცოდენ, რომ თუ გლეხებს ერთბაშათ მიწიდან აყრიდენ და ქუჩაზე გაისტუმრებდენ, ეს ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა და გლეხების დაწყნარების მაგივრათ იმ აჯანყებას მოიმკიდენ, რაც ყოველთვის შიშის ზარს გვრიდა როგორც ნიკოლოზ I-ს, ისე ალექსანდრე II-ს. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ისეთი ღონისძიება, რომლის მეოხებით რეფორმის ცხოვრებაში გატარება გაადვილებულიყო და მისი აზრი და მნიშვნელობა პირველ ხანებში ხალხისათვის გაუგებარი დარჩენილიყო. და მართლაც საქმე ისე მოაწყვეს, რომ პირველად ბევრს არც კი გაუგია, თუ ნამდვილათ რა მოხდა და თვით გლეხ-კაცობაც ვერ მიხვდა, თუ როგორ გაძარცვეს იგი. როგორ მოხდა ეს?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რეფორმამ ყველა მიწები, სულ ერთია რა კატეგორიისაც არ უნდა ყოფილიყო, მებატონეებს მიაკუთვნა. მაგრამ, რაც შეეხება მეორე კატეგორიის მიწებს, რომლებზედაც გლეხები ესახლნენ და რომლებიდანაც ისინი ცხოვრობდენ, ეს მიწები ისევ გლეხების მუდმივ სარგებლობაში დატოვეს და გლეხებს დაავალეს, რომ ყოველ წლივ მემამულეს სასარგებლოთ ეხადათ ერთხელ და სამუდამოთ გადა-

წყვეტილი გადასახადი ფულათ. მემამულეს უფლება არ ქონდა გაეყიდა, დაეგირავებია ან გაეჩუქებია საგლეხო ნადელები; თავის მხრით არც გლეხს ქონდა ამის უფლება, სანამ იგი თავის ნადელს არ გამოიყიდდა, რაც მემამულის თანხმობით უნდა მომხდარიყო.

ამნაირათ საგლეხო ნადელების ნამდვილი მესაკუთრე იყო მემამულე და არა გლეხი, მაგრამ შესახედავათ ისე გამოდიოდა, რომ ნადელი ვითომც გლეხის საკუთრებას შეადგენდა. ეს ყალთაბანდობა ასე იყო გამოთქმული საერთო დებულების მე-3 მუხლში: „მებატონეები განსაზღვრულ გადასახადისათვის აძლევენ გლეხებს მუდმივი სარგებლობისათვის სამოსახლო ადგილებს და გარდა ამისა, გლეხების არსებობის უზრუნველსაყოფათ და თავისი მოვალეობის შესასრულებლათ მთავრობისა და მებატონეების წინაშე იმდენ სახნავ, სათიბ და საძოვარ მიწას, რამდენიც ნაჩვენები იქნება ადგილობრივ დებულებაში“ *).

აქედან სჩანს, რომ ყველა იმ მიწებს, რომლებიც ბატონ-ყმობის დროს გლეხების სარგებლობაში იყო, განთავისუფლების შემდეგ გლეხებს არ უტოვებდენ. დებულებაში ნაჩვენები იყო ნადელის უდიდესი და უმცირესი ნორმა. თუ ვინიცობაა ბატონ-ყმობის დროს გლეხს თავის სარჩენათ უდიდეს ნორმაზე მეტი მიწა ქონდა, განთავისუფლების შემდეგ მებატონეს სრული უფლება ქონდა ეს ზედმეტი ჩამოეჭრა. მეორე მხრით, მებატონეს რეფორმამ ის უფლებაც მიანიჭა, რომ მას დაეტოვებია თავის პირდაპირ განკარგულებაში ყველა თავის მიწების ერთი მესამედი (ზოგან ნახევარიც); ამ შემთხვევაში გლეხებს ნადელი უმცირდებოდა.

ამნაირათ გლეხებს არა თუ სავსებით დაებანიეს ხელი ტყეზე, სათიბზე და სხვ., არამედ იმათ შეუმცირეს ისიც, რაც ბატონ-ყმობის დროს პირდაპირ იმათ განკარგულებაში იყო. აქედან წარმოდგა ცნობილი ჩამონაჭრები. ამ ჩამონაჭრების რაოდენობა რუსეთში შეადგენდა ერთ მეოთხედს იმისას, რაც წინათ გლეხების სარგებლობაში იყო. ეს იყო მებატონეებისათვის დათმობა. მაგრამ უფრო საგრძნობელი ის იყო, რომ გლეხ-კაცობის რამდენიმე ჯგუფს სრულებით არ ახვედრეს „ნადელი“.

ასეთი იყვნენ შინა-ყმები და მცირე მამულიან მებატონეთა ყმები. ასეთი გლეხების რიცხვი რუსეთში საკმარისათ დიდი იყო, და აი ისინი პირდაპირ ქუჩაზე დარჩენ გამოყრილი. რა თქმა უნდა, მებატონესათვის

*) გარდა საერთო დებულებისა თითეული ადგილისათვის ცალკე, ადგილობრივი დებულება გამოიცა.

ხელსაყრელი არ იყო თავისი საბატონო მიწიდან თავის შინა-ყმისათვის ნადელი მიეხომა, თუმცა ის არსებითად ამით სრულებით არაფერს კარგავდა და შეიძლება იგებდა კიდეც, ვინაიდან ნადელზე შედარებით დიდი გადასახადი იყო დადებული; მაგრამ საგლეხო ნადელი მებატონესთვის სადავიდარაბო საქმე იყო და გარდა ამისა მას არ შეეძლო არც დაეგირავებია და არც გაეყიდა იგი. ამიტომ მებატონეებმა არჩიეს შინაყმების სრულებით უნადელოთ გასტუმრება და კიდევაც მიაღწიეს თავის მიზანს. ასევე ითქმის მცირე მამულიან მებატონეების შესახებაც. თუ ისინიც თავის ყმებს ნადელებს მიუზომვიდენ, იმათი საკუთარი, ხელშეუხებელი მამული შემცირდებოდა და ვინაიდან ნადელები ბოლოს გლეხების საკუთრებათ უნდა გადასულიყო, ამიტომ მცირე მამულიანი მებატონეები ერთ მშვენიერ დღეს სრულებით უმამულოთ უნდა დარჩენილიყვნენ. ეს რა თქმა უნდა არ შედიოდა მთავრობის განზრახვაში და უწინარეს ყოვლისა ეს არ უნდოდათ თვით მებატონეებს. ამიტომ მცირე მამულიანი მებატონეები სრულებით განთავისუფლებულ იქნენ ნადელების მიზომვისაგან თავის ყოფილ ყმებისათვის, და გარდა ამისა, იმათ შემწეობაც მიიღეს ხაზინისაგან—ხუთი მილიონი მანეთი, ალბათ გლეხების მუქთი შრომის დაკარგვისათვის. ასე ხდებოდა რუსეთში საგლეხო რეფორმა.

როგორც რეფორმის გამოცხადების დროს, ისე შემდეგშიაც ხალხს არწმუნებდენ იმაში, რომ ვითომც მებატონეებმა დიდი უანგარობა გამოიჩინეს ყმების განთავისუფლების დროს, რომ იმათ ვითომც სურვილი განაცხადეს გლეხის მუქთი სამსახურის დაკარგვაზე და ამის ანაზღაურებისათვის იმათ ვითომც არც კი უფიქრიათ. ასეთი შეხედულება სრულებით მოკლებულია სიმართლეს. საგლეხო რეფორმის ყველა მკვლევარები თანახმა არიან იმაში, რომ ის გადასახადი, რომელიც გლეხებს დააკისრეს ნადელების სარგებლობისათვის, იმდენათ დიდი იყო, რომ იგი სრულებით არ შეეფერებოდა სანადელო მიწის შემოსავალს.

უზრუნველ უყვეს რა მებატონეებს გლეხის მუქთა შრომის მაგიერ მინიმალური შემოსავალი მამულიდან სავალდებულო გადასახადის სახით გლეხებისაგან მიწის სარგებლობისათვის, მთავრობა უწინარეს ყოვლისა ზრუნავდა იმისთვის, რომ მებატონეებისათვის მუქთი შრომის დაკარგვა რაც შეიძლება ნაკლებ საგრძნობელი ყოფილიყო. ეკვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ ამ გადასახადის გაწერის დროს მთავრობა ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. სავალდებულო გადასახადი გაწერილ იქნა არა მიწის რაოდენობის კვალობაზე, არამედ სულის კვალობაზე;

ამასთანავე ამ გადასახადს უფარდებდენ არა მარტო მიწების სხვადასხვა ღირებულებასა და შემოსავლიანობას სხვადასხვა ადგილას, არამედ აგრეთვე იმ შემოსავალს, რომელსაც გლეხები ღებულობდენ მეურნეობის გარეშე.

ამნაირათ აშკარაა, რომ იმ გადასახადებში, რომელსაც გლეხებიდან იღებდენ მიწის სარგებლობისათვის, დაფარულათ მოიპოვებოდა მებატონეთა ანაზღაურება ბატონ-ყმური უფლების დაკარგვისათვის. რომ ეს ასე იყო, ამაში გამოტყდა ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ თვით თავადაზნაურობის ერთი წარმომადგენელთაგანი. 1880 წელს, როცა ნადელების გამოსაყიდი გადასახადი ძლიერ მძიმე ტვირთად დააწვა თავზე რუსეთის გლეხობას, რის გამოც დაიბადა ის აზრი, რომ საჭიროა იმათი შემცირებაო, ი. სამარინი აი რას სწერდა: „ნადელების დახსნის, გამოყიდვის საქმე არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო საკუთრივ მიწის გამოყიდვა, არამედ იგი იყო გამოყიდვა იმ ბეგარისა, რომელიც აწვა რამდენიმეთ მიწას, რამდენიმეთ პიროვნებასო“.

საკალდებულო გადასახადის ძლევა რეფორმის აზრით საშუალამოთ არ უნდა გაგრძელებულიყო. გლეხებსა და გლეხთა საზოგადოებებს შეეძლოთ თავისი ნადელების გამოყიდვა; ამისათვის მთავრობა უწევდა იმათ დახმარებას გრძელვადიან (49½) სესხის მიცემით. მაგრამ გამოყიდვა დამოკიდებული იყო ორივე მხარის ნებაყოფლობით შეთანხმებაზე. თუ მიწის პატრონი თანახმა არ იყო, გლეხს ნადელის გამოყიდვა არ შეეძლო. სამაგიეროთ, თუ მემამულე თხოულობდა, იმ შემთხვევაში გლეხს ვარის თქმა აღარ შეეძლო ნადელის გამოყიდვაზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში მემამულე კარგავდა დამატებითი გადასახადის აღების უფლებას. მაგრამ მიუხედავათ ამისა მემამულეები მაინც სასარგებლოდ თვლიდენ თავისთვის ამ პირობებში გამოყიდვის მოხდენას, რასაც ამტკიცებს, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტი: 1877 წლის პირველ იანვრამდე რუსეთის 39 გუბერნიაში დამტკიცებული საქმეების რიცხვი (ნადელების გამოსაყიდავი) 61,784 იყო; ამათგან მემამულეებთან შეთანხმებით 21,598, ე. ი. 35% და მემამულეების მოთხოვნით კი 40,186 ე. ი. 65%.

გარდა გამოყიდვისა მთავრობის შემწეობით ნადელის შეძენა საკუთრებათ კიდევ ორი გზით შეიძლებოდა, სახელდობრ: 1) საერთო მოქალაქობრივ საფუძველზე—უძრავი ქონების ერთი პირისაგან მეორეზე გადასვლით, რისთვისაც საჭირო იყო ურთიერთი შეთანხმება, და 2) გლეხების თანხმობით მემამულეს შეეძლო დაეთმო გლეხებისათვის უსასყიდლოთ ნადელის არა ნაკლებ ერთი მეოთხედი ნაწილი, ანუ ეგრეთწოდებული საგლახაკო ნადელი [10]).

# ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობის მდგომარეობა.

ამიერ-კავკასიის გლეხობა სრულებით გამოუცნობი საგანია ჯერ-ჯერობით. ჩვენ ჯერ არა თუ არ მოგვეპოვება მისი ისტორია, არამედ მის დღევანდელ მდგომარეობაზე ნამდვილი წარმოდგენაც კი არა გვაქვს. მთავრობას გლეხკაცობა აინტერესებდა როგორც გადამხდელი წოდება; გარდა ამისა ჩვენში არ იყო და არც დღესაც არის ისეთი საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულება, რომელსაც ეკისრა გლეხ-კაცობის შესწავლა. პრესა კი ჩვენში ყოველთვის უძლური იყო და დღესაც უძლურია, რომ ასეთი სიმძიმე საქმე თავზე მიეღო.

ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობა მეტად სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან შესდგება. რომ დღევანდელი მისი მდგომარეობა ცოტათი მაინც ვავიგოთ, საჭიროა თითეული ამ ელემენტის ცალკე დახასიათება, რამდენათაც ამას შესაძლოდ ხდის არსებული მასალა.

დავიწყოთ დროებით ვალდებულ გლეხებიდან.

## 1. დროებით-ვალდებული გლეხები.

ბატონ-ყმობა ჩვენში გაუქმებულ იქნა 1864—67 წ. წ. ამ ახალმა კანონმა შექმნა დროებით ვალდებული გლეხ-კაცობა. რაში მდგომარეობს ეს ინსტიტუტი?

✗ განთავისუფლებულ გლეხებს მიუზომეს იმ მიწა-ადგილის ნაწილი, რომლითაც ისინი ბატონ-ყმობის დროს სარგებლობდენ. მაგალითად, თფილისის გუბერნიაში საბატონო გლეხებს ბატონ-ყმობის დროს ჰქონდათ თავის სარგებლობაში 84,665 დესეტინა მიწა, ანუ კომლზე 5,9 დესეტინა. განთავისუფლების შემდეგ კი ხსენებულ გლეხებს საერთოდ მიუზომეს მხოლოდ 55,679 დესეტინა მიწა, ესე იგი, 28,986 დესეტინაკლები, ანუ საშვალოთ 3,9 დეს. თითო კომლზე. ✗ ქუთაისის გუბერნიის შესახებ ამგვარი ცნობა არა გვაქვს, თუმცა არსებითად იქაც ასევე მოხდა. ✗ მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ, რაც მიუზომეს, ის მისი საკუთრებათ კი არ გაუხდიათ, პირიქით, გლეხს მისცეს მხოლოდ იმ მიწ

ნით, რომ მას იგი დაემუშავებია და მოსავლის მეოთხედი ყოფილ ბატონისათვის ეძლია, და ამავე დროს სახელმწიფოს სასარგებლოთაც განსაზღვრული გადასახადი ეხადა.

«მართალია, ასეთი დამოკიდებულება მთავრობამ დროებით ვალდებულების სახელით მონათლა, ე. ი., გლეხს ნება მისცა თავის დახსნისა ანუ მიწის გამოყიდვისა, რომელიც მას ბატონ-ყმობის უღლის გადავარდნის შემდეგ მიუზომეს/და რომელშიაც მისი და მისი მამა-პაპების ოფლი და სისხლი იყო ჩაღვრილი.«მაგრამ ეს გამოყიდვაც ნაბატონარსა და ნაყმევს შორის ურთიერთ შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული და გლეხს კიდევაც რომ შეძლება ქონებოდა მისი ოფლითა და სისხლით განოყიერებული მიწის გამოყიდვისათვის, თუ ნაბატონარს არ უნდოდა, ეს გამოყიდვაც არ შეიძლებოდა.« და ამას ვხედავთ დღეს ჩვენში.

მიუხედავათ იმისა, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ გავიდა სრული 40 წელიწადი, შედარებით ძლიერ მცირე ნაწილმა დაიხსნა თავი, ასე რომ, ეს დროებითი ვალდებულება ლამისაა მუდმივ მდგომარეობათ გადაიქცეს *). ოფიციალური ცნობებით 1889 წლამდის თბილისის გუბერნიაში დროებით ვალდებულ გლეხებს მთავრობის დახმარებით სულ გამოუყიდიათ 12,159 დეს. ესე იგი, გამოყიდულ იქნა მხოლოდ 22% იმის, რაც საერთოდ დროებით ვალდებულ გლეხებს მიუზომეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის დახსნა პირველ ხანებში უფრო ხშირი იყო, ხოლო ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში კი ეს საქმე მეტად შესუსტდა. აქ ადგილი არ არის, რასაკვირველია, ამ მოვლენის გარკვევას შევუდვეთ, აშკარაა მხოლოდ ის, რომ შუა-კაცთა გამრავლება, რაც გასულ წელს მოხდა, საქმეს ვერას უშველის, ვინაიდან დაბრკოლება იქიდან მომდინარეობს, რომ ნაბატონარს ათას წილად ურჩევნია! დროებით ვალდებული გლეხის შემოსავლის მეოთხედი აიღოს, ვიდრე მას თავი დაახსნას. აქ შუა-კაცი ვერას გახდება.

რაც შეეხება დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობას ქუთაისის გუბერნიაში, სადაც თავის დახსნა უფრო აჩქარებული ნაბიჯით ხდებოდა, და ისიც მთავრობის დაუხმარებლათ, დაწერილებით ცნობები არც ამაზე გვაქვს. 1869 წელს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა 48,261 კომლი

*) იმის გამო, რომ თავის დახსნის საქმე რუსეთის გუბერნიებში მიდიოდა ძლიერ ნელი ნაბიჯით და თვით გლეხ-კაცობის მეურნეობა თანდათან ეცემოდა და ვალიანდებოდა, მთავრობამ 1883 წელს დაადგინა, რომ დროებით ვალდებულ გლეხებს უეპველათ გამოეყიდათ თავისი „სანადელო“ მიწა.

დროებით ვალდებულ გლეხთა; ამათგან 1901 წლის დასაწყისში 22,000 კომლს კიდევ არ ჰქონებია თავი დახსნილი. თუ რამდენი მიწა-ადგილი იყო ქუთაისის საბატონო გლეხების სარგებლობაში განთავისუფლების დროს, ან თუ რამდენი მიუზომეს გლეხს ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ. ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ 1889 წლამდის ქუთაისის გუბერნიაში 23,407 კომლს გამოუყიდია სულ 104,165 დესეტინა მიწა, რაშიაც მიუცია 4.833.258 მან., ანუ თითო დესეტინაში საშვალო რიცხვით 46 მანეთი*). რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ თითეული გამოყიდილი „ნადელი“ რა ზომისაა, მოვიყვანთ აქ შემდეგ ოფიციალურ ცნობებს 1878—1888 წ.წ. ამ წლებში ქუთაისის გუბერნიაში თავი დაუხსნია 12,615 კომლს. გამოყიდული ნაკერების რაოდენობა ყოფილა დესეტინებათ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0— 2-დის | 3584 | ნაკერი | ანუ | 31% |
| 2— 4 „ | 2960 | „ | „ | 26% |
| 4— 6 „ | 2491 | | | 21% |
| 6—15 „ | 2194 | | „ | 19% |
| 15—30 „ | 335 | | | 2,6% |
| 30 ზევით | 51 | „ | „ | 0,4% |
| სულ | 11,615 | | | 100% |

აქედან რასაკვირველია ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რამდენათ არის მიწის სივიწროვე თავდახსნილ ანუ მესაკუთრე გლეხებში. აშკარაა მხოლოდ ის გარემოება, რომ ის ნაწილი დროებით ვალდებულ გლეხთა, რომლებმაც თავი დაიხსნა, უფრო შეძლებული გლეხები იყვენ; დანარჩენი ნაწილი კი ულატაკეს ეკუთვნოდა, რომელსაც შეძლება ნებას არ აძლევდა ნაღდ ფულზე გამოეყიდა თავისი „ნადელი“ ნაბატონარისაგან. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ დღეს დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა მეტის მეტად გაჭირვებულია. ეს დროებით ვალდებულება იმდენათ გამწვავებულია დღეს, რომ თვით მთავრობაც იძულებული შეიქნა იგი ეცნო. აი მაგალითად, რას ვკითხულობთ ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მოხსენებაში სასოფლო მეურნეობის საქ�ro-

*) ამ საშვალო რიცხვს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივსცეთ, ვინაიდან მიწის ფასი და მასთან ერთად სანადელო მიწის გამოყიდვა უკანასკნელ წლებში ძალიან გაიზარდა, ასე რომ, თუ ამ 20—30 წლის წინათ დესეტინა მიწა 40 მანეთი ღირდა, დღეს იგი 100—200 მანეთამდე ადის.

ბაზე: „ნადელის“ სიმცირე, სრული დამოკიდებულება ნაბატონარისაგან, რომლის ნება დაურთველად დროებით ვალდებულ გლეხს არ აქვს უფლება მოსავლის შენახვისა და ძლიერ დიდი გადასახადი მიწის მფლობელის სასარგებლოდ, ყოველივე ეს ხსენებული ჯგუფის გლეხებს აყენებს მეტად ცუდ პირობებში, რომლების გამო არა თუ შეუძლებელია, არამედ სრულიად უსარგებლოცაა, რომ მეურნეობაში რაიმე გაუმჯობესობა შეიტანო“.

ამას ამბობს ოფიციალური ორგანო. და მართლაც, როგორი უნდა იყოს მეურნეობა იმ მიწაზე, რომელსაც ერთ და იმავე დროს ორი პატრონი ყავს. იურიდიულათ დროებით ვალდებულ გლეხის მამული ეკუთვნის მის ნაბატონარს, რომელსაც პირველი ვალდებულია ყოველწლივ ძოსავლის მეოთხედი ნაწილი აძლიოს; მაგრამ ასეთი უფლება ნაბატონარისა დროებით ვალდებულ გლეხების მიწაზე მხოლოდ სიტყვიერია, ვინაიდან მას არ შეუძლია სხვანაირათ ისარგებლოს თავისი უფლებით გარდა იმისა, რომ გლეხს ახდევინოს წლიური შემოსავლის მეოთხედი. მეორე მხრით, დროებით ვალდებული გლეხი კიდევ უარეს მდგომარეობაშია ჩაყენებული: ვითომ იგი კიდევაც ფლობს თავის მიწას, როგორც საკუთრებას და იმავე დროს ვალდებულიცაა მოსავლის მეოთხედი ნაწილი ნაბატონარს აძლიოს, როგორც ღალა, მისი მიწის სარგებლობისათვის. ახლა ვთქვათ, რომ გლეხს პირადი სარგებლობა ანგარიშს არ აძლევს ასეთ პირობებში თავისი სანადელო მიწა ამუშაოს, და ამიტომ ჰან მოისურვა იმაზე სრულებით უარი განაცხადოს ან სხვას მიყიდოს; კანონის ძალით ეს ამას არ შეუძლია; გაყიდვა შეიძლება საკუთრების, ხოლო დროებით ვალდებული გლეხის მიწა მისი საკუთრება როდია. იმ შემთხვევაში კი, როცა იგი არ ამუშავებს თავის სანადელო მიწას, მებატონის სასარგებლოდ მაინც ვალდებულია მოსავლის კვალობაზე მეოთხედი გაიღოს.

ამნაირათ, ეს არის ძალდატანებითი ვალდებულება, რაც ეწინააღმდეგება გლეხთა განთავისუფლების დედა-აზრს. მეორე მხრით, ის გარემოება, რომ გლეხს ნება აქვს ამ დროებით ვალდებულ მდგომარეობას თავი დააღწიოს; ესე იგი, გამოიყიდოს მემამულესაგან თავისი „ნადელი“ შემოსავლის 6% ზეშეკეცით, გლეხი იძულებული ხდება თავისი სანადელო მიწა გაანოყიეროს, გაუმჯობესოს; ვინაიდან ეს შემოსავალს გაადიდებს, ხოლო ამ გზით მას კიდევ უფრო გაუძნელდება მისი გამოყიდვა, რადგანაც ფასი მოემატება.

აი ასეთ მოჯადოვებულ წრეში ტრიალებს დროებით ვალდებული გლეხი. სურს თუ არა სურს, მან მაინც უნდა იხადოს მემამულეს სასარგებლოთ მოსავლის მეოთხედი და იმავე დროს თავისი შრომით უმატოს ფასი მიწას, რომელიც შემდეგ იძულებულია თითონვე გამოიყიდოს. მაგრამ ეს გამოყიდვაც ბოლოს ხომ მემამულეზე ჰკიდია, ვიდაიდან თუ ამ უკანასკნელს ეს არა სურს, გლეხი ვერასოდეს ვერ დაახწევს თავს დროებით ვალდებულ მდგომარეობას *).

ამნაირათ დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა, როგორც ბატონ-ყმობის ურთიერთობისაგან დარჩენილი, მეტად ამწვავებს მიწის საკითხს იმ ადგილებში, სადაც დღეს ეს მდგომარეობა არსებობს. დროებით ვალდებული გლეხი ცალკე ბატონ-ყმობის ნაშთებისაგანაც იჩაგრება და ცალკე—თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების მიერ შექმნილ პირობებისაგანაც.

## II. სახელმწიფო გლეხები.

გლეხკაცობის უდიდეს ნაწილს ამიერ-კავკასიაში შეადგენენ სახელმწიფო გლეხები, რომლებიც ორ ნაწილად იყოფიან: 1) სახელმწიფო გლეხები, რომლებიც დასახლებული არიან სახაზინო მიწებზე და 2) სახელმწიფო გლეხები, რომლებიც დასახლებული არიან კერძო მემამულეთა მიწებზე. მაგრამ ეს უკანასკნელნი თავისი დღევანდელი მდგომარეობით უფრო დროებით ვალდებულ გლეხებს გვანან. ამიტომ სახელმწიფო გლეხებათ უნდა ჩაითვალონ მხოლოდ პირველნი, ესე იგი, ისინი, რომლებიც სახაზინო მიწებზე არიან დასახლებულნი.

### 1. სახაზინო მიწებზე დასახლებულ სახელმწიფო გლეხები.

1884—85 წლების ცნობებით, ამიერ-კავკასიაში ითვლებოდა სულ 233,544 კომლი სახელმწიფო გლეხების, 1,645,866 მცხოვრები ორივე სქესის. ამათი განაწილება ამიერ-კავკასიის ხუთ გუბერნიაში იმის ჩვენე-

*) ამას წინათ გაზ. „ივერიაში“ მოწინავე წერილი იყო, რომელშიაც, სხვათა შორის, დიდი იმედი იყო გამოთქმული იმის გამო, რომ ახლა მომრიგებელ შუა-კაცთა რიცხვი მეტად გამრავლდა, და, მაშასადამე, დროებით ვალდებულ გლეხთა თავის დახსნა დაჩქარდებაო. დღევანდელი მდგომარეობა არავისთვის—არც გლეხისა და არც მებატონესათვის სასარგებლო არ არისო. პირველის შესახებ ჩვენ მეტს არაფერს ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება მეორეს, ესე იგი მემამულეს, დასახლებული გაზეთი საშინლათ ცდება. აბა ერთი დაეკითხოს მემამულეს და მაშინ გაიგებს არის სასარგებლო დროებით ვალდებული გლეხის არსებობა მისთვის, თუ არა.

ბით, თუ რამდენი მიწა ითელებოდა იმათ განკარგულებაში და აგრეთვე საშვალო რიცხვით რამდენი მიწა მოდიოდა თითო კომლზე ან თითო სულზე იმავე წელში, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში *):

| გუბერ-ნიები | რ ი ც ხ ვ ი | | მიწა დესიატინობით | | | მარტო სახნ. სა-თესი-მიწ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კ ო მ ლ ი | ს უ ლ ი | ს უ ლ | თითო კომლ. | თითო სულზე | |
| თბილისის. | 48,253 | 309,766 | 863,901 | 17,90 | 2,79 | 5,81 |
| ქუთაი-სის**) | 20,984 | 138,750 | 88,576 | 4,22 | 0,64 | 2,27 |
| ერევნის . | 51,120 | 431,123 | 819,924 | 16,04 | 1,90 | 7,38 |
| ბაქოს | 63,921 | 418,386 | 1,050,574 | 16,59 | 2,54 | 8,05 |
| განჯის. | 49,266 | 347,841 | 917,919 | 18,65 | 2,64 | 7,53 |
| ს უ ლ. . . | 233,544 | 1,645,866 | 3,740,894 | 16,02 | 2,27 | 6,21 |

აქედან გამოდის ის, რომ ყველაზე უფრო ნაკლები მიწა ამ ოცი წლის წინათ საშვალო რიცხვით ჰქონდათ სახელმწიფო გლეხებს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მოდიოდა საერთო რიცხვით კომლზე 4,22 დესიატ. ანუ სულზე 0,64 დეს.; ყველაზე მეტი კი განჯის გუბერნიის გლეხებს, ესე იგი, კომლზე 18,65 დესიატინა, სულზე კი 2,64 დეს.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა ამ ოცი წლის წინათ და მის შემდეგ, ეჭვი არ არის, მცხოვრებთა გამრავლების გამო ასეთი მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო, რის შესახებ, სამწუხაროთ, ჩვენ სტატისტიკური ცნობები სრულებით არა გვაქვს. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ვინაიდან მიწის საერთო რაოდენობა, რომელიც სახელმწიფო გლეხების სარგებლობაში არის, მას შემდეგ სრულებით არ შეცვლილა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საშვალო რიცხვით დღეს თითო კომლზე ბევრათ უფრო ნაკლები მიწა უნდა მოდიოდეს. მეორე მხრით, ისიც აშკარაა, რომ ეს

*) Сборн. стат. данных. 1899 г.

**) მხოლოდ შვიდ მაზრაში: ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის.

საშვალო რიცხვი ბევრს არაფერს გვეუბნება: იგი მხოლოდ გვაგებინებს იმას, თუ რამდენი მიწა შეხვდება თითეულ კომლს იმ შემთხვევაში, თუ მთელი რაოდენობა სახაზინო მიწებისა თანასწორათ იქნება განაწილებული ყველა კომლებზე. მაგრამ ნამდვილად ასე ხომ არ არის. ნამდვილად ხომ ყველგან ისეა, რომ ერთს ბევრი აქვს და მეორეს ნაკლები. ამ შემთხვევაში კი ჩვენთვის საშვალო რიცხვს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. აქ ჩვენ მოგვეხმარება მხოლოდ გლეხ-კაცობის დაყოფა იმის კვალობაზე, თუ თითეულ მის შემადგენელ ნაწილს რა ზომის მიწა აქვს თავის სარგებლობაში, აქედან ჩვენ დავინახავდით, რომ მაშინ, როცა გლეხ-კაცობის ერთ ნაწილში შედარებით დიდძალი მიწა შეგროვილა, მის დანარჩენ ნაწილს სულ მცირედი ნაწილი უჭირავს.

მაგრამ ჩვენ აქ მიწის სივიწროეზე შეეჩერდით, რასაკვირველია, არა იმ მიზნით, ვითომც ჩვენც მეურნეობის დაცემისა და საზოგადოთ აგრარული ურთიერთობის გამწვავების ერთერთ და უმთავრეს მიზეზათ ამ მოვლენას, ესე იგი, მიწის სივიწროეს ვასახელებდეთ. სრულებითაც არა. პირიქით, მიწის სივიწროვე შედეგია უფრო ზოგადი სახის საერთო მიზეზის. უწინარეს ყოველისა ჩვენ უნდა შევეხოთ აქ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხების მდგომარეობას იურდიულათ.

5 წლის შემდეგ საბატონო გლეხების განთავისუფლებისა, ესე იგი, 1869 წ. მთავრობამ გამოსცა ახალი დებულება სახელმწიფო გლეხების შესახებ, რომლითაც იმათ მიეცათ თავისი ნადელების გამოყიდვის უფლება. ამიერ-კავკასიაში კი საგლეხო რეფორმა უმეტესათ მხოლოდ საბატონო გლეხებს შეეხო. სახელმწიფო გლეხები კი დარჩენ ისევ ძველებურ პირობებში. იმათი მდგომარეობა არაფრით არ არის განსაზღვრული და გამორკვეული. იმ მიწების მესაკუთრე, რომლებიც სახელმწიფო გლეხების სარგებლობაშია, არის ხაზინა; გლეხები ითვლებიან უკეთეს შემთხვევაში მეიჯარეებათ; ხაზინას ნება აქვს, როცა მისი ინტერესები მოითხოვს, აყაროს საუკუნოების განმავლობაში ნაპოხიერებ მიწიდან გლეხის ოჯახი და სამაგიეროთ სხვა ადგილას მიუზომოს შესაფერი მიწა *). აქ ეძლევა განუსაზღვრელი უფლება ხაზინის დაბალ მოხელეებსაც. ასეთი მდგომარეობა აფერხებს, რა თქმა უნდა, გლეხის მეურნეობას, რომელიც არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ხვალ მას ხელს არ ააღებინებენ მიწაზე, რო-

*) მაგალითად, საგლეხო დებულების 201 მუხლის ძალით მთავრობას ნება აქვს, როცა სახელმწიფო გლეხის ნადელზე აღმოჩნდება რაიმე მადანი, რომლის დამუშავება საჭიროთ ხდის ამ მიწის გაცემას სხვაზე, გლეხი აყაროს აქედან და სხვაგან გადაასახლოს.

მელიც დღეს მის მფლობელობაშია. ამ მხრით დროებით ვალდებული გლეხები თითქოს უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვინაიდან მათ, თუმცა დიდი გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც, თუ შეიძლება ნებას აძლევს, შეუძლიათ თავისი ნადელების გამოყიდვა. ხაზინა კი ამის ნებას არ აძლევს სახელმწიფო გლეხებს. მართალია, ამ სამი წლის წინათ სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ახალი კანონი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხობის შესახებ, რომლის ძალით მიწა უნდა მიეზომათ სოფლის საზოგადოებათათვის თანახმათ იმისა, თუ რა გვარათ სარგებლობენ დღეს მიწით. ამას შემდეგ თანახმათ ამ კანონისა, მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მიენდო შეემუშავებია ის წესები, რომლების ხელმძღვანელობით უნდა მომხდარიყო ამ საქმის სისრულეში მოყვანა. გასულ წელს კიდევაც გამოქვეყნდა ეს წესები. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ხანი გავა სანამ ამის სისრულეში მოყვანას შესძლებდენ, ვინაიდან ეს ძალიან რთული საქმეა. გარდა ამისა ხსენებული კანონი და წესები ეხება მხოლოდ იმ გლეხებს, რომლებიც სახლობენ სახაზინო მიწებზე თბილისის, განჯის, ბაქოს, დაღესტნის და ქუთაისის გუბერნიებში და სოხუმის ოლქში; სახელმწიფო გლეხები, რომლებიც მოსახლეობენ ბათომის და ყარსის ოლქებში და ზაქათალის მაზრაში, აქედან გამორიცხულია. თუმცა ამ ჟამად დასახელებული ოლქების სახაზინო მიწები უკვე მიწად-მოქმედებისა და სახაზინო ქონებათა უწყებაში გადავიდა, მაგრამ ვინაიდან იქ ჯერ კიდევ სამხედრო წესებით განაგებენ, ამიტომ მიწათმფლობელობა იქ ისეთ ქაოტიურ მდგომარეობაშია, რომ არავინ არ უწყის, ვინ რას ფლობს; არც კერძო მფლობელთა, არც ხაზინის უფლება არაფრით არ არის განსაზღვრული, რაც ხელს უშლის არა მარტო სასოფლო მეურნეობას, არამედ საერთო მრეწველობის აღორძინებას, რასაც ხელს უწყობს ნამეტნავათ ბაქოსა და მისი ოლქის მინერალური სიმდიდრე.

## 2. კერძო მემამულეთა მიწებზე დასახლებული სახელმწიფო გლეხები.

ბევრს, რასაკვირველია, გაუკვირდება ის ამბავი, თუ როგორ მოხდა, რომ სახელმწიფო გლეხები კერძო მემამულეთა მიწებზე იქნენ დასახლებულნი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს გლეხები სადმედან გადმოასახლეს ამიერ-კავკასიაში და ხაზინამ, რომელსაც არ ჰქონდა თავისი მიწა, კერძო მესაკუთრეთა მამულზე დაასახლა ისინი, მაგრამ ასეთი ფიქრი შეცდომაა.

მეტი არ იქნება გავიხსენოთ აქ ამ გლეხების წარსული, რაც შეიძლება მოკლეთ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბატონ-ყმური ურთიერთობა მთელი თავისი სიძლიერით განვითარდა ამიერ-კავკასიის მხოლოდ დასავლეთ ნაწილში, ე. ი. საქართველოში. დანარჩენ ადგილებში, სადაც სცხოვრობდენ უმთავრესად თათრები და სომხები ბატონ-ყმობა არ არსებულა. ამ ადგილებში ყოველგვარ მიწა-ადგილს, გარდა საეზოვესა, საბახჩეებისა და აგრეთვე იმ მიწებისა, რომლებიც სხვადასხვაგვარ შენობების ქვეშ იყო, პატრონათ ითვლებოდა სახელმწიფოს თავი; ეს უკანასკნელი მიწას აძლევდა ხანებს, მელიქებს, ბეგებს და აღლარებს, რომლებიც განაგებდენ პროვინციებს და ჯამაგირის მაგივრათ მცხოვრებლებისაგან იღებდენ ხარკს მიწის შემოსავლით. თავის მხრით ეს მართველნი ვალდებული იყვენ ეხადათ იმამის[11]) სასარგებლოთ ყოველ წლიურად განსაზღვრული ხარკი.

ამნაირად ესენი იყვენ მოხელენი იმ განსხვავებით, რომ ჯამაგირს პირდაპირ მცხოვრებლებისაგან ღებულებდენ მიწის შემოსავლით. რაც შეეხება გლეხებს, რომლებიც მიწას ამუშავებდენ, ისინი არ იყვნენ მიწაზე მიკრული და არც ვალდებული იყვნენ ამ მოხელეების სასარგებლოთ გარდა განსაზღვრული გადასახადისა, რაიმე სხვა სამსახური გაეწიათ; მართალია ბეგებისა და მელიქების განკარგულებაში იყვნენ მუშები, მაგრამ ბატონ-ყმური ურთიერთობა ამიერ-კავკასიის თათრის სამფლობელებში ერასოდეს არ ყოფილა. ამ მდგომარეობაში იყო საქმე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ვიცით, ეს პროვინციები რუსეთის მთავრობამ დაიმორჩილა და იმათი ბედი რუსის მხედრობის უფროსების ხელში გადავიდა. აქ მოხდა ის, რაც აუცლებლათ უნდა მომხდარიყო. რუსის მოხელეები და განსაკუთრებით მხედრობის უფროსები ბატონ-ყმურ ნიადაგზე აღზრდილნი, გაჟღენთილი იყვნენ ბატონ-ყმური აზრებით. იმათი აზრით სოფლის ერთი ნაწილი — მიწის მუშაკები, უექველათ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო მებატონეთაგან. ახალ შეძენილი სამაჰმადიანო პროვინციებშიც სწორეთ ასე ეჩვენებოდათ იმათ სოფლის მუშების და ბეგების და აღალარების საურთიერთოშორის დამოკიდებულება. პირველები იმათი აზრით იყვნენ ყმები, მეორენი — მებატონეები. ერთი სიტყვით, აქ სუფევდა იმათი წარმოდგენით ნამდვილი ბატონ-ყმური ურთიერთობა, რომელსაც ისინი კარგათ იცნობდენ თავისი სამშობლოს წყალობით, სადაც ყოველგვარ ნაბიჯზე ბატონ-ყმური წესწყობილება არსებობდა. ნამდვილი

მდგომარეობის გაგებისათვის მათ დრო არ ჰქონდათ და არც მომზადება. საჭირო იყო შემოერთებული პროვინციების რაც შეიძლება ჩქარა დამშვიდება. ამისათვის უწინარეს ყოვლისა მაღალი წოდების მომხრობა საუკეთესო საშუალება იყო. ასეთ წოდებათ კი რუსეთის მთავრობას ბეგები და აღალარები მიაჩნდა. ბატონ-ყმური უთრიერთობის აღსარება კი ამათთვის მეტათ ხელსაყრელი იყო, ვინაიდან ამით ისინი ერთბაშათ ხდებოდენ არა მარტო უფლება-მოსილ წოდების წარმომადგენლებად, არამედ მიწისა და ყმების პატრონებათ. რუსის მოხელეების თვალში ბეგები, აღალარები და მელიქები იყვნენ ნამდვილი მებატონეები სრული ფეოდალური უფლებებით ყმებზე და მიწაზე. ამ შეხედულებას ოფიციალური ხასიათი პირველათ მისცა კავკასიის მთავარმა გამგემ ცნობილმა ერმოლოვმა (1816—1826 წ.).

ამნაირათ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, როცა ყოველგან ბატონ-ყმური უფლებების გაუქმებას მეცადინეობდენ და მოითხოვდენ, ამიერ-კავკასიაში ამ წესწყობილების შემოღებას სცდილობდენ იქ, სადაც ის არასოდეს არ არსებულა.

ერთ დროს მართლაც შემოღებულ იქნა ბატონ-ყმობა დასახელებულ პროვინციებში და ბეგები და აღალარები ცნობილი იქნენ ნამდვილ მებატონეებათ. მაგრამ მის გამაგრებას ხელი შეუშალა რამდენიმედ სენატორ განის რევიზიამ 1841 წელს. განის აზრით სამაჰმადიანო პროვინციებში ადგილობრივი ბეგები, აღალარები და მელიქები, რომლებიც რუსეთის მთავრობამ მიწათმფლობელებათ იცნო, წინანდელ წესყობილების ძალით სრულებით მიწის მფლობელნი არ იყვნენ, არამედ უბრალო გამგენი ან მოხელენი, რომლებიც ჯამაგირს პირდაპირ მცხოვრებლებისაგან იღებდენ. ეს აზრი მიღებულ იქნა უმაღლესი მთავრობის მიერ პეტერბურგში და ერთ დროს ბეგებს და აღალარებს კიდევაც ჩამოართვეს უფლებები მიწაზე და სამსახურიდანაც დაითხოვეს, როგორც სოფლების გამგენი. ეს მიწები სახაზინოთ ჩაირიცხა და იმაზე დასახლებულ მცხოვრებნი სახელმწიფო გლეხებათ. სამაგიეროთ მთავრობამ ფულით დააჯილდოვა ბეგები და აღალარები. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ესეც უარყოფილ იქნა. ვითომ შეურაცყოფილებმა და შეეიწროებულმა ბეგებმა და აღალარებმა იწყეს დრტვინვა; იმათ უკმაყოფილება ადგილობრივმა მთავრობამ საშიშათ მიიღო, ვინაიდან მისი აზრით, ბეგებს შეეძლოთ თვით ხალხში გამოეწვიათ უკმაყოფილება. ამიტომ ამჯობინეს საზოგადოებრივი წესივრების დასაცველად ხელ-ახალი გადასინჯვა ახალ შემოღებულ

ზომებისა აღალარების წინააღმდეგ. ეს გადასინჯვა, რასაკვირველია, არ ნიშნავდა საქმის გამოძიებას და სინამდვილის შესწავლას; ეს იყო მხოლოდ ახალი მოსაზრების, ახალი განზრახვის დაკანონება, რომლის გამართლება შეიძლებოდა მხოლოდ რაიმე წინდაწინ შედგენილი აზრის მეოხებით. მაგრამ აღალარები და ბეგების მებატონეებათ მიღება, ე. ი. იმათთვის ბატონ-ყმური უფლებების მინიჭება, შეუძლებელი იყო; ამის უსაფუძვლობა ყველასათვის აშკარა იყო. ამიტომ გამოარჩიეს ისეთი გზა, რომლითაც იმათი აზრით არც მწვადი დაიწოდა და არც შამფური. ეს საშუალება ასეთი იყო: ის მიწები, რომლებიც წინათ ბეგებსა და აღალარებს ექირათ, როგორც სახელმწიფოს მოხელეთ, იმათ კერძო საკუთრებათ ჩაეჩიცხათ, ამ მიწებზე მოსახლენი კი—სახელმწიფო გლეხებათ. კავკასიის ნამესტნიკმა თავადმა ვორონცოვმა ამის თანახმად შეიმუშავა 1847 წლის ახალი „დებულება", რომელიც ჩქარა უმაღლესი ბრძანებით იქნა დამტკიცებული. ამნაირათ დროებითი მფლობელნი და გამგენი სამუდამო მფლობელებათ გახადეს; მიწის ნამდვილი მომუშავენი და მფლობელნი სრულიად უმიწო-წყლოთ იქნენ დატოვებულნი. აქ სანახევროთ ბატონ-ყმური ურთიერთობა იქნა განზორციელებული, გლეხები პირადათ მებატონისაგან არ იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ ნივთიერათ მიწის მფლობელთა ხელში ჩავარდენ, რადგანაც იმათი მარჩენალი მიწა მემამულეთა სრულ საკუთრებათ აღიარეს.

საგლეხო რეფორმა 1870 წლამდის არ შეხებია ამ დებულებას და ვის როგორ ეპრიანებოდა, ისე განაგებდენ მათ ბედს. 1870 წელს გამოიცა ეგრეთ წოდებული „Посемейное Положение" (დამატება 1877 წ.) რომლის საფუძველს შეადგენს 1861 წლის საგლეხო რეფორმა, ე. ი. გლეხებს მიეცათ „ნადელი" და აგრეთვე მიენიჭათ მისი გამოყიდვის უფლება იმ პირობებით, რა პირობებშიაც დროებით ვალდებულ გლეხებს. მაგრამ ამ დებულების სფეროც ძლიერ შემოფარგლულია; ივი არ ეხება ისეთ მიწებს, სადაც მიწის მფლობელსა და მიწის მუშას შორის განსაკუთრებული პირობები არსებობს, როგორც მაგალითად ეგრედ წოდებული ტიულთა და მიულვანდარების მიწებს. სამწუხაროთ იქ, სადაც ეს დებულება მოქმედებს, მისი შედეგი ყოველათ უნაყოფოა. მამულის გამოყიდვა იქ კიდევ უფრო შეჩერებულია, რასაც ხელს უშლის თვით დებულების ნაკლულევანება, რადგანაც ბოლოს თავის დახსნა საესებით მიწის მფლობელთა ნებაზე ჰკიდია.

ამნაირად ამ გლეხების მდგომარეობა იურიდიულათ დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობას ჰგავს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ, როცა დროებით ვალდებული გლეხები ტფილისისა და ქუთაისი გუბერნიებში ვალდებული არიან იხიდონ მემამულეთა სასარგებლოთ სანადელო მამულის მეოთხედი, სამაჰმადიანო პროვინციებში უმეტეს ნაწილად ერთ მეათედს, თუმცა ზოგან უფრო მეტსაც. მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობები, რომლებიც რამდენიმეთ გაგვითვალისწინებს ხსენებული კატეგორიის გლეხებს. შემდეგი ცხრილი გვეუბნება, თუ რამდენი მოსახლე ამ კატეგორიის გლეხებისა ითვლება ამიერ-კავკასიაში, საერთოდ რამდენი მიწა არის იმათ სარგებლობაში და საშუალო რიცხვით რამდენი მიწა მოდის თითო კომლზე.

| გუბერნიები | კომლი | მიწის რაოდენობა | რამდენი კომლზე | მესაკუთრეთა ხელში |
|---|---|---|---|---|
| ტფილისის | 6,902 | 113,865 | 16,49 | 9,872 |
| განჯის . | 47,555 | 317,235 | 6,67 | 314,249 |
| ერევანის . | 11,962 | 101,691 | 8,50 | 18,822 |
| ბაქოს. . | 11,272 | 96,335 | 8,55 | 82,039 |
| სულ | 77,691 | 629,126 | 8,98 | 424,982 |

ეს ცნობები ეკუთვნის ახალი დებულების სიგელების შედგენის დროს, ე. ი. ასეთი მდგომარეობა იყო ამ 25 წლის წინათ. როგორ შეიცვალა მას შემდეგ ამ კატეგორიის გლეხთა მდგომარეობა, ეს ჩვენ არ ვიცით. აშკარაა მხოლოთ ის, რომ აქაც ის უნდა მომხდარიყო, რაც ყოველგან: ე. ი. წინანდელი ურთიერთი განწყობილება მემამულესა და მიწის მომქმედს შორის მოთხოვნილების გართულების გამო უნდა თანდათან გამწვავებულიყო. ზევით მოყვანილი ცნობებით ამ კატეგორიის გლეხების უმრავლესობა, ე. ი. 47,555 კომლი, ანუ 61% მეტი ცხოვრობს განჯის გუბერნიაში, სადაც ამ 25 წლის წინათ საშუალო რიცხვით მოდიოდა თითო კომლზე 6,67 დეს. მიწა. უკეთეს პირობებში უნდა ყოფილიყვნენ ეს გლეხები თბილისის გუბერნიაში, სადაც თითო კომლზე მოდიოდა 16,49 დეს. მიწა: თუმცა ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშ-

ვნელობა აქვს სინამდვილის დასახასიათებლად საშუალო რიცხვებს. საერთოდ ამ კატეგორიის გლეხ-კაცობა, თუ მხედველობაში მივიღებთ მიწის რაოდენობას თითო კომლზე, ბევრათ უფრო შევიწროვებულ მდგომარეობაში უნდა იყვნენ იმ გლეხებთან შედარებით, რომლებიც სახაზინო მიწაზე არიან დასახლებულნი, რადგანაც საშუალო რიცხვით თითო კომლს პირველებისას მოსდის ყოველგვარი მიწა 8,98 დეს. მეორეებისას კი— 16,02 დეს.

## III. მესაკუთრე გლეხები.

ამ კატეგორიის გლეხებზე კიდევ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს, რაც გვაქვს, ისიც შეეხება ცოტათ თუ ბევრათ დაწერილებით მხოლოდ ქუთაისის და რამოდენიმეთ თბილისის გუბერნიებს, სადაც უმეტეს ნაწილათ ცხოვრობენ მესაკუთრე გლეხები. დანარჩენ გუბერნიების შესახებ ჩვენ გვაქვს მხოლოდ მესაკუთრე გლეხების რიცხვი, იმის დაუსახელებლად, თუ იმათ რამდენი მიწა-ადგილი აქვთ. მესაკუთრე გლეხებს შეადგენენ ყველა კატეგორიის გლეხები როგორც ყოფილი დროებით ვალდებულნი, ისე სახელმწიფო გლეხებიც; მესაკუთრე გლეხები იყვნენ ჩვენში, ე. ი. თბილისისა და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიებში საგლეხო რეფორმის მოხდენამდის. ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ბატონ-ყმური ურთიერთობის გამწვავების დროს იყვნენ ისეთი გლეხები, რომლებიც ახერხებდნენ თავის გამოყიდვას მებატონეთაგან; გარდა ამისა ცნობილია, რომ ჩვენში იყვნენ ეგრეთ წოდებული აზატი[12] გლეხები—თუმცა ამათი რიცხვი ძლიერ მცირე იყო. ამათ დაუდგენ საკუთარ დღევანდელ მესაკუთრე გლეხებს. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ საბატონო გლეხებს, როგორც ვიცით, ნება მიეცათ თავის დახსნისა და მესაკუთრე გლეხათ გახედნისა. თუმცა ეს საქმე ჩვენში ძლიერ შეფერხებულია, მაგრამ რამდენიმე ნაწილმა მაინც დაიხსნა თავი. აი ყველა ესენი შეადგენენ მესაკუთრე გლეხებს. მოვიყვანოთ ახლა აქ 1866 წ. ცნობები, რომლებიც მხოლოდ მესაკუთრე გლეხების რაოდენობას განსაზღვრავს მთელ ამიერ-კავკასიაში *).

ამ ცნობებით სულ ამიერ-კავკასიაში 1886 წ. იყო 56,319 კომლი მესაკუთრე გლეხებისა 363,106 სულით, ამათში 50,124 კომლი 324,674 სულით იყო მარტო ქუთაისის გუბერნიაში. ეს ცნობები არ ეთანხმება

*) იხ. Свод. Стат. данных о землевлад. в Закав. Крае 1893.

შემდეგ ცნობას, რომელიც მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს შეეხება, ამ ცნობით გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაში სულ 8,363 სული*) მესაკუთრე გლეხი იყო, რომელთაც ეკუთვნოდა 97,921 დესიატინა მიწა, ე. ი. საშვალო რიცხვით თითო სულზე მოდიოდა 11,71 დესიატინა მიწა

| გუბერნიები | რამოდენი კომლი | სულ ორივე სქესის |
|---|---|---|
| თბილისის . | 4,653 | 24,379 |
| ქუთაისის . | 50,124 | 328,674 |
| ერეენის | 402 | 2,837 |
| განჯის . | 1,114 | 7,074 |
| ბაქოს . . . . . | 26 | 142 |
| სულ. | 56,319 | 363,106 |

აშკარაა, რომ ეს ცნობები ყალბია**) თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1886 წელს თბილისის გუბერნიაში 4,653 კომლი მესაკუთრე გლეხი იყო, რომლებშიაც ირიცხებოდა 24,379 სული ორივე სქესისა, დასაჯერებელი არ არის, რომ 1886 წლის შემდეგ, როცა ეს უკანასკნელი ცნობები შედგენილია, თუმცა დანამდვილებით არ ვიცით, რომელ წელს ეკუთვნიან ისინი, ერთი სიტყვით დასაჯერებელი არ არის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მესაკუთრე გლეხთა რიცხვი შემცირებულიყოს, ე. ი. სამჯერ ნაკლები გამხდარიყოს. უფრო მისაღებია, რომ ზევით მოყვანილ ციფრში იგულისხმება კომლი სულში და არა სული. მაშინ გაგოვა, რომ მესაკუთრე გლეხებში თითო კომლს საშვალო რიცხვით თბილისის გუბერნიაში 11,71 დესიატინა მიწა მოსდიოდა, რასაკვირველია, ესეც ჩვენ

*) ibid გვერ. 13.

**) თვით შემდგენელი შენიშნავს, რომ ეს ცნობები ადმინისტრაციის მიერ არის შევსებული.

არაფერს არ გვეუბნება ამ კატეგორიის გლეხკაცობის მდგომარეობაზ; თბილისის გუბერნიაში. უფრო სარწმუნო ცნობები, თუმცა, რასაკვირველია, ისიც არა სრული, გვაქვს ქუთაისის გუბერნიის მესაკუთრე გლეხებზე 1888 წელს აქ ითვლებოდა უკვე 96,912 კომლი *) და თუ მივიღებთ მხედველობაში თითო კომლზე საშვალო რიცხვით მოდის 5, გამოვა რომ 1888 წელს ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა დაახლოვებით 484,560 სული ამ კატეგორიის გლეხებისა. ამათ ქონებია სულ 244,451 დესიატინა მიწა ანუ კომლზე საშუალო რიცხვით 2,52 დესიატინა. შემდეგ ცხრილი გვეუბნება, თუ როგორ არის განაწილებული ეს მიწა ხსენებულ გლეხებს შორის სხვადასხვა მაზრებში კომლების რიცხვის ჩვენებით.

| მაზრები | სულ კომლი | რაოდენობა მიწის დესიატინებით. | თითო კომლზე რამოდენი ძალ. | რამდენს რამდენი დესიატინა აქვს. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 0-2 დესიატინა. | 2-4 დესიატინა. | 4 დესიატინაზე ზევ. |
| ქუთაისის . | 24,188 | 60,474 | 2,50 | 13,873 | 6,369 | 3,638 |
| შორაპნის . | 18,802 | 37,954 | 2,02 | 13,891 | 3,251 | 1,472 |
| რაჭის . | 7,113 | 19,070 | 2,68 | 4,008 | 1,861 | 726 |
| ოზურგეთის . | 9,443 | 13,398 | 1,42 | 1,381 | 6,371 | 816 |
| სვანეთის . | 1,081 | 3,386 | 3,13 | 669 | 189 | 92 |
| ლეჩხუმის . | 4,178 | 21,260 | 5,09 | 2,448 | 1,258 | 509 |
| სენაკის . | 15,811 | 36,046 | 2,28 | 11,926 | 2,849 | 849 |
| ზუგდიდის . | 16,296 | 52,863 | 3,25 | 9,831 | 4,375 | 1,935 |
| სულ . | 96,912 | 244,451 | 2,52 | 58,027 | 26,523 | 10,037 |
| | — | — | — | 61% | 28% | 11% |

ამ ცნობებიდან უნდა დავასკვნათ შემდეგი: 1) მესაკუთრე გლეხებში შედარებით უფრო ემჩნევა მიწის სიავიწროვე, ვიდრე სხვა კატეგორიის

*) ibid გვერ. 14.

გლეხებში; საშვალო რიცხვით თითო კომლზე მოდის 2,52 დეს. მიწა, როცა დანარჩენს საშვალო რიცხვით თითო კომლზე მოსდის ამაზე ბევრათ უფრო მეტი; 2) ყველაზე უფრო ნაკლები საშვალო რიცხვით მოდის ოზურგეთის მაზრაში, სახელდობრ, 1,42 დეს., ყველაზე უფრო მეტი ლეჩხუმის მაზრაში; რაც შეეხება თითო ნაჭერის სივრცეს, 94,587 ნაჭერიდან 58,027 ანუ 61% აქვს 0-2 დესიატინამდის: 36,523 ანუ 28%—2-4 დესიატ. და 10,037 ნაჭერს ანუ 11% 4 დესიატინაზე ზევით.

ასეთი იყო მესაკუთრე გლეხთა მდგომარეობა დაახლოვებით ამ 15 წლის წინათ. რა მოხდა ამ 15 წლის განმავლობაში, ამის შესახებ, როგორც მრავალ სხვა კითხვების შესახებ სტატისტიკური ცნობები არა გვაქვს. მხოლოდ მარტო შორაპნის მაზრის შესახებ გვაქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები, შეკრებილი 1893 წელს საფილოქსერო კომიტეტების მიერ. ამ ცნობებით 1893 წელს შორაპნის მაზრაში ითვლებოდა 9,117 კომლი მესაკუთრე გლეხი, რომელთაც ჰქონდათ სულ 34,454 დესიატინა ნაყიდი მიწა ანუ კომლზე საშვალო რიცხვით 3,78 დეს. ამათში მხოლოდ ორ კომლს ჰქონდა მარტო სანადელო მიწა, ორს სანადელო და ნაყიდი და დანარჩენს 9,110 კომ. მხოლოდ ნაყიდი.

გარდა ამისა, აქ ჩვენ ვპოულობთ შემდეგ საინტერესო ცნობებს, თუ ამ კატეგორიის გლეხ-კაცობის მიწა როგორ არის განაწილებილი.

აი ეს ცნობები. შორაპნის მაზრაში მესაკუთრე გლეხებს აქვთ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0—$^1/_2$ | დესიატინამდე | 433 | კომლს ანუ | 4,75% |
| $^1/_2$—1 | „ | 740 | | 8,12% |
| 1—1$^1/_2$ | | 1053 | | 11,56% |
| 1—2 | | 1061 | | 11,63% |
| 2—3 | | 1742 | | 19,12% |
| 3—4 | | 1238 | „ | 13,58% |
| 4—5 | | 834 | | 9,15% |
| 5 ზევით | „ | 2013 | „ | 22,09% |

აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ 1888 წელს შორაპნის მაზრაში ირიცხებოდა სულ 18,802 კომლი მესაკუთრე გლეხი; 1893 წელს კი, ე. ი. ხუთი წლის შემდეგ ამავე მაზრაში ითვლებოდა მხოლოდ ამის ნახევარი; ძნელია იმის თქმა, თუ რას უნდა მივაწეროთ ასეთი წინააღმდეგობა; ყოვლად შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ხუთი წლის განმავლობაში მესაკუთრე გლეხთა რიცხვი განახევრებულიყოს.

ამიტომ ერთად ერთი დასკვნა აქედან ის უნდა იყვეს, რომ ჩვენი სტატისტიკური ცნობები დიდი სიფრთხილით უნდა იქმნენ მიღებულნი. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი წლის ე. ი. 1893 წლის ცნობები უფრო სარწმუნოა, ვინაიდან ისინი შევსებულია მცოდნე პირთაგან და არა პოლიციის მოხელეთა მიერ.

ზევით მოყვანილი ცხრილი იძლევა ძლიერ საინტერესო ცნობებს. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ მესაკუთრე გლეხებში საერთოდ მიწის დიდი სივიწროვეა. ორ დესეტინამდის აქვს 36,06 პროცენტს, ორიდან ხუთამდის 41,85 პროცენტს. მაშასადამე, 77,91 პროც. აქვს მხოლოდ 0—5 დესიატინამდე, მხოლოდ 22,04 პროც. აქვს 8 დესიატინაზე ზევით. აშკარაა, რომ მესაკუთრე გლეხთა დიდი უმრავლესობა თავისი საკუთარი მიწით ვერ დაკმაყოფილდება და იგი იძულებულია თავის გამოსაკვებათ იჯარით აიღოს სახაზინო ან კერძო მემამულის მიწები.

## IV. ხ ი ზ ნ ე ბ ი.

ხიზნები შეადგენენ სრულებით განსაკუთრებულ კატეგორიას ამიერ-კავკასიის გლეხკაცობაში. ისინი ცხოვრობენ მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში და თუმცა რიცხვით გლეხკაცობის მცირე ნაწილს შეადგენენ, მაგრამ დღევანდლამდე აგრარულ არეე-დარევაში იმათ დიდი მნიშვნელობა ქონდათ. დღემდის არ არის ნათლად გამორკვეული, თუ რა საფუძველზე იყო აგებული ხიზანთა მდგომარეობა, მათი დამოკიდებულება მემამულეებთან. ძველი წყაროებიდან შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთად ერთი მართალი და სწორი დასკვნა, სახელდობრ ის, რომ გლეხი უკმაყოფილო, არსებული პირობებით, ესახლებოდა სხვა მემამულეს მიწაზე, რომელთანაც ის დებდა სხვადასხვა პირობებს. ასეთი გლეხი ამნაირად ხდებოდა ხიზანი. საესებით და საბოლოოდ გამორკვეული არ არის, იყო ეს პირობები დროებითი თუ ამას სამუდამო ხასიათი ქონდა; თუ დროებითი იყო, იმ შემთხვევაში ამ პირობებს იჯარის ხასიათი ეძლევა. თუ რას წარმოადგენდენ წარსულში ხიზნები, ამას ჩვენ აქ არ შევეხებით; ჩვენ გვაინტერესებს აქ მხოლოდ მათი მდგომარეობა მე-19-ტე საუკუნეში და ისიც უფრო მე-19-ტე საუკუნის მე-2-რე ნახევარში.

ერთ დოკუმენტში, რომელიც ეკუთვნის გასული საუკუნის მე-40-ცე წლებს და რომელიც რა თქმა უნდა მებატონეს, ე. ი. დაინტერესებულ პირის მიერ უნდა იყოს შედგენილი, სხვათა შორის, ნათქვამია,

რომ ყოველგვარი პირობა მემამულესა და ხიზანს შორის ნებაყოფლობით იყო. მაგალითად, თუ ხიზანი გააშენებდა ვენახს მებატონეს მიწაზე თავისი საკუთარი საშვალებით, იმ შემთხვევაში მოსავლის ნახევარი 5, 8 და 10 წლის შემდეგ ეკუთვნოდა ხიზანს, ნახევარი კი მემამულეს. ან ხიზანის მიერ გაშენებული ვენახი რჩებოდა მის სრულ განკარგულებაში 10 ან 12 წლის განმავლობაში, შემდეგ კი უნდა გადაცემოდა მემულეს. ვალდებულება და გადასახადი ხიზნების არც მემამულის მიწაზე დასახლების დროს და არც შემდეგ სრულებით თვითნებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ სრულდება ძველ ჩვეულებათა მიხედვით. ამით აიხსნება ის გარემოებაო, დასძენს ამ დოკუმენტის ავტორი, რომ ხიზნების მხრით არასოდეს არავითარი საჩივარი არ ხდება მიწის მესაკუთრეებზე და არც ამ უკანასკნელთა მხრით ხიზნების წინააღმდეგ. ორივე მხარე სინდისიერათ ასრულებდა პირობასო. თუ ხიზანი თავის ან მემამულეს სურვილით იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა მის მიერ გაშენებული მიწა, მემამულეს ჰქონდა უფლება ხიზანის მოძრავი ქონების ნახევარზე, უძრავი ქონება კი ხელშეუხებელი მემამულეს ხელში რჩებოდა.

აქედან ჩვენ ორი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: ერთი ის, რომ ხიზანთა მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო ბატონ-ყმობის დროს, როგორც ეს ბევრს გონია და მეორე ის, რომ ხიზნები მხოლოდ მამულის მხრით იყვენ დამოკიდებული მებატონესაგან და პირადათ კი არა, ე. ი. ისინი არ იყვენ მებატონესთან ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში. ამის გამო, თავის თავად იგულისხმება, რომ საგლეხო რეფორმამ ისინი სრულებით უყურადღებოთ დატოვა. საბატონო გლეხების განთავისუფლების შემდეგ ხიზნები დარჩენ ფაქტიურათ ყოველგვარ კანონის გარეშე. ისინი დარჩენ მიცემული მემამულეებზე. მაგრამ ცხადია, რომ ძველი თანხმობა, თუ კი ამას ძველად ადგილი ჰქონდა, დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა. რამდენათ მემამულეთა მდგომარეობა ახალ მოთხოვნილებათა გამო, გასაჭირი შეიქნა, იმდენათ შევიწროვება იწყო ხიზნების მდგომარეობამ. ის, რასაც წინათ იხდიდენ ხიზნები და ასრულებდენ მემამულეთა სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა თვალში მცირე შეიქმნა გამრავლებულ მოთხოვნილებათა მიხედვით. ვინ არ იცის, რომ ყოფილი ბატონების მდგომარეობა დღითი დღე განსაცდელში ვარდებოდა, იმათი მამული ვალიანდებოდა და იყიდებოდა, ამიტომ ცხადია, რომ მემამულეებმა ჯერ მოუმატეს ხიზნებს გადასახადი, ე. ი. ღალა; ეს, რასაკვირველია, ეუცხოვათ ხიზნებს, მაგრამ პირველ ხანებში უმეტეს ნაწილად

იტანდენ. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მემამულეები უფრო და უფრო უმატებდენ გადასახადს; და ამასაც აღარ ჯერდებოდენ და ბანკებში აგირავებდენ ან ყიდდენ იმ მიწებს, რომლებიც უხსოვარ დროიდან ხიზნების სარგებლობაში იყო. ამ გარემოებამ გასული საუკუნის მე-80 წლებში ხიზნებში გამოიწვია დიდი დრტვინვა და უკმაყოფილება. ადგილობრივი საგლეხო დაწესებულებანი (крестьянские присутствия), რომლებიც აქამდის ხიზნებისათვის თითქო არ არსებობდენ, იძულებული შეიქნენ იმათი მდგომარეობისათვის ყურადღება მიექციათ. 1884 წელს თბილისის და ქუთაისის გუბერნიების საგლეხო დაწესებულებები შეუდგენ ხიზანთა მდგომარეობის გამორკვევას. ცნობების შეკრება მიენდო მომრიგებელ შუაკაცებს, რომლებიც უმეტეს ნაწილად მემამულეები იყვნენ და როგორც ასეთი, ძლიერ დაინტერესებულნი ამ საქმეში. მეორე მხრივ, ცნობებს ჰკრეფდენ განსაკუთრებით მხოლოდ მემამულეთაგან და მეორე მხარეს სრულებით არ ეკითხებოდენ. ამიტომ სრულებით გასაკვირალი არ არის, რომ საგლეხო დაწესებულებებმა, რომლებიც დაემყარენ მხოლოდ ერთი მხარის ჩვენებას სავსებით, მემამულეთა სასარგებლოდ მოინდომეს ხიზანთა კითხვის გადაწყვეტა. თავი და თავი საკითხი ხიზნების მდგომარეობაში იყო: ხიზნები უბრალო მეიჯარენი არიან, თუ იმათი მდგომარეობა წარმოადგენს რაიმე მსგავსებას მაგალითად, დროებით ვალდებულ გლეხებთან. თუ ხიზნები უბრალო მეიჯარენი არიან იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, მემამულეთ სრული უფლება აქვთ მოექცენ იმათ, როგორც სურთ: ე. ი. მათ უფლება ჰქონდათ, როგორც გადასახადის, მიწის, ღალის მომატებისა, ისე მამულიდან სრულიად გაძევებისა. საგლეხო დაწესებულებებმა ხიზნები ერთხმათ იცნეს უბრალო მეიჯარეებათ და ამნაირად წაართვეს მათ ის უფლებები, რომლებიც დროებით ვალდებულ გლეხებს აქვთ სანადელო მიწებზე. „ამნაირად, დაასკვნის გ. თუმანოვი [13]) — ის დაწესებულებანი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება, ამ შემთხვევაში ამ მდგომარეობის გაუარსება მოინდომეს. მხოლოდ 1891 წელს გამოიცა პირველი დებულება ხიზნების შესახებ. ორი უმთავრესი კითხვა ხიზნების შესახებ ამ დებულებამ გადასწყვიტა ამნაირად: 1) ვინ უნდა მივიღოთ ხიზნათ? 1891 წლის დებულების § 1 ასე განსაზღვრავს ხიზანს: ის გლეხები, რომლებიც თბილისის და ქუთაისის გუბერნიების მემამულეთა მიწებზე არიან დასახლებული ამ დებულების გამოცემამდე და არა აქვთ ამ უკანასკნელებთან ვადიანი ხელშე-

კრულება რაიმე აქტით, უნდა ჩაითვალოან ხიზნებათ. მეორე კითხვა: აქვს თუ არა მემამულეს უფლება თავის ნებით მოუმატოს ხიზანს გადასახადი, ან სრულებით წაართვას მას მიწა, რომლითაც ხიზანი დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდა? დებულებამ ამნაირად გადასწყვიტა ეს მეტათ სამძიმო კითხვა: ყოველგვარი ცვლილება მიწის სარგებლობაში და ყველა იმ უფლებებში, რომლებიც ამ სარგებლობაზე არიან დამოკიდებული, მემამულეს შეუძლიან მხოლოდ ხიზანის თანხმობით, (სტ. 4). ვინიცობაა, თუ ეს დაარღვია მემამულემ, მაშინ დებულების § 7 მემამულე, რომელიც უარს ეტყვის ხიზანს მიწის სარგებლობაზე და მოინდომებს მის გაძევებას, ვალდებულია დაკმაყოფილოს ხიზანა ისე, როგორც ისინი ერთმანეთში შეთანხმდებიან. თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა, იმ შემთხვევაში მემამულე ვალდებულია უზღოს ხიზანს, საგანგებო შეფასების კვალობაზე, ყოველგვარ შენობების, სამეურნეო მოწყობილების და ნაშენების ორკეცი ღირებულება, და აგრეთვე ყველა იმ ხარჯებისა, რომლებიც ხიზანს გაუწევია იმ მაწების გასაუმჯობესებლად, რომლებიც მის სარგებლობაში იმყოფებოდა (7 მუხლი).

ამნაირად 1891 წლის დებულებამ თუმცა არსებითად ხიზნები მეიჯარეებათ იცნო, მაგრამ მეორე მხრით, მემამულეთა უფლებაც §§ 4 და 7 ძალით რამდენიმედ შეზღუდა ხიზნების სასარგებლოდ. ამ გარემოებამ მაშინვე უკმაყოფილება გამოიწვია მემამულეთა შორის. მემამულეებს სურდათ, რომ, როგორც ღალის მომატება, ისე ხიზნის მიწისაგან გაძევება არაფრით არა ყოფილიყო შეზღუდული, რომ ყოველივე ეს მის საკუთარ ნებაზე ყოფილიყო. ე. ი. ხიზნებს მოქცეოდენ ისე, როგორც უბრალო მეიჯარეებს. ამიტომ იმათ ასტეხეს ყაყანი, შესძრეს ქვეყანა, რომ ეს არის ვიღუპებით, მოგვეშველეთო. ამ მიზნით მათ მაშინვე აღძრეს შუამდგომლობა, როგორც საგლეხო დაწესებულებათა, ისე მთავარმართებელის საბჭოს წინაშე, რათა ეს ახალი დებულება შეცვლილიყო მათ სასარგებლოდ, თორემ დავილუპებითო. გლეხებს კი ეს დებულება კაი ხანს არ გაუმხილეს. ბოლოს, როგორც იქნა, მემამულეთა თხოვნამ გასჭრა: 1900 წ. (2 ივნისს) გამოიცა ახალი კანონი ხიზნების შესახებ, რომელიც არსებითად სცვლის 1891 წ. დებულებას მემამულეთა სასარგებლოთ. ამ ახალი კანონით ხიზნათ მიღებულ იქნა მხოლოდ ის, ვინც დასახლებულა მებატონეთა მიწაზე ხიზანთა ჩვეულებრივი უფლებით, მემამულეს ნებასურვილით (1 მუხლი).

მეორე მუხლით მემამულეს უფლება აქვს წაართვას ხიზანს მიწა და უზღოს მას შენობების სამეუნეო მოწყობილობის ღირებულება. რაც შეეხება იმ ხარჯებს, რომლებიც ხიზანს გაუწევია მიწის გაუმჯობესობისათვის, ახალი კანონი ამის ზღვევას სრულებით უარჰყოფს. მეორე მხრით, თუ რაში მდგომარეობს ხიზანთა ჩვეულებრივი უფლება, ეს არც წინანდელ და არც ახალ დებულებაში განსაზღვრული არ არის. თუ რა ნაირი შედეგი გამოიწვია და კიდევ გამოიწვევს ეს ახალი კანონი, ამის მაგალითს გვაძლევს რამდენიმე აგრარული დანაშაულობა, რომელთაც ადგილი ჰქონდა თბილისის გუბერნიაში ამ უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში. ადვილი საქმე როდია უხსოვარ დროიდან ნაფერები და ნაშენები მიწის ძალდატანებით დატოვება, სახლ-კარის აყრა და სადღაც გადახვეწა. მოვიყვანოთ ახლა აქ რამდენიმე სტატისტიკური ცნობები ხიზნების შესახებ. როგორც ვთქვით, ხიზნები განსაკუთრებით თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობენ; მაგრამ უფრო კი თბილისის, სახელდობრ: გორის მაზრაში.

ბატონ-ყმობის გაუქმების დროს თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა დაახლოვებით 4,685 კომლი ხიზანი და ქუთაისის გუბერნიაში 1,160 კომლი; მაშასადამე, ორივე გუბერნიაში დაახლოვებით ითვლებოდა 5,854 კომლი ხიზანი. შემდეგ დაწვრილებითი ცნობები გვაქვს თბილისის გუბერნიისათვის, შეკრებილი 1881—4 წლეებში. აქედან ჩვენ ვხედავთ შემდეგს:

1882-4 წლებში თბილისის გუბერნიაში ირიცხებოდა უკვე 6.774 კომლი ხიზანი, რომლებიც ესახელენ *):

| | | | |
|---|---|---|---|
| თავად-აზნაურობის მიწაზე . | 5,893 | კომლი — ანუ | 85% |
| სახელმწიფო გლეხების „ | 141 | „ | 2,08 |
| აღალარისა და ბეგების. | 203 | | 3,00 |
| მოხელეების | 135 | „ | 1,99 |
| ამასთანავე დასახლების ხანი ასე განისაზღვრება: | | | |
| 0— 5 წლამდის სახლობდა. | 289 | კომლი—ანუ | 4,26% |
| 5— 10 | 660 | | 9,75 |
| 10— 50 „ | 4,430 | | 65,54 |
| 50—100-ზე ზევით | 763 | | 11,26 |
| ძირეული მცხოვრებნი | 530 | | 7,32% |
| უცნობი | 93 | | 1,37 „ |

*) იხ. Св Стат. данных по зем. вопр. стр. 15-18.

თუ მაზრებათ დავყოფთ ვამოვა, რომ ხიზნები უმეტესათ ცხოვრობენ გორის მაზრაში, სახელდობრ 3,222 კომლი ანუ 48% საერთო რიცხვისა. ყველაზე ნაკლები ცხოვრობს სიღნაღის მაზრაში, რაც შეეხება ახალციხის და ახალქალაქი მაზრებს, იქ ხიზნები სულ არ არიან. გარდა ამისა ზევით მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ 1882—95 წლებში ხიზნების 86% სახლობდა ათ წელზე მეტს ერთს და იმავე მიწაზე და მხოლოდ 4,26% დასახლების ხანს არ აღემატებოდა 5 წელს. საინტერესოა ვიცოდეთ, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხიზნების რიცხვმა იკლო თუ იმატა. ამაზე გადაჭრილ პასუხს იძლევა 1890 წლის ცნობები, შეკრებილი თბილისის გუბერნიის მომრიგებელ შუაკაცთა მიერ. აქედან სჩანს, რომ თბილისის გუბერნიაში ხიზნების რიცხვი თანდათან იზრდება და ძლიერ მომეტებულათაც იზრდება. მაგალითად: თუ ავიღებთ მარტო გორის მაზრას გამოვა, რომ 1890 წელს იქ ირიცხებოდა უკვე 7,148 კომლი ე. ი. 3,926 კომლი ანუ 116% მეტი ამ ერთ მაზრაში, და 378 კომლი ანუ 5,52% მეტი, ვინემ მთელ თბილისის გუბერნიაში. სხვა მაზრების შესახებ არა გვაქვს ასეთი ცნობები, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იქაც ხიზნების რიცხვს უნდა მოემატებინოს, თუმცა არა იმ ზომამდე, როგორც გორის მაზრაში. გადავიდეთ ახლა იმაზე, თუ მიწაადგილის მხრივ როგორ არიან უზრუნველყოფილი თბილისის გუბერნიის ხიზნები. სამოსახლო ადგილის შესახებ 1882—4 წლებში ხიზნები ასე გაიყოფოდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 0— 600 | ოთხკუთხედი საჟ. ჰქონდა | 5,193 | კომლს ანუ 76,65% |
| 600—1,200 | „ „ | 913 | 13,49% |
| სრულებით არ ქონდა | სამოსახლო მიწა | 597 | „ „ 8.82% |

საერთო სამოსახლო მიწა ჰქონდა ხიზნებს სულ 982 დესიატინა ანუ საშუალო რიცხვით კომლზე მოდის 386 ოთხკუთხედი საჟენი; მაგრამ, როგორც ვიცით, ეს თანასწორად კი არ არის განაწილებული; პირიქით, 597 კომლს სულ არ ქონებია სამოსახლო მიწა, 5,193 კომლს ჰქონდა 600 ოთხკუთხედ საჟენამდის და მხოლოდ 913 კომლს 600—12 ოთხ-კუთხ საჟენამდე; შემდეგ ცხრილი გვეუბნება თუ რამდენი სახნავ-სათესი და საენახე მიწა აქვთ ხიზნებს თბილისის გუბერნიაში, და თუ როგორ არის განაწილებული ეს მიწა მცხოვრებთა შორის.

სახნავ-სათესი მიწა—27,440 დესიატინა ანუ თითეულ კომლზე მოდის 4 დესიატინა 1522 ოთხკუთხ. საჟ. ეს მიწა ასე იყო განაწილებული.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1,586 | კომლს ანუ | 22,41% | აქვს 0 — 2,—5 დესიატინა, |
| 2,966 | „ | 43,80 „ | „ 2,— 3,—5 |

1,369 20,21 „ 5,—25, — და ზევ. „
782 „ „ 11,54 არა აქვს სულ სახნავი მიწა.

სავენახე მიწა არის სულ 148 დესიატინა ანუ საშუალო რიცხვით თითო კომლზე 614 ოთხ. კუთხ. საჟ.

ეს მიწა ასე განაწილებული:

367 კომლს ანუ 5,43% აქვს 0— 600 ოთხკუთხ. საჟ.
211 „ 3,11 „ 600—1,200 და ზევით.
6,125 „ „ 90,42 სულ არა აქვს სავენახე მიწა.

ამნაირად თბილისის გუბერნიაში ხიზნებს საშუალო რიცხვით მოსდის კომლზე 4 დესიატინა სახნავ სათესი მიწა; მაგრამ როგორც დავინახეთ, მიწა ხსენებული კატეგორიის გლეხებში ძლიერ მეტ-ნაკლებობით არის განაწილებული. 11,54 პროც. სულ არა აქვს სახნავ-სათესი_მიწა; 22,41% აქვს სულ მცირე რაოდენობა. სახელდობრ 2,5 დესიატინამდე ასე რომ 34%, 1882—4 წლებში მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება სამოსახლო და სავენახე მიწებს, ამათი რაოდენობა ისე მცირეა და უმნიშვნელო, რომ ესენი ანგარიშში მისაღები არ არის. რაც შეეხება ხიზნების ვალდებულებას მემამულეთა წინაშე მიწით სარგებლობისათვის, ეს მრავალგვარია: ხიზნები მოვალენი არიან არა მარტო მიწის ღალა და კულუხი, არამედ თავისი პირადი შრომითაც და სხვადასხვა გვარი შინაური ნაწარმოებითაც, როგორც მაგალითად: ერბო, ყველი და სხვა და სხვა. მიწის ღალა მოსავლის მეოთხედს შეადგენს, მაგრამ ზოგან მეტია და ზოგან ნაკლები; კულუხი უმეტეს ნაწილად მოსავლის ნახევარს უდრის. 1882—4 წლის ციფრები საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა და რა წოდების ხალხიდან იკრიბებიან ხიზნები. უმეტესობას შეადგენენ სახელმწიფო გლეხები ე. ი. 5463 კომლი ანუ 80,65% საერთო რიცხვისას; შემდეგ დროებით ვალდებული გლეხები—865 კ. ანუ 12,76% ორივე ეს კატეგორია კი—93,41%. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიის ხიზნებს, 1882—4 წლებში ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა სულ 2,460 კ. ხიზანი, რომელთაც ქონდათ: სამოსახლო მიწა, სულ 945 დესიატინა, ანუ საშუალო რიცხვით თითო კომლს 0,40 დესიატინა. ეს მიწა ასე იყო განაწილებული ხიზნებში: 351 კომლს ანუ 14,36% ქონდა 600 ოთხკუთხი საჟ.; 2,052 კომლს ანუ 83,96% 600 და მეტი ოთხკუთ. საჟ.; ხოლო 41 კომლს ანუ 1,68% სრულებით არ ქონებია სამოსახლო მიწა. ამავე გლეხებს სახნავ-სათესი მიწა ქონდათ სულ 4,555 დესიატინამდე

ანუ კომლზე საშუალო რიცხვი 2,24 დესიატინა. მაგრამ უმეტესობას ჰქონდა ამის საშუალო ზომაზე ნაკლები; ამნაირად 1,193 კომლს ანუ 48,81% ჰქონდა 0—2,5 დესიატინამდე; 620 კომლს ანუ 25,37%— 2,5—5 დესიატინამდე; მხოლოდ 215 კომლს, ანუ 8,80% ჰქონდა 5—20 და ზევით დესიატინამდე. მაგრამ ამავე დროს 416 კომლს ანუ 17,02% სრულებით არ ქონია სახნავ-სათესი მიწა. რაც შეეხება საველნახე მიწებს სივრცით 614 დესიატინამდე, რომლებიც ხიზნების სარგებლობაში იყო ზემოთმოყვანილ ცნობების შეკრების დროს, ესე იგი 1882—4 წლებში, ამაზე ცნობები არა გვაქვს, არ ვიცით აგრეთვე სისწორით 1882—4 წლების შემდეგ ხიზნების რიცხვი როგორ შემცირდა თუ გამრავლდა ქუთაისის გუბერნიაში, ოფიციალური ცნობით *). მეოცე საუკუნის დასაწყისში ე. ი. თითქმის ოცი წლის შემდეგ ზემოთმოყვანილი ცნობების შეკრებისა ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა ორი ათასი კომლი (2000) ხიზანი, თუ ეხლა ყურადღებას მივაქცევთ იმ ვალდებულებათ, რომლებიც აწევთ თავზე ქუთაისის? გუბერნიის ხიზნებს მემამულეთა სასარგებლოთ, დავინახავთ, რომ გარდა იმ გვარ ვალდებულებათა, რომლებიც აწევთ თბილისის გუბერნიის ხიზნებს, აქაური ხიზნები კიდევ იხდიან მემამულეთა სასარგებლოდ გადასახადს ფულით, რაც 1882—4 წლებში აღწევდა 10,471 მანეთს ე. ი. კომლზე საშუალო რიცხვით მოდიოდა 4 მანეთი 18 კაპ. აქედან აშკარაა, რომ ხიზნების მდგომარეობა საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში უფრო გაჭირვებულია, ვინემ თბილისის გუბერნიაში. მაგრამ ყურადღებაში მისაღებია არა მარტო ეს უზომო ვალდებულებანი, რომლებიც აწევს ხიზნებს, როგორც ქუთაისის, ისე თბილისის გუბერნიებში, არამედ უმეტესად ის გარემოება, რომ, როგორც ჩვენ დავინახეთ, ხიზნების მდგომარეობა არაფრით არ არის განსაზღვრული, არაავითარი კანონი მათ არ იცავს მემამულეს თვითნებობისაგან, რომელსაც ყოველ წამს შეუძლია მოუმატოს გადასახადი და თითქმის სრულებით გააძევოს ხიზანი იმ მიწა-ადგილიდან, რომელიც მას ათი და ასი წლის განმავლობაში თავისი ოფლით გაუნაყოფიერებია **).

*) Доклад Кут. Губ. Пом. губер. 30.

**) ხიზნების უნუგეშო მდგომარეობა იძულებულია იცნოს თვით ოფიციალურმა ორგანომაც. აი რას ვკითხულობთ Доклад-ში: „მივიღებთ რა მხედველობაში იმ ვალდებულებათ, რომლებითაც დატვირთულნი ხიზნები, და იმ გარემოებას, რომ ისინი სრულებით უბრუნველყოფილნი არ არიან მემამულეთა თვითნებობისაგან, არ შეიძლება არ მივიდეთ იმ დასკვნამდის, რომ ხიზნები უნდა მიეწეროს დროებით-ვალდებულ გლეხებს". ეს მართალი არ არის: დროებითი ვალდებული გლეხები შედარებით უფრო კარგ პირობებში იმყოფებიან.

## V. რ ა ი ა ტ ე ბ ი.

ამიერ-კავკასიის გლეხკაცობა, როგორც ზევით ვამბობდით, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ პირობების გამო, მეტად სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან შესდგება. ზევით ჩვენ დავახასიათეთ ის ელემენტები, რომლებიც გარდა იმისა, რომ უფრო უმრავლესობას წარმოადგენენ, უფრო ცნობილია, მაგრამ არის კიდევ სხვა ელემენტებიც, რომლებიც რიცხვით ზოგიერთ ზევით აღნიშნულ ელემენტებზე ნაკლები არიან, მაგრამ, რომელთაც ჩვენ ნაკლებათ ვიცნობთ. ასეთებია მაგალითად: დაღესტანის ოლქში ეგრედ წოდებული უნდენები, 1886 წლის ცნობებით 106,536 კომლი ანუ 490,643 სული ირიცხებოდა, რომელთა შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს; ასეთებია, ეგრედ წოდებული მიულიკა და ხედვრის გლეხები ერევნის გუბერნიაში (1886 წლის დამლევს 6685 კომლი და 44928 სული), რომლებთა უფლება ისევე განუსაზღვრელი და გამოურკვეველია, როგორც დროებით ვალდებულ ხიზანთა უფლებები. მაგრამ ჩვენ აქ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ რაიატების მდგომარეობას; რაიატები ცხოვრობენ დაღესტანის ოლქში, კატაგი, კამასარანის მაზრაში. 1886 წლის ცნობებით ირიცხებოდა 14582 კომლი ანუ 78112 სული. აი როგორ ასურათებს რაიატების თანამედროვე მდგომარეობას გაზეთ ბაქოს „უწყებების“ თანამშრომელი: „ვინ იფიქრებდა, რომ დაღესტანში აქამდის არსებობს ბატონყმობა? მაგრამ ეს კი ასეა, რაიატები არა თუ მუშაობენ თავის მებატონეთა (ბეგები) სასარგებლოდ, არამედ იმდენად დაძაბუნებულან, რომ არც კი ფიქრობენ უკეთეს მომავალზე. ეს უბედურები სრულიად დამოკიდებული არიან ბეგებზე... რაიატები არ ცხოვრობენ ბეგებთან, ვინაიდან ბეგები შეძლებული ხალხი არ არიან; სამაგიეროდ იმათ აწევთ კისერზე ათასგვარი ვალდებულებანი ბეგების სასარგებლოდ. ისინი აძლევენ ბეგებს გადასახადს ფულით და ყოველგვარ ნაწარმოებით. რაიატები მეტის მეტათ მშვიდი და წყნარი ხალხია, რაც ხელს უწყობს ბეგებს იმათ დასამორჩილებლად; ხშირად ხდება ხოლმე, როცა გაცხარებულ ყანების მუშაობით რაიატების სოფელში მოვარდება მხედარი და მოხუცებულებს ძალას ატანს ბეგის ყანებში მუშაობაზე... ყოველგვარი დავა აქ ირჩევა ადათების მიხედვით, და ადათები კი ბეგების სასარგებლოდ არიან შედგენილნი... ამ ჟამად ბეგების მეცადინეობა მიმართულია იმისაკენ, რომ რამენაირათ ჩაიგდონ ხელში ის მიწები, რომლებიც რაიატების ხელში იმყოფება; ამას კიდევაც მიაღ-

წიეს *)... ერთი სიტყვით აქ ნამდვილი ბატონყმობაა. სწორედ ეს გარეგმოება აქვს მხედველობაში ბატონ სააკოვს, როდესაც ამბობს, რომ რაიატების მდგომარეობა არაფრით არ განირჩევა ყმისაგან". მაგრამ მისი შემდეგი სიტყვებიდან გამოდის, რომ რაიატები ვითომც წინეთაც უბედური ყოფილიყვენ. „ისინი (რაიატები) აქამდის იმავე ვალდებულებათ უსრულებენ ბეგებს და იმავე ზომით, როგორც ეს ბატონყმობის დროს იყოო". მაგრამ ეს მართალი არ არის, რადგანაც წინათ რაიატები არასოდეს ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდენ. აი რას ამბობს ამის შესახებ სახელმწიფო გლეხების მდგომარეობის მკვლევარი ი. ბახტაძე: „შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდენ ეგრედ წოდებული რაიატები, რომლებიც ცხოვრობდენ, როგორც თავისუფალი სოფლის საზოგადოებანი და, რომლებიც ვალდებული იყვნენ განსაზღვრული ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილი გადასახადი და ბეგარა ეხადნათ. ეს გადასახადი არა თუ არ იყო თვითნებობაზე დამყარებული, არამედ იმის გაწერის დროს მხედველობაში უსათუოდ უნდა მიღებული ყოფილიყო გადამხდელთა ეკონომიური კეთილდღეობა. ხანს შეეძლო გაეცა რაიატების სოფელი იმისთვის, ვინც მას სურდა, მაგრამ იმნაირი პირობით, რომ მცხოვრებთა პირადი თავისუფლება არ შეეიწროებულიყო. წინაალმდეგ შემთხვევაში რაიატებს ნება ჰქონდათ ეჩივლათ ხანთან დროებით მფლობელის ასალაგმავათ".

აქედან აშკარაა, რომ ბატონყმური ურთიერთობის ხსენებაც კი არ ყოფილა რაიატებში. და ის, რაც დღეს იმათში ხდება, ეს სულ ახლად შემოღებულია: ე. ი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბეგები და აღლარები მიწათმფლობელებათ იქმნენ ცნობილნი ძველი მებატონეთა უფლებით. დაღესტანის მიყრუებულ ადგილებში ცხოვრებამ, წარმოების განუვითარებლობამ და ხალხის სიბნელემ ხელი შეუწყვეს, რომ ბატონ-ყმურ მიდრეკილებათ აქ თანდათან გაედგა ფესვი, ჩვენც მე-20-ცე საუკუნის დასაწყისში, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ რუსეთში ბატონ-ყმობის გაუქმებისას ვართ მოწამენი ბატონ-ყმობის ურთიერთობის არსებობის ამიერ-კავკასიაში სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ფორმით.

*) მოყვანილია ჟურ. „Образование" 1903 წ. № II.

## დ ა ს კ ვ ნ ა.

ჩვენ კარგათ ვგრძნობთ, რომ ზეითი ნათქვამი საესებით არ ახასიათებს ამიერ-კავკასიის გლეხკაცობას, მაგრამ ერთი საერთო დასკვნის გამოყვანა აუცილებელია. ეს დასკვნა ამნაირია: ამიერ-კავკასიაში საერთოდ გლეხკაცობის მდგომარეობა არა თუ გამოურკვეველი და განუსაზღვრელია, არამედ მას ჯერ არ ღირსებია ის მცირე რეფორმებიც, რომლებიც შიდა გუბერნიების გლეხკაცობის მდგომარეობას შეეხო. ამიტომ თუმცა ჩვენშიაც გაუქმდა ბატონ-ყმობა და გლეხი პირადათ დამოუკიდებელი შეიქნა, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებათა, განზრახვათა და შეხედულებათა წყალობით ბატონ-ყმობა ჩვენში დღემდისაც დაცულია. მესაკუთრე გლეხები, რომლებიც შედარებით ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან თავისუფალი არიან, ამიერ-კავკასიაში შედარებით ძლიერ მცირე ნაწილს შეადგენენ. უმეტესობას შეადგენენ სახელმწიფო გლეხები, რომელთა მდგომარეობა არაფრით არ არის განსაზღვრული და გაწესრიგებული, რაც უზრუნველყოფდეს მათ მომავალში *).

რაც შეეხება დროებით ვალდებულ გლეხებს, ხიზნებს, სახელმწიფო გლეხებს, დასახლებულ კერძო მემამულეთა მიწებზე, რაიატებს და სხვების იმათი იურიდიული მდგომარეობა თითქმის არაფრით არ განირჩევა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან.

ამნაირად ამიერ-კავკასიის გლეხკაცობა მეოცე საუკუნის დასაწყისში საჭიროებს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უწინარეს ყოვლისა ხელახალ რეფორმას.

საერთოდ ამიერ-კავკასიის ხუთ გუბერნიაში დაახლოვებით გლეხკაცობის 457,167 კომლს სარგებლობაში ირიცხება 4,864,280 დესეტინა მიწა ანუ საშუალო რიცხვით კომლზე 10,42 დესეტინა.

სხვა და სხვა კატეგორიის გლეხკაცობაში და სხვა და სხვა გუბერნიებში, როგორც საერთო რიცხვით, ისე თითო კომლზე მიწის რაოდენობა ძლიერ რყევაშია. ასე მაგალითად: მაშინ, როცა ოთხ გუბერნიას სახელდობრ; თბილისის, ერევნის, განჯის და ბაქოს გლეხკაცობა საშუალო რიცხვით კომლზე მოსდის 12,30—15,46 დესეტინა, ქუთაისის გუ-

*) ამას აღიარებს თვით ოფიციალური ორგანო: „განიხილა რა სამეურნეო მოქმედება სახელმწიფო გლეხთა და განსაკუთრებით სამხედრო გამგეობაში მყოფ ოლქებისა, კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთი იმ პირველ მიზეზთაგანათ, რომელიც იწვევს მეურნეობის განუვითარველობას, არის მიწის მფლობელთა განუსაზღვრელობა და გამოურკვეველობა, რაც იწვევს შიშს მომავალისათვის“. Доклад госуд. 30-1.

ბსრნიის გლეხკაცობას კომლზე მოდის საშვალო რიცხვით მხოლოდ 2,86 დესეტინა. ქუთაისის შემდეგ თბილისის გუბერნიის გლეხკაცობას ეტყობა მიწის სივიწროვე; მართალია, საშვალო რიცხვით აქ საერთოდ გლეხკაცობას 12,39 დესიატინა მოსდის კომლზე, მაგრამ თუ ავიღებთ გლეხკაცობის სხვა და სხვა კატეგორიებს, მაშინ ასეთ შესამჩნევ განსხვავებას დავინახავთ; თბილისის გუბერნიის გლეხკაცობაში თითო კომლზე მოდის;

| | | |
|---|---|---|
| სახელმწიფო გლეხებს | | |
| სახაზინო მიწაზე | 17,90 | დესიატინა. |
| კერძო მემამ. მიწაზე . | 7.47 | |
| დროებით ვალდებულ გლეხებს . | 2,42 | |
| მესაკუთრეებს . | 21.03 | |
| ხიზნებს. | 4,05 | „ |

თუ აქედან გამოვრიცხავთ მესაკუთრე გლეხებს, რომლების შესახებ ცნობები სრულებით სანდო არ არის, გამოვა, რომ მხოლოდ სახელმწიფო გლეხებს სახაზინო მიწაზე მოსდის საშუალო რიცხვით 17,90 დესიატინა. დანარჩენ კატეგორიას კი ძლიერ მცირე მიწა აქვს თავის სარგებლობაში. ასე რომ ამ მხრით დიდათ უახლოვდებიან ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობას. მეორეს მხრით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარამოებასაც, რომ თბილისის იმ სახელმწიფო გლეხებში, რომლებიც სახაზინო მიწებზე სახლობენ, გერმანულ კოლონისტთა და რუსის გლეხებს უჭირავთ კომლზე საშუალო რიცხვით 24,65 დესიატინა, (გერმანულ კოლონისტებს 27,59 დესიატინა, რუსის გლეხებს 21,71 დესიატინა). მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ადგილობრივ გლეხებს, რომლებიც დიდ უმრავლესობას შეადგენენ, საერთო რიცხვით კომლზე 17,90 დესიატინაზე ბევრად ნაკლები უნდა მოდიოდეს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ამიერ-კავკასიის ხუთი გუბერნიის გლეხკაცობის სარგებლებაში ამ ჟამად არის დაახლოვებით 4,864,280 დესიატინა მიწა ე. ი. 21,09 პროცენტი ხსენებულ ხუთი გუბერნიის მთელი ტერიტორიასა, რომელიც დაახლოვებით უდრის 15,642,415 დესეტინას, მაგრამ ამ 4,864,200 დესიატინიდან მხოლოდ მცირედი ნაწილი, ე. ი. 342,372 დესიატინა ე. ი. 7,04 პროცენტის განკარგულება მფლობელთა მიერ ცოტათ თუ ბევრად უზრუნყელყოფილია, ვინაიდან ეს მიწები შეადგენენ მესაკუთრე გლეხების სრულ საკუთრებას. დანარჩენი მიწები ანუ 4,521,908 დესიატინა, ე. ი. 92.96%, რომლებიც ეკუთვნის სხვა და სხვა კატეგორიის სახელმწიფო გლეხებს დროე-

ბით ვალდებულ და ხიზნებს არაფრით განსაზღვრული და გაწესრიგებული არა არის, და არც ერთი იმათი დღევანდელი მფლობელი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ხვალ მას არ აყრიან იმ მიწიდან, რომელსაც იგი რამოდენიმე თაობის ხნის განმავლობაში ფლობა და ეპოხიერებდა. ამ მიწების სარგებლობისათვის გლეხები იხდიან ღალას და სხვადა სხვა ბეგარას, რომელიც თანდათან მაღლა იწევს, რამდენადაც მრავლდება მემამულეთა მოთხოვნილება და რამდენად მიწის საჭიროება მეტი ხდება.

ამნაირად, ვინაიდან ამ მიწებზე მფლობელობის უფლება დღემდის არავითარი კანონით უზრუნველყოფილი არ არის, ამიტომ რა გასაკვირველია, რომ სამეურნეო გაუმჯობესება ჩვენში ძლიერ ნელი ნაბიჯი მიდის წინ, და უმეტეს შემთხვევაში იგა მამაპაპურ წეს ვერ გასცილებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გლეხკაცობა დღეს სრულებით ერთ მთელს არ წარმოადგენს, ასე რომ ის გარამეობა, რომ ამა თუ იმ გუბერნიაში ან გლეხკაცობას ამა თუ იმ კატეგორიაში საშუალო რიცხვით კომლზე მოდის 10 თუ 15 დესიატინა მიწა, ეს სრულებით არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, თუ ნამდვილად გლეხკაცობაში როგორ არის განაწილებული მიწა. რომ თანასწორად არ არის განაწილებული, ეს არავისთვის დღეს სადაო არ არის. მხოლოდ ის გარამეობა, თუ გლეხკაცობის რა ნაწილს არ ყოფნის მიწა ან სულ უმიწაწყლოდ არის დარჩენილი, და მეორე მხრით, რამდენს აქვს სამყოფი და რამდენს კიდევ იმაზე მეტი, რაც თავის სარჩენად უნდება, სამწუხაროდ ამ ფრიად საჭირო კითხვების გამოსარკვევად, გარდა იმისა, რაც ზევით იყო ნათქვამი, ჩვენში თითქმის არავითარი სწორი ცნობები არ მოიპოვება. ამისთვის საჭიროა მოვიყვანოთ აქ ისეთი ფაქტები, რომლებიც დაახლოვებით გვაჩვენებენ, თუ როგორ უნდა იყოს განაწილებული მიწები გლეხობაში. მოვიყვანოთ აქ შემდეგი ცნობები.

თბილისის გუბერნიის 941 სოფელში, რომლებშიც სახაზინო მიწებია, სახელმწიფო გლეხებს თითო კომლზე მოდის:

| | | |
|---|---|---|
| 20 სოფელში | 0— | 1 დესიატინა |
| 26 „ | 1— | 2 |
| 24 | 2— | 3 |
| 72 | 3— | 4 |
| 62 | 4— | 5 |
| 64 | 5— | 6 |
| 36 | 6— | 7 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 29 | სოფელში | 7— 8 | დესიატინა |
| 32 | „ | 8— 9 | |
| 32 | | 9— 10 | |
| 57 | | 10— 12 | |
| 34 | | 12— 14 | |
| 35 | | 14— 16 | |
| 31 | | 16— 18 | |
| 24 | | 18— 20 | |
| 65 | | 20— 25 | |
| 46 | | 25— 30 | |
| 79 | | 30— 40 | |
| 59 | | 40— 60 | |
| 39 | | 60—100 | |
| 52 | | 100—200 | |
| 5 | | 200—449 | |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ იმ სოფელთა გვერდით, რომლებშიაც კომლზე 0-1 დესიატინა მიწა მოდის, არიან ისეთი სოფლები, სადაც კომლზე მოდის 200—449 დესიატინამდე მიწა. ეს უკანასკნელნი მსხვილ მემამულეებათ უნდა ჩაითვალონ. საიდან არის გამოწვეული სახაზინო მიწების ეს უთანასწორო განაწილება სოფლებში და გლეხებში, ამის შესახებ ოფიციალური წყარო ჩვენ არაფერს გვეუბნება. მხოლოდ დაწვრილებით ადგილობრივი გამოკვლევა დაგვანახებდა ამ საინტერესო მოვლენის ნამდვილ მიზეზს.

შემდეგ ჩვენ ვტყობილობთ, რომ იმავე თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებს ამ 10—15 წლის წინად 2,034 სული მამობრივი სქესისა სრულებით უმიწაწყლოთ იყო დარჩენილი ე. ი. ნამდვილი სოფლის პროლეტარები იყო. თუ ამას მიუმატებთ იმ სოფლების სახელმწიფო გლეხებს, რომელთაც 0—1 დესიატინამდე მიწა ჰქონდათ, რაც იგივე უმიწობას ნიშნავს, მაშინ გამოვა, რომ 10—15 წლის წინად თვით სახელმწიფო გლეხებშიც, რომლებიც შედარებით სხვებზე უფრო უზრუნველყოფილი არიან მიწით, კაი ძალი ხალხი სოფლის პროლეტარებს ეკუთვნოდა. თბილისის გუბერნიის დანარჩენ გლეხებზე ამგვარივე ცნობები არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ დროებით ვალდებული გლეხთა და ხიზნების კომლზე საშუალო რიცხვით მოდის 2,42 და 4,05 დესიატინა მიწა. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობას, ყველანი ერთ-

ხმად აღიარებენ, რომ აქ მიწის დიდი სივიწროვეა გლეხკაცობაში, რასაც აშკარად მოწმობდენ ჩვენ მიერ ზევით მოყვანილი ცნობები ყველა კატეგორიის გლეხკაცობის შესახებ. მაგრამ დღემდის არაფის უცდია იმის გამორკვევა, თუ რა სახით ან რა ზომამდეა მიწის სივიწროვე ქუთაისის გუბერნიაში. ეს გამოკვლევა ჩვენ აშკარად დაგვანახვებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობის უმეტეს ნაწილს თანდათან ეცლება ხელიდან მიწა-წყალი და პროლეტარებად ხდება. გარდა იმ ცნობებისა ქუთაისის გლეხების შესახებ, რომლებიც ზევით მოვიყვანეთ, ჩვენ გვაქვს ამ გუბერნიის ერთი მაზრის საგლეხო მიწათმფლობელობის დაწვრილებითი ცნობები, შეკრებილი 1893 წელში, საფილოქსერო დასის მოხელეთა მიერ, რაც ძლიერ სარწმუნოდ უნდა მივიღოთ. აი რას გვეუბნება ეს ცნობები:

| გლეხთა კატეგორიები. | რიცხვი კომლთა | მიწა დესიატინებათ. | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ნადელში მიცემ. | ნაყიდი | სულ. | თითო კომ. საშ. რიცხვი. |
| სახელმწ. ნადელიანი. გლეხებს. | 4,999 | 15,013 | 1,468 | 16,481 | 3,29 |
| სახელმწ. გლეხებს უნადელ. დარჩენილთ | 429 | 12 | 1,362 | 1.374 | 3,20 |
| დროებით ვალდებულთ | 5,766 | 12,532 | 4,710 | 17,250 | 3,00 |
| მესაკუთრენი | 9,117 | 4,000 | 34,454 | 34,458 | 3,78 |
| ბოგანო ანუ უმიწაწყლოებს | 61 | — | — | — | — |
| საეკლესოთ | 266 | 870 | 179 | 1,049 | 3,93 |
| მეშჩანებთ. | 157 | 64 | 137 | 201 | 1,29 |
| ვაჭრებს | 91 | 61 | 229 | 290 | 3,18 |
| სულ. | 20,886 | 28,556 | 42,547 | 71,103 | 3,40 |

როგორც აქედან ვხედავთ, შორაპნის მაზრაში 20,886 კომლიდან 61 სრულებით უმიწაწყლოდ არის დარჩენილი; დანარჩენს აქვს სულ 71,103 დესიატინა მიწა ანუ საშუალო რიცხვით კომლს—4,40 დესიატ.; აქედან 28,556 დეს. ანუ 40,16% სანადელო მიწა არის; დანარჩენი—42,547 დეს., ე. ი. 49,84% ნაყიდი; აქედან უმეტესი ნაწილი 34,454 დეს. ეკუთვნის მესაკუთრე გლეხებს, თუმცა საშუალო რიცხვით შორა-

ბნის მაზრაში თვითეულ გლეხის კომლს მოსდის 3,40 დეს., ე. ი. ბევრად იმაზე ნაკლები, რაც საჭიროა საშუალო ოჯახისათვის თავის სარჩენად. მაგრამ ნამდვილად კი უმეტესობას ამ საშუალო ნორმაზე ბევრად ნაკლები მოდის. შემდეგი ცხრილი გვაჩვენებს, თუ როგორ არის განაწილებული მიწა-ადგილი შორაპნის გლეხებში. შორაპნის მაზრაში ქონებია მიწა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 0 — $^1/_2$ | დეს. | 808 კომლს. ესე იგი | 3,90% |
| $^1/_2$ — 1 | | 1,673 „ | 8,02 |
| 1 — $1^1/_2$ | | 2,580 | 12,38 „ |
| $1^1/_2$ — 2 | | 2,716 | 13,02 „ |
| 2 — 3 | | 4,419 | 21,20 „ |
| 3 — 4 | | 3,030 | 14,54 „ |
| 4 — 5 | | 1,871 | 8,98 „ |
| 5-დან და მეტი | | 3,630 | 17,40 „ |
| სულ . | | 20,825 | 100,00 „ |

ამნაირად ნახევარზე მეტს ანუ 58,52% გლეხებისას შორაპნის მაზრაში აქვს მიწის ნაწეკვები, ე. ი. სამ დესიატინამდის; ამასთანავე ერთ დესიატინამდის აქვს 11,92%, ერთიდან სამ დესიატინამდე 46,60%, მხოლოდ 17,40% აქვს იმდენი მიწა-ადგილი, ე. ი. 5 დეს. ზევით, რამდენიც თავის სარჩენად ეყოფა. დანარჩენი ნაწილი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ სიტყვით ითვლება მიწის მფლობელებათ, მართლა კი ნამდვილი ბოგანოა, ე. ი. უმიწაწყლო, ვინაიდან თავის სარჩენად იგი იძულებულია ან იჯარით აიღოს მიწა და ან წავიდეს გარეთ საქმიანობაზე.

სამწუხაროდ დანარჩენ მაზრების შესახებ არა გვაქვს ამგვარი ცნობები, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ რაც შორაპნის მაზრაში ხდება, იგივე ხდება დანარჩენ მაზრებშიაც. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ოზურგეთის მაზრაზე, სადაც მიწის სივიწროვე გლეხობაში უკიდურეს ხარისხამდეა.

დასასრულ აღვნიშნავთ აქვე, რომ ქუთაისის გუბერნიაში ხიზნების უმრავლესობას, ე. ი. 1,193 კომლს აქვს 0—2,5 დესიატინამდე, ე. ი. ბევრად იმაზე ნაკლები, რაც ოჯახის სარჩენად არის საჭირო; იმავე დროს 416 კომლს არ ქონდა ცნობების შეკრების დროს სახნავ-სათესი მიწა, 41 კომლს კი არ ქონებია სამოსახლოც კი.

ამნაირად გლეხობის უმრავლესობა ან სრულებით უმიწა-წყლოთ არის დარჩენილი, ან და იმოდენა მიწა შერჩენია, რომ ამით თავს ეტ-

კვილებენ. ოჯახს კი ან ქირაზე მუშაობით არჩენენ და ან მიწის იჯარით აღებით. რაც დრო გადის და ხალხი მრავლდება, სოფლის ხალხის მეტ ნაწილს სულ უფრო და უფრო ეცლება ხელიდან მიწა და ამასთანავე სულ უფრო და უფრო მეტს საჭიროებათ ხდება, ერთი მხრით, იჯარით მიწის აღება და, მეორე მხრით, გარეთ საქირაოზე წასვლა.

სოფლის ხალხის უმიწა-წყლოთ დარჩენას, გაპროლეტარებას არ შეეძლო ძილიდან არ გამოეყვანა ერთი ჯურის „მამულისშვილები", რომელთა რიცხვი ყოველგან ბევრია და რომლების გონება მეტად შეზღუდულია. ამასთანავე ჩვენს „მამულიშვილებს" მიაჩნიათ გლეხკაცობა ერთ მთელ წოდებათ, რომელშიაც დღეს არავითარი კლასობრივი წინააღმდეგობა არ არსებობს და თუ მიწის მხრით უთანასწორობაა. ეს მხოლოდ შემთხვევითი მოვლენაა, რის თავიდან აცილება შეიძლება საგლეხო ბანკის, საიჯარო მრეწველობის და სამეურნეო ტეხნიკის გაუმჯობესებით *). ამნაირად ოცნებობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც სინამდვილეზე, ე. ი. დღევანდელ ეკონომიურ პირობებზე, არავითარი წარმოდგენა არ აქვს და იმავე დროს თავი მეტად გატენილი აქვს სხვა და სხვა თეორიებითა და განყენებული ფრაზებით.

---

*) ასეთ საშუალებას იძლევა ამ ბოლო დროს ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი [14]) (იხ. მისი Малозем. среди кр. Закавк. და წერილი „შოამბეში" I, 1904 წ.).

# სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა ამიერ-კავკასიაში.

იმას, თუ როგორი იყო და არის დღეს გლეხკაცობის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და საერთოდ გლეხური მიწათმფლობელობა ამიერ-კავკასიაში, ჩვენ ცალკე წერილში შევეხეთ. ახლა კი აქ საჭიროა თავად-აზნაურობისა და საზოგადოთ უფლება-მოსილ წოდებათა მიწათმფლობელობის გამორკვევა, რამდენათაც კი ეს შესაძლებელია.

ოფიციალური ცნობებით (იხ. Свод стат. данных) ამიერ-კავკასიის ხუთ გუბერნიაში უფლება-მოსილ წოდებათა მიწების რაოდენობა შედარებით გლეხკაცობისა და ხაზინის საკუთრებასთან წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში (იხ. გვ. 69).

უმთავრესი ნაკლულევანება მოყვანილი ცხრილისა ის არის, რომ აქ არ არის ნაჩვენები ქალაქის მცხოვრებლების და ვაჭრების მიწის რაოდენობა. ეჭვი არ არის, რომ ამ უკანასკნელთა მიწების რაოდენობა გლეხების მიწებათ არის ნაჩვენები; ეს გარემეობა კიდევ უფრო ამცირებს საერთო საგლეხო მიწათმფლობელობას ამიერ-კავკასიის დასახელებულ ხუთ გუბერნიაში. თუ ამ ნაკლულევანებას აუცილებელ სტატისტიკურ გამოკვლევათა დღევანდელ მდგომარეობაში გვერდს აუვლით, მოყვანილი ცხრილი ასეთ დასკვნას იძლევა:

1) ამიერ-კავკასიის დასახელებულ ხუთ გუბერნიაში ეკუთვნის:

| | | |
|---|---|---|
| ხაზინას. | . | 51,15% მთელი ტერიტორიისა |
| თავად-აზნაურობას. | | 17,93 „ „ |
| გლეხკაცობას | . | 30,92 „ „ „ |

2) მაგრამ, როცა განვიხილავთ ცალ-ცალკე თითეულ გუბერნიას, მაშინ ეს საერთო სურათი იცვლება; მაშინ, როცა ერთ გუბერნიაში ჭარბობს სახაზინო მიწა, მეორეში მეტია სათავად-აზნაურო, მესამეში კი საგლეხო მიწათმფლობელობა.

ამნაირად ყველაზე უფრო მეტი სახაზინო მიწა ირიცხება ბაქოს გუბერნიაში, ე. ი. 61,06% მთელი ტერიტორიისა. დანარჩენ გუბერნიებში ასე კლებულობს სახაზინო მიწა:

| გუბერნიები | იმყოფება სარგებლობაში. | | | | | | სულ რამდენი მიწაა დესიატინობით. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბაზრის დესიატ. რაოდენ. | % მთელი რაოდენობისა. | თავად-აზნაურობის დესიატ. რაოდენ. | % მთელი რაოდენობისა. | გლეხკაცობის დესიატინ. რაოდენ. | % მთელი რაოდენობისა. | |
| თბილისის | 1,574,483 | 40,09 | 1,260,406 *) | 32,09 | 1,093,021 | 27,82 | 3,927,910 |
| ქუთაისის ***) | 685,999 | 35,94 | 815,321 | 42,71 | 407,581 | 21,35 | 1,908,901 |
| ერევნის | 1,324,738 | 56,03 | 60,126 **) | 2,45 | 981,615 | 41,52 | 2,366,479 |
| განჯის | 2,275,833 | 57,54 | 440,798 | 11,22 | 1,235,154 | 31,24 | 3.951,785 |
| ბაქოს | 2,185,184 | 61,06 | 246,904 | 6,89 | 1,146,909 | 32,05 | 3,578,997 |
| სულ | 8,046,237 | 51,15 | 2,823,555 | 17,93 | 4,864,280 | 30,92 | 15,734,072 |

*) ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის ცნობებით, რომელიც თბილისის თავად-აზნაურობის სტატისტიკოსია, თბილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობას აქვს სულ 1,011,719 დესიატინა მიწა.

**) ეს ამოღებულია თბილისის სახაზინო პალატის ცნობებიდან „Раскладка пов. налога на трехлетие с 1894 г." უნდა შევინიშნოთ, რომ აქ მიღებულია მხედველობაში კარგი მიწა, ასე რომ ნამდვილად რამდენიმეთ ამაზე მეტი უნდა იყოს.

***) შვიდ მაზრაში: ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის, რომლებიც სამოქალაქო უწყებაში ითვლებიან.

| | |
|---|---|
| განჯის გუბერნიაში | 57,54% მთელი ტერიტორიის. |
| ერევნის | 56,03 |
| თბილისის | 40,09 |
| ქუთაისის | 35,94 |

ამნაირად ქუთაისის გუბერნიის ხაზინას უპირავს დანარჩენ გუბერნიებთან შედარებით ყველაზე უფრო ნაკლები მიწა. სამაგიეროდ, თავად-აზნაურობას ხსენებულ გუბერნიაში უპირავს უდიდესი ნაწილი, ე. ი. 42,71% მთელი ტერიტორიისა. დანარჩენ გუბერნიაში ასე კლებულობს თავად-აზნაურობის მამული:

| | |
|---|---|
| თბილისის გუბერნიაში. | 32,09% მთელი ტერიტორიისა. |
| განჯის | 11,22 |
| ბაქოს | 6,89 |
| ერევნის | 2,45 |

მაშასადამე, თავად-აზნაურობის მამული სივრცით უდიდეს ნაწილს შეადგენს ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი პირველში. უმცირეს ნაწილს—ერევნის გუბერნიაში, სადაც თავად-აზნაურობას ეკუთვნის მხოლოდ 2,45% მთელი ტერიტორიისა.

რაც შეეხება საგლეხო მიწათმფლობელობას, ამ მხრით პირველი ადგილი უპირავს ერევნის გუბერნიას, სადაც გლეხობის ხელშია დაახლოებით 41,52% მთელი ტერიტორიისა. დანარჩენ გუბერნიებში საგლეხო მიწათმფლობელობა ასე კლებულობს:

| | |
|---|---|
| ბაქოს გუბერნიაში. | 32,05% მთელი ტერიტორიისა. |
| განჯის | 31,24 |
| თბილისის | 27,82 |
| ქუთაისის | 21,35 |

ამნაირად ქუთაისის გუბერნიაში საგლეხო მიწათმფლობელობას უკანასკნელი ადგილი უპირავს. ამ მხრივ მას უახლოვდება თბილისის გუბერნია, სადაც გლეხობას უპირავს 27,82%. ეს გარემოება მეტად საგულისხმიეროა: სწორედ ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობას უპირავს მომეტებული მიწები, ვინემ დანარჩენ გუბერნიებში.

3) თუ თავად-აზნაურობის საერთო რიცხვს შეეუფარდებთ გლეხობის რაოდენობას ამიერ-კავკასიის ხუთ გუბერნიაში, მაშინ დავინახავთ, რომ თავად-აზნაურობა აქ შეადგენს 3,39% მცხოვრებთა საერთო რიცხვისას, ამათ ეკუთვნის 17,93% მთელი ტერიტორიისა; გლეხობა კი

ამავე გუბერნიებში ირიცხება 85,44%, მის ხელში კი არის 30.92% მთელი ტერიტორიისა. ეს ითქმის საერთოდ ყველა ხუთ გუბერნიის შ[illegible] სახებ. მაგრამ თუ ცალ-ცალკე ავიღებთ ამ გუბერნიებს, მაშინ ეს სურ[illegible] რათი რამდენიმეთ იცვლება, როგორც ეს შემდეგი ცხრილიდან სჩანს

| გუბერნიები | თავად-აზნაურობა | | გლეხკაცობა. | |
|---|---|---|---|---|
| | მცხოვ. საერთო რიცხვის %-და. | რამდ. მიწა უჭირავს % მთელ ტერიტორიაში. | % მცხოვრებელების. | მიწა %-ად. |
| თბილისის | 2,88 | 32,09 | 84,59 | 27,82 |
| ქუთაისის | 6,70 | 42,71 | 85,82 | 21,35 |
| ერევნის | 0,89 | 2,45 | 89,75 | 41,52 |
| განჯის | 3,37 | 11,22 | 85,86 | 31,24 |
| ბაქოს . | 2,00 | 6,89 | 81,26 | 32.05 |
| სულ : | 3,39 | 17,93 | 85,44 | 30,92 |

ამნაირად, დიდძალი მიწა ადგილი უჭირავს თავად-აზნაურობას ქუთაისის გუბერნიაში, სადაც იგი რიცხვითაც სჭარბობს დანარჩენ გუბერნიების უფლებამოსილ წოდებათ. როგორ მოსალოდნელი იყო, ამავე გუბერნიის გლეხობას, რომელიც 85,82% შეადგენს მცხოვრებთა მთელი რიცხვისას, უჭირავს მხოლოდ 21,35% მთელი ტერიტორიისა. როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ყველაზე უფრო მცირე რიცხვი თავად-აზნაურობისა არის ერევნის გუბერნიაში, სადაც ამ წოდებას ეკუთვნის შედარებით მცირე მიწა-ადგილი. რასაკვირველია აქ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ ზევით მოყვანილი ცნობები სწორი არ არიან, და ამასთანავე ისინი წარსულს ეკუთვნიან. ეჭვი არ არის, რომ დღევანდელ პიროობების გამოსახატავად აქ ბევრი ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი, მაგრამ დაახლოვებით მაინც შესაძლებელია იმ დასკვნათა მიღება, რომლებიც ზევით გამოვთქვით.

ასეთია საერთოდ სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა ამიერ-კავკასიის ხუთ გუბერნიაში: მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ თავად-

აზნაურობაში, ისე როგორც გლეხკაცობაში, თანასწორად როდია განაწილებული ის მიწები, რომლებიც საერთოდ მთელ თავად-აზნაურობას ეკუთვნის.

უფრო დაახლოებითი გაცნობა თავად-აზნაურობის მიწათმფლობებასთან ჩვენ დაგვანახვებს, რომ თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი მეტად წვრილ მესაკუთრეებს წარმოადგენს, მაშინ როცა უმცირესობას უპირავს დიდძალი მიწა-ადგილი.

განვიხილოთ ამ მხრით თითეული გუბერნია ცალ-ცალკე.

თ ბ ი ლ ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა. როგორც ნათქვამი გვქონდა, თბილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობას ეკუთვნის სულ 1,260,406 დესიატინა მიწა. ეს მიწები განაწილებულია სულ 3,330 ცალკე სამფლობელოდ.*) (владение). სულ 436 მამულია, რომელიც 380 დესიატინაზე მეტს შეადგენს. აქედან 16 მამული ანუ 3,50% არის ისეთი, რომლის სივრცე 10,000 დესიატინას აღემატება, ე. ი. რომლებიც მამულად უნდა ჩაითვალონ. ყველაზე ულმცირესი ამ მამულებში შეიცავს 11,135 დესიატინას, ყველაზე უდიდესი 68,661 დესიატინას. საერთოდ ამ 16 მამულის სივრცე უდრის 357,461 დესიატინის, ანუ 28,36% მთელი თავად-აზნაურობის მიწათ-მფლობელობისას თბილისის გუბერნიაში და 9,10% მთელი ამ გუბერნიის ტერიტორიისას. ეს 16 მამული ასია განაწილებული სხვა და სხვა მაზრებში:

ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს მ ა ზ რ ა შ ი არის ერთი, რომელიც უდრის 19,362 დესიატინას.

ბ ო რ ჩ ა ლ ო ს მ ა ზ რ ა შ ი — 7, რომლებიც საერთოდ შეადგენს 132,583 დესიატინას ანუ საშუალო რიცხვით თითო მამული შეადგენს 18,940 დესიატინას.

გ ო რ ი ს მ ა ზ რ ა შ ი—6, რომელიც საერთოდ შეადგენს 155,748 დეს. საშუალო რიცხვით ერთ მამულზე მოდის 25,941 დესიატინა.

დ უ შ ე თ ი ს მ ა ზ რ ა შ ი არის ერთი მამული, რომელსაც აქვს 23,000 დესიატინა და

თ ი ო ნ ე თ ი ს მ ა ზ რ ა შ ი ერთი, რომელსაც აქვს 15,000 დეს.

ამ უდიდეს მამულში საშუალო რიცხვით თვითეულს მოსდის 22,341 დეს. ამნაირად ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმფლობელობა გორის მა-

*) ბ. ფ. ბოგიჩაიშვილის ანგარიშით, რომელსაც დაუწყია და შეუმუშავებია ცნობები თბილისის თავად-აზნაურობის შესახებ, ხსენებულ გუბერნიაში სულ ყოფილი 4,701 თავად-აზნაურის მამული. ჩვენ მიერ მოყვანილი რიცხვი 3,330 ცალკე სამფლობელოს შეცვლა და არა თვით მემამულეთა რიცხვს, რაც, რა თქმა უნდა, ამაზე მეტი უნდა იყოს.

ზრაშია, სადაც ექვს მამულ უკირავს 155,748 დეს. მიწა ანუ საშუალო რიცხვით თითო მამულს 25,941 დესიატ. მეორე ადგილი უკირავს ბორჩალოს მაზრას, სადაც 7 მამულია ისეთი, რომლებიდანაც თვითეულს ათი ათას დესიატინაზე მეტი სივრცე აქვს, ერთად ყველას კი 132,583 დესიატინა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა განსხვავება უნდა იყოს თავად-აზნაურობის იმ ჯგუფთა შორის, რომელსაც უკირავს 0-2 დესიატინამდე და თუნდაც 2-20 დეს. ერთი მხრით და იმ 16 მემაულეთა შორის, რომელთაგან თვითეულს აქვს ათი ათას დესიატინაზე მეტი, მეორე მხრივ.

მოვიყვანოთ ახლა თანაბარი ცნობები ქუთაისის გუბერნიის შესახებ.

ქუთაისის გუბერნია. როგორც ვიცით, ქუთაისის გუბერნიაში თავად-აზნაურობას ეკუთვნის სულ 815,321 დესიატინა მიწა, ანუ 42,71% გუბერნიის მთელი ტერიტორიისა. ეს მიწა-ადგილი განაწილებულია 9,231 სამფლობელოდ, ე. ი. საშუალო რიცხვით თითო სამფლობელოს მოსდის 88,32 დესიატინა მიწა. გავშინჯოთ ახლა ნამდვილად, როგორ არის განაწილებული თავად-აზნაურობაში მიწა.

სულ მთლად 9,231 სამფლობელოა, რომელთაგან 4,877 ანუ 49,60% აქვს სივრცე მხოლოდ 0-8 დესიატინამდე, რაც მცირე მამულიან სამფლობელოდ უნდა ჩაითვალოს; 3,591 მამულს ანუ 42% აქვს 8-72 დესიატ., რაც საშუალო მიწის მფლობელობას უახლოვდება. დანარჩენი 772 მამული ანუ 8,4%, რომლიდანაც თითეულს აქვს 72 დესიატინაზე ზევით, მსხვილ მიწათმფლობელობას უნდა მივაკუთვნოთ. მაშასადამე, წვრილი საშუალო ზომის სათავად-აზნაურო სამფლობელო ქუთაისის გუბერნიაში სივრცით შეადგენს 8,468 მამულს, ანუ საერთო სივრცის 91,60% და მხოლოდ 772 მამული ანუ 8,4% აქედან ეკუთვნის მსხვილ მიწათმფლობელობას. მკითხველს ეგონება, რომ ქუთაისის გუბერნიაში სათავად-აზნაურო სამფლობელო სულ წვრილ მესაკუთრეთა შორის არის გაყოფილი, და საზოგადოთ აქ სუფევს წვრილი სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება.

თუ უკანასკნელი კატეგორიიდან, ე. ი. იმისაგან, რომელიც ჩვენ მივაკუთვნეთ მსხვილ მიწათმფლობელობას, გამოვყოფთ მხოლოდ ისეთ მამულებს, რომლების სივრცე აღემატება 380 დესიატინას, ე. ი. ავიღებთ უფრო მსხვილ მამულს, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ იმათი რიცხვი ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებში უდრის 261, ანუ 2,7% ყველა მამულების საერთო რიცხვისა. ამ 261 მამულს საერთოდ 533,719

დეს. უჭირავს. 815,321 დეს. მიწიდან, რომელიც ეკუთვნის 9,270 საკავად-აზნაურო სამფლობელოს, 533,719 დეს.. ე. ი. 65.40% განაწილებულია მხოლოდ 261 სამფლობელოს შორის; მაშასადამე, დანარჩენ 8,970 მამულს, ე. ი. 97,3% ეკუთვნის 281.602 დესიატ. მიწა. ე. ი. 34,60% თავად-აზნაურობის ყველა მიწებისა. ე. ი. მაშინ, როცა პირველ შემთხვევაში თითო მამულს საშუალო რიცხვით მოდის 2.045 დ. მიწა, უკანასკნელ შემთხვევაში თითო მამულს ერგება მხოლოდ 31.40 დესიატინა. ამიტომ როცა ჩვენ გვეუბნებიან. რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობაში წვრილი მიწათმფლობელობა არის გავრცელებული. ეს სიმართლეს მოკლებულია. აქ მსხვილ მიწათმფლობელობას უფრო აქვს გადგმული ფეხი, ვიდრე წვრილს. ის გარემოება, რომ წვრილ სამფლობელოთა რიცხვი ბევრად სჭარბობს მსხვილ სამფლობელოთა რიცხვს. წვრილ მიწათმფლობელობის გავრცელებას სრულებით არ ამტკიცებს; ეს მხოლოდ გვეუბნება. რომ რამდენიმე ათეულდე ბუმბერაზ მამულების გვერდით არსებობენ წვრილი მესაკუთრენი. და შეტს არაფერს. მეორე მხრით. თვით ამ წვრილ მესაკუთრეთა არსებობა და ბარობა იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ იმათ გვერდით არსებობენ მსხვილი ბუმბერაზი მესაკუთრენი. თუ 261 მამულიდან გამოვყოფთ უკანასკნელ კატეგორიას, ე. ი. იმას, რომელთაგან თითეულ მამულს 6000 დესიატინაზე მეტი სივრცე უჭირავს. მაშინ ჩვენ დავინახავთ შემდეგს: ერთი იმათგანი, რომელიც ეკუთვნის თ-დ კირ. დადიანს. არის სენაკის მაზრაში და შეიცავს 14,625 დესიატინას; ორი არის ლეჩხუმის მაზრაში. ერთი მათგანი ეკუთვნის თ-დ გრ. დადიანს (ახლა თ-დ მინგრელსკის მემკვიდრეს) და არის სივრცით 29,000 დეს.; მეორე თ-დ მინგრელსკის მემკვიდრეს, სივრცით 85,030 დესიატინა. ოთხი არის ოზურგეთის მაზრაში. რომელთაგან სამს აქვს თითეულს 7.000 დეს. და ერთს 9,373 დეს.; ყველა ესენი ეკუთვნის თ-დ გურიელს. დანარჩენი ორი იმყოფება ზუგდიდის მაზრაში, რომელთაგან ერთი არის 187,500 დეს. და ეკუთვნის თავად მინგრელსკის მემკვიდრეს და ერთიც სივრცით 9,988 დეს. თავად დადიანს.

ამნაირად 261 სამფლობელოთაგან მხოლოდ 9 სამფლობელოს, ე. ი. 3,45% უჭირავს სულ 355.516 დეს. ანუ 43,61%. ყველა თავად-აზნაურთა მიწებისაგან მთელ გუბერნიაში ანუ საშუალო რიცხვით. თითეული ამ 9 მამულთაგან უდრის თითქმის 40,000 დეს. შემდეგ თუ ამ 9 მამულიდან გამოვყოფთ ცალკე თ-დ მინგრელსკის სამფლობელოს, რო-

მელიც უდრის 272,530 დესიატინას (85,030 დესიატინა ლეჩხუმის მაზრაში და 187,500 დეს. ზუგდიდის მაზ.) და იმას მივუმატებთ 29,000 დეს., რომელიც დღეს იმავე მინგრელსკის სამფლობელოს ეკუთვნის. გამოვა, რომ ქუთაისის გუბერნიაში მარტო მემამულეს ხელშია ამ ჟამად 301,530 დეს. მიწა, რომელიც მართლაც ბუმბერაზი სამფლობელოა: მარტო ეს ერთი სამფლობელო უდრის 37% ყველა სათავად-აზნაურო მიწებისას ქუთაისის გუბერნიაში და 15,80% მთელი გუბერნიის ტერიტორიისას. ამას შემდეგ კიდევ გამოდიან ზოგიერთი ვაჟბატონები და ამტკიცებენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში წვრილი სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობაა. მაგრამ იმათ აშინებს ის გარემოება, რომ ამ ბუმბერაზ მემამულეთა გვერდით არსებობს დიდძალი თავად-აზნაურობა, რომელსაც მართლა სულ მცირე მიწა შერჩენია, ისე მცირე, რომ თავის გამოსაკვებათ უმამულო გლეხებსავით იძულებულია სხვის მიწაზე იმუშაოს და ან გარედ საქირაოზე წავიდეს. ამათი აზრით მსხვილი მიწათმფლობელობა მხოლოდ იქ არის, სადაც ყოველივე მემამულეს დიდძალი საკუთარი მიწა აქვს. მაგრამ განა ეს შესაძლებელია? მსხვილი მიწათმფლობელობა იქ არის, სადაც უმრავლესობას მცირეული ნაწილი შერჩენია ხელში და მხოლოდ უმცირესობის ნაწილში მოუყრია თავი უზარმაზარ ქონებას და სიმდიდრეს. ამ მხრით ქუთაისის გუბერნიაში სათავადაზნაურო მიწათმფლობელობა მსხვილი მიწათმფლობელობის ტიპიურ მაგალითს წარმოგვიდგენს.

| | 0—2 დესეტ. | 3—4 დესეტ. | 5—19 დესეტ. | 20—190 დესეტ. | 191—2000 დესეტ. | 2001—6000 დესეტ. | 6000 ზევით | ს ულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისის. | 320 | 243 | 704 | 1323 | 659 | | 24 | 3330 |
| % % | 9,56 | 7,28 | 21,12 | 39,92 | 19,75 | 1,67 | 0,70 | 100 |
| ქუთაისის. | 640 | 1,580 | 4,751 | 1,873 | 378 | 9 | 9 | 92,31 |
| % % | 6,92 | 17,13 | 51,48 | 20,29 | 4,08 | 0,05 | 0,05 | 100 |
| სულ. | 960 | 18283 | 5455 | 3196 | 1037 | 66 | 33 | 12561 |
| % % | 7,66 | 14,60 | 43,47 | 25,48 | 8,02 | 0,54 | 0,21 | 100 |

აქ საინტერესოა შევადაროთ სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თუმცა ქუთაისის გუბერნიაში თავად-აზნაურთა სამფლობელოების რაოდენობა ბევრად მეტია, მაგრამ იმ მამულთა რიცხვი, რომლების სივრცე 0—2 დეს. არის, ქუთაისის გუბერნიაში შედარებით ბევრად ნაკლებია, სახელდობრ ამნაირი მამულების რიცხვი თბილისის გუბერნიაში 9,56%, ქუთაისში კი 6,92%. სამაგიეროდ იმ მამულების რიცხვი, რომელთა სივრცე არის 3—19 დესიატინამდე, თბილისის გუბერნიაში 28,40%, ქუთაისის გუბერნიაში კი 68,61%. პირიქით, იმ მამულების რიცხვი, რომელთაგან თითეულს აქვს 20 დეს. მეტი, თბილისის გუბერნიაში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ქუთაისში; სახელდობრ: პირველში 62,04%, მეორეში კი მხოლოდ 24,47%, მაგრამ აქედან მიწათმფლობელობის ხასიათზე დასკვნის გამოყვანა ყოვლად შეუძლებელია, როგორც ეს ჩვენ ავღნიშნეთ. ამისათვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ თითეულ ჯგუფში რამდენი მიწებია მოგროვილი. ამას დაგვანახვებს შემდეგი ცნობები, სადაც ხსენებული ორი გუბერნიის სათავად-აზნაურო მიწები დაყოფილია სამ კატეგორიათ. პირველ კატეგორიას ეკუთვნის ის მიწები, რომლებიც გამოხატავენ ყველა იმ მამულების საერთო სივრცეს, რომლიდანაც თითეულს აქვს 380 დეს., მეორეს 380—6000 დეს., მესამეს 6000 დეს-ზე ზევით.

11,873 სამფლობელოს ანუ საერთო რიცხვის 94,45% აქვს სივრცე სულ 520,602 დეს., ანუ ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობის მიწების 27,18%, ე. ი. თითო სამფლობელოზე საშუალო რიცხვით მოდის 43,84 დეს. 664 სამფლობელოს ანუ 5,28% უჭირავს სულ 573,203 დეს. მიწა, ანუ 29,92%, ე. ი. თითო სამფლობელოს საშუალო რიცხვით 863,24 დეს., დასასრულ 33 სამფლობელოს ანუ 0,26% უჭირავს 821,722 დეს., ანუ 42, 90%, ე. ი. თითო სამფლობელოს საშუალო რიცხვით 24,901 დეს. აქ აშკარად იხატება მსხვილი მიწათმფლობელობის უტყუარი თვისებები. თუ ამ ორი გუბერნიის სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობას ცალცალკე გავსინჯავთ, ეს საზოგადო დასკვნა არსებითად იგივე რჩება, მხოლოდ კერძოობაში ეპოულობთ ზოგიერთ განსხვავებას. მაგალითად: ქუთაისის გუბერნიაში როგორც წვრილი მიწათმფლობელობა, ისე მსხვილი უფრო თვალსაჩინოდ, უფრო რელიეფურად არის გამოხატული. საერთოდ აქ თავად-აზნაურობაში წვრილი მფლობელობა უფრო დაკნინებულია, რაც იქიდან სჩანს, რომ 8979 სამ-

ფლობელოს ანუ 97,14% უპირავს სულ 281,602 დეს., ე. ი. 34,44% ანუ საშუალო რიცხვით თითეულ სამფლობელოს—31,36 დეს.; მაშინ. როცა თბილისის გუბერნიაში ამავე კატეგორიის სამფლობელოთ, რიცხვით 2894 ანუ 86,91% უპირავს 239,000 დეს. ანუ 21,74%, ე. ი. საშუალო რიცხვით თითეულს 83,6) დეს. თუ ახლა მეორე კატეგორიის სამფლობელოები ქუთაისის გუბერნიაში არის სულ 252, ანუ 27,2% რომელთაც უპირავთ სულ 179,203 დეს. ანუ 21,96% საშუალო რიცხვით 711,12 დეს., თბილისის გუბერნიაში კი ამ კატეგორიის სამფლობელოები არის 412, ანუ 12,36%, რომელთაც უპირავთ 344,000 დეს. მესამე კატეგორიის, ე. ი. იმათი, რომლების სამფლობელოთა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში არის სულ 9, ე. ი. 0,09%, რომელთაც უპირავთ 355,516 დეს. ანუ 43,60%, ე. ი. საშუალო რიცხვით 39,502 დეს., თბილისის გუბერნიაში ამ კატეგორიის სამფლობელოები არის 24, ანუ 0,73%, რომელთაც უპირავთ 466,206 დეს. ანუ 42,42%, ე. ი. საშუალო რიცხვით 19,425 დეს. საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ საშაულო რიცხვით ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყველა სამფლობელოზე მოდის 88,24 დესიატინა, თბილისისაზე კი 330 დეს.

ზოგიერთი ეპაბატონები თავიანთი დასკვნის გამოყვანის დროს, ვითომც ქუთაისისი გუბერნიაში წვრილი მიწათმფლობელობა იყოს, ემყარებიან ამაზე. დაწვრილებით განხილვამ და ანალიზმა ჩვენ დაგვანახა, თუ რამდენად უსაფუძვლო და შემცდარია ასეთი დასკვნა. ამნაირად, როგორც თბილისის, ისე ქუთაისის გუბერნიაში მეტის მეტად წვრილი და დაჭუცმაცებული მამულების გვერდით არსებობენ ძლიერ დიდი, თითქმის ნამდვილი ბუმბერაზი მამულები, რომლებიც სიერცით ბევრად ჭარბობენ პირველებს. ამიტომ დასახელებულ გუბერნიებში მიწათმფლობელობის მომეტებული ტიპი მსხვილი მიწათმფლობელობაა. ამით ჩვენ არა თუ უარს არ ვყოფთ იმ გარემოებას, რომ დასახელებულ ორ გუბერნიაში არსებობს ურიცხვი წვრილი მესაკუთრე, არამედ ჩვენ მიერ გაკეთებული ანალიზი ამ ფაქტს კიდევ უფრო აშკარად ჰყოფს.

სამწუხაროდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიწათმფლობელობის დასახასიათებლად ჩვენ გვაკლია ერთი მეტად საჭირო და უტყუარი საშუალება. ზევით წარმოდგენილი სურათი სათავადაზნაურო მიწათმფლობელობისა მხოლოდ მის სტატიკურ, გაჩერებულ მდგომარეობას წარმოგვიდგენს, მაგრამ ნამდვილად ხომ სამუდამოთ გაყინული არაფერია, არამედ ყოველივე მოძრაობს და იცვლება და ამი-

ტომ სტატიკის გვერდით საჭიროა დინამიკის განსაზღვრა, ე. ი. საჭიროა იმის ცოდნა, თუ დროებამის განმავლობაში რა ხდება ცხოვრებაში, რა ცვლილებებს განიცდის ესა თუ ის სოციალური მოვლენა. თავადაზნაურობის მიწათმფლობელობა რომ ცვლილებაშია, რომ თავადაზნაურობის მიწა-წყალი ერთი პირიდან მეორე პირის ხელში გადადის, ერთი მხრით, და თვით მემამულეც თანდათან ვალიანდება, მეორე მხრით, ეს დღეს ყველამ უწყის. ეძრძოთ რა ხდება თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო მიწათმფლობელობაში: კლებულობს თუ მატულობს მისი რაოდენობა საერთოდ. უკანასკნელ შემთხვევაში მის ხელში გადადის თავადაზნაურობის მამული, კიდევ უფრო ქუცმაცდება სათავადაზნაურო მიწათმფლობელობა თუ მსხვილი მიწათმფლობელობაა. სამწუხაროდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიწათმფლობელობის შესასწავლად ამ მხრით თითქმის სრულებით არავითარი მასალა არა გვაქვს; და ასე ითქმის არა მარტო თავადაზნაურობის მიწათმფლობელობის შესახებ, არამედ კიდევ უფრო გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზედაც შეურყეველი რჩება, ყველა ამ კითხვაზე პასუხის მიცემა არ შეგვიძლია მასალის უქონლობის გამო. ეჭვი არ არის, რომ თავადაზნაურობის მიწათმფლობელობა დანარჩენ მცხოვრებთა მიწათმფლობელობასთან შედარებით კლებულობს, როგორც აბსოლიუტურად, ისე შედარებითაც. ჩვენ გვაქვს რამდენიმე ოფიციალური ცნობა დასახელებულ გუბერნიებში თავადაზნაურთა მამულების დავალიანებაზე; რასაკვირველია, ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ იმ კერძო ვალებზე, რომლებიც ბატონყმობის გაუქმებამდე ემართათ ქუთაისის და განსაკუთრებით თბილისის გუბერნიების თავადაზნაურობას კერძო მევალე-მევახშეების. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ ვალებზე, რომლებიც მართლა ემართათ თუ მართებთ დღეს. 1859 წ., როცა შეჩერებული იქნა წინანდელ საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედება, რომლებიც გირაოდ ღებულობდენ დასახელებულ მამულებს, სულ გაცემული სესხი მთელი რუსეთის თავად-აზნაურობაზე იყო 425.473,061 მანეთი; 1899 წ., ე. ი. 40 წლის შემდეგ, ეს ვალი ავიდა 1.345,778,868 მანეთამდე, ე. ი. გადიდდა სამჯერ უფრო მეტად. მთელ კავკასიაში (9 გუბერნიაში) 1859 წ. თავად-აზნაურობაზე მთავრობის ვალი ირიცხებოდა სულ 333,601 მანეთი და 1899 წელს კი 28.325,780 მანეთი, ე. ი. მოიმატა 8,000%; მიწის დავალიანების ასეთი საოცარი ზრდა არ მომხდარა რუსეთის არც ერთ რაიონში. მართალია აქ ამიერ-კავკასია არ არის გამოყოფილი, მაგრამ, აქ-

�. ამით არ კარგავს ძალას და მნიშვნელობას ეს ფაქტი. რაც შეეხება კერძოთ თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მამულების დავალიანებას. აგის შესახებ ჩვენ გვაქვს შემდეგი ცნობები თბილისის და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების დაარსებიდან, ე. ი. 1875 წლიდან 1889 წლამდე. მაშასადამე, 14 წლის განმავლობაში დაუგირავებია:

| ბანკები. | დაგირავებული მამულები | | | დაგირ. მიწები დესიატინობით. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თბილ. | ქუთ. | სულ | თბილ. | ქუთ. | სულ | % |
| თბილისის | 285 | 5 | 290 | 197432 | 1.201 | 198,633 | 18,74 *) |
| ქუთაისის | 3 | 446 | 449 | 919 | 27,544 | 28.463 | 3,49 |
| სულ | 288 | 451 | 739 | 198351 | 28.745 | 227.096 | 11,86 |

ამნაირად 14 წლის განმავლობაში (1875 - 89) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას დაუგირავებია საადგილ-მამულო ბანკში სულ 198,633 დესიატინა ანუ დაახლოებით 18,74%-ტი ყველა იმ მიწებისა, რომლებიც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ეკუთვნის; საშუალო რიცხვით თითო მამული იყო სივრცით 675 დესიატ. ამავე ხნის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიაში თავადაზნაურობას დაუგირავებია სულ 28,463 დესიატ. მიწა ანუ მხოლოდ 3,49%-ტი იმ მიწებისა, რომლებიც მას ამ გუბერნიაში ეკუთვნის. საშუალო რიცხვით თითო დაგირავებული მამული უდრიდა 63 დესიატ. მაშასადამე, სათავად-აზნაურო მიწების დავალიანება თბილისის გუბერნიაში პირველ ხანებშივე უფრო აჩქარებული ნაბიჯით წასულა წინ, ვინემ ქუთაისის გუბერნიაში; ამასთანავე საშუალო რიცხვით თითო დაგირავებული მამული თბილისის გუბერნიაში 10-ჯერ უფრო მეტი იყო, ვინემ ქუთაისის გუბერნიაში.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ნოტარიალური აქტებით 1868-79 წლებში ქუთაისის გუბერნიაში გაყიდულია სულ 25,190 დესიატინა მიწა, რაშიაც მიულიათ 955,780 მანეთი ანუ დესიატინაზე საშუალო რიცხვით 38 მანეთი. ეს 25,190 გაუყიდია 2879 კაცს; ამათში იყვნენ:

*) მიღებულია 1.099.000 დესიატინა.

| | | | |
|---|---|---|---|
| თავად-აზნაური . | . 2,777 | ანუ | 96,45% |
| გლეხები | 76 | | 2,65 „ |
| დანარჩენი | 26 | | 0,90 |

მყიდველებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| თავად-აზნაური | 678 | ანუ | 23,53% |
| გლეხები . . | 1,834 | „ | 63,70 „ |
| სამღვდელობა | 128 | | 4,44 |
| დანარჩენი | 240 | | 8,33 „ |

ამნაირად, 2,879 გამყიდველში 2,777 ანუ 96,45% თავად-აზნაური იყო. ამდენივე მყიდველებში თავად-აზნაური ერია მხოლოდ 678, ანუ 23,53% თუმცა აქ ჩვენ ვერ ვპოულობთ, სახელდობრ რამდენი მიწა გაუყიდია მარტო თავად-აზნაურობას ან რამდენი შეუძენია მას, მაგრამ ზევით მოყვანილი ცნობები რამდენიმეთ გვეუბნებიან, რომ თავად-აზნაურობას გაუყიდია უფრო მეტი იმაზე, რაც თვითონ შეუძენია. შემდეგი ათი წლის განმავლობაში (1879—88) ნოტარიალური აქტებით ქუთაისის გუბერნიაში გლეხ-კაცობას შეუძენია 9,328 დესიატინა, რაშიაც მიუცია 1,135,035 „ მან. ანუ დესიატინაში საშუალო რიცხვი 121 მანეთი. ეჭვი არ არის, ამ მიწების უმეტესი ნაწილის გამყიდავი თავად-აზნაურობა უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს არ არის ნაჩვენები ოფიციალურ წყაროში. ერთ სიტყვით, თავად-აზნაურობის მიწები, როგორც ქუთაისის, ისე თბილისის გუბერნიაში თუ რამდენათ გადადის სხვა წოდების ხელში, ამის შესახებ ჩვენ თითქმის სრულებით არაფერი არ ვიცით. შესაძლებელია მხოლოდ ვიფიქროთ, რომ საერთოდ თავად-აზნაურობის მიწათმფლობელობა როგორც ქუთაისის, ისე თბილისის გუბერნიაში თანდათან კლებულობს. შედარებით უფრო მეტი ვიცით თავად-აზნაურობის მამულების დავალიანების შესახებ.

თავად-აზნაურობის დავალიანება ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში იწყება მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან. თუ რა ზომამდე დავალიანებული იყო თავად-აზნაურობა გასული საუკუნის 40-50 წლებში, ამას მოწმობენ ის ფაქტები, რომ მაშინ მეტად გახშირებული იყო საჯარო გაყიდვა მებატონეთა ვალებში იმათი მიწების და ყმების. ჯერ კიდევ თავად-აზნაურობის დიდ ნაწილს ბატონ-ყმობის გაუქმებამდე გამოეცალა ამ გზით დიდძალი მამულები, რომლებიც შეიძინეს ტფილისის ვაჭრებმა და მევახშეებმა. ეს ხდებოდა განსაკუთრებით თბილისის გუბერნიაში, რად-

განაც ყველაზე უფრო ადრე აქ გაჩნდნენ ფულიანი კაცები, მაგრამ ეს იყო ვალი კერძო პირების. საკრედიტო დაწესებულებების გასული საუკუნის ნახევარში ქართველ თავად-აზნაურობას შედარებით ძლიერ ცოტა ემართა.

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, 1894 წლის დასაწყისში იქ დაგირავებული იყო სულ 1,179 მამული, რომლებშიაც ირიცხებოდა 50,542 დესიატინა ანუ მხოლოდ 6,20% ყველა იმ მიწებისა, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ეკუთვნის. საშუალო რიცხვით თითო დაგირავებულ მამულზე მოდიოდა 42,87 დესიატინა ანუ 20,52 დესიატინით ნაკლები, ვინემ ათი წლის წინათ. ყველა ამ მამულებზე ირიცხებოდა ვალი 3.021,216 მანეთი ანუ დესიატინაზე საშუალო რიცხვით—59 მანეთი 77 კაპიკი. მაშასადამე, 49 მანეთი 45 კაპ. მეტი, ვინემ თბილისის გუბერნიაში. თუ თავს მოვუყრით ზევით მოყვანილ ცნობებს, მივიღებთ შემდეგ ცხრილს, რომელიც უფრო თვალსაჩინოთ გვიხატავს თავად-აზნაურობის მიწების დავალიანებას თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში:

| გუბერნიები. | რიცხვი დაგირავებულ მამულებისა 1889 წ. დასაწყისში | დაგირავებ. მიწის რაოდენობა დესიატინებით | % დამოკიდებულება თავად-აზნ. მიწებისა | ჯამი დაგირავებ. მიწებზე მიდიოდა დესიატინა | რამდენი ვალი იყო 1899 წ. დასაწყისში | თითო დაგირავებული დესიატინა რამდენი მან. ლირდა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მან. | კაპ. |
| თბილისის | 892 | 733,762 | 58,22 | 823 | 7.360,839 | 10 | 32 |
| ქუთაისის | 1,179 | 50,542 | 6,20 | 42,87 | 3.021.216 | 59 | 77 |
| სულ. | 2,071 | 784,304 | 37,78 | 379 | 10.382,095 | 13 | 11 |

თუ საერთო ჯამებს შევუფარდებთ ერთმანეთს, გამოვა, რომ 1883 წლის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში თავად-აზნაურობის მიწების დავალიანებას ასე უმატია: 1889 წ. დაგირავებული მამულების რიცხვი იყო 739; 1899 წელს კი—2071, ე. ი. მოუმატია 1,332, ანუ 180,24%; დაგირავებული მიწების სივრცე იყო წინათ 227,096 დესიატინა, 1899 წლის დასაწყისში კი 784,304 დესიატინა, ე. ი. 557,208 ანუ 249,76% მეტი. ამნაირათ დაგირავე-

ბული მიწების სივრცეს უფრო უმატია, ვინემ დაგირავებული მამულების რიცხვს; და მართლაც, წინათ საშუალო რიცხვით ერთ დაგირავებულ მამულზე მოდიოდა 307 დეს., ახლა კი—379 დეს. 1889 წლის დასაწყისში ორივე გუბერნიაში დაგირავებული მიწები შეადგენდენ ყველა სათავად-აზნაურო მიწების 11,86%. 1899 წლის დასაწყისში კი—37,78%. აქ აღარ დავუბრუნდებით იმას, რომ თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობა ამ მხრით ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფება,—ეს ჩვენ განვმარტეთ ზევით; აქ დაეუმატებთ მხოლოდ იმას, რომ, რამდენათაც ცნობები გვეუბნება, ქუთაისის გუბერნიაში უფრო წვრილ მამულებს აგირავებენ, და თბილისში კი—უფრო მსხვილს: პირველში დაგირავებულ მამულს საშუალო რიცხვით მოსდიოდა 1889 წელს 63 დეს., 1899 წლის დასაწყისში კი მხოლოდ 42,87; თბილისის გუბერნიისათვის სათანადო რიცხვები იყო: პირველ შემთხვევაში 675 დეს., მეორეში 823.

თუ ასეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ მომავალშიაც ქართველი თავად-აზნაურობის მიწების დავალიანება, მოსალოდნელია, რომ ათი წლის შემდეგ თბილისის გუბერნიაში დაუგირავებელი მიწა თავად-აზნაურობაში სრულებით აღარ დარჩება.

მოვიყვანოთ აქვე ცნობები კერძო მამულების შესახებ ამიერ-კავკასის დანარჩენ სამ გუბერნიაში: განჯის, ერევნის და ბაქოსი.

1899 წლის დასაწყისში დაგირავებული იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| განჯის გუბერნიაში . | 18 მამული | 24,107 დეს. | 590,904 მან. |
| ერევნის | 7 | 8,344 | 212,180 |
| ბაქოს. . . . . | 4 „ | 8,469 | 113,750 |
| ს უ ლ . | 29 | 40,920 | 916,834 |

**ბაქოს გუბერნია.** ბაქოს გუბერნიაში ბეგების-კერძო სამფლობელო სულ 1211, რომელთაც უჭირავთ სულ 246,913 დეს. მიწა, ანუ საშუალო რიცხვით თითო სამფლობელოს აქვს 204 დესეტინა მიწა.

ყველა ეს მიწები ასეა განაწილებული:

| გუბერნიები | 0—½ | ½—1 | 1—2 | 2—5 | 5—10 | 10—25 | 25—50 | 50—100 | 100—200 | 200—500 | 500—1000 | 1000 ზე-ვიდ. | ს ულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქოს . . | 69 | 57 | 79 | 172 | 191 | 242 | 131 | 93 | 70 | 45 | 27 | 35 | 1211 |
| % | 5,70 | 4,71 | 6,52 | 14,19 | 15,78 | 20,00 | 10,82 | 7,68 | 5,78 | 3,71 | | 2,89 | 100 |
| განჯის . . | 33 | 62 | 130 | 325 | 445 | 658 | 371 | 255 | 159 | 151 | 86 | 67 | 2744 |
| % | 1,20 | 2,27 | 4,74 | 11,85 | 16,23 | 23,98 | 13,53 | 9,29 | 5,70 | 5,51 | 3,15 | 2,45 | 100 |
| ერევნის . . | 34 | 60 | 117 | 223 | 169 | 169 | 60 | 48 | 33 | 20 | 22 | 18 | 982 |
| % | 3,46 | 6,11 | 11,92 | 22,71 | 17,20 | 17,20 | 6,11 | 4,88 | 3,41 | 2,95 | 2,29 | 1,82 | 100 |

ამ ცნობების განხილვა ჩვენ გვეუბნება, რომ ბაქოს გუბერნიაში მიწის მფლობელთა რიცხვი 25 დესიატინამდე, რამდენათაც ზევით მიდიან, მატულობს, ამას შემდეგ კი თანდათან კლებულობს. თუ ყველა 1211 სამფლობელოს გავყოფთ ხუთ კატეგორიათ: 0—5 დეს., 5—25 დეს., 25—100 დეს., 100—500 დეს. და 500 ზევით, ჩვენ მივიღებთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) 377 სამფლობელო, | ანუ 31,12% | აქვს | 0— 5 დეს. |
| 2) 433 | 35,78 | | 5— 25 |
| 3) 224 | 18,50 | | 25—100 |
| 4) 115 | 9,49 | „ | 100—500 |
| 5) 62 | 5,11 | „ | 500-ზე ზევით. |

ეფრო დაბეჯითებითი დასკვნაა გამოყვანისათვის, თუ მიწათმფლობელობის რომელი ტიპი, წვრილი, საშუალო, თუ მსხვილი სჭარბობს ბაქოს გუბერნიაში, ცნობები არა გვაქვს; სახელდობრ, ჩვენ არ ვიცით, თუ ამა თუ იმ კატეგორიის მიწათმფლობელებს საერთოდ რამდენი მიწა-ადგილი უკირავთ, როგორც ეს ნაჩვენებია თბილისის და ქუთაისის გუბერნიების შესახებ.

**განჯის გუბერნია.** განჯის გუბერნიაში კერძო მესაკუთრეთ არა გლეხთაგან ეკუთვნის სულ 440,798 დეს. მიწა, რომელიც გაყოფილია 2744 სამფლობელოთ ანუ საშუალო რიცხვით თითო სამფლობელოზე მოდის 161 დესეტინა მიწა.

უფრო მართალ წარმოდგენას ყველა ამ მიწების განაწილებისას 2744 სამფლობელოთა შორის გვაძლევს ზემოდ მოყვანილი ცხრილი; იქედან ჩვენ ვხედავთ, რომ, როგორც ბაქოს გუბერნიაში, ისე აქაც, რამდენათაც ზევით მივდივართ, სამფლობელოთა რიცხვი 25 დესიატინამდე თანდათან მატულობს; აქედან დაწყებული კი, რამდენათაც მრავლდება საშუალო რიცხვი თითეულ სამფლობელოს მიწის რაოდენობისა, იმდენათ თანდათან მცირდება სამფლობელოთა რიცხვი. სამფლობელოთა რიცხვში ყველაზე უდიდეს კატეგორიას წარმოადგენენ ის სამფლობელოები, რომელთაგან თითეულს აქვს 10—25 დეს. მიწა, სახელდობრ, 658 ანუ 23,98%, ყველაზე უმცირეს ისინი, რომელთაგან თითეულს აქვს 0—1,2 დესიატინა, სახელდობრ, 33 ანუ 1,20%. თუ, მსგავსათ ბაქოს გუბერნიისა, ყველა სამფლობელოთ გავყოფთ ხუთ კატეგორიათ, გამოვა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1) | 550 | სამფლობელოს ანუ | 20,06% | აქვს 0 — 5 დესიატინა |
| 2) | 1103 | „ | 41,21 | 5 — 25 |
| 3) | 629 | | 22,82 | 25—100 |
| 4) | 310 | | 11,31 | 100—500 |
| 5) | 53 | „ | 5,60 | „ 500-ზე ზევით |

შევადაროთ ახლა ეს საერთო ჯამები ამ ორ გუბერნიაში, ე. ი. ბაქოსა და განჯისა.

| გუბერნიები | 0—5 | | 5—25 | | 25—100 | | 100—500 | | 500 ზევით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი სამფლობელოთა | პროცენტი სამფლობელოთა | რიცხვი სამფლობელოთა | პროცენტი სამფლობელოთა | რიცხვი სამფლობელოთა | პროცენტი სამფლობელოთა | რიცხვი სამფლობელოთა | პროცენტი სამფლობელოთა | რიცხვი სამფლობელოთა | პროცენტი სამფლობელოთა |
| ბაქოს. | 377 | 31,12 | 433 | 35,78 | 224 | 18,50 | 115 | 9,49 | 62 | 5,11 |
| განჯის | 550 | 20,06 | 1,103 | 41,21 | 626 | 22,82 | 310 | 11,31 | 153 | 5,60 |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ჯამები, განსაკუთრებით თუ %-ულ დაწოკიდებულებას მივიღებთ მხედველობაში, გარდა პირველ კატეგორი-

ისა, დიდათ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვა დასკვნების ვამოყვანას ჩვენ ვშიშობთ მასალის უქონლობის გამო.

**ერევნის გუბერნია.** როგორც ვიცით, ყველაზე უფრო ნაკლები მიწა უჭირავთ კერძო მემამულეებს ერევნის გუბერნიაში; უფლებიან წოდებას, თავად-აზნაურობას, მელიქები და აღალარები წარმოადგენდნენ. ამათ ხელში ირიცხებოდა 1897 წელს სულ 60,126 დესეტინა მიწა, რომელიც განაწილებული იყო 982 სამფლობელოთ, ანუ საშუალო რიცხვით თითო სამფლობელოს აქვს 61 დესიატინა.

| | 0—½ | ½—1 | 1—2 | 2—5 | 5—10 | 10—25 | 25—50 | 50—100 | 100—200 | 200—500 | 500—1000 | 1000 ზევით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიცხვი სამფლობ. | 34 | 60 | 117 | 223 | 169 | 169 | 60 | 48 | 33 | 20 | 22 | 18 |
| % სამფლობ. | 3,46 | 6,11 | 11,92 | 22,71 | 17,20 | 17,20 | 6,11 | 4,88 | 3,41 | 2,05 | 2,23 | 1,82 |

აქაც ჩვენ ვხედავთ იმას, რასაც დანარჩენ გუბერნიებში; რამდენათაც მატულობს მამულის სიერცე, იმდენათ სამფლობელოთა რიცხვი თანდათან და შეურყევლათ კლებულობს.

ერევნის გუბერნიის შესახებ ჩვენ გვაქვს რამდენიმე ცნობა იმის დასახასიათებლად, თუ საზოგადოთ მსხვილი მიწათმფლობელობა რამდენათ არის იქ გავრცელებული. ეს ცნობები გამოკრეფილია 1894 წლის სამამულო გადასახადის გაწერისაგან. ამ წელს კერძო მიწათმფლობელობა ერევნის გუბერნიაში შეიცავდა სულ 57,791 დესეტინა მიწას, რომელიც განაწილებული იყო 654 სამფლობელოთა შორის, ე. ი. თითო სამფლობელოზე მოდიოდა 88 დესეტინა მიწა.

აი უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ მიწების განაწილებისა:

| | 0—2 | 3—4 | 5—8 | 9—19 | 20—36 | 37—72 | 73—190 | 191—380 | 380 ზევით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამფლობელოს რიცხვი. | 133 | 101 | 105 | 124 | 53 | 40 | 29 | 29 | 40 |
| % სამფლობელოსი | 20,34 | 15,45 | 16,05 | 18,96 | 8,10 | 6,12 | 4,43 | 4,43 | 6,12 |

ეს ცნობები არსებითად ბევრათ არ განსხვავდებიან ზევით მოყვანილ ცნობებისაგან, გარდა იმისა, რომ 1897 წლის ცნობებით საშუალო რიცხვით თითო სამფლობელოზე მოდიოდა 61 დესეტინა, მაშინ როცა 1894 წლის ცნობით—88 დესეტინა. მაგრამ 1894 წლის ცნობები საყურადღებოა იმ მხრით, რომ აქ ჩვენ ვპოულობთ მეტად საინტერესო ფაქტებს ამ 40 სამფლობელოს შესახებ, რომელთაგან თითოს აქვს 380 დესეტინაზე მეტი სივრცე. ამ 40 სამფლობელოს აქვს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20 მამულს— | 380—1000 | დეს. სულ— | 11,998 | დეს. საშვ. თით. 599 დეს. |
| 18 | 1000—2000 | „ | 23,386 | 1,299 |
| 1 | 2000—3000 | | 2,748 | „ 2,748 |
| 1 | 4000—5000 | „ | 4,897 | „ 4,897 |

თუ მივიღებთ, რომ კერძო სამფლობელოთა რაოდენობა გამოიხატება 60,126 დესეტინით, მაშინ გამოვა, რომ 71,56% უპირავს მარტო 40 სამფლობელოს ანუ 6,12% საერთო რიცხვისა. ამ 40 სამფლობელოში თითოეულს მოდიოდა საშუალო რიცხვით 1076. მაშასადამე, დანარჩენ 614 სამფლობელოს ანუ 93,88% ეჭირა სულ 14,762 დესეტინა მიწა, ე. ი. 28,44%, საშუალო რიცხვით თითო სამფლობელოზე მოდიოდა 26 დესეტინა. იმ მსხვილ სამფლობელოთ, რომელთაგან თითეულს 380 დესეტინაზე მეტი სივრცე ჰქონდა, ყველაზე უმცირესს ეჭირა 382 დესეტინა, ყველაზე უდიდესს კი—4,897 დესეტინა. გარდა ამისა, კერძო მიწათმფლობელობის შესახებ ერევნის გუბერნიის 4 მაზრაში: ერევნის, სურმალინის, შარურო-დარალაგეზის და ეჩმიაძინის, და განჯის გუბერნიის ორ მაზრაში: არეშის და ჯევანშირის, ჩვენ გვაქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები, შეკრებილი თანახმად ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის პროგრამისა 1894 წელს. შემდეგი ცხრილი წარმოგვიდგენს კერძო მიწათმფლობელობას ერევნის გუბერნიის დასახელებულ ოთხ მაზრაში (იხ. 87 და 88 გვ.).

ზევით მოყვანილი ორი ცხრილი შეიცავს ძალიან საინტერესო ცნობებს კერძო მიწათმფლობელობის შესახებ ერევნის გუბერნიის აღნიშნულ ოთხ მაზრაში. ამ ოთხ მაზრაში კერძო მემამულეთა ხელშია 28,138 დესეტინა მიწა, რომელიც განაწილებულია 494 სამფლობელოთ, ასე რომ საშუალო რიცხვით თითოეულ სამფლობელოზე მოდის 57 დესეტინა მიწა. მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ ამ ცნობებს, მაშინ ჩვენ გავიგებთ, რომ ნამდვილად სულ სხვანაირათ არის განაწილებული მიწა კერძო მესაკუთრეთა შორის. სახელდობრ: 120 მესაკუთრეს (უფრო მართალი რომ ვთქვათ, სამფლობელოს), ანუ საერთო რიცხვის 24,29

| | ს უ ლ | | | ეჩმიაძინის | | | ხურმალინის | | | შარუროდარალა-გეზის | | | ერევნის | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საბოლოოდ რიცხვი. | თითეულ ჯაჭვ. მიწის რაოდენობა დესეტინებით. | საშუალო რიცხვით თითო საბან-ზე მოდის დესეტინა. | საბოლოოდ რიცხვი. | თითეულ ჯაჭვ. მიწის რაოდენობა დესეტინებით. | საშუალო რიცხვით თითო საბან-ზე მოდის დესეტინა. | საბოლოოდ რიცხვი. | თითეულ ჯაჭვ. მიწის რაოდენობა დესეტინებით. | საშუალო რიცხვით თითო საბან-ზე მოდის დესეტინა. | საბოლოოდ რიცხვი. | თითეულ ჯაჭვ. მიწის რაოდენობა დესეტინებით. | საშუალო რიცხვით თითო საბან-ზე მოდის დესეტინა. | საბოლოოდ რიცხვი. | თითეულ ჯაჭვ. მიწის რაოდენობა დესეტინებით. | საშუალო რიცხვით თითო საბან-ზე მოდის დესეტინა. |
| 0–2 დეს. | 120 | 126,86 | 1,08 | 26 | 29,37 | 1,13 | 13 | 14,59 | 1,13 | 60 | 61,90 | 1,03 | 21 | 23 | 1,12 |
| 2–5 | 120 | 372,55 | 3,10 | 27 | 90,83 | 3,36 | 20 | 71,40 | 3,57 | 27 | 70,32 | 2,60 | 46 | 140 | 3,06 |
| 5–8 | 60 | 383,71 | 6,39 | 14 | 89,10 | 6,37 | 14 | 86,23 | 6,16 | 7 | 48,38 | 6,91 | 25 | 160 | 6,40 |
| 8–10 | 28 | 250,84 | 8,96 | 7 | 60,76 | 8,68 | 8 | 70,46 | 8,80 | 5 | 42,62 | 8,52 | 8 | 77 | 9,61 |
| 1–15 | 44 | 514,88 | 11,70 | 10 | 122,17 | 12,21 | 5 | 62,75 | 12,55 | 10 | 103,96 | 10,39 | 19 | | 11,90 |
| 15–25 | 42 | 759,66 | 17,72 | 9 | 150,42 | 16,71 | 13 | 248,25 | 19,09 | 11 | 210,99 | 19,18 | 9 | 150 | 16,59 |
| 25–50 | 33 | 1,067,89 | 32,36 | 6 | 202,38 | 33,76 | 8 | 231,00 | 29,00 | 9 | 297,51 | 33,06 | 10 | | 33,06 |
| 50–100 | 16 | 1,156,60 | 72,28 | 8 | 591,10 | 73,90 | 3 | 248,00 | 83,00 | 1 | 66,50 | 66,50 | 4 | 251 | 62,64 |
| 100–500 | 12 | 2,685,89 | 223,82 | 5 | 1,309,97 | 261,00 | 1 | 100,00 | 100,00 | 3 | 703,92 | 234,64 | | 572 | 190,66 |
| 500–1000 | 8 | 5,491,55 | 686,89 | 2 | 1,369,34 | 684,67 | 2 | 1,284,00 | 642,00 | 3 | 2,118,55 | 704,18 | 1 | 728 | 928,00 |
| 1000 დეს. ზევით | 11 | 15,323,50 | 1,393,04 | — | — | — | 1 | 1,400,00 | 1,400,00 | 3 | 5,617,50 | 1,872,50 | | 8,306 | 1,186,61 |

| | ეჩმიაძინის | | სურმალინის | | შარურდარალაგეზის | | ერევნის | | ს უ ლ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საშფლობელოები. | მიწის რაოდენობა. | საშფლობელოები. | მიწის რაოდენობა. | საშფლობელოები. | მიწის რაოდენობა. | საშფლობელოები. | მიწის რაოდენობა. | საშფლობელოები. | მიწის რაოდენობა. |
| 0— 2 | 22,81 | 0,72 | 15,11 | 0,40 | 43,22 | 0,69 | 13,73 | 0.21 | 24,29 | 0,45 |
| 2— | 23,68 | 2,24 | 23,24 | 1,89 | 19,50 | 0,71 | 30,08 | 1,28 | 24,29 | 1,33 |
| 5— 8 | 12,28 | 2,22 | 16,26 | 2,28 | 5,08 | 0,51 | 16,35 | 1,46 | 12,15 | 1,83 |
| 8— 10 | 6,14 | 1,46 | 6,09 | 1,60 | 3,42 | 0,45 | 5,23 | 6,70 | 5,66 | 0,89 |
| 10— 15 | 8,78 | 3,05 | 5,80 | 1,64 | 7,21 | | 12,43 | 2,07 | 8,98 | 1,83 |
| 15— 25 | 7,89 | 3,74 | 15,11 | 6,48 | 7,91 | 2,28 | 5,90 | 1,96 | 8,50 | 2,09 |
| 25— 50 | 5,26 | 5,04 | 9,26 | 6,02 | 6,50 | 3,20 | 6,55 | 3,07 | 6,63 | 3.79 |
| 50— 100 | 7,02 | 14,73 | 3,45 | 6,46 | 0,71 | 0,70 | 2,61 | 2,28 | 3,24 | 4,11 |
| 100— 500 | 4,39 | 32,60 | 1,22 | 2,64 | 2,15 | | 1,90 | 5,22 | 2,42 | 9,54 |
| 500—1000 | 1,79 | 34,20 | 2,32 | 33,68 | 2,15 | 22,60 | 0,65 | 6,63 | 1,62 | 19,52 |
| 1000—ზევით | — | — | 1,22 | 36,46 | 2,15 | 60,06 | 4,57 | 75,72 | 2,22 | 54,47 |

პროცენტს უკირავს სულ 128 დესეტინა ანუ 0,45%, ე. ი. თითო სამფლობელოზე მოდის დესეტინაზე ცოტა მეტი (ჯგუფი 0—2 დეს.). შემდეგ რამდენათ კლებულობს მემამულეთა რიცხვი, იმდენათ მატულობს მიწის რაოდენობა თითოეულ იმათგანზე, სანამ არ მივალთ უმაღლეს საფეხურამდე, სადაც 11 მემამულეს, ე. ი. 2,22 პროცენტის ხელში მოგროვილია 15,323 დესეტინა მიწა, ანუ საერთო რიცხვით 54,47 პროცენტი, და საშუალო რიცხვით კი თითოეულს მესაკუთრეს მოსდის 1,393 დესეტინა. კერძოთ ყველაზე უფრო უთანასწოროთ განაწილებულია მიწები შარურდარალაგეზის და ერევნის მაზრებში; პირველში 3 მემამულეს ანუ 2,15% აქვს 5,617 დესეტინა ანუ 60%, საშუალო რიცხვით თითო მესაკუთრეს 1,872 დესეტინა; მეორეში 7 მესაკუთრეს ანუ 4,57% უკირავს 8,306 დესეტინა ანუ 75,72%, საშუალო რიცხვი თითეულს 1.186 დესეტინა.

სულ სხვანაირ სურათს ვხედავთ განჯის გუბერნიის ორ მაზრაში, სახელდობრ: არეშის და ჯევანშირის. აქ მოგვყავს ცხრილი, რომელიც ვვიხატავს კერძო მიწათმფლობელობას განჯის გუბერნიის ამ ორ მაზრაში.

| | არეშის | | | ჯევანშირის | | | ორიეშში | | | პროცენტებით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | არეშის | | ჯევანშირის | | ორიეშში | |
| | რიცხვი საშვლობილოთა. | მიწის რაოდ. თითეულ ჯვ. დესიატ. | თითეულ საშვლობ. მოდის დესიატინა. | რიცხვი საშვლობილოთა. | მიწის რაოდ. თითეულ ჯვ. დესიატ. | თითეულ საშვლობ. მოდის დესიატინა. | რიცხვი საშვლობილოთა. | მიწის რაოდ. თითეულ ჯვ. დესიატ. | თითეულ საშვლობ. მოდის დესიატინა. | მეცხვლეულები. | მიწები. | მეცხვლეულები. | მიწები. | მეცხვლეულები. | მიწები. |
| 8 — 10 | — | — | — | 1 | 8 | 8,00 | 1 | 8 | 8,00 | — | — | 1,23 | 0,01 | 0,70 | 0,00 |
| 10 — 15 | — | — | — | 1 | 12 | 12,00 | 1 | 12 | 12,00 | — | — | 1,23 | 0,02 | 0,70 | 0,01 |
| 15 — | 2 | 33 | 16,50 | 4 | 81 | 20,25 | 6 | 114 | 19,00 | 3,29 | 0,12 | 4,94 | 0,13 | 4,18 | 0,12 |
| 25 — 50 | 1 | 33 | 33,00 | 7 | 265 | 37,86 | 8 | 298 | 37,25 | 1,61 | 0,12 | 8,65 | 0,42 | 5,00 | 0,32 |
| 50 — 100 | 5 | 307 | 61,40 | 16 | 1,053 | 65 81 | 21 | 1,360 | 64,76 | 8,07 | 1,07 | 19,75 | 1,67 | 14,67 | 1.48 |
| 100 — 500 | 35 | 9,760 | 278,86 | 32 | 7,361 | 230,00 | 67 | 17,121 | 255,54 | 56,45 | 34,06 | 39,51 | 11,67 | 46,90 | 18,69 |
| 500 — 1000 | 13 | 8,376 | 644,46 | 5 | 4.259 | 852,00 | 18 | 12,635 | 702,00 | 20,96 | 29,23 | 6,17 | 6,75 | 12,58 | 13,78 |
| 1000 — ზევით | 6 | 10,145 | 1,691,00 | 15 | 50,047 | 3,336,00 | 21 | 60,192 | 2.866.28 | 9.68 | 35.40 | 18.52 | 79,33 | 14.67 | 65,62 |
| ს ულ. | 62 | 28,654 | 462,16 | 81 | 63,086 | 778,84 | 113 | 91,740 | 641,54 | 100,00 | 100,00 | 100,00 | 100,00 | 100,00 | 100,00 |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ განჯის გუბერნიის ორ დასახელებულ მაზრაში კერძო მიწათმფლობელობა შეადგენს სულ 91,740 დესეტინა მიწას ანუ 20,81 %-ს ამ გუბერნიის მთელ კერძო მიწათმფლობელობისას. მაგრამ აქ საინტერესოა სხვა გარემოება. უწინარეს ყოვლისა აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მაშინ, როცა როგორც თვით განჯის გუბერნიის დანარჩენ ნაწილებში, ისე ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებში თითქმის ყოველგან წვრილი მიწათმფლობელობა დიდათ გავრცელებულია, ასე რომ ½, 1, 2, 3 და 4 დესეტინიანი მამულები ძლიერ ხშირ მოვლენას შეადგენს, ზევით დასახელებულ ორ მაზრაში 8 დესეტინაზე ნაკლები მამული სრულებით არ მოიპოვება; 15 დესეტინაზე ქვევით მხოლოდ ორ მამულს აქვს, სახელდობრ ერთს 8 და მეორეს 12 დესეტინა: ორივე ჯევანშირის მაზრაშია, არეშისაში 15 დესეტინაზე ქვევით არც ერთ მამულს არ აქვს. დანარჩენ 141 მამულს უჭირავს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 — | 15 — | 25 | დეს. საშუალო რიცხ. თითეულს | 19 დესეტ. |
| 8 — | 25 — | 50 | „ „ „ | 37,25 |
| 21 — | 50 — | 100 | „ | 64,76 |
| 67 — | 100 — | 500 | | 255,54 |
| 18 — | 500 — | 1000 | | 702,00 |
| 21 — | 1000 | ზევით | „ | 2,866,28 |

%% თითეულ ამ 8 ჯგუფთაგანს უჭირავს სივრცე საერთო სივრცესთან შედარებით: —

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I ჯგუფს | 0,09 | — | 8 | დესეტინა. |
| II „ | 0,01 | — | 12 | „ |
| III | 0,12 | — | 114 | |
| IV | 0,32 | — | 298 | |
| V | 1,48 | — | 1,360 | |
| VI | 18,68 | — | 17,121 | |
| VII | 13,78 | — | 12,635 | |
| VIII | 65,01 | — | 60,192 | |

თუ ახლა შევადარებთ არეშის და ჯევანშირის მაზრების კერძო მიწათმფლობელობას, მაშინ დავინახავთ, რომ პირველში კერძო სამფლობელო არის სულ 62, ანუ 43, 46 პროცენტი; რომელსაც უჭირავს სულ 28,654 დესეტინა მიწა ანუ საშუალო რიცხვით 31,23 %; მეორეში—სამფლობელოების რიცხვი უდრის 81, ანუ 56,54 %. ამათ უჭი-

რავთ სულ 63,086 დესეტინა მიწა. ანუ 68.77%. საერთოდ ჯევანშირის მაზრაში თითეულ მამულს აქვს შედარებით ეფრო დიდი სიერცე, ვიდრე არეშისაში, ე. ი. საშუალო რიცხვით უკირავთ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| I ჯგუფში | არეშის მაზ. | 0 | ჯევან'ვ. მაზ. | 8,00 |
| II | | 0 | | 12,00 |
| III | | 16,50 | | 20.25 |
| IV | | 33,00 „ | | 37.86 „ |
| V | | 61,40 „ | | 65.81 |
| VI | | 278,86 „ | | 230,00 |
| VII | | 644,46 | | 852,00 |
| VIII | | 1,691,00 | | 3,336.00 |

ყველა ჯგუფებში 462,16 დესეტინა—778,84 დესეტინა.

გარდა ამისა 1894 წელს შევსებულ ცნობებიდან სჩანს. რომ ჯევანშირის მაზრაში არის ორი საკმარისად მოზრდილი მამული, რომელთაგან ერთი შეიცავს 17,082 დესეტინას ანუ 27,23% ამ მაზრის ყველა კერძო მიწათმფლობელობისას და ეკუთვნის ვაჭართ ნატუროვს და ტაგიევს; მეორეს უკირავს 10,150 დეს. და ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა მონასტერს. თუ ახლა ამ ორი მაზრის კერძო მიწათმფლობელობას შევადარებთ იმავე გუბერნიის დანარჩენ მაზრებს, დაინახავთ, რომ იმათ შორის დიდი განსხვავებაა, და სახელდობრ აი რა: განჯის გუბერნიის ყველა რვა მაზრაში ირიცხება 2,744 სამფლობელო, რომლებსაც უკირავთ სულ 440,798 დესეტ. მიწა. ამ თში ისეთი მამულების რიცხვი, რომლებშიაც თითეულს უკირავს არა უმეტეს 25 დესეტ. მიწა, შეადგენს სულ 1,651 ანუ 60,26%. როგორც ზევით დავინახეთ, არეშის და ჯევანშირის მაზრებში ასეთ სამფლობელოთა რიცხვი სულ არის 8 ანუ 5,58%; ეფრო ახლო რომ გავიგოთ, თუ რა განსხვავებაა განჯის გუბერნიის ორ ზევით დასახელებულ მაზრებსა: არეშის და ჯევანშირის და დანარჩენ მაზრებს შორის, მოგვყავს აქ შემდეგი ცნობები:

განჯის გუბერნიაში სამფლობელო უკირავთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 0—½ | დეს. | არეშის და ჯევან'შირის 0, | დანარჩენ მაზრებში 33 სამ. |
| ½— 1 | | 0 | 64 |
| 1— 2 | | 0 | 130 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2— 5 | დეს. | არეშის და ჯევანშირის 0 | დანარჩენ მაზრებში 324 სამ. |
| 5—10 | „ | 1 | 443 |
| 10—25 | „ | | 656 |
| | ს უ ლ | 8 | 1,651 |

ამნაირად ეს ორი მაზრა მეტად აშკარად განსხვავდება ხსენებულ გუბერნიის დანარჩენ მაზრისაგან მით, რომ იქ კერძო მემამულეთა შორის თითქმის არ არსებობს წვრილი მიწათმფლობელობა, რაც საზოგადოთ, როგორც ხსენებული გუბერნიის დანარჩენ მაზრებში, ისე ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიებში ძლიერ ხშირად არის გავრცელებული. მოვიყვანოთ აქ კიდევ ცნობები იმის შესახებ, თუ საშუალო რიცხვით რამდენი დესეტინა მიწა მოსდის თითეულ სამფლობელოს განჯის გუბერნიის თითოეულ მაზრაში.

| | |
|---|---|
| განჯის მაზრა . | 824 დესეტინა |
| ჯევანშირის მაზრა . | 758 |
| არეშის მაზრა | 462 |
| შუშის მაზრა . | 176 |
| ზანგეზურის მაზრა . | 88 |
| ჯებრაილის მაზრა . | 77 |
| ნუხის მაზრა . | 69 |
| ყაზახის მაზრა . . | 60 |

ამნაირად სამფლობელოთა საშუალო ზომა, როგორც არეშის, ისე განსაკუთრებით ჯევანშირის მაზრაში ბევრით აღემატება სამფლობელოთა საშუალო ზომას განჯის გუბერნიის დანარჩენ მაზრებში.

აქედან გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ განჯის მაზრა, სადაც სამფლობელოთა საშუალო ზომა უდრის 824 დეს., მაგრამ, როგორც განჯის, ისე დანარჩენ მაზრების შესახებ ჩვენ არა გვაქვს ისეთი დაწვრილებითი ცნობები, როგორც მოიპოვება არეშის და ჯევანშირის მაზრების შესახებ. ამიტომ ამაზე აქ ჩვენ ვათავებთ საუბარს.

დასასრულ კერძო მიწათმფლობელობის დავალიანებაზე ბაქოს, ერევნის და განჯის გუბერნიებში. 1899 წ. პირველ იანვრისათვის დასახელებულ სამ გუბერნიის კერძო მამულების დავალიანება სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

| გუბერნიების სახელები | რიცხვი | | დარჩენილი ნაკლი 1 იანვარ. 1899 წ. | 1907 წ. ნაკლების სრული ჯამი | % დამოკიდებულ. დაგირავ. მიწ. | თითოეულ დაგირ. მამულზე მოსული ნაკლი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაგირავებული მამულების | სივრცე დაგირავებული მამულების დესიატინ. | | | | |
| განჯის | 18 | 24,107 | 590,904 | 597,908 | 5 | 1,339 |
| ერევნის | 7 | 8,344 | 212,180 | 217,800 | 15 | 1,192 |
| ბაქოს | 4 | 8,469 | 113,715 | 116,600 | | 2,117 |
| ს უ ლ | 29 | 40,920 | 916,834 | 932,308 | | 1,411 |

აქედან ჩვენ შემდეგი დასკვნის გამოყვანა შეგვიძლია: 1) დასახელებულ სამ გუბერნიაში განსაკუთრებით მსხვილი მამულები ვალიანდება, სახელდობრ ის მამულები, რომელთაგან თითეულის სივრცე საშუალო რიცხვით აღემატება 1000 დეს., 2) რუსეთის 55 გუბერნიასთან შედარებით, რომლების შესახებ ჩვენ გვაქვს ცნობები, ზევით დასახელებულ სამ გუბერნიაში კერძო მიწათმფლობელობის შედარებით ძლიერ მცირე ნაწილია დაგირავებული; მაშინ, როცა საზოგადოთ მთელი რუსეთისათვის დაგირავებული კერძო მიწების სივრცე შეიცავს 45% მთელი კერძო მიწათმფლობელობისას, დასახელებულ სამ გუბერნიაში ეს უდრის მხოლოდ 5%. ეს პროცენტული დამოკიდებულება მხოლოთ ქუთაისის გუბერნიისა არის ყველაზე უფრო მცირე, სახელდობრ დაგირავებულ მიწების რაოდენობა აქ შეადგენს 4% მთელი კერძო მიწათმფლობელობისას.

1907 წ.

II

# ჟურნალი „ცხოვი“
# 1910 წლისა

# ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას

## (მისი გარდაცვალების შემდეგ ხუთი წლის შესრულების გამო).

„Нужны нам великие могилы,
Если нет величия в живых".
ნეკრასოვი.

წელს [15]), 8 ივნისს, სწორედ 5 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ალექსანდრე წულუკიძე სამუდამოდ გამოესალმა სიცოცხლეს. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, როცა მისი ნიჭი ის-ის იყო უნდა გაფურჩქვნილიყო, იგი ბრძოლის ველზე სიკვდილმა გამოგვგლიჯა ხელიდან, რამაც მთელი ჩვენი ბანაკი საგრძნობლად შეასუსტა მეტად საჭირო მომენტში. ვის შეუძლია დაივიწყოს ეს დიადი მომენტი. ვის არ ხიბლავდა, ვის არ აღფრთოვანებდა, ან არ უღვიძებდა ტკბილ ოცნებებს და საუკეთესო იმედებს ეს მართლაც გმირული ხანა. დამონებული, წელში გატეხილი, გაყვლეფილი ფიზიკურად და გონებრივად მუშა ხალხი პირველად იკრებს თავის ძალებს და ეწყობა საუკუნოების განმავლობაში გაჭედილი ბორკილების დასამსხვრევად. თუ რა დიადი გრძნობით, რა აღფრთოვანებით ეგებებოდა ალექსანდრე წულუკიძე ამ ისტორიულ მომენტს, ამის წარმოდგენა დაახლოვებით მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც განსვენებულს ახლოს იცნობდა.

სამწუხაროდ ყველასათვის, იმ დროს არა თუ მისი დღენი, არამედ მისი სიცოცხლის წამნიც კი უკვე დათვლილი იყო. ულმობელმა სენმა, რომლითაც იგი შეპყრობილი იყო და რომლის წინააშე იგი ქედს არ იხრიდა, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა მის ბუნებას,—ბოლოს თავისი გაიტანა. ალექსანდრე მოკვდა იმ დროს, როცა რუსეთის ხალხის საყოველთაო დღესასწაული, გამოუთქმელ ტანჯვისა და წვალების შემდეგ, ყველას მოახლოვებული გვეგონა, ეს ტკბილი იმედი მას თან ჩაჰყვა საფლავში.

მაგრამ ალექსანდრე წულუკიძის სიკვდილის შემდეგ აღარ გაუვლია დიდ ხანს, რომ ეს იმედი ყველას გაგვიცრუვდა. ჩვენ განვიცადეთ კიდევ რამდენიმე მძლავრი ტალღა, რომლებმაც საზოგადოებრივი მოძრაობა

წინ გააქანა და ჩვენი იმედები გააძლიერა, და შემდეგ სურათი უეცრივ გამოიცვალა: ქვეყანა თითქო ჯოჯოხეთურმა ძალებმა შეიპყრესო, ალექსანდრე წულუკიძეს უკვე აღარ უხილავს ბნელი ძალების თავ-შეუკავებელი თარეში, რომელთან შედარებით წინანდელი დრო ნანატრი შეიქნა. გარდა ამისა, იგი აღარ შეიქნა მოწამე მრავალ თავისი „ამხანაგების“ დაცემისა და გაორგულებისა იმ წმინდა საქმისადმი, რომელსაც იგი მათთან ერთად ემსახურებოდა. სამაგიეროდ, მას წილად ხვდა ჯერ არ ყოფილი, ჩვენში უმაგალითო გამოთხოვება დასაფლავების დროს. ვეკვობ, რომ არა თუ წასულში, არამედ ახლო მომავალშიაც, სხვა რომელიმე საზოგადოებრივ მოღვაწეს წილად ხვდეს ჩვენში რაიმე ამის მსგავსი.

ახლა ვიკითხოთ: ვინ იყო ალექსანდრე წულუკიძე და რაში გამოიხატება მისი მნიშვნელობა. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ამ მხრით ყველა მის ახლო მეგობრებს დიდი დანაშაული მიგვიძღვის. საქმე იმაშია, რომ გარდა იმისა, რაც ითქვა და დაიწერა მისი გარდაცვალების გამო, შემდეგ აღარავის არ უცდია ალექსანდრე წულუკიძის პიროვნების დახასიათება და აგრეთვე მისი მოღვაწეობის გაცნობა. რა თქმა უნდა, მე აქ სრულებით არ ვფიქრობ ამ ნაკლის შევსებას: აქ მე ვუთითებ მხოლოდ ამ ნაკლზე და ვისურვებ, რომ ახლო მომავალში თავიდან აცდენილ იქნას იგი.

ალექსანდრე წულუკიძე იყო ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იმ პატარა გუნდისა ჩვენში, რომელიც ჯერ კიდევ გასული მეცხრამეტე საუკუნის დამლევს გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და რომელიც თავის უმაღლეს და საკაცობრიო დანიშნულებას მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში ხედავდა. გამოსული ქართველი საზოგადოების მაღალი წრიდან, რომელიც კაი ხანია უკვე გახრწნის გზაზე იყო შემდგარი, ალექსანდრე ჯერ კიდევ ოცი წლის არ იქნებოდა, როცა დარწმუნდა, რომ მისი დანიშნულება-მოწოდება—ეს მშრომელი ხალხის სამსახური უნდა გამხდარიყო; და იგი მთელი თავისი არსებით შეუდგა ამ დიად საქმეს.

ამ ჩემს გამოზრდაში ბევრი ნიჭიერიც და უნიჭოც მინახავს ამ ასპარეზზე გამოსული; მინახავს, თუ როგორ აკეთებდენ, ან როგორ გაურბოდენ საქმეს, მინახავს უკან დაბრუნებულნიც და ისეთებიც, რომლებიც ბოლომდის შერჩენ ერთხელ არჩეულ გზას, მაგრამ არც ერთ ამათგანს არ გავდა ალექსანდრე წულუკიძე. იმ წრეში, რომელშიაც ის მოქმედებდა, იგი სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა. ბუნებისაგან ნიჭით უხვად დაჯილდოებული, აღფურვილი დაუშრეტელი

ენერგიით და მტკიცე დამოუკიდებელი ხასიათით, იგი შეურყეველად მიდიოდა მეცნიერული სოციალიზმის შესასწავლად. შეუძლებელია იმისი თქმა, თუ რომელი მხარე ამ მოძღვრებისა, პრაქტიკული თუ თეორიული, სჭარბობდა მასში. უფრო მართალი იქნება ვთქვათ, რომ ორივე ეს მხარე თანაბრად პოულობდა მასში თავის ღირსეულ გამომხატველს. ჩვეულებრივად ჩვენ ვხედავთ, რომ ის, ვინც ძლიერია თეორიაში, პრაქტიკაში კოჭლობს და პირიქით: ის, ვინც ძლიერია პრაქტიკული ცხოვრებაში, სუსტობს თეორიაში. ალექსანდრე წულუკიძე ამ შემთხვევაში წარმოადგენდა იშვიათ გამონაკლისს. რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, თუ ბოლოს, სრული დავაჟკაცების ხანაში, რომ ეს მას დასცლოდა, ვინ გამოვიდოდა ალექსანდრე წულუკიძისაგან: თეორეტიკოსი თუ პოლიტიკური მოღვაწე, ვინაიდან ფართო თეორეტიულ ცოდნასთან ერთად იგი იჩენდა მჭერმეტყველობასაც. აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ მუშათა მოძრაობაში, რომელსაც მან შესწირა თავისი სიცოცხლე, იგი მუდამ სათავეში იდგა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორეტიულადაც. სამწუხაროდ, მაშინდელი პირობები ხელს უშლიდენ მისი ნიჭის გამოაშკარავებას ლეგალურ პრესაში, სამაგიეროდ, როცა გარემოება ნებას აძლევდა, იგი საუცხოოდ სარგებლობდა არალეგალურით. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი იყო მისი გავლენა ზეპირ, სიტყვიერ პროპაგანდის დროს.

ამნაირად, თუმცა მეტად ხანმოკლე იყო ალექსანდრე წულუკიძის მოღვაწეობა, მაგრამ მან წაუშლელი კვალი დასტოვა არა მარტო ქართველი, არამედ მთელი მრავალ-ეროვანი კავკასიის პროლეტარიატის მოძრაობის ისტორიაში. აქ მას მუდამ საპატიო ადგილი ექნება დათმობილი.

დასასრულ, ვსარგებლობ რა ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ ხუთი წლის შესრულებით, არ შემიძლია მისი მახლობელი მეგობრების ყურადღება არ მივაქციო შემდეგ გარემოებას: განსვენებულს დარჩა დაუბეჭდავი ხელ-ნაწერი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ადგილებს იქ დღეს უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იგი მაინც უნდა გამოიცეს ან ცალკე, ან სხვა მის ნაწერებთან ერთად. ეს არის ჩვენი პირდაპირი მოვალეობა და ამის გადადება დღეს შეუძლებლათ მიმაჩნია.

# III

# „ასტრახანსკი ლისტოკი“
# 1911 წლისა

# ბატონ-ყმობა ასტრახანის გუბერნიაში რეფორმის წინა-დღით.

(ისტორიული ცნობა).

## I.

რუსეთში ბატონყმობის აღმოცენება და განვითარება გამოწვეული იყო განსაზღვრული ისტორიული და ეკონომიური მიზეზებით, რომელთა შესახებ ჩვენ აქ საუბარი აღარ გვექნება. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ საერთოდ ცნობილ ფაქტს, რომ ბატონ-ყმობა თავდაპირველად აღმოცენდა და შედარებით ძალიან ადრე და სწრაფად განვითარდა პირველ ყოვლისა და უმთავრესად მოსკოვის სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილებში; რაც უფრო თანდათან ვიცილდებით ცენტრს და ყურადღებას ვაქცევთ პერიფერიებს, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ამ ნაწილებში გლეხების დამონავება მეტად ნელა მიმდინარეობდა ან ბოროლდებოდა კიდეც. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ზოგიერთი განაპირა კუთხეების რუსებით დასახლების შეგვიანება; რაც უფრო გვიანდებოდა ასეთი დასახლება, მით უფრო ყოვნდებოდა იმ ნიადაგის მომზადება, რომელზედაც ვითარდებოდა ბატონ-ყმობა.

აქედან ბუნებრივად გამოვდინარეობს, რომ ბატონ-ყმობა ახლანდელ ასტრახანის გუბერნიაში შეიძლება აღმოცენებულიყო შედარებით უფრო გვიან. საქმე იმაშია, რომ ეს მხარე იმყოფებოდა აზიის რუსეთის საზღვარზე, მუდამ გახსნილი იყო და მას არაფერი არ იცავდა ნახევრად-ბარბაროსული ტომების თავდასხმისაგან და ამასთანავე უმთავრესად წარმოადგენდა ნახევრად-გამოსადეგ ან საესებით გამოუსადეგარ ადგილებს მიწათ-მოქმედებისათვის; ამის გამო იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო არა თუ გამავრცელებელი ბატონ-ყმობისა, არამედ დიდხანს იგი სასტიკ წინააღმდეგობასაც უწევდა ბატონ-ყმობის ცენტრიდან პერიფერიაში გადმოტანას. იმ დროს, როდესაც ევროპის რუსეთის გუბერნიებში ბატონ-ყმობამ უკვე მძიმე უღელი დაადგა გლეხობას და ისინი ძლიერი რკინის ბორკილებით შებოჭა, ასტრახანის მხარე წარმოადგენდა საიმედო თავ-

შესაფარს ცენტრალური რუსეთიდან გამოსული და გამოქცეული გლეხობისათვის, რომელსაც ბატონის სამსახურში მძიმე და აუტანელი ცხოვრება აიძულებდა გაქცეულიყო, საითაც კი შესაძლებელი იყო. ამავე დროს ეკატერინე მე-II მთავრობა, ხედავდა რა, რომ ასტრახანის მხარის კოლონიზაცია რუსის თავისუფალი მოსახლეობით ძალიან ზანტად მიმდინარეობდა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ გამოქცეულთა ძალით მის კოლონიზაციაზე, იმის მაგივრად, რომ ისინი დაებრუნებია ძველი მფლობელებისათვის. მთავრობა ხედავდა, რომ ასტრახანის ოლქის ყმებით დასახლება იქნებოდა სრულებით არა მიზანშეწონილი; მოსახლეობის ასეთი ელემენტი ხელს ვერ შეუწყობდა ამ მხარის ვერც საბოლოო დაპყრობას და ვერც მის დაწყნარებას, მაგრამ რაკი ამ მხარის საბოლოოდ დაწყნარების პროცესი დამთავრებულ იქნა, ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა ყმების გაჩენა ამ მხარეშიც.

ყოველ შემთხვევაში ყმა-გლეხები რჩებიან ასტრახანის მხარეში არა უადრეს მე-XVIII საუკუნის ბოლოსა და მე-XIX საუკ. დასაწყისისა. რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა: ბატონ-ყმობას დიდი გავრცელება აქ არ ჰქონებია. თუ რამდენათ მკაცრი იყო ამ მხარეში მემამულეთაგან ყმების შევიწროება, იყო თუ არა აქ გლეხთა ცოტათ თუ ბევრად ძლიერი აჯანყებანი ან და რა შედეგები ჰქონდათ მათ, ამის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, ვინაიდან არც სემიოვსკი და არც სხვა ცნობილი ავტორები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ადგილობრივი პირობები ნაკლებად უწყობენ ხელს აქ ბატონყმობის განვითარებას; და ყმების დიდი უმრავლესობა გადაყვანილი იყო გადასახადზე, ხოლო ასეთი გლეხობის მდგომარეობა ბევრად უფრო უკეთესი იყო, ვინემ მემამულეთა კარზე მომუშავე და სხვა გლეხებისა. შეიძლება ითქვას, რომ ყმების მდგომარეობა ასტრახანის გუბერნიაში თუ გინდ ცენტრალური გუბერნიების გლეხობის მდგომარეობასთან შედარებით, უნდა ყოფილიყო ბევრად უფრო შემსუბუქებული.

იმ სტატისტიკური ცნობებიდან, რომელიც მოიპოვებიან სარედაქციო კომისიების მასალებში, სჩანს, რომ ბატონ-ყმობის რეფორმის წინ ასტრახანის გუბერნიაში ყმა-გლეხებიდან გადასახადზე იყვნენ გადაყვანილი 87 %, ხოლო მემამულის კარზე კი მუშაობდა სულ 13%. გადასახადის სისტემის განვითარების მხრით ევროპის რუსეთის 42 გუბერნიაში ასტრახანის გუბერნიას ეჭირა მე-3 ადგილი; პირველი ადგილი ეკავა კოს-

ტრომის გუბერნიას, სადაც ასეთი ყმების რიცხვი აღწევდა 87,6%, მეორე ადგილი—იაროსლავის გუბერნიას, სადაც ეს რიცხვი აღწევდა 87,4%,—ორივ ესენი სამრეწველო გუბერნიებია. იმავე ცნობების მიხედვით თავრიდის გუბერნიაში სულ არ ყოფილა ასეთი სახის ყმები; ხოლო ბევრ სხვა გუბერნიებში, მაგ., ხერსონის, ეკატერინოსლავის, ჩერნიგოვის, პოლტავის და სხვ., ასეთი ყმების პროცენტი მეტად უმნიშვნელო იყო.

გადასახადის უპირატესობა ასტრახანის გუბერნიაში უმთავრესად აიხსნება იმით, რომ არსებობის მთავარ წყაროს ამ მხარეში წარმოადგენდა მეთევზეობა და მეჯოგეობა. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, უნდა ითქვას, რომ ამ გუბერნიის გლეხობას შორის იგი ძალიან სუსტად იყო განვითარებული. ამის გამო მემამულეთათვის ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო გლეხობა გადასახადზე ყოლოდა გადაყვანილი.

ყველაზე უფრო მძიმე და აუტანელი იყო ამ მხარეში, როგორც ყველა სხვა გუბერნიებშიც, შინა-მოსამსახურეთა (ბატონის კარზე მყოფთა) მდგომარეობა. ასტრახანის გუბერნიაში მათი რიცხვი შედარებით საკმაოდ დიდი იყო. მათ როგორც პირუტყვებს ისე ექცეოდენ. მას შემდეგ, რაც მათ სავსებით გამოიყენებდენ, ასეთ ყმებს გაადგებდენ ხოლმე, როგორც უვარგისს ნივთს, ან გაჰყიდდენ, როგორც საქონელს. პირველად ასტრახანის გუბერნიაში გაზეთი „ასტრახ. საგუბერ. უწყებები" გამოდის 1839 წლიდან. და აი ამ გაზეთის მე-9 ნომერში ჩვენ ვხედებით განცხადებას ყმა-გლეხი ქალის გაყიდვის შესახებ. მოგვყავს ეს დოკუმენტი მთლიანად ბატონ-ყმობის ,,კეთილ-პატრიარქალური'' ურთიერთობის დასახასიათებლად: ,,კერძო განცხადება. - იყიდება ყმა შინა-მოსამსახურე-ქალი 40 წ., 9 წლიანი ვაჟით. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება თვით მათ ბატონთან—პოლკოვნიკ **ვილკესთან**''. ეს პატარა ,,კერძო განცხადება", როგორც მას უწოდებს ოფიციალურ გამოცემა, უფრო მეტს გვეუბნება, ვინემ მთელი ტომები. ბავშვიანი ქალი გათანაბრებულია ძაღლთან—ლეკვით. ამ უგვარტომო და უსახელო ადამიანებს ყიდიან, როგორც უბრალო საგნებს ბაზრობაზე.

თუ კი ასეთი განცხადება შეიძლებოდა გაოქვეყნებინათ 1839 წელს და ისიც ოფიციალურ გამოცემაში, მას შემდეგ, რაც ისინი აკრძალულნი იყვნენ ჯერ კიდევ 1801 წლიდან, მაშინ ეს ფაქტი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ასეთი ,,პატრიარქალური დამოკიდებულებანი'' და „მამობრივი მზრუნველობა'' ყმების მიმართ ამ დროისათვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. იგი ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი მა-

შინდელ საზოგადოებას. როგორც ზევითაც აღენიშნეთ, ბატონ-ყმობა ასტრახანის გუბერნიაში ფართოდ არ იყო გავრცელებული. ტროინიცკის გამოანგარიშებით,—მეათე რევიზიის (1858 წ.) ცნობების მიხედვით,—ასტრახანის გუბერნიაში ყმა გლეხები შეადგენდენ გუბერნიის მოსახლეობის მხოლოდ 3%. ევროპის რუსეთის მხოლოდ ორ გუბერნიაში იყო ეს პროცენტი უფრო ნაკლები: სტავროპოლის გუბერნიაში ყმები შეადგენდენ 2% და ბესარაბიის გუბერნიაში მხოლოდ 1%—ამ გუბერნიების მთელ მოსახლეობასთან შედარებით. მაგრამ მხოლოდ ასტრახანის გუბერნიაში მეათე რევიზიის დროს სრულებით არ ყოფილან ყმები. ყველაზე მაღალი%% ყმებისა აღნიშნულია სმოლენსკისა და ტულის გუბერნიებში—აქ მათი რიცხვი აღწევს 69%-მდე, საერთოდ ევროპის რუსეთის გუბერნიებში ყმების საერთო პროცენტი სხვა მოსახლეობასთან შედარებით ბატონ-ყმობის რეფორმის წინ უდრის—37,5%.

აბსოლუტური რიცხვი ყმა-გლეხებისა ასტრახანის გუბერნიაში გლეხების განთავისუფლების დროს უდრიდა 5514 სულს, ანუ ორივე სქესის 10.000 სულს. მაზრების მიხედვით ეს მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა;

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ასტრახანის მაზრაში | — | 2619 | სული ანუ | 47,5%. |
| კრასნოიარის | — | 10048 | | 18,2%. |
| ჩერნოიარის | — | 930 | | 17,2%. |
| ენოტაევის | — | 617 | | 11,1%. |
| ცარევის „ | — | 344 | „ „ | 6,2%. |
| სულ . | — | 5514 | „ | 100,0%. |

ამ რიგად, თითქმის ნახევარი ასტრახანის გუბერნიის ყველა ყმებისა მოდიოდა მხოლოდ ასტრახანის მაზრაზე, სახელდობრ—47,5% საერთო რიცხვისა. ყველაზე ცოტა რიცხვი ყმებისა იყო ცარევის მაზრაში—344 სული ანუ 6,2%.

მთელი ეს რიცხვი ყმებისა განაწილებული იყო დაახლოვებით 20 მფლობელს შორის. საშუალოდ თითო მებატონეზე მოდიოდა დაახლოვებით 275 სული. ამ დროს ყველაზე უფრო დიდი მემამულე იყო გენერალ-მაიორის ჩუბარევის ქვრივი, რომელსაც ასტრახანის მაზრის რამდენიმე სოფელში ყავდა 1737 სული, ე. ი. მაზრის ყველა ყმა-გლეხობის 66,3%, ანუ გუბერნიის—31,5%. შემდეგ დიდი მემამულე იყო თავ. გო-

ლიცინის ქვრივი, რომელსაც ორ მაზრაში (ჩერნოიარის და ცარევის მაზრაში) ყავდა 805 სული, შემდეგ აზნაური ვიშენსკი, რომელსაც ყავდა (ენოტაევის მაზრაში) 582 სარ. სული.

ამ ყმების უმრავლესობა სცხოვრობდა სოფლებში, მაგრამ გარდა ამისა გუბერნიის ქალაქებში და აგრეთვე დაბებში სახლობდენ ყმები, რომელნიც ჩამოსული იყვნენ სხვა გუბერნიებიდან სხვადასხვა სამუშაოების საძიებლად.

ასტრახანის პოლიციის ცნობით 1738 წელს ქალ. ასტრახანში იყო შემდეგი რიცხვი ყმებისა.

| | მამაკაცი | დედაკაცი | სულ |
|---|---|---|---|
| 1) შინა მოსამსახურენი: | | | |
| ა) ბატონის კარზე | 235 | 195 | 430 |
| ბ) პასპორტებით | 118 | 82 | 200 |
| სულ | 3649 | 782 | 4431 |

ამ რიგად 20 წლის წინად ბატონ-ყმობის რეფორმამდე ქალ. ასტრახანის მოსახლეობაში შედიოდა 4431 სული ყმა, რაც შეადგენდა თითქმის 10% ქალაქის საერთო მოსახლეობისას (45,703 სული ორივე სქესისა) და ეს მაშინ, როდესაც მთელ გუბერნიაში საკუთარი ყმების რაოდენობა შეადგენდა 3% მთელი მოსახლეობისას. ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ასტრახანი, როგორც მუშათა ბაზარი იზიდავდა ყმებს სხვადასხვა სამუშაოებისათვის მთელი ვოლგის ნაპირებიდან, როგორც იგი ეხლაც იზიდავს მუშა-ძალას.

## II

თუ როგორ ხდებოდა ასტრახანის გუბერნიაში გლეხთა განთავისუფლების პროცესი საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის თანდათანობით შეცვლის მიხედვით — საამისო ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობის შემდეგ ასტრახანის გუბერნიის თავად-აზნაურობამაც ძალა-უნებურად — 1858 წლის დასაწყისში გამოსთქვა სურვილი შესდგომოდა პროექტის შედგენას მემამულეთა ყმების ყოფა-ცხოვრების მოწყობისა და გაუმჯობესების შესახებ. ამავე 1858 წლის დასაწყისში შეადგინეს საგუბერნიო კომიტეტი, რომელსაც უნდა შეედგინა ეს პროექტი შემდეგ საფუძველზე, რაც

აღნიშნული იყო გუბერნიის უფროსის სახელზე ბოძებულ უმაღლეს რესკრიპტში: 1) მემამულეებს რჩებათ საკუთრების უფლება ყველა მიწებზე; 2) გლეხებს რჩებათ მათი კარმიდამო, რომელიც განსაზღვრული ვადის განმავლობაში შეუძლიათ საკუთრებათ შეიძინონ; 3) გარდა ამისა გლეხებს ეძლევათ განსაზღვრული რაოდენობა მიწისა, რათა შეძლება ექნეთ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი მემამულეებისა და მთავრობის წინაშე, რომლისთვისაც გლეხები იხდიან გადასახადს ან ასრულებენ სხვა სახის სამუშაოს და 4) მემამულეებს რჩებათ საგვარეულო პოლიციის უფლება.

ასტრახანის თავად-აზნაურობის მიერ შედგენილი პროექტის ხასიათისა და მიმართულების შესახებ წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ ნაწილობრივ სარედაქციო კომისიების მასალების მიხედვით და აგრეთვე ასტრახანის კომიტეტის დეპუტატის კიშენსკის სიტყვებიდან, რომელიც, როგორც წევრი, მონაწილეობას იღებდა როგორც მთავარი კომიტეტის, ისე სარედაქციო კომისიების მუშაობაში.

ამ წყაროებიდან ვგებულობთ, რომ ასტრახანის კომიტეტი პროექტის შედგენის დროს გზადაგზა იძლევა ასტრახანის გუბერნიის ერთგვარ საინტერესო დახმარებას სასოფლო-სამეურნეო მხრით.

„ასტრახანის გუბერნია,—ვკითხულობთ სარედაქციო კომისიების მასალებში,—გუბერნიის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით, გაყოფილია ორ ნაწილად. ერთ ნაწილში შედის ასტრახანის, კრასნოიარის და ენოტაევის მაზრები. აქედან პირველ ორ მაზრაში სრულებითაც არ ხდება მიწის დამუშავება, რადგან საამისოთ გამოსადეგი მიწები იქ არ არის. მიწათმფლობელთ აქ შემოსავალი აქვთ სხვა წყაროებიდან: მეთევზეობიდან, მეჯოგეობიდან და სხვ., ხოლო გლეხობა უმთავრესად მეთევზეობას მისდევს, ქალაქის ახლო მდებარე ორ მამულში კი—მეჯოგეობასა და მებოსტნეობას. ენოტაევის მაზრაში მიწათმოქმედება სუსტად არის განვითარებული და გლეხობაც თავს ირჩენს მეთევზეობითა და მეჯოგეობით. გუბერნიის მეორე ნაწილს ეკუთვნიან ჩერნოიარისა და ცარევის მაზრები, სადაც უმთავრეს წარმოებას შეადგენს მიწათმოქმედება, რომლის ხასიათიც დაახლოებით ემსგავსება ორი მოსაზღვრე სარატოვისა და სამარის გუბერნიების მიწათმოქმედებას“. შემდეგ—ასტრახანის, კრასნოიარის და ენოტაევის მაზრებში არ არის შესაძლებელი გლეხობისათვის მისაცემი ნორმის საფუძვლად მივიჩნიოთ მიწის რაოდენობა, რომელიც არსებითად მეურნეობის სხვა სისტემისათვის თუ გამოდგება. ამის გამო,

რადგანაც შეუძლებელია ამ მაზრებში არსებული ნორმის გამორკვევა, უფრო სამართლიანად იქნა ცნობილი ნება მიეცეს ადგილობრივ დაწესებულებათ ამ სამ მაზრაში განსაზღვროს მიწის ნორმა თითეული ადგილისათვის, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული თვისებები. ხოლო ჩერნოიარისა და ცარევის მაზრებისათვის განზრახულია დაწესებულ იქნეს ის ნორმები, რომელიც განსაზღვრულია დიდ-ველებიანი გუბერნიებისათვის". გარდა ამისა კიშენსკი განმარტავდა, რომ ასტრახანის გუბერნიაში არის სხვადასხვა ხასიათის ნიადაგი და ჰავა: მისი ჩრდილოეთი ნაწილი (ჩერნოიარისა და ცარევის მაზრები) მეტად მძაფრად ეწევიან ჰურის წარმოებას, რაც აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას. გუბერნიის საშუალო ადგილია ენოტაევის მაზრა, რომელიც წარმოადგენს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადასვლას. აქ მცხოვრებნი ხშირათ იძულებულნი არიან იყიდონ ჰური, რომელიც შემოაქვთ ზედა გუბერნიებიდან. სამხრეთი ნაწილი (ასტრახანისა და კრასნოიარის მაზრები) წარმოადგენს დაბლობს, რომელიც საესებით სილით არის დაფარული და დასერილია მდინარე ვოლგის აუარებელი შტოებით. აქ არ იზრდება არავითარი ჰურეულობა და მცხოვრებლები უმთავრესად მისდევენ მეჯოგეობასა და ნაწილობრივ მეთევზეობას. გუბერნიის ასეთი სხვადასხვაობა იყო მიზეზი იმისა, რომ კომიტეტმა (ასტრახანის) გაჰყო იგი ორ ნაწილად—სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილად".

ყოველივე ეს რამდენიმეთ მართალია, მაგრამ ამ სამართლიან მოსაზრებებიდან ასტრახანის კომიტეტმა და მისმა წარმომადგენელმა არ გამოიყვანეს ის დასკვნა, რომელიც მათ უნდა გამოეტანათ, თუ კი სურდათ სამართლიანობის ნიადაგზე დამდგარიყვნენ. ასტრახანის დეპუტატებს იმდენათ არ აინტერესებდათ სამართლიანობის თვალსაზრისი, რამდენათაც ეიწრო-კლასობრივი თვალსაზრისი. მაგალითად,—კიშენსკის სიტყვებით,—იმავე „მასალებში" ნათქვამია შემდეგი: მიწების ის რაოდენობა, რომელიც სამეურნეო განყოფილების აზრით უნდა გადაცემოდა გლეხობას ასტრახანის გუბერნიაში, მეტად დიდია და შეავიწროებს მემამულეებს. კიშენსკის აზრით, განყოფილებამ არ მიიღო მხედველობაში, რომ მემამულეთა მთელი მიწებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუ გამოდგება დასამუშავებლად, ხოლო უმრავლესობა კი შესდგება გაუვალ ქაოებიდან, რომელნიც ზაფხულობით მეტ წილად წყლით არის დაფარული, ან და მლაშ მიწებიანი და სილიანი ადგილებისაგან. ამიტომ ბ-ნ კიშენ-

სკის აზრით უფრო სამართლიანი იქნებოდა თუ დაამტკიცებდენ საგუბერ-ნიო კომიტეტის გადაწყვეტილებას. ხოლო საგუბერნიო კომიტეტი ფიქ-რობდა მიეცა გლეხობისათვის კომლზე: 1) ასტრახანის და კრასნოიარის მაზრებში მრავალმიწებიანი მამულებიდან 7-დან 8 დესეტინამდე მიწა, ხოლო საშუალო-მიწებიან მამულებიდან 5-დან 7 დესეტინამდე, ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს მიწების $^1/_3$, გარდა ტყისა; ენოტაევისა და ჩერ-ნოიარის მაზრებში 2 % და ცარევის მაზრაში თითოსათვის 7 დესეტინა მიწა.

ბ-ნი კიშენსკი აქ ივიწყებდა უბრალო რამეს, რომლის შესახებაც თვით იგი ლაპარაკობდა წინად, სახელდობრ იმას, რომ ბ. ბ. მემამულენი უმთავრეს სარგებლობას იღებენ ასტრახანისა და კრასნოიარის მაზრებში და ნაწილობრივ ენოტაევის მაზრაში არა მიწის დამუშავებიდან, არამედ მეთევზეობიდან და მეჯოგეობიდან, ხოლო სათევზაო ადგილებს ისინი სცდილობდენ დაეტოვებინათ და კიდევაც დაიტოვეს სრულ თავის განკა-რგულებაში.

და აი, წაართვეს რა გლეხობას თევზის ჭერის საშუალება, ე. ი. ადგი-ლობრივი მცხოვრებლების არსებობის მთავარი წყარო, მემამულენი სცდი-ლობდენ მიეცათ მათთვის მცირე ნაკრები მიწისა. და ამას ბ-ნი კიშენსკი სამართლიან მოსაზრებას უწოდებდა.

თავის თავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად არა თვით მაშინდელი პროექტი ასტრახანის თავად-აზნაურო-ბისა, არამედ ის პოზიცია, რომელიც დაიკავა მაშინ ყველასათვის საინ-ტერესო საკითხში ასტრახანის კომიტეტმა და მისმა წარმომადგენელმა პეტერბურგში ბ-ნ კიშენსკიმ. ნაწილობრივ ეს ჩვენ უკვე ვიცით. მაგრამ მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე დამახასიათებელი მოვლენა ამ პოზიციის გამოსაკვლევად.

გლეხობისათვის გადასაცემი მიწების სამეურნეო დამუშავების საკით-ხის შესახებ ასტრახანის კომიტეტი ფიქრობდა, რომ გლეხობას შეუძლია ისარგებლოს ამ მიწებით მხოლოდ სამეურნეო დამუშავებისა და მეჯოგე-ობისათვის. გლეხობისათვის მიწების უვადო და ვადიანი სარგებლობისა-თვის გადაცემის შესახებ „პირველი მოწვევის ყველა წევრების შორის მხოლოდ ოთხმა—შიდლოვსკიმ, თავ. გაგარინმა და კიშენსკიმ დადებითად მიიჩნინეს მოთხოვნა გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებისა“.

„ბ-ნი კიშენსკი,—ვკითხულობთ ჩვენს სკრიაბინსკის ნაწარმოებში,— ფიქრობდა შეეზღუდა გლეხობის უფლება სილაზე, ტორფზე, თიხაზე და

ქვაზე, ხოლო გლეხობის ახალ შენობათა აგება მებატონეთ ა'შენობებიდა' დაშორებული უნდა ყოფილიყო არა 50, არამედ 100 საჟენი". შემდეგ ბატონი კიშენსკი სხვა. წევრებთან ერთად, — ბ. ბ. კომელოვთან, ოზნობიშჩევთან და თავ. შჩერბატოვთან ერთად მოითხოვდა, რომ „კიდეე უფრო მეტად შეევიწროებიათ გლეხების პირადი თავისუფლება".

ამ რიგად როგორც ასტრახანის კომიტეტის, ისე მისი პეტერბურგელი წარმომადგენელის ყველა აზრები და მოსაზრებები გაჟღენთილი იყვნენ მეტად დახავსებული და ჩამორჩენილი მონათ-მფლობელთა შეხედულებებით. თავისთავად უმნიშვნელო მებატონე ბ-ნი კიშენსკი იყო მეტად თავგამოდებითი დამცველი ძველი დროის მემამულეთა უფლებებისა. მას არ შეეძლო გლეხობის შესახებ ბაასი და მსჯელობა გარეშე ზიზღისა და სიძულვილისა, რადგან მათში იგი ხედავდა მხოლოდ თავისი სურვილებისა და ენინის დამაკმაყოფილებელ არსებათ. და რომ ბ-ნ კიშენსკისა და მის დამქაშებს სცოდნოდათ თანამედროვე თერმინები, ისინი ალბათ გამოვიდოდენ მოწოდებით ჯვაროსნული ომი გაემართათ გლეხობის ძალმომრეობისთვის ბატონ-ყმობის დროს.

## III

იმ დროს, როდესაც პეტერბურგში გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა თებერვლის 19-ს დებულების შესამუშავებლად და საზოგადოების საუკეთესო ნაწილი გაფაციცებითა და თანაგრძნობით ადევნებდა თვალ-ყურს ამ მუშაობას, — ამ დროს ასტრახანის საზოგადოებას პირდაპირ არაფერში არ გამოუხატავს თავისი ინტერესი ამ რეფორმისადმი. ან სად და როგორ უნდა გამოეხატა ეს მას.

პერიოდული პრესა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა და შეუძლებელია ისეთ ორგანოთ მივიჩნიოთ მაშინდელი „საგუბერნიო უწყებები". მხოლოთ დრო-გამოშვებით თუ იბეჭდებოდა ამ გაზეთში სხვადასხვა ოფიციალურ ბრძანებებსა და ცირკულიარებს შორის მთავრობის ზოგიერთი დოკუმენტები, რომელიც აუწყებდა საზოგადოებას, რომ ამა და ამ კომიტეტებსა და კომისიებში მზადდებოდა გლეხთა რეფორმა, რომ ირჩეოდა საკითხები იმ გლეხობის ცხოვრების მოწესრიგების შესახებ, რომელნიც თავისუფლდებოდენ ბატონ-ყმობისაგან. სხვა ვერაფერს ვერ გაიგონებდით ვერსად — თითქმის თებერვლის 19-ს მანიფესტის გამოქვეყნებამდე. მანიფესტი ასტრახანში გამოქვეყნდა დაგვიანებით — მხოლოდ 1861 წლის მარტის 22-ს.

ოფიციალურ წრეებში ამ მოვლენამ მეტად ჩვეულებრივად ჩაიარა,— იგი არაფრით არ იყო აღნიშნული იმავე „საგუბერნიო უწყებებში“.

როდესაც თვალს გადაავლებ მთელ ამ წარსულს, ძალა-უნებურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების ეს ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენათაგანი სრულებით შეუმჩნეველი დარჩა ადგილობრივი საზოგადოების მიერ, რომ აღარაფერი ვსთქვათ მის არა სათანადოთ შეფასებაზე.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, რეფორმა მაინც გამოცხადდა და შეუდგენ მის ცხოვრებაში გატარებას ახალი დაწესებულებანი, რომელთაც უწოდეს საგლეხო საქმეთა საგუბერნიო და სამაზრო საკრებულოები. თავიდანვე მათ მუშაობაში თავი იჩინა მისწრაფებამ როგორმე მემამულეთა გული მოეგოთ. ერთ-ერთ პირველ სხდომაზე ასტრახანის საგუბერნიო საკრებულოს, როდესაც ირჩეოდა საკითხი მლაშე მიწების შესახებ, სამართლიანად მიაჩნდა, რომ იგი (წინააღმდეგ კანონის გარკვეული მითითებისა) დამატებოდა გლეხის ნორმას იმ რაოდენობის მიხედვით ნოყიერ მიწებთან, როგორი შეფარდებაც იყო მასთან მებატონის მთელ მამულში. ეს აზრი, რომელიც უეჭველად ნაკარნახევი იყო ბ-ნ კიშენსკისებრი მემამულეთა ინტრიგით, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მიწების დაყოფის სახელმძღვანელო პრინციპებს და ამიტომ, რადგანაც მეტად ცხადად დაარღვიეს 28 მუხლი გლეხობის შესახებ დებულებისა,—საკრებულო იძულებული იყო უარი ეთქვა თავის ასეთ განზრახვაზე.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნაწილობრივ იმ უნდობლობის გამო, რომლითაც ეკიდებოდენ საგუბერნიო კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ცნობებს, ნაწილობრივ იმ მოსაზრებით, რომ ამ ცნობების შემოწმებით არ შეეფერხებინათ თავის დროზე გატარება რეფორმისა, ასტრახანის გუბერნიისათვის დაშვებულ იქნა არსებითი გამონაკლისი საერთო წესიდან. ასტრახანის და კრასნოიარის მაზრებისათვის გლეხობისათვის მისაცემი მიწის ნორმები თებერვლის 9-ს დებულებით არ იყო განსაზღვრული და იგი მინდობილი ჰქონდა გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს, რომელსაც ეს ცნობები უნდა განესაზღვრა ადგილობრივი პირობების მიხედვით, მაგრამ იმ პირობით, რომ სათანადო მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ წარედგინათ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის. 1862 წლის დასაწყისში ამ წესების მე-6 §, სხვათა შორის, ჩვენ ვხვდებით შემდეგ პუნქტებს:

1) გლეხებს ნორმაში, როდესაც ასეთ ნორმას მიუზომავენ მათი თანხმობის გარეშე, უნდა მიეცეთ მიწის ის რაოდენობა, რომლითაც ისინი ამდენ ხანს სარგებლობდენ; უკეთუ დიდ მამულებში გლეხების მიერ მიწით სარგებლობა არ ყოფილა შეზღუდული და ამ მამულის სივრცის გამოკვეცა შეუძლებელი იქნება, მაშინ ხსენებული ნორმა მიწისა განისაზღვრება თორმეტი დესეტინა მიწით თითო სულზე.

2) მიწის ნორმაში უნდა შედიოდეს გლეხის ბაღი, ვენახი, ბოსტანი და აგრეთვე ჩალამ-კალამით გაშენებული მიწა არა უმცირეს $^1/_2$ საჟ.

3) მლაშე მიწები და აგრეთვე საძოვარი ადგილები მიეცემათ სამი დესეტინა ერთ დესეტინაზე.

4) გლეხთა სარგებლობაში რჩება აგრეთვე ის სათევზაო ადგილები და სხვა მიწები, რომლითაც ისინი ამდენ ხანს სარგებლობდენ.

ერთ-ერთ შემდეგ სხდომაზე იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო გადასახადი მემამულეებსა და გლეხებზე საგლეხო საქმეთა საგუბერნიო და სამაზრო საკრებულოების შესანახად, საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა, რომ სათევზაო გადასახადი უნდა დაეკისროს მემამულეებს და არა გლეხებს, ვინაიდან თევზის ჭერა ასტრახანის გუბერნიაში რჩებოდა მებატონეთა უშუალო განკარგულებაში და გლეხობის მიწის ნორმაში არ შედიოდა. როგორც ზევით ნათქვამია, პუნქტი მე-2 უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული წესების § 6 ნათლად და კატეგორიულად ამბობს, რომ ის სათევზაო ადგილები, რომლითაც გლეხები მანამდე სარგებლობდენ, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგაც რჩებოდენ მათ სარგებლობაში. ნამდვილად კი ბატონ-ყმობის დროს გლეხები არ სარგებლობდენ სათევზაო ადგილებით, როგორც ამ ადგილების დამოუკიდებელი ექსპლოატატორები, მაგრამ ამ წარმოებაში ისინი ღებულობდენ სამუშაოს, ხოლო რადგანაც მიწის ნორმაში მათ სათევზაო არ ეძლეოდათ, ამით ერთმეოდათ არსებობის ერთი უდიდესი საშუალებანი. მაგრამ შესაძლებელია გლეხობას ეს დანაკლისი აუნაზღაურეს მიწების გულუხვათ დარიგებით?

მართალია საკრებულო ამტკიცებდა, რომ ჩერნოიარის, ენოტაევის და ცარევის მაზრებში გლეხობისათვის გადასაცემი ნორმის უმაღლეს განაკვეთად მიღებულია თორმეტი დესეტინა სულზე; ხოლო ასტრახანისა და კრასნოიარის მაზრებში ასეთი ნორმის უმაღლესი განაკვეთი განსაზღვრულია 9 დესეტინით და 750 საჟენით. ამას თან დართული ქონდა საზღაპრო ხასიათის შენიშვნა, რომ „თუ რამდენი მიწა არის გლეხობის

ნამდვილ სარგებლობაში, ამის შესახებ სწორი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არ იქნება განზრახულ უმაღლეს განაკვეთზე ნაკლები". მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვები. ნამდვილად კი საკრებულოს ცნობების მიხედვით ასტრახანის გუბერნიის 5 მაზრაში გლეხობის სარგებლობაში იყო სულ შემდეგი რაოდენობის მიწები.

| | დესეტინის რაოდენობა | საშუალოდ 1 სულზე დესეტინა |
|---|---|---|
| ასტრახანის მაზრაში . | 6,803½ | 2,6 |
| კრასნოიარის „ | 6,724 | 6,7 |
| ჩერნოიარის მაზრაში | 8,439 | 9,1 |
| ცარევის „ | 2,046 | 6,5 |
| ენოტაევის „ . . . | 7,404 | 12,0 |
| სულ . | 31,446 | 5,7 |

ამ რიგად საკრებულოს მიერ განზრახული მოსაზრება უმაღლესი განაკვეთის შესახებ ფაქტიურად მათ მიერვე მოყვანილი ცნობების მიხედვით მართლდება მხოლოდ 1 ენოტაევის მაზრის მიმართ, ხოლო დანარჩენ 4 მაზრაში გლეხობის ფაქტიური მფლობელობა სრულებით არ შეესაბამებოდა იმ ნორმას, რომელიც განსაზღვრული იყო კანონით, ე. ი. თითო სულის განაკვეთის რაოდენობა სამჯერ და ოთხჯერ უფრო ნაკლები აღმოჩნდა.

ბევრად უფრო ცუდათ იყო მდგომარეობა ამ მხრით ასტრახანის მაზრაში, სადაც ერთ სარევიზიო სულზე მოდიოდა საშუალოდ 2,6 დეს. მიწა. ამასთანავე ზოგიერთ მამულებში საშუალო განაკვეთი თითო სულზე ნაკლები იყო. მაგალითად მებატონე ჩუბარევას ქალის ყველა 5 მამულში საშუალოდ თითო სულზე მოდიოდა 1,5 დესეტინაზე ნაკლები; მხოლოდ ერთ მამულში (სოფ. იკრიანოში) საშუალოდ თითო სულზე მოდიოდა 6,4 დესეტინა მიწა, ხოლო დანარჩენ 4 მამულში კი—

| | | |
|---|---|---|
| სოფელ სერგიევკაში | 0,53 | დესეტინა |
| დმიტროვკაში | 0,28 | „ |
| ნიკოლაევკაში | 0,91 | |
| „ ფედოროვკაში | 0,30 | „ |

საკითხავია, მართლაც და მიწების ასეთი მცირეოდენი რაოდენობა იყო თუ არა გლეხების სარგებლობაში ბატონ-ყმობის დროს ამ მამულე-

ბში? თუ ეს უმნიშვნელო ციფრები შედეგია ყალბი ცნობებისა, რომელიც იყო საკრებულოს განკარგულებაში?

რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ არის ცხადი: მიწის ასეთი უმნიშვნელო რაოდენობით გლეხებს არ შეეძლოთ არსებობა და მით უმეტეს მემამულისათვის გადასახადის მირთმევა და მისი სხვადასხვა ბეგარის შესრულება. მეორეს მხრით ჩვენ ვიცით, რომ იგივე მემამულე ჩუბარევას ქალი განუზომელ დიდ შემოსავალს იღებდა სათევზაო ადგილებიდან: მაგრამ ასეთივე მეთოდებით სცხოვრობდენ ხომ გლეხებიც.

შემდეგში, როგორც სჩანს, სიგელების შედგენის დროს ასტრახანის ყოფილ მემამულეთა გლეხების მიწის ნორმები რამდენიმეთ გაადიდეს.

ხოდსკის მიერ მოყვანილი ცნობების მიხედვით, გლეხების სამიწო ნორმების საერთო რიცხვი ასტრახანის გუბერნიაში მე-XIX საუკუნის 80-იან წლებში უდრიდა:

| | | |
|---|---|---|
| ასტრახანის მაზრაში . | . 19,687 | დესეტ. |
| ენოტაევის | 7,023 | „ |
| კრასნოიარის | . 12,209 | |
| ცარევის | 2,310 | |
| ჩერნოიარის „ . . . . . | 9,794 | „ |
| სულ . | . 51,232 | დესეტ. |

და მიუხედავად ნორმების ასეთი გადიდებისა, იმავე ავტორის გამოანგარიშებით, აღმოჩნდა, რომ ასტრახანის გუბერნიაში ყოფ. მემამულეთა გლეხებმა მიიღეს მიწის ნორმა შემდეგი შეფარდებით: გლეხობის 11% გულუხვად, 35,8% საკმაოდ და 53,2% არა საკმაოდ. ამავე დროს კი ევროპის რუსეთის 40 გუბერნია ამ შემთხვევაში შემდეგ სურათს გვიხატავს—გულუხვად 13,9%, საკმაოდ—43,5% და არა საკმაოდ 42,6%.

ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ისეთ მრავალ მიწებიან გუბერნიაში, როგორიც იყო ასტრახანის გუბერნია, გლეხობის გამოსასყიდი და მათთვის ბოძებული ნორმები მიწებისა იყო მეტად მცირე. ეს ფაქტი მით უფრო უცნაურია, რომ იგი არსებითად ეწინააღმდეგება ბ-ნ კიშენსკის რწმუნებას, რომელმაც რამდენჯერმე განაცხადა მთავარი კომიტეტის კრებებზე, რომ „ასტრახანის გუბერნიაში არ არის მცირე მიწებიანი მამულები“-ო. მაგრამ არსებითად აქ გასაკვირალი არაფერი არ არის. „ეს

ფაქტი,—ამბობს ხოდსკი,—უცნაურია პირველ შეხედვით, თორემ სინამდვილეში იგი სავსებით გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რომელშიც ხდებოდა გლეხობისათვის მიწების გადაცემა განთავისუფლების დროს".

თებერვლის 19-ს დებულების შედგენაც და მისი ცხოვრებაშიც გატარებაც უმთავრესად მემამულეების ხელში იყო, რომელნიც ყოველგვარ ხვრელებს იცნობდენ, რომელთაც ყველაფერი იცოდენ, რომ კარგათ უზრუნველეყოთ თავიანთი ინტერესები და ზოგიერთი უფლებების დაკარგვა მრავალით აენაზღაურებიათ. ამავე დროს კი გლეხობისათვის მთელი ეს ,,პოლიტიკა'' უცნობი იყო. და კიდევაც რომ მათ ყოველივე სცოდნოდათ, ისინი მაშინდელი სახელმწიფოებრივი წყობილებისა და ძალთა ურთიერთობის დროს მაინც ვერ შესძლებდენ მედგრად და წარმატებით დაეცვათ თავისი უფლებები.

გაზეთი: „ასტრახანსკი ლისტოკი",
№ 40, 1911 წლის 19 თებერვალი.

# IV

# ჟურნალი „ჩვენი წყარო“
# 1913 წლისა.

# შინაური მიმოხილვა.

პატრიოტული მანიფესტაციები პეტერბურგში და მთავრობა. დეპუტატის ხელშეუხებლობა.— ოქტომბრისტები იჩენენ ნამდვილ თავის სახეს.

ერთობ მეტათ გაუძნელდა მმართველ ბიუროკრატიას საქმე. მან ალარ იცის, როგორ მოიქცეს. ამას წინათ, ადრიანოპოლის [10]) დაცემის გამო, მემარჯვენეებმა და ნაციონალისტებმა მანიფესტაცია მოახდინეს პეტერბურგის ქუჩებზე. როგორც ვიცით, აქამდის მანიფესტაციებს რუსეთში მუშები და სხვა დემოკრატიული ელემენტები ახდენდენ მთავრობის წინააღმდეგ. ეს ყველამ უწყის, და უწინარეს ყოვლისა—მთავრობამ და პოლიციის დეპარტამენტმა, მაგრამ მემარჯვენეების და შავრაზმელების დემონსტრაცია პურიშკევიჩ[17])-მარკოვების[18]) წინამძღოლობით,—ეს ახალი ხილია. ასეთი მანიფესტაცია სრულიად მოულოდნელი იყო პეტერბურგის პოლიციისათვის. მაგრამ მის სასახელოთ უნდა ვაღიაროთ, რომ თავის ღირსება არ შეულახავს, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი გამარჯვებული გამოვიდა ამ უხერხული მდგომარეობიდან. წარმოიდგინეთ, რომ ეს ახირებული მანიფესტანტები მღეროდენ არა რევოლიუციონურ სიმღერებს, არამედ ეროვნულ ჰიმნს, გაიძახოდენ არა: ძირს მთავრობაო, არამედ—გაუმარჯოს ბალკანეთის მეფეებს და ძმია სლავიანებს და სხვა ამ გვარებს. გარდა ამისა, რაც უფრო საყურადღებოა, თვით მანიფესტაციის მონაწილენი სულ ერთიანათ წარჩინებული პირებისაგან შესდგებოდენ, დაწყებული ბრწყინვალე თავადებიდან და ჯინჯილებიან ღენერლებიდან და გათავებული სტატსკი სოვეტნიკებით. ასეთ პატივცემულ საზოგადოებაში მხოლოდ ეგერ-აგერ თუ გამოერეოდენ სალდათები ან მოწაფეები და საიდუმლო პოლიციის აგენტები. მიუხედავათ ამისა, პოლიციური მთავრობა ამას არ შეუშინდა, და, როცა მის მოთხოვნაზე მანიფესტანტები არ დაიშალენ, გასცა ბრძანება ძალა ეხმარათ, და გაისმა ამ პატივცემულ პირების ზურგებზე მათრახების და ნაგაიკების ზუზუნი.

სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ პეტერბურგის პოლიციელები ამ შემთხვევაში მეტად ზრდილობიანათ იქნევდენ მათრახს, ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები უსიამოვნება მიეყენებიათ ამ ახირებულ და გამოუცდელ მანიფესტანტებისთვის, ვინემ ისინი იქცეოდენ საზოგადოთ ასეთ შემთხვევაში. რაც უნდა იყოს, ორიოდე მათრახი თავიანთ ზურგებზე პურიშკევიჩ-მარკოვებმაც იწვნიეს და, თუმცა ისინი ყოველთვის თავის მოწინააღმდეგეებისთვის დაუზოგველათ ურჩევენ მთავრობას ასეთი და კიდევ ბევრათ უარესი ზომების ხმარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მათრახებმა იმათზე საკმარისათ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იქონია. ჩვენი გმირები გაემართენ და მაშინვე შეკითხვა შეიტანეს სახელმწ. დუმაში. ასე და ამ გვარათო, ამბობდენ ისინი.

მთავრობამაც არ დააყოვნა პასუხის გაცემა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ. მაკლაკოვმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ მანიფესტაციები აკრძალულია, ვინაიდან ისინი უწესობას იწვევენ, და მერე ამას მუშები და საზოგადოთ მკმარცხენე, მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტები ჩადიან; რა თქმა უნდა, ‹თავრობამ კარგათ იცის იმ მანიფესტაციის მიზანი და დანიშნულება, რომელზედაც ახლა ლაპარაკი არისო, მაგრამ ეს მოულოდნელათ მოხდა, პოლიცია არ იყო მომზადებული და მთავრობა ბოდიშს იხდის, გამოძიებას მოახდენს და დამნაშავე პოლიციელებს დასჯისო. ასეთი პასუხით გათამამებულმა „პატრიოტებმა“ ერთი კვირის შემდეგ ხელახლად მოახდინეს მანიფესტაცია (24 მარტს). მონაწილეთა უდიდეს ნაწილს ახლა შეადგენდენ სამხედრო პირები (აფიცრები და სალდათები) და მოსწავლეები. პოლიცია ახლა აღარ ჩარეულა საქმეში. და მანიფესტანტებმა გული მოიჯერეს, თუმცა მიზანს მაინც ვერ მიახწიეს. რა სწადდათ რუსეთის „პატრიოტებს“? ომი ავსტრიასთან და სტამბოლის ხელში ჩაგდება,—აი რას ეტრფიან ისინი. რა თქმა უნდა, მთავრობასაც არა ნაკლებ სწადია ეს. მაგრამ იგი არ არის დარწმუნებული გამარჯვებაში, -და ამიტომ ომს გაურბის. ერთი სიტყვით, „პატრიოტები“ - ამ შემთხვევაში დათვურ სამსახურს უწევენ თავიანთ მთავრობას.

ასე თუ ისე, ბოლოს პატრიოტულ›ა მანიფესტაციებმაც მოაბეზრეს თავი მთავრობას, და მეორე დღესვე პეტერბურგის გრაფონაჩალნიკმა ქუჩებში განცხადებები გამოაკრა, რომ ყოველგვარი მანიფესტაციები აკრძალულია და იმათ ჩასაქრობათ მთავრობა ყოველ ზომას იხმარსო. ასეთმა განცხადებამ თურმე მემარჯვენეები ძლიერ გააკვირვა. მაგრამ ზოგიერთი იმათაგანი ირწმუნება, რომ ეს განცხადება პატრიოტებს არ ეხე-

ბაო. ჩვენც გვჯერა, რომ ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ როგორც უნდა თქვათ, მთავრობის მდგომარეობა მაინც უხერხულია: ერთი მხრით აკრძალვა, მეორე მხრით დაშვება, ეს ორპირიანი მახვილია.

დიდ უხერხულობაში აყენებს დღევანდელ მთავრობას აგრეთვე ძირითად კანონების ის მუხლი, რომელიც დეპუტატის ხელუხლებლობას შეიცავს. წარმოიდგინეთ, 160 მილიონ სულის პიროვნებას მთავრობა ექცევა ისე, როგორც მოისურვებს: თითოეულ მის მოხელეს—უბრალო მეეზოველან დაწყებული და გათავებული მინისტრით—შეუძლია დაუსჯელათ გადალახოს მცხოვრებთა პიროვნება სრულიად უდანაშაულოთ. იმავე დროს კი ამ უუფლებო ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატს იგივე მთავრობა ვერ ეხება, თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ მოხდა. დღევანდელი კანონით კატორღაში იგზავნება ის, ვისაც სოც.-დემ. პარტიის წევრობას დაუმტკიცებენ. იმავე დროს კი, სახელმ. დუმაში არსებობს სოც.-დემ. ფრაქცია, რომელიც აშკარათ ამ პარტიის სახელით ლაპარაკობს და მოქმედებს. წარმოიდგინეთ, რა უხერხული უნდა იყოს ასეთ პირობებში მთავრობის მდგომარეობა. ამას წინათ სოც.-დემ. ფრაქციის წევრი, დეპ. პეტროვსკი პოლიციამ დააკავა ორი-სამი საათის განმავლობაში თავის ოთახში. იმავე ბინაზე პოლიციამ გაჩხრიკა და შემდეგ ნაობახში უკრა თავი პეტროვსკის ორ სტუმარს, რომლებიც ის იყო პეტერბურგში მოსულიყვენ შორი მანძილიდან, და მათი ერთათ ერთი დანაშაული ის იყო, რომ ისინი პოლიციის ცნობით პოლიტიკურად არა საიმედო პირებათ ითვლებოდენ. როგორ გვონიათ: ვის შესახებ შეიტანეს დუმაში შეკითხვა? შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ უდანაშაულოთ დაპატიმრებულ პირების შესახებ? სრულებითაც არა: შეკითხვა შეტანილ იქნა იმაზე, რომ დეპ. პეტროვსკის ორი საათის განმავლობაში პოლიციამ ნება არ მისცა თავის ოთახიდან გარეთ გასულიყო! და აი სწორეთ მხოლოდ ამაში ხედავენ კანონის დარღვევას! ამაზე მეტი უმსგავსობა განა კიდევ შეიძლება? ჩვენ რალა უნდა ვთქვათ იმის მეტი, რომ კიდევ კარგი, თუ 160 მილ. ხალხში 400 მისი შვილი სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით.

ახლა ყური დაუგდეთ, თუ რას ამბობს ამის შესახებ მინისტრი. მან განაცხადა, რომ შეკითხვაში აღნიშნული ფაქტი მართალია, მაგრამ მერე ვითომ რაო? პეტროვსკისთანა ხალხს ჩვენ კატორღაში ვისტუმრებთო. და რა დიდი დანაშაული ჩვენ ჩავიდინეთ, თუ იგი 2—3 საათით მის ოთახში დავამწყვდიეთო? და განა ჩვენ შეგვიძლია მას ვუსაყვედუროთ,

რომ იგი ამ შემთხვევაში სიმართლეს არ ამბობს? მე თქვენ გთხოვთ, ერთი გადახედეთ ამ ვებერთელა რუსეთს და თქვენ მაშინ დარწმუნდებით მასში, რომ თუ კანონის დარღვევაზე მიდგება საქმე, მაშინ დეპუტატ პეტროვსკის ინციდენტი სახსენებლათაც არა ღირს.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვწამს ხსენებული შეკითხვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, და მის ავტორებს და ყველა იმათ, ვინც მას მხარი დაუჭირა, მხოლოდ ამ აზრით შექონდათ იგი სახ. დუმაში.

გარდა ამისა, ხსენებულ შეკითხვას ის მნიშვნელობაც ქონდა, რომ მისი განხილვის დროს ოქტომბრისტებმა [19]) ერთბაშათ შესცვალეს ლაპარაკის კილო და სავსებით დაკმაყოფილდენ მინისტრის განმარტებით; თუ აქამდის ისინი ყოყმანობდენ და მემარჯვენეებისაკენ აშკარათ გადახრას ვერ ახერხებდენ, ამიერიდან არავინ ეჭვი არ უნდა შეიტანოს იმათ შავრაზმელობაში. ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ ოქტომბრისტებმა მოძებნეს თავისი ბუნებრივი მოკავშირენი. მეოთხე დუმის არსებობა უზრუნველყოფილია, მაგრამ უზრუნველყოფილია მისი მოქმედების შავრაზმული ხასიათიც.

ჟურნალი: „ჩვენი წყარო",
1913 წლის 7 აპრილი, № 3—13.

# კარგი გაკვეთილი.

გასულ ორშაბათს, 15 აპრილს, ქალაქ ბაქოში მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელიც ბევრ საგულისხმიერო ამბავს გვეუბნება. ამ დღეს აქ ლექცია უნდა წაეკითხა კადეტების [20]) პარტიის ლიდერს ბ-ნ მილიუკოვს [21]). ბაქო, როგორც მოგეხსენებათ, ნავთის სამეფო ქალაქია; აქ არსებობს საკმარისათ განვითარებული მრეწველობა მსხვილი და საშუალო ფურეუაზიით და შედარებით დიდძალი მუშა ხალხით. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ დგას თავის სიმაღლეზე, იგი ძალზე ჩამოქვეითებულია. მტკიცე და ძლიერი დემოკრატიული მოძრაობის შესაქმნელად აქ აუარებელი ნედლი მასალაა მოგროვილი, მაგრამ დემოკრატია აქ სუსტია და მის ჩამოყალიბებას ბევრი გარემოება უშლის ხელს, როგორც პოლიტიკური, ისე ისტორიულ-ეტნოგრაფიული ხასიათისა. მკითხველმა შეიძლება იკითხოს, რომ ყველა ამას რა კავშირი უნდა ჰქონდეს ბ-ნ მილიუკოვის ლექციასთანო. რა თქმა უნდა, გარეგნობით თითქმის არაფერი, მაგრამ თუ საქმეს უფრო ღრმათ შევხედავთ, ჰაშინ ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება ის ინციდენტი, რომელიც მილიუკოვის ლექციის დროს მოხდა. ისინი, ვინც, როგორც, მაგ., გაზ. „ბაქო“, ამ ინციდენტს მარტოოდენ ნაციონალისტური თვალთახედვის წერტილიდან ხსნის, სასტიკად ცდებიან. ეჭვი არ არის, რომ აქ მუსულმანების ნაციონალური თავმოყვარეობაც თამაშობდა ერთნაირ როლს, მაგრამ არა უმთავრესს.

მკითხველი უეჭველად იკითხავს: რა მოხდაო? როგორც ვამბობდით, 15 აპრილს ბ-ნ მილიუკოვს ლექცია უნდა წაეკითხა ამ სათაურით: „ოსმალეთის კრიზისი და ბალკანეთის კავშირი“. ვერ კიდევ ლექციამდე, თუ დავუჯერებთ გაზეთ „ბაქოს“, მუსულმანთა ინტელიგენციის წარმომადგენლებს მოუნდომებიათ მისი ჩაშლა. და როცა იმათ ეს ვერ შესძლეს, თვით ლექციის დაწყების დროს მოახდინეს დემონსტრაცია მილიუკოვის წინააღმდეგ. მაგრამ იმავე დროს მსმენელების მეორე ნაწილი ლექტორს ტაშის ცემით მიეგება. შემდეგ ხალხი დაწყნარდა, და ლექცია შედგა. მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ გაზეთ „ბაქომ“ ყველა ისინი, ვინც მილიუკოვის ლექციის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, მუსულმანებათ მონათლა და იმათ უკულტურო და უწლოვანი უწოდა.

მაგრამ ხსენებული გაზეთი თავის შოვინისტურ მისწრაფებაში მეტად შორს წავიდა და მხოლოდ თავის უკულტურობა დაგვიმტკიცა. თავის თავად იგულისხმება, რომ ბაქოს საზოგადოების ერთი ნაწილის პროტესტი ამ შემთხვევაში მიმართული იყო არა ხსენებული ლექციის წინააღმდეგ, არამედ იმ პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ბალკანეთის დღევანდელ კონფლიქტში უჭირავს როგორც თვით ბ-ნ მილიუკოვს, ისე მთელ იმ პარტიას, რომლის ერთ ლიდერათ თვით ბ-ნი მილიუკოვი ითვლება. ეს პოზიცია, როგორც ვიცით, არსებითად არ განირჩევა იმ პოზიციისაგან, რომელიც ამ საქმეში დაიჭირა რუსეთის მთავრობამ, ერთი მხრით, და რუსეთის ნაციონალისტების ბანაკმა, მეორე მხრით.

ვის არ ახსოვს საზონოვ[22])-გუჩკოვ[23])-მილიუკოვის საიდუმლო მოლაპარაკება აწინდელი ომის წინა დღეებში, მილიუკოვის მოგზაურობა ბალკანეთის მხარეში რუსეთის მთავრობის მისიის შესასრულებლად, მისი თათბირი ბულგარეთის ფერდინანდ მეფესთან და ის სამარცხვინო განგაში, რომელიც მან და მისმა გაზეთმა „რეჩმა“ ასტეხა ოსმალების სიმხეცის წინააღმდეგ მაშინ, როცა ბოლგარლების და ბერძნების შემაძრწუნებელ ამბებს ხელს აფარებდენ. გაიხსენეთ შემდეგ ეგრეთწოდებული სლავიანების ბანკეტები და მიტინგები, რომელშიაც ბ.ბ. მილიუკოვები, ბობრინსკები [24]), ბალაშოვები, კრუპენსკები და ზამისლოვსკები ერთნაირად მხურვალე მონაწილეობას იღებდენ, სადაც ყველა ეს ვაჟბატონები ასე ურცხვად ცდილობდენ რუსეთის საზოგადოებრივ აზრის გაყალბებას. დაუმატეთ ყველა ამას ის სამარცხვინო როლი, რომელიც ბ-ნი მილიუკოვის პარტიის ერთმა ნაწილმა ითამაშა ადრიანოპოლის დაცემის გამო სახელმწიფო დუმაში მომხდარ დემონსტრაციაში. ყველა ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ პროტესტის და დაგმობის ღირსი არ არიან ბ-ნი მილიუკოვი და ის პარტია, რომელსაც იგი წარმოადგენს. და თუ მხოლოდ მარტო მუსულმანები აღმოჩნდენ ასეთ პროტესტანტებად, მით უარესი ბაქოს საზოგადოებისთვის და თვით გაზეთ „ბაქოსთვისაც“.

ჩვენ არ გვაინტერესებს მილიუკოვის ლექცია თავისთავად. მისი უშინაარსობა და წყალ-წყალობა უკვე წინდაწინ იყო უზრუნველყოფილი მით, რომ იგი წინათვე გააფრთხილეს მწვავეთ არ შეხებოდა საგანს. ეს იყო ტიპიური პროფესორული ლაზღანდარობა, მოკლებული როგორც ღრმა დაკვირვებას, ისე სიმახვილეს. მან ვერ გაარკვია ოსმალეთის რევოლიუციის უნაყოფობის მიზეზები, ვერც ბალკანეთის საკითხის დღევანდელი მდგომარეობა. მან მოჩმახა ბალკანეთის ომის შესახებ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის სამ მიმდინარეობათ დაყოფა, და ამასთანავე მესა-

მე მიმდინარეობა, რომელიც ვითომც პროგრესიულია, მან დაუპირდაპირა, ერთი მხრით, მარცხენა და, მეორე მხრით, მარჯვენა მიმდინარეობათ, მაშინ როცა ეს საზოგადოებრივი აზრი ამ შემთხვევაში დაიყო მხოლოდ ორ ნაწილად: ერთი მხარეზე დგანან რუსეთის მუშა ხალხი და ყველა დემოკრატიული ელემენტები, რომლებიც ომის წინააღმდეგი არიან, და მეორე მხარეზე დგას საზოგადოების ყველა დანარჩენი ნაწილი მემარჯვენეებიდან დაწყებული და გათავებული კადეტებით. ტყუილად იმიჯნებოდენ კადეტები მემარჯვენეებისაგან, ამ საკითხში იმათ შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის. დემოკრატია არასოდეს არ აპატიებს კადეტებს იმ მუხანათურ, იმ გაიძვერულ პოლიტიკას, რომელსაც ისინი ბალკანეთის საქმეში აწარმოებდენ და დღესაც აწარმოებენ. ამიტომ ბ-ნ მილიუკოვის სიტყვებს, რომლებითაც მან საზოგადოებას მიმართა და სადაც იგი ამბობდა, რომ იგი გამოდის იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც მიისწრაფის ეროვნებათა თანასწორობისაკენ და რომელიც ნაციონალური გრძნობების შეურაცყოფას არ ითმენს, მხოლოდ ზიზღის გამოწვევა შეეძლო ყველა ჭეშმარიტ დემოკრატში. რაც შეეხება ბ. მილიუკოვის განცხადებას, რომ მისგან გულწრფელ და ობიექტურ განმარტებას უნდა მოველოდეთო, ეს პირდაპირ სასაცილოა.

მილიუკოვ და გულწრფელობა! ეს ის მილიუკოვია, რომელიც ერთ და იმავე დროს მშვიდობიანობის ლიგის წევრია, პაციფისტი და მოძმე ხალხთა სისხლის ღვრის მომხრე, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის დამცველია და იმავე დროს „ხალხის თავისუფლების პარტიის“ ლიდერიც, რომელიც სიტყვით თითქო ხალხის თავისუფლებას ემსახურება და საქმით კი მას ღალატობს.

და აი, ამის შემდეგ, ბ-ნი მილიუკოვი გამოდის და საზოგადოებისაგან ნდობას თხოულობს მის პარტიისადმი.

არა, ბ. მილუკოვო! თქვენ და თქვენი პარტია ორთავე მატყუარები და ფარისევლები ხართ. მართალია ბევრ გულუბრყვილოებს მოატყუებთ ჯერ კიდევ, მაგრამ დემოკრატია თქვენ და თქვენ დამცველებს სასტიკ ომს გიცხადებს. დარწმუნებული ვართ იმაშიაც, რომ ბაქოს ინციდენტი კარგად დაგამახსოვრდებათ თქვენ. ძალიან კი ელაქუცებით და იგრეხთ კუდს კავკასიის წინაშე, მაგრამ ტყუილად გაქვთ იმის იმედი.

არა, როგორც უნდა იყოს, ბაქოს შემთხვევა კარგი გაკვეთილი იქნება ბ. მილიუკოვებისთვის.

ჟურნ. „ჩვენი წყარო“,
1913 წ. 21 აპრილი, № 5—15.

# ვინ გაიმარჯვა?

სკუტარის [25]) და ალბანეთის გარშემო ატეხილმა ხმაურობამ და აურზაურმა ლამის იყო არ დაჩრდილა ჩვენი ეროის ის უდიდესი მოვლენა, რომელსაც ბელგიის უკანასკნელი საყოველთაო გაფიცვა წარმოადგენს. მოგეხსენებათ, რომ ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფოების მთავრობანი ეს ერთი ხანია იმაზე იტეხენ თავს, რომ როგორმე გამოძებნონ გამოსავალი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობიდან, მაგრამ ამაოთ. თუ ამ ერთი წლის წინეთ ბალკანეთის საკითხი მთელი თავისი სიმწვავით და სირთულით წინ ედგა ევროპას, დღეს ამ მხრით ამოდენა მსხვერპლის შეწირვის და ამოდენა სისხლის ღვრის შემდეგ მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი კიდევ უფრო გამწვავდა. ვერც მოლაპარაკებამ და თათბირმა, ვერც თოფ-ზარბაზნების ჭექამ და სისხლის ღვრამ საქმეს ვერა უშველა რა, არ იქნა და არა: ბურჟუაზიული მთავრობები ვერ მორიგდნენ, ვერ გამონახეს ურთიერთ შორის შესათანხმებელი პირობები.

ეს გარემოება მეტათ დამაფიქრებელი და საგულისხმიერო უნდა იყოს იმათთვის, ვინც საზოგადოების აწმყოზე და მომავალზე ზრუნავს და ფიქრობს, ვისაც საზოგადოების განვითარების სვე-ბედი აინტერესებს. ბალკანეთის საკითხის ისტორია ცხადათ ყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული მთავრობები სრულებით უძლურნი არიან საერთაშორისო კონფლიკტები საბოლოოდ გადაწყვიტონ ისე, როგორც ისინი უძლურნი არიან შინაური კონფლიკტები თავიდან აიცილონ ან შესამჩნევად შეასუსტონ. თითეული იმათი ნაბიჯი, როგორც საგარეო, ისე შინაური კონფლიკტების თავიდან ასაცილებლათ, იწვევს მხოლოდ ახალ კონფლიკტებს, ბადებს ახალ უთანხმოებებს.

თუ ახლა ჩვენ ბურჟუაზიულ მთავრობების ბრძოლის მეთოდებს და ტაქტიკას დავუპირდაპირებთ შეგნებული და შეერთებული პროლეტარიატის ბრძოლისავე მეთოდებს და ტაქტიკას, ჩვენ აღმოვაჩენთ ღრმა ძირითად განსხვავებას: მაშინ, როცა თანამედროვე სახელმწიფოები ურთიერთ შეტაკების დროს ანგარიშს უწევენ მხოლოდ გაბატონებულ კლასების

ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს და ხალხის უმრავლესობის ინტერესებს ფეხ-ქვეშ თელავენ, პროლეტარიატს სწორეთ ამ უმრავლესობის ინტერესების დაცვა მიაჩნია თავის უმთავრეს დანიშნულებათ. და ვინაიდან ხალხის უმრავლესობის ინტერესები ყოველგან თითქმის ერთი და იგივეა, ამიტომაც არის, რომ კონფლიკტებს აქ სრულებით არა აქვს ნიადაგი, ან ძლიერ ნაკლებათ. იმავე დროს შეგნებული პროლეტარიატი ბრძოლის დროს თავის ტაქტიკას უფარდებს და ქმნის დროის და ადგილის მიხედვით: იგი ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს იგი ხელში ბრძოლის ამა თუ იმ იარაღს.

ზევით ნათქვამის საუცხოო დასურათხატებას წარმოადგენს ბელგიის უკანასკნელი გაფიცვა. ეს გაფიცვა უდიდესი ისტორიული ფაქტია. მისი ღრმა ისტორიული მნიშვნელობის დაფასება ჩვენ ახლა არც კი შეგვიძლია.

ბელგიაში, როგორც მოგეხსენებათ, ეგრეთ წოდებული ბურჟუაზიული თავისუფლება კარგა ხანია განხორციელებულია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მუშა ხალხის შევიწროვებას და დაჩაგვრას გაბატონებულ კლასების მიერ, რომელთა პირველ რიგში აქ დგანან სასულიერო წოდება და მსხვილი ბურჟუაზია. უმთავრესი იარაღი, რომლის საშუალებით ხსენებული კლასები ახორციელებენ ბელგიაში თავის ბატონობას მუშახალხზე, პარლამენტის საარჩევნო კანონია. ამ კანონის ბრალია ის, რომ თითქმის სამოცდა ათი წლის განმავლობაში ბელგიელი ხალხის დიდი უმრავლესობის ბედი კლერიკალურ უმეცროსებას ჩაუვარდა ხელში. ბელგიელი მუშა ხალხი უკვე დიდი ხანია იბრძვის ამ უსამართლობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლის დროს თვით მუშა ხალხში დიდი ცვლილება მოხდა იმ მხრით, რომ იმათ კლასობრივმა თვითშეგნებამ და ორგანიზაციულმა კავშირმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ამის მიხედვით შეიცვალა მუშათა კლასის ბრძოლის ტაქტიკაც.

თუ წინეთ ბელგიელი მუშები ამ უვარგისი საარჩევნო კანონის შეცვლას ლამობდენ პირდაპირ ქუჩაში გამოსვლით და დემონსტრაციების გაკეთებით, ახლა იგი იწყებს საყოველთაო გაფიცვის მოხდენას. საყოველთაო გაფიცვაში მუშათა კლასი იძენს ისეთ იარაღს, რომელიც პირდაპირ გულში ხვდება თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას. რამდენად შეუძლებელი და უხერხული იყო იმ იარაღის ხმარება წინეთ, იმდენათ შესაფერი და ნელსაყრელი შეიქნა იგი დღეს. თავის თავად ივულისხმება, რომ საყოველთაო გაფიცვა არ წარმოადგენს ერთად ერთ ია-

რაღს მუშების ხელში თანამედროვე საზოგადოების ღუხეირი პირობების თავიდან ასაცილებლათ, მაგრამ ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ ეს იარაღი თავის ადგილას და შესაფერ დროზე ნახმარ მეტათ ძლიერ საშუალებას წარმოადგენს. ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ძალა და გამავლობა დაყრდნობილია დაქირავებულ შრომაზე და ამ შრომის ექსპლოატაციაზე. თუ მუშა ხალხი იმდენათ შეგნებული და გაერთიანებულია, რომ, როცა მას უარს ეუბნებიან მის მიერ წამოყენებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, მას შეუძლია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება და მისი ცხოვრებაში გატარება, იგი თანამედროვე წყობილებას პირდაპირ გულში სცემს მახვილს.

ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელ ხანაში პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო ხშირათ მიმართავს ხოლმე ამ ზომას. ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ შინჯეს ბელგიელმა მუშებმა ეს იარაღი იმავე საარჩევნო კანონის შესაცვლელათ, და ამ ცდამ ცოტაოდენი ნაყოფიც მოუტანა მათ, თუმცა არსებითად მდგომარეობა არ შეცვლილა. შემდეგ ვის არ ახსოვს საყოველთაო გაფიცვების ხანა რუსეთში (სხვათა შორის ცნობილი ოქტომბრის გაფიცვა), და გარდა ამისა დიდი გაფიცვები, თუმცა არა საყოველთაო, ჯერ შვეიცარიაში და შემდეგ ინგლისში. ამათგან მხოლოდ რუსეთის და ბელგიის საყოველთაო გაფიცვებს ქონდათ დასახული პირდაპირ პოლიტიკური მიზანი. მაგრამ საყოველთაო გაფიცვა თავის წმინდა სახით შეიძლება დაერქვას იმ გაფიცვას, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინეთ დასრულდა იმავე ბელგიაში. როგორც ვამბობდით ზევით, ბელგიის მუშა ხალხი დიდი ხანია იბრძვის ნამდვილი საყოველთაო საარჩევნო კანონის მოსაპოვებლათ. ამ უფლების დაპყრობა მოასწავებს დღევანდელი კლერიკალურ-ბურჟუაზიული უმცირესობის ბატონობის თუ სრულიად მოსპობას არა, ძალზე შესუსტებას მაინც. ეს კარგათ იციან დღევანდელმა ბატონებმა, და ამიტომაც მაგრათ იცავენ თავის პოზიციას. არის მხოლოდ ერთათ რთი საშუალება, რომ ამ პოზიციიდან ისინი ჩამოაბრძანონ. ეს არის ძალა და მხოლოდ ძალა, ძალა ფიზიკური და არა მხოლოდ მორალური. თავის თავად იგულისხმება, რომ აშკარა ბრძოლა, რომელიც ამ ეამათ სწარმოებს ბელგიაში საარჩევნო უფლების ნიადაგზე, მხოლოდ ასეთი ძალის გამოყენებით შეიძლება დაბოლოვდეს. მაგრამ თვით ეს ძალა ორნაირი ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას, ე. ი. როგორც პასიური წინააღმდეგობის, ისე აქტიური ბრძოლის ფორმით. პირველ

შემთხვევაში იგი ღებულობს საყოველთაო გაფიცვის ფორმას, მეორე შემთხვევაში კი სამოქალაქო ომის სახეს.

ამ ხანათ ბელგიის პროლეტარიატმა აირჩია პირველი გზა. თავის ძალების შეფასების და გამოზომის შემდეგ მან გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა კლერიკალური მთავრობის დასამარცხებლათ. ამ უკანასკნელმა იმდენათ გაუმწარა საქმე მთელ ქვეყანას, რომ ამ შემთხვევაში ბელგიის ლიბერალური ბურჟუაზიის ერთი ნაწილი გაფიცვას, გარეგნობით მაინც, თანაგრძნობით მიეგება. მთავრობას ეკონა, რომ ბელგიელი პროლეტარიატი მხოლოთ ფახი-ფუხტს — თორემ თავის განზრახვას იგი სისრულეში ვერ მოიყვანსო. მით უფრო ფიქრობდა იგი ასე, რომ მას იმედი ქონდა, გაფიცვას ჩაშლიდა თავის ეშმაკურის მახინაციებით. ჯერ კიდევ გაფიცვის გამოცხადების მესამე-მეოთხე დღეს, როცა პარლამენტი გაიხსნა და იმაში შეკითხვა იქნა შეტანილი გაფიცვის შესახებ, მთავრობა შეუდრეკელად იდგა წინანდელ პოზიციაზე და არაკითარ დათმობაზე არ ფიქრობდა, სანამ გაფიცვა არ შეწყდებაო. შემდეგ პარლამენტის სხდომები შეწყდა რამდენიმე დღით. მთავრობის შეურიგებელმა ტაქტიკამ და რიხიანობამ მუშა ხალხი ააღელვა და გაუიცვა თანდათან გაფართოვდა და გაიზარდა, იგი სულ უფრო და უფრო თავზარდამცემ სახეს იღებდა. მთავრობა საგონებელში ჩააგდო ამავე დროს იმ გარემოებამ, რომ გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობდა, წინდაწინვე გამომუშავებული საერთო გეგმის თანახმად. ამ პირობებში გაფიცვის გაგრძელება მთავრობისთვის ხელსაყრელი აღარ იყო. არ იყო ივი ხელსაყრელი არც ბურჟუაზიისთვის, რა თქმა უნდა. და აი, ისინი შეერთდენ და ერთნაირი დათმობა აირჩიეს. პარლამენტმა სცნო, რომ პარლამენტის საარჩევნო კანონი შესაძლებელია გადაისინჯოსო. აშკარაა, რომ ეს კიდევ არ ნიშნავს საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას იმ სახით, რა სახითაც ამას პროლეტარიატი თხოულობს, მაგრამ ეს არის საკმარისათ დიდი ნაპარალი კლერიკალურ-ბურჟუაზიულ მთავრობის სიმაგრისა. ამ ფორმულის მიღების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. პროლეტარიატისთვის შეუძლებელი შეიქნა დროებითი ზავის გამოცხადება. დიდი ტაქტიკით და საქმიანობით, როგორც შეფერის უდიდეს პოლიტიკურ პარტიას, სოციალისტურმა კონგრესმა გაფიცვა შეწყვეტილად გამოაცხადა.

თავის თავად იბადება კითხვა: ვინ გამოვიდა ამ შეტაკებიდან გამარჯვებული? რა თქმა უნდა, თუ ვინმე არის აქ გამარჯვებული, ეს მხო-

ლოდ პროლეტარიატი: მან თავისი საკუთარი ნებით გამოაცხადა გაფიცვა და თავისივე ნებით შეწყვიტა იგი, როცა ამის საჭიროება თვითონ სცნო. ამის შემდეგ ვის დაებადება ეჭვი იმაში, რომ ასეთივე საჭიროების დროს ბელგიის პროლეტარიატი კიდევ უფრო შეკავშირებული და დარაზმული არ გამოვა თავის ნება-სურვილის განსახორციელებლად? და ნუ თუ ეს გამარჯვება არ არის?

ჟურნალი „ჩვენი წყარო“ 1913 წ.
28 აპრილი № 6—16.

# მეორე მხარესაც მოვუსმინოთ!

## I

ჩვენ ფედერალისტ-ავტონომისტებს თითქო სანატრელი დრო დასდგომიათ: თუ 1905-6 წლები მათთვის თავზარდამცემი იყო, სამაგიეროთ შემდეგ ხანაში ბურთი და მოედანი იმათ დარჩენიათ სანავარდოთ. ამ ხნის განმავლობაში იმათ არაფერი არ დაუზოგიათ, ოღონდ კი აბრუ გაეტეხათ ხალხის თვალში განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. სიმართლე და ქეშმარიტება გაქელეს და სავსებით ანაცვალეს თავიანთი ჯგუფის ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირალი უნდა იყოს, თუ რომ ასეთ თავაშვებულ განგაშის დროს იმათ არ დაინდეს თავიანთ მოწინააღმდეგეთა პიროვნება, და აი, სწორეთ აქ, თავიანთ მოწინააღმდეგეთა პიროვნების გაქელვა-გაბიაბრუებაში გამოჩნდა იმათი ნამდვილი სულისკვეთება და შესაძლებელი შეიქნა იმათი ნამდვილი სახის დანახვაც.

ერთ ასეთ პიროვნებათ გახდა თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, ამ სტრიქონების დამწერი. ამ უკანასკნელ 6—7 წლის განმავლობაში ჩვენი ფედერალისტების პრესსა ყოველ ღონისძიებას ხმაროობდა ჩემი პიროვნების დასამცირებლათ და ლაფში ამოსასვრელათ. რა ცილი გინდათ, რომ ჩვენთვის იმათ არ დაეწამებინოთ. მაგრამ ამ მხრით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის [26]) გამო ჩვენკენ წამოსროლილმა საზიზღარმა ჭორმა და ცილისწამებამ ყოველივეს გადააჭარბა. ჩვენ ყოველთვის ზედმეტათ მიგვაჩნდა ასეთ ყოვლად უაზრო ცილისწამებაზე პასუხი გაგვეცა. არის ბრალდება, რომელიც თავის თავად იმდენათ უგნურია, რომ იმის დარღვევა ყველა ჭკუაში მყოფ ადამიანისათვის სრულებით ზედმეტია. ერთ ამ გვარ „ბრალდებათ“ უნდა ჩაითვალოს, რა თქმა უნდა, ის სამარცხვინო ჭორი, რომელიც ჩვენმა ავტონომისტებმა ილიას მოკვლის გამო შეთხზეს. ჩვენი შეხედულება ამ მხრით ოდნავათაც არ შეცვლილა, და თუ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ ახლა ხმას ვიღებთ ამ საგანზე, ეს სულ სხვა გარემოებით აიხსნება.

ამას წინეთ ბ-ნმა ია ეკალაძე-ცინცაძემ ერთი მხრით, და ბ.ბ. ლასხიშვილმა და გოგიჩაიშვილმა მეორემ მხრით, იაეთი რამეები გამოა-

ქვეყნეს გაზეთებში, რის გამოქვეყნებას წინეთ ასეთი სითამამით და ასეთი გულახდილობით ვერ ბედავდენ. აი, სწორეთ ამ გარემოებამ მაიძულა მე ხმა ამომეღო და ერთხელ და სამუდამოთ პასუხი გამეცა ფედერალისტთა კომპანიისათვის. მაგრამ თავდაპირველათ საჭიროა, ორიოდე სიტყვით მაინც, მოვიხსენიოთ საქმის ვითარება.

როგორც მოგეხსენებათ 1905 წ. დასაწყისში ქართლ-კახეთის სოფლებსაც მოედვა ის აგრარული მოძრაობა, რომელიც არსებითად- ბატონყმობის ნაშთის წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელიც აქ დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა. დღეს ბ-ნი გოგიჩაიშვილი მთელ ამ მოძრაობას „საერთო გაგიჟების ხანათ" (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) ნათლავს, მაგრამ ამით მხოლოთ თავის საკუთარ სულისკვეთებას გამოხატავს და არა მაშინდელ და თუნდ დღევანდელ ობიექტიურ პირობებს ახასიათებს. ვინ იტყვის, რომ ქართველი გლეხ-კაცობა ძალზე შეევიწროებული არ იყო და, დღესაც არ არის ადგილობრივ მემამულეებისაგან? და თუ ეს გლეხ-კაცობა, ერთხელაც იყო, თავისი აუტანელი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეცადა, ამისთვის იგი დაგმობის და გაკიცხვის ღირსი უნდა ყოფილიყო?—ასე იყო თუ ისე, იმ ხანებში ყველა ადგილობრივ რედაქციებს, და მათ შორის ჟურნ. „მოგზაურის" [27]) რედაქციასაც, აუარებელი წერილები და კორესპონდენციები მოსდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ამოძრავებული გლეხ-კაცობის შესახებ, და რამდენათაც ჩვენ ვიცით, თითქმის ყველა ეს რედაქციები და იმათ შორის ისეთებიც, რომლებიც დღეს ამ მოძრაობას ლანძღავენ და უშველერი სიტყვებით იხსენიებენ, ასეთ კორესპონდენციებს ბეჭდავდენ. მთელი ეს ისტორია დღეს ალარავის ასხოვს, ვინაიდან მისი მოხსენება ბევრთათვის არც ისე სასიამოვნოა. მაგრამ მოვა დრო, როცა ყველაფერი ეს დღის სინათლეზე იქნება გამოტანილი, და ვნახოთ, მაშინ რაღას იტყვიან ჩვენი დღევანდელი მგმობელნი!

ამ რეაქციონერ, ანუ როგორც ჩვენი ფედერალისტები იტყვიან — გამოფხიზლების ხანაში, მთელი იმათი ყურადღება მიქცეულია მხოლოთ ვ. ნ-ის წერილზე „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება", რომელიც 1905 წლის „მოგზაურში" იყო დაბეჭდილი; ეს იყო და ეს: გარდა საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოებისა ჩვენ თითქო არსაიდან კორესპონდენცია არ დაგვიბეჭდია, და საგურამოში და ჭოპორტის საზოგადოებაში მომხდარი და დაწერილი ამბები რაღაც გამონაკლისს შეადგენენ იმ ხანებში. ნამდვილათ კი ყოველივე ის, რაც ხსენებულ წერილში

იყო ნათქვამი, ჩვენში საყოველთაოთ და სრულებით ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენდა და დღესაც შეადგენს. არაჩვეულებრივი ამ შემთხვევაში იყო მხოლოთ ის, რომ იქ. სხვათა შორის, როგორც მემამულეზე, თ-დ ილია ჭავჭავაძეზედაც იყო ლაპარაკი. როგორ უნდა მოქცეულიყო რედაქცია? ნუ თუ მარტო ის გარემოება, რომ წერილში მოხსენებული იყო სხვათა შორის ილია ჭავჭავაძე, საკმარის საფუძველს იძლეოდა იმისას, რომ მთელი წერილი არ დაბეჭდილიყო? ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ასე კითხვის დაყენება უსამართლობას ნიშნავდა. რედაქციამ სულ სხვანაირათ დააყენა საკითხი: ჩვენ გვაინტერესებდა მხოლოთ მოთხრობილი ამბების სინამდვილე, და როცა ამ უკანასკნელში რედაქცია დარწმუნდა, ვ. ნ – ის წერილის დაბეჭდვაც თავის თავად გადაწყდა.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ვ. ნ—ის კორესპონდენციაში მეტათ აღმაშფოთებელი ამბები იყო მოთავსებული, მაგრამ განა ეს იმის საბუთს იძლეოდა, რომ წერილი არ დაგვებეჭდა? პირიქით, რედაქცია მხოლოთ მაშინ იქნებოდა დამნაშავე. რომ ხსენებული წერილის გამოქვეყნებაზე უარი ეთქვა, სულ ერთია, მოკლებული იყო სინამდვილეს იმაში მოთხრობილი აღმაშფოთებელი ამბები თუ არა. და განა სცადა კი ვინმემ ან მაშინ, ან მას შემდეგ იმის დამტკიცება, რომ იქ მოთხრობილი ამბები განზრახ გამოგონილი იყვენ? „ცნობის ფურცელმა“ [28]) და მაშინდელმა მისმა ხელმძღვანელმა, ბ. გ. ლასხიშვილმა, რომელიც ახლა დედაბრულ კილოზე გოდებს, სრულებით ხმა ~ გაკმიდეს და კრინტიც არ დაძრეს არც ილიას სასარგებლოთ, არც „მოგზაურის“ წინააღმდეგ. სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ეს სიჩუმე, თავისებური ფარისეველობით და ლაქუც-მლიქვნელობით, რამდენიმეთ ბ. ფ. გოგიჩაიშვილმა დაარღვია. ნან გაზ. „ივერიაში“ [29]) ამოიწერა „მოგზაურიდან“ ზოგიერთი აღმაშფოთებელი ამბები, როგორც ამას თვითონ ამბობდა, და ილია ჭავჭავაძე საპასუხოთ გამოიწვია, რომ მას დაემტკიცებია იმათი უსაფუძვლობა. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ამას თურმე სრულებით არ მოელოდა. პირიქით, ილია ჭავჭავაძე თურმე ფიქრობდა, რომ მის დაცვას იკისრებდენ მისი მეგობრები და თანამოაზრენი, ვინაიდან პრინციპიალურათ როგორც ის, ისე „ივერია“-„ცნობის ფურცელი“ ერთ და იმავე ნიადაგზე იდგენ. ილია ჭავჭავაძის ასეთი ფიქრი უსაფუძვლო არ იყო. მას მეტათ საღი მსჯელობა და ლოგიკა ქონდა. ბატონყმობის ნაშთების არსებობა, ერთი მხრით, და მსხვილი მიწათმფლობელობა, მეორე მხრით, თხოულობდა ცხოვრებაში მისგან, როგორც კერძო მემამულესაგან, იმგვარ ტაქტიკას,

რომელსაც იგი ადგა. რა ვუყოთ, რომ იგი იმავე დროს „გლახის ნაამბობის“ [30]), „კაკო ყაჩაღის“ და სხვათა ავტორი იყო? განა მისი მეგობრები და თანამოაზრენი, რომელთაც არხეინათ მოეკალათებიათ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებში, იმავე ტაქტიკას არ ახორციელებდენ ცხოვრებაში? ეს ხომ კარგათ იცოდა ილიამ?

ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ილიას სრული საფუძველი ქონდა ეფიქრა, რომ მას გამოესარჩლებოდენ „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ მესვეურნი, მაგრამ ამაოთ. ამ უკანასკნელებმა ვერ გამოიჩინეს იმდენი გამბედაობა, რომ საქვეყნოთ განეცხადებიათ იმ დროს თავიანთი ნამდვილი გულის ზრახვანი. ილია ჭავჭავაძე დამნაშავე არ არის იმაში, რომ მისმა თანამოაზრეებმა ვერ გამოიჩინეს ხასიათის ისეთი სიმტკიცე და, შეგვიძლია ვთქვათ, პირდაპირ ისეთი რაინდული გამბედაობა, რომლებითაც იგი უკანასკნელ წუთამდე აღჭურვილი იყო. მართლაც, სად ეს კაცუნები და სად ილია ჭავჭავაძე? ჭეშმარიტათ შესაბრალისია ეს მდევი-მწერალი ასეთ კაცუნების კომპანიაში. მაგრამ დავუბრუნდეთ საგანს.

ამნაირათ, ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა თვითონ გაეცა პასუხი „მოგზაურში“ მოთავსებულს წერილზე. ვინც კი ეს პასუხი წაიკითხა, ყველა კარგათ ხედავდა, რომ ეს პასუხი ოდნავათაც არ უარყოფდა ხსენებულ წერილში მოთხრობილ ამბებს. იგი მხოლოდ გვიხსნიდა, განკვიმარტავდა ზოგ რამეებს. კარგათ ხედავდა ამას თვით ბ. ფ. გოგიჩაიშვილიც, რომელმაც რამდენიმეთ თვით ამ პასუხის დაწერა გამოიწვია, ეს მან რამდენიმეთ, თუმც ძლიერ ბუნდოვანათ, აღნიშნა სარედაქციო შენიშვნაში, სადაც იგი, სხვათა შორის, ამბობდა: „ვბეჭდავთ დაპირებისამებრ თ-დ ილია ჭავჭავაძის წერილს, რომელშიაც ავტორი არჩევს (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) მის შესახებ „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციასო. როგორც ხედავთ, აქ შენიშვნის ავტორი აშკარათ ამბობს, რომ ჭავჭავაძე „არჩევს“ „მოგზაურში“ მოთავსებულ წერილს და არა არღვევსო. და საქმე კი სწორეთ ამ დარღვევაში იყო და არა გარჩევაში. მე შემიძლია რომელიმე წიგნი ან ნაწარმოები გავარჩიო, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იმაში გატარებული აზრები და შეხედულებანი უარვყოანუ დავარღვიო. ასე იყო ამ შემთხვევაშიაც და „ივერიის“ ხსენებული შენიშვნაც სწორეთ ამას ამბობდა. მაგრამ ამას როდი ამბობდა „ივერია“ ნათლათ და გარკვევით. იგი თითქო ეჭვობდა, ვაი თუ ერთ დროს უკან დახევა დარჩეს საპირო და ამიტომ ზურგს იმაგრებდა. გარდა ამისა, ბ-ნ გოგიჩაიშვილის ორგანო იმასაც უმატებდა; რომ „ზოგიერთ საზოგადო

მოსაზრებაში პატივცემულ ავტორს ვერ დაეთანხმებითო''. აშკარა: მთელი ეს შენიშვნა სრულებით არ უკრავდა კვერს ილიას პასუხს. დღე კი ბ-ნი გოგიჩაიშვილი ყოველივე ამას ივიწყებს და ურცხვათ გაიძახის რომ ,,შენიშვნაც სწორეთ ამ ორიოდე საზოგადო ადგილს (რომელ: ადგილებია ეს, ავტორი ამას ახლაც უმალავს მკითხველს. ფ. მ.) შეეხებოდა და არა ილიას მიერ ბრალდების ,,ფაქტების დარღვევასო'' (,,სახ. გაზ.'' № 871). როგორც ხედავთ, ბ-ნი გოგიჩაიშვილი ახლა გასავალ ანუ გასაძრომ ხვრელს ეძებს და ამიტომაც ღობე-ყორეს ედება. მაგრამ ასეთი ფანდებით იგი ახლა შორს ვეღარ წაგვივა.

## II

ილია ჭავჭავაძის ,,ნუ-თუ''-ს გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა ასეთი იყო: „მოგზაურში" წამოყენებული ფაქტები დაურღვეველი დარჩენ: „ნუ-თუ"-მ ისინი ოდნავაც ვერ შეარყია. მეორე მხრით, თვით ილია სრულიად გარიყული შეიქნა. პირველხარისხოვან მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქართულ პრესასა და ქართულ საზოგადოებრივ აზრს ხელმძღვანელობდა, თავის გარშემო აღარავინ გამოაჩნდა ისეთი ვინმე, რომელსაც მისი გამოსარჩლება საჭიროთ ეკისრა. იმავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ილიას „ნუ-თუ"-ში იყო ისეთი ადგილები, როგორც „მოგზაურის", ისე თვით ვ. ნ-ის შესახებ, რომლების უყურადღებოთ დატოვება არ შეეძლო არც „მოგზაურის" რედაქციას და არც ვ. ნ-ს. გარდა ამისა, „ნუ-თუ" შეიცავდა ისეთ განმარტებათ, რომლებიც ნათელს ფენდენ ვ. ნ-ის წერილში გაკვრით აღნუსხულ ფაქტებს და რომლებიც უფრო „ნუ-თუ"-ს ავტორის წინააღმდეგ ლაპარაკობდენ, ვინემ მის სასარგებლოთ. კამათი პრესაში — ეს ხომ იგივე ჭიდილია, მხოლოთ იდეური, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე, და, რა თქმა უნდა, ილიას მოხერხებულ კისრულებს ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი ვერ შევხვდებოდით. ერთი სიტყვით, პასუხი ჩვენგან აუცილებელი იყო.

ძველი ამბების განმეორების სურვილი არა გვაქვს, მაგრამ ყველა იმათ, ვისაც ჭეშმარიტების გაგება აინტერესებს, ჩვენ ვთხოვთ ერთხელ მაინც გადაიკითხონ ის, რაც თავდაპირველათ „მოგზაურში" (№ 13, 1905 წ.) იყო ნათქვამი ილია ჭავჭავაძის შესახებ და შემდეგ ის, თუ

რა პასუხი გასცა ამაზე ილიამ („ივერია“ № 68, 1905 წ.). ამნაირათ, პასუხის გაუცემლობა ჩვენგან შეუძლებელი იყო, და ეს პასუხი დაიწერა რრგორც „მოგზაურის“ რედაქციის, ისე ვ. ნ-ის მხრით (იხ. „მოგზაური“, 1905 წ. №№ 18 და 19). ჩვენდა უნებლიეთ, ბრალდება ილიას წინააღმდეგ ახლა გაორკეცდა, ვინაიდან ამის საბუთი მოგვცა ერთი მხრით, თვით „ნუ-თუ“-მ და, მეორე მხრით, ვ. ნ-ის დამატებითმა ცნობებმა. მაგრამ ახლა ხმა აღარავის ამოუღია. ვთქვათ, ილიამ თავის სათქმელი უკვე სთქვა თავის „ნუ-თუ“-ში, მეტის თქმა მას აღარ შეეძლო. მაგრამ რით აიხსნება დღევანდელ მის ქომაგთა და მოსარჩლეთა სამარისებური დუმილი, თითქო აქ არაფერი მოხდარიყოს? რით აიხსნება, გეკითხებით თქვენ, ის სამარცხვინო გარემოება, რომ ეს დუმილი ორი წლის შემდეგ პირდაპირ ველურ ვაკხანალიათ და განგაშათ შეიცვალა? შესაძლებელია, მკითხველმა იფიქროს, რომ „მამულიშვილთა“ ბანაკმა ხმა გაკმიდა მაშინ ამ ინციდენტის შესახებ იმიტომ, რომ ისინი დარწმუნდენ ილიას უმართლობაში, და ამიტომ იმათი დუმილი გულწრფელი იყოო.

რა თქმა უნდა, არაფერ მსგავსს ადგილი არა ქონებია. ილიას დაშარცხება „მოგზაურთან“ კამათში მათთვის გულში ლახვრის ჩაცემა რომ იყო, ეს მათ კარგათ ესმოდათ, მაგრამ არა თუ თვითონ ვერ ბედავდენ საჯაროთ მის გამოსარჩლებას, არამედ თვით ილიას მიერ დაწერილი პასუხის დაბეჭდვაც კი თავის ორგანოებში ეძნელებოდათ. ამის თავი და თავი მიზეზი იყო შიში ამოძრავებული ხალხის წინაშე, და ამიტომ მათ არჩიეს ისევ გაჩუმება, ე. ი. მიმართეს მათ მიერ არა ერთხელ ნაცად იარაღს — გაიძვერობას და ფარისევლურ ტაქტიკას. თავის თავად იგულისხმება, რომ ფართო საზოგადოებას ამ უკანასკნელ დროამდე ყველა აქაში შეეძლო ეკვი შეეტანა, ვინაიდან ყველა ამას ჩვენი ავტონომისტ-ფედერალისტები ბურუსში ხვევდენ. ჩვენ კი სრული იმედი გვქონდა, რომ სიყალბისაგან აშენებული ხუხულა ერთხელაც არის ჩამოინგრეოდა და ჩვენი მოლოდინიც ჩქარა გამართლდა.

ჩვენი სასიქადულო „მამულიშვილების“ ფარისევლობას და გაიძვერობას, იმ საკითხში მაინც, რომელიც ჩვენ ახლა გვაინტერესებს, საკვლევით ფარდა ახადა ბ-მა ია ეკალაძე-ცინცაძემ, ე. ი. თვით „მამულიშვილთა“ შინაურმა კაცმა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბ. ეკალაძეც, ერთხელაც იყო, საკმარისათ ჩაიფლა იმ აშმორებულ წუმპეში, რომელსაც „მამულიშვილთა“ ბანაკი ეწოდება, მაგრამ არ შეგვიძლია არა

ვთქვათ, რომ ივი პატივსცემის ღირსი არ იყოს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ერთხელ მაინც სიმართლე აღიარა გულახდილათ. ჩვენ არ ვიცით, გრძნობდა თუ არა ბ. ეკალაძე, რომ ამ გულახდილი აღსარებით იგი სპობდა, აქარწყლებდა ფედერალისტებს. ვიცით მხოლოდ, რომ მის მიერ გამომჟღავნებული სიმართლე არაფრათ ეკაშნიკათ ბ. ბ. გ. ლასხიშვილს და ფ. გოგიჩაიშვილს. ამიტომ სრულებით გასაკვირალი არ არის, თუ ამ უკანასკნელებმა მოინდომეს ბ-ნ ეკალაძის სიტყვების მიფუჩურეება და საქმე გადაიტანეს იმაზე, რომ ილიას პასუხის დაბეჭდვაზე თითქოს არც ,,ივერიას'' უთქვამს უარი და არც ,,ცნობის ფურცელსო''. არა, ბატონებო, საქმე ამაში როდია. საყურადღებო ბ-ნ ეკალაძის მხილებაში სულ სხვა რამეა. აი სიტყვა-სიტყვით რას ეკითხულობთ მის ახალ გამოქვეყნებულ წერილში. „მაშინ" (ე. ი. ,,ნუ-თუ''-ს გამოქვეყნების დროს, 1905 წ., ხაზს აქ ჩვენ ვუსვამთ. ფ. მ.)—გვეუბნება ბ-ნი ეკალაძე—ყველა სოციალისტობდა (ხაზს თვით ავტორი უსვამს); დიდი განხეთქილებაც იყო ორ მოპირდაპირე დასს შორის და „ივერიელებიც" საგონებელს მიეცენ, ზედ-მეტ აყალმაყალს ერიდებოდენ, რადგანაც ილიას წერილი აშენებულია წმინდა ეროვნულ დაკერძო საკუთრების დროებით დაცვის საფუძველზე (ხაზი ეკალაძისაა, ფ. მ.). დიახ, საგონებელში იყო „ივერიის" მაშინდელი რედაქცია, მაგრამ მოჭირნახულე კაცისათვის რომ არ ეწყენინებიათ, გადასწყვიტეს „ნუ-თუ" დაებეჭდათ „ივერიის" ცალკე დამატებათ, რაც ახრულებულ იქნა. იმ დროს მე.—უმატებს ავტორი—მდივნათ გახლდით განახლებულ „ივერიის" რედაქციისა, და ეს ამბავი ძალიან კარგათ მახსოვსო" (იხ. გაზ. „თემი" [12]) 1913 წ. № 118). ხოლო რაც შეეხება გაზ. „ცნობის ფურცელში" „ნუ-თუ"-ს არ გაშვებას, ამაზე იგივე ავტორი აი რას ამბობს: „მე არ ვიცი, ვინ იყო იმ დროს „ცნ. ფურცლის" ნამდვილ გამგეთ, მაგრამ ის კი კარგათ ვიცი, რომ ილია ჭავჭავაძე ძალზე გულნაკლული იყო იმის გამო, რომ „ცნ.-ფურცელში" ეს წერილი არ მიეღოთ. ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობდენ განახლებულ „ივერიის" რედაქციაში... ასეთია მიხლება და მოწმობა იმ კაცისა, რომელიც საქმესთან მჭიდროთ დაახლოვებული იყო.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ბ-ნ ეკალაძის მხილება არ ესიამოვნებოდა არც გ. ლასხიშვილს და არც ფ. გოგიჩაიშვილს: ავტორის ზევით ამოწერილი, უბრალო და გულახდილი სიტყვები ამ ოდროობის ორ გმირს პირდაპირ ასამარებენ. რა თქმა უნდა, როგორც ერთი, ისე მეორე შეეცადა ბ-ნ ეკალაძის ჩვენების გაბიაბოლებას, მაგრამ ამაოთ. ბ-ნი

ლასხიშვილი აცხადებს, რომ „ეკალაძის დაბეჯითებითი მხილება მარტოოდენ მითქმა-მოთქმასა და ხმებზე უნდა იყოს დაფუძნებულიო (იხ. „სახ. გაზ." № 868). ხოლო რაც შეეხება ბ-ნ გოგიჩაიშვილს, იგი შეუდარებელი ურცხვობით მოგვითხრობს: „ბ. ია ეკალაძის ნათქვამი: „ივერიელნი საგონებელს მიეცნენო", მართალი და სწორეა, ა.ი, რა მხრით: იმ დროში ფ. მახარაძის ლაშქარმა მემამულის ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საშინელი ატმოსფერა შექმნა. იმდენ საშინელებას აბრალებდენ ილიას, რომ ზოგიერთ მის მეგობარსაც ცოტათი გულში ეჭვი ებადებოდა და ამბობდენ— ვაი, თუ მეასედიც მართალიაო" („სახ. გაზ." № 871). ყოველივე ეს მარტოოდენ უხერხული ფანდები და ლათაიებია.

ია ეკალაძე გულახდილათ ამბობს, რომ მაშინ ყველა სოციალისტობდაო და იმათ შორის „სოციალისტობდენ" „ცნობის ფურცელი" და „ივერიაც". მაგრამ იმათი სოციალიზმი როდი ყოფილა ნამდვილი, არამედ იგი ყალბი იყოო. ბ. ეკალაძე არ უმატებს იმას, რომ ამ ყალბ „სოციალიზმს" ყალბი დემოკრატობაც თან ახლდა, მაგრამ ეს ხომ თავის თავად იგულისხმება. და თუ „ივერია"-„ცნობის ფურცელი" და მათი პატრონ-ბატონნი ილია ჭავჭავაძეს ვერ გამოექომაგენ თავის დროზე, ამის თავი და თავი მიზეზი ამ ვაჟბატონების ცრუ სოციალიზმი და ცრუ დემოკრატიზმი იყო და არა ის უაზრო ოინები და ხრიკები, რომლებსაც ახლა ისინი ასახელებენ. იმ გარემოებამ, რომ ილიას წერილი, რომელიც, ბ-ნ ეკალაძის თქმისა არ იყოს, „კერძო საკუთრების დროებით (ეს დროებით აქ სრულებით უადგილოა. ფ. მ.) დაცვაზე" იყო დამყარებული, ხსენებულ ვაჟბატონებს დავთარი აურია. და ისინი საგონებელში ჩავარდენ, არ იცოდენ როგორ მოქცეულიყვენ. იმათი ნამდვილი გულის ზრახვანი თხოულობდენ, ერთი მხრით, „მოგზაურის" წინააღმდეგ გალაშქრებას და, მეორე მხრით, ილიას გამოქომაგებას, მაგრამ, იმათ სავალალოთ, ის ყალბი სოციალისტური და ცრუ დემოკრატიული კილო, რომელიც მათ მაშინ აღებული ქონდათ, ამის ნებას როდი აძლევდა. ყოველივე ეს კი საჭირო იყო იმისთვის, რომ ხალხისთვის თვალები დაებრმავებინათ და იმას ელოდენ, თუ როდის შესძლებდენ. დაუსჯელათ თავიანთ ნამდვილ მისწრაფებათა გამომჟღავნებას. ეს სანატრელი დროც ჩქარა დაუდგათ.

როცა რუსეთში გაბატონდა რეაქცია და ხალხის მოძრაობა დაეცა, ბ. ბ. გოგიჩაიშვილების ნავარდობა უზრუნველი შეიქნა, მაგრამ ეს კიდევ არ კმაროდა. საჭირო იყო ისეთი რამ, რასაც ძველი პოლემიკა გა-

ეხსენებია. ჩქარა ამის საბაბიც იშოვნეს. თავზე ხელაღებულმა ავაზაკებმა, ვინ იცის რა მოსაზრებით და რა ნიადაგზე, ილიას სიცოცხლე მოუსპეს. და, აი, ქვემძრომებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით ჩვენ გასაბიაბრუებლათ, ნამდვილათ კი მხოლოთ თავიანთი სიბინძურე და სიწამხდრე დაანახვეს ქვეყანას. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ის უსასტიკესი დანაშაული, როგორც ილიას მოკვლა არის, ფედერალისტ-ავტონომისტებმა, არც იქით, არც აქეთ, პირდაპირ ჩვენ იდეურ ბრძოლას დაუკავშირეს ილიას წინააღმდეგ. ,,აბა ჩვენ რა ვიცოდით მაშინ—ასე ურცხვათ გაიძახის დღეს ბ. ლასხიშვილი—თუ, „მოგზაურის'' საზიზღარ კამპანიას ილიას წინააღმდეგ ასეთი საშინელი შედეგი მოყვებოდა...მაშინ არც ჩვენ, არც ბ. ფიასამიძეს [33]) და არც არავის ფიქრათაც არ მოგვსვლია, რომ გაჩნდებოდა ისეთი დეკენერატი, რომელიც საზიზღარ ცილისწამებას (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) დაუჯერებდა და რომლის ბნელ-გულში ილიასადმი ისეთი ფანატიკური მძულვარება აღიზრდებოდა. ეს რომ გვგონებოდა, დარწმუნებული ვართ, სხვა რიგათ მოვიქცეოდით ისინიც, ვისაც გაზეთი გვქონდა და ისინიც, ვისაც გაზეთი არ ქონდაო (,,სახ. გაზ.'' № 868).

აი, ნამდვილი საზიზღარი კამპანია და საზიზღარი ცილისწამებაც, თუ გნებავთ, სწორეთ ამას ქვია! ძველი რომაელები ამბობდენ, რომ როცა ღმერთები ადამიანის გაუბედურებას მოინდომებდენ, ჯერ მას ჭკუას დაუკარგავდენო. ვინ დაიჯერებს, რომ ზევით მოყვანილ სტრიქონებს სწერს ჟურნალისტი და ისიც გაზეთის ხელმძღვანელი. იცის კი მან, რასა სწერს? ზევით მოყვანილი ამონაწერის მნიშვნელობა და აზრი რომ ეცნათ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ლიტერატურის ორი დარგი მაინც, საბელდობრ, პუბლიცისტიკა და პოლემიკა: ესენი ორივე უნდა გაუქმდენ, თუ ბ-ნ ლასხიშვილის, უკაცრავად პასუხია, ლოლიკას მივყევით. ეს ორი დარგია, რომლებშიაც იდეური ბრძოლა სწარმოებს ყოველგან, სადაც კი საზოგადოებრივი ცხოვრება, ცოტათი არის მაინც, წარმატებული და განვითარებულია: ჯერ არავის მოსვლია თავში იდეური ბრძოლის ფიზიკურ ბრძოლასთან დაკავშირება, და მართლაც რაღა ძალა და გამავლობა უნდა ქონდეს პირველს, თუ საქმე უკანასკნელით უნდა გათავდეს. ჩვენ გვაბრუნებენ ისევ ველურობის და ბარბაროსობის ხანაში.

ის მართლაც საზიზღარი კამპანია, რომელსაც ეს ერთი ხანია ჩვენებური მამულიშვილები ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ, შეჰფერით მხოლოდ სრულებით გამოთაყვანებულ და უგნურ არსებათ. განა ჩვენმა მოწინა-

ალმდეგეებმა არ იციან, რომ ჩვენ ვებრძოლით იდეურ ნიადაგზე არა მარტო ჭავჭავაძეს, რომ ჩვენ შედარებით ბევრი უფრო გამწვავებული ბრძოლა ამავე ნიადაგზე გვქონდა და გვაქვს სხვებთან? და განა რომელიმე იმათგანი ამ ნიადაგზე ვინმემ როდისმე სიცოცხლეს გამოასალმა? ფიქრობთ, ბატონებო, იმაზე, თუ რას ლაპარაკობთ? ან შეიძლება, თქვენ ისე გაგიტაცათ თქვენი იდეურ მოწინააღმდეგეთა მოსპობის სურვილმა, რომ ჭკუა-გონება, საღი მსჯელობა დაკარგეთ? აგრემც ყოფილა!

სხვისა რა ბრალია, თუ თქვენ არ შეგწევთ არც მოქალაქობრივი გრძნობა და არც გამბედაობა, თუ თქვენ, თქვენდა საუბედუროთ, იკისრეთ თქვენთვის სრულებით შეუფერებელი სოციალისტობა და დემოკრატობა. ჰე, მახლას! არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო! თქვენ, სულით და ხორცით უბადრუკნო, ხომ თავისივე ხელით იმათ-რახებით დღეს თავის თავს? და აბის შემდეგ განა ღირს კიდევ თქვენთან ლაპარაკი?

(ჟურნალი „ჩვენი წყარო"
№№ 5—15 და 6—16; 1913 წ. 21 და 28 აპრილი).

# უკანასკნელი პასუხი ცილისმწამებლებს.

„სახალხო გაზეთის“ [34]) № 883-ში დაბეჭდილია რაღაც პასუხის მსგავსი იმ წერილზე, რომელიც „ჩვენ წყაროში“ [35]) იყო მოთავსებული (იხ. №№ 5-15 და 6-16). ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თითეული, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მკითხველი თვითონ დასდებს შესაფერ მსჯავრს „სახ. გაზ.“-ის პასუხზე. მიუხედავით ამისა, აღძრული საკითხის შესახებ ჩვენ იძულებული ვართ კიდევ ერთხელ და უკანასკნელათ მოკლე პასუხი გავსცეთ ჩვენ ცილისმწამებლებს.

„სახ. გაზეთი“ წამდაუწუმ იმეორებს: ფ. მ. სიტყვას ბანზე აკდებსო! აბა ახლა გავშინჯოთ, თუ ვინ იქცევა ასე: ჩვენ თუ ჩვენი ცილისმწამებელნი? დავიწყოთ თავიდან.

„სახ. გაზეთი“ ცდილობს საქმე ისე მოაჩვენოს მკითხველ საზოგადოებას, რომ ჩვენ თითქო თავის მართლება, რეაბილიტაცია მოგვენდომებინოს. თავის თავად იგულისხმებ, რომ არაფერს ამის მსგავსს ადგილი არ ქონებია. ან კი რაში უნდა გვემართლებია ჩვენ თავი? ერთად ერთი ბრალდება, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ჩვენ წინააღმდეგ წამოისროლეს, არის შემდეგი: ვითომც ჩვენ ილია ჭავჭავაძეს საზიზღარი ცილი დავსწამეთ ჟურნ. „მოგზაურში“ კორესპონდენციის მოთავსებით: მაგრამ ყოველივე ჭკუათამყოფელ ადამიანისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ, სანამ ასეთი ბრალდება იქნებოდა წამოყენებული, საჭირო იყო ხსენებულ კორესპონდენციაში დასახელებული ფაქტები გაერჩიათ და დაერღვიათ. ეს კი იმათ არა თუ არ შეუსრულებიათ, არც კი უცდიათ. „მოგზაურის“ მე-13-ტე და 18-ტე ნომერში ჩამოთვლილია არა ერთი და ორი ფაქტი მემამულე ილია ჭავჭავაძის შესახებ; ნაჩვენებია გვარები და სახელები, რომელთაც ესა თუ ის ფაქტი ეხებოდა; დასახელებულია ადგილი და დრო, სადაც ამ ფაქტებს ადგილი ქონდა. სცადეთ კი თქვენ როდისმე ამ ფაქტების შემოწმება, რომ ისინი ოდნავაც შეგერყიათ, თუ სავსებით ვერ დაარღვევდით მაინც? არა და არა. ამას შემდეგ რა ბნელობრივი ან იურიდიული უფლება გაქვთ თქვენ იძახოთ, რომ ფ. მ. საზიზღარი ცილი დასწამა ილია ჭავჭავაძესო! ან შეიძლება თქვენ

ფიქრობდეთ, რომ ,,ნუ-თუ''-ში უარყოფილია ეს ფაქტები? ჩვენ გადაჭრით გეუბნებით, რომ იქ ისინი ოდნავაც შერყეული არ არიან. და ამ შემთხვევაში ჩემი მტკიცება რაღა საჭიროა, როცა თქვენივე ბანაკის წევრის, თქვენივე მეგობრის, პოლიტიკური ეკონომიის დოქტორის, ბ-ნ გოგიჩაიშვილის უტყუარი მოწმობა გვაქვს (,,ნუ-თუ"-ს შენიშვნა), საიდაც ივი აშკარათ და ცხადზე უცხადესათ ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძე თავის ,,ნუ-თუ"-ში არ ჩევს ,,მოგზაურის'' კორესპონდენციას, და არა არღვევს მასო. ყველა ამის შემდეგ თქვენ მაინც უტიფრათ ისტერიული დედაკიცივით, წამდაუწუმ ერთსა და იმასვე გაიძახათ: ,,მოგზაურის', საზიზღარი ცილის წამებაო. რამდენათ 'შეუწყენარებელი და უსაფუძვლოა თქვენი ასეთი ძახილი, იმდენათ ჩვენ სრული ზნეობრივი და იურიდიული უფლება გვაქვს თქვენ ნამდვილი ცილისმწამებელნი გიწოდოთ და გიწოდეთ კიდეც. ამიტომ თავის მართლების და რეაბილიტაციის პირველი ჯერი ჯერ თქვენზეა და არა ჩვენზე. მაგრამ თქვენი გაპირვება მარტო ამაში ხომ არ არის. თქვენ ჯერ კიდევ სხვა ცოდვებიცა გაქვთ მოსანანიებელი; ხხვა რამეშიაც უნდა იმართლოთ თავი. „ მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ აქაც უიმედოა თქვენი გოდება და სინანული. სიკეთილის შემდეგ მონანიება არ არისო,—ამბობს რუსული ანდაზა, და სწორეთ აგრეა თქვენი საქმეც! ორი წლის განმავლობაში თქვენ სდუმდით, თითქო ენა მუცელში ჩაგვარდნოდათ: შემდეგ როცა სანეტარო დრო დაგიდგათ, ასტეხეთ ხმაურობა და მორთეთ ღრიალი: გვაპატიეთ ამდენი ხნის დუმილი! შევცდით, მოგვიტევეთო; თითქო გუშინ დაბადებულიყოთ! არა ბატონებო! თქვენ არც უწლოვანი ხართ და არც გულუბრყვილოები. ორი წლის განმავლობაში თქვენს დუმილს, თქვენი თვალთახედვის წერტილიდან საკმარისად გასამართლებელი მიზეზი ქონდა. ეს მიზეზი თქვენ სასარგებლოთ, რა თქმა უნდა, როდი ლაპარაკობს, ამიტომ მისი გამოაშკარავება თქვენთვის სასურველი არ იყო. და აი, როცა ჩვენ, საბუთებით ხელში, საზოგადოებას მიუთითეთ ამ მიზეზზე, თქვენ ეს გემწვავათ და ახლა აღარ იცით, რაღა თქვათ აქ. „ყალბი სოციალისტობა და ცრუ დემოკრატობა მოსატანი არ არისო",—გაიძახით ახლა თქვენ. მაგრამ ფაქტები რაღას ამბობენ? თქვენდა საუბედუროთ ამის თქვენიანი ამოწმებს და როცა ამის მიფუჩეჩებას ცდილობთ, ჩვენ კი არ ვაგდებთ სიტყვას ბანზე, არამედ თქვენ.

„სახ. გაზეთი" შემდეგ გვეკითხება ჩვენ: ნუ-თუ ილია ჭავჭავაძე მხეცი იყო, რომ ის ჩაედინა, რასაც მას „მოგზაურის" კორესპონდენტი

აბრალებსო? რა თქმა უნდა, ძნელია იმ პირებთან სერიოზული ლაპარაკი, რომლებსაც გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებული ურთიერთობა იდილიურათ, მამაშვილურათ აქვთ წარმოდგენილი. დღეს მერე ვინ არ იცის ეს ურთიერთობა, თუ ამას განსრახ ხელს არ აფარებენ?

ჩვენ ვურჩევთ „სახ. გაზეთის“ ვაჟბატონებს, წაბრძანდენ ჩვენ სოფლებში, გამოიკვლიონ იქაური ვითარება და მაშინ დაინახავენ, რომ იქ კიდევ ბევრათ იმაზე უარესი ამბები ხდება, რომლებიც ხსენებულ კორესპონდენციაში იყო აწერილი. მართალია, ვინც ცხოვრებას „სახ. გაზეთივით“ ფრანგულ მელოდრამების თვალით უყურებს, იმისთვის ძნელია სინამდვილის გაგება-დაფასება. მაგრამ განა თვით „სახ. გაზეთი“ არ ამბობს ახლა, რომ „ილიას აზრი კანონსა და ცხოვრებაზე, ილიას შეხედულება მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობაზე ყველამ კარგათ იცოდაო“. მერე რად არ გამოგყავთ აქედან ლოლიკური დასკვნა? ეს შეხედულება ხომ ბატონყმობის ნაშთების სავსებით მილება-დადასტურებაა? და კორესპონდენციაში აწერილი ამბებიც მხოლოდ ამ შეხედულების ცხოვრებაში გადატანაა და მეტი არაფერი. თქვენ ეს ყველაფერი „მელოდრამათ“ მიგაჩნიათ, მაგრამ ისინი, ვინც ამას თავის ზურგზე განიცდიან, ამით შელავათს ვერ გრძნობენ. მაგრამ თქვენთან ლაპარაკი ხომ კედელზე ცერცვის შეყრაა. თქვენ კამათი იდეური ნიადაგიდან სხვა სფეროში გადაიტანეთ, ვინაიდან პირველში დამარცხდით. ახლა ამ მეორე სფეროში ფიქრობთ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას. თუ რა სფეროა ეს, ეს ეხლა არავისთვის საეჭვო აღარ უნდა იყოს. თქვენ უკვე საკმარისათ აშკარათ აღიარეთ თავის სულის ზრახვანი. თქვენ ისეთ თავდაიწყებამდე მიდით, რომ იმ ადგილს თქვენი წერილისას, სადაც ეს თქვენი გულის ზრახვაა გამოხატული, ხაზიც კი გაუსვით. ჩვენ ამის შესახებ რაღა გვეთქმის, გარდა იმისა, რომ ეს თქვენთვის ალბათ მეტად ნაცადი საშუალებაა მოწინააღმდეგის დასამარცხებლათ.

სცადეთ ბატონებო, სცადეთ!—იცოდეთ მხოლოდ, რომ საზოგადოება ღირსეულათ დააფასებს თქვენ საგმირო საქმეებს.

ეურნ. „ჩვენი წყარო“,
1913 წ. 5 მაისი, № 7—17.

# ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონ-პროექტი და ლიბერალები.

განსული კვირა შეიძლება ბეჭდვითი სიტყვის კვირად ჩაითვალოს. და მართლაც, იმ კანონ-პროექტის ძირითად დებულებათა გამოქვეყნებამ, რომელიც ამ დღეებში საშინაო საქმეთა სამინისტრომ წარადგინა განსახილველათ მინისტრთა საბჭოში, თითქმის მთელი რუსეთის პრესა აალაპარაკა. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონ-პროექტს მთავრობა ამზადებს აგერ 8-9 წელიწადი შესრულდება, მაგრამ ვერ იქნა და ვერა: რამდენჯერაც არ სცადა მან ასეთი პროექტის შედგენა, იმდენჯერვე იგი ულარგისი და შეუსაბამო გამოდგა თვით მთავრობისავე თვალში, და მას არქივში ისტუმრებდენ. ბოლოს, როგორც სჩანს, ყველა ამ დაბრკოლებას სძლია ბ. მაკლაკოვმა და მას გამოუცხვია კანონ-პროექტი არა იმდენათ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რამდენათ თვით ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ.

თუმცა ჩვენ მთავრობის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ განზრახული წესები ანუ კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ რაიმე ძირითად ცვლილებას არ შეიცავს არსებული წესების პირისპირ, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია დავასახელოთ აქ უწინარეს ყოვლისა ის ფაქტი, რომ ახალ კანონ-პროექტს შემოაქვს სრულებით ახალი ცნება პასუხისმგებელ გამომცემლის შესახებ, რომელიც არსებულმა კანონმა არ იცის და რომელიც ძირიანათ ცვლის საქმეს. არსებული კანონი დროგამოშვებით გამოცემათა პასუხისმგებლათ მხოლოდ რედაქტორებს სთვლის და ცალკე წერილების ან სტატიების პასუხისმგებლებათ აგრეთვე ავტორებსაც, თუ უკანასკნელთა პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელი ხდება. ამათ მაგიერ სამინისტროს კანონ-პროექტი ახლა აყენებს პასუხისმგებელ გამომცემელს. მაგრამ საქმე ამით როდი თავდება. პასუხისმგებელ გამომცემლისათვის პროექტი აწესებს კიდევ განათლების ცენზს, ე. ი. გამომცემელს უნდა ქონდეს საშუალო სასწავლებლის მოწმობა მაინც. გარდა ამისა, იგი უნდა იყოს მუდმივი

ბცხოვრები იმ ქალაქში, სადაც გემოცემა არსებობს. ყოველივე ეს, ცა ოქმა უნდა, სრულებით ახალი ცვლილებანია.

შემდეგ, პროექტი თხოულობს იმ თხზულებათა წინასწარ ცენზურას, რომლებიც მჟიდროთ შეკავშირებულია სარწმუნეობასთან და ღვთის მსახურების წესებთან; დაცულია დრამატიული ცენზურა და აგრეთვე განცხადებათა წინასწარი ცენზურა, სასახლის ცენზურა ხომ თავის ძალაში რჩება. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი დროგამოშვებით გამოცემათ. წინასწარი ცენზურა აქ სიტყვით არ არსებობს, მაგრამ პროექტი აწესებს, რომ ის გამოცემები, რომლებიც კვირაში გამოდიან ოთხჯერ. მაინც, საბოლოო ბეჭდვის დაწყებისთანავე და არა უგვიანეს ერთი საათისა სტამბიდან გამოტანამდე, უნდა წარედგინოს ადგილობრივ კომიტეტს ან ინსპექტორს, რომლებიც თუ საჭიროთ დაინახავენ, მაშინვე მიიღებენ ზომებს მთელი გამოცემის დასაჭერათ და დამნაშავეთა სამართალში მისაცემათ.

ბეჭდვითი სიტყვის დანაშაულისთვის სასჯელის დადება პროექტით მხოლოდ სასამართლოს წესით შეიძლება. მაგრამ ამ მხრითაც სასიხარულო არაფერია: დატუსაღებას და დაჯარიმებას აქ მეტად ფართო ადგილი უჭირავს.

ამნაირათ, როგორც მკითხველი ხედავს, ახალ კანონ-პროექტს არა თუ არა აქვს მხედველობაში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ იგი დიდათ აუარესებს ამ მდგომარეობას. რაც შეეხება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, რომელიც აღიარა 17 ოქტომბრის მანიფესტმა[36]), აქ იმის ხსენებაც აღარ არის. როგორც ხედავთ, ხსენებული მანიფესტის ლიკვიდაცია მიდის წინ შეურყეველათ და თანდათან. ამ უკანასკნელ დრომდე თუ კიდევ იყო მისი აჩრდილი, ახლა ეს აჩრდილიც ქრება. ვინაიდან ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება შეადგენს ყველა დანარჩენ თავისუფლებათა საძირკველს, ამიტომ გასაკვირვალი არ არის, თუ სწორედ უწინარეს ყოვლისა მის სავსებით აღმოფხვრას ლამობენ. თავის თავად იგულისხმება, რომ სამინისტროს კანონ-პროექტებს ამ შემთხვევაში მიზანში ამოღებული აქვს განსაკუთრებით მხოლოდ ახლად აღორძინებული მუშათა პრესა, რომელმაც ამოდენა გამოუთქმელ დაბრკოლებათ სძლია და რომელიც დღეს ასეთ დიდ როლს თამაშობს მუშათა მოძრაობაში. რაც შეეხება კონსერვატორულ და ლიბერალურ-რადიკალურ პრესას, უნდა ვთქვათ, რომ ამას ხსენებული პროექტი არსებით ვნებას ვერ მიაყენებს. მაგრამ მიუხედავათ ამისა, სამინისტროს პროექტი

იმდენათ უხამსი და ყოვლად უმსგავსო ნაწარმოებია, იგი ისე მოურიდებლათ ჯეკნის იმ ნამცეც თავისუფლებასაც კი, რომელიც დღეს არსებობს, რომ მის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო ხმა არ ამოეღოთ იმათ, ვისთვისაც ახლანდელი პროექტის სუსხი არა ნაკლებათ საგრძნობელია.

ცნობილ „ნოვოე ვრემიას“[37]) რომ თავი დავანებოთ, რუსეთის პროგრესიულმა და რადიკალურმა პრესამ ერთხმად პროტესტი განაცხადა მაკლაკოვის „ნაწარმოების“ წინააღმდეგ. მაგრამ პირდაპირ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთავრობას სხვა გვარი პროექტის შედგენა ეკისრა. ყველას კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ ბ-მა მაკლაკოვმა თავის შეხედულება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე უკვე ამ რამდენიმე თვის წინეთ გამოთქვა, რაც თავის მხრით ნაკარნახევი იყო გაერთიანებული თავად-აზნაურობის მიერ. მაგრამ კადეტები და პროგრესისტები მაინც ფიქრობდენ, რომ მაკლაკოვი თავის შეხედულებაზე უარს იტყოდა და ჩვენს ლიბერალებს ხონჩით მზა-მზარეულათ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას მიანიჭებდა; და რადგანაც ეს ასე არ მოხდა, ლიბერალები, ოქტომბრისტებიდან დაწყებული კადეტებამდე, ძლიერ გაჯავრდენ და თავის ზნეობრივ მოვალეობათ თვლიან მაკლაკოვის პროექტს პროტესტი გამოუცხადონ და ყოველივე ღონისძიებით იბრძოლონ სიტყვის თავისუფლებისთვის.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მხოლოდ ლიბერალური ფაფხურია და მეტი არაფერი. ლიბერალები ვერ ხედავენ, და არც უნდათ დაინახონ, რომ საქმე მარტო სიტყვის თავისუფლების უქონლობაში როდია. სიტყვის თავისუფლების უქონლობა მჭიდროთ გადაბმულია მთელ სისტემასთან, მთელ წყობილებასთან და ამ რეჟიმის რადიკალური ცვლილების გარეშე არავითარი თავისუფლების დამყარება არ შეიძლება. ამიტომაც არის, რომ ლიბერალების ფაფხურს, იმათ ზნეობრივ მოვალეობისაგან გამოწვეულ პროტესტს არსებითად თითქმის არავითარი ფასი არა აქვს.

(ჟურნ. „ჩვენი წყარო“,
1913 წ. 12 მაისი № 8—18).

# ივანე ჯაბადარის ხსოვნას.

გასული აპრილის 25-ს, გზაში, სოფ. საგარეჯოდან თბილისში მგზავრობის დროს გარდაიცვალა ჩვენში და რუსეთის საზოგადოების ზოგიერთ წრეებშიაც ცნობილი ივანე სპირიდ. ჯაბადარი. ადგილობრივ რუსულ-ქართულ გაზეთებმა, თითქოს განზრახ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აღნიშნეს ამ იშვიათი ადამიანის და საზოგადო მოღვაწის დაკარგვის ამბავი. ნაფიცი ვექილი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, რომელმაც ახალგაზრდობაში ბევრი იტანჯა იდეისათვის, პატიოსანი ადამიანი, თანამშრომელი რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთების,—აი ყოველივე ის, რაც სიტყვა სიტყვით ითქვა ადგილობრივ გაზეთებში ივ. ჯაბადარის დასახასიათებლად. და ამავე დროს იგივე გაზეთები, ბევრათ უფრო დაწვრილებით შეეხენ იმას, თუ ტფილისის ქალაქის საბჭოში რომელი კანდიდატი დაიჭერს ივ. ჯაბადარის გარდაცვალების გამო განთავისუფლებულ ადგილს. ასე უმასპინძლდებიან ჩვენში ყველა გულწრფელ და ჭეშმარიტათ თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს.

რა თქმა უნდა, ჩვენ მყვირალა დროში, როცა ყალბი დემოკრატობით და რენეგატობით თავს იწონებენ, ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ასეთ ცრუ და მყვირალა დემოკრატების და რენეგატების გვერდით ივ. ჯაბადარს ადგილი არ აქვს. ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებულმა, ნიჭიერმა და საოცარი კეთილშობილური ხასიათის პატრონმა, ვანო ჯაბადარმა ერთობ ადრე განიცადა ცხოვრების სუსხი. რკინის ენერგიის და რაინდული გამბედაობის პატრონი, ის სკოლის სკამზეევ, სტუდენტობის დროს, თავდავიწყებით შეებრძოლა დუხჭირ საზოგადოებრივ წყობილებას იმ მიზნით, რომ დაბეჩავებული და ტანჯული ხალხის მდგომარეობა შეემსუბუქებია. სამწუხაროთ, ჩვენ არ გვაბადია დღეს ცოტათ თუ ბევრათ სწორი ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ამ ხანას ეკუთვნოდენ. ვიცით მხოლოდ, რომ ჯაბადარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გასული საუკუნის მესამოცდაათე წლების რევოლიუციონურ მოძრაობაში და შემდეგ იგი, როგორც ბრალდებული, მოხვდა 50 პროცესში. გასამართლების შემდეგ, 1880 წ., მას

მიუსაჯეს 8 წლის კატორღა, რომელიც მან მოიხადა თავისი საშინელებით-ცნობილ კარიის საკატორღო ციხეში. კატორღის მოხდის შემდეგ იგი ერთ-ხან ცხოვრობდა ციმბირში, როგორც სამუდამოთ გადასახლებული; იქ მან შეირთო ცოლათ ცნობილი რევოლიუციონერი—ქალი ოლღა ლიუ-ბატოვიჩი. 1887 წ. ჯაბადარი დაბრუნდა ტფილისში. აქედან იწყება ახა-ლი ხანა მის ცხოვრებაში.

აქტიური მონაწილეობა მოძრაობაში მას აღარ მიუღია; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან სხვებივით სამუდამოთ უარყო თავისი წმინდა იდეალები და ცხოვრების დუხჭირ პირობებს შეურიგდა. ბრძოლამ იგი მოქანცა, მაგრამ ვერ გასტეხა. ამიერიდან უკანასკნელ წუთამდე ვანო ჯაბადარის ცხოვრება საშინელი სულიერი ტრაგიზმით არის მოცული. მთელი თავისი აზროვნებით იგი ისევ ძველი ნაროდნიკი დარჩა. მაგრამ იმავე დროს მას არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ცხოვრება შეუბრალებ-ლად აცლიდა ნიადაგს ნაროდნიკულ შეხედულებას. ამით აიხსნება ის გა-რემოება, რომ ვ. ჯაბადარი, როგორღაც გარიყული დარჩა ცხოვრებაში, ქართულ ოფიციალურ აზროვნებას, ჩვენებურ ცრუ-პატრიოტობას და ცრუ დემოკრატობას, რომლითაც გაჟღენთილი იყო და არის ქართული ინტელიგენციის დიდი უმეტესობა, მან იმ თავითვე სასტიკი ომი გამოუც-ხადა. მაგრამ სავსებით ვერც ჩვენ მოწინავე დემოკრატიას შეუერთდა, თუმც ბოლო ხანებში მთელი მისი თანაგრძნობა სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. მაგრამ ჯერ დაუბრუნდეთ ისევ ძველ ამბავს.

სწორედ იმავე ხანებში დაბრუნდა ჩვენში მეორე ყოფილი რევო-ლიუციონერი ბ. ზდანოვიჩი[38]). მაგრამ ამ ორ ახლად დაბრუნებულ ყო-ფილ მებრძოლთა შორის მაშინვე შეამჩნევდით დიდ განსხვავებას, რაც შემდეგში აშკარა შეიქნა! სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ ტფი-ლისის მაშინდელი მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი პატარა ჯგუფი გა-ფაციცებით ადევნებდა თვალს ამათ მოქმედებას, საინტერესოა ის გარე-მოება, რომ როგოც ჯაბადარმა, ისე ზდანოვიჩმა სამშობლოში დაბრუნე-ბისთანავე შინჯეს პირველი გამოსვლა მაშინდელ ერთად-ერთად ქარ-თულ გაზეთის „ივერიის“ ფურცლებზე. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ როცა ერთი იმათგანი, ბ. გ. ზდანოვიჩი, კარგათ შეეგუა „ივერიის“ პოზიციას, უარყო ძველი იდეალები და ახალი დროის კერპის—ოქროს წინაშე მოიხარა ქედი და ეწყო მას გუნდრუკის კმევა, ივ. ჯაბადარი შეუ-დრეკლი დარჩა: იგი ვერ მოურიგდა „ივერიას“ და ჩქარა მას და ჯაბადარს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, მაგალითად, ივ. ჯაბადარის წე-

რილები საქართველოზე „სევერნი ვესტნიკში“ ერთი მხრით და „აი ისტორიის“ ავტორის არა საკადრისი, ვიტყვით პირდაპირ, დემაგოგიური პოლემიკური კილო და ფანდები ხსენებული წერილების ავტორის წინააღმდეგ მიმართული მეორე მხრით.

არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ აქ ის გარემოებაც, რომ ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლებმაც მოსწავლეთა ზევით დასახელებული ჯგუფი ჩამოაშორეს „ევერიის“ მიმართულებას, იყო სწორედ ხსენებულ გაზეთის ზევით დასახელებული უდიერი პოლემიკა. თავის თავად იგულისხმება, რომ იმ ხანებში მთელი ჩვენი სიმპატია ივანე ჯაბადარისკენ იყო. შემდეგ ჩვენ შორს გავემგზავრეთ და კარგა ხნის განმავლობაში ვანო ჯაბადარი თავის მხედველობიდან დავკარგეთ. ამ დროს იგი ნაფიცი ვექილი გამხდარიყო და თავისი პროფესიონალური მოღვაწეობის უმთავრეს საგნათ აწიოკებული გლეხები და საზოგადოთ ღარიბი ხალხი გაეხადა. და ეს ასე შეეფერებოდა მის წმინდა დემოკრატიულ ბუნებას და კეთილშობლიურ ხასიათს.

1905-6 წლების მოძრაობამ მას თითქო ახალი სული ჩაბერა, იგი როგორღაც გამოცოცხლდა და შეეცადა მოძრაობისათვის ხელი შეეწყო. მართალია წინანდელი იდეალები შორს იყვნენ, ღარიბ ის პარტია ჩანდა, რომლის სამსხვერპლოზე მანაც თავისი წვლილი მიიტანა, სამაგიეროთ იგი ხედავდა ახალ ძალას, და თუმც თითონ მასთან არ იყო ორგანიულად შეკავშირებული, შეიძლება არც იზიარებდა მის იდეალებს და კიდევ უფრო მის ტაქტიკას, მაგრამ ინსტიქტიურად, თავისი წმინდა დემოკრატიული რწმენის გამო იგი მაინც ამ ახალ ძალას უცხადებდა თავის გულის სიღრმიდან ამონახეთქ თანაგრძნობას. ივ. ჯაბადარმა საჯაროთ დაგვიმტკიცა ეს 1907 წ. ტფილისში სახელმწიფო დუმის არჩევნებზე. როცა ცრუ დემოკრატიზმის და ყალბი სოციალიზმის მოციქულებმა კანდიდატათ სახელმწიფო დუმაში წამოაყენეს თავისი მსგავსი, კადეტი, თ-დი ანდრონიკაშვილი, ივ. ჯაბადარმა წარმოსთქვა თავისი დაუვიწყარი სიტყვა ამომრჩეველთა კრებაზე, რომელშიაც მან აშკარათ და გარკვევით ახადა ფარდა იმათ დემოკრატობას, ვინც ხსენებულ ანდრონიკაშვილს უპერდა მხარს. მან ხმამაღლა, ყველას გასაგონათ დაგმო ყოველგვარი ფარისევლობა და სიბინძურე და აღიარა, რომ თუმც იგი თითონ არ ეკუთვნის სოც. დემ. პარტიას, მაგრამ მთელი თავისი არსებით იგი მხარს უპერს და თეთრს აძლევს იმ პარტიის წარმომადგენელს, რომელმაც თავისი თავგანწირული ბრძოლით დაგვიმტკიცა, რომ იგი ხალხს ემსახურებაო. ასეთ

პარტიათ მე დღეს მიმაჩნია სოც. დემოკრატია და ამიტომ მე მას სრულიად შეგნებულათ თეთრს ვაძლევო! (საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ჯაბადარის ხმამ იმ ხნობით გადამწყვეტი როლი ითამაშა სოც. დემ. კანდიდატების გათეთრებაში, აქ აღნიშვნის ღირსი უფრო ის არის, თუ ამ გაჭაღარავებულმა ძველმა მებრძოლმა რამოდენი აღფრთოვანება და რა სულის სიმაღლე გამოიჩინა. ასეთი ბედნიერი წუთები ერთობ იშვიათათ შეხვედრია ივ. ჯაბადარს ცხოვრებაში და ამით აიხსნება ის, რომ მის სახეს მუდამ რაღაც გულჩათხრობილობის და გამოუთქმელი სევდა-კაეშნის ბეჭედი ესვა. ივ. ჯაბადარი მეტად რთული ბუნების პატრონი იყო და მას ბევრათ იმაზე მეტის გაკეთება შეეძლო რაც გააკეთა, თუ რომ შესაფერი პირობები დახვედროდა. არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ აქ ისიც, რომ ვანო ჯაბადარი ვერასოდეს ვერ ურიგდებოდა ქართველი ინტელიგენციის ნაციონალისტურ მისწრაფებათ და ასეთ მისწრაფებათ იგი ყოველთვის შეუპოვრათ ებრძოდა. მან კარგათ იცოდა თუ რა იფარებოდა ნაციონალისტურ სამოსელში და ამას ვერ იტანდა მისი ნამდვილი დემოკრატიული ბუნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი დემოკრატიის მომავალი ისტორიკოსი ღირსეულად დააფასებს მის მოღვაწეობას და შესაფერ ადგილს მიუჩენს მას ქართველ დემოკრატიის განვითარებაში.

(ჟურნ. „ჩვენი წყარო“
1913 წ. 12 მაისი № 8—18).

# ბიუჯეტი და სახელმწიფო დუმა.

10 მაისს, როგორც იყო, სახელმწიფო დუმა შეუდგა 1917 წლის ბიუჯეტის განხილვას. ამ გვარათ, თუ მშვიდობა იქნა, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას იგი დაამტკიცებს წლის გასულს, ვინაიდან სახელმწიფო დუმის შემდეგ იგივე ბიუჯეტი უნდა განიხილოს კიდევ სახელმწიფო საბჭომაც, რომელსაც შეუძლია რაიმეში, თუ გინდ სულ წვრილმანშიაც, არ დაეთანხმოს დუმას, რაც იწვევს შემთანხმებელ კომისიაში სადაო კითხვის განხილვას და ამ რიგათ საქმე ჭიანურდება. ესე იგი, მართალი რომ ვთქვათ, ფორმალურად ხარჯთ-აღრიცხვას დაამტკიცებენ მაშინ. როცა ფაქტიურად იგი ცხოვრებაში უკვე გატარებული იქნება.

მარტო ეს მხარეც რომ ავიღოთ, ჩვენ ადვილათ დავინახავთ იმას, რომ ბიუჯეტის განხილვა სახელმწიფო დუმაში, ამ თავისებურ „პარლამენტში" (ხომ გახსოვთ ბ. კოკოვცოვის განცხადება მეორე სახელმწ. დუმაში: „მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში პარლამენტი არ არისო!") მხოლოდ ფიქციაა, და მეტი არაფერი. ეს ფიქცია კიდევ ორკეცდება საბიუჯეტო წესების მეოხებით, რომელთა წყალობით მთელი ხარჯთ-აღრიცხვის თითქმის ერთი მესამედი ნაწილი სქელი ჯავშნით არის დაფარული და დუმა მას ვერ შეეხება მსჯელობითაც კი; ერთი დიდი ნაწილი კიდევ შეკავშირებულია არსებულ კანონებთან და თუმცა დუმას უფლება აქვს იმის შესახებ მსჯელობა იქონიოს, მაგრამ ერთი იოტის ოდენა ცვლილების მოხდენაც კი მას არ შეუძლია საბიუჯეტო კანონის ძალით. ამნაირათ დუმას შეუძლია ცვლილების მოხდენა, თუ მოინდომა მხოლოდ, ხარჯთ-აღრიცხვის ერთ ნაწილში, მაგრამ საქმე სწორეთ ის არის, მოინდომებს იგი ამას თუ არა? დუმის შავრაზმული უმრავლესობა, მემარჯვენეების, ნაციონალისტების და ოქტომბრისტებისაგან შემდგარი, როდის იყო, რომ ბიუროკრატიას წინ გადაეღობა? და თუ ისეთი სასწაული რამე მოხდა, რომ დუმის შავრაზმულმა უმრავლესობამ ბიუროკრატიას რამეზე უარი უთხრა, უკანასკნელის მისაშველებლათ ხომ მზათაა სახელმწიფო საბჭო. რომელსაც ჩვენში ევროპის წახედულობით ზედა პალატას ეძახიან. მაგრამ მეორე სასწაულიც რომ მოხდეს და ბიუროკრატიას რაიმე ხარჯზე

უარი უთხრას ზედა პალატამაც, ბიუროკრატიას მაინც შეუძლია თავისი გაიტანოს და დახარჯოს ის, რაც მას სწადია.

ასეთ პირობებში დუმის როლი ისეთ დიდ სახელმწიფო საქმეში, როგორც არის ბიუჯეტის განხილვა თავდება მით, რომ მას უფლება ეძლევა რამოდენიმე საცოდავი სიტყვა და რამოდენიმე კიდევ უფრო საცოდავი სურვილი გამოთქვას მმართველი ბიუროკრატიის საყურადღებოთ. საერთოდ კი 3 ივნისის (1907 წ.) კანონით შეკრებილი დუმა ბიუროკრატიას სავსებით კვერს ურტყავს სახალხო სიმდიდრის მოხმარა-პატრონობაში და გაფლანგვაში. თავის თავად იგულისხმება, რომ ერთ-ერთი დადებითი მნიშვნელობა მთელ ამ პროცედურაში ხალხის იმ თითო ოროლა წარმომადგენლებს აქვთ, რომლებიც თავის სიტყვაში გაბედულათ და შეუდრეკლათ ფარდას ხდიან მთელ ამ მახინაციას. უამისოთ კი ბიუჯეტის განხილვა სახელმწ. დუმაში, როგორც მრავალი სხვა საგნების განხილვაც, მხოლოდ კომედიაღა იქნებოდა.

1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა კოლოსალურ ციფრებში იხატება. იგი უდრის 3.233.298,006 მანეთს. რუსეთის ბიუჯეტი მატულობს შეუჩერებლათ, ამის უარყოფა შეუძლებელია, უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში შემოსავალმა მოიმატა 800 მილიონ მანეთზე მეტი. ე. ი. გაიზარდა 33%. გარდა ამისა, უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ხარჯთ-აღრიცხვა უდეფიციტოთ თავდება, ე. ი. შემოსავალი ფარავს გასავალს ისე, რომ სესხის აღება საჭირო აღარ ხდება, და იმავე დროს მთავრობის სალაროში გროვდება კიდევ თავისუფალი ნაღდი ფული (**свободная наличность***). ხარჯთ-აღრიცხვის ასეთი საოცარი ზრდით, ნაღდი ფულის შეგროვებით და საზოგადოთ ბიუჯეტის კოლოსალური სიდიდით ამაყობს და ყოყოჩობს მმართველი ბიუროკრატია: ერთი დახეთ, თუ რაგორ მატულობს შემოსავალი, თუ როგორ იზრდება ხალხის საწარმოვო ძალები. მაგრამ ასე ბრწყინვალეა რუსეთის ბიუჯეტი მხოლოდ გარეგნობით. ჯერ ერთი, რას მოასწავებს მისი კოლოსალური სიდიდე ევროპის სახელმწიფოების ბიუჯეტის სიდიდესთან? რუსეთის ბიუჯეტის ასეთი

*) რა თქმა უნდა. ასე ლაპარაკობს მთავრობა ფინანსთა მინისტრის ბ. კოკოვცევის პირით, თორემ უკანასკნელი ხარჯთ-აღრიცხვა რომ ავიღოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ხარჯის დასაფარავად საჭირო შეიქნა ამ თავისუფალი ნაღდი ფულიდან გადმოესესხათ 100 მილ. მან. ასე რომ, თუ ეს უკანასკნელი თანხა არ ყოფილიყო. მაშინ 1913 წლის ხარჯების დასაფარავად საჭირო იქნებოდა სესხი. მაშასადამე, უკანასკნელი ხარჯთ-აღრიცხვა არსებითად დეფიციტით გათავდა.

სიდიდე აიხსნება მით, რომ მასში შედის შესავალ-გასავალის მრავალი ისეთი სტატიები, რომლებიც უცხოეთის სახელმწიფოებში ბიუჯეტებში სრულებით არ შედიან, ვინაიდან ისინი ეკუთვნით ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს, რუსეთში კი, სადაც ყველაფერს ბიუროკრატია განაგებს, სადაც ადგილობრივ თვითმართველობათა ჭაჭანება არ არის, ან თუ არის, იმათი მოქმედების ფარგალი ვიწროთ შემოფარგლულია, ყველა სტატიები, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტში შედიან. ამიტომ რუსეთის ბიუჯეტი ხელოვნურად არის გაბერილი, და ყველა ასეთი სტატიები რომ მას გამოვაკლოთ, იგი საგრძნობლათ დაიკლებს. თორემ განა შესაძლებელია, რომ რუსეთის ბიუჯეტი, სადაც საოცარი საყოველთაო სიღატაკე არსებობს, სადაც ხალხის სიმშილი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს და, სადაც საწარმოვო ძალები ძლიერ ჩამორჩენილია, დაწინაურებულ და მრეწველობა-ვაჭრობის მხრივ განვითარებულ ქვეყნების ბიუჯეტებს აღემატებოდეს? ამიტომ აშკარა უნდა იყოს, რომ რუსეთის ბიუჯეტის ზრდა ასეთ პირობებში სრულებით არ გვეუბნება ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობის ზრდა-განვითარებას. ფაქტები და ბიუჯეტის განხილვა ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ზრდა არანორმალურია. ყველაზე უფრო საინტერესოა აქ იმის ცოდნა, თუ საიდან და რით იკვებება რუსეთის ბიუჯეტი, თუ რა შეადგენს, მაშასადამე, ბიუროკრატიის ყოყოჩობის საფუძველს?

ჩვენი ბიუჯეტის უმთავრეს წყაროს შეადგენს არყის ვაჭრობა, მონოპოლია, რომლის შემოსავალი წრევანდელ ბიუჯეტში ნაანგარიშევია 800 მილ. მან. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს შემოსავალი ასე იზრდებოდა: 1904-1907 წ. წ. საშუალო რიცხვით არყის მონოპოლია წლიურად რუსეთის ხაზინას აძლევდა 640 მილ. მან. 1908-12 წლებში— 747 მილ. ახლა ვიკითხოთ, თუ რატომ იზრდება ასე არყის შემოსავალი? ეს აიხსნება ორი მიზეზით: 1) ხალხის თრობის მატებით და 2) სახაზინო არაყზე ფასის აწევით. 1900 წლამდე ერთი ვედრა არაყი ღირდა 7 მან.. შემდეგ იგი ასწიეს 7 მან 60 კაპ. მერე იგი გახადეს 8 მან. 40 კაპ. არაყის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს, სხვა დასხვაგვარ ბაჟებს და აქციზს მასიურ სახმარ ნივთებზე, (შაქარზე, ნავთზე, სპიჩკაზე, ჩაიზე, თამბაქოზე და სხ.) ერთი სიტყვით, ბიუჯეტი დამყარებულია ხალხის დათრობაზე და გატყავებაზე.

ამნაირათ რუსეთის კოლოსალური ბიუჯეტი სულ ერთიანათ დაწოლილია თიხის ფეხებზე. მას აკლია მკვიდრი საფუძველი, იგი არ არის

დაყრდნობილი ხალხის კეთილდღეობაზე და იგი არ მოწმობს ხალხის საწარმოვო ძალთა ზრდა-განვითარებას. ამის დასასურათხატებლათ საინტერესოა მოვიყვანოთ აქ შემდეგი ცნობები. 1910 წლის ცნობებით ფაბრიკის მუშის საშუალო წლიური შემოსავალი უდრიდა: რუსეთში 251 მ., მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი უდრიდა 1036 მან. ე. ი. უკანასკნელი ოთხჯერ უფრო მეტია, ვინემ რუსეთის მუშის. იმავე წლების ცნობით საფაბრიკო მუშის შრომის ნაყოფიერება უდრიდა: ამერიკაში 6264 მან. რუსეთში კი მხოლოდ 1.810 მან. $3^1/_2$ ჯერ უფრო ნაკლები. აი რა განსხვავებაა თანამედროვე ნამდვილ კაპიტალისტურ ქვეყანასა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც ჯერ კიდევ საესებით არ განთავისუფლებულა ბატონ-ყმურ ურთიერთობათაგან.

ახლა არ იკითხავთ, თუ რაზე იხარჯება ამოდენა ფული, თითქმის $3^1/_2$ მილიარდი მანეთი? ამას ნთქავენ უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა , ჯარი და ფლოტი, ე. ი. სამხედრო საჭიროებანი, შემდეგ პოლიცია, სატუსაღოები, სიწოდი და საზოგადოთ ყველა დარგის მაღალი და დაბალი ბიუროკრატია. რაც შეეხება ხალხის ნამდვილ საჭიროებათ, კულტურულ და განმანათლებელ საქმეებს და სახელმწიფოს საწარმოვო ძალთა აღორძინებას—ყველა ამაებს სახალხო ფულს მხოლოდ სხვათა შორის ახმარებენ. საერთოდ მთელი ეს საშუალებანი უცვივა ჯიბეში რუსეთის სხვილ მეწათმფლობელებს, თავად-აზნაურობას, სხვილ და საშუალო კაპიტალისტებს, ფაბრიკანტ-მექარხნეებს და ბობოლა მოხელეებს.

როგორი დამოკიდებულებაა ან როგორ უყურებენ ბიუჯეტს სახელმწ. დუმის სხვადასხვა ფრაქციები? დუმის ფრაქციები აქაც, როგორც საზოგადოთ სხვა კითხვების გარჩევის დროსაც, სამ ბანაკათ იყოფებიან. დუმის მემარჯვენე ნაწილის—შავრაზმელების, ნაციონალისტების და ოქტომბრისტების კრიტიკა ამ შემთხვევაში უბრალო კინკლაობაა პირად ანგარიშებზე დამყარებული: არა მე მერგოს და არა შენ ხაზინის გემრიელი ლუკმაო. საზოგადოთ კი დუმის ეს ნაწილი აშკარათ და სავსებით უჭერს მხარს მმართველ ბიუროკრატიას. დუმის მეორე ბანაკს შეადგენენ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, პროგრესისტები ერთი მხრით, და კადეტები მეორე მხრით, ესენი შეადგენენ ეგრეთ წოდებულ „ოპოზიციას“, მაგრამ ოპოზიციას დაბალი ხარისხისას. არსებითად ესენიც იმავე მყვლეფელთა კლასს ან ბიუროკრატიულ წრეებს ეკუთვნიან. ამიტომ აშკარაა, რომ ისინი ვერ იქნებიან პრინციპიალური მოწინააღმდეგენი თანამედროვე კლასობრივი ბიუჯეტისა, რომელშიაც მათაც საკ-

მარისი წილი. უდევთ. ისინი არ ეთანხმებიან მმართველ ბიუროკრატიას მხოლოდ ზოგიერთ წვრილმანებში, და თუმც ბიუჯეტის განხილვის დროს ხშირათ მაგარ-მაგარ სიტყვებს ხმარობენ მთავრობის მიმართ, მაგრამ ბოლოს ეს თავდება შეთანხმებით და მორიგებით ლიბერალებსა და შავრაზმელთა შორის.

ყველაზე უფრო საღ მსჯელობას და ლოლიკურ თანდათანობას აქაც დემოკრატიის წარმომადგენელი—სოც. დემ. ფრაქცია—იჩენს უცხადებს რა სრულ უნდობლობას მმართველ ბიუროკრატიას, იგი უარს ეუბნება მას სახალხო ფულების დახარჯვაში. ასეთი დანაწილება საესებით გამართლდა ახლანდელი ბიუჯეტის საერთო განხილვის დროს. ბიუჯეტი უარყვეს სოც. დემოკრატებმა და „ტრუდოვიკებმა". ხოლო მისცეს ხმა, როგორც რეაქციონურმა პარტიებმა, ისე ,,ცენტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა, ე. ი. პროგრესისტებმა და კადეტებმა.

ბიუჯეტის განხილვის დანარჩენი სტატიები ისევე აჩქარებული ნაბიჯით იწარმოებს, როგორც მისი საერთო განხილვა მოხდა. საერთოდ ეს იქნება წყლის ნაყვა. პროლეტარიატისთვის ამაში საინტერესოა მხოლოდ თავის მტერ-მოყვრების უფრო ახლო გაცნობა და დანახვა. ამიტომ ყველა შეგნებული მუშა ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღებით ადევნოს თვალ-ყური ბიუჯეტის გარშემო ატეხილ კამათს. აქ იგი გაიგებს ბევრ საგულისხმიერო რამეებს, გაიგებს იმას, თუ როგორ და საიდან აცლიან ხალხს მილიარდებს თითო გროშობით და მანეთობით და თუ რაზე ან როგორ ხარჯავენ და ფლანგავენ ამ ოფლში და სისხლში მონაწურ სახალხო გროშებს. ერთი სიტყვით, აქ იგი ბევრ რამეს ისწავლის და შეიტყობს. იგი მიხვდება, თუ რა ფასი აქვს ლიბერალურ ფრაზეოლოგიას, თუ როგორია ლიბერალების სიტყვა და საქმე.

(ჟურნ. „ჩვენი წყარო",
1913 წ. 19 მაისი, № 9—19).

# პირველი ნაყოფი

ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ მიიღო ფრიად საყურადღებო ხელმოუწერელი დოკუმენტი ასეთი სათაურით: ბაქოს, „ჩვენი წყაროს"—ს რედაქციას, რომელსაც ჩვენ უსახელო ავტორისავე გამოთქმული სურვილის თანახმად ვბეჭდავთ ამის ქვემორე სრულებით უცვლელათ და თავისებურათ „მდიდარი სტილის" დაცვით [40]). არსებითათ ამ ხელის ხელ საგოგმანუბელ დოკუმენტზე ჩვენ აქ არას ვიტყვით, ვინაიდან უკომენტარიოთაც კარგათ ღაღადებს, როგორც პირდაპირ მის შემდგენელზე, ისე იმ ბანაკზედაც, რომელმაც მას სული ჩაბერა. როგორც ხედავთ, ავტორმა ნიღაბი ჩამოიფარა და თავის ვინაობის გამხელა, როგორც ყველა ქვემძრომთ შეფერით, ვერ გაბედა; ან შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით ავტორსავე შერცხვა ხელმოწერა თავის „ნაწარმოებზე". ეს, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ამის დასამტკიცებელი საბუთი გვქონდეს, მაგრამ, საუბედუროთ, ასეთი საბუთი ჯერ არა გვაქვს. სამაგიეროთ რედაქციამ დანამდვილებით იცის, თუ ვინ, რა პიროვნება ბრძანდება ამ დოკუმენტის ავტორი და როცა საჭირო იქნება ამას ჩვენ კიდევაც გამოვაქვეყნებთ.

ჯერჯერობით კი საჭიროთ მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველებს შემდეგი გარეგანი ნიშნები ავტორის ვინაობის დაახლოვებით გამოსაცნობათ. კონვერტი, რომელშიაც ჩადებული იყო ეს დოკუმენტი, გამოგზავნილია თბილისიდან ამა წლის 13 მაისს, როგორც ამას მოწმობს ფოსტის შტემპელი. შემდეგ, წერა და სტილი მოწმობს, რომ ხსენებული დოკუმენტის ავტორი არც თუ ისე გაუნათლებელია, როგორც მას სურს მოაჩვენოს თავი საზოგადოებას. მართალია შიგა და შიგ ავტორს ბევრი უცოდვილია, ბევრი ძალა დაუტანია თავისთვის, რომ გამოეცვალა როგორც წერის მანერა, ისე ენა, სტილი, რომ როგორმე ქიზიყელ შრომის გლეხს დამსგავსებოდა,—მაგრამ ამ ცდას, როგორც თვით მკითხველი შეამჩნევს, სრულებით ამაოდ ჩაუვლია, ისე თეთრი ძაფებით არის ნაკერი მთელი ის საცოდავი „მსჯელობა", რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავს. შეიძლება ავტორი მართლაც ქიზიყელია, ეს ჩვენც გვრწამს, მაგრამ ქიზიყელი

მშრომელი გლეხის ნილაბს იგი ამაოდ ეფარება. თუ ჩვენ უსახელო ავტორს დაუჯერეთ, გამოვა, რომ მდაბიო ქიზიყელი მშრომელი გლეხი განსაკუთრებით ფრანგ მწერლის რ ო კ ო მ ბ ო ლ ი ს რომანებით იკვებება! აბა ამაზე მეტი ყალბობა განა კიდევ შეიძლება? როგორც ამბობს რუსული ანდაზა: „автор выдал себя головой, да и только!“ ქიზიყის დეპოს გახსენება კიდევ ახალ შუქს ფენს ავტორის ვინაობას. ყოველ შემთხვევაში, თუ ოდესმე საჭირო შეიქნება ავტორის ვინაობის შეტყობა, ქვევით მოთავსებული დოკუმენტის დედანი თავის კონვერტით შენახულია ჩვენს რედაქციაში და თავის დროზე გადაეცემა სადაც საჭირო იქნება.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ „სახ. გაზეთის“ „ქადაგებამ“ და ბ. ბ. გოგიჩაიშვილ-ლასხიშვილების მოწოდებამ ერთობ ჩქარა გამოიღო შესაფერი ნაყოფი. მაგრამ, როგორც ამბობს რუსული ანდაზა: ეს ჯერ ყვავილია, ნაყოფი შემდეგ იქნება!

(ჟურნ. „ჩვენი წყარო“,
1913 წ. 19 მაისი, № 9—19).

# V

# გაზეთი „ფიქრი“
# 1913 წლისა

# მოკლე მეხსიერება

ბ-ნი ივ. გომართელი [41]) ისევ ალაპარაკდა. იგი იგონებს თავის წარსულს, და როგორც შეფერის ნამდვილ რენეგატს, ლანძღავს და ზიზღით იხსენიებს თავის წინანდელ თანამოაზრეთ. რა მოხდა? რამ გაახსენა ამ ვაჟბატონს თავისი წარსული ან თავისი ყოფილი ამხანაგ-მეგობრები?

დიდი არაფერი: ბ. გომართელს ამხილეს ერთი შავრაზმული საქცეელი, მის მიერ ამ უკანასკნელ დროს ჩადენილი. აქ ახალი არაფერია, ვინაიდან შავრაზმელობა მისთვის კაი ხანია ჩვეულებათ გადაიქცა. მაგრამ ამ ჩვეულებრივმა ამბავმა რამდენიმეთ არაჩვეულებრივი სახე მიიღო თავის მოულოდნელი შედეგით თვით ბ-ნ გომართლისთვის. ეს ასე მოხდა. ბ-ნმა ივ. გომართელმა თავის პირველ საპასუხო წერილში (იხ. „თემი“[42], № 149) ჯერ სავსებით დაადასტურა თავის შავრაზმული ქცევა და შემდეგ ერთი წიხლი ჰკრა მესამე დასელებს: თქვენ სიყალბეს ჩადიხართ ეროვნულ საკითხში და ამიტომ შეგაქციეთ ზურგიო! აქ კი ბ-ნმა გომართელმა ცოტა გადააჭარბა, ან უფრო მართალი რომ ვთქვათ, აქ მას მეხსიერებამ უღალატა. როგორც დავინახავთ ქვევით, ბ-ნმა გომართელმა ომი გამოუცხადა მესამე დასს სრულებით სხვა ნიადაგზე და ისიც იმ დროს, როცა ეროვნული საკითხი ჯერ კიდევ მორიგ კითხვად არ იყო გადაქცეული. მაგრამ საქმე ამით რიდი გათავდა. როცა ბ-ნ გომართელს უპასუხეს მის ცარიელ გამოსროლაზე და მას ის სახელი უწოდეს, რაც მან სავსებით დაიმსახურა, იგი ურცხვი ადამიანივით გამომდგარა და იძახის: „რაში გამოიხატა ჩემი მოღალატეობაო?“—„შეგნებული მუშა—გვეუბნება ბ-ნი გომართელი, რომელიც წაიკითხავს „მერცხალში“ ჩემ წინაალმდეგ მომართულ წერილს, ის მაშინათვე ასე იფიქრებს, გომართელი ჩვენი მოღალატე ყოფილა და ეროვნული საკითხის შესახებაც არ ეთანხმება ჩვენებსო... „იქ, საცა საბუთი ალარ არის, საცა აზრის სიკოტრეა, სიტყვა მოღალატე, რენეგატი მეტათ მძლავრი საშუალებაა“. მაგრამ ბ-ნი გომართელი ინუგეშებს თავს მით, რომ „მერცხლის“ თანამოაზრეთა მასსა დღეს ალარ შარმოადგენს იმ ცომს, რომელსაც „მერცხლის“ ზოგიერთი მწერალი ადე ზელავდა, როგორც მას სურდა. ადრე თუ გვიან, ეს მასაც შეიგნებს, თუ სად არის სიმართლეო“.

ერთი სიტყვით ბ. გომართელი გვეუბნება: მე ახლაც იგივე გომართელი გახლავარ, რომელიც 1899 წლიდან „კვალში“ თანამშრომლობდა და 1905 წლის გაზაფხულამდე მესამე დასში ირიცხებოდაო. რომ მე ვითომც უღალატე მარქსიზმს და შევაფურთხე მესამე დასელებს,—ეს მოჭორილი ამბავია და ამაში იოტის ოდენა სიმართლე არ არისო!

და მართლაც, თუ დაუჯერებთ ბ-ნ გომართელს, ეს სწორეთ ასე უნდა იყოს. მისი სიტყვით, აი რაში გამოიხატება მისი მოღალატეობა: „პირველი იმაში—გვეუბნება ეს ვაჟბატონი—რომ ამ ხუთიოდე წლის წინეთ გავბედე და ვსთქვი ქუთათურ გაზეთში: „მოძრაობამ ჩვენი მოლოდინი არ გაამართლა მიწების შესახებ და ვიღონოთ რამე, რომ გლეხებმა თავადაზნაურობის მიწა-წყალი ხელიდან არ გაუშვან მეთქი. მეორე იმაში, რომ ვ. ორბელიანის პოეზიის შესახებ ლექციის წაკითხვის დროს გავბედე და ვსთქვი, რომ სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესი გრძნობაა და ამ გრძნობას ყველა უნდა ვეფერებოდეთ მეთქი“ (იხ. „თემი“, № 150). ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს ადგილი ბ-ნ გომართლის წერილიდან სიტყვა-სიტყვით, რომ მკითხველებს დავანახოთ, თუ როგორ მოგვითხრობს ჩვენი ავტორი ახლო წარსულის ისტორიას

ბ-ნი გომართელი დიდ ნიჭს იჩენს ჯამბაზობასა და მზაკვრობაში, მაგრამ ნათქვამია—ოსტატი ჩიტი ორივე ფეხებით გაემბება მახეშიო და ჩვენ ჯამბაზსაც სწორეთ ასე მოუვიდა. მას ათას წილად ერჩია თავის წარსულზე კრინტიც არ დაეძრა, თორემ ამ წარსულის მომსწრენი ჯერ ხომ ყველანი კიდევ არ დახოცილან, და თუ მას მეხსიერებამ ასე უღალატა, ამათ ხომ მაინც ეხსომებათ მისი საქმენი საგმირონი.

როგორც ბ-ნი გომართლის „საგმირო საქმეთა“ ერთი მომსწრეთაგანი, მე ნებას მივსცემ თავის თავს უწინარეს ყოვლისა აქ შემდეგი ეპიზოდი გავიხსენო. ბ-ნი ივ. გომართელი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე მესამე დასელთა ბანაკში ითვლებოდა, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი. დაიწყო დაუვიწყარი 1905 წელი და ქართველმა მარქსისტებმა კვლავ აღადგინეს თავისი საკუთარი ლიტერატურული ორგანო „მოგზაურის“ სახელწოდებით. ყველა მარქსისტი, განურჩევლათ იდეიურ უთანხმოებათა ტაქტიკურ თუ საორგანიზაციო კითხვებში, ამ ორგანოს თვლიდა თავის ნათესაყუდელათ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ „მოგზაურის“ არსებობის პირველ ხანებში ბ-ნი გომართელიც ასე ფიქრობდა, ვინაიდან იგი ჩვენ მოწინააღმდეგეთა პოლიტიკურ ორგანოებში მონაწილეობის მიღებას გაურბოდა, და ბოლოს „მოგზაურის“ მე-16-ტე ნომერ-

ში დაისტამბა „პირველი წერილი გლეხისადმი". როგორც სათაურიდან ჩანდა, პირველს მეორე და მესამე წერილი უნდა მოყოლოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეს კიდევ არაფერი. ამიერიდან ბ-ნი გომართელი თავს ანებებს როგორც „მოგზაურში", ისე სხვა ქართულ მარქსისტულ ორგანოებში თანამშრომლობას, იგი გადადის ჩვენი მოწინააღმდეგეების ორგანოებში, საიდანაც აწარმოებს კამპანიას თავის წინანდელ თანამოაზრეთა წინააღმდეგ, უცხადებს მათ ზიზღს და სიძულვილს.

აქნაირათ ბ-ნი გომართელი იდეურათ და პრაქტიკულად დაშორდა ქართულ მარქსისტულ ოჯახს, დაგმო და უკუაგდო მარქსიზმის თითქმის ყველა ძირითადი დებულებანი არა „ამ ხუთიოდე წლის წინეთ", როგორც ის დღეს ურცხვათ გაიძახის, არამედ ბევრათ უფრო ადრე, ე. ი. იმავე დაუვიწყარ 1905 წელს და აგრეთვე სულ სხვა ნიადაგზე. და თუ ამას დღეს ბ-ნი გომართელი არ იხსენიებს, ეს მას გულმავიწყობით როდი მოსდის. მან კარგათ იცის, რომ ამ ხუთი წლის წინეთ მის მიერ ჩადენილი ცოდვა სრულებით არაფერია იმ დანაშაულთან, იმ ღალატთან, რომელიც მან ჩაიდინა თვით 1905 წელში, აი რისთვის აფარებს იგი ხელს ამ ფაქტს. ახლა ვიკითხოთ, თუ რა ნიადაგზე მოხდა ბ-ნ გომართლის ჩამოშორება ჩვენს ბანაკისაგან და ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტიურ მხარეს, რაც შეიძლება მოკლეთ.

თავის „პირველ წერილში" („მოგზაური", №16) ბ-ნი გომართელი აღნიშნავდა გლეხის დაჩაგრულ მდგომარეობას როგორც წარსულში, ისე აწმყოში და იმავე დროს უთითებდა მის მჩაგვრელებზე, მის მტარვალებზე; არავისთვის საეჭვო არ იყო, რომ ავტორი ამ მტარვალებში და მჩაგვრელებში გულისხმობდა წინანდელ მებატონეებს და დღევანდელ თავად-აზნაურობას. ვისაც კი თეთრზე შავი ასოებით კითხვა შეეძლო, ყველამ ეს ასე გაიგო, და მკითხველი საზოგადოება მოელოდა ბ-ნ გომართლის „წერილების" გაგრძელებას. მაგრამ „მოგზაურში" იმათი ბეჭდვა შეწყდა. თუ რად მოხდა ეს ასე, ეს განმარტა თვით ბ-ნმა გომართელმა ფედერალისტების მაშინდელ ორგანოში („ცნობის ფურცელი" 1905 წ., №2820). მარტო ის ფაქტები, რომ ბ-ნი გომართელი ჩვენი მოწინააღმდეგეთა ორგანოდან გამოელაპარაკა „მოგზაურის" მკითხველებს, უკვე თავის თავათ ამბობდა, რომ მან თავის წინანდელ თანამოაზრეთ შეაფურთხა და სხვა ბანაკში გადაბარგდა. ასეთ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს თვით წერილის შინაარსი. აი რას მოგვითხრობს ბ-ნი გომართელი: „მეორე წერილი გლეხისადმი ვეღარ იბეჭდება... ამ წერილ-

ში მე ვუმტკიცებდი გლეხებს, რომ თავად-აზნაურობა არ არის დღეს მათი მტერი, არამედ მტერი სულ სხვაა და ამ საერთო მტრის დასამარცხებლათ თავად-აზნაურობა და გლეხობა უნდა შეერთდენ მეთქი... ჩემი პირველი წერილი ბევრმა ისე გაიგო, ვითომც მე გლეხობას თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ვაქეზებდი, ამ გვარი ქადაგება - მე აზრადაც არ მომსვლია... რა აზრისაც უნდა ვიყო წოდებათა ურთიერთ დამოკიდებულების ურთიერთობის შესახებ, დღევანდელ დღეს მაინც ერთ წოდებას მეორეს არ მიუსევდი, რადგან ეს იქნებოდა ჩემივე ხელით ჩვენი ხალხის ყელის გამოჭრა და ყალბ გზაზე შეყენებაო".

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი გომართელი ვერავითარი საშუალებით, ვერავითარი მანქანებით ვერ დაამტკიცებს, რომ „პირველ წერილში" მას თავად-აზნაურობა არ ყოლია მხედველობაში, როცა გლეხების მტრებზე ლაპარაკობდა. ქაღალდზე დაწერილი ცულითაც არ ამოიშლებაო—ნათქვამია, და ბ-ნ გომართლის „პირველი წერილი", როგორც ვიცით, დაბეჭდილია, მის საუბედუროთ. ერთი სიტყვით, პირველ წერილში ბ-ნი გომართელი ამტკიცებდა გლეხების ტანჯვა-წვალებას და ყვლეფას თავად-აზნაურობის მიერ, რომელიც მას გლეხების მტარვალებათ გამოყავდა. მაგრამ ირკვევა, მეორე წერილის დაწერის დროს ბ-ნ გომართელს ფრონტი შეუცვლია, იგი ახლა ამის ნაცვლათ გაიძახის, რომ გლეხი და თავადი ღვიძლი ძმებია, ისინი ერთ ტაფაში იწვიან, ერთნაირათ იტანჯებიან ერთი საერთო მტრისაგანო. წოდებრივი და კლასობრივი განხეთქილება გლეხ-კაცობასა და თავად-აზნაურობის შორის მისგან ახლა უარყოფილია და ამაზე მითითებას იგი ახლა „წ ა ქ ე ზ ე ბ ა ს" და ერთი წოდების მეორეზე „მ ი ს ე ვ ა ს" უწოდებს. აშკარაა, ასეთ შეხედულებას მარქსისტულ ორგანოში ადგილი ალარ ექნებოდა; ბ-ნ გომართლის პოზიცია უკვე სხვა იყო. იგი ღალატობდა მარქსიზმს და ისიც გაჩაღებულ მოძრაობის დროს. გომართელი დაუკავშირდა ხალხის მტრებს და როგორც ხედავთ, ძლიერ ჩქარა შეითვისა იმათი ენაც. მარქსისტების მუშაობას და პროპაგანდას ისინი ერთი წოდების მეორე წოდების წინააღმდეგ წაქეზებათ და მისევათ სახავენ და ასე მოიქცა ბ-ნი გომართელიც. მას აშკარათ დაეტყო თავად-აზნაურული სულისკვეთება და შავრაზმული მიდრეკილება. როცა ხალხის მოძრაობა ჯერ მხოლოთ თეორიაში იყო, ბ-ნი ივ. გომართელი „კვალში" თანამშრომლობდა, იმ დროს მარქსიზმის ქადაგება ბევრს ჩხირკედელაობათ მიაჩნდა, მაგრამ როგორც კი საქმე თეორიიდან პრაქტიკაში გადავიდა, მაშინ ბევრი დაფრთხა და მარქსიზმსაც სასტიკი ომი გამოუცხადეს. ამაში

მოყვა ბ-ნი გომართელიც. საკვირველია ის, რომ ბ-ნი გომართლის გარდაქმნა მეტათ მცირე ხნის განმავლობაში მოხდა. ძნელი იყო მხოლოთ პირველ ნაბიჯის გადადგმა მოლიპულ გზაზე; შემდეგი ნაბიჯების გაკეთება თავის თავად ხდებოდა.

გამოიცვალა რა პოზიცია, უღალატა რა ხალხის მოძრაობას, ბ. გომართელი შეეცადა თეორიულადაც გაემართლებია თავისი საქციელი. სწორეთ ამ მოღალატეობის გამართლებას შეიცავს მისი წერილი, სათაურით „მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი დ ა ხ ა ლ ხ ი“. რომელიც დაიბეჭდა 1905 წ. ცნობილი ფ. გოგიჩაიშვილის „ივერიაში“ (№ 145). ეს წერილი აშკარათ მოწმობს, რომ ბ. გომართელს ადვილად არ დაჯდომია ახალ პოზიციაზე გადასვლა, ე. ი. მას ერთობ ბევრი უცოდვილია თავის ღალატის გასამართლებლათ.

პირველი შეხედვით მკითხველს ეგონება, რომ ბ. გომართელი ვითომც ობიექტურად მსჯელობს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით. ეი, ყური დაუგდეთ, როგორ მსჯელობს ფერნაცვალი გომართელი: „როცა რომელიმე თავადი იცავს ან თხოულობს რამე წოდებრივ საქმეს და ამავე დროს აცხადებს: ეს საქმე წოდებრივი კი არა საერთოა,—აქ შეცდომა აშკარაა; ამგვარი პირი იცავს მხოლოდ წოდებრივ ინტერესებს როდესაც რომელიმე ბიუროკრატი იცავს ისეთ პროექტს, რომელიც ბიუროკრატიას კიდევ უფრო აძლიერებს, ამავე დროს კი ამ პროექტის დამცველი გვიმტკიცებს: ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესიო, აქ შეცდომა ყველასათვის თვალსაჩინოა. როდესაც რომელიმე ბურჟუა გადმოდგება და ამტკიცებს: ბაჟი და 12 საათის სამუშაო დღე სახელმწიფოს წარმოებისა და ერის კეთილდღეობისათვის არის საჭირო, აქაც შეცდომა ადვილი დასანახავია... ხოლო როცა რომელიმე დამცველი პროლეტარიატის ინტერესებისა გადმოდგება და ამტკიცებს: პროლეტარიატის ყოველი ინტერესი იგი ხალხის ინტერესიაო აქ ბევრი ჩ ვ ე ნ თ ა გ ა ნ ი ვ ე რ ა ვ ი თ ა რ შ ე ც დ ო მ ა ს ვ ე რ ხ ე დ ა ვ ს, თ უ მ ც ა ა ქ ა ც დ ი დ ი შ ე ც დ ო მ ა ა დ ა ი მ გ ვ ა რ ი ვ ე შ ე ც დ ო მ ა, რ ო გ ო რ ც ჩ ა მ ო თ ვ ლ ი ლ მ ა გ ა ლ ი თ ე ბ შ ი ა.“ (ხაზი ჩვენია).

ამნაირათ ბ-ნმა გომართელმა გაათანასწორა თავის სასწორ-სამართალზე ბიუროკრატიის, თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ინტერესები. პროლეტარიატის უდიდესი იდეოლოგის თვალთა-ხედვის წერტილს იგი „დიდ შეცდომათ“ აღიარებს, ყოველ შემთხვევაში ისეთ შეცდომათ, როგორც ბიუროკრატიის, თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის დამცველთა თვალთახედვის წერტილს.

ვის ატყუილებდა ამით ბ-ნი გომართელი? ვის ატყუილებდა იგი იმაში, რომ ბურჟუაზიის, თავად-აზნაურობის და პროლეტარიატის მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში ერთნაირია. როცა პროლეტარიატს თავის ინტერესები ხალხის ინტერესებათ გამოაქვს, იგი ამ შემთხვევაში ისეთსავე შეცდომას იდენს, რა შეცდომასაც იდენს ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა და ბიუროკრატია, როცა ესენი თავის კლასობრივ გინდ ჯგუფობრივ ინტერესებს ხალხის ინტერესებათ ასაღებენო! ბ-ნი გომართელი მოლიპულ გზაზე თავს ვეღარ იკავებს: იგი იმეორებს მოწინააღმდეგეების მიერ ათასჯერ გადაღეჭილ და სრულიად დაუსაბუთებელ დებულებას, რომ ვითომც „არც ერთ სახელმწიფოში პროლეტარიატი არ წარმოადგენს ერის უმრავლესობის ინტერესებსო," და შემდეგ იგი პროლეტარიატს უპირდაპირებს „ახალ" კლასს, რომელსაც „ხალხს" უწოდებს. ბ. გომართელის სიტყვით, „პროლეტარიატს აქვს ბევრი მხოლოდ საკუთარი, მხოლოდ კლასობრივი მისწრაფება ანუ ინტერესები, ბევრი ისეთი რამ განსახორციელებელი და გასაკეთებელი, რაც პირდაპირ ხალხის კეთილდღეობას არ შეეხებაო". აქვს თუ არა ამ „ხალხს" თავისი საკუთარი ე. ი. კლასობრივი ინტერესები, ამაზე ბ. გომართელი არაფერს გვეუბნება, მაგრამ აშკარაა, რომ ასეთი ინტერესები მასაც უნდა ქონდეს. რა ინტერესებს აყენებს ბ. გომართლის „ხალხი"? აშკარაა, წვრილი ან საშუალო ბურჟუაზიის. ჩვენი ავტორი ამ ბურჟუაზიის თვალთახედვის წერტილზე გადადის, მით უფრო, რომ, მსგავსათ ძველ „ივერიელთა", იგი უარყოფს ჩვენში პროლეტარიატის არსებობას. თანახმათ ამისა, იგი ზღუდავს და ამცირებს საზოგადოების მებრძოლი ნაწილის მიერ წამოყენებულ პროგრამას. იგი აცხადებს: „ჭკუა და ტაქტიკა იმაშია, რომ ისეთი საჭიროებანი წამოაყენოთ, რომელთა დაკმაყოფილებაც დღესვე არის საჭირო და ასასრულებელიო". მისი აზრი ასეთია: „მიწის სივიწროვის თავიდან აცილება და განათლების, ჯანმრთელობის და მეურნეობის რიგიან გზაზე დაყენება". მორჩა და გათავდა.

ამნაირათ ბ-ნი გომართელი მარქსიზმს ჩამოშორდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მოძრაობა თანდათან მაღლა იწევდა; მან მაშინვე უარყო პროლეტარიატის თვალთახედვის ისარი და სამაგიეროთ ბურჟუაზიას ამოუდგა გვერდში. იმავე დროს იგი ქადაგებს გლეხ-კაცობის და თავადაზნაურობის სოლიდარობას და ძმობას. გარდა ამისა იგი უარყოფს ჩვენში პროლეტარიატის არსებობას; ბოლოს ყოველივე ამას იგი აგვირგვინებს მოძრაობის დანიშნულებათა შეკვეცით და თითქმის არარაობაზე

დაყვანით. ეს იყო მისი წინანდელი პოზიციის უარისყოფა და იმ საქმის ღალატი, რომელსაც იგი წინეთ სხვებთან ერთათ ემსახურებოდა. ყველაფერი ეს სავსებით დამტკიცებულ და გამოაშკარავებულ იქნა იმავე 1905 წელს „მოგზაურში“ (იხ. № №25 და 32). ამასთანავე ამიერიდან ბ-ნი ივ. გომართლის სამოღვაწეო ასპარეზი სავსებით გამოირკვა, ამიერიდან ყველა შეგნებული მუშისთვის ნათელი უნდა ყოფილიყო ის, თუ ვისი, რომელი კლასის ან ჯგუფის ინტერესების სამსახური გაიხადა ბ-მა გომართელმა თავის მიზნათ, სამწუხაროთ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. ამის შემდეგ ჩქარა იგი არჩეულ იქნა სახელმწ. დუმაში, როგორც ს.—დ. კანდიდატი. დუმაში ხან-მოკლე მოღვაწეობის დროს მან ყველას დაუმტკიცა, რომ იგი არ იყო ამ პატივის ღირსი. შემდეგ მისი მოღვაწეობა კიდევ უფრო ნათელ ყოფს ამ გარემოებას: მას ჩვენ ვხედავთ „ცნობილ“ გუნია-ხეობელის კომპანიაში ხელიხელ ჩაკიდებულს და იგი თანამშრომლობდა თვით სახელოვან „ნიშადურში“ 44), ვგონებთ, ეს ამხანაგობა და ეს თანამშრომლობა თავის თავათაც აშკარათ ღალადებენ, თუ ვისთან გვაქვს ჩვენ სექმე. პროლეტარიატისთვის სიტყვებს და ფრაზებს მნიშვნელობა როდი აქვს; იგი აფასებს და ანგარიშს უწევს მხოლოდ საქმეს, თვით პრაქტიკას. ბ-ნ გომართელს შეუძლია დღესაც წითელი ფრაზების წამოსროლა, მაგრამ ამით მან ვერავინ უნდა მოატყვილოს, ვინაიდან ჩვენ წინაა მისი „საქმენი საგმირონი“.

(გაზ. „ფიჭრი“. 1913 წ., 2 დეკემბერი, № 5, „მ. მონიძე“-ს ფსევდონიმით).

# VI

# გაზეთი „ახალი კვალი“
# 1916 წლისა

# კადეტების მეექვსე სიეზდი.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში პეტროგრადში მოხდა კონსტიტუციონურ-დემოკრატულ პარტიის წარმომადგენელთა მეექვსე სიეზდი.

მოგეხსენებათ, რომ კადეტების პარტია ნებადაურთველია; იგი არალეგალურათ ითვლება ისე, როგორც ეს-დეკებისა და ეს-ერების პარტიები. მაგრამ ეს არის მხოლოდ ფორმალური მსგავსება, რომელიც არსებითად არაფერს არ მოასწავებს. ავიღოთ თუნდაც ეს უკანასკნელი სიეზდი. იგი მოხდა პეტროგრადში, პოლიციის დეპარტამენტის თვალწინ, და ისიც სამხედრო წესების მოქმედების დროს. სიეზდის ყველა ხელმძღვანელებს და თითქმის ყველა მის მონაწილეთ მთავრობა კარგათ იცნობს, და არც ერთი ნაბიჯი, მათ მიერ გადადგმული, მას არ გამოეპარება. და აი კადეტები ახდენენ ნებადაურთველ კრებას არალეგალური პარტიისას; მთავრობამ იცის ეს ყოველივე, და მიუხედავათ ამისა, იგი ნებას აძლევს კადეტებს შინაურულათ დაფარული კრება, სიეზდი მოახდინონ და არც ერთ მონაწილეს იგი პასუხისგებაში არ აძლევს, თუნდაც სავალდებულო წესების დარღვევისათვის. ამავე დროს არც პეტროგრადში, არც მოსკოვში და არც მრავალ სხვა ქალაქებში მუშებს ნება არ დართეს წინასწარი კრება მოეხდინათ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის მიღების საკითხის გამოსარკვევათ. ამას წინაზე ხარკოვის მუშებს ნება არ დართეს საავადმყოფო კასების წარმომადგენელთა კრება მოეწვიათ, და როცა ამის გამო სოც. დემ. ფრაქციამ შეკითხვის შეტანა გადაწყვიტა სახ. დუმაში, თვითონ ბატონ კადეტებმა მას მხარი არ დაუჭირეს, და ეს მოვლენა მათ სავსებით კანონიერათ იცნეს. ასეთი მაგალითი მრავალია. ვის არ ახსოვს ის ამბავი, რომ სახ. დუმის სოც. დემ. მუშათა ფრაქციის 6 წევრის სხდომა, თათბირის აღმოჩენისთანავე, მთავრობამ კონფერენციის სახელით მონათლა და ყველანი სამუდამოთ ციმბირში გადაასახლა. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი დეპუტატები იყვნენ და ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობდენ. ეს კიდევ არაფერი. როცა ერთი წლის შემდეგ სოც. დემ. დეპუტატების უდანაშაულობა ყველასათვის აშკარა შეიქნა, და როცა სახელმწ. დუმაში შეკითხვა შეიტანეს უკანონოთ დას-

ჯილ დეპუტატების ისევ დუმაში დაბრუნების შესახებ, შეკითხვა მოხსნილ იქნა თვით კადეტების წინადადებით.

მოგეხსენებათ, რომ კადეტების მარჯვნივ გადახრა,.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

იწყება ჯერ კიდევ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის მეორე დღესვე. მაგრამ მეტად საგრძნობელი ნაბიჯი გადადგეს იმათ მარჯვნით ვიბორგის ცნობილი მოწოდების-გამოცემის შემდეგ. აშკარათ დაგმეს მთელი თავისი წინანდელი ტაქტიკა და თანდათან გამოიმუშავეს სრულიად ზომიერი ტაქტიკა. მართალია, პროგრამა დარჩა უცვლელი, მაგრამ დღევანდელ პირობებში მთავარ როლს თამაშობს პარტიული ტაქტიკა. რაც უნდა იყოს პროგრამა, თუ ტაქტიკა არ გივარგა, იგი ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ასე მოუვიდა კადეტებსაც, რომლებიც ლიბერალურ ფრაზეოლოგიას დღემდისაც არ ივიწყებენ, მაგრამ საქმით რეაქციას ემსახურებიან. მაგრამ ბედმა ესეც არ აკმარა მათ. ომის გამოცხადებამ კადეტებს სულ აუბნია დავთარი. იმათ დაივიწყეს ყველაფერი, უკუაგდეს ყოველივე ის, რაც კიდევ შერჩენოდათ. ხელი აიღეს სარეფორმო მოქმედებაზე და თავის დროშას მემარჯვენეებთან ერთად წააწერეს: „ყველაფერი ომისთვის". მილიუკოვი [45]) და პურიშკევიჩი [46]) ერთმანეთს გადაეხვიენ. მათდა საუბედუროთ ასეთი ტაქტიკა მაშინვე გაკოტრებული იქნა. ამას ყველა აშკარათ ხედავდა. წარმოიდგინეთ, რომ სინამდვილემ თვით კადეტებზე მარჯვნივ მდგომი პარტიებიც კი გამოაფხიზლა და სერიოზულათ დააფიქრა. ე. ი. აღმოჩნდა, რომ რეფორმა შინაურ ცხოვრებაში აუცილებელი შეიქნა თვით ომის ინტერესებისათვისაც კი. ახლაც მართალი გამოდგა მხოლოდ სოც.-დემ. ფრაქციის ტაქტიკა, რომელიც გამუდმებით იმაზე მიუთითებდა, რომ რეჟიმის განახლება და ძირითადი რეფორმების მოხდენა აუცილებელია. მართალია, კადეტები ახლა დარწმუნდენ რეფორმების მოხდენაში, მაგრამ აქაც ულოლიკობა გამოიჩინეს: რეფორმამ მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა მტერზე გასამარჯვებლათ, მხოლოდ იმდენათ, რომ ხალხი შევაკავშიროთ ჯარის დასახმარებლათო. ამით კადეტებმა მოიწადინეს წინანდელი შეცდომების გასწორება. მაგრამ ამასვე თხოულობენ ეხლა მათ მარჯვნივ მდგომი პარტიებიც კი უკიდურეს მემარჯვენებამდე, გარდა პროგრესისტებისა, რომლებიც ახლა კადეტებზე შორს მიდიან რეფორმების საქმეში. როგორც ვიცით, ამ ნიადაგზე წარმოიშვა ე. წ. პროგრესიული ბლოკი. ეს ბლოკი მეტად ზომიერ რეფორმებს თხოულობს და ეს ასეც

უნდა იყოს, ვინაიდან იქ შედიან უფრო მემარჯვენე ელემენტები. პროგრესიული ბლოკის მოკლე ისტორია ნათლათ მოწმობს, რომ კადეტები სასტიკად დამარცხდენ თავის ტაქტიკაში. პირველი მათი დამარცხება გამოიხატება იმაში, რომ ისინი გაჩქარებული ნაბიჯით მიდიან მარჯვნით და თავიანთ პროგრამას და ტაქტიკას უმორჩილებენ მემარჯვენე პარტიების პროგრამას და ტაქტიკას; მეორე დამარცხებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ პროგრესიული ბლოკი თავის თავად მეტად უსიცოცხლო და აქტივობას მოკლებული გამოდგა. ხოლო როგორც ვიცით, სახ. დუმაში ბლოკის ტაქტიკა დღეს თვით კადეტების ტაქტიკაა. პარტიის სიეზდის საგანს უმთავრესად ამ ტაქტიკის დაფასება შეადგენდა. პარტიის მემარცხენე ფრთამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კადეტების დღევანდელი ტაქტიკა, რომელსაც ადგას ფრაქცია სახ. დუმაში. კრიტიკა იმ ზომამდე გამწვავდა, რომ კინაღამ რასკოლი გამოიწვია პარტიაში.

მიუხედავათ ამისა სიეზდზე გაიმარჯვეს ისევ ზომიერმა ელემენტებმა. მაგრამ ეს გამარჯვება თავის თავად კადეტების პარტიის დასამარებაა. პარტიამ არა თუ დათმო თავისი პოზიციები, არამედ არსებითად უარი სთქვა თავის საკუთარ და დამოუკიდებელ ტაქტიკის წარმოებაზე. მაგრამ ეს მარჯვნით დახრა, უკან-უკან დახევა კადეტებს თანდათან აცლის ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულ ოპოზიციის სულსაც კი. ასეთი გაუბედავი და ლაჩარი პარტია ვერ მიიზიდავს ფართო დემოკრატიის სიმპატიას და მით უმეტეს ვერ შეიქნება მისი ბელადი. •

(გაზ. „ახალი ქვალი" № 13,
1916 წ. 7 მარტის).

# სამხედრო ცენზურის კანონ-პროექტი სახელმწიფო დუმაში.

ამ ჟამათ ბევრს ლაპარაკობენ სამხედრო ცენზურის კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც ამ დღეებში სახელმწიფო დუმამ განიხილა. პროექტი ეხება მხოლოდ სამხედრო ცენზურას. მარა ვინ არ იცის, რომ მისი სახელით ცხოვრებაში ტარდება საყოველთაო პოლიტიკური ცენზურა.

როგორც ვიცით, 1914 წლის 20 ივლისს გამოცემულ იქნა დროებითი წესები სამხედრო ცენზურის შესახებ, რომლებიც ძალაში შევიდა დღიდან გამოქვეყნებისა, და მით თითქმის მოულოდნელათ განხორციელდა შავრაზმელთა გულის წადილი. სამხედრო ცენზურის შემოღების დანიშნულება თითქო იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი შეეშალა ისეთ ცნობების გამოქვეყნებისათვის პრესაში, რომლებიც ომის ინტერესებისათვის მავნებელი იქნებოდენ. მაგრამ დროებით წესების ავტორებს ომის ინტერესები ყველაზე ნაკლებ აწუხებდათ. დროებითი წესები შეიქნენ ერთნაირ საფარათ, რომ გაეუქმებიათ ის მცირეოდენი აჩრდილი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა, რომელიც რუსეთის დემოკრატიას კიდევ შერჩენოდა. ვის არ ახსოვს მაკლაკოვის ცნობილი კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელიც ომის გამოცხადების წინ კანონიერის გზით სამარეს უთხრიდა მუშათა პრესას. მაგრამ მის დაკანონებას ომმა შეუშალა ხელი, და აი კიდევაც გამოიცა დროებითი წესები სამხედრო ცენზურის დაწესებით. მაკლაკოვ-გორემიკინს უფრო ჩქარა გაულიმა ბედმა, ვინემ ისინი ამას თვითონ მოელოდენ. სამხედრო ცენზურის შემოღებით ბათ ერთი დაკვრით მოსპეს მუშათა პრესა და ამით ომმა ამ ვაჟბატონებს მეტად დიდი სამსახური გაუწია.

რა თქმა უნდა, მთელი შავრაზმული და რეაქციონური ბანაკი ამ მოვლენას ტაშის ცემით შეხვდა; მათ ძილს უფრთხობდა სიმართლის ხმა, რომელიც ყოველ ცისმარა დღეს მუშათა პრესაში ქუხდა. და აი, ეს ხმა შეწყდა და რეაქციონერებს დღესასწაული დაუდგათ. ამ ფერხულში მოყვა, პირველ ხანებში მაინც, ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესაც, რო-

მელსაც მუშათა პრესის მოსპობის გამო კრინტიც არ დაუძრავს. მართალია, სამხედრო ცენზურის პირველი სუსხი კადეტების ლეიბ-ორგანოს „რეჩსაც" მოხვდა, რომლის გამოცემა დროებით შეჩერებულ იქნა, მაგრამ კადეტების პატრიოტული აღტყინება რაღა მაქნისი იქნებოდა, თუ რომ ზემოხსენებულ ორგანოს გამოცემისთვის მეოთხე დღესვე ნება არ დაერთოთ. მაგრამ ამ საზეიმო ვაკხანალიამ და საერთო ფერხულში ბუქნაობამ დიდხანს ვეღარ გასტანა. ჩქარა გამოაშკარავდა, რომ სამხედრო ცენზურა, იმდენათ სამხედრო დანიშნულებას არ ემსახურებოდა, რამდენათაც გორემიკინ-მაკლაკოვის (გამოტოვებულია ცენზურის მიერ) პოლიტიკას საშინაო საქმეებში. მათ ომის სამსახური განზე გადადვეს და იწყეს ცირკულიარების გამოცემა, რომელთა საშუალებით სამხედრო ცენზურა გადაიქცა იარაღათ მაკლაკოვ-შჩეგლოვიტოვ -ეხომლინოვის მოქმედების გასაძლიერებლად. ერთი სიტყვით, სამხედრო ცენზურა მავნებელი გამოდგა თვით სამხედრო საქმისთვის, რომლის სამსახურისთვის იგი ქვეყანას მოევლინა.

თუ სადამდის მივიდა სამხედრო ცენზურის მოქმედება, ეს რამდენიმეთ ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ იმ ფაქტებიდან, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნენ სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან ზოგიერთ ორატორების მიერ. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სამხედრო ცენზურა არ უშვებდა პრესაში ცნობებს ქალაქ არხანგელსკის შესახებ, გადმოხვეწილებზე, უწმინდეს სინოდზე, ეპისკოპოზ ბარნაბაზე, რასპუტინს რომ თავი დავანებოთ. ერთ დროს არ შეიძლებოდა წერა პოლონეთის ავტონომიაზე, მოსკოვში მომხდარ პოგრომების შესახებ, გარდა ამისა 1915 წელს 31 მაისს მინისტრთა საბჭომ, რომელშიც ჯერ კიდევ თვითონ სუხომლინოვიც იღებდა მონაწილეობას, მთელ რუსეთში აკრძალა მსჯელობა პრესაში საკანონმდებლო დაწესებულებათა მოწვევის შესახებ და ბოლო დროს აგრეთვე მემარცხენე დეპუტატების სიტყვაც.

აი რა პოლიტიკის გატარების იარაღათ შეიქნა სამხედრო ცენზურა! რა ქონდა ომთან საერთო ეპისკოპოზ ბარნაბაზე ან უწმინდეს სინოდის შესახებ რაიმე ცნობების გამოქვეყნებას პრესაში? სრულებით არაფერი. მაგრამ ყოველივე ამას მჭიდრო კავშირი ჰქონდა იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ატარებდა ცხოვრებაში მაკლაკოვ-სუხომლინოვ-შჩეგლოვიტოვის მთავრობა გორემიკინის მეთაურობით.

როცა ამ პოლიტიკამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო სამხედრო ასპარეზზე, მხოლოდ მაშინ აყაყანდენ და ახმაურდენ ბურჟუაზიულ-ლიბე-

რალური წრეები და მოინდომეს სამხედრო ცენზურის შესახებ კანონის გამოცემა დროებით წესების მაგიერ. საკვირველია, რომ ამ ვაჟბატონებს მთელი ბოროტება მარტო დროებით წესებში გონიათ. და საკმარისია დღევანდელმა დუმამ კანონი გამოსცეს, რომ ყოველივე ეს გაქრეს.

ასე იყო თუ ისე, გასული წლის სესიის დროს დუმის კომისიამ უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი სამხედრო ცენზურის შესახებ. როგორც ვიცით, ეს პროექტი საერთოდ სახელმწიფო დუმამ კიდევაც მოიწონა ჯერ კიდევ გასული წლის სესიაშივე. ამ დღეებში კი დუმამ იგი განიხილა და მცირედი შესწორებით მიიღო. ფართო საზოგადოებას არ შეიძლება არ აინტერესებდეს შემდეგი კითხვა: რას იძლევა ეს ახალი პროექტი? რა ცვლილება შეიძლება მოახდინოს მან ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობაში? იძლევა იგი რაიმე შელავათს, თუ მდგომარეობა ისევ ძველებურათ რჩება? წინდაწინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სამი ივნისის დუმის კომისია არსებით ცვლილებას გაუმჯობესების მხრივ ვერ შეიტანდა თავის პროექტში, მაგრამ შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ დუმის კომისია ბეჭდვითი სიტყვის დევნის და შევიწროების საქმეში დროებით წესებს ველარ გაუსწრებდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, მოლოდინი გაგვიცრუვდა. აი რას სწერს, სხვათა შორის, ხსენებული კომისიის პროექტის შესახებ დინჯზე უდინჯესი და ზომიერზე უზომიერესი ლიბერალური „რუსეთის უწყებები“: „შეიძლება ვიფიქროთ,—სწერს ეს ლიბერალური გაზეთი,—რომ დუმის კომისია ადგენდა რა ამ კანონ-პროექტს „სამხედრო ცენზურის შესახებ“, არ უწყოდა რას ჩადიოდა. იგი მაკლაკოვის საკანტროლო საათების ბორკილებს ადებს მთელ რუსეთის პრესას. ასე გვეგონა, ამას იქით შორს წასვლა ალარ შეიძლებაო. მაგრამ არა,—კანონ-პროექტი კიდევ ადიდებს სასჯელს სამხედრო დადგენილებათა დარღვევისათვის. განსაკუთრებით გადიდებულია სასჯელი არდროგამოშვებით ლიტერატურის შესახებ: ციხეში ჯდომის ვადა და ჯარიმები ოთხჯერ უფრო გადიდებულია. მაგრამ ჟურნალ-გაზეთებისათვისაც დაწესებული დიდი სასჯელი კიდევ უფრო მომატებულია. კანონპროექტი მიდის დროებით წესების ავტორების შორს კონფისკაციის სისასტიკეშიაც; კონფისკაცია უნდა უყონ იმ ნაწარმოებსაც, რომლებიც მესამე პირების მფლობელობაში გადავიდენ;.

(გამოტოვებულია ცენზურის მიერ).

ეს მეტად საგულისხმიეროა. ესეც სახელმწიფო დუმის კანონ- პროექტი! იმ დუმის, რომელიც ვითომდა ხალხის სახელით ლაპარაკობს და

რომელიც სწორედ ამ კანონპროექტის შექმნის ხანაში გორემიკინის მთავრობამ გარეკა. ამის შემდეგ ბრმამაც კი უნდა დაინახოს, რომ თუ რას უნდა მოელოდეს ხალხი ასეთი დუმისაგან და რა ღირებულების უნდა იყოს იმისი დროგამოშვებითი ოპოზიცია და ლიბერალური ფრაზეოლოგია. ყოველივე ეს კარგათ ესმის ზევით დასახელებულ გაზეთის რედაქციასაც, რომელიც ამავე დუმის ხორცი-ხორცთაგანია და სისხლი სისხლთაგანი. და ისიც სამართლიანად სწუხს იმის გამო კი არა, რომ დუშის კომისიის პროექტით რუსეთის პრესის მდგომარეობა უარესდება. არამედ იმიტომ, რომ ასეთი პროექტის მიღება სახელს გაუტეხს თვით დუმასო. „რა თქმა უნდა,—ამბობს დასახელებული გაზეთი,—დღევანდელ მომენტში სახელმწიფო დუმას ოდნავაც არ შეუძლია რაიმე არსებითი ცვლილება შეიტანოს პრესის მდგომარეობაში. მაგრამ ყოველივე ზომა, მიმართული პრესის წინააღმდეგ, თუ კი ეს ზომა დუმის მიერ იქნება დადასტურებული, გაუსწორებელ ზიანს მიაყენებს ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს და უწინარეს ყოვლისა თვით დუმის პრესტიჟს".

უნდა ვაღიაროთ, რომ ბურჟუაზიულ-ლიბერალური თვალთახედვის წერტილიდან თუ გავზომავთ, გამოვა, რომ ზევით დასახელებული რედაქცია სიმართლიანათ სჯის. ეს თვალთახედვის წერტილი მდგომარეობს იმ შეხედულების განმტკიცებაში, რომ რუსეთში ამ ჟამად არსებობს ხალხი ნამდვილი წარმომადგენლობა და ეს წარმომადგენლობა სახელმწიფო დუმაა. ეს არის ილიუზია და ამ ილიუზიის გავრცელებაში დაინტერესებულია ლიბერალური ბურჟუაზია. ამიტომაც სწუხს ლიბერალური რედაქცია, რომ უვარგისი კანონპროექტის მიღება დუმას სახელს გაუფუჭებს ხალხის თვალშიო, აშკარაა, დემოკრატია ვერ დადგება ასეთ თვალთახედვის წერტილზე. იგი არ იზიარებს ბურჟუაზიის ილიუზიას სახელმწიფო დუმასა და სახალხო წარმომადგენლობაზე რუსეთში.

რაც შეეხება კერძოთ ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობას რუსეთში, ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ დღევანდელ პირობებში მისი გაუმჯობესობა ყოვლად წარმოუდგენელია, ვინაიდან ეს გაუმჯობესობა ნიშნავს ძირითად ცვლილებას მთელ სახელმწიფო წესწყობილებაში. ეს არის მხოლოდ ერთი რგოლი დემოკრატიულ რეფორმათა მთელი წყებისა. ნუ დავივიწყებთ, რომ ამას წინათ თვით შინაგან საქმეთა მინისტრი გადაჭრით ამბობდა, რომ კანონს გარეშე ადმინისტრატიული ზომები პრესის წინააღმდეგ აუცილებელი იქნება მანამ, სანამ სახელმწიფოში

არ დამყარდება ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრებაო. კარგია მხოლოდ ის, რომ მინისტრი გასაგონად ამბობს იმას, რასაც ჩადის. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ მთქმელს გამგონეც უნდა.

დუმის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას. აქედან აშკარაა, რომ დემოკრატია ვერ დაეყრდნობა ვერც სამი ივნისის დუმის დაპირებებზე და ვერც ლიბერალური ბურჟუაზიის ოპოზიციაზე.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

(გახ. „ახალი კვალი“ 7 მარტი, 1916 წ. № 13.
„მ. მონიძე“-ს ფსევდონიმით).

# კადეტების იმპერიალისტური სულის-კვეთება.

**(ბატონ პ. მილიუკოვის სიტყვის გამო საგარეო პოლიტიკის შესახებ).**

რაც დრო გადის და რამდენათაც ღღევანდელი ომი მწვავდება, იმდენათ ყველა ქვეყნის იმპერიალისტების ხალაც, სხვა ქვეყნის დაპყრობა დამონებისაკენ მიმართული, თანდათან იზრდება და უსაზღვრო ხდება. ის უთვალავი მსხვერპლი, რომელიც ღღემდის შეწირულა და ღღესაც იწირება ომის საკურთხეველზე, თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ კაპიტალისტური კლასის იდეოლოგები და ვექილები ერთხელაც არის მაინც დაფიქრებულიყვენ იმ უფსკრულის წინაშე, რომელსაც ისინი კაცობრიობას უმზადებენ. მაგრამ ამაოთ! პირიქით რამდენათაც მატულობს მსხვერპლთა რიცხვი, იმდენათ ამ ვაუბატონთ კიდევ უფრო ეხსნებათ მადა და კიდევ უფრო და უფრო მოითხოვენ სისხლს.

გადავლეთ თვალი იმპერიალისტების ორგანიზაციებს, პარლამენტებს, კრებებს, მიტინგებს, მოუსმინეთ იმათ ორატორებს, გადახედეთ ბურჟუაზიულ პრესას და თქვენ ადვილათ დარწმუნდებით ზემოთ ნათქვამის სინამდვილეში. „ომი ბოლომდის", „სრული გამარჯვება მოწინააღმდეგე მხარეზე"—გაჰკივიან ისინი ყოველგან როგორც ინგლისსა და საფრანგეთში, ისე გერმანიასა და რუსეთში—რას ნიშნავს ეს ომი ბოლომდის", ან „სრული გამარჯვება მოწინააღმდეგეზე"? როდის უნდა მოეღოს ბოლო ამ სისხლის ღვრას? ყველა ამას თითქმის სავსებით ფარდას ხდის კადეტების ცნობილი ლიდერი ბ-ნ პ. მილიუკოვის სიტყვა წარმოთქმული დუმის ტრიბუნიდან II მარტის სხდომაზე, როცა იქ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა ირჩეოდა. ნამდვილათ კი კადეტების ლიდერის სიტყვა ეხებოდა არა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას. ამ შემთხვევაში ბ-ნ მილიუკოვს მიზანში ამოეღო სოც. დემ. ფრაქციის ლიდერის კარლო ჩხეიძის [47]) სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იქნა სწორეთ ერთი თვის წინეთ, დუმის გახსნისას, როგორც პასუხი მთავრობის დეკლარაციაზე. ჩხეიძის სიტყვა, რომელიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის სულისკვეთებას ფარდას ხდის და იგი ბზის სინათლეზე გამოაქვს, როგორც მოსალოდნელი იყო, ლახვარივით

მოხვდა გულში ლიბერალურ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, როგორც იმპერიალიზმის სულის ჩამდგმელებს. სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლის გაბედულმა გამოსვლამ და მხილებამ ააალაპარაკა მთელი იმპერიალისტური ბანაკი.. ბურჟუაზიულ- ლიბერალური პრესა ამ სახელოვანი გალაშქრების გაბათილებას ცდილობდა გურიანოვის და მანკოვის გამოსვლათა შემწეობით, რომლებმაც სოციალ-დემოკრატიის პოზიციას ულალატეს. მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო და არის, რომ ასეთ საშუალებით შეუძლებელი იყო იმ პოზიციის შერყევა, რომელზედაც ეყრდნობა ამ შემთხვევაში საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია.

და აი, ბ-ნი მილიუკოვი ერთი თვის შემდეგ კვლავ უბრუნდება სოციალ დემოკრატ ჩხეიძის სიტყვას, რათა ერთხელ კიდევ სცადოს მისი გაბათილება იმპერიალიზმის სადღერგძელოთ. მაგრამ, მეორე მხრით, დემოკრატიას არ შეუძლია ამ შემთხვევაში მადლი არ გადაუხადოს კადეტების ლიდერს იმ გულახდილობისათვის, რომელსაც იგი აქ იჩენს. ეს იმიტომ, რომ მილიუკოვის სიტყვა ფარდას ხდის არა მარტო კადეტების, არამედ მთელი ლიბერალური ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სულის-კვეთებას. იმპერიალისტური ბურჟუაზიის ერთად-ერთი მოწინააღმდეგეარის დღეს საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

პროლეტარიატის ასეთი პოზიცია, როგორც გარკვეული იყო ჩხეიძის სიტყვაში, სულ უფრო და უფრო მტკიცე ნიადაგს პოულობს განსაკუთრებით ავსტრიასა და გერმანიაში. მაგრამ ასეთი პოზიცია ფეხს იკიდებს აგრეთვე ინგლისელ პროლეტარიატში და რამდენიმეთ საფრანგეთის მუშათა კლასშიაც. რაც შეეხება იტალიის პროლეტარიატს, უნდა ვსთქვათ, რომ იქაური სოციალისტური პარტია გარდა რეფორმისტებისა, თავიდანვე ამავე პოზიციაზე იდგა. ის გარემოება, რომ ანტი-მილიტარისტული მიმართულება თანდათან იმარჯვებს ავსტრო-გერმანიის მუშათა კლასში, თითქო ხელსაყრელიც უნდა ყოფილიყო.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

გუჩკოვ-მილიუკოვებისთვის, ვინაიდან ეს გაუადვილებდა ამ უკანასკელთ თავიანთ იმპერიალისტური გეგმის განხორციელებას სავსებით. მაგრამ მილიუკოვმა კარგათ იცის, რომ დაბოლოს პროლეტარიატის ტაქტიკა საერთაშორისო ხასიათს ღებულობს,.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

იგი წარბშეუხრელად გაიძახის, რომ დღევანდელი ომი გამოიწვია გერმა-

ნიის ხალხმა და არა მთავრობამ, იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ. და ამიტომ, მისი აზრით, ომში ყველგან ხალხი თავის სურვილით ჩაება და არ სურს ხელი აიღოს იარაღზე, სანამ მოწინააღმდეგე ხალხს არ მოსპობსო. (გამოტოვებულია ცენზორის მიერ)

უნდა ვაღიაროთ, რომ მილიუკოვი როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის სულის ჩამდგმელი მართლად მსჯელობს, ვინაიდან საანექსიო პოლიტიკის საწარმოებლად რუსეთის რორბახებს სწორედ დღეს დაუდგათ შეტად სანეტარო დღე. დარდანელის სრუტის შემოერთება სტამბოლი-თურთ, შემოერთება მცირე-აზიის და სპარსეთის დიდი ნაწილის შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ დღეს, როცა რუსეთის იმპერიალისტების ძლიერი მეტოქეები, ე. ი. ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის და იტალიის იმპერიალისტები რუსეთის იმპერიალისტებთან ერთად შეკავშირებული არიან გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ საომქმედოთ. ან დღეს, ან არასოდესო,—ასე აყენებენ დარდანელის შემოერთებით საკითხს. რუსეთის რორბახები-მილიუკოვ-ბობრინსკები. „დღეს ჩვენ ვსწყვეტავთ ამ საკითხს, (ესე იგი საკითხს დარდანელის შესახებ),—გვეუბნება მილიუკოვი,—ისეთ ხელსაყრელ პირობებში, რომლებიც შეიძლება არასოდეს. არ განმეორდენ. უმთავრესი ამ პირობათაგანი არის ბერლინ-ბაღდადის საფრთხე ჩვენ მოკავშირეებისათვისო“.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

ყველა ამის შემდეგ ჩვენი იმპერიალისტები ბ-ნ მილიუკოვის პირით გაიძახიან: „ომი მართლა ახორციელებს უდიდეს ლოზუნგებს, უდიდეს პრინციპებს. და ნუ თუ, ბატონებო, ჩვენ ყოველივე ეს დავკარგეთო?“ ამაზე ჩვენ ის უნდა ვუპასუხოთ, რომ დაკარგვა შეიძლება იმის, რაც ადამიანს ოდესმე ქონია. და როდის იყო, რომ რუსეთის ლიბერალები დიადი, საკაცობრიო იდეებისთვის იბრძოდენ? როდის იყო, რომ იმათ გაბედული ნაბიჯი გადაედგათ წინ ელემენტარულ უფლებების მოსაპოებლათ. პირიქით, ისინი მუდამ ღალატობდენ და ხელს უშლიდენ იმათ, ვინც ამისთვის იბრძოდა და იბრძვის დღესაც. ყოველ შემთხვევაში დღეს ერთი რამ აშკარა უნდა იყოს, სახელდობრ ის, რომ ბ. ბ. კადეტები შინ საერთო საქმის მოღალატენი გამოდგენ, სამაგიეროთ თანამედროვე ომი გვიმტკიცებს, რომ იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებაში ისინი თავის ადგილზე არიან, რომ მართალია, მათ გერმანელი იმპერიალისტების ძალა და განმავლობა არა აქვთ, მაგრამ იმპერიალისტური სულისკვეთება უკვე საკმარისად აქვთ განვითარებული. და აი, ჩვენ ვხე-

დავთ, რომ ომის გამოცხადებისთანვე იმპერიალიზმის გულისთვის კადეტებმა არსებითად ხელი აიღეს ყოველგვარ ოპოზიციაზე, განზე გადადვეს თავისი პარტიული პროგრამა, შეუთანხმდენ მემარჯვენე პარტიებს და გვერდში ამოუდგენ მაკლაკოვების და ბობრინსკების.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

ყოველივე, თუ რამ გაჩნდათ, დავიწყებულ იქნა იმპერიალიზმის სახელით; მაგრამ არასოდეს აქამდის კადეტების იმპერიალისტური სულისკვეთება არ გამოაშკარავებულა ისეთი სიძლიერით, როგორც ეს გამოაშკარავდა პ. მილიუკოვის ზეგით დასახელებულ სიტყვაში.

გაზ. „ახალი კვალი", 28 მარტი, 1916 წ. № 16,
„მ. მონიძის" ფსევდონიმით.

# ამხ. ზაქარია ჩოდრიშვილის ხსოვნას.

მეტად გულსაკლავი ამბავი გვამცნო „თანამედროვე აზრის“ [48]) სამგლოვიარო განცხადებამ. მეტად მარტივი და იმავე დროს მეტად გულის ამღვრეევია ეს განცხადება. იგი გვეუბნება, რომ ამ თვის 4-ს ქალაქ ნიკოლაევის საკატორლო ციხის... (გამოტოვებულია ცენზორის მიერ)... საკანში მრავალტანჯული სული განუტევებია ზაქარია ჩოდრიშვილს.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

განსვენებული ზაქარია ჩოდრიშვილი კავკასიის მუშათა წრეებში მეტად ცნობილი პიროვნებაა. იგი ეკუთვნოდა მოწინავე მუშების იმ მცირე რიცხოვან ჯგუფს, სულ რალაც 4-5 პირისაგან შემდგარს, რომელმაც 1896-7 წლებში მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ჩვენს მუშებში მარქსისტულ მოძრაობას. იგი შეიქმნა ამ მოძრაობის ერთი პიონერთაგანი. მე ახლა არ ესწერ მის ბიოგრაფიას, არც მაქვს ახლა ამისთვის საჭირო მასალები. ჩემს მოკლე შენიშვნას ამ ჟამად მხოლოდ მოგონების ხასიათი აქვს. ზაქარია ჩოდრიშვილი ქიზიყელი გლეხის შვილი იყო, მაგრამ პატარაობიდანვე იგი ტფილისში მოხდა. ჯერ მუშაობდა ცნობილ არაქან ერთად წვრილ სახელოსნოში, ხოლო გასული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლებში ჩვენ მას ვხედავთ ტფილისის რკინის გზის სახელოსნოებში,

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

ზაქრო იმ თავითვე შეეჯახა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დუხჭირ პირობებს, მაგრამ ამ შეტაკებიდან იგი როგორც ამაყი და მეტად მტკიცე ხასიათის მქონებელი ადამიანი გამარჯვებული გამოვიდა, იგი კარგათ გრძნობდა არსებულ უსამართლობას, კარგათ ხედავდა მუშა-ხალხის გასაჭირს, მის დაბეჩავებას და დამცირებას. მან მიზნათ დაისახა გამკლავებოდა ყველა ამას, შებრძოლებოდა უსამართლობას.

მაგრამ როგორ, რა საშვალებით. იგი კარგათ ხედავდა, რომ მის წინაშე იდგა ბნელი, დაქსაქსული და შეუგნებელი მასა. მეორე მხრით ის თავის თავშიაც ვერ გრძნობდა იმ ძალას, რომელსაც ეს მასა მოძრაობაში მოეყვანა და ერთი მიზნისაკენ მიემართა.

ამ დროს ჩნდება ჩვენში მარქსისტების პატარა ჯგუფი. ზაქროც აქეთკენ აპყრობს მთელ თავის ყურადღებას, და როგორც ვამბობდი ზევით, 1896-7 წლებში არსდება მუშათა პატარა ჯგუფი, რომელშიაც შედის იგიც, როგორც ერთი მოთავეთაგანი. ეს არის სათავე, აქედან იწყება მუშათა მოძრაობის ისტორია ჩვენში.

ჩვენთვის დღეს ძნელი წარმოსადგენია ის დაუშრეტელი ენერგია, ის მუყაითობა, რომელიც გამოიჩინა ამ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მარქსიზმის გავრცელებაში,... (გამოტოვებულია ცენზორის მიერ)... ესენი იყვენ ნამდვილი მოციქულები მოწამებრივი აღფრთოვანებით აღტურვილი. იმათთვის არ არსებობდა პირადი „მე", არ არსებობდა პირადი ბედნიერება. თავისი „მე" იმათ გაეერთიანებიათ მუშათა კლასთან. თავისი პირადი ბედნიერება შეეწირათ საერთო ბედნიერებისათვის.

ასეთმა თავგანწირულმა მუშაობამ ჩქარა გამოიღო ნაყოფი: არ გაუვლია 3-4 წელს, რომ გაშტერებული ოფიციალური საზოგადოების წინაშე უეცრად თავი წამოყო სრულიად ახალმა მოძრაობამ, რომლის ერთი ღირსეული ბელადთაგანი ამხ. ჩოდრიშვილი იყო. ამაყი, შეუდრეკელი, იგი ჩადგა პირველ რიგში. ეს იყო პირველი გამოსვლა და იგი საისტორიო შეიქნა:

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ). 1905 წელს იგი ისევ ტფილისში ბრუნდება.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

ეს კლდესავით ადამიანი, თითქო წელში მოხრილიყო რამდენიმეთ, მაგრამ სულიერათ ტანჯვას მისთვის ვერა დაეკლო რა. მისი ნაზი და დაფიქრებული სახის გამომეტყველება, მისი ცეცხლის მფრქვევი შავი თვალები თითქო გვეუბნებოდენ, რომ ამ ადამიანში ჯერ კიდევ დიდი ენერგია იჯახებოდა.

და მართლაც, ზაქრო ისევ თავდავიწყებით მიეცა ჩვეულებრივ მუშაობას, რომელიც იმ ხანებში საჭირო შეიქნა. მეტად მძიმე და აუტანელ პირობებში სწარმოებდა ახლა ეს მუშაობა. ეს იყო არა მარტო მოძრაობის გარეგანი დამარცხების, არამედ მისი განცდის ხანა. ბევრი მუშა კი შეიწირა მან სამსხვერპლოდ. ბევრმა ვერ გაუძლო სუსხს და განზე გადგა. ბევრმა ულალატა თავის წმინდა დროშას. მეტად მწარე და საგრძნობელი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს ისეთი მუშაკისათვის, რომელმაც განიცადა თითქმის მოწამებრივი აღფრთოვანება თავის ტოლ-ამხანაგებისა მოძრაობის პირველ საფეხურზე. მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა,

ზაქრო ჩოდრიშვილი ამ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ისე ეწეოდა თავის საქმეს, როგორც ახალგაზრდობის დროს. იგი ერთხელაც არ შედრეკილა და არ მოუხრია ქედი. და შესაფერი „ჯილდოც" დაიმსახურა.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

მართალია, ზაქრო ჩოდრიშვილის სხეული მოკვდა და აღარ არის, მაგრამ.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ)

მუშათა კლასი ვერ დაივიწყებს იმ ადამიანს, რომელიც სავსებით მას ეკუთვნოდა, რომელმაც მის კეთილდღეობას ანაცვალა მთელი თავისი სიცოცხლე.

მშვიდობით დაუვიწყარო ზაქრო! საუკუნოთ იქნება შენი ხსენება.

(ბეჭ. „ახალი კვალი" 1916 წ. 25 აპრილი, № 20.
ეჭ-ის ფსევდონიმით).

# საერთო ინტერესები და შეთანხმება.

ეს ერთი ხანია ქართველმა ფედერალისტებმა კვლავ გაიხსენეს ძველი ზღაპარი საერთო ნიადაგის ძიების და შეთანხმებული მოქმედების შესახებ, არჩილ ჯორჯაძის მიერ ნაანდერძევი.

ვინც ჩვენ პრესას თვალ-ყურს ადევნებს, იგი ადვილად შეამჩნევდა, რომ ჩვენი გაზეთების ერთი ნაწილი—„სახალხო ფურცელი", „მეგობარი" [49]) და „ზვირთი" [50])—ერთხმად გაიძახის, რომ თანამედროვე ომმა გამოააშკარავა მარქსიზმის სრული გაკოტრება, მუშათა ინტერნაციონალის უნიადაგობა, კლასობრივი ბრძოლის (და განხეთქილების) ძალზე შესუსტება და სამაგიეროდ კლასთა შორის სოლიდარული მოქმედების გაძლიერება და ზრდაო. აქედან საერთაშორისო პროლეტარული სოციალიზმის დამარცხება და სამაგიეროდ ეროვნული სოციალიზმის სრული გამარჯვება. ასეთია ჩვენი ფედერალისტების მსჯელობა. იმათი წარმოდგენით მართალია, ერში არსებობს კლასებათ დაყოფა და კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ყველა ამას მეორე და მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, თავი და თავი აქ საერთო ეროვნული ინტერესებია ანუ ის, რასაც ერის მთლიანობის დაცვა ეწოდება. თუ ასეთ მსჯელობას ვსცნობთ, მაშინ ისიც უნდა ვიცნოთ, რომ საერთო ინტერესების დასაცავათ უნდა იყოს ისეთი პარტია, რომელიც არც ერთ კერძო კლასის ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდეს, პირიქით, ერის საერთო ინტერესებს უნდა იცავდეს. ჯორჯაძეს [50]) მართლაც გამოყავდა ასეთი დასკვნა და იგი კიდევაც შეუდგა ასეთი საერთო პარტიის პროგრამის გამომუშავებას. ეს იყო 1901 წელს, მხოლოდ დაახლოვებით 10 წლის შემდეგ ბ-ნი ჯორჯაძე იძულებული შეიქნა განემარტებია შემდეგი: „ვიღებდი რა მხედველობაში პოლიტიკურად უნუგეშო მდგომარეობას, ძ ებ ნ ა დ ა ვ უ წ ყ ე ს ა ე რ თ ო მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ს, მაგრამ უნდა აღვიარო დღეს, რ ო ს ჩ ე მ ი ა მ გ ვ ა რ ი მ ო წ ო დ ე ბ ა ს რ უ ლ ი ა დ და ს ა ვ ს ე ბ ი თ ი ყ ო დ ა მ ა რ ც ხ ე ბ უ ლ ი ი მ ხ ა ნ ე ბ შ ი." *) ეს მეტად გულ-

*) იხ. არჩილ ჯორჯაძის თხზულებები ტ. მე-4-ე, წინასიტყვაობა, გვერდი 1—2.

ახდილი და საგულისხმიერო აღსარებაა. მაგრამ იგივე ავტორი ქვევით განაგრძობს ასე: „კონსტიტუციონური“ რეჟიმის დამყარებასთან ხელმეორედ წარმოსდგება და იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროებაო“. რითი ფიქრობდა ჩატეხილი ხიდის გამრთელებას ბ-ნი ჯორჯაძე? „ახლაც ვამბობთ, სწერდა იგი ერთ თავის მერმინდელ ნაწერში, რომ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი იმიტომ არ გამოდგება პრაქტიკულ მოქმედებისათვის, რომ ჩვენში ყველა წოდებანი და კლასები ერთნაირათ არიან დაინტერესებულნი თვითმართველობის, ერობის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით; ერთნაირათ არიან აგრეთვე დაინტერესებულნი, რომ ქართველი ერის ტერიტორია მასვე დარჩეს და ქართული ენა არ გადაგვარდეს. ყველა ეს სწორედ ის ხიდია, რომელიც ჩვენ წოდებათა და კლასთა შორის არის გადებულიო“ *).

ამნაირათ, ავტორის მსჯელობით წმინდა კლასობრივი ბრძოლის პრინციპი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის გამოუსადეგარი ყოფილა და ეს იმიტომ, რომ ჩვენში თურმე ყველა წოდებანი და კლასები თითქ ე რ თ ნ ა ი რ ა დ იყვნენ დაინტერესებულნი თვითმართველობის, ერობის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით, ტერიტორიის და ქართული ენის შენარჩუნებით. ამის თქმა მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ როგორ შორს იდგა ბ-ნი ჯორჯაძე ნამდვილ ცხოვრებასთან. თუ დასახელებულ საკითხების გადაწყვეტის დროს ჩვენ უარვყოფთ კლასობრივი ბრძოლის პრინციპს, მაშინ ჩვენ მივიღებთ ისეთ თვითმართველობას და ერობას, რომლებიც სასარგებლო იქნება გაბატონებულ და მბრძანებელ კლასებისათვის და სრულებით გამოუსადეგარი და მავნებელი ერის უმრავლესობის ანუ დემოკრატიისათვის. ასევე ითქმის ტერიტორიის, ე. ი. მიწა-წყლის შესახებაც.

დემოკრატიისათვის სულ ერთი არაა ვის ხელში იქნება მიწა-წყალი; თვით მწარმოებელის, ე. ი. მწარმოებელი ხალხის, თუ იგი ისევ ქართველ თავად-აზნაურობას ან ქართველ მრეწველ ვაჭართა კლასს შერჩება მშრომელთა საყვლეფათ.

ვინც ამბობს, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტის დროს კლასობრივი ბრძოლის პრინციპით ხელმძღვანელობა არ გამოადგებაო, იგი იცავს დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ ერთი მუჭა მუქთახორათა ინტერესებს.

*) იქვე ს. 203.

რაც შეეხება ქართულ ენას, აქაც ერის უმრავლესობა, დემოკრატია, ერთი მხრით და მისი უმცირესობა ანუ გაბატონებული კლასები, მეორე მხრით, სულ სხვა და სხვანაირად არიან დაინტერესებული. მაშინ, როცა ერის დემოკრატიული ნაწილი მთელი თავის არსებით დაინტერესებულია ქართული ენის წარმატებაში და ქართული ლიტერატურის ზრდა-განვითარებაში, მაღალი წოდებანი და კლასები უამისოდაც იოლათ წავლენ, რასაც ჩვენ სინამდვილეში აშკარათ ვხედავთ. სადა აქვს გასავალი ქართულ წიგნებს, ვინ უფრო ეტანება ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ვინ უფროა დაინტერესებული ქართული თეატრის აღორძინებაში, ქართულ ლექციებში? საკმარისია მხოლოდ დავსვათ ეს კითხვები, რომ შემდეგი პასუხი მივიღოთ: განსაკუთრებით ერის დემოკრატიული ნაწილი. მაგრამ ეს დემოკრატიული ნაწილი ხომ ერის დიდ უმრავლესობას შეადგენს. მაშასადამე, დემოკრატიის ინტერესების დაცვა ერის დიდ უმრავლესობის სამსახურია, ის არსებითად მთელი ერის ინტერესების დაცვას შეიცავს. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა კლასობრივ ბრძოლას არ ვაფუჩეჩებთ, არამედ მას ვაღრმავებთ და ვაფართოვებთ. კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩება და მიჩქმალვა, როგორც ამას ბ-ნი ჯორჯაძე გვირჩევდა, საერთო ეროვნულ ინტერესების სამსახური კი არ იქნებოდა, არამედ ყველა ანტი-დემოკრატიული ჯგუფების ინტერესების სამსახური დემოკრატიის წინააღმდეგ. კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვაში და დავიწყებაში, ერთი მხრით, და საერთო მოქმედების ნიადაგის ძიებაში და მოწინააღმდეგე პარტიების შეერთებაში, მეორე მხრით, დაინტერესებულია მხოლოდ თავად-აზნაურული ინტელიგენცია და ყველა ის ანტი-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებსაც ეს ინტელიგენცია თავს უყრის და რომელთა მებაირახტრეთ იგი გამოდის.

მეტად საინტერესო და საგულისხმიერია ის გარემოება, რომ წინადადებით კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩების და მიჩქმალვის შესახებ, ერთი მხრით, და საერთო მოქმედებაზე მეორე მხრით ჩვენში გამოდიან ყოველთვის სწორეთ თავად- აზნაურული, ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ე. ი. ისინი, ვინც თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ანტი-დემოკრატიული ელემენტები და ვინც თავის თავს ფედერალისტს უწოდებენ. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვა სწორედ ანტი-დემოკრატიული ელემენტებისთვის არის ხელსაყრელი. ჩვენი პოზიცია კი გარკვეული და აშკარაა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩება, კლასობრივ საზოგადო-

ებაში დემოკრატიის ინტერესების ღალატია; რაც შეეხება საერთო მოქ-მედების ნიადაგის ძიებას, ეს მარტოოდენ ფუჭი ოცნებაა, რაშიაც ერთ დროს თვით ამ „ნიადაგის“ პირველი მოტრფიალე, ე. ი. ბ-ნი არჩილ ჯორჯაძეც კი დარწმუნდა.

მიუხედავათ ამისა ფედერალისტები დღესაც გამომდგარან და გვე-უბნებიან: ამ ჟამად საერთო განსაცდელი გვადგას თავზე, ამიტომ დავი-ვიწყოთ კლასობრივი ბრძოლა, ყველა ჯგუფები, ყველა კლასები შე-ვერთდეთ და ერის საერთო ინტერესები დავიცვათო. და მაგალითისთვის მიგვითითებენ მეომარ ქვეყნებზე. იქ ყოველგან „სამღვთო ზავი ჩამო-ვარდა, შინაური განხეთქილება დროებით მოისპო“, „მუშათა მოძრაო-ბა გაქრა“, ძალები გაერთიანდენო. („ჩვენი მეგობარი“ № 13. გრიგოლ გველესიანის [52]) წერილი).

„დღეს ყველა ქვეყნის სოციალისტი, გაიძახის მეორე, აღიარებს, რომ ჯერ სამშობლო დავიცვათ და მერე კლასებზე ვიზრუნოთო... თუმ-ცა ერი დაყოფილია კლასებათ, მაგრამ მაინც რჩება სოციალურ ორგა-ნიზმათო“ (იხ. „ჩვენი მეგობარი“ № 10).

ყოველივე ეს ლათაიები და მარტო სიტყვებია. უკეთეს შემთხვევა-ში, ეს განყენებული მსჯელობაა. მართალია მხოლოდ ერთი რამ, სახელ-დობრ ის, რომ ომმა დროებით რამდენიმეთ შეაფერხა მუშათა მოძრაო-ბა, რამდენიმეთ ხელი შეუწყო კლასობრივი ბრძოლის სიმწვავის შესუს-ტებას და ესეც მხოლოდ პირველ ხანებში. და აი დღეს, როცა მუშათა მოძრაობა თანდათან ისევ თავის კალაპოტში დგება, როცა კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე ყოველგან სულ უფრო და უფრო ძლიერდება იმავე ომის წყალობით, როცა ცხოვრების გაძვირება ვაჭარ-მრეწველთა კლა-სის ოინების წყალობით საშიშარ სახეს ღებულობს, ჩვენ ზღაპრებს გვი-კითხავენ რალაც შინაურ ზავზე, კლასების გაერთიანებაზე. ეს უნდა იყოს ან სრული უვიცობის და გონებრივი სიკოტრის ნაყოფი, ან ნამდვილი იეზუიტობა და ფარისევლობა. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს უკანასკნელი უფრო მართალი უნდა იყოს.

და მერე იცით თუ რას გულისხმობენ ჩვენი „ეროვნული სოციალი-სტები“ შეთანხმებაში. იმას, რომ ჩვენ თავისი პროგრამა უკუ ვაგდოთ, კლასობრივი ბრძოლის პრინციპი უარვყოთ და ფედერალისტების უპრინ-ციპობა და აბდა-უბდა გავიზიაროთ. იმათ კარგათ უწყიან, რომ ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, ვინაიდან ეს ნამდვილი პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნე-ბოდა. მიუხედავათ ამისა ისინი მაინც განაგრძობენ ლაპარაკს საერთო ინ-

ტერესებზე და შეთანხმებაზე და იმავე დროს კი ყველგან, სადაც კი უმრავლესობას შეადგენენ, თავის ვიწრო ჯგუფურ ანუ პარტიულ პოლიტიკას აწარმოებენ. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ აქ ის განგაში, რომელიც წერა-კითხვის მთავარმა გამგეობამ ასტეხა ნოე ჟორდანიას ბროშიურის გამოცემის გამო. სხვა ფაქტებს ჩვენ აქ არ გამოუდგებით. ამას შემდეგ იმით კიდევ შეუძლიათ შეთანხმებაზე ლაპარაკი!

დასასრულ ფედერალისტებს უნდა მოვახსენოთ, აი რა: დროებით შეთანხმებას, პროგრესიულ და დემოკრატიულ პარტიასთან, განსაკუთრებულ პირობებში პრინციპიალურათ ჩვენ ეუარს არ ვყოფთ. ასეთი შეთანხმება შესაძლებელია ტაქტიკური მოსაზრებით, რომელიმე პოლიტიკური მოსაზრებით, რომელიმე პოლიტიკური გამოსვლის დროს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მაგრამ ეს არ ნიშნავს არც საკუთარი პროგრამის უკუ გდებას და არც კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვას.

მეორე მხრით, ასეთი შეთანხმებაც შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პარტიასთან, რომელსაც გარკვეული სახე აქვს, რომლის სიტყვა და სახე ერთი-ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. რას წარმოადგენს ამ მხრით ფედერალისტების პარტია? უწინარეს ყოვლისა ეს არის წაჯექ-უკუჯექობის პარტია, რომელიც ლაპარაკობს ერთსა და იმავე დროს აკეთებს სულ სხვას. ეს არის პარტია, რომელიც დღეს სიტყვით დემოკრატიას ესარჩლება და გულში შავრაზმელებს შეეკრა ზავით იმავე დემოკრატიის დასამარცხებლად. გუშინ სიტყვით ხალხის ინტერესებს იცავდა, ხოლო დღეს საქმით რეაქციონურ ერობას უჭერს მხარს. და ამას ჩადის იგი საქვეყნოდ აშკარად. ასეთ პარტიასთან დროებითი შეთანხმებაც კი შეუძლებელია.

(გაზ. „ახალი კვალი" 1916 წ. 9 მაისი, № 22, „მ. მონიძე"-ს ფსევდონიმით)

# VII

# გაზეთი „თანამედროვე აზრი“

# 1916 და 1917 წ. წ.

# ბ-ნ გ. მაიაშვილის „ახალი“ აღმოჩენა.

ქუთათურ გაზეთის „ჩვ. მეგობრის“ № 41-ში ბ-ნ გ. მაიაშვილის[53]) ვრცელი წერილია მოთავსებული სათაურით: „ს ხ ვ ი ლ თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა ურ თ ა ი დ ე ო ლ ო გ ი ა“, რომელშიაც ავტორი ეხება თავ. ან. ერისთავის ახალ ბროშიურას რუსულ ენაზე. ამ ბროშიურის განხილვიდან ჩვენ ავტორს ის დასკვნა გამოყავს, რომ ხსენებული თავადი შავრაზმელი მემამულე ყოფილა, რომელიც ბეჯითად იცავს თავისი წოდების ინტერესებსო. ბ-ნ მაიაშვილს გონია, რომ მან ამერიკა აღმოაჩინა! ვისაც ჩვენი პრესისათვის თვალი უდევნებია ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იმას არ გამოეპარებოდა თავ. ერისთავის როლი სახელმწიფო საბჭოში; იმას კარგად ეცოდინება, თუ ვის, ან რას ესარჩლებოდა და ესარჩლება ქართველი თავად-აზნაურობის ეს ერთად ერთი წარმომადგენელი ხსენებულ დაწესებულებაში. ხსენებული თავადის ბროშიურაში ამ მხრივ ახალი და გასაკვირალი სრულებით არაფერია, მაგრამ თუ ხსენებული ბროშიურა არაფერს იძლევა გასაკვირალს, ეს არ შეიძლება ითქვას ბ-ნ მაიაშვილის წერილის შესახებ. ბ-ნი მაიაშვილი თავის წერილს ათავებს შემდეგი კატეგორიული განცხადებით: „ჩ ვ ე ნ ა რ ვ ე თ ა ნ ხ მ ე-ბ ი თ ა რ ც ე რ თ დ ე ბ ულ ებ ას მ ი ს ი (ე რ ი ს თ ა ვ ი ს) წ ი გ ნ ი-ს ა ს, ა რ ვ ი ზ ი ა რ ე ბ თ ა რ ც ე რ თ ს მ ი ს მ ო ს ა ზ რ ე ბ ა ს ო“ (ხაზი ჩვენია). სწორედ გასაცარი ამბავია! თავ. ან. ერისთავი უკიდურესი მემარჯვენეა, იგი წინააღმდეგია ყოველგვარი ცვლილების დღევანდელ დახავსებულ წესწყობილებაში; ამასთანავე იგი სხვილი თავად-აზნაურობის წარმომადგენელია და როგორც ასეთი, ერთგული დამცველი და მოსარჩლე სხვილი თავად-აზნაურული მიწათ-მფლობელობისა. და აი, ის, ვისაც თავისი თავი დემოკრატთ მოაქვს და თითქოს სოციალისტობასაც კი ჩეშულობს, ის, ვინც თითქო მშრომელი ხალხის მოსარჩლედ გამოდის, გამოსულა და გვეფიცება, რომ ის შავრაზმელი მემამულის აზრს არ იზიარებს, რომ იგი უკიდურეს რეაქციონერს მხარს არ უჭერს! ეს ხომ პირდაპირ აბსურდია? რას იტყოდით, მაგ., რომ რომელიმე სოც.-დემოკრატმა

განაცხადოს: მე კაპიტალისტების ინტერესებს არ ვიცავ და არც იმათ იდეოლოგიას ვიზიარებო? ბ-ნ მაიაშვილის განცხადებასაც სწორედ ასეთი ხასიათი აქვს.

მაშ, რაშია საქმე? ბ-ნი მაიაშვილი არც თუ ისე გამოუცდელი პუბლიცისტია, რომ უმიზეზოთ ასეთი აბსურდი წარმოსთქვას. აქ მაგონდება ერთი ქართული ანდაზა: პირი რათ გეწვის, თუ პინპილი არ გიჭამიაო. ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი მაიაშვილი, რაც ძალი და ღონე აქვს, იმიჯნება თავ. ანდრია ერისთავისაგან, როგორც სხვილი თავად-აზნაურული მიწათ-მფლობელობის დამცველისაგან. იგი გვეფიცება, რომ მას არაფერი აქვს საერთო მიწათმფლობელთა კლასის ასეთ გამოსარჩლებასთან! აი სწორეთ აქ მარხია ძაღლის თავი. თავ. ერისთავი თავის წიგნაკში იცავს, სხვათა შორის, ქართველ თავად-აზნაურთა სხვილ მიწათმფლობელობას. ჯერ ეს დაეიმახსოვროთ კარგათ.

ბ-ნი გ. მაიაშვილი ვერ იტყვის უარს იმაზე, რომ იგი ეგრეთ წოდებულ სოც.-ფედერ. პარტიას ეკუთვნის. ვერც იმაზე იტყვის უარს, რომ ხსენებულ პარტიის წარმომადგენლათ ითვლება არ. ჯორჯაძე. ამასთანავე ბ-ნ მაიაშვილს ისიც უნდა ემახსოვრებოდეს, რომ სოც.-ფედერალისტებისათვის არა ერთხელ წაუყენებიათ მათ მოწინააღმდეგეთ, სხვათა შორის, ის ბრალდებაც, რომ ისინი (სოც.-ფედ.) თავად-აზნაურობას ესარჩლებიან და სხვილ თავად-აზნაურულ მიწათმფლობელობასაც კი იცავენო. მერე რა გვიპასუხეს ამაზე ფედერალისტებმა? ჭეშმარიტების აღსადგენათ და გამოსარკვევათ ჩვენ საჭიროთ ვთვლით მივუთითოთ აქ ბ-ნ ჯორჯაძეს ერთ წერილზე, რომელსაც სათაურათ აქვს: „ვ ი ს უ ნ დ ა დ ა რ ჩ ე ს ჩ ვ ე ნ ი მ ი წ ა?“*) მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდან: „პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ა თ იმ აზრისა ვართ—ამბობს ავტორი,—რომ მიწა, ეს საწარმოო იარაღი, მწარმოებლის, ე. ი. გლეხის ხელში უნდა გადავიდეს, მხოლოდ რადგან ეს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ა რ მ ო ხ ე რ ხ დ ე ბ ა ამჟამად, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რამდენათაც შეიძლება, გლეხ-კაცობას ვაყიდვინოთ გასაყიდი მიწა და რასაც იგი ვერ შეისყიდის, უფულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყ ო ვ ე ლ ი ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა უ ნ დ ა ვ ხ მ ა რ ო თ, რ ო მ ი გ ი (მიწა) ჩ ვ ე ნ თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ს შ ვ უ რ ჩ ი ნ ო თ“. ასეთი იყო ბ-ნ ჯორჯაძის „პრინციპი“ ერთი მხრით და „საქმე“ მეორე მხრით: ე. ი. მისი

*) არ. ჯორჯაძის ნაწერები, წიგნი მეოთხე, გვ. 47. ხაზს ავტორის სიტყვებს ყველგან ჩვენს ვუსვებთ.

პრინციპი განზე რჩებოდა და სინამდვილეში კი „ყოველი ღონის ძიების ხმარებას გვირჩევდა, რომ მიწა ჩვენს თავად-აზნაურობას შერჩესო“. ასეთ „სასარგებლო“ პრაქტიკას აი როგორ ამართლებდა ხსენებული ავტორი. თავად-აზნაურობის მიწათმფლობელობის დაცვის საჭიროება—გვეუბნება ის ამავე წერილში—გამომდინარეობს ჩვენი გლეხ-კაცობის ინტერესებიდან, რადგან ჩვენი აზნაურობის მამულ-დედული გლეხ-კაცობის და ქართველ მრეწველობის მემკვიდრეობაა და რადგან სხვის ხელში გადასვლით ამათ ეს მემკვიდრეობა სამუდამოთ დაეკარგებათ“. „ამგვარათ,—დაასკვნის ჩვენი ავტორი,—ვუპასუხებთ იმათ, ვინც ფეოდალების მიდგომილობას გვწამებსო... ასე რომ ყველა ამ მოსაზრებიდან, ის, ვინც ფეოდალობას გვისაყვედურებს, დაინახავს, რომ ჩვენი სურვილი აზნაურთა მამულის დაცვისა ტაქტიკის და არა პრინციპის კითხვაა“... (გვ. 49—50).

ამ ამონაწერებიდან მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რამდენათ მართალი ვიყავით და ვართ ჩვენ დღესაც, როცა სოც.-ფედერალისტებს ვუსაყვედურებთ, რომ ისინი თავად-აზნაურობას ესარჩლებიან და თავად-აზნაურულ მიწათმფლობელობასაც იცავენ. იმათი ბელადი ამ მფარველობას არ მალავდა და არც შეეძლო დაემალა. იგი მხოლოდ ძალდატანებით და სხვადასხვა მოსაზრებით ცდილობდა გაემართლებია ეს მფარველობა.

ამას შემდეგ რაღა ფასი უნდა ქონდეს ბ-ნ მაიაშვილის განცხადებას, რომ იგი თავად ან. ერისთავის არც ერთ მოსაზრებას არ იზიარებს, თუ კი მას ს.-ფ. მოაქვს თავი? თუ ბ-ნი მაიაშვილი არ იზიარებს თ-დ ერისთავის არც ერთ მოსაზრებას, სხვილი თავად-აზნაურული მიწათმფლობელობის შესახებ, თუ მას არ მიაჩნია საჭიროთ ამ მიწათმფლობელობის დაცვა, იმ შემთხვევაში ის არჩილ ჯორჯაძისაგანაც ისევე უნდა იმიჯნებოდეს, როგორც ის იმიჯნება თავ. ერისთავისაგან, თორემ ეს რასა გავს? ნებას ვაძლევ თავის თავს მივმართო სოც.ფედ. ბანაკს შემდეგი კითხვით: არის თუ არა სადმე თქვენ მიერ უარყოფილი ის, რაც არ. ჯორჯაძემ განაცხადა თავად-აზნაურობის მიწათმფლობელობის დაცვის შესახებ? ან შეიძლება თქვენ ფიქრობთ, რომ თავად-აზნაურობის სხვილი მიწათმფლობელობის დაცვა მშრომელი ხალხის სასარგებლოა მაშინ, როცა ამ მიწათმფლობელობას იცავს ტაქტიკური მოსაზრებით არ. ჯორჯაძე ან რომელიმე სხვა ფედერალისტი, და მავნებელი, როცა

ამასვე იცავს უკიდურესი რეაქციონერი ერისთავი? ეს მიუტოვებელი ცოდვაა. მე მესმის, რომ ბ-ნ მაიაშვილს და მის თანამოაზრეებს როგორ-ღაც ეჩოთირებათ უკიდურეს რეაქციონერთა კომპანიაში ყოფნა. კაცებს თავისი თავი დემოკრატებათ და სოციალისტებათ მოაქვთ და ან. ერის-თავთან ერთად ფეოდალურ მიწათმფლობელობას კი იცავენ. ბ-ნი მაია-შვილიც საქვეყნოთ გაიძახის: არაფერი საერთო არა გვაქვს შავრაზმულ თავად-აზნაურობასთანო; მაგრამ ამაზე ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია ვუპასუხოთ: ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო კი მაკვირვებს.

საერთოდ უნდა განვაცხადოთ, რომ კლასიური ინტერესების დაცვა თავის თავად სრულებით სათაკილო არ არის, როცა მაგ., რომელიმე თავადი, გინდ კაპიტალისტი იცავს თავის კლასის, გინდ წოდების ინტერესებს, ეს ადვილი გასაგებიცაა და აქ არც არაფერი სათაკილო რამ არ არის თვით დამცველისათვის. მაგრამ როცა ვინმე ეხვევა დემოკრატის ან სოციალისტის ტანსაცმელში და დემოკრატიის ან მშრომელი ხალხის სარგებლობის სახელით იცავს სხვილ მიწათმფლობელობას ან კაპიტალიზმს, ეს მართლაც რომ სათაკილო და დასაძრახისია. და აი ასეთ ულამაზო როლში გვევლინებიან ჩვენ ქართველი ფედერალისტები.

თუ რამდენათ ახლობელი ნათესაობა აქვთ ჩვენ სოც.-ფედერალისტებს თ-დ ან. ერისთავის მსოფლ-მხედველობასთან, ამას სხვათა შორის ამ-ტკიცებს კიდევ შემდეგი ფაქტები. თ-დი ან. ერისთავი დიდათ უკმაყოფილოა იმ გარემოებით, რომ ჩვენში გაუქმებულ იქნა დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი. არ გამოპარვია მას ისიც, რომ ეს გაუქმება სოც.დემ. ფრაქციის ზეგავლენით მოხდა. ბ-ნ მაიაშვილს, რამდენათაც მისი წერილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, ეს უკანასკნელი გარემოება არაფრათ მოსწონებია. და ეს ალბათ იმიტომ, რომ სახელმწიფო დუმაში სწორეთ სოც.-ფედერალისტების წარმომადგენელმა, თ-დმა გელოვანმა [54]) ყოველგვარი ღონე იხმარა, რომ დუმაში ხიზანთა მდგომარეობის გაუქმების კანონ-პროექტის განხილვა არ მომხდარიყო ან გადაედვათ მაინც. ჩვენ მკითხველებს კარგათ უნდა ახსოვდეს ხსენებული დეპუტატის კულისების უკან მოქმედება, რომ დასახელებული კანონ-პროექტის განხილვა ჩაფუშულიყო. როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაშიაც სოც.ფედერალისტების დეპუტატი და თ-დი ან ერისთავი აზრთა სოლიდარობას იჩენენ და ეს სრულებით შემთხვევითი ნათესაობა არ არის. ამას უფრო ღრმა ორგანიული მიზეზები აქვს და აიხსნება ერთნაირი კლასიური სულისკვეთებით.

ასეთია უტყუარი ფაქტები. და ყველა ამის შემდეგ ბ-ნ მაიაშვილს შესწევს გამბედაობა საქვეყნოთ განაცხადოს, რომ ფედერალისტებს არაფერი საერთო არ აქვთ იმ დებულებებთან, რომელთაც იცავს უკიდურესი მემარჯვენე ერისთავიო. ამის შემდეგ მკითხველი ადვილად გაიგებს, თუ ბ-ნი მაიაშვილი რისთვის იმეჯნება ასე ბეჯითად ფეოდალური თავად-აზნაურობის წარმომადგენელისაგან. მაგრამ ეს ტყუილი მეცადინეობაა: ის, რაც ორგანიულად შეკავშირებულია, სიტყვების რახარუხით არ გაითიშების.

მაგრამ ბ-ნი მაიაშვილი ისეთი „გაბედულიც“ არის, რომ უკიდურესი მემარჯვენე ერისთავი და „უკიდურესი მემარცხენე დასელები“, როგორც ის ამბობს, ერთმანეთს დაუკავშიროს და ერთ ხაზზე დააყენოს, მარტო იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი დღევანდელ პირობებში არ სცნობენ შესაძლებლად პრაკტიკულად დასვან საკითხი საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ. ჩვენ რომ გვიყვარდეს ყვირილი, ჩვენთვის რომ მხოლოდ სიტყვებს ჰქონდეს მნიშვნელობა, შესაძლებელია ჩვენ სიტყვა „ტერიტორიალურ ავტონომიისათვის“ დაგვეწყო ალერსი და თაყვანისცემა. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს საქმე, ჩვენ ვიბრძვით შინაარსისათვის და არა ფორმისთვის. ეს არის ყოველგან, ყოველ სახალხო საქმეში, ყოველ საზოგადოებრივ დაწესებულებაში. ჩვენი ფედერალისტები გამუდმებით გაიძახიან ავტონომიაზე, მაგრამ იმავე დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე დემოკრატიულ პრინციპებს დევნიან და ფეხქვეშ თელავენ. საკმარისია მოვიგონოთ, თუ როგორ ერეკებოდენ ისინი ხალხს წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებიდან, და როგორ ერეკებიან ისინი დღესაც დემოკრატიულ ელემენტებს ყველა კულტურულ დაწესებულებებიდან, საცა კი ეს მათ ეხერხებათ. აბა ერთი დაგვისახელოს ბ-ნმა მაიაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა, სად ან როდის იყო, რომ ფედერალისტები ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებს ესარჩლებოდენ. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ამ პრინციპებს მუდამ ღალატობენ.

ასეთია ფედერალისტთა საქმენი! ბ-ნი მაიაშვილი კი გამომდგარა და გაიძახის: „ფედერალისტები ამტკიცებენ: გარდაქმნა სოციალური ურთიერთობისა სასარგებლოა მთელი მშრომელი ხალხისა, განურჩევლად პროლეტარიატისა და გლეხობისა და შემოღება საქართველოში დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული პოლიტიკური თვითმართველობისაო“... ვის ატყუილებთ, ბატონებო?

გაზ. „თანამედროვე აზრი“ 28 აპრილი 1916 წ.
№ 94 „მ. მონიძის“ ფსევდონიმით.

# ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას.

განსვენებული ლადო დარჩიაშვილის მოღვაწეობა ჩვენში შეიძლება გაიყოს ორ ხანათ, სახელდობრ: 1) საზღვარგარეთ წასვლამდის და 2) საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ. პირველ ხანაში ეს მოღვაწეობა მეტად ვიწრო ფარგლებში იყო მომწყვდეული, რაც ადვილი გასაგებია. ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამ ხანის მოღვაწეობისა არის ის, რომ ლადო იმ თავითვე შემოეკედლა მაშინდელ მარქსისტულ ჯგუფს, რომელიც ის—ის იყო სწორედ იმ ხანებში წარმოიშვა ჩვენში. ამ ჯგუფის პირველი ოფიციალური გამოსვლა, როგორც ვიცით, შეიქნა ეგ. ნინოშვილის დასაფლავება. ამ დასაფლავებაზე ლადო დარჩიაშვილმა წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და რომელიც, გიორგი წერეთლის მოწმობით, არ იქნა დაბეჭდილი სიდიდის გამო. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ხანებში ლადო ემზადებოდა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის და ამისთვის საუკეთესო საშუალებათ საზღვარგარეთ წასვლა მიაჩნდა. 1898 წ. მას შეუსრულდა ეს წადილი: იგი გაემგზავრა ევროპაში, სადაც დაყო 1905 წლის ნახევრამდე. ამნაირათ თავის პირველ მიზანს დიდი გაჭირვების შემდეგ მან სძლია და სამშობლოში ცოდნით აღჭურვილი და სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის მომზადებული დაბრუნდა. აქედან იწყება მეორე ხანა მისი მოღვაწეობისა.

სამწუხაროთ, ლ. დარჩიაშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ევროპიულ ოპორტიუნისტ-სოციალისტების მსოფლმხედველობას იზიარებდა და თავის კალმით მათ აზრებს იცავდა. უმთავრესმა უთანხმოებამ ჩვენსა და ლადოს შორის ეროვნული საკითხის გარშემო იჩინა თავი. ამ ნიადაგზე ატეხილი კამათის შემდეგ იგი ჩვენს პრესას მოშორდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა სხვა ბანაკში არ გადავიდა და ამჯობინა განმარტოებით ყოფნა. ეს გარემოება აშკარათ მოწმობს, რომ ლადო დარჩიაშვილი მრავალ ძაფებით იყო გადაბმული მუშა ხალხთან და დემოკრატიის ინტერესების დაცვა მისთვის ორგანიულ მოთხოვნილებას შეადგენდა. ერთი სიტყ-

ვით, ზოგიერთ საკითხებში მან გამოიჩინა რყევა, მაგრამ მას პროლეტარიატისთვის არასოდეს არ უღალატნია. ლადო დარჩიაშვილის მთავარი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ეროვნულ საკითხის გადაჭრას კაპიტალისტურ ხანაში პირველ ადგილს უთმობდა. შემცდარი იყო იგი იმაშიც, როცა ფიქრობდა, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიადაგზე თითქო შესაძლებელი ყოფილიყოს ცალკე განსაკუთრებული მიმდინარეობის შექმნა მარქსიზმში. და სწორეთ ასეთი იყო მისი ცდა „ალიონი"-ს გამოცემით.

ახლა არ არის დრო დაწვრილებით განვიხილოთ ყოველივე ეს, მაგრამ ეს განხილვა აუცილებელია, ვინაიდან იგი შეიცავს მეტად საყურადღებო ხანას მარქსიზმის ისტორიაში.

თავის თავად იგულისხმება, რომ ლადო დარჩიაშვილის დაკარგვა ჩვენი ლიტერატურისთვის ძლიერ საგრძნობელი დანაკლისია. ნიჭთან ერთად მას საკმარისი სწავლა-ცოდნა და მომზადება ქონდა მიღებული და მას ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება, ბევრი რამის თქმა შეეძლო. მეტად სამწუხაროა, რომ ლადო დარჩიაშვილი ისე ჩავიდა სამარეში, რომ ვერ მოასწრო თუ ვერ მოახერხა ყველა იმის თქმა, რასაც იგი ფიქრობდა ან რის თქმა მას უნდოდა. მაგრამ მიუხედავათ ამისა მან საკმარისად დიდი კვალი დატოვა ქართულ პუბლიცისტიკაში.

(გაზ. „თანამედროვე აზრი" 1916 წ.
15 მაისი № 109).

# რუსეთის ბურჟუაზია და იმპერიალიზმი.

აპრილიდან ქ. მოსკოვში გამოდის ახალი ჟურნალი: „Проблемы Великой России" („დიდი რუსეთის საკითხები"). პირველი ნომრის გადათვალიერებამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს ახალი დროგამოშვებითი გამოცემა შესანიშნავს მაინცა და მაინც არაფერს წარმოადგენს. აქ თავი მოუყრიათ განსაკუთრებით ზომიერი ლიბერალიზმის ანუ სხვილი ბურჟუაზიის მეტად უფერულ წარმომადგენლებს. მიუხედავათ ამისა ამ ახალ გამოცემას აზის ნათლად გამოკვეთილი ბეჭედი, რომელიც მასში გატარებულია თავიდან ბოლომდე. ეს არის აშკარა იმპერიალისტური სულისკვეთება, რომლითაც იჟღინთება ამ ჟამათ რუსეთის ბურჟუაზიული წრეები. ეს სულისკვეთება მჭიდროთ შეკავშირებულია თანამედროვე მომენტთან. იგი გამოხატავს დღევანდელ ომის საიდუმლოებას და ამ საიდუმლოებას ფარდას ხსნის. „დიდი რუსეთის საკითხები" რუსეთში პირველი ორგანოა, რომელმაც გადაჭრით პირველათ ააფრიალა თავდაუჭერელი იმპერიალიზმის დროშა.

მართალია, იმპერიალისტურ სულისკვეთებას დიდი ხანია ასაზრდოებდენ რუსეთში ისეთი ორგანოები, როგორიც არიან მაგ. „ნოვ. ვრემია", „რუსკ. მისლი" (პეტრე სტრუვეს[55]) რედაქტორობით) და აგრეთვე „ბირჟ. ვედ.", „რეჩი" და სხვ., მაგრამ ეს არ იყო წმინდა წყლის იმპერიალიზმი; იმპერიალიზმის ხმა ჯერ კიდევ სუსტი იყო, რაც მით უნდა აიხსნას, რომ თვით რუსეთის ბურჟუაზიაც ჯერ კიდევ საკმარისათ მომწიფებული არ იყო ამისათვის. მაგრამ მსოფლიო ომმა ასეთი მდგომარეობა თითქო ერთბაშათ შესცვალა. მართლაც, ომის დროს და ომის მეოხებით ბურჟუაზია საოცრათ გაძლიერდა, როგორც ქონებით, ისე გავლენითაც. ომმა განსაკუთრებით რუსეთის ბურჟუაზიის გაძლიერებას შეუწყო ხელი. ომის დროს წარმოიშვენ და გამაგრდენ ბურჟუაზიის უძლიერესი ორგანიზაციები, როგორც ქალაქთა და ერობათა კავშირები, ერთი მხრით, და სამხედრო სამრეწველო კომიტეტები, მეორე მხრით.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

აშკარა ფაქტია, რომ დღევანდელი ომის დროს საოცრათ გაძლიერდა რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური სულისკვეთება. რუსეთის იმპერიალისტები ძალზე ახმაურდენ, ქეზი მოიბეს და ახალი ტერიტორიების დასაპყრობათ დაირაზმენ. ჩვენ ვამბობთ, რომ სწორეთ ომის დროს რუსეთის იმპერიალიზმმა საკმარისათ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მართალია, ჯერ ჩვენ აქ ვერ ვამჩნევთ გერმანელ რორბახების გაბედულ მონაქნევს; მართალია, რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის სამოქმედო პროგრამა, მისი მომავალი გეგმა „დიდი რუსეთის" შესაქმნელათ, ჯერ კიდევ არ არის სავსებით გარკვეული და ჩამოყალიბებული, როგორც, მაგ., გერმანიის ან ინგლისის იმპერიალისტების სამოქმედო პროგრამა. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან დასახელებულ ქვეყნების ბურჟუაზიასთან შედარებით რუსეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ გაცილებით უფრო სუსტი და მოუმზადებელია.

და სწორედ ეს სისუსტე ატყვია ამ ახალ გამოცემას, რომლის სათაური ჩვენ ზევით ნოვიყვანეთ. რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის პროგრამას და გეგმას არკვევს ორი წერილი: ერთი ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო, მეორე პროფ. ს. კოტლიარევსკის მიერ ხელმოწერილი, რომელსაც სათაური აქვს „ძ ი რ ი თ ა დ ი კ ი თ ხ ვ ე ბ ი რ უ ს ე თ ი ს ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა". სარედაქციო წერილში ძლიერ მოკლეთ და სხარტულათ არის ნათქვამი ის, რაც უფრო დალაგებით და დაწვრილებით აღნუსხულია კოტლიარევსკის წერილში. პირველი წერილი ხაზს უსვამს უმთავრესად ორ გარემოებას. რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომელსაც სათავეში უდგანან ყველა ფერის და ჯიშის ლიბერალები, შინაური პოლიტიკა მეტ ბარგათ მიაჩნია, იგი მეტად უკმაყოფილოა იმით, რომ მრავალ ათეულ წლების განმავლობაში რუსის ინტელიგენცია ყურადღებას აქცევდა რუსეთის საშინაო საქმეებს, სახელმწიფოს წესწყობილების ცვლილებების საკითხებს. იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიის აზრით, საშინაო პოლიტიკის ადგილი ახლა საგარეო პოლიტიკამ უნდა დაიჭიროს; ამასთანავე თვით ეს პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს რუსეთის ინეტრესებს, ე. ი. ინტერესებს რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიისას. ეს ერთი. მეორე გარემოება, რომელსაც ჟურნალი ხაზს უსვამს, მდგომარეობს იმაში, რომ ის „მემკვიდრეობა", რომელიც დაპყრობით იქნება მოპოებული ბრძოლის ასპარეზზე, ომის შემდეგ არ უნდა დაიკარგოს უვარგისი საგარეო პოლიტიკის მეოხებით. ერთი სიტყვით, ახალი ჟურნალის აზრით მომავალი „დიდი რუსეთი" თხოულობს ტერიტორიის გაფარ-

თოებას, ახალ ქვეყნების შემოერთებას, რაც დღევანდელ ომს უნდა მოყვეს შედეგათ. ასეთია მთავარი დებულება, რომელსაც ახალი იმპერიალისტური ორგანო აყენებს. მაგრამ რა ფარგლებში ანუ რა მასშტაბით უნდა განხორციელდეს ეს „გაფართოება“, რომელი ქვეყნები უნდა შემოუერთონ რუსეთი? ამ კითხვებზე ჟურნალი ვერ იძლევა ნათელ და გარკვეულ პასუხს. მართალია, რაც შეეხება დარდანელის სრუტეებს და სტამბოლს, იმათი შემოერთება აუცილებელია. წინა აზიაში ჟურნალი სცნობს რუსეთის საზღვრების ისე გასწორებას, რომ კავკასიას მომავალში საფრთხე აღარ უნდა მოელოდეს, და ამასთანავე რუსეთს უნდა შემოუერთდეს ოსმალეთის სომხეთი. შემდეგ „სპარსეთში უნდა გაგრძელდეს ის თანამშრომლობა რუსეთისა და ინგლისისა, რომელიც დამყარებული იყო 1907 წლ. ხელშეკრულებაზე“. სპარსეთი გაყოფილი უნდა იქნას ინგლისსა და რუსეთს შორის, ისე რომ მხოლოდ გარეგნობით უნდა დარჩეს სპარსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ დამოუკიდებლობამ რუსეთს ხელი არ უნდა შეუშალოს თავისს სამხედრო მიზნების განსახორციელებლად და რუსეთის კაპიტალისტური ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად. დასასრულ, შორეულ აღმოსავლეთში ჟურნალი ცოტათ თუ ბევრათ განსაზღვრულათ მონგოლიის შესახებ ლაპარაკობს და ჯერჯერობით მხოლოდ მის შემოერთების საკითხს აყენებს. ეს არის და ეს. რუსეთის იმპერიალისტების ორგანო თითქმის სრულებით ვერ არკვევს საკითხს ბალკანეთის შესახებ; იგი ვერ იძლევა ვერავითარ გეგმას ავსტრო-ჰუნგრეთის მომავალ ბედზე.

(გამოოტოვებულია ცენზორის მიერ)

პოლონეთის საკითხში დასახელებული ჟურნალი ტრიალებს (გამოტოვებულია ცენზორის მიერ)

ცნობილ „მოწოდების“ გარშემო, რომლითაც მთავარ სარდალმა ომის დაწყებისას მიმართა პოლონელ ერს.

საერთოდ მთელი ეს იმპერიალისტური გეგმა, როგორც ვამბობდით, ბუნდოვანი და გაურკვეველია, რაც მოწმობს იმას, რომ ახალ ჟურნალს თვითონაც არ აქვს ამაზე ნათელი წარმოდგენა, რომ ჟურნალის მესვეურებს ჯერ კიდევ ვერ გამოუმუშავებიათ ერთი მთლიანი და გარკვეული პროგრამა. მეორე მხრით, მეტი არ იქნება გავიხსენოთ აქ ის იმპერიალისტური გეგმა, რომელიც ამ ერთი წლის წინეთ გამოაქვეყნა კადეტების ლიდერმა მილიუკოვმა და რომელსაც იგი დღესაც იცავს.

კრებულში „რ ა ს უ ნ დ ა მ ო ე ლ ო დ ე ს რ უ ს ე თ ი ო მ ი ს ა გ ა ნ“ ბ-ნი მილიუკოვი გადაჭრით და კატეგორიულათ მოითხოვს შემდე-

გი ტერიტორიების შემოერთებას: 1) აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილის ქ. კენიგსბეგითურთ ერთნახევარი მილიონი მცხოვრებლებით; 2) ავსტრია-ჰუნგრეთიდან მთელი გალიციის ეგრეთ წოდებული „უგორნაია რუსისა“ (Угорная Русь); 3) ოსმალეთიდან დარდანელის სრუტეებს სტამბოლითურთ და სრუტეების ორივე მხრით მდებარე ახლო-მახლო განაპირა ადგილებით; ამაში შედიოდა ქ. ადრიანოპოლიც, რომელიც ახლა ბულგარიას აქვს დათმობილი და მას უჭირავს; გარდა ამისა, მილიუკოვის აზრით, რუსეთმა ოსმალეთიდან უნდა შემოიერთოს ზივინსა და ბაიაზეთის შუა მდებარე ტერიტორია და ოსმალეთის სომხეთი. ჩვენ არ ვეხებით აქ ბ-ნ მილიუკოვის განზრახვებს სპარსეთის და შორეული აღმოსავლეთის შესახებ. აქედანაც მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ის გეგმა, რომელსაც კადეტი მილიუკოვი იძლევა, თითქმის არსებითად განსხვავდება იმ გეგმისაგან, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ და რომელიც ეკუთვნის რუსეთის ბურჟუაზიის ახალ ორგანოს. თავის თავად იგულისხმება, რომ კადეტთა ლიდერის იმპერიალისტური სულისკვეთება არა თუ უფრო გარკვეული და აშკარაა, არამედ ის ბევრათ უფრო შორს მიდის, ვინემ „დიდი რუსეთის საკითხების“ მესვეურთა იმპერიალისტური მადა.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ რუსეთის იმპერიალისტების ბანაკში ჯერ კიდევ დიდი არევ-დარევაა და ერთი მთლიანი გეგმის გამომუშავება ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ. მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მხრით დიდხანს ლოდინი არ მოგვიხდება.

ამნაირათ, რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია ირაზმება; იგი მთელ თავის ძალებს თავს უყრის თავისი პოზიციების გასამაგრებლად, როგორც საშინაო, ისე განსაკუთრებით საგარეო ბაზარზე. ომი მისთვის ორგვარი იარაღია: ერთი მხრით იგი გასაოცარი სისწრაფით მდიდრდება ნივთიერათ, მეორე მხრით იგი უზომო ძალას და გამავლობას იძენს როგორც შინ, ისე განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის სფეროში. თანამედროვე ომის უკანასკნელი და ერთად ერთი მიზანი დაპყრობაა. მარტო თავდაცვის ან მოგერებითი ომის წარმოება ამ ხანათ სინამდვილეში შეუძლებელია. ომის გათავების შემდეგ არც ერთი მოწინააღმდეგე მხარე არ დასთანხმდება ომის წინ არსებულ მდგომარეობის დატოვებაზე. ჩვენ ამის შესახებ არავითარ ილიუზიებს ადგილი არ უნდა მივსცეთ. ომი გამოწვეულია კაპიტალისტურ ბურჟუაზიის მიერ, (გამოტოვებულია ცენზორის მიერ). . . მისი ლოზუნგია „ომი ბოლომდის“, ე. ი. მოწინააღმდეგე მხარის სრული დამარცხება. ასეთ ლოზუნგს აყენებს პირისპირ ორთავე მოწინააღმდეგე ბანაკის იმპერიალისტური ბურჟუაზია.

(გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ. 24 მაისი
№ 114 მ. მონიძის ფსევდონიმით).

# სასოფლო სამეურნეო აღწერის გამო.

როგორც ვიცით, ამ ჟამათ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო აღწერა ხდება. აღწერა ეხება სამ მთავარ საგანს, სახელდობრ: 1) მ ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ს, 2) შ ი ნ ა უ რ ს ა ქ ო ნ ე ლ ს ანუ პირუტყვს და 3) დ ა თ ე ს ილ მ ი წ ებ ს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი შინაურ საქონელს და დათესილ მიწებს. ეს აღწერა გამოწვეულია იმ არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული პირობებით, რომლებშიაც დღეს იმყოფება მთელი ევროპა და კერძოთ რუსეთის სახელმწიფო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დღევანდელ აღწერას უკარგავს მრავალ დადებით მხარეს. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი აღწერა, ჩატარებული არა ჩვეულებრივ და არანორმალურ პირობებში, შეუძლებელია დაედვას საფუძვლად მომავალ აღწერას. ომმა ძალზე შეამცირა მუშა ხელი ყოველგან და განსაკუთრებით სოფლად: ამიტომ აუცილებლად უნდა შემცირებულიყო დათესილი ადგილების რაოდენობაც. ომი ამავე დროს ნთქავს დიდძალ შინაურ საქონელს: ცხენს, ხარ-კამეჩს, ცხვრებს, ღორებს და სხვ. და უკვე ჩანთქა კიდეც. აქედან თავის თავად იგულისხმება, რომ შინაური პირუტყვის რაოდენობა ამ ჟამად ძლიერ საგრძნობლათ უნდა იყოს ჩვენში შემცირებული.

გარდა ამისა, ჩვენში არაა არავითარი საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელიც დროგამოშვებით ახდენდეს რაიმე სტატისტიკურ აღწერას; ამიტომ ამისათვის აქ არ არის ნიადაგი მომზადებული: არაა არც მცოდნე სტატისტიკოსთა კადრი და არც ხალხია ასეთ აღწერასთან შეჩვეული. ყოველივე ეს არა თუ უკარგავს მნიშვნელობას წრევანდელ აღწერას, არამედ, რაც უფრო უარესია, აფერხებს მის სისრულეში მოყვანას. უნდა გამოვტყდეთ, რომ რუსეთში, განსაკუთრებით საერობო გუბერნიებში სტატისტიკურ აღწერათა საქმე ბევრათ უფრო მკვიდრ საფუძველზეა დამყარებული; და იქაური ინტელიგენტური ძალებიც ბევრათ უფრო გულმოდგინეთ ეკიდებიან ამ საქმეს. ეს დღევანდელი აღწერის მოხდენა საერობო გუბერნიებში საერობო დაწესებულებებს აქვთ და-

კისრებული სავსებით; იმათ დასახმარებლად მოწოდებულია ყველა ადგილობრივი სტატისტიკური ძალები: /სამეცნიერო და პრაქტიკული, საერობო და საქალაქო (იხ. მუხ. 8 სრულიად რუსეთის სამეურნეო აღწერის ინსტრუქციისა). ერთი სიტყვით, რუსეთის შიდა გუბერნიებში საშვალება ქონდათ დღევანდელი აღწერის გარშემო თავი მოეყარა საზოგადოების პროგრესიულ და საუკეთესო ძალებს. ჩვენში კი საქმე სხვანაირად დატრიალდა. ერობის უქონლობამ, სამეცნიერო და კერძოთ სტატისტიკურ ძალთა სისუსტემ გამოიწვია ის, რომ სამეურნეო აღწერას სათავეში მოექცენ ბიუროკრატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლები, სხვადასხვა რანგის მოხელეები, რომლებიც ადგილობრივ პირობებს ნაკლებათ იცნობენ, ასე რომ ადგილობრივი ინტელიგენტური ძალები ნებსით თუ უნებლიეთ უმეტეს შემთხვევაში ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიც სამეურნეო აღწერაა, სრულებით გულგრილად შეხვდენ; ისინი თითქმის არც იღებენ მასში მონაწილეობას. ეს, რა თქმა უნდა, ამტკიცებს ჩვენს უკულტურობას და ჩამორჩენას. ათასჯერ და ათიათასჯერ თქმულა და კიდევ გავიმეორებთ, რომ ჩვენ უფრო ლაპარაკი გვიყვარს, ვინემ საქმის კეთება.

ზევით აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი სამეურნეო აღწერა, მრავალ დადებით მხარეს მოკლებულია, განსაკუთრებით ჩვენში; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სრულებით არავითარი მნიშვნელობა არ დაურჩეს. არავისთვის საიდუმლოება არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენ საზოგადოთ არ მოგვეპოვება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების შესახებ არავითარი ცოტათ თუ ბევრათ სწორი და ნამდვილი სტატისტიკური ცნობები. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენში თითქმის არასოდეს არ მომხდარა რაიმე სტატისტიკური აღწერა ცოტათ თუ ბევრათ ფართო ხასიათის. დაწინაურებულ და კულტურულ ქვეყნებში კი ყველაფერი სტატისტიკაზეა დამყარებული. მართალია, დღევანდელ სამეურნეო აღწერას დასახული აქვს განსაზღვრული მიზანი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ აღწერასაც შეუძლია მოგვცეს მთავარი საინტერესო და სასარგებლო ცნობები სოციალური ეკონომიური და ეროვნული საკითხების შესახებ. ასე, მაგ., დღეევანდელი აღწერის საშუალებით ჩვენ შეძლება გვექნება გავიგოთ, სხვათა შორის, ოჯახთა რაოდენობა და რა და რა ტიპის (კაპიტალისტური თუ საგლეხო) ოჯახებია დღეს ჩვენში სოფლად, სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა, მომუშავეთა რიცხვი; მცხოვრებთა დაყოფა ეროვნულად და ომის გამო გადმოხვეწილთა რაოდენობა. გარდა ამისა, აღწერამ უნდა გამოარკვიოს ში-

ნაური პირუტყვის და დათესილი მიწების რაოდენობა დაწვრილებით თითეულ ოჯახზე ცალ-ცალკე. როგორც ხედავთ, ყველა ეს საკითხები მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

მაგრამ სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელი აღწერა ჩვენთვის ყოვლად უსარგებლო გახდება და იგი ჩვენში თითქმის არავითარ კვალს არ დატოვებს. საქმე ის არის, ყველა შეკრებილი მასალა დაუყონებლივ უნდა გაიგზავნოს პეტროგრადს და იქ უნდა იქნას დამუშავებული; და ვინ იცის, ვეღირსებით კი ოდესმე ამ მასალის გამოქვეყნებას? და კიდეც რომ ვეღირსოთ ოდესმე, საეჭვოა გამოაქვეყნონ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, ყოველ შემთხვევაში, იმის თქმა კი წინდაწინ შეიძლება, რომ ეს იმ დროს მოხდება, როცა ეს მასალა პრაქტიკულ მნიშვნელობას სავსებით დაკარგავს და მას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობაღა შერჩება.

ამას წინათ გაზ. „სახ. ფურცელი“[56] (№ 608) და „საქართველო“[57] (№ 14) შეეხენ დღევანდელ სამეურნეო აღწერას და აღნიშნეს ის, რომ ეს აღწერა არ არის სრული, რომ იგი მრავალ ეკონომიურ ხასიათის საკითხებს უყურადღებოთ ტოვებს. თავის თავად ეს შენიშვნა მართალია, მაგრამ ხსენებულ გამოცემათ გამოეპარათ უმთავრესი მხარე, სახელდობრ ის, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, ე. ი. ის, რომ ის, რისიც მოცემა დღევანდელ აღწერას შეუძლია, ჩვენთვის უკვალოთ ჩაივლის. არის კი ერთი საშუალება, რომ ეს სამწუხარო შედეგი თავიდან ავიცდინოთ. ინსტრუქციის მე-12 მუხლის შენიშვნის ძალით აღწერის მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივ დაწესებულებების მიერ, რისთვისაც ადგილობრივ დაწესებულებათ უფლება ეძლევათ გადმოიღონ ასლი (კოპიო) აღწერის ბლანკებიდან. ახლა იბადება საკითხი: არის თუ არა ჩვენში ისეთი დაწესებულება, რომელმაც ასეთი რთული საქმე იკისროს? ჩვენი აზრით არის. ჩვენ ვამბობთ კულტურულ საზოგადოებათა კავშირზე, რომელიც ამას წინათ დაარსდა. მხოლოდ დასახელებულ კავშირს შეუძლია და ვალდებულიცაა მოკიდოს ხელი ამ საქმეს. უნდა შევნიშნო, რომ დაყოვნება აღარ შეიძლება, თითქმის დაგვიანებულიც არის, მაგრამ თუ საქმეს ფიცხლავ მოკიდებენ ხელს, ჯერ კიდევ დრო არის, სანამ აღწერა ჯერ კიდევ არ დათავებულა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების მასალის გადაწერაზე.

აქ მარტო ლაპარაკი არ ვარგა. საჭიროა საქმე და არა სიტყვები, მერე კი თითებზე კბენა არაფერს გვიშველის. თუ საქმე გვიყვარს და გვაინტერესებს, ეს აქ შეიძლება გამოაშკარავდეს.

გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ.
15 ივლისი № 156.

# ქალაქის თვითმართველობა და მცხოვრებნი.

ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ცხოვრების პირობები ქალაქში[58]) საოცრათ გამოიცვალა. პირველ შეხედვით, თითქო ყოველივე შიმდინარეობს ისე, როგორც უწინ, მაგრამ ცოტათი რომ დააკვირდეთ ქალაქის ცხოვრებას , მყისვე შეამჩნევთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შიმდინარეობა ჩვეულებრივი კალაპოტიდან ამოსულა და აქეთ-იქით ეხეთქება, რომ ახალი გზა ანუ ახალი კალაპოტი გამოძებნოს.

მიუხედავათ იმისა, რომ თფილისი კაი ხანია შეიქნა ახალი ცხოვრების სარბიელათ, აქ პატრიარქალურ იდილიურ განწყობილებათა გავლენა ამ უკანასკნელ დრომდე საკმარისათ საგრძნობელი იყო. სულ მცირე ხნის განმავლობაში ეს ძირიანათ შეიცვალა. პატრიარქალურ იდილიურ ურთიერთობათა ნაშთი ან სულ გაქრა, ან ქრება. სადღაა წინანდელი სიიაფე, წინანდელი სიუხვე და ხალვათობა? სანოვაგე მამასისხლათ შეიქნა, ხალხის ტევა აღარსად არის, საერთოთ ცხოვრება გაშმაგებულ ჭიდილათ გადაიქცა, რომლიდანაც მხოლოდ თითო-ოროლა გამოდის გამარჯვებული, ათასები და ათი-ათასები კი შეუბრალებლათ ისრისებიან. ასეთია ბედი ყველა თანამედროვე ქალაქისა, სადაც კი კაპიტალისტური განვითარება უმაღლეს სფეხურს აღწევს. როგორც ზევით ვამბობდით, თფილისი კაი ხანია შემდგარი იყო კაპიტალიზმის გზაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, კაპიტალისტური განვითარება აქ შედარებით საკმარისათ ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ომმა მოახდინა ამ მხრით დიდი ცვლილება. უპირველეს ყოველისა თფილისი შეიქნა უმთავრესი ცენტრი თითქმის ყველა იმ დაწესებულებათა, რომელთაც ომთან კავშირი აქვთ. აქ იყო დენა და შეჯგუფება აუარებელმა ხალხმა და ყველა ამის გამო ფულის ტრიალმა და დაგროვებამ პირდაპირ ზღაპრული ხასიათი მიიღო. და აი ჩვენ ვხდებით იმის მოწამე, რომ ქალაქი თითქო უეცრათ გამოიცვალა და განვითარებული კაპიტალიზმის შედეგებმა საგრძნობლად იჩინეს თავი. ერთი მთავარი შედეგთაგანი ის არის, რომ ქალაქში ცხოვრება გაჭირდა, გაჭირდა, რა თქმა უნდა, ხალხის მშრომელი ნაწილისთვის, ე. ი. იმათთვის, ვინც ბაზარზე ყი-

ღის მხოლოდ თავის საკუთარ სამუშაო ძალას, და ყველა სხვა პირველი მოთხოვნილების საგნები იძულებულია იყიდოს, რომ იარსებოს: გაჭირდა აგრეთვე ყველა წვრილ და რამდენიმეთ საშუალო მოხელეთათვის, ვისთვისაც ჯამაგირები ან არ მოუმატებიათ ან თუ მოუმატეს, სულ უმნიშვნელო რამ. მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება არა მარტო იმით, რომ პირველ მოთხოვნილების საქონელი ზღაპრულად გაძვირდა, არამედ თვით საქონლის ნაკლებობით და ზოგიერთ შემთხვევაში საქონელი სრულებით აღარ მოიპოვება ბაზარზე. ასევე მწვავეთ დგას ბინების საკითხიც. ასევეა სასწავლებლებშიაც: რამდენი ბავშვისთვის დახშულია სასწავლებლის კარი, რამდენი მშობელი უიმედოთ ბრუნდება იქიდან ატირებული. ქალაქის გამრავლებულ მცხოვრებთ ვეღარ აკმაყოფილებს ვერც დღევანდელი ტრამვაი, ვერც წყალსადენი, ვერც რკინის გზები. ყველგან სივიწროვე, ყველგან საქონლის და ადგილის ნაკლებობა. რა თქმა უნდა, ამ საერთო კრიზისის ხანაში უწინარეს ყოვლისა იჩაგრება მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი, ვინაიდან მდიდარი ყოველთვის იშოვის რაიმე გამოსავალს. ყველა ამას ერთვის ათასგვარი გადამდებ ავადმყოფობათა გაძლიერება ქალაქში. ჯერ კიდევ შემოდგომა დგას, მაგრამ აღარც ზამთარია შორს. პურის, ბინის და შეშის საკითხი კიდევ უფრო გამწვავდება და ყველა ეს საკითხები კიდეე უფრო უნდა აფიქრებდენ ქალაქის მცხოვრებლებს.

ასეთია მოკლეთ ჩვენი ქალაქის სურათი, ახლა ვიკითხოთ, თუ რას აკეთებს ამ შემთხვევაში ქალაქის თვითმართველობა, რა ზომებს ხმარობს იგი, რომ ცოტათი არის რამდენიმეთ მაინც შეუმსუბუქოს მცხოვრებთ კრიტიკული მდგომარეობა? საარჩევნო კანონმა ქალაქი ისეთ ელემენტებს ჩაუგდო ხელში, რომლებიც, როცა სახლს ცეცხლი გაუჩნდება, მარტო იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე თვითონ მოითბონ ხელი. ამ გაჭირვების და საერთო კრიზისის ხანაში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ქალაქში მეტისმეტათ გართულდა და საქმიანობას თხოულობენ იმათგან, ვინც თვითმართველობას უდგას სათავეში, ჩვენი ქალაქის მესვეურები ან პირად საქმეს ემსახურებიან, ან პილატეს როლს ასრულებენ. ასე, მაგ., როცა იმათ მიაბჯენენ მუხლს და დაეკითხებიან: თქვენ რას აკეთებთო? ისინი სრულიად დამშვიდებული აცხადებენ: ჩვენ მზათა ვართ ყველაფერი მოვაწესრიგოთ, მაგრამ უძლური ვართ, ვინაიდან ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებულიო. მცხოვრებთა გულუბრყვილო ნაწილი უჯერის, მით უფრო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დღევანდელ განსაკუთრებულ ხა-

ნაში მართლაც ყველაფერი ქალაქის თვითმართველობაზე როდია დამოკიდებულია. მაგრამ ყოველივე ეჰვს გარეშეა, რომ თვითმართველობას მაინც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ღღევანდელი გაჭირვების შესამსუბუქებლათ. ხალხის უზრუნველყოფა პირველ მოთხოვნილების საგნებით, ეს უდიდესი და აუცილებელი საქმეა, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტმა უნდა იკისროს. ეს ასეც ხდება ყოველგან, არა თუ საზღვარ-გარეთ, არამედ თვით რუსეთის ზოგიერთ ქალაქებშიაც. ჩვენი ქალაქის თვითმართველობის მოთავეებმაც დაიწყეს ამის თაობაზე ლაპარაკი, მრავალი სიტყვები დახარჯეს, ბოლოს სათავეში ამ პირველ მნიშვნელოვან საქმეს მოეკიდა სრულებით უვარგისი პიროვნება, რომლის მოღვაწეობა ამ სარბიელზე სისხლის სამართლის უფლების თვალთახედვის წერტილიდან უფროა საინტერესო. ქალაქის სასურსათო დუქნები უფრო სიტყვის დამამშვენებელი მასალაა, ვინემ ნამდვილი საქმე. ნამდვილათ კი მთელი სასურსათო საქმე თვით იმათი წყალობით სავსებით სპეკულიანტების ხელშია. თფილისის ქალაქის თვითმართველობამ არა თუ ვერ შესძლო, არც კი მოინდომა, რომ მცხოვრებთა აღწერა მოეხდინა, მცხოვრებთა რიცხვის და ბინების საკითხის გამოსარკვევათ ქალაქში. თითქმის ყველა ცოტათ თუ ბევრათ მოზრდილ ქალაქებში, როგორც ქ. ქ. კიევში, სარატოვში, როსტოვში, ოდესაში, პეტროგრადს და მოსკოვს რომ თავი დავანებოთ, ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, ქალაქის მუნიციპალიტეტებმა მოახდინეს ხალხის აღწერა. რაც საფუძვლად დაედვა ყველა იმ ღონისძიებათ, რომლებსაც ისინი საჭიროთ სთვლიან ხალხის უზრუნველსაყოფათ ღღევანდელი კრიზისის დროს. ჩვენი ქალაქის მეთაურებმა ვერ მოიფიქრეს ეს. მაშინ, როცა ხალხის შეჯგუფებამ და მჭიდროობამ, მცხოვრებთა რაოდენობის ზრდამ უკანასკნელ წლების განმავლობაში განსაკუთრებით, სწორეთ ყველაზე უფრო თფილისში იჩინა თავი. ერთი სიტყვით, სინამდვილე გვეუბნება, რომ ქალაქის არსებულ თვითმართველობაზე იმედების დამყარება სრულებით ამაოა. ამაოა აგრეთვე რაიმე მოთხოვნილების წაყენება იმათთვის, ვინც იქ ღღეს შეთაურობენ; და ეს იმიტომ, რომ ისინი არ გრძნობენ და არც არიან პასუხისმგებელნი თვით ხალხის წინაშე. ისინი უწევენ ანგარიშს მხოლოდ მცხოვრებლების ერთ მუჭა ნაწილს, სისხლის მწოვარ სპეკულიანტებიდან შემდგარს. ამიტომ რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ, ბოლოს მაინც ერთ დასკვნამდე უნდა მივიდეთ: მცხოვრებლებმა თვითონ უნდა უშველონ თავიანთ თავს, თვითონ უნდა გამონახონ ისეთი საშუალებანი, რომ შესძლონ გაჭირვებას და მოსალოდნელ განსაც-

დელს თავი დაახწიონ. მაგრამ ამისთვის საჭიროა რაიმე ორგანიზაცია. ერთ-ნაირი ორგანიზაცია, ერთნაირი შეკავშირება ახლაც არსებობს კოოპერატივების სახით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და მაზე დიდი იმედების დამყარება არ შეიძლება. კოოპერატივების გვერდით უნდა დაარსდეს სარაიონო, საუბნო კომიტეტები, რომლებშიაც თვით მცხოვრებლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. რაიონულ კომიტეტებმა უნდა შექმნან ერთი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უნდა აერთებდეს და ხელმძღვანელობას უწევდეს რაიონულ კომიტეტებს. ასეთი ორგანიზაცია თითონ გამოძებნის ზომებს და თითონ ეცდება იმათ განხორციელებას ცხოვრებაში. არაჩვეულებრივი ხანა და განსაკუთრებული პირობები თხოულობენ ხალხის თვითმოქმედებას, სხვისი აპეკუნობის თავიდან მოშორებას და თავის საქმის თავისი საკუთარი ძალებით გაძღოლას. ასეთი კომიტეტების წარმოშობა და არსებობა სრულებით ახალი რამ არის: თითქმის დღევანდელ ომის დროსაც რუსეთის ქალაქებშიაც სცადეს ამგვარი ორგანიზაციების შემოღება, რამაც ყოველგან დიდი ნაყოფი გამოიღო, მაგ., ბაქოში. სამწუხაროთ მათი არსებობა ხანგრძლივი არ იყო. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ასეთი ცდა კიდევ და კიდევ არ იქნას განმეორებული, ვინაიდან სხვა გზა არ არის.

(გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ. 21 სექტემბერი — № 209. „მ. მონიძის“ ფსევდონიმით).

# სამეურნეო აღწერა.

(საერთო დახასიათება)

## I.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, სამეურნეო აღწერა ჩვენ-შიაც დამთავრდა. ახლა წამოყენებულია კითხვა თვით შეგროვილი მასალების დამუშავების შესახებ. მაგრამ თავდაპირველად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ საერთოდ რა ღირებულებას წარმოადგენს ეს მასალა, ე. ი. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ცნობებს იძლევა იგი ან თუ რამდენათ მართალია და სარწმუნოა თვით ეს ცნობები. როგორც ერთი იმათგანი, ვინც ახლო დაპირდაპირი მონაწილეობა მიიღო სამეურნეო აღწერის მოხდენაში, ამ სტრიქონების დამწერი, ვალდებულათ რაცხს თავს თავისი აზრი და შეხედულება გამოთქვას ამ საკითხის შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ სრულიად რუსეთის სამეურნეო აღწერა დიდი ხანია საოცნებო საგანს შეადგენდა რუსეთის საერობო სტატისტიკოსებისა და საერობო მოღვაწეობისათვის. ეს ოცნება ახლა სინამდვილეთ იქცა. მართალია, ზოგიერთი ერობანი ახდენდენ სამეურნეო აღწერას, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ ალაგ-ალაგ და მეტად ვიწრო ფარგლებში. ამიტომ აშკარაა, რომ სრულიად რუსეთის სამეურნეო აღწერის მოხდენას აქვს, როგორც უდიდესი თეორეტიული, ისე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. რამდენიმეთ ამცირებს ამ მნიშვნელობას მხოლოდ ორი გარემოება. ერთი ის, რომ დღევანდელი სამეურნეო აღწერა რუსეთში გამოიწვია იმ განსაკუთრებულმა მდგომარეობამ, რომელიც შექმნა ომმა, ვინაიდან ასეთი არაჩვეულებრივ დროს შეგროვილი მასალა ჩვეულებრივი ანუ ნორმალური მდგომარეობის დასახასიათებლათ სავსებით ვერ გამოდგება. მეორე ის, რომ მთელი რუსეთის იმპერიის სამეურნეო აღწერას საფუძვლად დაედვა ერთგვარი პროგრამა, შეფარდებული განსაკუთრებით რუსეთის შიდა გუბერნიების მეურნეობასთან. მართალია, ყოველივე ფართო სტატისტიკური გამოკვლევა უნდა ხდებოდეს ერთნაირი გეგმით და ერთგვარი პროგრამით,

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის იმპერიას უჭირავს უდიდესი ტერიტორია, რომლის სხვადასხვა ნაწილები არა თუ დაშორებულია ერთი მეორესთან დიდი მანძილით, არამედ ჰავის და ტოპოგრაფიული პირობების მხრით დიდათ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იწვევს თავის თავად სამეურნეო კულტურის განსხვავებასაც, და ამიტომ ერთნაირი პროგრამა სრულიად რუსეთის აღწერისათვის ზოგიერთ შემთხვევაში უხერხული გამოდგა. ყოველ შემთხვევაში ეს უნდა ითქვას ამიერ-კავკასიის შესახებ, რომლის მეურნეობა, როგორც ვიცით, დიდათ განსხვავდება რუსეთის შიდა გუბერნიების მეურნეობისაგან. უმეტეს ნაწილათ აქ გვხვდება ისეთი მცენარეების კულტურა, რომლებიც რუსეთში სრულებით არ მოინახება და რომლებიც პროგრამაში შეუტანელი დარჩა. მართალია,ცენტრალურმა ბიურომ, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ჩვენში აღწერას, დაუკავშირა, ანუ უფრო მართალი რომ ვთქვათ, შეეცადა დაეკავშირებია შიდა გუბერნიების მიხედვით გამომუშავებული პროგრამა ადგილობრივ პირობებისათვის, და უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს შესაძლებელი შეიქნა, მაგრამ დასახელებული უხერხულობა სავსებით მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული. გარდა ამისა, დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ამიერ-კავკასიაში აღწერის დროს ერთიანობა ვერ იქნა განხორციელებული. ზოგ ადგილას, მაგ. ქუთაისის გუბერნიაში, ვენახები აღნუსხულ იქნენ, დანარჩენ ადგილას კი არა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებში მევენახეობა მთავარ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობაში, ჩვენ ადვილათ დავინახავთ, თუ დღევანდელი სამეურნეო აღწერისთვის რა დიდ ნაკლულევანებას შეადგენს ვენახების აღუნუსხველობა.

მაგრამ მიუხედავათ ყველა იმ უარყოფით მხარეებისა, რომლებიც ჩვენ მოვიხსენიეთ, სამეურნეო აღწერას იმ სახითაც, რა სახითაც იგი ცხოვრებაში გატარდა, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. უწინარეს ყოვლისა მისი მნიშვნელობა იმით არის დიდი, რომ იგი გაფართოვებულ ფარგლებში მოხდა, ვინაიდან რამდენათ გამოასაკვლევ საგნების დიდ რაოდენობას შეიცავენ სტატისტიკური ცნობები, იმდენათ ეს ცნობები უფრო მეტად უახლოვდებიან სინამდვილეს. გარდა ამისა, 1916 წლის სრულიად რუსეთის სამეურნეო აღწერის იდეა უფრო ბიუროკრატიულ კანცელარიაში იშვა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ როგორც მისი გეგმის და პროგრამის გამომუშავება, ისე ამ პროგრამის სისრულეში მოყვანა მოხდა საზოგადოებრივ

დაწესებულებათა და სამეცნიერო სტატისტიკურ ძალების ახლო მონაწილეობით *).

სამეურნეო აღწერის პროგრამის გამომუშავების დროს მიღებულ იქნენ მხედველობაში ყველა ის წესები და დასკვნები, რომლებიც დღემდის გამოიმუშავა რუსეთის საერობო სტატისტიკამ. მასალის დამუშავებაც საესებით ენდობა იმავე საზოგადოებრივ დაწესებულებათ - ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საერობო სტატისტიკის საუკეთესო ძალებს. ამ ჟამად შეგროვილი მასალების გამომუშავების გეგმას და პროგრამას იკვლევენ სტატისტიკების კრებებზე და არა ბიუროკრატიულ კანცელარიებში, როგორც ეს წინათ ხდებოდა. ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავება მოხდება ისე, როგორც ამას მოითხოვს სტატისტიკური მეცნიერება და საზოგადოებრივი ინტერესები. ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ეს დამუშავება უნაკლულო იქნება; ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ეს დამუშავება, რუსეთში მაინც, მინდობილი აქვს საუკეთესო მეცნიერულ ძალებს, რომლებიც დღეს იქ არსებობენ.

ახლა ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ თვით აღწერილ მასალებს.

## II.

რომ სამეურნეო აღწერის მასალებზე წარმოდგენა ვიქონიოთ, ამისათვის საჭიროა გავეცნოთ თვით აღწერის პროგრამას ცოტა უფრო დაწვრილებით. პროგრამის მიხედვით აღწერამ უნდა გამოარკვიოს სამი მთავარი საგანი: 1) სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა, 2) შინაური ოთხფეხი საქონელი და 3) ნათესი, ე. ი. დათესილ მიწების რაოდენობა 1916 წელს. აღწერა ეხება ყველა ოჯახს ანუ ყველა ცალკე სამეურნეო ერთეულს, რომელიც სოფლათ არსებობს და თავისი საკუთარი მეურნეობა აქვს, სულ ერთია რა ზომისაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. ყველა ოჯახები იყოფა ორ მთავარ კატეგორიათ. პირველ კატეგორიაში შედიან საგლეხო ტიპის ოჯახები, მეორეში კერძო მფლობელთა ანუ კაპიტალისტური სამეურნეო ოჯახები. თითეული კატეგორიის ოჯახების ასაწერათ გამომუშავებულ იქნა სხვადასხვანაირი ფურცელი ანუ ბლანკი. აშკარაა, რომ ასეთ დაყოფას საფუძვლად დაედვა არა წოდებრიობა, არამედ ოჯახის სამეურნეო წარმოების ხასიათი, ე. ი. თუ რომელ კატეგორიაში მოხდება ოჯახი, ეს

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემოხვევაში ჩვენ მხოლოდ თვით რუსეთი გვაქვს მხედველობაში და არა მისი განაპირა ქვეყნები.

დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხასიათისაა თვით ოჯახი: წარმოადგენს იგი ისეთ სამეურნეო ერთეულს, რომელიც აკმაყოფილებს უმთავრესად თავის საკუთარ მოთხოვნილებებს, თუ ისეთს, რომელიც უმთავრესად ბაზრისთვის ამზადებს ნაწარმოებს.

კერძოთ, რაც შეეხება მცხოვრებთ, აღწერა არკვევს როგორც საერთო რაოდენობას, ისე მამაკაცთა და დედაკაცთა რიცხვს თითეულ ოჯახში და ამასთანავე მომუშავეთა რაოდენობასაც თითეული სქესისთვის ცალ-ცალკე. გარდა ამისა საგლეხო ოჯახების 5 პროცენტისთვის მცხოვრებლები უფრო დაწვრილებით იქნენ აღწერილი, ე. ი. წლოვანების აღნუსხვით, და აგრეთვე იმის ჩვენებით, თუ რამდენი მამაკაცი იქნა ასეთი ოჯახებიდან გაწვეული ჯარში ომის გამოცხადების შემდეგ. შინაურ ოთხფეხ ცხოველებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, რა თქმა უნდა, ცხენებს, შემდეგ ხარ-კამეჩებს, ძროხებს, ფურ-კამეჩებს, დეკეულებს და მოზვრებს, ხბოებს, ღორებს, ცხვარს. თავდაპირველად განზრახული იყო შინაური ოთხფეხი საქონლის აღნუსხვა საგლეხო ოჯახის ხუთი პროცენტისათვის და ყველა კაპიტალისტური ოჯახებისათვის როგორც 1916 წ., ისე გასული 1915 წელსაც, რაც მნიშვნელობას მოკლებული არ იყო; მაგრამ შემდეგი განკარგულებით საქონელი ჩვენში 1915 წლისთვის არ იქნა აღწერილი.

აღწერა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დათესილ მიწების რაოდენობის გამორკვევას 1916 წლისათვის. ასეთი მიწები ინუსხებოდა თითეული მცენარისათვის ცალ-ცალკე იმის ჩვენებით, სკუთარ თუ ნაქირავებ მიწაზე იყო დათესილი ესა თუ ის პურის მცენარე; გარდა ამისა, ამიერ-კავკასიაში, როგორც საკუთარი, ისე საღალო მიწები დაყოფილ იქნენ კიდევ სარწყავ და ურწყავ მიწებათ. საგლეხო ოჯახების 5 პროცენტისთვის და ყველა კაპიტალისტურ ოჯახებისთვის. აღწერა შეეხო აგრეთვე გასულ 1915 წლის დაუთესელ მიწებსაც. დასასრულ, სურათის სისრულისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ საგლეხო ოჯახების 2 პროცენტისთვის და ყველა კაპიტალისტურ ოჯახებისთვის აღწერის დროს აღნუსხვილ იქნა კიდევ სხვადასხვა სასურსათო საგნების (ხორბლის, ფეტვის, ღვინის და სხვ.) რაოდენობა (მარგი).

## III

ზევით ნათქვამიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა გვარ ცნობებს შეიცავს სამეურნეო აღწერის დროს შეგროვილი მასალა. აქედან ჩანს, რომ ამ მასალის მიხედვით შეუძლებელია მიწათმფლობელობის საკითხის გამორკვევა; აღწერას არც დაუყენებია ეს საკითხი პირდაპირ. რა თქმა უნდა, აღწერის მასალების მიხედვით შეიძლება საგლეხო მიწათ-მფლობელობის გამორკვევა, მაგრამ ისიც დაახლოვებით. გარდა ამისა, სამეურნეო აღწერა სრულებით არ ეხება არც მიწების ფასს და არც ღალის სიდიდეს. ეს ნაკლი უმთავრესად იმას უნდა მიეწეროს, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის როგორც მიწათმფლობელობა, ისე მიწის ფასები და ღალა საკმარისათ გამორკვეული და ცნობილია. ამიტომ ყველა ეს ნაკლულევანებანი განსაკუთრებით ამიერ-კავკასიისათვის არის საგრძნობი, ვინაიდან ამ საკითხების შესახებ ჩვენ არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ გარკვეული და სწორი ცნობები.

ყოველ შემთხვევაში სამეურნეო აღწერა იძლევა მეტად საინტერესო და საყურადღებო მასალას, როგორც მთელი რუსეთის, ისე კერძოთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წარმოების გასარკვევათ და გასაშუქებლად. მაგრამ ახლა იბადება მეორე საკითხი: რამდენათ სარწმუნო და მართალია შეგროვილი მასალა, ე. ი. რამდენათ უახლოვდება იგი სინამდვილეს? ამ კითხვებზე რომ შესაფერი პასუხი გავცეთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ მასიური სტატისტიკური გამოკვლევის მეოხებით ფაქტიური უსწორ-მასწორობა შესამჩნევად იშლება; მით უფრო უნდა ითქვას ეს ახლანდელი სამეურნეო აღწერის შესახებ, რომელიც ასეთ გაფართოებულ ფარგლებში მოხდა. მაგრამ სიმართლის აღსადგენად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სოფლის მცხოვრებნი კულტურული ჩამორჩენის და გაუნათლებლობის გამო ხშირად ტყუილ ცნობებს იძლეოდენ თავისი მეურნეობის შესახებ, ე. ი. მრავალ შემთხვევაში ფაქტიურ მდგომარეობას მალავდენ, რამდენათაც ეს მათ უხერხდებოდათ. მიზანი ასეთი ტყუილი ცნობის მოწოდებისა მცხოვრებთა მხრით ადვილი გასაგებია. ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას ებრძოდენ აღმწერელ-რეგისტრატორები, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში თვით ეს რეგისტრატორები დავალებულ საქმეში მეტად მოუმზადებელი იყვნენ და თავისი მოვალეობის მნიშვნელობა იშვიათად თუ ვისმეს სავსებით ესმოდა. თავის თავად იგულისხმება, რომ ამწერლებშიაც იყვნენ თითო ოროლა პირნი, რომლებმაც სავსებით შეიგ-

ნეს აღწერის აზრი და მნიშვნელობა და თავის მოვალეობას-სინდისიერათ შეასრულეს. სამწუხაროთ, ასეთების რიცხვი მცირე იყო.

მეორე მხრით საჭიროა აღვნიშნოთ ის, რომ მცხოვრებლები ყველა კითხვებზე როდი იძლეოდენ ტყუილ ცნობებს, მით უფრო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სინამდვილის გამოაშკარავება მათთვის უფრო სასარგებლო იყო, ვინემ საზიანო. ასეთი იყო, მაგ., საკითხი მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. მხოლოდ უნებლიეთ შეცდომით თუ მისცემდა ვინმე ტყუილ ცნობებს მცხოვრებთა რაოდენობაზე, თორემ მოფიქრებით და განზრახ არა შემთხვევაში. ამიტომ ცნობები სოფლის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ უთუოდ სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს, და ისინი სავსებით მისაღებია. ეს არ შეიძლება ითქვას დათესილ მიწების და კიდევ უფრო შინაურ ოთხფეხ ცხოველების შესახებ. ამ უკანასკნელ დარგში მცხოვრებლები უმეტეს ნაწილათ არ იძლეოდენ სწორ ცნობებს, ერთი სიტყვით, აქ ისინი ტყუილ ცნობებს გვაწვდიდენ. მაგრამ ტყუილსაც თავის საზღვარი აქვს. არის სხვადასხვა საშუალება ტყუილ ცნობების გამოსააშკარავებლათ იქ, სადაც ისინი ამ საზღვარს სცდებიან. ავიღოთ მაგ., ნათესის და შინაური საქონლის რაოდენობა. უმეტეს ნაწილათ ამ ორ საგანს შორის მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა უმეტეს ნაწილათ, თუ სოფლის ოჯახს მრავალი ხარ-კამეჩი ყავს, მას ნათესიც ბევრი ექნება და პირიქით და აი ის, ვინც ცნობებს იძლეოდა, ორივე საკითხში ერთნაირათ ვეთ მოიტყუილებდა, და ერთობ ხშირი იყო ამის გამო თავის წინააღმდეგობა, და ასეთ შემთხვევაში კი სინამდვილის გაგება ადვილდებოდა.

მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისეთი ტყუილი ცნობების მოწოდება, რომლებიც სინამდვილეს სრულიად ეწინააღმდეგებოდეს, ყოვლად წარმოუდგენელია. ასე, მაგ., ორი უღელი ხარის მაგიერ ამბობდენ ერთ უღელს ან უღელ ნახევარს, მაგრამ ორი უღელი ხარ-კამეჩის ილაგეს ცალი უღელი ხარი ეჩვენებიათ ან სრულებით არა,—ეს შეუძლებელია. ასევე ითქმის ნათესის შესახებაც. ამნაირათ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ დასახელებულ საგანშიაც მცხოვრებლების ჩვენება ასე თუ ისე სინამდვილეს უახლოვდება. კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენათ, ახლოა ეს ცნობები სინამდვილესთან. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირუტყვის და ნათესის შესახებ ხალხი ზოგიერთ შემთხვევაში სანახევროდ ამბობდა მართალს ე. ი. ორი დღიური ნათესის ან ორი უღელი ხარ-კამეჩის მაგიერ აჩვენებდენ ერთ დღიურს, ან ერთ უღელ ხარ-კამეჩს. ჩვენის აზრით

ასეთ შემხვევათა რიცხვი უფრო ნაკლები იყო. უმეტეს ნაწილად სინამდვილეს ამცირებდენ ან ერთი მეოთხედით, ან ერთი მესამედით. მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ მცხოვრებთა ერთი ნაწილი, თუმც ძალიან მცირე შედარებით, როგორც ნათესების, ისე საქონლის შესახებაც ნამდვილ და სწორ ცნობებს იძლეოდენ. ყველა ზევით ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლიან შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ სამეურნეო მასალების აღწერის შესახებ:

1) ცნობები მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ სწორეა და თუ უხვევს სინამდვილეს ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს 1—2 პროც., 2) ცნობები ნათესის და შინაური ოთხ-ფეხი საქონლის შესახებ შემცირებულია, სინამდვილესთან შედარებით დაახლოვებით არა უმეტეს 20—25 პროც.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ შემთხვევაში რომელიმე მთელი რაიონის, მაზრის ან გუბერნიის მთელი ჯამი და არა კერძო შემთხვევები.

ასეთ შესწორების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო აღწერა მეტად ძვირფას მასალას იძლევა ჩვენი სოფლის მეურნეობის შესახებ. ამ მასალების დამუშავების და აგრეთვე ზოგიერთ ცნობების შესახებ ჩვენ შემდეგ წერილში გვექნება ლაპარაკი.

ბაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ.
27 სექტემბერი № 214.

# სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავების გამო.

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ სამეურნეო აღწერის მასალების ღირებულებას და მნიშვნელობას და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი სოფლის დღევანდელი ეკონომიური ვითარების გამოსარკვევათ და შესასწავლათ ეს მასალები საკმარისათ ძვირფას ცნობებს იძლევიან. მაგრამ თავის თავათ იგულისხმება, რომ, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა ამ ცნობებისა სავსებით დამოკიდებულია თვით მასალების დროიანათ დამუშავებაზე. დაუმუშავებელი სტატისტიკური მასალა, როგორი ღირსებისაც არ უნდა იყოს იგი, წარმოადგენს მხოლოდ კერძო ფაქტების გროვას, სადაც ყველაფერია, მაგრამ არაფერი ჩანს. დამუშავებამ უნდა აასხას ეს დაქსაქსული ფაქტები ერთ რგოლზე, აღმოაჩინოს მათში მჭიდრო შინაგანი კავშირი, შეუფარდოს მსგავს, ანალოგიურ ფაქტებს და ნათლათ და მკაფიოთ წარმოგვიდგინოს თვალწინ ყველა ის სოციალურ-ეკონომიური მოვლენები, რომლებსაც დღეს ადგილი აქვს სოფლათ. აქედან ჩვენ დავინახავთ, თუ სად, როგორ ან რით ცხოვრობს ჩვენში სოფლის ხალხი, განსაკუთრებით გლეხ-კაცობა, სად, რომელ კუთხეში ან მაზრაში მეურნეობის რომელი დარგია უფრო გავრცელებული, სად საკუთარ მიწაზე აწარმოებს გლეხობა მეურნეობას და სად საიჯარო მიწაზე და სხვ. და სხვ. შეგროვილი მასალა გვიხატავს მხოლოდ დღევანდელ მდგომარეობას, სტატიკას; რომ ამგვარივე აღწერა მომხდარიყო წინეთაც ან ორი-სამი წლის უკან მაინც, მაშინ ჩვენ გავიგებდით იმ ცვლილებასაც, რომელიც დღეს სოფლად ხდება, მაგრამ ეს არ არის, დღევანდელი აღწერის მასალები გამოდგება მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობის დასაფასებლათ. ამიტომ თავის-თავათ იგულისხმება, რომ სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავება რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოხდეს. თუ ეს დამუშავება დაგვიანდა, იმ შემთხვევაში ის მასალები დაკარგავენ ყველივე პრაქტიკულ მნიშვნელობას და იმათ მხოლოდ ისტორიული შნიშვნელობა-ღა თუ შერჩება.

სამწუხაროთ, ამ მხრივ ვერაფერს სანუგეშოს ვხედავთ ჯერ ჯერობით. რუსეთში, რა თქმა უნდა, უკეთ არის საქმე. ჯერ ერთი ის, რომ იქ სათავეში უდგანან საერობო თვითმართველობანი; მეორე კი როგორც აღწერას, ისე დამუშავებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი სტატისტიკოსები. სულ სხვა პირობებია ჩვენში. ჯერ ერთი ის, რომ აქამდის არავინ იცის, სად მოხდება ამიერკავკასიის მასალების დამუშავება: ადგილობრივ თუ პეტერბურგში? მართალია, ადგილობრივმა მთავრობამ უკვე აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ადგილობრივათ იქნას დამუშავებული აღწერის მასალები, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არაფერი ისმის. მაგრამ რომც დააკმაყოფილონ ეს შუამდგომლობა, ამით საკითხი მაინც არ გადაწყდება, ვინაიდან ძნელია იმის თქმა, აღმოჩნდება თუ არა ადგილობრივ იმდენი ძალა, რომელიც ამ მასალების დამუშავებას შესძლებს. თვით იმ თათბირის დიდი უმრავლესობა, რომელზედაც გადაწყდა შუამდგომლობის აღძრა შეგროვილი მასალების ადგილობრივ დასამუშავებლათ, მოხელეებისაგან შესდგებოდა, რომლებიც ძლიერ შორს დგანან სტატისტიკისაგან. მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ ამას წინათ თფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ თითქო გადასწყვიტა სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავება თფილისის გუბერნიაში. ჩვენ არ ვიცით, თუ რათ დასჭირდა თფილისის თავად-აზნაურობას ხსენებული მასალა ან მისი დამუშავება. ყოველ შემთხვევაში ეს საკუთარი მისი საქმეა, და ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ თავად-აზნაურობა ამ შემთხვევაში ისეთ საქმეს კიდებს ხელს, რომლისთვისაც იგი ყველაზე ნაკლებათ გამოდგება. აქ საჭიროა მეცნიერულათ მომზადებული სტატისტიკური ძალები, აღჭურვილნი ფართო გამოცდილებით საზოგადოებრივ ასპარეზზე. ასეთ ძალებს კი თავად-აზნაურობა თავის გარშემო ვერ შემოიკრებს, და ამიტომ თფილისის თავად-აზნაურობის განზრახვა სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავების შესახებ კიდეც რომ განხორციელდეს, შესაფერ ნაყოფს ვერ მოიტანს.

ამნაირათ, მდგომარეობა ასეთია: საქმის ინტერესი თხოულობს, რომ აღწერის მასალების დამუშავება რაც შეიძლება დაჩქარდეს და იგი ადგილობრივ მოხდეს. მაგრამ ამას წინ ეღობება რამდენიმე გარემოება. აღწერის ცენტრალური ბიურო კავკასიაში, რომელიც ამ საქმეს სათავეში უდგას და განაგებს, განმარტოებულია, მას არა აქვს თითქმის არავითარი დამოკიდებულება ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებთან და იმავე დროს

არც საკუთარი ძალა აქვს, რათა ზევიდან ნაკარნახევი საქმე სასურველათ დააბოლოვოს. წავიდა ის დრო, როცა ასეთი საქმე დახშულ კანცელარიებში სრულდებოდა. ცენტრალური ბიუროც უნდა დარწმუნებული იყოს იმაში, რომ საზოგადოებრივ ძალთა დაუხმარებლათ სამეურნეო აღწერის საქმის სასურველათ დაბოლოვება არა თუ გაძნელდება, არამედ პირდაპირ შეუძლებელიც შეიქნება.

ჩვენ ალბათ შეგვეკითხებიან: მაშ როგორ და რა საშუალებით უნდა მოხდეს ხსენებული სტატისტიკური მასალების დამუშავება ადგილობრივ, თუ ამ საქმისათვის არც ცენტრალური ბიურო გამოდგება და არც თავად-აზნაურობა? ვის უნდა დაეკისროს ეს საქმე და სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? ჩვენი აზრით აქ არის მხოლოდ ერთათ-ერთი გამოსავალი, და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ბოლოს ეს მაინც ასე მოხდება. სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავება დარჩება ისევ იმავე დაწესებულების ხელში, რომელიც ჩვენში თვით ამ აღწერას ხელმძღვანელობდა, ე. ი. ეს საქმე მიენდობა ისევ ცენტრალურ ბიუროს. თუ ეს ასე მოხდა, იმ შემთხვევაში ხსენებულმა ბიურომ უთუოთ ორი პირობა უნდა შეასრულოს. ერთი ის, რომ სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავება უნდა მოხდეს იმ სისტემით და იმ პირობით, რომელიც მიღებულია ამავე მასალების დასამუშავებლად საერობო გუბერნიებში. მეორე, ბიურომ ყოველგვარი ზომა უნდა იხმაროს, რომ შესძლოს ადგილობრივ სტატისტიკური ძალების გამონახვა და თავის მოყრა. ამისათვის მან უნდა მოიწვიოს სტატისტიკური თათბირი, შემდგარი ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეთა და სტატისტიკოსებისაგან, რომელზედაც სხვათა შორის უნდა გაირჩეს ის საკითხიც, თუ რა და რა ცვლილება უნდა იქნას შეტანილი ადგილობრივ პირობების მიხედვით იმ პროგრამაში, რომელიც საფუძვლად დაედება ადგილობრივ მასალების დამუშავებას.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ დასახელებულმა ბიურომ თავიდან აიცდინოს შეცდომები და უარყოს ბიუროკრატიულათ საქმის მოგვარება, რაც ამ შემთხვევაში მაინც დასაშვები არ არის. და ეს მით უფრო, რომ ჩვენ თვალწინ გვიდგას საერობო რუსეთის მაგალითი, სადაც როგორც აღწერა, ისე აღწერის მასალების დამუშავება ხდება საზოგადოებრივი ძალების შემწეობით.

აი ერთათ ერთი გზა, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო შესაფერისათ დღევანდელ ჩვენ პირობებში. შეიძლება სხვა უფრო სწორი გზა არსებობდეს. საჭიროა გვიჩვენონ ისიც. მხოლოდ ერ-

თი. რამ უნდა აღვნიშნოთ აქ. სტატისტიკა საზოგადოებრივი მეცნიერების ერთი დარგია, რომელიც თანდათან წინ მიდის და ვითარდება. ჩვენი სურვილია. მხოლოდ ის, რომ სამეურნეო აღწერის მასალების დამუშავება ჩვენში მოხდეს თანახმათ იმ მეცნიერული მეთოდებისა, რომელიც დღეს დამყარებულია სტატისტიკაში საერთოთ და სამეურნეო სტატისტიკაში კერძოდ.

აქამდის ჩვენ არა გვაქვს სტატისტიკა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. არსებობს სხვადასხვა გვარი სტატისტიკური ცნობები, რომლებსაც ვინ იცის, რა გზით კრებს ადმინისტრაცია. ამიტომაც არის, რომ ამ ცნობებს, ვისაც როგორ უნდა, ასხვაფერებენ და ხცვლიან. ამიტომ ამ ცნობებს არავინ აფასებს და მათ არც ანგარიშს უწევენ. და ეს იმიტომ, რომ ცნობებს თითქმის არავითარი მტკიცე საფუძველი არა აქვს. პირველი სამეურნეო აღწერით, რომელიც წელს მოხდა, იყრება ნამდვილი საფუძველი მეცნიერული სტატისტიკისთვის ჩვენში. ეს აღწერა ჩვენ მოგვცემს ისეთ ცნობებს, რომლებსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ამით აიხსნება ის, თუ რათ ვთხოულობთ ჩვენ ამ მასალების დამუშავებაში ასეთ დიდ სიფრთხილეს, ან რისთვის ვაქცევთ მას ასეთ დიდ ყურადღებას.

გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ.
28 სექტემბერი № 215.

# ზოგიერთი ახალი სტატისტიკური ცნობები თფილისის გუბერნიის შესახებ.

1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ზოგიერთი უფრო საერთო ხასიათის ცნობების ჯამები თფილისის გუბერნიისათვის უკვე მზათაა. ეს ცნობები შეიცავენ: სოფლის მცხოვრებთა, შინაური ოთხფეხი საქონელის და დათესილ მიწების რაოდენობას საერთოთ 1916 წლის ზაფხულზე. ჩვენ ხელთ გვაქვს ასეთი ცნობები **გორის, სიღნაღის** და **თელავის** მაზრების შესახებ. მართალია, დასახელებული ცნობები სრული არაა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ აღწერა სრულებით არ შეხებია ქალაქებს. გარდა ამისა, ის ცნობები, რომლებიც ჩვენ ხელში გვაქვს, არ ეხებიან მცხოვრებთა დაყოფას ეროვნებათა მიხედვით,—ჩვენ გვაქვს მხოლოდ საერთო რაოდენობა.

დასასრულ, ჩვენი ცნობები შეიცავენ მხოლოდ საგლეხო ტიპის ოჯახებს; მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ კაპიტალისტურ მეურნეობათა რიცხვი ჩვენში შედარებით ძლიერ მცირეა; ამიტომ საერთო სურათზე ეს დანაკლისი დიდ გავლენას ვერ იქონიებს. ყოველ შემთხვევაში, ცნობები, რომლებიც ჩვენ განკარგულებაშია, საკმარისათ საინტერესო სურათს გვიხატავენ, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეზიარებინა ისინი ჩვენი მკითხველებისათვის. ჩვენ ვყოფთ ამ წერილს სამ თავათ. პირველი თავი ეხება მცხოვრებთ, მეორე შინაურ ოთხფეხ საქონელს და მესამე დათესილ მიწების რაოდენობას დასახელებულ სამ მაზრაში.

## I. მცხოვრებნი.

1916 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით საგლეხო ტიპის *) ოჯახთა რაოდენობა უდრიდა:

მაზრებში:

| | |
|---|---|
| გორის | —32,712. |
| სიღნაღის | —21,974. |
| თელავის | —11,933. |
| ს უ ლ | —66,619. |

*) თუ რა იგულისხმება საგლეხო ტიპის ოჯახში, ამის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა წინა წერილში, იხ. „თანამედროვე ახრი“ № 211.

ამ რიგად გორის მაზრა საგლეხო ტიპის ოჯახთა რაოდენობით თითქმის სამჯერ მეტია, ვიხე ამ თელავის და ერთი მესამედით მეტი, ვინემ სიღნაღის.

ამავე მაზრებში მცხოვრებთა რაოდენობას გვიხატავს შემდეგი ცხრილი:

| მაზრები | მამაკაცები | დედაკაცები | ს უ ლ |
|---|---|---|---|
| გორის | 96,750 | 103,331 | 200,081 |
| სიღნაღის | 57,028 | 56,649 | 113,777 |
| თელავის | 30,235 | 30,697 | 60,932 |
| ს უ ლ | 184,013 | 190,777 | 374,790 |

მკითხველმა უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ აქ არ შედის ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა (სიღნაღის, გორის და თელავის) და აგრეთვე კაპიტალისტურ ოჯახთა მცხოვრებნი. აქედან თითოეულ ოჯახზე საშუალოთ მოდის:

| | |
|---|---|
| გორის მაზრაში | 6,1 სული |
| სიღნაღის | 5,2 |
| თელავის „ | 5,1 „ |
| სამივე მაზრაში | 5,6 „ |

ამნაირათ თუ ჩვენ ვხედავთ, რომ დასახელებულ სამი მაზრიდან საშუალო ოჯახის შემადგენლობა ყველაზე უფრო დიდია გორის მაზრაში, ანუ ქართლში; კახეთში (სიღნ. და თელ. მაზრაში) საშუალო ოჯახი თითქმის ერთი სულით ნაკლებია. კერძოთ, გორის მაზრაში ჩვენ ვნახეთ ოჯახები, რომლებშიაც ირიცხებოდა 30 წევრზე მეტი, ე. ი. პირდაპირ პატრიარქალური ოჯახები.

რა თქმა უნდა, ზევით მოყვანილი ცნობები მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, აღებულნი თავის თავად, ბევრს არაფერს გვეუბნება. საჭიროა იმათ დავუპირდაპიროთ წინა წლების ცნობები. ამიტომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა მივმართავთ **1897 წლის საყოველთაო აღწერის** ცნობებს. თუ გამოვაკლებთ ქალაქების მცხოვრებთა რიცხვს, დასახელებულ მაზრაში 1897 წლის დასაწყისში ირიცხებოდა:

| მაზრები: | მამაკაცები | დედაკაცები | ს უ ლ |
|---|---|---|---|
| გორის | 97.730 | 83.469 | 181.199 |
| სიღნაღის | 49.467 | 41.632 | 91.099 |
| თელავის | 28.393 | 24.946 | 53.339 |
| ს უ ლ | 175.590 | 150.047 | 325.637 |

1916. და 1897 წლების ცნობების შედარება *) გვეუბნება აი რასთითქმის ოცი წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამ უმთავრეს მაზრაში მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 325.637 სულიდან ასულა 374.790-მდე, ე. ი. მოუმატნია 49.153 ანუ 15 პროც. ამნაირათ ორთაშუა რიცხვით წლიური მატება უდრის დაახლოებით 2.587 სულს (49.153:19) ანუ 0,8 პროც. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს საკმარისათ სუსტი ზრდაა. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ ამ ზრდის დასუსტებაში დიდი როლი უნდა ეთამაშნა დღევანდელ ომს. მართლაც, თუ ავიღებთ მამაკაცების და დედაკაცები რაოდენობას ცალ-ცალკე და ამნაირათ შევადარებთ 1916 და 1897 წლის ცნობებს, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მამაკაცების რაოდენობას მოუმატია მხოლოდ 8.423 ანუ გაზრდილა 4,8 პროც., მაშინ როცა დედაკაცების რიცხვს მოუმატნია 40.730, ანუ 27,2 პრ., ე. ი. დაახლოებით 5 ნახ.-ჯერ უფრო მეტი, ვინემ მამაკაცების რიცხვი. ერთი სიტყვით, აქედან ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ დასახელებულ მაზრებში მამაკაცების რაოდენობის ზრდა დიდათ შეფერხებულა. ამასვე ამტკიცებენ ადმინისტრაციის ცნობები 1914 წლისათვის. თანახმად ამ ცნობებისა 1914 წლის პირველ იანვარს ირიცხებოდა:

| მაზრები | მამაკაცები | დედაკაცები | სულ |
|---|---|---|---|
| გორის | 110279 | 99780 | 210059 |
| სიღნაღის | 64743 | 58924 | 123666 |
| თელავის | 39563 | 35266 | 74829 |
| ს უ ლ | 214584 | 193970 | 408554 |

თუ ამ ცნობებს შევადარებთ 1916 წლის ცნობებს, გამოვა შემდეგი: 1) მცხოვრებთა საერთო რიცხვს სამ დასახელებულ მაზრაში 17 წლის განმავლობაში (1897—1914) მოუმატნია 82.917 ანუ 25,5 პროც., კერძოთ ცალ-ცალკე სქესებისთვის ეს მომატება გამოიხატება: მამაკაცებისთვის 38.994 ანუ 22,2 პროც., დედაკაცებისათვის 43.923-ით, ანუ 29,3 პროც.. მაშასადამე, ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. 1897—1914 წლებში მამაკაცებს საკმარისაო ძლიერ უმატნია, თუმც დედაკაცების რიცხვთან შედარებით მაინც უფრო ნაკლებათ. ორთა შუა რიცხვით წლიური ზრდა მცხოვრებთა საერთო რიცხვისა უდრის 4877 ანუ 1,5 პროც. 2) ავიღოთ

*) მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ 1916 წლის ცნობები რამდენიმეთ შემცირებულია იმის გამო, რომ აქ არ შედის კაპიტალისტურ ოჯახთა მცხოვრებნი; მაგრამ ვინაიდან ამ უკანასკნელთა რაოდენობა შედარებით მცირეა, საერთო სურათი სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება.

ახლა 1916 და 1914 წლების ცნობები და შევადაროთ ერთმანეთს. ამ შედარებიდან ჩვენ დავინახავთ, რომ ორი წლის განმავლობაში დასახელებულ მაზრებში სოფლის მცხოვრებთა რაოდენობას საკმარისათ საგრძნობლათ დაუკლია, სახელდობრ, საერთო რიცხვს მოუკლია 33.764 ანუ 8,3 პროც., კერძოთ მამაკაცების რიცხვს დაუკლია 30. 571 ანუ 14,3 პროც., დედაკაცებისას კი მხოლოდ 3,193 ანუ 1,7 პროც.-აქ გაუგებარია განსაკუთრებით ის გარემოება, თუ რამ გამოიწვია დედაკაცების რაოდენობის დაკლება, თუმცა ეს დაკლება შედარებით სრულებით მცირე რამეს შეადგენს. ჩვენთვის ადვილათ წარმოსადგენია და სრულებით ბუნებრივათაც ეხდა მივიღოთ მამაკაცების რაოდენობის შემცირება ამ საშინელი ომიანობის დროს. ამ მხრით ადმინისტარციის მიერ შეკრებილი ცნობები უთუოდ უახლოვდებიან სინამდვილეს, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი სწორი არაა. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაშიაც გამოსჩვივა ნამდვილი ტენდენცია. საქმე იმაშია, რომ ომის გამო მცხოვრებთა რაოდენობამ შესამჩნევათ დაიკლო, და ეს დაკლება საესებით მამაკაცებს დააწვა. მაგრამ ჩვენ უნდ ვიცოდეთ, რომ კაპიტალისტურ ხანაში ერთობ შეუჩერებლათ ხდება სოფლის მცხოვრებთა შედარებითი შემცირება, რაც გამოწვეულია ქალაქების და საერთოთ საალებ-მიცემო და სამრეწველო ცენტრების სწრაფი ზრდით. და ცნობილია, რომ სოფლიდან უმეტეს ნაწილათ მამაკაცები მიდიან.

ამნაირათ, ზევით მოყვანილ სტატისტიკური ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ თფილისის გუბერნიის სამ დასახელებულ მაზრაში ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში სოფლის მცხოვრებთა რიცხვი მეტათ ნელი ტემპით გაზრდილა; ამავე დროს თუ ჩვენ დაუჯერებთ ადმინისტრაციის ცნობებს 1914 წლისთვის, ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ეს რიცხვი საგრძნობლათ შემცირებულა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შემცირება უმთავრესად მამაკაცებს ეხება.

ავიღოთ ახლა ეს მაზრები ცალ-ცალკე და შევადაროთ 1897 და 1916 წლის ცნობები. აქედან ჩვენ დავინახავთ, რომ მცხოვრებთა საერთო რაოდენობას მოუმატნია.

| | | | |
|---|---|---|---|
| გორის მაზრაში | 18.882 | ანუ | 10,5 პროც. |
| სიღნაღის | 22.678 | | 24,9 |
| თელავის | 7.593 | | 14,2 |

მაშასადამე, როგორც აბსოლიუტურათ, ისე შედარებითაც უფრო ძლიერ მოუმატნია მცხოვრებთა რაოდენობას სიღნაღის მაზრაში, შემდეგ თელავისაში; უკანასკნელი ადგილი უჭირავს ამ მხრით გორის მაზრას.

რამდენიმეთ საინტერესოა 1916 წლის და 1914 წლის ადმინისტრაციის ცნობების შედარება, რომლის თანახმათ მცხოვრებთა რაოდენობას მოუმატნია:

| | | |
|---|---|---|
| გორის მაზრაში | 28.860 | ანუ 15,9 პროც. |
| სიღნაღის | 32.567 | 35,8 |
| თელავის | 21.490 | 40,3 |

ამ შემთხვევაში პირველობა ეკუთვნის უკვე თელავის მაზრას, თუ ზრდის პროც. ავიღებთ; მეორე ადგილი უჭირავს სიღნაღის მაზრას, თუმც აბსოლიუტურ რაოდენობას თუ ავიღებთ, იგი. პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. მაგრამ საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ გორის მაზრას ამ შემთხვევაშიაც უკანასკნელი ადგილი უჭირავს. საერთოთ კი ორივე წყაროს ცნობები თითქმის ერთ და იმავე ტენდენციას გვიხატავენ. ახლა ჩვენთვის საჭიროა გამოვარკვიოთ მატება თუ დაკლება მცხოვრებთა რაოდენობისა თითეულ დასახელებულ მაზრაში სქესების მიხედვით. რომ საკითხი არ გართულდეს, ავიღოთ ეს დაკლება თუ მომატება მხოლოდ პროცენტებზე. აქ ჩვენ ერთმანეთს უპირდაპირებთ 1897 და 1916 წლების ცნობებს. ამისათვის ჩვენ მოგვყავს შემდეგი ცხრილი, რომელიც გვაჩვენებს მამაკაცების და დედაკაცების რიცხვის მატებას თუ დაკლებას თითეულ მაზრაში:

| | მამაკაცობა | დედაკაცობა |
|---|---|---|
| მაზრები: | მატ. (+) თუ დაკლება (—) | მატ. (+) თუ დაკლება (—) |
| | პროც. | პროც. |
| გორის | — 1,0 | + 23,8 |
| სიღნაღის | +15,3 | +36,3 |
| თელავის | 6,5 | 23,1 |

ამნაირათ, სამივე მაზრაში დედაკაცების რიცხვი გაცილებით უფრო იზრდება, ვინემ მამაკაცების; მაგრამ უფრო შესამჩნევია ეს ზრდა სიღნაღის მაზრაში. დანარჩენ ორ მაზრაში დედაკაცების რიცხვს თითქმის ერთნაირი ტემპით უმატნია. რაც შეეხება მამაკაცების რიცხვის ზრდას შედარებით ეს უფრო თვალსაჩინოა იმავე სიღნაღის მაზრაში, შემდეგ თელავისაში, ხოლო გორის მაზრაში მას თითქო კიდევაც უკლია, არა თუ უმატნია.

ყოველივე ეს, როგორც ზევითაც ვამბობდით, მჭიდროთ შეკავშირებულია საერთოთ იმ სოციალ-ეკონომიურ მოვლენასთან, რასაც სოფლის

დაცალიერება ეწოდება და რაც იწვევს თანამედროვე ქალაქების ზრდას და კერძოთ დღევანდელ ომთან. საინტერესოა აქ განსაკუთრებით ის გარემოება, რომ, როგორც ზევით მოყვანილი სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებენ, დედაკაცების რიცხვი ქართლ-კახეთის სოფლებში ამ ჟამათ შედარებით იზრდება. ეს მოვლენა აიხსნება არა მარტო მამაკაცების ომში გაძლიერებული გაწვევით, არამედ იმითაც, რომ ქართლ-კახეთის სოფლებში დედაკაცები ჯერ კიდევ მაგრათ არიან მიჯაჭვული სახლის კერასთან, რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ გამოთხოვებულან ცხოვრების ძველ წესებს და ზნე-ჩვეულებათ, რომ საერთო კულტურული დონე ჯერ აქ კიდევ დაბლა დგას. ეტყობა, ქართლ-კახეთის დედაკაცებს ჯერ კიდევ ვერ დაუხწევიათ თავი ძველებურ, პატრიარქალურ კარჩაკეტილობისათვის.

ვნახოთ ახლა, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრით რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. 1914 და 1916 წ.წ. ცნობების შედარება გვეუბნება, რომ 45 გუბერნიაში სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 93,2 მილიონიდან 1914 წ. ჩამოსულა 73,6 მილიონამდე 1916 წელს, ე. ი. ორ ნახევარ წლის განმავლობაში დაუკლია 12,6 მილ., ანუ 21 პროცენტი. სამწუხაროთ, იმ წყაროში *), რომლიდანაც ჩვენ ეს ცნობები ამოვიღეთ, მამაკაცების და დედაკაცების რიცხვი ცალ-ცალკე არ არის ნაჩვენები. მაგრამ მეორე მხრით იქ ნაჩვენებია, რომ დასახელებულ გუბერნიებში მამაკაცების რიცხვს დაუკლია 28,7 პროცენტი და დედაკაცებისას კი 14 პროცენტი, ესე იგი, ორჯერ ნაკლებ, ვინემ მამაკაცებს. საინტერესოა ის, რომ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში სოფლიდან ქალაქისაკენ დენა დამახასიათებელი მოვლენაა არა მარტო მამაკაცებისათვის, არამედ დედაკაცებისათვისაც. და თუ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში დედაკაცების რიცხვს დაუკლია იქ მხოლოდ 14 პროცენტს და მამაკაცებისას კი 28,7 პროცენტს, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ომში მხოლოდ მამაკაცებს იწვევენ. ყოველ შემთხვევაში ერთი გუბერნიის 3 მაზრის ცნობების მიხედვით საზოგადო დასკვნების გამოყვანა შეიძლება ნაადრევია, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ რუსეთის სოფლის დედაკაცები ბევრათ უფრო უძრავია და ბევრათ უფრო განიცდის პატრიარქალურ ურთიერთობის ტრადიციების ზეგავლენას. სტატისტიკაც სწორეთ ამას ამტკიცებს.

ახლა გადავიდეთ სქესების ურთიერთ დამოკიდებულებაზე რაოდენობის მხრით. რას გვეუბნებიან ამის შესახებ სტატისტიკური ცნობები?

*) გაბ. „რუს. ვედ.", 1916 წ. სექტემბერი. იხ. ოგანოვსკის წერილები სამეურნეო აღწერის შესახებ.

უკვე ზევით მოყვანილ ცნობებიდან მკითხველი მიხვდებოდა, რომ ამ უკანასკნელ დროს თფილისის გუბერნიის სამ მაზრაში (გორის, სიღნაღის და თელავის) დედაკაცების რიცხვი საკმარისათ სჭარბობს მამაკაცების რიცხვს. ასე, მაგ., სამეურნეო აღწერის ცნობებით 1916 წელს გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში თითეულ 1000 მამაკაცზე მოდიოდა 1037 დედაკაცი. სულ სხვა მდგომარეობა იყო ამ ოციოდე წლის წინად, სახელდობ 1897 წ. საყოველთაო აღწერით დასახელებულ მაზრებში თითოეულ 1000 მამაკაცზე მოდიოდა მხოლოდ 854 დედაკაცი, ე. ი. 183 დედაკაცით ნაკლები, ვინემ დღეს. ამრიგათ, სქესის ურთიერთი დამოკიდებულება რაოდენობის მხრით ქართლ-კახეთის სოფლებში ამ ჟამათ უახლოვდება იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაახლოვებით ამ 15—20 წლის წინათ, სადაც საერთოთ ყოველ 1000 მამაკაცზე მოდიოდა საშუალო რიცხვით 1024 დედაკაცი. თავისთავათ იგულისხმება, რომ ასეთი დამოკიდებულება ევროპაში ამ ჟამათ აღარ არსებობს, ვინაიდან ომის გამო რაოდენობითი დამოკიდებულება მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის დღეს იქ კიდევ უფრო დარღვეულია დედაკაცების კიდევ უფრო მეტი სიჭარბით. თავისთავად იგულისხმება აგრეთვე ისიც, რომ დედაკაცების სიჭარბე ამ ჟამათ ქართლ-კახეთის სოფლებში ნორმალურ, ჩვეულებრივ მოვლენათ არ უნდა ჩაითვალოს. როგორც ზევითაც ვამბობდით, ეს მოვლენა გამოწვეულია არა მარტო ომით, არამედ იმითაც, რომ სოფლიდან ქალაქში დენა გაცილებით უფრო მამაკაცებს ითრევს, ვინემ დედაკაცებს.

კიდევ უფრო ნათლათ მამაკაცების და დედაკაცების ურთიერთ დამოკიდებულებას რაოდენობის მხრით ქართლ-კახეთის სამ მაზრაში გვიხატავს შემდეგი ცხრილი, სადაც შედარებულია 1897 და 1916 წლების ცნობები; სქესების რაოდენობა აბსოლიუტურ ციფრების მაგიერ ნაჩვენებია პროცენტები.

| მაზრები: | 1916 წ. | | | 1897 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მამაკ. | დედაკ. | სულ | მამაკ. | დედაკ. | სულ |
| გორის | 48,2 | 51,6 | 100 | 54,0 | 46,0 | 100 |
| სიღნაღის | 50,1 | 49,9 | 100 | 54,3 | 45,7 | 100 |
| თელავის | 49,6 | 50,4 | 100 | 53,2 | 46,2 | 100 |
| სამივე მაზრ. | 49,1 | 50,9 | 100 | 54,0 | 46,0 | 100 |

ზევით მოყვანილ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ შემდეგს: სამ დასახელებულ მაზრაში 1916 წ. მამაკაცები შეადგენდენ 49,1 პროც. მცხოვრებთა

საერთო რიცხვისას, დედაკაცები კი 50,9 პროცეტს. ამნაირათ, დედაკაცების რიცხვი აღემატებოდა მამაკაცების რიცხვს მხოლოდ 0,9 პროცენტ. სულ სხვა მდგომარეობა იყო ამ 20 წლის წინათ: მაშინ, პირიქით, მამაკაცების რაოდენობა შეადგენდა 54 პროცენტს, დედაკაცების კი მხოლოდ 46 პროც. თუ რამ გამოიწვია ასეთი ძირითადი ცვლილება, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზევით. ყოველ ეჟვს გარეშეა, რომ ამ ცვლილებაში ომმა ითამაშა და თამაშობს უძლიერესი ფაქტორის როლს; მაგრამ ეს არ არის გამოწვეული მარტო ომით. ამ მხრით საკმარისათ საგულისხმიერია 1914 წლის ცნობები, ესე იგი იმ დროს, როცა ომი ჯერ კიდევ გამოცხადებული არ იყო. 1913 წლის ბოლოს, თანახმათ ადმინისტრაციის მიერ შეკრებილი ცნობებისა მამაკაცების და დედაკაცების რაოდენობითი ურთიერთობა გამოიხატებოდა პროცენტებათ:

| მაზრები: | მამაკაცები | დედაკაცები | ს უ ლ |
|---|---|---|---|
| გორის | 52,5 | 47,5 | 100 |
| სიღნაღის | 52,3 | 47,7 | 100 |
| თელავის | 52,9 | 47,1 | 100 |
| სამივე მაზრაში | 52,5 | 47,5 | 100 |

მაშასადამე, ჯერ კიდევ ომამდე შემცირებულა დასახელებულ მაზრებში შედარებით მამაკაცების რიცხვი, ე. ი. 54 პროც, 1897 წელს იგი დასულა 52,5 პროც., 1914 წელს, ე. ი. 17-წლის განმავლობაში მოუკლია სულ 1,5 პროც., მაშინ, როცა შემდეგი ორი წლის განმავლობაში (1914-1916) მოუკლია უკვე 3,4 პროც., დასასრულ, 1916 წლის აღწერა იძლევა აგრეთვე ცნობებს მომუშავე მამაკაცების და დედაკაცების შესახებ სოფლათ 1916 წლის ზაფხულისთვის. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მომუშავეთ ითვლებოდა ყველა ის, ვისაც შრომა შეეძლო მიუხედავათ ასაკისა, დაწყებული 10—12 წლიდან და გათავებული 60-70 წლით.

ასეთ მომუშავეთა საერთო რიცხვი სამ დასახელებულ მაზრაში შეადგენდა 168,977, ანუ მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 45,1 პრ., აქედან მომუშავე მამაკაცთა რაოდენობა უდრიდა 84,669, რაც შეადგენს მამაკაცების საერთო რიცხვის 46 პროც., მომუშავე დედაკაცების საერთო რიცხვი შეადგენდა 84,308 ანუ დედაკაცების საერთო რიცხვის 44,2 პროც. ამნაირათ, თითოეულ 100 მომუშავე მამაკაცზე მოდიოდა ორთა შუა რიცხვით 99,6 დედაკაცი. საინტერესოა ამ ცნობებს დაუპირდაპირთ ანალოგიური ცნობები რუსეთის სოფლების შესახებ. მცხოვრებთა მომუშავე

ნაწილის შესახებ. ცნობები გამოქვეყნებულია მხოლოდ რვა გუბერნიის შესახებ, რომლებშიაც სამეურნეო აღწერის დროს აღნუსხულ იქნა 2,3 მ. მუშა-მამაკაცი და 3,9 მილ. მუშა დედაკაცი. აქედან თითეული 100 მომუშავე მამაკაცზე მოდის 170 მუშა დედაკაცი. რუსეთის ზოგიერთ ცენტრალურ გუბერნიებში მომუშავე დედაკაცების რიცხვი კიდევ უფრო მეტია; ასე, მაგ., იაროსლავის გუბერნიაში თითოეულ 100 მუშა მამაკაცზე მოდის 222. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ომიანობამდის ვიატკის და სიმბირსკის გუბერნიებში, ე. ი. 1910-1912 წლებში, თითოეულ100 მუშა მამაკაცზე ითვლებოდა 112 მუშა დედაკაცი; 1916 წლის აღწერით კი მიდიოდა 163. ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ თანახმად ზევით მოყვანილ ცნობებისა ომმა ძალზე შეამცირა რუსეთის სოფლებში მუშა-მამაკაცების რაოდენობა. მეორე მხრით, ჩვენში კი, როგორც დავინახავთ, დღესაც ორთავე სქესის მომუშავეთა რიცხვი თითქმის თანატოლია და რამდენათაც არის ჯერ კიდევ თითქო მამაკაცების რიცხვი ჭარბობს. უეჭველია, რომ ეს უკანასკნელი გარემოება გამოწვეულია არა დედაკაცების ნაკლებობით ჩვენში, არამედ უფრო იმ კარჩაკეტილებით და პატრიარქალურ ტრადიციების ზეგავლენით, რომლებიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. საინტერესოა აქვე გავარკვიოთ, თუ თითეულ მაზრაში ცალ-ცალკე რა დამოკიდებულება არსებობს მომუშავე მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის, ერთი მხრით, და იმათ საერთო რიცხვთან, მეორე მხრით. ეს წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში.

| მ ა ზ რ ე ბ ი. | მუშა მამაკაცები | | მუშა დედაკაცები | | თითოეული 100 მუშა მამ. მოდის მუშა დედაკ. |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | პრ. მამაკ. საერ. რიც. | რაოდენობა | პრ. დედაკ. საერ. რიც. | |
| გორის . . | 43009 | 44,5 | 44878 | 42,2 | 103,0 |
| სიღნაღის . . | 26656 | 46,8 | 24362 | 42,9 | 91,4 |
| თელავის . . . | 15004 | 49,6 | 15568 | 51,0 | 104,0 |
| ს უ ლ . . | 84669 | 46,0 | 84308 | 44,2 | 99,6 |

ეს ცხრილი სხვათა შორის გვეუბნება, რომ მომუშავეთა პროც., მცხოვრებთა საერთო რიცხვთან უფრო მაღლა დგას შედარებით სხვა ჰაზრებთან თელავის მაზრაში და ყველაზე უფრო დაბლა გორის მაზრაში. შემთხვევითია ეს მოვლენა, თუ ხანგრძლივი, მუდმივი, ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან სათანადო ცნობები ჩვენ არა გვაქვს.

## II. შინაური ოთხფეხა საქონელი.

თუ მცხოვრებთა შესახებ ჩვენ კიდევ მოგვეპოვება ცოტათ თუ ბევრათ სარწმუნო სტატისტიკური ცნობები, შინაური ოთხფეხი საქონლის შესახებ ეს უკვე არ ითქმის: მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ ჩვენ ვეყრდნობით ისეთ სარწმუნო წყაროზე, როგორიც არის 1897 წლის საყოველთაო აღწერა, მაშინ როცა არც შინაური პირუტყვის შესახებ, არც სხვა ეკონომიურ ფაქტორებზე, ჩვენ დღემდის ამის მსგავსი სრულიად არაფერი არ მოგვეპოვება. როგორც ვიცით, 1916 წლის სამეურნეო აღწერის ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენდა სოფლის მეურნეობის ამ დარგის საფუძვლიანი გამოკვლევა. ერთ წინა წერილში ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, თუ რამდენათ მისაღები და სარწმუნოა შეგროვილი მასალა. ჩვენ ვამბობდით, რომ სრულ სინამდვილეს იგი არ შეიცავს; მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს მასალა რამდენიმეთ მაინც ხდის ფარდას ჩვენი სოფლის სინამდვილეს, და თუ მისი ცნობები სავსებით სწორი არაა, დაახლოვებით ისინი მაინც სწორ სურათს იძლევიან.

ამ საერთო შენიშვნის შემდეგ ჩვენ გადავდივართ თვით საგანზე. ჩვენ ქვემოდ მოგვყავს სამეურნეო აღწერის ზოგიერთი საერთო ცნობები შინაური საქონლის შესახებ თფილისის გუბერნიის სამ მაზრაში.

თავდაპირველათ ჩვენ უფრო მოხერხებულათ მიგვაჩნია შინაური ოთხფეხი საქონელი ხუთ უმთავრეს კატეგორიათ გავყოთ, სახელდობრ: 1) ცხენები; 2) ხარები, ძროხები, ხარ-კამეჩები, ფურკამეჩები, მოზვრები დეკეულებითურთ; 3) ცხვრები და თხები; 4) ღორები და 5) ვირები. ამ დაყოფის მიხედვით საერთო რიცხვი შინაური ოთხფეხი საქონლისა 1916 წლის ზაფხულში უდრიდა:

| | ცხენები. | | ხარები, ძროხები, კამეჩები | | ცხვრები და თხები. | | ღორები. | | ვირები. | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | საერთო რიცხ. % | რიცხვი | საერთო რიცხ. % | რიცხვი | საერთო რიცხ. % | რიცხვი | საერთო რიცხ. % | რიცხვი | საერთო რიცხ. % | |
| გორის . . | 3879 | 1,7 | 113,687 | 50,3 | 81,377 | 36,0 | 27,125 | 12,0 | 54 | 0,0 | 226,122 |
| სიღნაღის . | 6750 | 4,6 | 42,199 | 29,5 | 83,055 | 58,0 | 7,176 | 5,2 | 3767 | 2,6 | 142,947 |
| თელავის . | 2075 | 3,2 | 27,164 | 41,9 | 26,146 | 40,4 | 9,295 | 14,4 | 86 | 0,1 | 64,766 |
| სულ . | 12,104 | 2,9 | 183,050 | 42,2 | 190,578 | 43,9 | 43,596 | 10,1 | 3907 | 0,9 | 433,835 |

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ შინაური პირუტყვის საერთო რაოდენობა სამ დასახელებულ მაზრაში 1916 წლის ივლისის თვეში უდრიდა 433,835. ეს რიცხვი ასე იყო განაწილებული მაზრებათ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორის . . | 226,122 | ანუ | საერ. | რიცხვ. | 52,1 | პროც. |
| სიღნაღის . . | 142,947 | „ | „ | „ | 33,0 | |
| თელავის . . | 64,766 | „ | „ | „ | 14,9 | „ |
| ს უ ლ . | 433,835 | „ | „ | „ | 100,00 | „ |

მაშასადამე, საერთოთ გორის მაზრაში ირიცხებოდა უფრო მეტი შინაური საქონელი, ვინემ ორ დანარჩენ მაზრაში ერთათ.

თუ ახლა ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ შინაური საქონლის რაოდენობას საერთოთ სამივე მაზრაში, ჩვენ დავინახავთ, რომ რაოდენობის მხრით პირველი ადგილი უჭირავს ცხვრებს და თხებს, რომელთა რიცხვი უდრის 190,578 ანუ 43,9 პროცენტს. ამათ მოსდევს სხვილი რქიანი საქონელი (ხარები, ძროხები, კამეჩები და სხ.). სულ სამივე მაზრაში 183,050 ანუ 42,2 პროც. ერთათ ეს ორი კატეგორია შეადგენს 373,628 სულს ანუ საერთო რაოდენობის 86,1 პროცენტს. მესამე ადგილი უჭირავთ ღორებს, სამივე მაზრაში იმათი რაოდენობა უდრის 43,596, რაც შეადგენს 10,1 პროცენტს. მეოთხე ადგილი ეკუთვნის ცხენებს, რომელთა რაოდენობა აღწერით უდრის 12,704 ანუ 2,9 პროც. რაც შეეხება ვირებს, იმათი რაოდენობა სულ უმნიშვნელოა, სახელდობრ 3,907 ანუ საერთო რიცხვის, 0,9 პროც. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ცხენებით ჩვენი ქვეყანა შედარებით ძლიერ ღარიბია, ვინაიდან მეურნეობაში ცხენების მაგიერობას ჩვენში ხარები და კამეჩები ასრულებენ, მაგრამ ცხენების და ვირების დღევანდელი სიცოტავე უმეტეს ნაწილათ რეკვიზიციით არის გამოწვეული.

თავის თავათ იგულისხმება, რომ ყველა მაზრებში სხვადასხვა გვარი საქონელი ერთნაირათ არ არის გავრცელებული. ასე მაგ., თუ ავიღებთ გორის მაზრას, პირველი ადგილი უჭირავს იქ სხვილ-რქიან საქონელს, რომლის რიცხვი აღწერით აღწევს 113,687 სულამდის, რაც შეადგენს ყველა საქონლის 50,3 პროც. ამ მაზრაში. მეორე ადგილი გორის მაზრაში ეკუთვნის ცხვრებს, რომელთა რიცხვი უდრიდა აღწერის დროს დაახლოებით 81,377 ანუ საერთო რიცხვის 36 პროც. უნდა შევნიშნოთ, რომ მეცხვარეობა ამ მაზრაში განსაკუთრებით გავრცელებულია მთა ადგილებში, სადაც უმეტეს ნაწილათ ოსები ცხოვრობენ; ქართლის შუაგულ

ადგილებში კი, სადაც უმეტეს ნაწილათ ქართველები ცხოვრობენ, თითქმის ყოველგან გაცილებით მეტი წილი სხვილ-რქიანი საქონელია. ღორების რიცხვი აღწერით შეადგენდა 27,125, რაც შეადგენს 12 პროც. ცხენების რიცხვი უდრიდა სულ მხოლოდ 3879, 'რაც შეადგენს 17 პროც. ყველა საქონლის რაოდენობისას ამ მაზრაში. დასასრულ, გორის მაზრაში აღნუსხულ იქნა აღწერით მხოლოდ 54 ვირი. ქართლში ვირები საზოგადოთ ნაკლებათ მოიპოვება, მაგრამ ზევით მოყვანილი რიცხვი მეტათ მცირეა, რაც აიხსნება რეკვიზიციით.

გადავიდეთ ახლა სიღნაღის მაზრაზე. აქ პირველი ადგილი უჭირავს უკვე მეცხვარეობას; ცხვრების რიცხვი აქ თითქმის ორჯერ მეტია, ვინემ სხვილ. რქიანი საქონლისა. პირველების რიცხვი უდრის 83,055, რაც შეადგენს 58 პროც. ყველა საქონლის საერთო. რიცხვისა; სხვილი საქონლის რაოდენობა უდრიდა 42,199 ანუ 29,5 პროც. მესამე ადგილი აქაც ღორებს უჭირავს, თუმცა მეღორეობა სიღნაღის მაზრაში შედარებით უფრო ნაკლებათაა გავრცელებული, ვინემ ის დანარჩენ მაზრაში: ღორების რაოდენობა აღწერით უდრიდა 7,176, რაც შეადგენს 5,2 პროც. სამაგიეროთ სიღნაღის მაზრა თელავის და გორის მაზრებთან შედარებით გაცილებით უფრო მდიდარია ცხენებით. აღწერით ცხენების რიცხვი იყო აქ 6,750, რაც შეადგენს ყველა საქონლის რიცხვის 4,6 პროც. გარდა ამისა სიღნაღის მაზრა ცნობილია აგრეთვე ვირების რაოდენობით. აღწერით აქ აღნუსხულ იქნა 3,767 ვირი, ანუ 2,6 პროც. საქონლის საერთო რიცხვის.

რაც შეეხება თელავის მაზრას, სხვილი და წვრილი საქონლის რიცხვი აქ თითქმის ერთნარია: პირველი რიცხვი უდრის დაახლოვებით 27,164, რაც შეადგენს 41,9 პროც., ცხვრების და თხების კი 26,146 ანუ 40,4 პრ. ყველა საქონლის საერთო რიცხვისა. ღორებს აქაც მესამე ადგილი უჭირავს: აღწერით იმათი რიცხვი უდრის 9,295, რაც შეადგენს 14,4 პროც. მაშასადამე, შედარებით ღორების რიცხვი თელავის მაზრაში უფრო მეტია, ვინემ დანარჩენ ორ მაზრაში. რაც შეეხება ცხენებს, აღწერის დროს აღნუსხვილ იქნა სულ 2,075 ცხენი, რაც შეადგენს 3,2 პროც. საქონლის საერთო რიცხვისა ამ მაზრაში. დასასრულ თელავის მაზრაში აღწერილ იქნა სულ 86 ვირი ანუ 0,1 პროც. ყველა საქონლის რაოდენობისა. ვნახოთ ახლა, თუ რა და რა საქონელი რამდენი მოდის თითეულ ოჯახზე როგორც საერთოთ სამივე მაზრაში, ისე ცალ-ცალკე თითოეულ მაზრაში. ეს ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

| მაზრები | თითეულ ოჯახზე მოდის | | | | | თით. სულზე მოდის ყოვ. საქონელზე |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცხენები და ვირები | სხვილი რქ. საქონელი | წვრილი რქ. საქონელი. | ღორები | ყოველგვარი საქონელი | |
| გორის . . | 0,1 | 3,5 | 2,5 | 0,8 | 6,9 | 1,1 |
| სიღნაღის . . | 0,5 | 1,9 | 3,8 | 0,3 | 6,5 | 1,3 |
| თელავის . . . | 0.2 | 2,3 | 2,2 | 0,8 | 5,5 | 1,1 |
| სამივე მაზრ. | 0,2 | 2,8 | 2,9 | 0,6 | 6,5 | 1,2 |

ამნაირათ თუ ჩვენ ავიღებთ შინაური საქ. განაწილებას საერთო, ოჯახთა რაოდენობის კვალობაზე, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი საქონელი მოდის გორის მაზრაში და ყველაზე ნაკლები თელავისაში; მაგრამ თუ ამავე რიცხვს ავიღებთ მცხოვრებთა რაოდენობის კვალობაზე, მაშინ გამოვა, რომ ყველაზე მეტი საქონელი მოდის თითოეულ სულ მცხოვრებზე სიღნაღის მაზრაში, ანუ 1,3 საქონელი, მაშინ როცა გორის და თელავის მაზრებში თითოეულ სულზე მოდის ერთნაირი რიცხვი, სახელდობ 1,1 საქონელი. საერთოთ კი თითოეულ სულზე სამივე მაზრაში მოდის დაახლოვებით 1,2 საქონელი.

ზევით მოყვანილი ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ სამ მაზრაში საერთოთ თითოეულ ოჯახზე მოდის:

ცხენი 0,2.
სხვ.რქ.საქ. 2,8.
წვრილი რქ. საქ. 2,9.
ღორი 0,6.
სულ 6,5.

სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვილი რქიანი საქონლის დანაწილებას ერთი მხრით ხარებათ და კამეჩებათ, მეორე მხრით ძროხებათ და ფურ-კამეჩებათ მოზვრებათ (ზაქებით) და დეკეულებითურთ. თუ ამნაირათ დავანაწილებთ სხვილ რქიან საქონელს სამ დასახელებულ მაზრაში, ჩვენ მივიღებთ შემდეგ ცხრილს:

| მ ა ზ რ ე ბ ი | ხარები, ძროხები, მოზვრები, დეკეულები. | | კამეჩები ფურ-კამეჩები, ზაქ. და ხბოები. | | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | პროც. საერთო რიც. | რიცხვი | პროც. საერთო რიც. | |
| გორის . | 102,542 | 90,20 | 11,145 | 9,80 | 113,637 |
| სიღნაღის . | 31,493 | 74,63 | 10,706 | 25,37 | 42,199 |
| თელავის . | 13,278 | 48,88 | 13,886 | 51,12 | 27,164 |
| ს უ ლ . . | 147,313 | 80,48 | 35,737 | 19,52 | 183,050 |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საერთოთ სამივე მაზრაში ხარების, ძროხების და მოზვერ-დეკეულების საერთო რიცხვი უდრის დაახლოვებით 147,313, რაც შეადგენს 80,48 პროც. სხვილი რქიანი საქონლის საერთო რიცხვისა; კამეჩების, ფურ-კამეჩების და ზაქ-დეკეულების რიცხვი კი უდრის მხოლოდ 35.737, რაც შეადგენს 19,52 პროც. რა თქმა უნდა. ცალ-ცალკე მაზრებში სხვილი რქიანი საქონლის ამ ორ კატეგორიას შორის ერთნაირი ურთიერთობა არაა დაცული. ასე, ზაქ-კამეჩები საზოგადოთ სჭარბობენ როგორც აბსოლიუტურათ, ისე შედარებითაც თელავის მაზრაში; ყველაზე უფრო ნაკლებია ისინი აბსოლიუტურათ სიღნაღის მაზრაში, შედარებით კი გორისაში. ავიღოთ ახლა, ერთი მხრით, ხარების და ხარ-კამეჩების რაოდენობა და, მეორე მხრით, რაოდენობა ძროხებისა და ფურ-კამეჩებისა, იმის ჩვენებით, თუ თითეულ ამ კატეგორიათაგანი რამდენი მოდის როგორც თითეულ მაზრაში, ისე სამივე მაზრაშივე საერთოთ. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

| მ ა ზ რ ე ბ ი | ხარები და კამეჩები | | ძროხები და ფურ-კამეჩები | |
|---|---|---|---|---|
| | რ ი ც ხ ვ ი | თით. ოჯახზე მოდის | რ ი ც ხ ვ ი | თით. ოჯახზე მოდის |
| გორის . | 48,190 | 1,5 | 30,389 | 0,9 |
| სიღნაღის . | 20,665 | 0,9 | 11,122 | 0,5 |
| თელავის . . . . . | 11,843 | 1,0 | 8,602 | 0,8 |
| ს უ ლ . . | 80,698 | 1,2 | 50,313 | 0,8 |

ამნაირათ, როგორც ზევით მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, საერთოთ სამივე მაზრაში თითეულ ოჯახზე ორთა შუა რიცხვით მოდის 1,2 ხარი და ხარ-კამეჩი და 0,8 ძროხა და ფურ-კამეჩი. თუ ამ მაზრებს ავიღებთ ცალ-ცალკე, ჩვენ დავინახავთ, რომ დასახელებულ კატეგორიების საქონლის საშუალო რიცხვი თითეულ ოჯახზე ყველაზე უფრო დიდია გორის მაზრაში და ყველაზე უფრო ნაკლები სიღნაღისაში. რა თქმა უნდა, საშუალო რიცხვი ჩვენ არ გვაძლევს იმ სურათს, თუ ესა თუ ის საგანი როგორაა სინამდვილეში დანაწილებული, ვინაიდან არიან ისეთი ოჯახები, რომელთაც სრულებით არ გააჩნიათ შინაური ოთხფეხი საქონელი, და, პირიქით, არიან ისეთებიც, რომელთაც ათობით და ასობით მოეპოებათ ასეთი საქონელი. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ორთა შუა რიცხვს მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა.

სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, იმ გარემოებას, თუ ხნოვანობის მხრით შინაური საქონელი როგორ არის დაყოფილი. ამიტომ სამეურნეო სტატისტიკა ამ საკითხის გამოკვლევას საკმარისათ დიდ ყურადღებას აქცევს. 1916 წლის სამეურნეო აღწერაც ამ მიზანს ისახავდა. ხნოვანების მხრით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ცხენებს და სხვილ რქიან საქონელს. თანახმათ გამოქვეყნებულ ცნობებისა ცენტრალური რუსეთის 45 გუბერნიაში ცხენები წლოვანების მიხედვით ასე იყო დაყოფილი:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 წლის და ზევით | 16,131 | ათასი | ანუ | საერთო | რიცხვი | 72,8 | პროც. |
| 1—4 წლამდის | 3,824 | | „ | „ | „ | 17,2 | |
| კვიცები (1 წლის) | 2,203 | „ | „ | „ | „ | 10,0 | „ |
| | 22,158 | „ | „ | | „ | 100,0 | „ |

თფილისის გუბერნიის სამ დასახელებულ მაზრაში წლოვანების მიხედვით ცხენები ასე იყო დაყოფილი.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 წლის და ზევით | 1657 | ათასი | ანუ | საერთო | რიცხვი | 71,7 | პროც. |
| 1—4 წლამდის | 1657 | | | „ | „ | 17,0 | |
| კვიცები (1 წლის) | 1944 | „ | „ | „ | „ | 15,3 | |
| ს უ ლ . | 12,704 | | „ | „ | „ | 100,00 | „ |

საგულისხმოა, რომ როგორც ჩვენში, ისე ცენტრალური რუსეთის გუბერნიებში ცხენების დაყოფა წლოვანების კვალობაზე თითქმის ერთი და იგივეა მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ქართლ-კახეთში კვიცების რი-

ცხვი შედარებით სჭარბობს 1-4 წლის ცხენებს, რუსეთში კი, პირიქით, 1-4 წლის ცხენები სჭარბობენ კვიცებს (1 წლის).

გადავიდეთ ახლა სხვილ რქიან საქონელზე. 1916 წლის სამეურნეო აღწერით ცენტრალური რუსეთის 45 გუბერნიაში ირიცხებოდა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძროხები . . . | 16,666 | ანუ საერ. | რიცხ. | 45,8 პროც. |
| ხარები . . . . . | 2,547 | „ | | 7,0 |
| მოზვერები და დეკეულები (1—2 წლ.) | 7,021 | „ | | 19,3 „ |
| ხბოები (1 წლისა) . . . . . | 10,163 | „ „ | „ | 27,9 „ |
| ს უ ლ . . | 36,397 | „ „ | „ | 100,00 „ |

დავუპირდაპიროთ ამას ანალოგიური ცნობები თფილისის გუბერნიის სამი დასახელებული მაზრის შესახებ. გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში 1916 წლის აღწერით ირიცხებოდა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძროხები და ფურ კამეჩები | 50,313 | ანუ საერთო | რიცხ. | 27,5 პროც. |
| ხარები და კამეჩები*) . | 84,907 | „ | „ | 46,3 |
| მოზვერები და დეკეულები (1 — 2 წლისა) . | 16,602 | „ | | 9,1 |
| ხბოები (ერთი წლისა) . . . | 31,228 | „ „ | „ | 17,1 „ |
| ს უ ლ . . | 183,050 | „ „ | „ | 100,00 „ |

ზევით მოყვანილი ცნობები გვეუბნებიან, რომ მსხვილი რქიანი საქონლის შესახებ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებსა და ჩვენ სოფლებს შორის საკმარისათ დიდი და არსებითი განსხვავეაა. უწინარეს ყოვლისა ეს განსხვავება მომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობაში ცოცხალი ინვენტარის მხრივ უმთავრეს ფაქტორებს ხარ-კამეჩები შეადგენენ, მაშინ როცა რუსეთში ასეთ როლს ცხენები თამაშობენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთში ხარების რიცხვი შეადგენს მხოლოდ 7 პროცენტს ყველა სხვილი რქიანი საქონლის საერთო რიცხვისას, მაშინ როცა ჩვენში ხარების და ხარკამეჩების რიცხვი შეადგენს უკვე 46,3 პროცენტს სხვილი რქიანი საქონლის საერთო რიცხვისას. ეს ერთი. მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთში ამ უკანასკნელი აღწერით მოზრდილი საქონლის რაოდენობა შეადგენს 52,8 პროცენტს, მაშინ როცა ჩვენში ეს კატეგორია შეადგენს უკვე 73,8 პროცენტს. მეორე მხრით, ორი წლის ქვედაელი საქონელი რუსეთში შეადგენს 47,2 პროც., ჩვენში კი

*) აქვე შეტანილია ბუღებიც.

მხოლოდ 26,2 პროც., რა თქმა უნდა, ამ განსხვავებას უთუოდ დიდი გავლენა უნდა დაურჩეს ჩვენი სოფლის მეურნეობაზე. და ამასთანავე ისიც აშკარაა, რომ ამ მოვლენას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი. 1916 წლის აღწერამ გამოააშკარავა, რომ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში შინაური პირუტყვის რაოდენობას 1912 წელთან შედარებით საგრძნობლად უმატნია, და რაც კიდევ უფრო საგულისხმოა, მთელი ეს მატება უმთავრესათ ახალგაზრდა საქონლის რიცხვის ზრდითაა გამოწვეული. ავიღოთ ჯერ მარტო ცხენები. ცენტრალური რუსეთის 45 გუბერნიაში ითვლებოდა ცხენები ათასობით*)

| | 1912 წ. | 1916 წ. | 1912 წ. ც. მივ. 100 |
|---|---|---|---|
| 4 წ. და ზევით . | 15,185 | 16,131 | 106 |
| 1—4 წლამდე | 3,305 | 3,824 | 116 |
| კვიცები . | 1,126 | 2,203 | 196 |
| | 19,616 | 22,157 | 113 |

მაშასადამე, 1912 წელთან შედარებით 1916 წელს, მიუხედავათ რამდენიმეჯერ მომხდარ მობილიზაციისა, ცხენების რაოდენობას რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში მოუმატნია 13 პროც., განსაკუთრებით გაზრდილა კვიცების რიცხვი, თითქმის ერთი ორათ გაზრდილა. ანალოგიური ცნობები სხვილი და წვრილი რქიანი საქონლის შესახებ ყველა 45 გუბერნიების შესახებ ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ასეთი ცნობები არსებობს მხოლოდ სამი გუბერნიის—პოლტავის, სიმბირსკის და ვიატკის შესახებ, და ეს ცნობები გვეუბნება, რომ ამ სამ გუბერნიაში ხარების რიცხვს 1916 წ. წინა წლებთან შედარებით დაუკლია 27 პროც., ძროხებისას 0,3 პრ., დეკეულობისას 8 პროც., მაგრამ ხბოების რიცხვს მოუმატნია 39 პროც., და ამიტომ სხვილი რქიანი საქონლის რაოდენობას მოუმატნია საერთოთ 8,5 პროც. ნოვგოროდის გუბერნიაში მოზრდილი სხვილი რქიანი საქონლის რაოდენობა შემცირდა 9,7 პროც., ახალი საქონლის რაოდენობას კი მოუმატნია 54 პროც., უფის გუბერნიაში ამ უკანასკნელ კატეგორიას მოუმატნია 40-50 პროც.

ამნაირათ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ამ ომიანობის ხანაში ემჩნევა შინაური საქონლის რაოდენობის ზრდა, მაგრამ განსაკუთრებით იზრდება ახალი საქონლის რაოდენობა. რუსეთის ეკონომისტები და სტა-

*) იხ. გაზ. „Русск. Ведом." 17 სექტემბრის ნომერი.

ტისტიკოსები ამ მოვლენას ხსნიან იმით, რომ ომიანობის მეოხებით ხალხს საშუალება მიეცა ახალი ზარდოს, და არ გაიცალოს ხელიდან, ვინაიდან მას ახლა საკვები მასალის შეძენა გაუადვილდაო. თუ რამდენათ მართალია ეს ახსნა, ამის გამოძიებას ჩვენ აქ ვერ შეუდგებით. ჩვენთვის ბევრათ უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ხდება ამ მხრით ჩვენში, ე. ი. მატუ-ლობს თუ კლებულობს ჩვენში შინაური პირუტყვის რაოდენობა საერთოდ და თუ კერძოთ რა გავლენა იქონია ამაზე დღევანდელმა ომმა. სამწუხაროთ ყველა ამ კითხვების გამოსარკვევათ ჩვენ თითქმის არავითარი სტატისტიკური მასალა არ მოგვეპოვება. მხოლოდ ცხენების შესახებ გვაქვს ჩვენ საკმარისათ სწორი ცნობები; ეს ცნობები ამოღებულია ცხენების სამხედრო აღწერიდან და ეკუთვნიან 1912 წელს *). შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს საკმარისათ დაწვრილებით ცხენების რაოდენობას გლეხების საზოგადოებებში თფილისის გუბერნიის სამ დასახელებულ მაზრაში.

| მაზრები | 5 წლის და ზევით | | 4 წლის | | 1—3 წლამდის | | კვიცები | | ს/ულ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რიცხვი | % საერ. რიცხვ. | რიცხვი | % საერ. რიცხვ. | რიცხვი | % საერ. რიცხვ. | რიცხვი | % საერ. რიცხვ. | |
| გორის . | 3,742 | 74,5 | 206 | 4,1 | 530 | 10,6 | 542 | 10,8 | 5,022 |
| სალნაღის . | 6,825 | 68,1 | 298 | 3,0 | 1,758 | 17,6 | 1,130 | 11,3 | 10,011 |
| თელავის . . | 1,391 | 73,3 | 39 | 2,1 | 268 | 14,1 | 200 | 10,1 | 1,898 |
| სულ . . | 11,958 | 70,8 | 545 | 3,0 | 2,556 | 15.1 | 1,872 | 11,1 | 16,931 |

თუ ამ ცნობებს შევადარებთ 1916 წლის აღწერის ცნობებს, რომელიც ჩვენ ზევით გვქონდა მოყვანილი, უწინარეს ყოვლისა გამოვა, რომ დაახლოვებით ოთხი წლის განმავლობაში (1912-1916) ცხენების რიცხვს დასახელებულ მაზრებში მოუკლია 4.227 ანუ თითქმის 25 პროც., ე. ი. 16931-დან 1912 წელს იგი ჩამოსულა 12.704-დე 1916 წელს. თუ ახლა ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ ცხენების სხვადასხვა კატეგორიის ხნოვანებას, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ოთხი წლის განმავლობაში შემდეგი ცვლილებანი მომხდარა:

*) Военно-Конская перепись 1912 г. изд. Центр. статист. Ко-та СПБ. 1914 г.

4 წლის და ამაზე უფრო ცხენებს დაუკლია 3,400 ანუ 27,2 პროც. 1-3 წლის 899 ანუ 35,2 პროც. კვიცებს (1 წლ.)—მოუმატნიათ 72 ანუ 3,9 პროც. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში ყველა კატეგორიის ცხენების რიცხვს, გარდა კვიცებისა, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საგრძნობლათ დაუკლია; იმავე დროს კვიცების რიცხვი გაზრდილა თუმც მეტათ მცირე პროცენტით, ასე რომ ამ ზრდას თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია საერთოთ ცხენების რაოდენობის შემცირებაზე ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ ყოველ შემთხვევაში კვიცების რაოდენობის ზრდა, თუმცა ძლიერ მცირე პროცენტითაც, მაინც დამახასიათებელი მოვლენაა ამ რაოდენობის დროს: ჩვენ უკვე ვიცით, რომ ცენტრალური რუსეთის გუბერნიებში სწორეთ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლათ გაიზარდა კვიცების რაოდენობა იმ ზომამდე, რომ უფრო ხნიერი ცხენების დაკლება არა თუ შეავსო, არამედ საერთო ცხენების რაოდენობამაც კი საგრძნობლად იმატა. ჩვენში კი ე. ი. ქართლ-კახეთის სამ უდიდეს მაზრაში ცხენების საერთო რიცხვმა საგრძნობლათ იკლო. გარდა ამისა, 1912 და 1916 წლების ცნობების შედარება თფილისის გუბერნიის სამ მაზრაში გვეუბნება, რომ ცხენების რაოდენობითი შემადგენლობაში ხნოვანების მხრით უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დიდი ცვლილება არ მომხდარა, რაც უფრო ნათლათ შემდეგი დაპირდაპირებიდან ჩანს:

| | 1912 წ. | 1916 წ. |
|---|---|---|
| 4 წლის და მეტი ხნის ცხენების რაოდენობა პროც. | 73,8 | 71,7 |
| 1—4 წლამდის | 15,1 | 13,0 |
| კვიცები (1 წლ.) . . . . . | 11,1 | 15,3 |
| ს ულ . | 100,00 | 100,00 |

ეს უკანასკნელი გარემოება, ე. ი. ის, რომ ცხენების რაოდენობითი შემადგენლობა ხნოვანების მხრით ამ ორი აღწერის დროს თითქმის ერთნაირია, ან თუ ამ მხრით განსხვავება ძლიერ უმნიშვნელო,—ვიმეორებთ, ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ როგორც 1912, ისე 1916 წლის აღწერა სინამდვილეს დიდათ უახლოვდება; ეს რომ ასე არ იყოს, ამ შემთხვევაში დიდი განსხვავება უნდა აღმოჩენილიყო.

თუ ცხენების შესახებ ჩვენ კიდევ მოგვეპოვება შესადარებელი ცნობები წინა წლებისთვის, დანარჩენი შინაური ოთხფეხი საქონლის შესახებ ასეთი ცნობები ჩვენ თითქმის სრულებით არ გაგვაჩნია. მართალია, ადმი-

ნისტრაცია თითქო ყოველ წელს აგროვებს ცნობებს პირუტყვის შესახებაც, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ამ ცნობებს ვერ დავეყრდნობით. ამიტომ 1916 წლის ცნობების შედარება წინა წლების ცნობებთან შეუძლებელი ხდება. მხოლოდ გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში მოხდა ცოტათ თუ ბევრათ საფუძვლიანი გამოკვლევა შინაური საქონლის შესახებ. ამ გამოკვლევით*) მთელ თფილისის გუბერნიაში მეოთხმოცე წლების დასაწყისში ირიცხებოდა დაახლოვებით:

1) სხვილ რქიანი საქონელი 500,000 ანუ საერთო რიცხვის 20.1 პროც.; 2) ცხვრები და თხები 1,209,000 ანუ საერთო რიცხვის 76,7 პრ. 3) ცხენები 80,000 ანუ საერთო რიცხვის 3,2 პროც. სულ 2,489,000 ანუ საერთო რიცხვის 100,00 პროც.

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ საინტერესოა იმდენათ არა აბსოლიუტური, არამედ შედარებითი რიცხვები ურთიერთ დამოკიდებულება ამ სამ კატეგორიის საქონელს შორის. ამ მხრით მეტათ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცხენების შედარებითი რაოდენობა მთელ თფილისის გუბერნიაში ამ 30-35 წლის წინათ თითქმის ისეთივე იყო (3,2 პროც.), როგორც დღეს დავადგინეთ ჩვენ ამავე გუბერნიის სამი მაზრისთვის (ე. ი. 2,9 პროც.) გარდა ამისა, როგორც მაშინ, ისე დღესაც ამავე გუბერნიაში სჭარბობს წვრილი რქიანი საქონლი, და თუმცა ეს სიჭარბე ამ 35 წლის წინეთ ბევრათ უფრო საგრძნობი იყო, ვინემ დღეს, ეს აიხსნება იმით, რომ 1916 წლისთვის ჩვენ აღებული გვაქვს ისეთი მაზრები, სადაც შედარებით მეცხვარეობას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინემ დანარჩენ მაზრებში. როგორიც არიან, მაგ., თიანეთის, დუშეთის და თუ გინდ ბორჩალოს მაზრები, მაშინ როცა წინანდელი ცნობები ეხებიან მთელ თფილისის გუბერნიას.

არა ნაკლებ საინტერესოა აგრეთვე იმავე ძველი წლების ცნობები იმის შესახებ, თუ იმ ხანებში რამდენი და რა და რა გვარი საქონელი ყავდათ სახელმწიფო გლეხებს იმავე თფილისის გუბერნიაში. თანახმათ ამ ცნობებისა *) სახელმწიფო გლეხებს თფილისის გუბერნიაში ყავდათ:

1) სხვილი რქიანი საქონელი 319,863 ანუ საერ. რიცხ. 20,6 პროც.. 2) წვრილი 1,116, 246 ანუ საერ. რიცხ. 71,7 პრ., 3) ცხენები, ვირები 51,665 ანუ საერ. რიცხ. 3,3%, 4) ღორები 69,068 ანუ საერ. რიცხ. 4,4% სულ 1,556,842 ანუ საერ. რიცხ. 100,00:

*) იხ. Матер. для устройства казен. летн. и зим. пастбищ для изучения скотоводства на Кавказе. т. II. ч. 2. Тифлис, 1890 г.

**) იქავე. გვ. 6.

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, აქაც იგივე ურთიერთი დამოკიდებულებაა, როგორიც ზევით მოყვანილ ციფრებს შორის, იმ განსხვავებით, რომ აქ მომატებულია ღორებიც. სხვა მხრივ 1916 წლის მიერ განხილულ ცნობების და ამ ცნობების შედარება ყოველად შეუძლებელია. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ აქ ცნობები იმის შესახებ, თუ სახელმწიფო გლეხების თითეულ ოჯახზე და თითეულ სულზე რამდენი საქონელი მოდიოდა მეოთხმოცე წლების დასაწყისში და ამას დაუპირდაპიროთ ის, თუ თფილისის გუბერნიის სამ მაზრაში საერთოთ რამდენი საქონელი მოდის იმავე ერთეულებზე 1916 წლის სამეურნეო აღწერის ცნობებით. ყოველგვარი საქონელი მოდიოდა:

| | 1880-85 წლ. | 1916 წლ. |
|---|---|---|
| თითეულ ოჯახზე | 32,5 | 6,5 |
| თითეულ სულზე | 5,1 | 1,2 |

მართალია აქ ერთი მხრით აღებულია მთელი თფილისის გუბერნიის სახაზინო გლეხ-კაცობა და მეორე მხრით ამავე გუბერნიის სამი მაზრის ყველა სოფლის მცხოვრებნი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს დაპირდაპირება მაინც მეტათ საინტერესო უნდა იყოს. ასეა თუ ისე, აქედან ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, სახელდობ: შინაური საქონლის ორთა შუა რიცხვი, რომელიც თითეულ ოჯახზე თუ თითეულ სულზე მოდის ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლათ უნდა იყოს შემცირებული.

ერთი სიტყვით, ჩვენ აღმოვაჩინეთ ისეთი ნიშნები, რომლებიც გვითითებენ იმაზე, რომ ამ უკანასკნელ დროს შინაური საქონლის რაოდენობა ჩვენში საგრძნობლათ შემცირებულა. ამაში დაგვარწმუნა ჩვენ სტატისტიკური ცნობების შედარებამ. ამასვე გვიჩვენებს ზოგიერთი არა პირდაპირი ნიშნები რქიანი საქონლის შესახებაც. რა თქმა უნდა, მარტო ომით ეს მოვლენა არ აიხსნება. ვინ არ იცის, რომ ქართლ-კახეთში ხშირათ საქონელი იხოცება სხვადასხვა ავადმყოფობის გამო, როგორც ეს ხდება მაგ., ქართლში. ეს კი შეკავშირებულია სიბნელესთან, დაქვეითებასთან, ყოველგვარი დახმარების უქონლობასთან. ყველა ამის მიზეზი კი თვით მართველობის უქონლობაა.

მეტათ საგულისხმიეროა და ჩამაფიქრებელია ამ მხრით ის ფაქტი, რომ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ამ საშინელი ომიანობის დროს, მიუხედავათ რამდენიმეჯერ განმეორებულ რეკვიზიციისა, შინაური საქონლის საერთო რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. ჩვენში კი სულ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ.

## III. ნათესი მიწები.

ერთ უმთავრეს ფაკტორს სოფლის მეურნეობაში დათესილ მიწების რაოდენობა შეადგენს. ცნობილია, რომ ჩვენი სამეურნეო სტატისტიკა ამ მხრით წინეთაც ყველაზე უფრო კოჭლობდა და დღესაც კოჭლობს. თუ რამდენ მიწაზე თესია ბამბა და თამბაქო, ან რამდენზეა გაშენებული ვენახი ან ჩაი,—ეს რამდენიმეთ გამორკვეულია; მაგრამ რაც შეეხება იმას, თუ რამდენ მიწაზე ითესება ჩვენში საზოგადოთ ხორბლეულობა, ე. ი. პური, ქერი, სიმინდი, ჭვავი, შვრია, ფეტვი და სხვა,—ეს ჩვენთვის თითქმის სრულებით უცნობია. მართალია, ყოვლის შემძლე ადმინისტრაცია ამ შემთხვევაშიაც გვაწვდის ჩვენ სტატისტიკურ ციფრებს, მაგრამ ეს ციფრები არავითარი ნდობის ღირსი არაა, ვინაიდან ისინი დამყარებულია არა მეცნიერულ-სტატისტიკურ გამოკვლევაზე, არამედ, პოლიციის დაბალი მოხელეების ჩვენებებზე. ასეთ სტატისტიკურ გამოკვლევას კი ჩვენში უკანასკნელ დრომდე ადგილი არ ქონებია.

ასეთი გამოკვლევა ჩვენში, როგორც ვიცით, პირველად მხოლოდ წელს მოხდა. სამეურნეო აღწერის ერთ მთავარ საგანს დათესილ მიწების რაოდენობის გამოკვლევა შეადგენდა. ამ აღწერის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დაახლოვებით მაინც შევიტყოთ, თუ სად რამდენი მიწა იყო დათესილი და თუ რა ეთესა ამ მიწებზე 1916 წლის ზაფხულში. ამნაირად ჩვენ დღეს საშუალება გვეძლევა გავიგოთ დათესილი მიწების რაოდენობა ჩვენში დაახლოვებით ამ ჟამად. მაგრამ, ვინაიდან წინა წლების ცნობები ამ საგნის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ამიოტმ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ ჩვენი მეურნეობა რა მდგომარეობას განიცდის ამ მხრით, ე. ი. ჩვენ არ ვიცით, მატულობს თუ კლებულობს ჩვენში სხვადასხვა ხორბლეულობით დათესილი მიწების რაოდენობა. ვიცით მხოლოდ ის, რომ რაც დრო მიდის, თანდათან მატულობს ჩვენში რუსეთიდან შემოტანილ პურის რაოდენობა *). მეორე მხრით, შეუძლებელია, რომ ორი წლის განმავლობაში შეუწყვეტელი ომის გამო არ შემცირებულიყო ჩვენში დათესილ მიწების რაოდენობა. ასე, მაგ., უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში (1914—1916) ცენტრალურ რუსეთის 40 გუბერნიაში დათესილ მიწების რაოდენობა 59,059 ათასიდან ჩამოვიდა 55,109 ათასამდე, ე. ი. დაიკლო 3,950 ათასი, ანუ 6,7 პროც., როგორც ზევითაც ვამბობდით, სამწუხაროთ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს შედარებითი ცნობები არც 1914 და არც

*) ამ საგანს ჩვენ განვიხილავთ ცალკე წერილში.

1915 წლებისათვის, ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენად შეჩ-ერდა ჩვენში უკანასკნელ წლებში დათესილ მიწების რაოდენობა. მაგ-რამ ამ მხრით რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით ჩვენ კი-დევ უარეს მდგომარეობაშიაც ვართ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ რუსეთის ცენ-ტრალურ გუბერნიების შესახებ სამეურნეო აღწერის საერთო ჯამები უკვე კაი ხანია რაც გამოქვეყნებულია, და სასურსათო საკითხის მოწესრიგებაში, ავად არის თუ კარგათ, ამ ცნობებს ერთნაირ ანგარიშს რამდენიმედ მაინც უწევენ. ამიერ-კავკასიის გუბერნიების შესახებ აღწერის საერთო ჯამები ჯერ არ გამოუქვეყნებიათ და არც არავინ უწყის, როდის იქნება ისინი გამოქვეყნებული.

ჩვენ წინეთაც ვამბობდით, და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ცნო-ბები სამი მაზრის შესახებ არ კმარა საერთო სურათის დასახატავათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ ცნობებს მაინც აქვს ერთნაირი მნიშვნელობა. ამიტომ სანამ ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიების შესახებ ცნობების გამოქვეყ-ნებას ველოდებოდეთ, მანამ ჩვენ უმჯობესათ ვთვლით გავეცნოთ იმას, რაცა გვაქვს.

1916 წლის სამეურნეო აღწერით ყველა დათესილი მიწების რაოდე-ნობა წრეულს ზაფხულზე უდრიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| გორის | მაზრაში | 43.516 | დესეტინა *); |
| სიღნაღის | | 29.654 | |
| თელავის | „ | 12.830 | „ |
| სამივე მაზრაში | | 86.000 | დესეტინას. |

ამნაირათ, თფილისის გუბერნიის სამ დასახელებულ მაზრაში სხვადა-სხვა სამეურნეო კულტურას ეჭირა დაახლოვებით სულ 86.000 დესეტინა მიწა. აქედან მარტო გორის მაზრაში იყო ნახევარზე ცოტა მეტი ანუ 50,5 პროც., რაც აიხსნება უმთავრესათ ორი მიზეზით: ერთი ის, რომ თავისთა-ვად გორის მაზრას სხვა მაზრებთან შედარებით უჭირავს საკმარისათ დიდი ტერიტორია; მეორეც ის, რომ საჩქოს უმთავრესი წყარო ამ მაზრაში, გარ-და ბორჯომის ხეობისა და იმ მთიან ადგილების, სადაც უმთავრესათ ოსები ცხოვრობენ, ხვნა-თესვაა. მეორე ადგილი უჭირავს სიღნაღის მაზრას, რო-მელზედაც მოდის საერთო რაოდენობის 34,48 პროც., უკანასკნელი ად-გილი უჭირავს თელავის მაზრას, რომელზედაც მოდის დათესილ მიწების

*) აქ მიღებულია სახაზინო დესეტინა, რომელიც უდრის 2,400 ოთხ-კუთხ საჟენს.

საერთო რაოდენობის 14,92 პროც. დათესილ მიწების ასეთი სიცოტავე ამ უკანასკნელ ორ მაზრაში აიხსნება უმთავრესათ ამ მაზრების ტერიტორიის სიმცირით და არა იმით, თითქო ხვნა-თესვას აქ ასე მცირე მნიშვნელობა ქონდეს. ამას ამტკიცებენ სხვათა შორის შემდეგი ცნობები:

თანახმად 1916 წლის სამეურნეო აღწერის ცნობებისა მოდიოდა:

| | თითეულ ოჯახზე | | თითეულ ოჯახზე | |
|---|---|---|---|---|
| გორის მაზრაში . | 1,33 | დესეტ. | 0,21 | დესეტ. |
| სიღნაღის მაზრაში . | 1.35 | „ | 0,26 | „ |
| თელავის მაზრაში . | 1,08 | „ | 1,21 | |
| სამივე მაზრაში | 1,29 | დესეტ. | 0,23 | დესეტ. |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც თითეულ ოჯახზე, ისე თითეულ სულზე შედარებით ყველაზე მეტი დათესილი მიწა მოდის სიღნაღის მაზრაში, შემდეგ გორისაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ იმ რაოდენობას, რომელიც მოდის თითეულ ოჯახზე, ვინაიდან თითეულ სულზე როგორც გორის, ისე თელავის მაზრაში ერთი და იგივე რაოდენობა ხვდება.

ზევით ჩვენ მოვიყვანეთ დათესილი მიწების საერთო რაოდენობა; ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, რას თესავენ არ რა უფრო მოყავთ ამ 3 მაზრაში, როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთოთ. თამბაქოს და ბოსტნეულობას რომ თავი დავანებოთ, დასახელებულ მაზრებში ჩვენ გვხდება დაახლოებით 15—16 სამეურნეო კულტურა; სახელობ ჩვენ აქ ვხედავთ შემოდგომის და გაზაფხულის პურს, ქერს, სიმინდს, ჭვავს, ფეტვს, შვრიას, უგრეხელს, ოსპს, ქართოფილს, მზისუმზირას, მუხუდოს, სელს, კანაფს და სხვ. მაგრამ ამათში ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ხუთ მცენარეს, სახელდობ: შემოდგომის და გაზაფხულის პურს, სიმინდს, ქერს და რამდენიმეთ ფეტვსაც. თითეული ამათგანის როლი და მნიშვნელობა სჩანს შემდეგი ცხრილიდან, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი მიწა ეჭირა თითეულს იმათგანს სამივე მაზრაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შემოდგომის პურს . | 40.315 | დეს. | ანუ | საერ. | რიცხ. 46,90 % |
| სიმინდს . | 19.233 | „ | | | „ 22,60 „ |
| ქერს . . . . | 12.024 | „ | | | „ 14,09 „ |
| გაზაფხულის პურს | 9.631 | „ | | | 11,20 „ |
| ფეტვს . . . . . | 2.205 | „ | „ | „ | „ 2,60 „ |
| ს უ ლ . | 83.408 | „ | | | „ 97,30 „ |

მაშასადამე, პირველი ადგილი ჩამოთვლილ მცენარეებში უჭირავს შემოდგომის პურს, რომლითაც სამეურნეო აღწერის ცნობებით დათესილი იყო დაახლოვებით 40.315 დესეტინა მიწა, რაც შეადგენს სამ დასახელებულ მაზრებში დათესილ მიწების 46,9 პროც.; მეორე ადგილზე ჩვენ ვხედავთ სიმინდს, რომელსაც სამივე მაზრაში ეჭირა დაახლოვებით 19,233 დესეტინა მიწა ანუ ყველა დაუთესელ მიწების 22,6 პროც.; ამას მოსდევს ქერი, რომელსაც აღწერით ეჭირა დაახლოვებით 12,024 დესეტინა ანუ 14,0 პროც.; მეოთხე ადგილი ეჭირა გაზაფხულის პურს, რომლითაც დათესილი იყო სულ 9,631 დესეტინა მიწა ანუ საერთო რიცხვის 11,2 პროც.; დასასრულ, უკანასკნელი ეჭირა ფეტვს, რომლის ქვეშ ირიცხებოდა დახლოვებით 2205 დესეტინა მიწა ანუ 2,6 პროც.; ამნაირათ, დათესილ მიწების საერთო რაოდენობის 97,6 პროც. მაშასადამე, ყველა დანარჩენ კულტურაზე მოდის სულ 2.529 დესეტინა ანუ 2,7 პროც. ამათში შედარებით ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, თამბაქოს, რომელსაც აღწერით ეჭირა სულ 685 დეს., რაც შეადგენს ყველა დათესილ მიწების 0,3 პროც.; მას მოსდევს ჭვავი—499 დესეტ. ანუ 0,58 პროც.; შემდეგ მზისუმზირა—313 დეს., ანუ 0,34 პროც., შვრია—278 დეს., ანუ 0,32 პროც., რაც შეეხება დანარჩენ მცენარეებს, როგორც, მაგ., მუხუდოს, სელს, კანაფს და სხვ., იმათი მნიშვნელობა ჩამოთვლილ მაზრების სოფლის მეურნეობაში იმდენათ მცირეა, რომ ჩვენ შეგვიძლია ისინი სრულებით უყურადღებოთ დავტოვოთ. გარდა ჩამოთვლილ მცენარეებისა სამ დასახელებულ მაზრაში საკმარისათ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლობიოს, რომელსაც უმეტეს ნაწილათ თესვის დროს სიმინდს აყოლებენ, ასე რომ საკუთრივ ლობიოს ძლიერ იშვიათათ თესვენ; ამიტომ იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი მიწა ეჭირა ლობიოს, შესაძლებელი შეიქნება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი შეგროვილი მასალა სავსებით დამუშავდება.

ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ თითეული ზევით ჩამოთვლილ ხუთ მცენარეთაგანი რა როლს თამაშობს თითოეულ მაზრაში. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი:

დათესილ მიწების რაოდენობა ნაჩვენებია დესეტინებათ.

| მაზრ. | შემოდ. პური | | 2 სიმინდი | | ქერი | | გაზ. პური | | ფეტვი | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენ. დესეტინ. | პროც. რიცხვ. | რაოდენ. დესეტინ. | პროც. რიცხვ. | რაოდენ. დესეტინ. | პროც. რიცხვ. | რაოდენ. დესეტინ. | პროც. რიცხვ. | რაოდენ. რიცხვ. | პროც. რიცხვ. | რაოდენ. დესეტინ. | პროც. რიცხვ. |
| გორის | 20.346 | 46,3 | 12,063 | 27,7 | 8,760 | 20,1 | 1,717 | 4,0 | 3 | 0,0 | 42,894 | 98,6 |
| სიღნაღის | 13.143 | 44,3 | 4,217 | 14,2 | 2,305 | 8,0 | 6,514 | 22,0 | 1,660 | 5,6 | 27,844 | 94,1 |
| თელავის | 6.921 | 53,3 | 2,948 | 21,1 | 959 | 7,7 | 1,400 | 10,9 | 542 | 4,2 | 12,670 | 98,2 |
| სულ | 40,315 | 46,9 | 19,233 | 22,6 | 12,024 | 14,0 | 9,631 | 11,2 | 2,205 | 2,6 | 83,408 | 97,3 |

ზევით მოყვანილი ცხრილი საკმარისათ საინტერესო სურათს გვიხატავს. იქიდან ჩვენ ვხედავთ, რომ შემოდგომის პურს სამივე მაზრაში პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ შედარებით უფრო დიდია მისი პროც. თელავის მაზრაში და ყველაზე უფრო ნაკლები სიღნაღისაში, შემდეგ გორის და თელავის მაზრებში მეორე ადგილი სიმინდს უჭირავს, სიღნაღისაში კი მეორე ადგილი გაზაფხულის პურს უჭირავს, სიმინდი კი ამ უკანასკნელ მაზრაში მესამე ადგილზე დგას. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ზევით მოყვანილი ცხრილი გვეუბნება, სიმინდის თესვა ამ სამ დასახელებულ მაზრებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია გორის მაზრაში და ყველაზე უფრო ნაკლებათ თესავენ მას სიღნაღისაში. რაც შეეხება ქერს, ამ სამ მაზრებიდან მის მოყვანას უფრო მისდევენ გორის მაზრაში, სადაც ამ მცენარეს მესამე ადგილი უჭირავს; სიღნაღის და თელავის მაზრებში, ქერი მეოთხე ადგილზე დგას. ზოგიერთი გაზაფხულის პური შედარებით უფრო გავრცელებულია სიღნაღის და თელავის მაზრებში, გორისაში კი ბევრათ უფრო ნაკლებ თესავენ მას. დასასრულ, ფეტვის მოყვანა შედარებით უფრო გავრცელებულია სიღნაღის მაზრაში და რამდენიმეთ თელავისაშიაც, ხოლო რაც შეეხება გორის მაზრას, ეს მცენარე აქ მეტათ იშვიათათ გვხვდება.

საერთოთ შემოდგომის და გაზაფხულის პურის, სიმინდის, ქერის და ფეტვის როლი გამოიხატება:

| | | |
|---|---|---|
| გორის მაზრაში | —98,6 | პროც. |
| თელავის | —98,2 | |
| სიღნაღის „ | —94,1 | „ |
| სამივეში | —97, | |

ამნაირათ დასახელებულ მცენარეთ თითქმის თანასწორი მნიშვნელობა აქვს გორისა და თელავის მაზრებში (პირველში ცოტა უფრო მეტი); სიღნაღის მაზრაში ამ მცენარეთა როლი რამდენიმეთ უფრო ნაკლებია, რაც რამდენიმეთ აიხსნება მით, რომ დათესილ მიწების საერთო რაოდენობაში აქ შეტანილია აგრეთვე ის მიწებიც, რომლებზედაც დათესილია თამბაქო და რომელთა რაოდენობა აღწერით უდრის დაახლოვებით 668 დესეტინას ანუ 2,3 პროც. ყველა დათესილ მიწების რაოდენობისას ამ მაზრაში.

ასეთია საერთო სურათი, რომელსაც იძლევა პირველი სამეურნეო აღწერა ჩვენში დათესილ მიწების რაოდენობის შესახებ საგლეხო ტიპის

ოჯახებში თფილისის გუბერნიის გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში. მართალია, ეს სურათი სრული არაა, მას აკლია უწინარეს ყოველისა ცნობები იმ დათესილ მიწების შესახებ, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეთ ეკუთვნის, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ასეთ მეურნეთა რიცხვი ჩვენში საკმარისად მცირეა. იმათი მნიშვნელობა გადა ამისა უფრო მცირეა ხორბლეულობის კულტურაში *). მართალია ჩვენ ხელთ არა გვაქვს ამ ჟამად შედარებითი ცნობები არც თფილისის გუბერნიის დანარჩენ მაზრების და არც ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიების შესახებ, მაგრამ თუ ამავე დროს მივიღებთ მხედველობაში კიდევ იმ გარემოებას, რომ საზოგადოთ სოფლის მეურნეობას ჩვენში ჯერ კიდევ პრიმიტიული ხასიათი აქვს, რომ იმ ადგილებში, სადაც რწყვა არ ხერხდება და ეს შეუძლებელია, გვალვის გამო მთელი მოსავალი თითქმის სრულებით ნადგურდება, როგორც ეს მოხდა, მაგ., წელს ქართლში, ხორბლეულობის მოსავლის მხრით ჩვენი ქვეყანა მეტათ უნუგეშო სურათს წარმოადგენს.

ამ უნუგეშო მდგომარეობას ასაბუთებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მაშინ, როცა სამეურნეო აღწერამ ცენტრალურ რუსეთის გუბერნიებში ჯერ კიდევ 1916 წლის ზაფხულში სოფლის მეურნეთ ქონდათ დიდი ძალი ხორბლეულობა, თითქმის ერთ მილიარდამდე ფუთი **) ჩვენში სოფლის მეურნეთ იმავ ხანებში, უმეტეს ნაწილათ სრულებით არ მოეპოვებოდათ შენახული ხორბლეულობა, ან თუ მოეპოვებოდათ, სრულებით უმნიშვნელო რამ. ამიტომ თუ სასურსათო კრიზისი ამ ჟამად ასეთ საშიშარ სახეს ღებულობს ცენტრალურ რუსეთში, სადაც ჯერ კიდევ წინა წლების მოსავლიდან შენახულია დიდ-ძალი ხორბლეულობა და რასაც კიდევ მიემატა ამ წლის საკმარისათ კარგი მოსავალი, რამდენათ საშიშარი სახე უნდა მიიღოს ამ სასურსათო კრიზისმა ჩვენში, სადაც შენახული ხორბლეულობის რაოდენობა წინა წლების მოსავლიდან სრულებით უმნიშვნელო რამ იყო და ამავე დროს წლევანდელი მოსავალიც გამუდმებული გვალვის გამო ძალზე შემცირდა.

თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენი წერილის საგანს სასურსათო კრიზისის გამოკვლევა სრულებით არ შეადგენს, მაგრამ სოფლის მეურნეობის მდგომარეობამ ჩვენში ჩვენ სრულებით ბუნებრივად მიგვიყვანა იმ საკითხზე, რომელიც დღეს ყველას წინ უდგას.

გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ. 8, 9, 15 და 16 ოქტომბერი №№ 223, 224, 229 და 230.

---

*) თელავის მაზრაში მაგ., სამეურნეო აღწერით „კაპიტალისტ-მეურნეთ დათესილი ქონდათ მხოლოდ დაახლოვებით 378 დესეტინამდე, რაც შეადგენს, მაშასადამე, ყველა დათესილ მიწების 2,7 პროც. ეს პროცენტი რომ მივიღოთ ყველა კაპიტალისტ-მეურნეთათვის სამივე მაზრაში დათესილ მიწების საერთო რაოდენობად ამავე მაზრებში მაინც არ გადაცილდება 90.000 დესეტინას.

**) მარტო პოლტავის გუბერნიაში ეს მარაგი აღემატებოდა 18 მილიონ ფუთს.

# ვის ხელში ვიმყოფებით.

თანახმად თფ. ქალაქის გამგეობის განცხადებისა, დღეიდან ძალაში შედის „ახალი ხუთ-კაპიკიანი სამგზავრო ტარიფი“ თფ. ტრამვაიზე. დღეს ვინ არ იცის, რომ ეს ვითომდა „ხუთ-კაპ. ტარიფი“ აშკარა თავზარდაცემა და გაცარცვაა ქალაქის მცხოვრებლების საერთოთ, და მისი დემოკრატიული, ულარიბესი ნაწილის კერძოთ იმათ მიერ, ვისაც დღევანდელმა კანონმა სწორედ ამ მცხოვრებლების ინტერესებისათვის მზრუნველობა არგუნა. „ხუთ-კაპიკიანი ტარიფი“ ეს მხოლოდ ნიღაბის ჩამოფარებაა, ეს ერთნაირი ხერხია, თუმც მეტად ტლანქი, ხალხის დასაბრმავებლად გამოგონილი იმათ მიერ, ვინც დღეს ქალაქის პატრონებათ ითვლებიან.

რას ჩადის ნამდვილად ქალაქის საბჭო და მისი სულისკვეთების, მის ინახვათა გამომხატველი ორგანო—ქალაქის გამგეობა? რას მოასწავებს „ახალი ხუთ-კაპიკიანი“ ტარიფი? პირველად, ეს ნიშნავს 3 კაპ. ბილეთების გაუქმებას. მეორეთ, ეს ნიშნავს 5 კაპ. ბილეთის მაგიერ 10 კაპიკიან ბილეთის დაწესებას. მესამედ, ეს მოასწავებს წინანდელი შაურიანი ბილეთის ნაცვლად სამ შაურიანი ბილეთის შემოღებას. მაშასადამე, ქალაქის მამინაცვლები ერთბაშათ სწევენ ტრამვაის ფასს 100—200 პროც.-ით და ამას უწოდებენ ისინი ხუთ-კაპიკიან ტარიფს!

თფილისის პლუტოკრატიამ და მისმა ერთგულმა დარაჯებმა, ხატისოვ-ეურულის-არღუთინსკის-ჯაბარ-ათაბეგოვის მეთაურობით შესძლო ეს უდიდესი მუნიციპალური დაწესებულება თავის ინტერესებისათვის გამოეყენებია. (გამოტოვებულია ცენზორის მიერ)

იმათ იმდენი ცოდნა შესწევთ, რომ ტრამვაის საშუალებით ხალხს ადვილად ააცალონ უკანასკნელი გროში, და აი, ისინიც თითეულ ფეხის გადადგმაზე აწესებენ 3 კაპ. მაგიერ 5 კაპ., 5 კაპიკიანის მაგიერ 10—15 კაპ.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

ეასაკვირალია ერთი რამ. მთელ რუსეთში თავის ყოყოჩობით და ლიბერალობით არც ერთი ქალაქის საბჭო არ არის ისე ცნობილი, როგორც

თფილისის ქალაქის საბჭო. იმავე დროს კი, თითქმის არც ერთი შავრაზმული საბჭო არ ჩადის იმას, რასაც ჩადის თფილისის ლიბერალური საბჭო. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დრომდის თფილისის ქალაქის გამგეობაც როგორლაც ერიდებოდა აშკარა ანტი-დემოკრატიულ ნაბიჯებს, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ეს სულ უფრო და უფრო მოურიდებლად ხდება. უკანასკნელი მისი ნაბიჯი—„ახალი სამგზავრო ტარიფი"—ეს პირდაპირი დაცინვა და ხალხის აბუჩად აღებაა. თუ ტრამვაი დეფიციტს იძლევა, შეიძლებოდა ფასის მომატება ამის კვალობაზე, შესაძლებელი იყო ამ შემთხვევაში ეს ფასი გაედიდებიათ 25—50 პროც. მაგრამ ტრამვაი რომ დღემდის არსებულ ტარიფით დეფიციტს არ იძლევა, არამედ იძლეოდა მოგებას, ეს აშკარაა. ასეთ პირობებში ამ ტარიფის გადიდება 200 პროც. ეს რალაც წარმოუდგენელია. რამდენი პროცენტი უნდა მოიგოს ამ შემთხვევაში ტრამვაიმ? ეს პირდაპირ უმაგალითოა. ამას ვერ ჩაიდენს კერძო მოვახშეც, და თუ ჩაიდინა, მის ალაგმვას შეეცდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამბობენ, ტრამვაის შემოსავალმა და მოგებამ უნდა დაფაროს ქალაქის სხვა ხარჯები, ქალაქის დეფიციტი, რაც გამოწვეულია ქალაქის გამგეობის დაუდევრობით თუ ბოროტ-მოქმედებით, ქალაქის უვარგისი და დასაგმობი ფინანსიური პოლიტიკით. დღევანდელი საბჭო გაურბის ისეთი წყაროების გამონახვას, რომლებიც უფრო მდიდრების ჯიბეებს შეეხება, და ეს ადვილი გასაგებია, ვინაიდან იგი მდიდრების წარმომადგენელია და იმათ ინტერესებს იცავს. ტრამვაი კი უმეტეს ნაწილად ქალაქის ღარიბ მცხოვრებლების ჯიბეებს ეხება. და აი, საბჭომაც მოურიდებლად, უიხტიბროთ გაადიდა სამგზავრო ტარიფი. ტრამვაიზე. ეს უდრის პირდაპირ დანაშაულს.

რომ თფილისის ქალაქის საბჭო ერთხელაც არის დაფიქრებულიყო ქალაქის მცხოვრებლების უმრავლესობის ინტერესებზე, ის ასე ვერ მოიქცეოდა. მაგრამ მან ქალაქის მცხოვრებლების დიდი უმრავლესობის ინტერესები ანაცვალა ერთი მუჭა პლუტოკრატების ინტერესებს. ამით მან სამუდამოთ აიხადა პირბადე: დღეს ის დგას ჩვენს წინაშე მთელი თავისი შავრაზმული სიგრძე-სიგანით.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა. შეურიგებელი ბრძოლა პლუტოკრატული საბჭოს წინააღმდეგ. სანამ ასეთი საბჭო უდგას სათავეში ქალაქს, ჩვენ მისგან სახეიროს არაფერს მოველით. მაგრამ ასეთი საბჭო იქნება მანამ, სანამ დღევანდელი კანონი არ შეიცვლება.

(გამოტოვებულია ცენზორის მიერ).

„ახალი ტარიფის“ გამოცხადება თხოულობს ენერგიულ ზომებს. საბჭო იძულებული უნდა გახდეს ის გააუქმოს და ძველ ტარიფს დაუბრუნდეს. ეს შეიძლება ფართო აგიტაციის საშუალებით (გამოტოვებულია) პრესაში, (გამოტოვებულია) დღევანდელი საბჭოს აღვირ ახსნილობას და თვითნებობას საზღვარი უნდა დაედვას, იგი ალაგმულ უნდა იქნას. იმას უნდა წაერთვას ხალხის თვალში ყოველგვარი ნდობა; ეს შესაძლებელია კრიტიკის საშუალებით.

ასე იქნება თუ ისე, ერთი კი მაინც აშკარაა: საზოგადოება ასე ადვილად ვერ შეურიგდება ქალაქის დღევანდელი პატრონების მიერ მის ასე აბუჩად აღებას.

(გაზ. „თანამედროვე აზრი“ 1916 წ. 18 დეკემბერი
№ 283 „მ. მონიძის“ ფსევდონიმით).

# სოფელი 1916 წელს.

დღევანდელი სოფელი მეტათ რთული მოვლენაა. იქ ერთი მეორეზე გადახლართულია ათასნაირი ერთი მეორეს საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი. იქ სწარმოებს ბრძოლა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. ომი, რა თქმა უნდა, ერთდაიმავე დროს კიდევაც ამწვავებს და კიდევაც ანვითარებს ამ ბრძოლას. ის საოცარი სისწრაფით აჩქარებს იმ დიფერენციაციას, რომელიც სწარმოებს თანამედროვე საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ე. ი. ომი აჩქარებს კაპიტალიზმის ზრდა-განვითარების პროცესს, (აქ ცენზურის მიერ გამოტოვებულია რამდენიმე სტრიქონი).

ამ წერილში მკითხველის ყურადღება უნდა შეეაჩეროთ ჩვენ განსაკუთრებით სოფელზე.

რას განიცდიდა ჩვენი სოფელი განვლილ 1916 წელს? ამაზე პასუხის მიცემა არც ისე ადვილია. ჩვენ არ მოგვეპოვება იმოდენი მასალაც კი, რომ იმ მოვლენათა მკრთალი სურათი დავუხატოთ მკითხველებს, რომლებიც ამ ჟამად სოფლად ხდება. განსაკუთრებით ღარიბი ვართ ჩვენ მასალით ამიერ-კავკასიის სოფლის შესახებ. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ, მცირე გამონაკლისს გარდა, ჩვენებურ სოფლებშიაც იგივე ხდება, რაც რუსის სოფლეში, რომლის ცხოვრება უფრო კარგათაა შესწავლილი. ასე რომ. ჩვენ შეგვიძლია ანალოგიური დასკვნები გავაკეთოთ ჩვენი სოფლის შესახებაც. გარდა ამისა, ზოგიერთი კანტი-კუნტი ცნობები ამიერ-კავკასიის სოფელზედაც მოგვეპოვება. ამ ნაირად ჩვენ ვეცდებით ცოტათ თუ ბევრად დაახლოვებით წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, რასაც დღეს ჩვენი სოფელი განიცდის.

## I.

ყველაზე უფრო საყურადღებო მოვლენა თანამედროვე სოფლის ცხოვრებაში, ეს არის სოფლის დაცალიერება მუშა მამაკაცებისაგან, გამოწვეული ომის მიერ. დაცალიერება უფრო საგრძნობელი შეიქმნა გასულ

წელს. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს დაცალიერება იმოქმედებდა სოფლის წარმოების შემცირებაზე. მართალია, ამის დასამტკიცებელი სტატისტიკური ციფრები ჩვენ არ გაგვაჩნია, ვინაიდან ასეთები არ არსებობენ. მაგრამ ზევით ნათქვამი უტყუარი ფაქტია. მამაკაცების ნაკლებობამ სოფელში ბუნებრივად გამოიწვია დედა-კაცების შორის ასპარეზის გაფართოება ერთი მხრით და თვით იმათი შრომის გაძლირება მეორე მხრით, ამ გარემოებას აქვს თავისთავად როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მნიშვნელობა, მისი უარყოფითი მნიშვნელობა მდგომარეობს უმთავრესად დედა-კაცების შორის ექსპლოატაციის გაძლიერებაში, მაგრამ რაც უნდა იყოს, შრომის ასპარეზის გაფართოებას დედა-კაცებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს; ის ძალაუნებურად ახდენს თანამედროვე სოციალურ ურთიერთობაში მთელ რევოლიუციას, ის საფუძვლად დაედება დედა-კაცების დამოკიდებულებას და ბოლოს მოუღებს მის დამონებას მამა-კაცის წინაშე. კაპიტალისტურმა წარმოებამ დედა-კაცი უკვე დიდი ხანია რაც გამოიყვანა შრომის ასპარეზზე, მხოლოდ სოფლად ამ პროცესმა მეტათ გვიან იჩინა თავი და ის ნელი ნაბიჯით ვითარდებოდა. ომმა კი მეტისმეტად დააჩქარა ეს პროცესი.

სოფლის დაცალიერებას მჭიდრო კავშირი აქვს სასოფლო მეურნეობის და სოფლის მრეწველობის შემცირებასთან. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ხორბლეულობის და შინაური პირუტყვის მოშენების შესახებ. მართალია, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიების შესახებ 1916 წ. მოხდენილმა სამეურნეო აღწერამ თითქო დაგვიმტკიცა, რომ ომის დროს იმატა როგორც დათესილ მიწების, ისე შინაური საქონლის რამოდენობამ, მაგრამ აქ მისაღებია მხედველობაში უმთავრესათ ის გარემოება, რომ 1916 წლის მოსავალი უმეტეს ნაწილათ 1915 წლისაგან დარჩენილი მემკვიდრეობაა, და მას შემდეგ კი ზედიზედ მომხდარმა მობილიზაციამ მუშა მამაკაცების რიცხვი სოფლად მეტად საგრძნობლად შემცირდა. მეორე მხრით 1916 წ. აღწერის ცნობები საესებით სწორი არ უნდა იყვეს, ჩვენი აზრით, ან წინა წლების ცნობებია ძალზე შემცირებული, ან კიდევ 1916 წლის ცნობები გადიდებული. ყოველ შემთხვევაში სყურადღებოა ის გარემოება, რომ მცოდნე პირების აზრით, თუ განსაკუთრებული ზომები არ იქნა მიღებული, 1917 წ. რუსეთს მოელის საშინელი სამეურნეო კრიზისი, რომლის მსგავსი ჯერ არავის ახსოვს. თუ ასეა საქმე რუსეთის შესახებ, რაღა უნდა ითქვას ამ.-კავკასიაზე საერთოთ და ქუთ. გუბერნიაზე კერძოთ, რომლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი რუსეთიდან მოტანილი პუ-ით

იკვებება! სმწუხაროთ, ჩვენში არ არის ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულება ანუ ორგანიზაცია, რომელიც ამ გარემოებას სერიოზულ ანგარიშს უწევდეს. ამავე დროს მეტათ დამაფიქრებელია, სხვათა შორის, „თანაზრის“ ერთი გურული კორესპონდენტის წინადადება, რომ საჭიროა პროპაგანდა იმის შესახებ, რომ მომავალ წელს მეტი დაითესოს სიმინდიო (№ 282). მართლაც, როცა ფუთი პურის ქვილი სოფლად აიწევს 7—8 მანეთამდე და ფუთი სიმინდი 3—4 მანეთამდე, და ხშირათ ამ ფასებშიაც გასაყიდს ვეღარ შოულობენ, ამას არ შეუძლია შიში არ გამოიწვიოს.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აქ ჩვენ უნდა შევეხოთ ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხს, რომელმაც თავი იჩინა როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ გაკვრით ის ფაქტი, რომ ამ ჟამად ძნელი საშოვნელია საყიდლათ როგორც პურის ფქვილი, ისე სიმინდი, და ეს შეიძელება ითქვას თითქმის ერთნაირად როგორც რუსეთზე, ისე ჩვენ მხარეზედაც. მერე რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? ყოველ შემთხვევაში არა ხორბლეულობის უქონლობით. მცოდნე პირების გამოანგარიშებით, რომელიც დამყარებულია სერიოზულ სტატ. გამოკვლევაზე, რუსეთში მოიპოვება ამ ჟამად 5 მილიარდ ფუთამდე ხორბალი. სხვათა შორის, იმერეთშიაც წელს კარგი მოსავლის გამო მცხოვრებთა ერთ ნაწილს საკმარისად კაი ძალი სიმინდი მოეპოვება გასაყიდი. და მიუხედავათ ამისა, პურის და სიმინდის ყიდვა მაინც გაძნელებულია ე. ი. მიწოდება მეტათ ნაკლებია, მოთხოვა კი გადიდებულია. ერთი სიტყვით, გამყიდველს არ გამოაქვს თავის საქონელი ბაზარზე, ვინაიდან ამ ჟამად არსებული მაზანდა ხორბლეულობაზე მას არ აკმაყოფილებს. ეს გარემოება სხვათა შორის იმას ნიშნავს, რომ ხორბლეულობის გამყიდველს დღეს ჯიბე ცალიერი არ აქვს, იგი უფრო კარგ მაზანდას მოელის და თავის საქონელს ინახავს, რომ კიდევ უფრო ხელსაყრელ ფასებში გაასაღოს ის. წინეთ, ომამდის, ეს ასე არ იყო. უკვე შემოდგომაზე, როცა კი წლის მოსავალი შეიკრიბებოდა, მოსავლის დიდი ნაწილი ბაზარზე გამოქონდათ გასასყიდათ, ვინაიდან გამყიდველი, უმეტეს ნაწილად გლეხკაცობა, საჭიროებდა ფულს სხვადასხვა გადასახადების გასასტუმრებლათ, თუ თავის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთი მდგომარეობა დღეს ძირიანათ შეიცვალა. ფული გამრავლდა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც, ბაზარზე გაჩნდა დიდძალი ფული, რაც წინეთ წარმოუდგენელი იყო. ფულის გამრავლება არ გამოუწვევია საქონლის გამრავლებას; პირიქით ფული მრავლდება იმდე-

ნათ, რამდენად კლებულობს საქონლის რაოდენობა. ე. ი. ომის მეოხებით ფული იაფდება, საქონელი კი ძვირდება. და აი, ამ ნიადაგზე ჩნდება ლრმა კონფლიქტი მყიდველთა და გამყიდველთ, მომხმარებელთა და მიმწოდებელთა შორის.

პური ისეთი საგანია, ურომლისოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია. ამიტომ როგორც მართებლობა, ისე საზოგადოება დაინტერესებულია იმაში, რომ ხალხის გამოკვება პურით უზრუნველჰყონ; უამისოთ ყველაფერი დაირღვევა და აიწეწ-დაიწეწება. აშკარაა, მთავრობამ ან რომელიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა იკისროს ხალხის პურით გამოკვებით უზრუნველყოფა. გერმანიაში ეს საქმე ომის პირველ ხანებში მოაგვარა მთავრობამ, და ამას მოყვა ის შედეგი, რომ მიუხედავათ პურის ნაკლებობისა იქ ეს საგანი ომის დროს ან სრულებით არ გაძვირებულა, ან გაძვირდა სულ მცირე პროცენტით. რუსეთში კი, ამ პურის ქვეყანაში, მოხდა სულ წინააღმდეგი. დამტკიცებულია, რომ ომის პირველ წელიწადს პურის ფასი გაიზარდა რუსეთში უფრო მეტი სიჩქარით, ვინემ სხვა წარმოების ფასები. ასე, მაგ., 1913—1914 წელთან შედარებით 24 უსაჭიროეს საგნების ფასებმა 1915 წლის აპრილის თვეში მოიმატეს საერთოდ 35 პროც., მაშინ როცა ხორბლეულობის ფასმა მოიმატა უკვე 65 პროც. *) მართალია შემდეგში სხვა ნაწარმოების ფასების ზრდამ ბევრად გაასწრო პურის ფასის ზრდას; ეს აიხსნება მით, რომ პური ეკუთვნის იმ საგნების რიცხვს, რომელთა ფასები სასტიკად დანიხრულია როგორც მთავრობის, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების მიერ. აქ სულ უმნიშვნელო ფასის მომატება იწვევს დიდ ბრძოლას. აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს შევჩერდეთ ამ საკითხზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ პურის გამყიდველთა გაუმაძღარი ძალის შეზღუდვაში უწინარეს ყოვლისა დაინტერესებული შეიქნა თვით ხაზინა, რომელმაც უნდა იზრუნოს უთვალავი ჯარის გამოსაკვებათ, და აი ჩვენ ვხედავთ, რომ მთავრობა სოფლის მეურნათათვის, რომლებიც პურს ყიდიან, აწესებს ფასებს, რომლის ზევით იმათ პურის გაყიდვა ეკრძალებათ. ეს იყო საკითხის ერთი მხარე: მართლაც თუ გამომცხვარ პურზე არსებობს ნიხრი, შესაფერი ნიხრი უნდა დაედვას თვით პურის ფქვილს და ხორბალს. მაგრამ ლოლიკა თხოულობდა, რომ პურთან ერთად დანიხრულიყო აგრეთვე სხვა პირველი მოთხოვნის საგნებიც.

მაგრამ ეს არ მოხდა. პურის გამყიდველებმა თავი შეურაცყოფილათ იგრძნეს მაშინ, როცა იმათ აეკრძალათ დადგენილ ფასზე ზევით პურის

*) იხ. „Эконом. Обозр." за 1915 г. № 1 გვ. 143.

გაყიდვა, სხვებს თავისუფლად შეუძლიათ თავიანთ საქონელზე ფასი აწწიონ და სწევენ კიდევაც. აი ერთი მთავარი მიზეზთაგანი იმისა, რომ სოფლის მეურნენი პურს არ აჩენენ. იმათ არ აკმაყოფილებს დღევანდელი მაზანდა პურზე, ვინაიდან ხედავენ, რომ დანარჩენ საგნებზე, რომლებსაც ისინი ელოდებიან იმ დროს, როცა პურზე მაზანდა კიდევ უფრო მაღლა აწევს, და თავისი თვალსაზრისით ისინი სავსებით მართალი არიან. კერძო მწარმოებლებს ჩვენ ვერ მოვთხოვთ, რომ იმათ თავისი პირადი ინტერესები დათმონ და საზოგადოების ინტერესები დაიცვან. დამნაშავე აქ თვით საზოგადოებაა, რომელმაც ვერ შესძლო იმ საკითხების მოწესრიგება, რომლებიც დღევანდელმა სიძვირემ წარმოშვა.

მაგრამ აქ არის კიდევ სხვა გარემოება. პურის გამყიდველი როგორც რუსეთში, ისე ჩვენში უმთავრესათ გლეხკაცობაა. თუ ეს უკანასკნელი დღეს თავს იჭერს ამ გაყიდვისაგან, ჩანს, რომ მას საქმე კარგათ აქვს, რომ მას ფული დღეს არ ესაჭიროება; ერთი სიტყვით, აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხობის ის ნაწილი, რომელიც პურს ყიდის, დღეს საკმარისათ მოღონიერებულია, მაგრამ პურს ყიდის გლეხ-კაცობის მხოლოდ ერთი ნაწილი და არა ყველა. რა მდგომარეობას განიცდის გლეხობის ის ნაწილი, რომელიც უმეტეს ნაწლად პურს ყიდულობს თავის გამოსაკვებათ? მაგრამ ამ საკითხთან მჭიდროთ შეკავშირებულია მეორე უფრო საზოგადო საკითხი; სახელდობრ: რა გავლენა იქონია ომმა საერთოთ სოფელზე: მდიდრდება თუ ღარიბდება დღევანდელი სოფელი? თავის-თავად იგულისხმება, რომ ამ სახით საკითხის დაყენება შეუსაბამოცაა და უხერხულიც.

ყოველ შემთხვევაში აქ სოფელზე, როგორც ერთ მთელზე ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ომის მეოხებით სოფლის მცხოვრებთა ერთი ნაწილი გამდიდრდა, ე. ი. ისინი, ვინც პურს ყიდის. გამდიდრდენ უთუოდ აგრეთვე სოფლის ვაჭრებიც, მაგრამ სოფლის მასსა კიდევ უფრო ღარიბდება. მართალია, შეიძლება დღეს ამ მასსასაც მოეპოვებოს შედარებით საკმარისათ ბევრი ფული, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ფული ახლა ძალზე გაიაფდა, პირველი საჭიროების საგნები კი ერთი ხუთათ და ერთი ათად გაძვირდა. წინეთ თუ ხუთი მანეთი სოფლისათვის დიდი თანხა იყო, ეხლა ამის ადგილას ოცდა ხუთი მანეთიც კი ვერაფერს აკეთებს. ეხლა მდიდარი ის არის, ვისაც ხელში საქონელი აქვს, ან ის, ვინც იძენს დიდ-ძალ უძრავ ქონებას. სოფლის ღატაკი ნაწილი, რომელსაც დღეს წინანდელი 5 მანეთის ალაგას, ვთქვათ, 25 მანეთი აქვს და რომელიც იძულებულია ყველა სახმარი საქონელი ბაზარზე იყიდოს, კიდევ უფრო ღარიბ-

დება და დაბლა ეცემა. ეს ნაწილი სოფლის მცხოვრებლების იძულებულია გამოიტანოს ბაზარზე გასასყიდათ გარდა თავისი საკუთარი სამუშაო ძალისა უკანასკნელი შინაური ოთხ-ფეხი საქონელი, უკანასკნელი ნაჭერი მიწა, რომ თავი დაიპუროს. ყველა ამას იძენს, რა თქმა უნდა, სოფლისავე შეძლებული ნაწილი, სოფლის ბურჟუაზია.

ამნაირად, ომი საოცარი სისწრაფით აღრმავებს იმ ორმოს, რომელიც გათხრილია სოფლის ბურჟუაზიასა და სოფლის ღატაკთა შორის.

## II.

ომმა გაარღმავა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ქალაქსა და სოფელს შორის. ცნობილია, რომ პირველად ქალაქმა ასწია ფასები ინდუსტრიის საგანზე. თავის თავად იგულისხმება, რომ ომის დაწყების პირველ ხანებში სიძვირე ხელოვნურათ იყო გამოწვეული ქალაქის ვაჭრების მიერ. საქონლის ის ნაკლებობა ანუ საქონლის „შიმშილი", რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით, იმ დროს სრულებით არ არსებობდა. დღევანდელი სიძვირე მეტათ რთული მოვლენაა: ის შედეგია სხვადასხვა მიზეზების. ასეა თუ ისე, სოფელი იძულებული იყო ინდუსტრიის საგნების გაძვირებაზე თავისი ნაწარმოების გაძვირებით ეპასუხნა. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ერთი ხანია ქალაქი და სოფელი ერთი მეორეს ეჯიბრებიან სხვადასხვა საქონლის გაძვირებაში. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენიმე სტატისტიკურ ცნობას ზოგიერთ უსაჭიროეს საგნების ფასების შესახებ ამ უკანასკნელ სამი ოთხი წლის განმავლობაში *). ჩვენ გამოვიდიეართ 1913 წლის ფასებიდან, და ამიერ-კავკასიის გუბერნიებიდან და ოლქებიდან ვიღებთ მხოლოდ თფილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ყარსის და ბათომს ოლქებს.

### თ ფ ი ლ ი ს ი ს  გ უ ბ ე რ ნ ი ა.

| | ფ ა ს ე ბ ი. | | |
|---|---|---|---|
| | 1913 **) | 1915 **) | 1916 ***) |
| პურის ხორბ. ფ. | 1—16 | 2—30 | 4—00 |
| პურის. ფქვ. | — | 2—60 | 4—50 |
| ქერი | —81 | 1—35 | 2—40 |

*) ყველა აქ მოყვანილი ცნობები ამოღებულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულ სტატისტიკურ ბიუროს გამოცემიდან.

**) შემოდგომაზე.

***) ნოემბრის თვეში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სიმინდი | ფ. | —79 | 1—25 | 2—40 |
| კარტოფილი | | —66 | 1—10 | 2—00 |
| ლობიო | | 1—60 | 2—00 | 4—48 |
| ხარი | | 56—40 | 97—00 | 204—40 |
| კამეჩი | | 81—00 | 118—00 | 278—00 |
| ცხენი | | 59—40 | 133—00 | 223—00 |
| მეწვ. ფოლოხა | | 43—50 | 68—00 | 120—00 |
| ცხვარი | | 5—70 | 8—30 | 16—40 |
| ერბო | ფ. | 18—71 | 28—00 | 57—30 |
| კარაქი | | 17—47 | 23—40 | 50—60 |
| ყველი *) | | 5—69 | 9—20 | 20—80 |
| კვერცხი **) | | —19 | —23 | —41 |
| ქათამი | | —53 | —85 | 2—65 |
| ხორცი | ფ. | 4—71 | 5—90 | 11—70 |

## ქუთაისის გუბერნია.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ხოლბალი | ფ. | 1—65 | 2—60 | 4—10 |
| პურის ფქვილი | | — | 2—75 | 5—00 |
| ქერი | | 1—14 | 1—80 | 2—80 |
| სიმინდი | | —87 | 1—30 | 2—00 |
| კარტოფილი | | —87 | 1—75 | 2—70 |
| ლობიო | | 1—59 | 1—90 | 3—60 |
| ხარი | | 68—80 | 85—00 | 174—00 |
| კამეჩი | | 105—10 | 118—00 | 261—00 |
| ცხენი | | 96—20 | 137—00 | 227—00 |
| მეწველი ძროხა | | 50—80 | 70—00 | 115—00 |
| ცხვარი | | 5—20 | 7—20 | 12—90 |
| ერბო | ფ. | 18—20 | 26—50 | 57—50 |
| კარაქი | | 19—27 | 28—70 | 58—70 |
| ყველი | | 7—67 | 11—50 | 20—80 |
| კვერცხი | | —19 | —23 | —42 |
| ქათამი | | —64 | 1—12 | 1—86 |
| ხორცი | ფ. | 4—98 | 6—75 | 13—80 |

*) ძროხის ყველი.
**) ათი კვერცხი.

## ყარსის ოლქი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პურის ფქვილი | ფ. | — | 2—80 | 6—15 |
| ქერი | „ | —99 | 2—00 | 2—80 |
| სიმინდი | | 1—20 | 1—70 | — |
| კარტოფილი | „ | —67 | 1—70 | 3—30 |
| ლობიო | „ | 2—05 | — | — |
| ხარი | | 41—50 | 132—00 | 330—00 |
| კამეჩი | | 52—00 | 167—00 | 417—00 |
| ცხენი | | 42—40 | 165—00 | 300—00 |
| მეწველი ძროხა | | 25—60 | 69—00 | 190—00 |
| ცხვარი | | 5—50 | 12—20 | 31—00 |
| ერბო | ფ. | 18—36 | 35—00 | 63—70 |
| კარაქი | „ | 16—30 | 29—20 | 60—20 |
| ყველი | | 3—47 | 11—70 | 28—70 |
| კვერცხი | | —17 | —33 | —50 |
| ქათამი | | —34 | 1—05 | 1—91 |
| ხორცი | ფ. | 4—30 | 6—15 | 13—85 |

## ბათომის ოლქი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური-ხორბალი | ფ. | 2—00 | 2—55 | — |
| პურის ფქვილი | | — | 2—90 | 5—75 |
| ქერი | | 1—02 | 1—90 | 2—50 |
| სიმინდი | | 1—08 | 1—10 | 1—70 |
| კარტოფილი | | —92 | 1—60 | 4—55 |
| ლობიო | | 1—58 | 1—85 | 4—90 |
| ხარი | | 61—80 | 94—00 | 200—00 |
| კამეჩი | | 64—30 | 109—00 | 267—00 |
| ცხენი | | 86—20 | 110—00 | 187—00 |
| მეწველი ძროხა | | 51—00 | 77—00 | 110—00 |
| ცხვარი | | 8—00 | 7—50 | 13—50 |
| ერბო | ფ. | 15—93 | 28—50 | 50—00 |
| კარაქი | | 19—62 | 34—50 | 68—50 |
| ყველი | | 6—77 | — | 30—60 *) |

*) ცხვრის ყველი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კვერცხი | | —23 | —40 | —64 |
| ქათამი | | —63 | 1—23 | 2—75 |
| ხორცი | ფ. | 5—50 | 7—95 | 15—00 |

შეიძლება მკითხველს თავი მოვაბეზრეთ ამდენი ციფრების მოყვანით, მაგრამ ეს აუცილებელია, თუ ჩვენ გვინდა ცოტათ თუ ბევრად დაახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ ზოგიერთ უსაჭიროეს საგნების ფასების შესახებ თანამედროვე სოფელში. ზევით მოყვანილი ფასები წარმოადგენენ საშუალო ფასებს დასახელებულ გუბერნიებში თუ ოლქებში. თავისთავად იგულისხმება, რომ სინამდვილეში ასეთი ფასები უფრო იშვიათად გვხვდება; უფრო ხშირია ამ საშუალო ნორმიდან გადახრა ან ზევით, ან დაბლა. ყოველ შემთხვევაში, საშუალო ფასები მაინც დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

ავიღოთ ჯერ ქუთაისის და თფილისის გუბერნიები. საინტერესოა, რომ 1913 წელს ქუთაისის გუბერნიაში ჩამოთვლილი საგნები უფრო ძვირათ ფასობდენ, ვინემ თფილისის გუბერნიაში. დავყოთ ეს საგნები ორ ჯგუფათ: პირველ ჯგუფში მოვაქციოთ შემდეგი 6 საგანი: ხარი, კამეჩი, ცხენი, ძროხა, ცხვარი და ქათამი, მეორეში დანარჩენი საგნები. ამასთანავე ავიღოთ ფასების საერთო ჯამი ჯგუფებათ. მაშინ ჩვენ მივიღებთ: 1913 წ. ჯგუფის საერთო ფასები (index) უდრიდენ:

| | |
|---|---|
| ქუთაისის გუბ. | 326—74 |
| თფილისის | 256—53 |

ე. ი. ქუთაისის გუბერნიაში პირველ ჯგუფის საგნების ფასები საერთოთ აღემატებოდენ იმავე საგნების ფასებს თფილისის გუბერნიაში 70 მ. 21 კაპ., ანუ 27,5 პროც., მეორე ჯგუფის საგნების ფასების საერთო ჯამი ქუთაისის გუბერნიაში აღემატებოდა ამავე საგნების საერთო ჯამს თფილისის გუბერნიაში მხოლოდ 4 მან. 64 კაპ. (56 მ. 48 კ.—51 მ. 79 კ.), ანუ 8,9 პროც. უკანასკნელ 1916 წელს ჩვენ ვამჩნევთ უკვე ცვლილებას, პირველი ჯგუფის 6 საგნების ფასების საერთო ჯამი უდრის:

| | |
|---|---|
| თფილისის გუბ. | 844 მ. 05 კ. |
| ქუთაისის. | 791 მ. 76 კ. |

ე. ი. ეს ჯამი თფილისის გუბერნიაში აღემატება 52 მან. 29 კ., ანუ 6,6 პროც. თუმცა ეს არ არის დიდი განსხვავება, მაგრამ ის მაინც საყურადღებოა. რაც შეეხება მეორე ჯგუფის საგნებს, აქ იგივე დამოკიდებუ-

ლება არსებობს, რაც 1913 წელს იყო. ამ ჯგუფის საგნების ფასების საერთო ჯამი ქუთაისის გუბერნიაში აღემეტება იმავე საგნების ფასების საერთო ჯამს თფილისის გუბერნიაში 10 მ. 38 კ., ანუ 6,3 პროც. (171 მ. 42 კ.—160 მ. 59 კ.). თუ ახლა ჩვენ შევადარებთ ფასებით 1913 და 1916 წელს თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, ჩვენ მივიღებთ: ფასებმა იმატეს 1916 წელს 1913 წელთან შედარებით პროცენტები:

| | I ჯგუფი | II ჯგუფი |
|---|---|---|
| ქუთაისის გუბ. | 142,3 | 133,0 |
| თფილისის „ | 229,0 | 210,1 |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ზევით დასახელებული საგნების ფასების საერთო ჯამი თფილისის გუბერნიაში გაზრდილა ბევრათ უფრო მეტი პროცენტები, ვინემ ქუთაისის გუბერნიაში.

განვიხილოთ ახლა ამ მხრით ყარსის და ბათომის ოლქები. ჩვენ ვიცით, რომ ეს ოლქები ძლიერ ახლოა ომის პირთან, და პირველ ხანებში თვით ომის ველსაც კი წარმოადგენდენ. 1913 და 1916 წლების შედარება გვეუბნება, რომ ზევით ჩამოთვლილ საგნების ფასების საერთო ჯამი გაზრდილა:

| | I ჯგუფი | II ჯგუჯი |
|---|---|---|
| ყარსის გუბ. | 659,0 | 290,6 % |
| ბათომის „ | 186,9 | 238,9 % |

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ყარსის ოლქში სიძვირეს განსაკუთრებითი სახე მიუღია; ასე, პირველი ჯგუფის საგნებს, ე. ი. შინაურ ოთხფეხ საქონლის ფასი აქ გაზრდილა 659 პროც., ანუ გადიდებულა თითქმის 3 ჯერ; იმავე დროს მეორე ჯგუფის საგნების ფასს მოუმატნია 290,6 პროც., ანუ გაზრდილა თითქმის ოთხჯერ; რაც შეეხება ბათომის ოლქს ყარსის ოლქთან შედარებით აქ სიძვირეს ბევრათ უფრო ნაკლებათ უჩენია თავი. ამავე დროს დამახასიათებელია ის გარემოება, რომ შინაური პირუტყვის ფასი აქ შედარებით უფრო ნაკლებათ აწეულა მაღლა არა მარტო ყარსის ოლქთან შედარებით, არამედ თფლისის გუბერნიასთან შედარებითაც.

ზევით მოყვანილი ცნობები, რა თქმა უნდა, სავსებით ვერ ახასიათებს ჩვენი სოფლის დღევანდელ მდგომარეობას. სოფლის ცხოვრების ზოგ მხარეებს ჩვენ კიდევ შემდეგში დავუბრუნდებით.

(გაზ. „თანამედროვე აზრი“ № 1 და 2—1917 წ.
1 და 2 იანვარი „მ. მონიძე“-ს ფსევდონიმით)

# XIII

# დამატებანი

## დამატება I.

# წერილი ჩვენი ცხოვრების შესახებ [59]

ჩვენი საზოგადოების უფერულობა და გონებრივი და ზნეობრივი დაწვრილმანება დიდი ხანია, რაც ფრიად საგრძნობელი იყო ჩვენი ერის საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. უნდა ვაღიარეთ, რომ ეს ჩვენი საზოგადოების უფერულობა და მისი გონებრივი და ზნეობრივი დაწვრილმანება ჩვენს მწერლობაში და ცხოვრებაში სრულებით ხელშეუხებელი და შეუსწავლელია, რომ ჩვენ არ ვიცით ცოტაოდნათ არც წარსული ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც დღევანდელი ცხოვრების საფუძველია და არც ახლანდელი მისი მდგომარეობა, რაც მერმისის ბაზისად უნდა ჩაითვალოს.

ამნაირათ, მწერლობის მხრივ ჩვენ სრულებით მოკლებული ვართ ყოველგვარ საშვალებასა და ღონისძიებას ჩვენი საზოგადოების შესასწავლად, ურომლისოდაც ჩვენი ერი და ჩვენი საზოგადოება ვერ შესძლებს ვერც ერთს ყველაზე უმარტივეს ეროვნულ დანიშნულებასაც. ერთი სიტყვით, ვერც ძველი და ვერც ახალი ჩვენი ისტორიული თუ პუბლიცისტური მწერლობა ვერაფერს სამსახურს უწევს თავის ერს მისი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სხვა მიზეზებზე რომ ბევრი არ გავჩერდეთ, მარტო ერთად ერთი ეს უკანასკნელი მიზეზი—ჩვენი ახლანდელი მწერლობის უვარგისობა, ნამდვილი მოწმეა იმ არა სასიქადულო მოვლენისა, რომ ჩვენი განათლებული, ანუ მოწინავე საზოგადოება, რომელსაც ინტელიგენციას უწოდებენ, მეტის-მეტ უფერულობას და დაწვრილმანებას წარმოგვიდგენს.

ამ ბოლო დროს გაზ. „ივერიაში", ერთად ერთ ჩვენს სალიტერატურო ორგანოში, თქვენ აქა-იქ უსათუოდ შეამჩნევთ, რომ ბევრნი ჩვენს დროს „გათახსირებულს" უწოდებენ. ჩვენ არ ვიცით დასაბუთებით, თუ როგორ ჰქონდათ „ივერიის" თანამშრომლებს წარმოდგენილი ეს ახლანდელი „გათახსირებული" ეპოქა, მხოლოდ ის კი ჰეშმარიტება, რომ ყველანი რაღაცნაირი გონებითი და ზნეობითი სიღატაკის არსებობას გრძნობენ თავის გარშემო. თუ რაში გამოიხატება ეს სიღატაკე და თუ რანაირია მისი ნაყოფი, ამაზე ცოტა ქვემოთ იქნება საუბარი, ახლა კი მივმართოთ

იმას, თუ რამ გამოიწვია ეს დამლუპველი მოვლენა, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი?—ამასთანავე მკითხველს წინდაწინვე უნდა განვუცხადოთ, რომ დაწვრილებით ამის გამოკვლევას ჩვენ ახლა ვერ ვკისრულობთ, ჩვენ გვსურს მხოლოდ უფრო საზოგადო მიზეზები დავასახელოთ.

მოვლენა, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, ე. ი. გონებითი და ზნეობითი გათახსირება კერძო მოვლენა არ გეგონოთ; ეს მოვლენა არის ჩვენი საზოგადოების ნამდვილი სენი, რომელიც გარს ახვევია ჩვენს სოციალურს ცხოვრებას და, მაშასადამე, აჩარებს და ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების ყოველნაირ განვითარებასა და წინსვლას.

ამნაირათ ამ მოვლენას, როგორც საზოგადო სოციალურ მოვლენას, თავისი მიზეზები აქვს, როგორც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებში, ისევე ჩვენი ერის ისტორიულ ცხოვრებაშიც. ახლანდელი მეცნიერების შეხედულებით ბუნებრივ ანუ ფიზიკურ პირობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა ცხოვრებაში, მაგრამ ეს მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების დაარსებამდე ანუ, როგორც უწოდებენ, ისტორიული ცხოვრების დაწყებამდის, მას მერე კი თანდათან კლებულობს იმათი გავლენა ადამიანთა საზოგადოებაზე კულტურული ფორმების გავრცელებით.

რაც შეეხება იმ კითხვას, თუ თავდაპირველად ჩვენი ქვეყნის ფიზიკური პირობები როგორ უწყობდენ ხელს კულტურულ განვითარებას, ამის შესახებ ის უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მხარე თავისი ზომიერი ტემპერატურით, რადგანაც ზაფხულობით მოკლებულია ეკვატორიალური ქვეყნების ცხელს პაპანაქებასა და ზამთრობით კი ჩრდილოეთ ქვეყნების უზომო სიცივესა და ყინვებს, ერთობ მოხერხებულ პირობებს წარმოგვიდგენს კულტურულ განვითარებისათვის. თუმცა ღა ეს ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ კულტურამ ჩვენს ქვეყანაში, იმის მიუხედავათ, რომ მისი დასაწყისი ქრისტეს დაბადების წინა დროებში უნდა ვეძიოთ, ვერ იმძლავრა და ვერ მიაღწია იმ ხარისხამდე, რომელზედაც ჩვენ ვხედავთ მას სხვა ქვეყნებში. ამის მიზეზი პირდაპირ ისტორიულ განვითარებაში უნდა ვეძიოთ.

გეოგრაფიულ მდებარეობამ გახადა ახლანდელი საქართველოს (და რამოდენიმედ სომხეთისაც) ნაწილები ძველს დროში არენად არა მარტო დაპყრობისათვის, არამედ საბრძოლველ ასპარეზადაც: ჯერ კიდევ ისტორიის წყვდიადში ჩვენ ვხედავთ, რომ ახლანდელ დასავლეთ საქართველოს ნაწილებში გაშენებულია ეგვიპტელების ახალშენები (კოლონიები); ეგვიპტელების მერე ჩნდებიან ბერძნები, რომლებიც ალექსანდრე

მაკედონელის [60]) დროს სრულიად იპყრობს საქართველოს. მის შემდეგ, ქრისტეს დაბადების ახლოს, სპარსელები ავრცელებენ თავიანთ გავლენას ძველს საქართველოზე; ქრისტეს დაბადების შემდეგ ამ მოვლენას ემატება კიდევ ქრისტიანული საბერძნეთის, ანუ ბიზანტიის გავლენა, რომელმაც გასტანა მე-XVII საუკ. ბოლომდე მეტ-ნაკლებობით და შეცვლით. სპარსეთის გავლენა კი შეჩერდა არაბების მიერ დაპყრობით და მხოლოდ მე-XIII საუკუნიდან ხელახლა ანახლებს ის თავის მოქმედებას საქართველოზე. მე-XVII საუკ. თვალსაჩინოდ იწყება რუსეთის გავლენა, რომელიც მე-XVIII საუკ. უფრო ძლიერდება და რომელსაც მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ფორმალურად შეერთებით რუსეთთან ეძლევა უფრო მკვიდრი საფუძველი. ეს უკანასკნელი გავლენა დღემდის სულ უფრო და უფრო აფართოვებს თავის ასპარეზსს საქართველოში. —ჩვენ აქ ვასახელებთ სხვა ერთა და ქვეყნებთა უფრო გამოჩენილ გავლენებს საქართველოზე, რომლებმაც თვალსაჩინო კვალი დასტოვეს ჩვენ ერის ცხოვრებაში და კულტურაში და სრულიადაც არ ვეხებით სხვა უფრო მცირე გავლენათ, რომლებიც მრავალი იყო.

ეს უბრალო აღნუსხვა ამ მოვლენათა ეერაფერ სასიამოვნო სურათს წარმოადგენს: ამ აღნუსხვიდან ჩვენთვის ცხადია ის გარემოება, რომ ჩვენ ქვეყანაში არ ერთს უცხო კულტურული ერის გავლენას თავდა-პირველიდანვე არ შეეძლო ღრმა კვალი დაეტოვებია ჩვენს ერში. ეს აშკარაა იმ გარემოებიდან, რომ ჯერ კიდევ ერთს გავლენას არ გაევრცელებინა თავის შემოქმედებითი ძალა, ამ დროს იწყებოდა გარედან მეორე გავლენა, რის შედეგი იყო ამ ორ კულტურულ გავლენათა და ძალთა ერთმანეთთა შეტაკებ-შეჯახება. ამნაირად ერთს და იმავე დროსვე ერთი ან ორი გავლენა ებრძოდა ერთმანეთს, რომ მოეპოვებიათ უფრო მეტი სარბიელი ბრძოლის არენაზე. ჩვენი ერის ისტორია რომ ჯეროვნად შესწავლილი და გამორკვეული იყოს, დარწმუნებით შეგვიძლია ვაღვიაროთ, რომ ის უმეტესად ამ უცხო ერთა და მათ ძალთა შეტაკებ-შეჯახების სურათს წარმოგვიდგენდა. აქ იბადება კითხვა: თუ ჩვენი ქვეყანა საბრძოლველ ველად იყო გადაქცეული სხვადასხვა ერთა ერთმანეთ შორის, მაშ რაღაში მდგომარეობდა თვით ჩვენი ერის როლი მის საკმარისად ხანგრძლივ ისტორიულ მღძრაობაში?—თუ ჩვენი ისტორია, ერთის მხრივ, სხვა ერთა საქართველოზე გავლენისათვის ერთმანეთ შორის შეჯახებ-შეტაკებას წარმოგვიდგენს, მეორეს მხრით, ისიც ჭეშმარიტი ფაქტია და ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი ძველი წინაპარნი მუდამ შეიარაღებულნი უკანასკნელ სისხლის

წვეთამდის გამსჭვალულნი იყვნენ თავის ძვირფასი სამშობლოს დაცვის აზრით და თითქმის ოცდა ერთი საუკუნის განმავლობაში (302 ქრ. შობ-ლის 1801 ქრ. აქეთ) მართლად ემსახურებოდნენ ამ კეთილშობილურ და-ნიშნულებას.

ჩვენ ზემოთ დავადგინეთ ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მიზეზების გა-მო არც ერთს სხვა ერის კულტურულ გაიოლენას ძველს საქართველოზე არ შეეძლო საგრძნობლად ემოქმედნა ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებაზე და კულტურაზე. ჩვენი შეხედულება, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მართლაც არავითარი კვალი გარეშე გავლენათა არ დატყობოდეს ჩვენს კულტურულს ცხოვრებას. ამის მტკიცება აშკარა ტყუილის აღვია-რება და ნამდვილი ფაქტების წინააღმდეგობა იქნებოდა; ჩვენს ცხოვრე-ბაში ჩვენს დრომდის დაცული არიან ამნაირი ზნე და ჩვეულებანი, რომლე-ბიც მოგვაგონებენ არა კლასიკური საბერძნეთის, სპარსეთის და ქრისტია-ნული საბერძნეთის ზნე-ჩვეულებათ, მოგვაგონებენ რამოდენიმედ ისტო-რიულ წყვდიადით გარემოცულს ეგვიპტელების გავლენასაც. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საერთო ზნე-ჩვეულებანი იმას კიდევ ვერ ამ-ტკიცებენ და ასაბუთებენ, რომ რომელიმე უცხო ტომის გავლენას სრული და ფართო ზედ-მოქმედება ჰქონდეს ჩვენს კულტურაზე. რომელიმე ხალხს თავის კულტურით შეუძლია გავლენა-იქონიოს სხვა ხალხზე მხო-ლოდ მაშინ, თუ ამ სამს უმთავრეს მოთხოვნილებას რამდენიმედ მაინც აკმაყოფილებს: ა) ეს ხალხი უნდა იდგეს გაცილებით მაღლა თავის კულ-ტურული და საზოგადოებრივი ფორმებით იმ ხალხზე, რომელზედაც თა-ვის გავლენას იჩენს; ბ) მას უნდა ჰქონდეს სწორი და ნამდვილი საშუალე-ბა, რომელიც აადვილებდეს და ხელს უწყობდეს მის გავლენას სხვა ხალ-ხზე; გ) გავლენა ერთი ხალხისა მეორეზე კულტურის მხრით უსათუოდ თხოულობს, რომ იმ ერისათვის, რომელიც გავლენის ქვეშ იმყოფება, აუცილებელ საჭიროებას შეადგენდეს გონიერი შემუშავება და ამასთანავე თანდათანი შეთვისება იმ ახალი კულტურული ფორმებისა, რომლებიც მას პირველად შეაქვს თავის კულტურულ ცხოვრებაში; ამიტომ ამ უკა-ნასკნელისთვის საჭიროა თავისუფალი დრო და ცოტათ თუ ბევრად მოსვე-ნებული ცხოვრება. ეს უკანასკნელი მოთხოვნილება ყველაზე უმთავ-რესია.

ახლა გავსინჯოთ მოკლედ, თუ რამდენად აკმაყოფილებდენ ამ უმ-თავრეს მოთხოვნილებათ ის ხალხი, რომელთა გავლენის ქვეშ იყო ჩვენი საქართველო ისტორიულ წარსულში?

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეგვიპტელები როცა თავისი ახალშენები გაავრცელეს დასავლეთ საქართველოში, მიღწეულნი იყვნენ იმ უმაღლეს კულტურულ ხარისხამდის, რომელზედაც შეჩერდა მათი წინმსელელობა. სეზოტრისის დროს (მე-XIV ს. ქრისტეს წინეთ), რომელსაც მიეწერება ეგვიპტელების შემოსვლა საქართველოში, უკვე ჰყვაოდენ: იეროგლიფული მწერლობა, ხუროთ-მოძღვრება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, აღებ-მიცემობა, ზღვით მოგზაურობა, და სხვ., მაგრამ არც ერთ ამ სფეროში ეგვიპტელებს არ დაუტოვებიათ არავითარი კვალი ჩვენს ცხოვრებაში. მარტო რამოდენიმე რელიგიურ ჩვეულებათ შეეძლოთ, რომ გავრცელებულიყვნენ მაშინდელ ნიადაგზედ. ეს გარემოება, მართლაც რომ ამნაირად უნდა მომხდარიყო: ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, ერთის მხრით, ის გარემოება, რომ მაშინ ჩვენი წინაპარნი შეადგენდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საზოგადოებას, რომელიც სრულიად შეუჩვეველი იყო რაიმე ნაირ გონებით მოსაზრებას, რის შედეგიც იყო ეგვიპტის კულტურა; მეორეს მხრით, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არც თვით ეგვიპტელები ცდილობდენ, რომ რაიმე ახალი შემოეტანათ ჩვენს მაშინდელს ცხოვრებაში. მიწის მუშაობა და ვენახის გაშენება, ეჭვი არ არის, რომ ეგვიპტელების შემოსვლამდისაც ყოფილა ჩვენში გავრცელებული.

თუ ეგვიპტის გავლენამ თითქმის შეუმჩნეველათ ჩაიარა ჩვენს ძველს კულტურულ ცხოვრებაში და ვერაფერი არსებითი კვალი დასტოვა მასში, სამაგიეროდ, მეორე ქვეყანაზე—სპარსეთზე—ეს არ ითქმის. სპარსეთისათვის საქართველოზე გავლენა შეუდარებლად მოხერხებული იყო, ვინემ ეგვიპტისათვის, ორნაირად: ა) სპარსეთი ძლიერ დაახლოებული იყო საქართველოზე და მთელი ძველი და საშვალო ისტორია მეზობლურ ურთიერთშორისი განწყობილებას წარმოადგენს, რაც ძლიერ საჭირო იყო გავლენისათვის; ბ) სპარსეთის გავლენა საქართველოზე მარტო ერთ რომელიმე ეპოქით სრულებით არ ისაზღვრება, როგორც ეგვიპტისა, არამედ ის გრძელდება უუძველესი დროიდან ვიდრე მე-XVII საუკ. გასვლამდე.

ამნაირად სპარსეთს ორი სწორი საშვალება ჰქონდა, რომ ჯეროვნად ემოქმედნა საქართველოზე და ამასთანავე სპარსეთის მხრით ხანდახან უფრო მეტი სურვილი და მეცადინეობა იყო ქართველების გასპარსელებისათვის; ეგვიპტე კი ყველა ამ საშვალებათ მოკლებული იყო. მაგრამ ვერაფერი დიდი შედეგი მოყვა ამ გარემოებასაც, ე. ი. სპარსეთის გავლენას. — შესამჩნევი კვალი, რომელიც დააჩინა სპარსეთის კულტუ-

რამ ჩვენ ცხოვრებას, ეხება პირველად და ყველაზე უფრო სარწმუნოებას. ზორასტრუშის ანუ ზოროასტრის სარწმუნოება, რომელიც გავრცელებული იყო მთელს მაშინდელს აღმოსავლეთში, რამდენიმედ დამკვიდრდა ძველს საქართველოშიაც, რომლის მკვიდრთ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ განსაზღვრული რელიგიური რწმენა. მაგრამ, თუ რამდენად ჰქონდა მოკიდებული ფეხი ზოროასტრის სარწმუნოებას ივერიელების რელიგიურ წარმოდგენებში, ამას აშკარად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მისი შემოღების ხუთ-ექვსი საუკუნის შემდეგ თავისუფლად მკვიდრდება სულ ახალი და დაშორებული ქვეყნიდან შემოტანილი სარწმუნოება—ქრისტიანობა; თავისუფლად მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში არ მოუთხოვია ადამიანის მსხვერპლი და სასტიკი დევნა, როგორც ეს მოხდა სხვა ქვეყნებში და გინდ თვით სპარსეთშიაც, რომელშიაც ვერაოდეს ვერ მოიკიდა ფეხი ქრისტიანობამ. მაშასადამე, ეს ფაქტი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ზოროასტრის სარწმუნოებას არ ჰქონდა ხალხში მოკიდებული ანუ გაშვებული ღრმა ფესვები.

მაგრამ ამას გარდა სხვა მხრითაც მოქმედებდა სპარსეთი საქართველოზე. უპირველესი ალაგი ამ შემთხვევაში უჭირავს პოეზიას, რომელიც სპარსეთში იწყება მხოლოდ ფირდუსიდან (მე-X საუკ.), რომელმაც თავის „შახ-ნამე"-თი შექმნა ერთი საუკეთესო მსოფლიო პოემა. „შახ-ნამეს" შემდეგ სპარსულ პოეზიას იმის ბადალი აღარაფერი აღარ უნახავს თავის ნაწარმოებთა შორის: ეს იყო პირველი და უკანასკნელი ნაბიჯი ამისა. მას მერე იწყება მთელი რიგი ზღაპრულ მოთხრობათა, რომლებიც საკმარისად მოკლებულნი არიან ყოველნაირ ხელოვნურ თვისებათ და მხოლოდ ხალხის ყოფაცხოვრების შესასწავლ მასალად გამოდგებიან კრიტიკული განხილვის შემდეგ.

როგორც უნდა იყოს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ საერო მწერლობას საქართველოში დაედვა საფუძველი სპარსეთის და უმეტესად არაბეთის საერო მწერლობის გავლენით. შესანიშნავი ამ მოვლენაში ჩვენთვის ის არის, რომ საერო პოეზიის აყვავება თითქმის ერთ და იმავე დროს ხდება სპარსეთის, არაბეთის და ქართულს მწერლობაშიაც. ეს ხანა არის მე-X საუკ. დაწყებული, ვინემ მე-XII საუკუნის გასვლამდე. მაგრამ ქართულ მწერლობაში საერო მიმართულების დაწყებას ჩვენ უფრო მივაწერთ არაბეთის მწერლობას, ვინემ სპარსეთისას, რადგანაც ეს პოეზიის აყვავების ეპოქა პირდაპირ არაბთა მფლობელობის შემდეგი ხანა იყო.

არაბეთის თუ სპარსეთის მწერლობამ დაბადა საერო მიმართულება ჩვენს მწერლობაში? ეს კითხვა ჩვენ კიდევ ჯერ-ჯერობით დაუსაბუთებლად მიგვაჩნია, რადგანაც ამის სარწმუნო წყაროები ჩვენ კიდევ არ გვაქვს. მაგრამ ის კია სარწმუნო, რომ თუ რაიმე მნიშვნელობას ვსცნობთ სპარსეთის მხრივ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში, ეს მხოლოდ ამ მხრივ. ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი საერო მწერლობის ძვირფასი ნაშთი მე-XII საუკ. შ. რუსთველის „ვეფხვის-ტყაოსანი", რომლის ბადალი ხელოვნების მხრივ არ შეუქნია არც ძველს და არც ახალს მწერლობას, შექმნილია როგორც არაბეთის, ისე სპარსეთის მწერლობის გავლენით *). აი ერთად ერთი მხარე, რომელიც ჩვენ სიხარულით უნდა ავღნიშნოთ მთელს ჩვენს წარსულ ცხოვრებაში. მაგრამ ამასთანავე იგიც უნდა გვახსოვდეს, რომ საერო მწერლობამ თვით სპარსეთში, აგრეთვე ჩვენშიაც, სანამ უკანასკნელი იმყოფებოდა პირველის გავლენის ქვეშ ვრცელი და სასარგებლო ასპარეზი ვერ მოიპოვა; როგორც სპარსეთში, ისე ჩვენშიაც საერო მწერლობა ვერ განვითარდა: ის გადაიქცა მარტო ზღაპრად და იგავ-არაკად.

რაც შეეხება სახელმწიფო წესწყობილებათ, საზოგადოებრივ ფორმებს და საურთიერთო განწყობილებათ, სწავლა-განათლებას, მეურნეობას ან აღებ-მიცემობის საქმეს და სხვა ფრიად საჭირო და გამოსადეგ კულტურულ ფორმებს, რომლებიც მოწინავე ერში მუდამ ახალს ელემენტებს ეძებენ და ვითარდებიან, ჩვენ უნდა ვაღიარაოთ, რომ ამათ კვალს ჩვენ ტყუილად მოვძებნით ჩვენს წარსულ ცხოერებაში, ე. ი. ამ მხრივ არც ერთი ახალი ელემენტი არ შემოუტანიათ სპარსელებს ჩვენს კულტურაში, და რადგანაც ეს მხარეები უმთავრეს ძალას წარმოადგენდნენ ყველა კულტურაში, ამიტომ ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: „ვერაფერი დიდი შედეგი მოყვა სპარსეთის გავლენას". (ზოგიერთი სპარსული ზნე-ჩვეულებათა გავრცელება ქართლ-კახეთის ყოფა-ცხოვრებაში ამ ელემენტების გარეშე სდგას, და ამიტომ არ ვაძლევთ იმათ ამ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელობას).

რა იყო ამის მიზეზი? ამის მიზეზი იყო თვით სპარსეთის კულტურა და მისი მძიმე უძრავი ხასიათი, რომელსაც სპარსეთი დღემდისაც არ მოსცილებია; სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფორმებს, სწავლა-განათლე-

*) ბევრს გონია, რომ ამნაირი გავლენა აღიარებს რუსთაველის „ვეფხვის-ტყაოსანს", მაგრამ ეს მტკნარ უვიცობას ამტკიცებს და მეტს არაფერს, რადგანაც დამტკიცებულია, რომ არც ეპოქის ლიტერატურული ქმნილება არ შექმნილა ისე, რომ რაიმე ნაირი გავლენის ქვეშ არ ყოფილიყოს მისი შემქმნელი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ შეგვეძლო ყოველნაირი კულტურა და განათლების მნიშვნელობა სრულებით უარ-გვეყო.

ბას და მეურნეობას. სპარსეთში არავითარი ცვლილება არ გამოუცდიათ თავის თავზე. აქედან ცხადია, რომ ამ მხრივ ვერაფერს შემოიტანდა სპარსეთი ჩვენს ცხოვრებაში.

თუ ამ შეხედულებით გავსინჯავთ საბერძნეთის გავლენას საქართველოზე, დავრწმუნდებით, რომ ამ გავლენასაც არ შეეძლო ახალი კულტურული განმაცხოველებელი ელემენტები შემოეტანა ქართველი ერის გონებითი საუნჯეში და კულტურაში. პირველად ჩვენ განვმარტოთ, თუ რომელ საბერძნეთს ჰქონდა დაკავშირებითი განწყობილება ივერიასთან, რადგანაც ძველი კლასიური საბერძნეთი სრულებით არაფერში არ წაგავს ქრისიტანულ საბერძნეთს და განსხვავდება ერთი მეორისაგან, როგორც დღე ღამისაგან. ჭკუა-გონების ინტენსიური წრთვნა და ვარჯიშობა მკაცრი მოაზრეობის განვითარება, პოეუტრ ნიჭთა სიფართოვე და სიმშვენიერის იდეალები,—აი რით საზრდოობდნენ და ვითარდებოდნენ კლასიკურ საბერძნეთში; ამის შედეგი იყო ფილოსოფიის განვითარება უმაღლეს ხარისხამდე და შემუშავება ისტორიისა, მათემატიკისა, მჭერმეტყველობისა; პოეზიამ მოიპოვა მსოფლიო მნიშვნელობა ჰომეროსის, ესხილის და სხვა ნაწარმოებით. არისტოტელის და მისი შეგირდების მეოხებით დაედვა შეურყეველი საფუძველი ეხლანდელ მეცნიერებას. ბევრი სხვა მხარეებიც დაიბადნენ და განვითარდნენ კლასიკურ საბერძნეთში, რომლებსაც ჩვენ ეხლა ვერ შევეხებით.

ეხლა შევეხებით, თუ რას წარმოადგენს ქრისტიანული საბერძნეთი, ანუ, ე. წ., ბიზანტია? კლასიკური საბერძნეთის სწავლა-განათლებამ და კულტურამ სხვადასხვა ისტორიულ მოვლენათა გამო ჯერ კიდევ ქრისტეს წინეთ დაიწყო დაცემა და დარღვევა. მაგრამ ეს დაცემა კლასიკური განათლებისა დაჩქარდა, როცა ქრისიტანულ სამღვდელოებამ დაიწყო სასტიკი დევნა კლასიკურ განათლების აღმოსაფხვრელად, როცა ამ სამღვდელოებამ მოუღო ბოლო მსოფლიო ჭკუა-გონების საუნჯეს ალექსანდრიის წიგნთსაცავს, როცა მან ჩაიგდო თავის ხელში საერო ხელმწიფობა და ხმარობდა იმას საშვალებათ, რომ მოესპო უკანასკნელი სახელი კლასიკური განათლებისა, მაგ. უკანასკნელს კლასიკურ სკოლის დახურვით თეოდოსი დიდის მიერ, რათა ყველა ამ ბოროტმოქმედებით მიეწიათ „ზეციურ მიზნებსა“. საუბედუროთ ქრისტიანულ სამღვდელოებამ ხანგრძლივის და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ყოველგვარ თავისუფალ აზროვნობასთან, თანდათან მიაღწია თავის დანიშნულებას თვით საბერძნეთის

აოხრებით, თათრების მიერ დაპყრობით და ბოლოს მოღებით. აი ნამდვილი ნაყოფი ბიზანტიის სამღვდელოებისა.

ამნაირია საზღვარი კლასიკურ და ქრისტ. საბერძნეთის შორის, რომელსაც ჩვენ ვეცადეთ მოკლედ შევხებოდით. ეხლა კი შეგეიძლია განვმარტოთ, თუ რომელ საბერძნეთს ჰქონდა უფრო მკვიდრი კავშირი, რაც აუცილებელი საჭირო იყო გავლენისათვის. არც ერთი ისტორიული ფაქტი არ მოწმობს იმის დასამტკიცებლად, რომ ძველს ივერიას ანუ კოლხიდას რაიმე მკვიდრი განძეულობა ჰქონოდეს კლასიკურ საბერძნეთთან იმ დროს, როცა იქ ჰყვავოდა სწავლა-განათლება. თუმცა ალექსანდრე მაკედონელის დროს საქართველო მთლად დაპყრობილი იქნა აზონის მიერ, რომელიც ალექსანდრემ გამოგზავნა კავკასიისაკენ, რადგანაც თითონ უფრო მძლავრი სახელმწიფოსაკენ მიეჩქარებოდა, მაგრამ ამ დაპყრობას კულტურის და სწავლა-განათლების მხრივ არავითარი მნიშვნელობა არ აღმოუჩენია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც, ერთის მხრით, ეს დაპყრობა და მფლობელობა დიდხანს არ გაგრძელებულა და, მეორეს მხრით, იმას ჰქონდა მხოლოდ მონური ხასიათი. თვით ალ. მაკედონელი რომ შემოსულიყო ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება მაშინ რაიმე ნაყოფი კულტურის ან სწავლა-განათლების მხრივ ჰქონოდა ამ დაპყრობას. ფარნავაზის გამეფებით (302 წ.) ეს მფლობელობაც შესწყდა და, მაშასადამე, განწყობილებაც საბერძნეთთან. ახალი ერთმანეთ შორის განწყობილება და მისვლა-მოსვლა საბერძნეთს და ჩვენს ქვეყანას შორის მყარდებოდა მხოლოდ ქრისტიანული დროიდან. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში თხოულობდა, რომ ჩვენი ერი რამდენიმედ დაკავშირებოდა საბერძნეთს. რომელშიაც კონსტანტინე დიდის დროს ქრისტიანული სარწმუნოება აღიარებულ იქნა უმთავრეს სარწმუნოებათ. მეორე საუკუნედან დაწყებული მკვიდრდება საქართველოში წმ. ნინოს ქადაგებით ქრისეტს აღსარება, თუმცა საფუძველი ანდრია მოციქულისაგან იწყება. ქრისტეს აღსარების მქადაგებელნი და გამავრცელებელნი მუდმივ აღჭურვილნი იყვნენ ყოველგან მარტო ერთი დედა-აზრით: ქრისტეს აღსარების გავრცელებით. უპირველესი საშვალება იყო ხალხის მონათვლა, რომელიც ყოველთვის გარეგნულათ ხდებოდა ხოლმე, როცა ამნაირად მოქცეული იყო ხალხი. მაშინ ახალი სარწმუნოების მქადაგებელნი აგებდენ საღვთისმსახურო სახლებს, ეკლესიებს, სთარგმნიდნენ რამოდენიმე საღმრთო წიგნებს, ჰქადაგობდენ აქაურ ცხოვრების ამაოებაზე და ზეციურ ცხოვრების სიმშვენიერეზე, მათი წარმოდგენით ერთად ერთი ადამიანის მიზანზე, რომელსაც

იგი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს ყველანაირი ჭკა-გონების განვითარების თაკილობით.

ამნაირია საზოგადო ხასიათი ქრისტიანობის გავრცელებისა წარსულში. ვრცელი და ისტორიული გამოკვლევა ქრისიტანული საბერძნეთის გავლენისა ჩვენს ერზე, ჩვენის აზრით, ამაზე მეტს ვერაფერს ვერ წარმოგვიდგენდა. თუ მივიღებთ სახეში ერთის მხრით იმ გარემოებას, რომ ქრისტიანული საბერძნეთი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თანდათან ირღვეოდა და ეცემოდა და მეორეს მხრით, იმ ცნობილ ფაქტს, რომ ქრისტიანული მქადაგებელნი აღჭურვილი იყვნენ მხოლოდ ერთი დედაზრით, რომელიც მარტო ხალხის მონათვლით იფარგლებოდა, ჩვენ a priori-ულადაც დავრწმუნდებით ამ შეხედულების ჭეშმარიტებაში. მთელი თვრამეტი საუკუნის სივრცეზე ჩვენ ვხედავთ რაღაც ერთგვარ უფერულობას საბერძნეთის მხრივ, რომელიც არაოდეს არ შერჩეულა რაიმე ახალი ცვლილებით თვით წმინდა რელიგიურ სფეროშიაც. სექტიურ მიმართულებამ, რომელიც პირდაპირი შედეგი იყო ქრისტიანობის ცრუ განვითარებისა, თითქმის ყველა საქრისტიანო ქვეყნებში დაუწყნარებელი ალიაქოთი ასტეხა; მაგრამ ჩვენს ქვეყანაში კი ამის შესახებ არავითარი ბაიბური არ ისმოდა. არც ერთ რელიგიურ კითხვას, რომელიც ათასნაირად აღელვებდა სხვა ქვეყნებს, ჩვენში არავითარი მსჯელობა არ გამოუწვევია. ყველა ესენი კულტურულად ჩატარდა ჩვენს ცხოვრებაში. რა იყო ამის მიზეზი ჩვენ ქვემოდ დავინახავთ. აქ მხოლოდ ბიზანტიის შესახებ იმას შევნიშნავთ, რომ რაც რელიგიურ სფეროს არ ეხება, იმის კვალს ამაოდ მოვძებნით ჩვენს წარსულ ცხოვრებაში. ამიტომაცაა, რომ ქრისტიანული საბერძნეთის გავლენა საქართველოზე ბევრათ დაბლად სდგას სპარსეთისაზე.

კლასიური საბერძნეთის განვითარებამ უკანასკნელ ეპოქაში, როცა იმან მიაღწია უმაღლეს თავის განვითარებას, მიიღო მსოფლიო ხასიათი. ამისათვის, თუ თვით საბერძნეთში დაიწყო ამ განათლებამ დაცემა და მოეკლე დროის განმავლობაში სრულებით მოისპო სხვადასხვა რთული ისტორიულ პირობებთა გამო, შეუძლებელი იყო, რომ მთელს კაცობრიობის ცხოვრებაში ღრმა კვალი არ დაეტოვებია ამ კლასიკურ ცივილიზაციას. პირველად რომაელებს, როგორც საბერძნეთის დამპყრობელთ უნდა ეგრძნოთ თავის თავზე უმაღლესი ძალა კლასიკური ცივილიზაციისა და შეეძინათ უმთავრესი მიმართულება მისი შესანიშნავ ნაწარმოებთა დაცვით, რომ გარდაეცათ შთამავლობისათვის ძალა და ღირსება კლასიკური სწავ-

ლა-განათლებისა. რამდენად შეასრულეს რომაელებმა ეს მსოფლიო ღვაწლი, ამის გასინჯვაში ჩვენ ახლა ვერ შევდივართ. ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ იმ მოვლენას, რომ უმთავრესი განძი კლასიკური ცივილიზაციის ნაწარმოებთა დაცულ იქნა არა რომში, არამედ—მეორე ალაგას—არაბეთში. თუ რანაირად მოხდა ეს შესანიშნავი გარემოება, ჩვენ ვერც ამ საკითხის სრულ გარჩევაში შევალთ; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ კლასიკურ სწავლა-განათლებით განვითარებულმა ბერძნებმა და ებრაელებმა ამჯობინეს კლასიკური სწავლა-განათლების გადატანა არაბეთში, სადაც ბინადრობდნენ მშვიდობიანი და აღებ-მიცემობის მოყვარე ხალხი—არაბნი. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის ქვეყნის უცნობლად არსებობდა ეს სწავლა-განათლება არაბეთის განათლებულ წარმომადგენლებში, რომლებიც ცდილობდნენ ბერძენთა დაფუძნებულის მეურნეობის შემუშავებას და განვითარებას.

ჩვენი წელთ აღრიცხვის მე-VII საუკ. თითქმის პოტენციალურად ინახებოდა ეს კლასიკური ცივილიზაცია. ამ საუკუნეში კი მსგავსად ნიაღვრისა, ისტორიულ მსვლელობაში მოხდა ერთი ფრიად შესანიშნავი შემთხვევა: არაბთა მოძრაობა. არაბნი, აღფურვილნი მაჰმადის სარწმუნოების ფანატიზმით, გამოდიან აზიის საზღვრებიდან და იპყრობენ სხვადასხვა ქვეყნებს, ბოლოს შემოდიან სამხრეთ ევროპაში და იქ ავრცელებენ თავის გავლენას. მაჰმადის მეომრებთან ერთად შეძლება მიეცათ, რომ შემოსულიყვნენ ისპანიაში, საფრანგეთში და იტალიაშიც, ნასწავლ არაბებსა და ებრაელებს, რომლებმაც ჰპოვეს ამ ქვეყანაში უფრო მოხერხებული ნიადაგი მეცნიერებისათვის, თუმცალა ამასთანავე სასტიკი დევნაც უნდა გამოეცადნათ თავის თავზე უზრდელ რომის სამღვდელოებისაგან, მაგრამ მაინც ბევრათ წარუმართეს ეგრედ წოდებულ კლასიკური სწავლა-განათლების და იდეალების განახლებას ანუ ახლადშობას (Renaissance). ჩვენ ამდენი იმიტომ გავჩერდით არაბებზე, რომ დაგვენახვებია, თუ როგორი იყო მათი გავლენა იმათ მოძრაობის დროს ევროპის სვე-ბედზე. ამას საჭიროდ ვრაცხთ იმისათვის, რომ არაბების მოძრაობა იმავე დროს ჩვენს ქვეყანაზეც იყო გავრცელებული, უკანასკნელის დაპყრობით.

ახლა გავსინჯოთ რამდენიმედ მაინც, თუ რაში გამოიხატება არაბთა გავლენა საქართველოს ცხოვრებაზე, თუმცალა ამის შესახებ ცნობები ძლიერ მცირე და საეჭვონიც არიან.

როცა სპარსეთის გავლენაზე ვლაპარაკობდით, ჩვენ განვმარტეთ ის ფაქტი, რომ ქართული საერო პოეზია შედეგი იყო სპარსეთის და უმეტე-

სად არაბეთის საერო პოეზიისა. დაბეჯითებითი ცოდნა და განხილვა. იმ გარემოებისა ჩვენ ვსცანით ჯერ-ჯერობით. შეუძლებლად, როგორც აგრეთვე სხვა მრავალი ფრიად საჭირო მხარეები ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა. სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო. მხოლოდ ის ცხადია, რომ თუ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა არაბების გავლენას ჩვენს კულტურულ ცხოვრებაზე,—ეს მარტო საერო პოეზიის მხრივ. არაბთა შემოსევის და მფლობელობის გამო ქართველებს მიეცათ საშუალება არაბეთი საერო პოეზიის ნაწარმოებთა შესწავლისა, რომელმაც თავის ნაყოფი გამოიჩინა ჩვენს საერო მწერლობაშიაც, და თვით ჩვენი საერო მწერლობა შედეგია არაბეთ-სპარსეთის გავლენისა. მაგრამ რაც შეეხება ნამდვილ კლასიკურ განათლებას, ფილოსოფიას და მეცნიერებას, რომლის პიონერებათ ევროპაში შეიქნენ განათლებული არაბნი, ჩვენ ამის კვალს ვერ ვპოვებთ ჩვენს წარსულში. არ ვიცით, შეიძლება თვით არაბებმა ვერ ჰპოვეს ჩვენს მაშინდელს ცხოვრებაში ნიადაგი ამ საქმისათვის და ამიტომაც აღარ ცდილობდნენ იმის დასამკვიდრებლად, რასაც მოწმობს საეჭვო ცნობა ინის შესახებ, რომ ტფილისში არსებობდა არაბთა მიერ დაარსებული ასტრონომიული ობსერვატორია, რომელსაც უმნიშვნელოდ ჩაუვლია ჩვენს ცხოვრებაში. ისიც წარმოსადგენია, რომ არაბებმა უმთავრესი გონებრივი ძალა ევროპისაკენ მიაქციეს და სხვა ქვეყნებში მხოლოდ მფლობელობით კმაყოფილდებოდნენ. მიგვინდვია ეს საკითხი გამოსარკვევად ჩვენს ნასწავლ მკლევართათვის. ჩვენი ვალი მოითხოვდა ახლა, რომ ამნაირადვე მოკლე განხილვა გვეძღვნა რუსეთის გავლენისათვის, რომელსაც რამოდენიმედ განსხვავებული ხასიათი აქვს ნაჩვენებ გავლენათა შორის და ძლიერ საინტერესოც არის, რადგანაც ის თანამედროვე ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და თითქმის შეუღლებული, მაგრამ რადგანაც ამნაირი განხილვა ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ამასთანავე რადგანაც ჩვენს საკითხსაც ვერაფერს დიდ ნათელს მოფენდა, ამიტომ ჩვენ ვტოვებთ ახლა იმას და გადავდივართ პირდაპირ იმ კითხვაზე, რომელიც შეეხება მესამე მოთხოვნილებას.

ჩვენ უკვე ზემოთ შევნიშნეთ, რომ, თუ რომ რომელიმე ხალხს შეაქვს თავის საზოგადოებრივ და კულტურულ ფორმებში რაიმე ახალი ელემენტები, რომლებსაც ის იღებს სხვა ერის კულტურიდან, იმან უსათუოდ ჯერ უნდა რამდენიმედ მაინც შეიმუშაოს ეს ახალი კულტურული ელემენტები და ისე შეითვისოს. ეს შეადგენს კულტურული გავლენის მესამე მოთხოვნილებას. ვინიცობაა, თუ ხალხი არ ცდილობს, რომ ამნაირად მოი-

ქცევს, თუ იგი თვითეულ ახლად შემოტანილ ელემენტს კრიტიკულად არ არჩევს და ისე არ ითვისებს, არა თუ საეჭვოა ღირსება ამნაირად გავრცელებული კულტურული ფორმებისა, არამედ თვით გავრცელებაც შეუძლებლად მიგვაჩნია. კულტურა და სწავლა-განათლება იმნაირ პირველხარისხოვანი ძალაა ხალხის ცხოვრებაში, რომელიც მიუცილებლად თხოულობს მთელი ნაციონალური ჭკუა-გონების ვარჯიშობას და მუშაობას. ისტორია გვარწმუნებს ჩვენ, რომ როცა რომელიმე ხალხს აძალებდნენ სახელმწიფო მოღვაწენი ან რეფორმატორები ახალი კულტურული ფორმების შემოღებას, ამნაირი მოქმედება რეფორმატორთა მარტო რეაქციას ჰბადებდა იმ ხალხში და მხოლოდ დროთა განმავლობაში, როცა ეს კულტურული ფორმები აწონილ-დაწონილი იქნებოდნენ ხალხის მიერ, მხოლოდ მაშინ ითვისებდა იმათ. მაგრამ ამისათვის საჭიროა მშვიდობიანი და თავისუფალი დრო, რომელიც ხალხს აძლევს საშუალებას ამ კულტურულ ელემენტების შემუშავების შესწავლისას და შეთვისებისას.

ეხლა შეეხედოთ, თუ რა დროით ჰპატრონობდა ქართველი ერი წარსულში, რომ აღესრულებინა ეს უმაღლესი ნაციონალური დანიშნულება.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რანაირი იყო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა; რამდენიმედ ვიცით აგრეთვე ისიც, თუ რად მოხდა ის, რომ მრავალნი ძველი ხალხნი ელტვოდენ ჩვენს სამშობლოს. ამ გარემოების მიზეზი იყო, რასაკვირველია, უმთავრესად მდებარეობა და სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თვით ბუნების სიმშვენიერეს, რაც იშვიათი მოვლენაა მთელ ქვეყნიერობაზე. ასე იყო, თუ ისე, მაგრამ ამ გარემოებას ერთობ ცუდი შედეგი მოყვა თვით ჩვენი ერისათვის. მე ვამბობ იმ ცნობილ მოვლენაზე, რომ ჩვენი ქვეყანა და მისი მკვიდრნი, მუდამ შეიარაღებულნი უნდა ყოფილიყვნენ და საზღვარზე უნდა მდგარიყვნენ, რომ დაეცვათ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ნაციონალური ხასიათი. ჩვენ არ შეგვიძლია ისეთი ეპოქის დასახელება, როცა ჩვენი ქვეყანა მოსვენებული ყოფილიყოს მტრებისაგან და მისი მკვიდრნი მშვიდობიანად მეცადინეობდნენ გონებითი შრომით და შინაური საქმეების გასაუმჯობესებლად, რაც სოციალური კეთილდღეობის საფუძველია. რასაკვირველია, გარეშე მტრებისაგან შეწუხებული იყვნენ ყველა ძველი სახელმწიფონი, მაგრამ ძველი საქართველოსულ სხვა ნაირი იყო. ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ სახეში ორი უმთავრესი გარემოება, თუმცაღა ისინი უფრო მეტი იყო: 1) საქართველოს მკვიდრნი რიცხვით ყოველთვის შეუდარებლად ნაკლებნი იყვნენ,

ვინემ გარეგანი მტრები, რომელნიც რიცხვით შეუდარებლად მეტი იყვნენ. ამისათვის თითქმის მთელი საქართველო მეომრებად უნდა გადაქცეულიყო, რომ რაიმე წინააღმდეგობა გაეწია მტრებისათვის. 2) ის გარემოებაც მისაღებია სახეში, რომ ქართველებს ერთ და იმავე დროს აწუხებდნენ სხვადასხვა ერნი. აქედან ცხადია, რომ ჩვენს წინაპრებს დაეცვათ თავიანთი ეროვნება; უსათუოდ მუდამ შეიარაღებულნი უნდა მდგარიყვნენ საზღვრებზე. თუ ამ გზას არ გაყვებოდენ, მაშინ უსათუოდ ქართველების სხვა ერში გადაშენება უნდა მომხდარიყო. ქართველებმა თავის დევიზათ დაისვეს თავის ვინაობის დაცვა და ამიტომაც იძულებული შეიქნენ, რომ მუდამ მეომარ ხალხათ გამხდარიყვნენ. ამ არასასიქადულო მოვლენას, ე. ი. გარეგანი მტრებისაგან მოუსვენრობას, დაერთო კიდევ ის საზარელი გარემოება, რომ თვით საქართველოს სხვადასხვა მკვიდრთა შორის ჩამოვარდა განხეთქილება, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ბოლოს იქამდე მიაღწია, რომ ერთმანეთის დაჩაგვრაში ქართველები გარეშე მტრებს აჭარბებდნენ ბევრად. ამ უკანასკნელმა მოვლენამ დიდ უბედურებაში ჩააგდო ჩვენი სამშობლო რაც მე-XVIII საუკ. ბოლოს გამოაშკარავდა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ეს გარეგანი მოუსვენრობა და შინაური უთანხმოება და განხეთქილება სრულებით არ აძლევდნენ საქართველოს ერს თავისუფალ დროს, რაც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველნაირი გონებითი და ნივთიერი წარმატებისათვის, რაც საჭიროა კულტურულ ფორმების შემუშავებისათვის. თუ ამ გარემოებას დავუმატებთ აგრეთვე იმასაც, რომ ის ხალხნი, რომლებსაც ისტორიული გავლენა ჰქონდათ საქართველოზე, ძლიერ დაბლა იდგნენ სწავლა-განათლების და კულტურის მხრით და თითქმის სრულიად გაუნათლებელნი იყვნენ, ჩვენ რამდენიმედ მაინც მივხვდებით, რომ ჩვენმა კულტურამ და სწავლა-განათლებამ ძველს დროში ვერ წაიწია წინ. ეს იყო ნამდვილი შედეგი იმ ისტორიულ გარეჰოებათა, რომლებშიაც საქართველო იყო ჩავარდნილი სხვადასხვა მიზეზების გამო.

მაგრამ დაბოლოს მაშინდელ მმართველობასაც მოსწყინდა ამნაირი ვითარება და არა თუ მარტო მმართველობამ იგრძნო ამ მუდამ მოუსვენარი მდგომარეობის უვარგისობა, თვით ხალხსაც მობეზრდა მუდამ შეიარაღებულათ ყოფნა და თუ კიდევ უკანასკნელ დრომდის იღებდა მონაწილეობას ერეკლე მეორის ომებში, ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ძველი ტრადიციები მამულის სიყვარულისადმი კიდევ ინსტიქტიურად ცხოვ-

რობდნენ მის ძვალსა და რბილში. ეს საყოველთაო მობეზრება კი იმის ნაშდეილი ნიშანი იყო, რომ ხალხი უძლურდებოდა, რომ დაუწყნარებელმა ცალ-მხრივ მოქმედებამ მოშალა ხალხის ძალა, რადგანაც ხალხის შინაური ეთილდღეობის საქმე ომების მსხვერპლად იყო გამხდარი. მოქმედება მხოლოდ მაშინ მოიტანს სარგებლობას, როცა ის სხვა უფრო სარგებლიანი მოქმედების ძალას არ ჩაგრავს. მართლა რისთვის აუძლურებს ომიანობა ხალხს? ნუ თუ ეს გარემოება არ ეწინააღმდეგება იმ ცნობილ ფაქტს, რომ ყოველნაირ ფიზიკურ მოქმედებას და გონებითი ვარჯიშობას განმაკითარებელი მნიშვნელობა აქვს? და ნუ თუ ომიანობა იგივე მოქმედება არ არის?—ომიანობა რომ მოქმედება არის, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ამასთანავე ისიც აშკარაა, რომ ომიანობას არც კერძო ადამიანისათვის და არც ადამიანთა საზოგადოებისათვის არავითარი განმავითარებელი მნიშვნელობა არ აქვს და არც ექნება არასოდეს, და აი რათა: ყოველივე გონიერი მოქმედება და ვარჯიშობა, გონებრივი იქნება თუ ფიზიკური, იმაში მდგომარეობს, რომ არავითარი სასარგებლო ძალა არ დაჩაგროს და არ დააუძლუროს, და ამასთანავე ცალმხრივ მოქმედებათ არ გადაიქცეს მაშინ, როცა ომიანობა ყველა ხალხის ძალას თავის მსხვერპლად ხდის: გონებითი, ზნეობითი და ნივთიერი ხალხის ძალანი ომიანობისაგან უნდა შთაითქმნენ ყოველთვის. თუ ეს საზოგადო კანონია, მისი გამოჩენა ჩვენს ერის ცხოვრებაში უფრო საგრძნობელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც იგი ომიანობის უკიდურეს განვითარებას წარმოგვიდგენდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიამ და მის მერმინდელ ჩვენ საზოგადოებრივ და მოქალაქობრივ ცხოვრების მიმდინარეობამ თვალსაჩინოდ დაგვანახვა ის ფაქტი, რომ ჩვენი ერი სხვადასხვა უხეირო გარემოებათა გამო ძლიერ შესუსტებული და დაუძლურებული შეიქმნა. ეს აშკარა იყო მით უფრო, რომ ხალხი, რომელიც ორი ათასი წლის განმავლობაში მოუსვენრად იბრძოდა და მოქმედებდა, უცებ სწყვეტს ყოველნაირ მოქმედებას; ხალხი, რომელიც უწინ მარტო ბრძოლაში ხედავდა ერთად ერთ სიამოვნებას, უცებ ამავე სიამოვნებას ჰპოვებს მხოლოდ უმოქმედებაში. მართლაც რომ გასაკვირი მოვლენაა! მაგრამ ეს მხოლოდ პირველის შეხედვით უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგს მართლადაც არა სჯეროდა ეს მოვლენა, და გულწრფელად გაიძახოდნენ აქა-იქ, რომ ქართველს დასძინებია, მაგრამ ახლოა ის დრო, როცა ხელ-ახლად გაიღვიძებსო. ადრე თუ გვიან გაიღვიძებს ახლა ქართველი ერი, თუ შეიძლება სულაც არ გაიღვიძებს, ეს სულ სხვა გარემოებათაგან არის ახლა დამოკიდებული, მაგრამ ის

კი ცხადია, რომ მას დაეძინა. განა ძილი დაღალვის და დაქანცვის შედეგი არ არის? ჩვენმა პოეტებმა ეს ფაქტი მართლად აღნიშნეს, მაგრამ იმათ ვერ უჩვენეს მისი ნამდვილი მიზეზი.

ამნაირი იყო ჩვენი ერის სულიერი მდგომარეობა, როცა მან მე-XIX საუკუნეში გადმოდგა ფეხი. ამიტომ გასაკვირალი არ არის თვით მე-XIX საუკ. დასაწყისშივე ხალხს თითქმის სრული აპატიური მიმართულება დაატყდა. მარტო ომიანობის დაჩვეულმა და ომიანობაში აღზრდილმა ჩვენმა ერმა, როცა ამ ომიანობათა გარეგანი ჯაჭვი შეწყდა, უეცრად დაინახა თავის თავი სრულიად უცნობ მდგომარეობაში: სრულიად უცნობი მშვიდობიანი განვითარებისა, რაც პირდაპირი შედეგები იყო წინანდელ ისტორიულ გარემოებათა, იმან არ იცოდა, თუ როგორ ემოქმედნა ამ ახალს მდგომარეობაში. ეს რომ კერძო და არა საზოგადო მოვლენა ყოფილიყო, მაშინ შესაძლო იქნებოდა, რომ ის აპატია, რომელშიაც ჩავარდა ჩვენი ერი, საყოველთაო მოვლენად არ გადაიქცეოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ საყოველთაო დაუძლურებას საყოველთაო აპატია მოყვა.

ჩვენი ამ წერილის მიზანი იყო გვეჩვენებინა უფრო ზოგადი მიზანი იმ არასასიქადულო მოვლენისა, რომელიც დღეს ჩვენს ცხოვრებას გარს ახვევია და მასში დატრიალებს, ე. ი. ჩვენი საზოგადოების უფერულობისა, მისი დაწვრილმანების და გათახსირებისა. ვგონებთ, რომ ეხლა რამოდენიმედ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ სოციალური მოვლენის დასაწყისი უსათუოდ უნდა ვეძიოთ ჩვენი ერის აპატიურ მიმართულებაში, რომელიც იმას ძალა-უნებურად უნდა მიეღო. ეჭვი არ არის, რომ აწინდელს ჩვენს ძველს თუ ახალს თაობას, აღზრდილს ამ გარემოებაში, თუ მასზე სხვა უფრო განმაცხოვებელ და განმაუმჯობესებელ გარემოებათა არ ექნებოდათ გავლენა, უმთავრესად იგივე მიმართულება უნდა მიეღოთ, როცა იმის წინა-მოადგილეს დაჰყოლოდა. მაშასადამე, წინა პირველი მიზეზი ჩვენი დღევანდელი საზოგადოების უზრუნველყოფისა სძევს იმ საყოველთაო სოციალურ მოვლენაში, რომელიც გამოწვეულ იქნა ჟამთა ვითარების გამო. მაგრამ რაც აუცილებელია და საპატიო იყო ჩვენი საზოგადოებისათვის მე-XIX საუკ. დასაწყისში, ის არც აუცილებელი უნდა ყოფილიყო დღევანდელ საზოგადოებისათვის, და კიდევ უფრო, არც საპატიო. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ ყოველივე სოციალური სენის თუ სრულიად აცდენა, მორჩენა მაინც შესაძლებელია: ამაში მდგომარეობს უპირველესი და უდიდესი გარჩევა სოციალურ და ფიზიკურ მოვლენათა შორის. ამიტომაც ჩვენ შესაძლოთ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ეხლანდელი თაობა

ასცილებოდა ამ მომაკვდინებულ უზრუნველყოფას და ნამდვილი სამსახური გაეწია საზოგადოებრივ და ეროვნულ განვითარებისათვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, და რასაკვირველია, ამასაც აქვს თავისი მიზეზი. ჩვენ ავსურს ჯერ-ჯერობით დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი.

ევროპის სწავლა-განათლების გავრცელება არა თუ მარტო ევროპის სახელმწიფოებში, არამედ სხვა, ევროპაზე უფრო დაშორებულ ქვეყნებშიაც, შეადგენს მე-XIX საუკ. ერთს უმაღლეს ღირებულებათაგანს. რასაკვირველია, ევროპის სწავლა-განათლებას მე-XIX საუკუნემდეაც ჰქონდა გავლენა სხვა ქვეყნებზე, მაგრამ ფართო გავრცელება ამ სწავლა-განათლებისა მხოლოდ თანამედროვე საუკუნეს დაეტყო ყველაზე უფრო. რაც შეეხება საქართველოს, თუ არ ვიქონიებთ სახეში იეზუიტების მოღვაწეობას მე-XVII საუკუნიდან დაწყებულს, იმან მხოლოდ XIX საუკ. იგრძნო რამოდენიმედ თავის-თავზე ამ სწავლა-განათლების გავლენა. მაგრამ, საუბედუროთ, დასაწყისიდანვე შეუძლებელი იყო, რომ ევროპის სწავლა-განათლებას კეთილი ნაყოფი გამოეჩინა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრით, ჩვენი საზოგადოებრივი მიდამო, რომელშიაც პირველად უნდა აღზრდილიყო ახალი თაობა და რომელიც გონებითი და ზნეობითი აპატიაში იყო ჩავარდნილი, და მეორეს მხრით, ჩვენი გაცნობა ევროპის სწავლა-განათლებასთან უნდა მომხდარიყო რუსეთის მეოხებით, რომელშიაც ჯერ კიდევ ვერ იყვნენ დამკვიდრებული უმაღლესი საფუძველნი ნამდვილის სწავლა-განათლებისა. აქედან წარმოსდგა ის საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა, რომ ჩვენი უკანასკნელი თაობანი, აღზრდილნი ევროპის სწავლა-განათლებით, მოკლებულნი არიან იმ მეცნიერულს მიმართულებას, რომელიც ასულდგმულებს და აცხოველებს ყოველ ჭეშმარიტად განათლებულს ადამიანს და რომელიც მოღვაწეობის ასპარეზზე იწვევს მას. ერთი ცუდი საქმე სჭირს სწავლა-განათლებას, თუ ასე შეიძლება გამოვხატოთ თავის აზრი: მე ვამბობ იმ გარემოებაზე, რომ ჭეშმარიტ განათლებას ფეხდაფეხ მისდევს ეგრედ წოდებული ცრუ განათლება. ეს ორი მიმართულება სწავლა-განათლებისა მუდამ არსებობდენ ქვეყნიერებაზე. ცუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ ორ მიმართულებათა შორის, პირველის შეხედვით, მარჯვე საზღვარს ვერ უჩვენებთ. მხოლოდ ნამდვილი და მკაცრი დაკვირვება და სხვადასხვა ადამიანის მოქმედებათა შესწავლა დაგარწმუნებს თქვენ, რომ ეს და ეს ადამიანი ჭეშმარიტი მიმართულებისაა და ესა და ეს კი ცრუისა. უმთავრესი გარჩევა მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველს თავის

დროის კვალად შეუმუშავებია საზოგადოებრივი იდეალები და იმათ განხორციელებისათვის ზრუნავს და მეორეს კი თავის ცხოვრების მიზნათ მარტო ის გაუხდია, რომ საცაა ბევრი გამოსწიწკნოს, და მხოლოდ იმის კვლევაშია, რომ აღმოაჩინოს გაყვლეფ-გაღლეტის ახალი საშუალებანი, რაც იმავე დროს არ უშლის მას საზოგადოებაში განათლებულთა რიცხვში იყოს. რასაკვირველია, ჩვენ უჩვენეთ მხოლოდ მეტად ზოგადი თვისება, როგორც ერთისა, ისე მეორესი, მაგრამ ვგონებთ, რომ ესეც საკმარისი იქნება, რომ ჭეშმარიტი წარმოდგენა ვიქონიოთ როგორც პირველზე, ისე მეორეზედაც.

ეხლა გადავიდეთ თვით ჩვენი მოწინავე საზოგადოების მოქმედებაზე და მის სამსახურზე საზოგადოებრივ განვითარებისადმი და საზოგადოთ განვიხილოთ მისი მოღვაწეობა 1840-1850 წლებიდან, როგორც წარსულში, ისე აწმყოშიაც. რა შექმნა ან რა სამსახური გაუწია ჩვენმა მოაზრე საზოგადოებამ ჩვენი ერის სოციალურ განვითარებას? ამ წერილის შემდეგ პწკარებს ჩვენ ვუძღვნით ამ კითხვის განმარტებას.

იყო დრო, როცა დიდ ყაყანში და მსჯელობაში შედიოდენ იმის შესახებ, თუ რომელი თაობა უფრო ემსახურებოდა უმაღლეს დანიშნულებას, ძველი ანუ უსაფუძლოდ წოდებული „თერგ-დალეულები“ თუ დღევანდელი ახალი თაობა? დაწვრილებით ამ კითხვის გარჩევაში ჩვენ ვერ შევალთ, რადგანაც ამნაირი გარჩევა ჩვენს დანიშნულებას არ შეადგენს. აქ უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ამნაირი საკითხის დასმა უადგილო და აჩქარებული უნდა ყოფილიყო, რადგანაც თვით ახალ თაობამ თითქმის სულ ვერაფერში იჩინა თავის თავი და ვერ დაიმსახურა ის ღირსებაც, რომ ახალ თაობად აღიარებული ყოფილიყო ჩვენს მწერლობაში. ერთი სიტყვით, თუ მართლა დღევანდელ თაობაზეა ლაპარაკი, ეს მხოლოდ იმას უნდა ეხებოდეს, რომ ის, როგორც ახალი თაობა, შემტანელი ცხოვრებაში და მწერლობაში რაიმე ახალი მიმართულების ან ახალი იდეალებისა, რომ ის, როგორც თაობა ამ მნიშვნელობით არ არსებობს *). ჩვენში თუ მოქმედებს და სულდგმულობს რამოდენიმედ კიდევ—ეს ისევე 60-იან და სამოცდაათიან წლების თაობა. ახალმა თაობამ ვერც მის მოქმედებაში და ვერც იმის იდეალებში თუ კი მას ჰქონდა რაიმე იდეალები, არა თუ ვერა-

*) აქ ჩვენ არ გვაქვს სახეში ის მცირედი ნაწილი სოფლის ინტელიგენციისა, რომელსაც სოფლის მასწავლებლები შეადგენენ და რომელიც ამ შემთხვევაში დიდი ყურადღების ღირსია, რადგანაც ის თავის მიმართულებით, იმ განათლების შესაფერად, რომელიც მას მოუღია ბევრად მაღლა სდგას იმ ინტელიგენციაზე, რომელზედაც ეხლა საუბარი გვაქვს და რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია.

ფერი ცვლილება ვერ შეიტანა, არამედ თვით ამ მოქმედებასაც ვერაფერი კვალი დააჩინა. აი რით აღნიშნა თავის არსებობა ახალმა თაობამ. ამისათვის ჩვენი მწერლობის ეპოქებად დაყოფა და იმათ წარმომადგენლად ძველ და ახალ თაობათა დასახელება, უსაფუძვლოთ მიგვაჩნია. შეიძლება პირდაპირი გაკიცხვა დღევანდელი ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, რომლის უფერულობა და დაწვრილმანება ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ უკვე ვალიარეთ, რომ ჩვენს მწერლობას ოცდაათის წლის განმავლობაში თითქმის არავითარი ცვლილება არ გამოუცდია, არავითარი ახალი მიმართულება არ დაბადებულა მასში, რომ მით მას დაეწყოს ახალი ეპოქა. ახლა თუ ფაქტიურ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ უფრო დავრწმუნდებით ამ შეხედულების სიმართლეში და ამასთანავე ძველი თაობის სასარგებლოდაც. ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა მწერლობამ იწყო სულდგმულობა 60-ან წლებში. „ცისკარი“ (1857-1874), „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.) „დროება“ (1866-1884), „მნათობი“ (1869-1872 წ.). „სასოფლო გაზეთი“ (1868-1880 წ.) და „კრებული“ (1870-1873 წ.) იყვნენ ნამდვილი შვილნი სამოციან წლებისა და თავის შედარებით ფართო პროგრამით და დანიშნულებით მრავალ სასარგებლო და საჭირო კითხვებს აღძრავდენ და არჩევდენ თავის დროის დაკვალად; მით უფრო ითქმის ეს იმათ შესახებ, რომ მაშინ მწერლობის საქმე მხოლოდ იბადებოდა ჩვენში, და ცხადია, რომ ის ყველა ჩვენი ცხოვრების კითხვებს ვერ შემოეკლებოდა და ვერ აღნიშნავდა; მაგრამ ახლანდელი ჟურნალ-გაზეთობა რომ მიუყენოდ იმას, გვერდით, ჩვენ ცხადათ დავინახავთ, რომ სამოციან წლების ჟურნალ-გაზეთობა ბევრად მაღლა იდგა აწინდელზე, როგორც თავის განზრახვით, ისე შინაარსითაც. აწინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთობა რას წარმოგვიდგენს ჩვენ? ნუ თუ ახალმა თაობამ ვერ აღზარდა ერთი პიროვნება, რომ მას მის თავზე ედვა ერთი დროგამოშვებითი ლიტერატურული ან სამეცნიერო გამოცემა? შეიძლება ფიქრობენ ჩვენი ახალი წარმომადგენლები, რომ ჩვენთვის ეს ჯერ უდროვო არისო, მაგრამ ეს ვერაფერი გამართლება არის თავისა, გარდა იმისა, რომ ეს გამართლება ახალი თაობის სისუსტეს და უღონობას ამტკიცებს. სამოციანი წლების თაობა იმით მაინც იდგა მაღლა, რომ სცადა თავის თავი და აგრეთვე რამოდენიმედ საზოგადოებრივი ცხოვრება. რასაკვირველია, იმის შესამჩნევი ნაკლულოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ იმან თითქმის პირველს ბრძოლაში სცნო თავის თავი დამარცხებულად. ამით აიხსნება მოკლე არ-

სებობა: „საქართვ. მოამბისა“, „მნათობისა“ და „კრებულისა“. ეს ფაქტი აგრეთვე იმის მოწამეც არის, რომ მაშინდელი თაობაც ვერ იყო აღფურვილი საზოგადოებრივი იდეალებით, რომ იმის მოღვაწეობის ძალა ვერ იყო კიდევ გამჯდარი ძვალსა და რბილში. მაგრამ თუ მაშინდელი თაობის ძვალს და რბილში ვერ იყო გამჯდარი მოღვაწეობის ძალა, აწინდელ თაობის საზოგადოებრივ მოღვაწეობის ძალაზე კი სრულებით მეტია ლაპარაკი. გადავავლოთ ეხლა თვალი, რით ისახელა თავი კიდევ სამოციან წლების თაობამ.

შესანიშნავი ხელოვნური ანუ მხატვრობითი ნაწარმოებნი ჩვენი მწერლობისა უსათუოდ ეკუთვნის სამოციან წლების თაობასვე. „სურამის ციხე“ ჭონქაძისა, „კაცია-ადამიანი“?! და „გლახის ნაამბობი“ ილ. ჭავჭავაძისა, რომლებიც ჩვენს მწერლობის შესანიშნავ განძს შეადგენენ, „სოლ. ის. მეჯღანუაშვილი“ არდაზიანისა, „დიდი მოურავი“ ან. ფურცელაძისა და სხვ. მრავალი ნაწარმოებნი, როგორც ნაჩვენებ მწერალთა, აგრეთვე სხვებისაც ამ თაობისაგანვე არიან შექმნილნი. აბა ეხლა ვიკითხოთ, თუ რას ეხედავთ ამ მხრივ ახალი-თაობის ნაწარმოებთა შორის. ჩვენ ამდენი ხანია თვალყურს ვადევნებთ ამ ახალ თაობის ნაწარმოებთ. მაგრამ იმათ შორის, საუბედუროთ, ვერ შეგვეძლო, რომ შეგვემჩნია რომელიმე მხატვრობითი ნაწარმოები და გვეთქვა, რომ აი სწორეთ ეს არის ნამდვილი ქმნილება, რომელსაც მით დაემსახურებია არა მარტო დღიური, არამედ უფრო მეტი მნიშვნელობა. ამათ მაგიერ ჩვენ ვხედავთ ეხლა რალაც სუსტს მოთხრობის მსგავს ნაწერებს, რომლებიც არა თუ მოკლებული არიან ხელოვნურ და მხატვრობით თვისებათ, რაც უნიჭობის საბუთია, არამედ თვით ცხოვრების სინამდვილესთან ძლიერ დაშორებულნი არიან. ამ ნაირად აწინდელი ბელეტრისტული მწერლობა შესამჩნევად დაწვრილმანდა. ამასვე ეხედავთ ჩვენ პოეზიაშიც. მაგრამ ამაზე ჩვენ მეტს აღარ გავჩერდებით, რადგანაც ეს ნაკლი უფრო თვალსაჩინოა.

მაგრამ შეიძლება, თქვენ გგონიათ, რომ რაკი ამაში ვერ იჩინა თავი ახალმა თაობამ, უსათუოდ იმან თავის მიდრეკილება გამოიჩინა სხვა მხრივ, მაგალითად, პუბლიცისტიკაში, მეცნიერებაში, ისტორიაში და სხვ. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩვენი აწინდელი ჟურნალ-გაზეთობა მეტის-მეტად დაცემულია და, მაშასადამე, პუბლიცისტიკაც ამნაირსავე მდგომარეობაშია, რადგანაც ეს უკანასკნელი ჰცოცხლობს მხოლოდ პირველით. რაც შეეხება მეცნიერებას, ამის თვით ხსენებაც აღარ არსებობს თანამედროვე მწერლობაში, და არა თუ რაიმე მეცნიერული გამოცემის დაარ-

სება, არამედ თვით განზრახვაც ამის შესახებ არავის დაბადებია თავში. სამოციან წლების ღირსებას ის გარემოებაც მოწმობს, რომ მოკლე დროის განმავლობაში მაინც არსებობდა ორი ჟურნალი მეცნიერულის პროგრამით: „საქართველოს მოამბე“ და „მნათობი“. პუბლიცისტიკურ ელემენტსაც საკმარისი ალაგი ეჭირა მაშინდელ მწერლობაში. არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ამ შემთხვევაში ბ. ან. ფურცელაძის მოღვაწეობა „ცისკარში“ და „მნათობში“, რომლებშიაც მრავალ კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდენ თანამედროვე ცხოვრების შესახებ. აწინდელი მწერლობა ამ ელემენტსაც მოკლებულია: ჩვენ ვკმარობდით მარტო პოლიტიკური ბიულეტენის მსგავს აღნუსხვით სხვადასხვა მოვლენათ; არც ერთი მოთხოვნილება ჩვენი ერისა, ვერც ერთი სოციალური მოვლენა მისი ცხოვრებისა ვერ პოულობს ვერავითარ თანაგრძნობას აწინდელ თაობაში, რომელსაც მართლაც რომ გათახსირებული ცხოვრება გარდაქცევია იდეალად და მას შეტრფის და ეალერსება. ჩვენს გათახსირებულს გმირებს შეუძლიათ თავის გასამართლებლად სთქვან, რომ თანამედროვე დროს არავითარი ახალი მოთხოვნილება არ დაუბადებია ჩვენს ერში და არავითარი სოციალური სენიც არ არსებობს, რომელიც წამალს თხოულობდეს, რომ ყოველივე სწარმოებს კეთილად. მაგრამ ამნაირი ცილისწამება გამართლება არ არის. წარმოვიდგინოთ, თუნდ რომ მართლადაც ახალი მოთხოვნილება არაფერი გაჩენილა ჩვენს ერში, რომ მას გათახსირებულის გმირის შეხედულებით არავითარი სოციალური სენიც არ აწუხებს, რაც მარტო გათახსირებულთ შეუძლიათ, რომ წარმოიდგინონ, რომ განა ამ შემთხვევაშიც გასამართლებელი იქნება ჩვენი თანამედროვე თაობის საქციელი? თუ ჩვენი ერის ცხოვრებაში არავითარი ახალი მოთხოვნილება არ დაბადებულა ამდენი ხნის განმავლობაში, განა მარტო ეს მოვლენა, თუ კი ეს მართლა ასეა, ჩვენი ახალი თაობის უყურადღებობას და გულგრილობას არ ამტკიცებს? განა ეს იმის მოწმე არ არის, რომ ჩვენი აწინდელი თაობა თავის წმინდა მოვალეობას ფეხებით ჯეკნის და სვრის? —ყველგან და ყოველთვის ასე ყოფილა, რომ ხალხის მცირედი ნაწილი, რომელიც მის მოწინავე ნაწილს შეადგენს, ე. ი. ინტელიგენცია, რომელიც აგრეთვე ყოველთვის ახალი თაობისაგან შესდგება უმეტესად, აღვიძებდა ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებას. მეცადინეობდა, რომ დაებადა ხალხში ახალი გონებით და ზნეობით მოთხოვნილებანი და მით ხელი შეეწყო საზოგადოებრივ განვითარებისათვის და დახმარებოდა პრო-

ბრესის განხორციელებას თავის ერში. აი ამაში მდგომარეობს უმაღლესი დანიშნულება ერის იმ მცირედი ნაწილისა, რომელსაც ინტელიგენციად ეხადიან.

ეხლა იკითხავთ, როგორ ასრულებს ამ უმაღლეს დანიშნულებას ჩვენი ქართველი ინტელიგენცია? სამოცდან და სამოცდაათიან წლების ინტელიგენციას ჩვენ ეხლა აღარ ვეხებით: რაც იყო წავიდა, ის დრო ჩვენთვის დაუბრუნებელია; ჩვენი ინტერესი ეხლა მიქცეულია თანამედროვე თაობისაკენ, რომელსაც რამოდენიმედ უკვე ვიცნობთ. ვეცდებით ამ მხრითაც უფრო მართალი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე. საუბედუროთ, ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენი ერის წინაშე არავითარი სამსახური არ მიუძღვის ჩვენ აწინდელ თაობას, რომ ამ უკანასკნელს სრულიად დავიწყებია თავის წმინდა მოვალეობა-სამსახური ერისადმი და გულგრილად შესცქერის მის ავკარგიანობას. რომ ჩვენი აწინდელი ინტელიგენცია სრულებით არ ცდილობს რომ რაიმე უმაღლესი გონებითი და ზნეობითი მოთხოვნილება დაჰბადოს ჩვენს ერში, ეს, ჩვენ გვგონია, რომ ყველასათვის ცხადია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არა თუ ახალ მოთხოვნილებათა დასაბადებლად არ ზრუნავს ჩვენი ინტელიგენცია, არამედ თვით ის მოთხოვნილებანი, რომლებიც ხალხში უკვე არსებობენ დავიწყებული და სრულს თვითნებობას მიცემულნი არიან. ავიღოთ, მაგალ., ის ყველასათვის თვალსაჩინო ეკონომიური ცვლილება, რომელიც გამოწვეული იქნა 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტით და რომელმაც სხვადასხვა ურთიერთობითი განწყობილება დაჰბადა ორ უმთავრეს წოდებათა შორის. ამ ეკონომიური ცვლილებისაგან მრავალი მოთხოვნილებანი იქნენ გამოწვეულნი, როგორც თავად-აზნაურობაში, ისე გლეხკაცობაშიაც, რომლებმაც მრავალ ეკონომიური განწყობილებანი დაჰბადეს და დღემდის ჩაგრავენ და აბრკოლებენ ჩვენი ერის წინმსვლელობას. და აბა ეხლა დამისახელეთ ერთი ვინმე, რომელსაც შეესწავლოს და გამოეკვლიოს ეს ეკონომიური უთანხმოება, რომელიც სულ უფრო და უფრო ახალ ფესვებს იდგამს. როგორც ეს საზოგადოებრივი მოვლენა, ისე სხვა მრავალი საერო მოთხოვნილებანი, რომლების ჩამოთვლას ჩვენ ახლა არ ვკისრულობთ, რჩებიან ისე შეუმჩნეველად ვითომც არ არსებობდნენ სრულებით. მაგრამ მოვა დრო, როცა ამ უზრუნველობის მწარე შედეგნი და დაყოფანი თავისას იზამენ, როგორც მაგალითებრ ყაჩაღთა და ავაზაკთა ბრბონი ჩვენს დროში, მაგრამ მერე, თუ გინდ ძლიერ მოვინდომოთ, გვიანლა იქნება დახმარება. რა იყო ეხლა უკვე გამჭრალ ხალხთა გადაშენების და მოსპობის უმთავრესი მიზეზი;

თუ არა ისა, რომ შინაგან საქმეთა მიმდინარეობამ იმნაირი მიმართულება მიიღო, რომ ერთს არ ესმოდა, როგორ იჩაგრებოდა მეორე, ე. ი. ხალხი იულიტებოდა, იჩაგრებოდა და ამ უდიდეს უბედურებაზე კი არავინ ზრუნავდა და ფიქრობდა. რასაკვირველია, როცა ამნაირ მდგომარეობაშია ერი, მაშინ იმის აღმოსაფხვრელად საკმარისია გარეგანი მოულოდნელი და უბედური შემთხვევა, რომ მან უეცრად დალიოს თავისი დღენი.

ამნაირად ჩვენი ერის აწინდელი მდგომარეობა ჩვენთვის სრულიად უცნობი რამ არის. მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობის ცოდნა თუ ამნაირია, წარსულის რაღა იქნება?

ყველასათვის ჭეშმარიტებას შეადგენს ის, თუ როგორ სასარგებლოა ერის ცხოვრებაში მისი წარსულის საფუძვლიანად ცოდნა, მიუფერებელი ცოდნა მისი ავკარგიანობისა წარსულ დროთა და ვითარებათა განმავლობაში. ჩვენი წარსულის ცოდნა შეცდომილებას წარმოგვიდგენს. შეცდომილებას მე იმიტომ ვამბობ, რომ ქართველებს საზოგადოთ ერთი სენი გვჭირთ. ეს სენი იმაში მდგომარეობს, რომ მწერალს რაზედაც უნდა იმაზე შეუძლია ილაპარაკოს და ამასთანავე არავისი ყურადღება არ მიიქციოს თავისკენ; მაგრამ თუ იმან ჩვენს წარსულზე დაიწყო ბაასი, მაშინ ყველას ყურადღება მისკენ არის მიქცეული და ვაი მის დღეს და ილბალს, თუ მიუფერებლად დაიწყო მსჯელობა. იმან წინდაწინვე უნდა იცოდეს, რომ რაიმე საკითხების გამოაშკარავებისათვის წარსულ ცხოვრებაში საზოგადო სიძულვილს დაიმსახურებს, და ეს კიდევ არაფერი, თუ ამ სიძულვილს მეტი არაფერი მოყვა... არ ვიცით, ეს თუ სხვა გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ჩვენი წარსული ცხოვრების შესწავლის საქმემ ვერც ოთხის ოდნადაც ვერ წაიწია წინ. ჩვენ ვშიშობთ, რა დაემართებოდა ჩვენ ისტორიის შესწავლას, თუ რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან უცხოელებს, უმეტესად ფრანგებს არ დაეწყოთ ჩვენი ისტორიის შესწავლა? და აბა გაშინჯეთ, თუ ვის უშრომია ჩვენი ისტორიის წყაროების შესასწავლად და მასში რაიმე ნათელის მოჰფენისათვის: მ. ფ. ბროსსე, ვ. ს. მარტენი, ფრ. ლერორმანი, უ. გატტერიასი, დიუბუა დ. მონპერი, თ. მომზენი, პ. კ. უსლარი, ფ. ბაიერნი, ი. შოპენი და მრავალნი სხვანი აი ვინ შრომობდნენ და იღვწოდნენ ჩვენი ისტორიისათვის. დაგვრჩენია ერთად-ერთი დ. ბაქრაძე, რომლის უმთავრესი და უკანასკნელი ნაწარმოები „ისტორია საქართველოსი“ სულ მთლად აშენებულია ნაჩვენებ მკვლევართა ნაღვაწზე. ნუ დავივიწყებთ ამასთანავე, რომ განსვენებული ბაქრაძე იყო მხოლოდ არქეოლოგი და ამიტომაც ისტორიული ფაქტების ნათელის მოფენა არ შეეძლო, და თუ

საქართველოს ისტორიის წერა დაიწყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთ ბრალო სახელმძღვანელოსაც ვერ ჰხედავდა ჩვენში სამშობლოს ისტორიის შესასწავლად, ერთი სიტყვით, ის იძულებული შეიქნა, რომ არქეოლოგიიდან ისტორიკოსი გამხდარიყო. ამ ძალა-უნებრობის ბეჭედი ცხადად ატყვია მის უკეთეს თხზულებას „საქართველოს ისტორია".

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი წარსულის შესწავლის შესახებაც თითქმის არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენს ინტელიგენციას; იგივე ითქმის ეტნოგრაფიულ და გეოგრაფიულ ცნობებზედაც ჩვენ მხარეზე, რაზედაც ქართველ ჭკუას არა თუ არ უმუშავია, არამედ არც ფიქრად მოსვლია. ამ ცნობების მნიშვნელობის შესახებ, ვგონებ, აქ მეტი იქნებოდა საუბარი. რაც ქმნილა ყველა ამის შესახებ, ეს მარტო უცხოელთა მიერ; მაგრამ ამ უკანასკნელთა ნაშრომნი და ნაღვაწნი დაწერილნი არიან უცხო ენებზე და დაცულნი იმნაირ სპეციალურ გამოცემებში, რომლებიც იშვიათად და ძნელი მოსაპოვებელია მსურველთათვის. ყოველ საქმეში გულგრილმა ჩვენმა საზოგადოებამ ამ საქმეშიაც თავისი თვისება გამოჩინა, და ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი იმ ნაწარმოებთაგანი ქართულს ენაზე არ არსებობს, მაშინ, როდესაც უშნო მოთხრობების და კომედიების თარგმნას საზღვარი არა აქვს.

ჩვენ მოვიხსენიეთ უცხოელთ ღვაწლზე ჩვენი წარსულის შესახებ, რომლებმაც მართლა დიდი ამაგი დასდვეს ჩვენი ისტორიისათვის; მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ უცხოელებს აინტერესებდა არა თვით ისტორიული მსვლელობა ჩვენი წარსული ცხოვრებისა, არამედ იმათი ყურადღება, როგორც სპეციალურ ნასწავლთა, იყო მიქცეული სხვადასხვა კერძო მეცნიერებათაკენ, როგორც არიან, მაგალითებრ ლინგვისტიკა, არქეოლოგია, მითოლოგია და მრავალნი სხვანი. (მარტო ბ. ბროსსეზე არ ითქმის სულ ეს ასე). აქედან ცხადია, რომ ჩვენი ისტორია, როგორც სრული და დამთავრებული სურათი ჩვენი წარსული ცხოვრებისა, დღემდის ჯერ არსებობს. პრაგმატიკული ისტორია თუ ჯერ კიდევ სრული და დამთავრებული არ არის, კულტურული ისტორიის კი ჯერ ხსენებაც არ არის *). მაგრამ კულტურულ ისტორიასთან რას მიხვალთ. აიღეთ ჩვენი ძველი მწერლობა, რომელიც ქებით თითქმის ცამდის არის აყვანილი. განა თქვენ შეგიძლიათ რაიმე წარმოდგენა იქონიოთ მასზე? განა თქვენ შეგიძლიათ რამოდენიმეთ მაინც გაიცნოთ იგი? ნამდვილი გამოცდილება გვეუბნება,

*) აწ უკვე განსვენებულს დ. ზ. ბაქრაძეს, როგორც სჩანს მისი სიტყვებიდან (იხ. „ისტ. საქართვ." წინასიტყვაობა), განზრახვა ჰქონდა დაეწერა კულტურული ისტორიაც.

რომ ეს შეუძლებელია და აი რათა: მწერლობის გაცნობა ანუ შესწავლა ივაში კი არ მდგომარეობს, რომ ყველა მანუსკრიპტები, გუჯრები და სხვა ძველი ნაშთები გადაშინჯოთ. არა, ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ჩქვენ იცოდეთ რომელიმე მწერლობის იდეათა განვითარება, რადგანაც ერთი ნასწავლის სიტყვებით, ლიტერატურის ისტორია წიგნების ისტორიაში კი არ მდგომარეობს, არამედ ლიტერატურის ისტორია წარმოგვიდგენს იდეათა ისტორიას. ამნაირად შედგენილ სახელმძღვანელოს ძველი მწერლობის შესასწავლად ჩვენ აბა სად ვნახავთ და არა თუ ძველისას, არამედ ამ მე-XIX საუკუნის მწერლობის შესახებაც არავითარი წყარო არ მოგვეპოვება, რომ რამოდენიმედ მაინც ვიქონიოთ რაიმე ნაირი წარმოდგენა ამ უკანასკნელი დროის ლიტერატურულ მსვლელობაზე და მის მიმართულებაზე. არ არსებობენ აგრეთვე უბრალო ბიბლიოგრაფიული ცნობებიც, არც ძველს მწერლობაზე და არც ახალზე. რას მივაწეროთ ამის მიზეზი? მასალების უქონლობასო და უსრულობასო, გვიპასუხებენ ჩვენი ცაგარლები, თაყაიშვილები, ჟორდანიები და სხვ. მაგრამ როცა ჩვენი ცაგარლები, ჟორდანიები და სხვ. დიდის ამაყობით გაიძახიან, რომ ჩვენისთანა ძველი მწერლობა არც ერთს ერს არ ჰქონიაო, მაშასადამე, სჩანს, რომ წყაროები საკმარისად უნდა ჰქონდეთ, რომ ამნაირი დასკვნა გამოვიყვანოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში იმათი დასკვნაც ყალბი იქნებოდა. არა, თ. ჟორდანიას არ იყოს, სანტიმეტრით ზომვით ჩვენ საქმეს ვერ გავაკეთებთ და არც ცაგარელებისთანა მკვლევარნი არიან გამოსაყენებელი ჩვენ ისტორიაში ნათელის მოჰფენისათვის. ახლა კი ჩვენი წარსული ცხოვრება და მწერლობა რაღაც საიდუმლოებით არის გარემოცული და შეიძლება, რამოდენიმე ბედნიერთ ნება ჰქონდეთ, რომ იმის ცოდნით დასტკბენ, უბრალო ადამიანებისათვის კი დახშულია ამ საიდუმლოების კარი! მაგრამ ვაი იმისთანა ცოდნასაც, რომელიც საიდუმლოებას ვერ მოშორებია! ამისთანა ცოდნა მხოლოდ სრულს უცოდინარობას ამტკიცებს.

ამნაირია ჩვენი საზოგადოებრივი საქმეთა მიმდინარეობა! ამას წარმოგვიდგენს ჩვენი ეროვნული განვითარება! ჩვენ შეგვეძლო გვეჩვენებინა კიდევ სხვა მრავალი მოვლენანიც, რომლებიც ცხადათ ამტკიცებენ ჩვენი ინტელიგენციის სრულ უზრუნველყოფას და გაქვავებულ გულგრილობას ამ წმინდა მოვალეობისადმი.

...ხელ ახლა უბრუნდებით იმ კითხვას, რომელიც ჩვენ დავსვით ამ წერილის თავში. რა არის მიზეზი ჩვენი ეხლანდელი თაობის უზრუნველო-

ბისა და გათახსირებისა? ჩვენ რამოდენიმედ ვცდილობდით გამოგვერკვია, რომ ისტორიულ ჩარხის ბრუნვამ მე-XIX ს. დასაწყისში ჩააგდო ჩვენი საზოგადოება საზარელ უმოქმედებაში, უზრუნველობაში; ეს იყო იმნაირი მდგომარეობა, რომელსაც სრული აპატიური ხასიათი ატყვდა, და რომელიც ამასთანავე დამოკიდებული იყო გარეგანი გარემოებათაგან. ამ მხრივ მაშინდელი საზოგადოება შთამომავლობის წინაშე არავითარ პასუხს არ აგებს. მაგრამ რა ეთქმის ეხლანდელს ჩვენს თაობას, თუ მასაც ეყოლება თავის შთამომავლობა? რაც გასამართლებელი იყო მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში, იმან დაჰკარგა თავის მნიშვნელობა ამავე საუკუნის დასასრულში. შეიძლება, ჩვენმა თაობის წარმომადგენელმა წამოსწიონ თავი და თავიანთ მოქმედების გასამართლებლად სხვა მიზეზებიც დაასახელონ. ჩვენ სიამოვნებით მოვისმენთ იმათ ღაღადებას თავის დაცვაზე: მაგრამ საუბედუროთ ამ „აბლაკატურ“ დაცვაში ჩვენ ვერაფერ საყურადღებოს ვერ ვიპოვით, გარდა „პრაქტიკული საუკუნის“ უშინაარსო მჭერმეტყველებისა, რომელიც მხოლოდ იქ გამოდგება, სადაც მართალს ამტყუნებენ და მტყუანს კი ამართლებენ. მაგრამ შთამომავლობა თუ მოუვა ამ ჩვენს გათახსირებულს თაობას, ის, დარწმუნებული ვართ, ისე ჭკუაზე სუსტი აღარ იქნება, რომ ამნაირმა წმინდა „აბლაკატურმა“ მჭერმეტყველობამ მოატყუილოს. არა, მომავალი შთამომავლობა უფრო სარწმუნო საბუთებს გამოძებნის და გამოაქვეყნებს აწინდელი ჩვენი თაობის გასაკიცხავად. იგი იტყვის, რომ მაშინდელი (ჩვენებურად აწინდელი) საზოგადოების უზრუნველობის და წმინდა მოვალეობის სრულიად დავიწყების მიზეზი იყო იმ თაობისავე განათლება, რომელიც მოკლებული იყო კაცობრიობის უმაღლეს იდეალებსა. იგი სამართლიანად იტყვის, რომ მაშინდელმა თაობამ ზურგი შეაქცია საზოგადოებას და პიროვნების პირდაპირ დანიშნულებას; ნათელი, ჭეშმარიტება, სიმართლე, განათლება, კანონი, უფლება, თავისუფლება ფეხქვეშ ამოიდვა და უსირცხვილოდ და ამაყად დაიწყო იმათ წინააღმდეგ მოქმედება; ძველი მამა-პაპური ტრადიციები დაივიწყა და ახალი თანამედროვე ჭეშმარიტი იდეალები ვერ შეიძინა და ვერ შეითვისა; ამ ჭეშმარიტი იდეალების მაგიერ მაშინდელმა „ინტელიგენციამ“ თავის თაყვანისაცემლად გაიხადა იმავე „პრაქტიკული უპოქის“ ცრუ იდეალები, რომლებიც პრაქტიკულ ცხოვრებაში ძლიერ ეამოსადეგნი გამოდგნენ თანამედროვე „ბულანჟისტებისათვის“ იმათ მიერ მოტყუებულ და გაყვლეფილ საზოგადოებაში. ამასთანავე მომავალი საზოგადოება შენიშნავს აწინდელ ჩვენს საზოგადოებაზე, რომ ამნაირი

მოვლენა მაშინ კერძო მოვლენას კი არ წარმოადგენდა, არამედ ის იყო საყოველთაო და გამჯდარი მთელი საზოგადოების ძვალსა და რბილში. ამისათვის მას ექნება სრული უფლება, რომ შემდეგი დასკვნა გამოიყვანოს ჩვენი აწინდელი ცხოვრების ანალიზიდან: დარღვევა ძველი საზოგადოებრივი და კულტურული ფორმებისა და მათ მაგიერ ახლების განწყობილება, მოულოდნელი შერყევა და შეცვლა სხვადსხვა გონებითი და ზნეობითი რწმენათა და შეხედულებათა, რომლებიც დამყარებული იყვნენ ცხოვრების ხანგრძლივ ტრადიციულ მიმდინარეობაზე, და მათ მაგიერ რწმენათა და შეხედულებათა ანუ ახალ ჭეშმარიტ იდეალთა სრული დაუმკვიდრებლობა,—ესე იგი სრული გონებრივი და ზნეობრივი ანარქია. უთაურობა, აი მოკლედ რომ ვსთქვათ, რას წარმოგვიდგენდა მაშინდელი საზოგადოება.

მაგრამ სულით თუ არა, ხორცით ჩვენ ახლა ამ გათახსირებულს საზოგადოებას ვეკუთვნით. ჩვენ დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ ყოველთვის და ყოველგან საზოგადოების ამნაირ გათახსირებას, დაწვრილმანებას, უზრუნველობას საზოგადოებრივ განვითარებისადმი და კეთილდღეობისადმი ე. ი. შინაურ საქმეთა მიმდინარეობის და განუწყობლობგაფაციცებას მოყვებოდა იმნაირი შედეგი...,რომლის მარტო მოგონება ყოველ ჭეშმარიტ ადამიანს ზარს დასცემს! ამისათვის, თუ კი ჩვენ რამოდენიმედ მაინც გვსურს ამ საზარელი და საშიშარი შედეგის აცილება, ჩვენ მოვალეობას შეადგენს ამ ცრუ გზის და მიმართულების სრული უარყოფა და შეძლებისდაგვარად, ხელის შეწყობა და სამსახური საზოგადოებრივ და პიროვნულ განვითარებისადმი და კეთილდღეობისადმი. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე ერთი მეცნიერის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ „დამოუკიდებლობა ფეხ-და-ფეხ მისდევს განათლებასო“.

ფ. მახარაძე.

ვარშავა,
31 დეკემბერი, 1891 წ.

## დამატება II

# აგრარული საკითხი. [61]

რა ნაირად მოხდება ჩამორთმეული მიწების გლეხებს შორის დაყოფა-დანაწილება? ესე იგი, მიწისმფლობელობის რა გვარი ფორმა უფრო მოსალოდნელია რომ შემოღებულ იქნას საზოგადოებრივი, ე. ი. თემური, მუნიციპალური, თუ მოსალოდნელია სრული ნაციონალიზაცია. ანდა წვრილ მესაკუთრეთა შორის განაწილება ჩამორთმეულ მიწებისა?

აი ის მთავარი კითხვები, რომლებიც აინტერესებენ დღეს არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეებს, არამედ ყველა ცოტათ თუ ბევრად შეგნებულ მკითხველებს. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ყველა ამ კითხვების გადაწყვეტის დროს საჭიროა რაც შეიძლება დაწვრილებით შესწავლა და გაცნობა დღევანდელი სინამდვილის, დაფასება და აწონ-დაწონვა ყველა კონკრეტიულ პირობების, რომლებშიაც იმყოფება ჩვენი ეკონომიური და სოციალური ცხოვრება როგორც სოფელში, ისე ქალაქში. კერძოთ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც არსებულ მიწადმფლობელობის ფორმას თუ მიწების ფაქტიურ განაწილებას საზოგადოების სხვადასხვა კლასებსა თუ წოდებათა შორის, ისე თვით სამეურნეო ტეხნიკას, მიწის დამუშავების წესს, სისტემას, ერთი სიტყვით, ყველა იმ ფაქტორებს, რომლებიც ახასიათებენ დღევანდელ ჩვენ მეურნეობას. მხოლოდ ასეთ შესწავლას და ასეთ გაცნობას შეუძლიან გვიხსნას ჩვენ შეცდომებისაგან იმ მეტად სერიოზულ კითხვების გადაჭრის დროს, რომლებიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ. მეტია იმის განმეორება, რომ ყოველგვარ პრაქტიკულ ზომას უწინარეს ყოვლისა თვით ცხოვრებაში, თვით სინამდვილეში უნდა ქონდეს ნიადაგი მომზადებული. საკმარისი არ არის მარტო კარგი სურვილი და საუკეთესო ზომების გამოგონება. მხოლოდ ისეთი სურვილის განხორციელება შეიძლება, რომელსაც ობიექტიური პირობები ანუ სინამდვილე ხელს უწყობს.

ამ წიგნსაც სწორედ ამ სინამდვილის შესწავლა და გაცნობა აქვს მხედველობაში. აგრარული კითხვის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და ითქვა ამ უკანასკნელ ხანებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, აგრარული საკითხი

ჩვენში ჯერ კიდევ გაურკვეველია. აშკარაა, რომ აგრარული კითხვის გადაჭრისათვის მარტო სხვა ქვეყნების აგრარული პირობების გაცნობა და შესწავლა და ამის მიხედვით გამომუშავებული ზომების აღიარება საკმარისი არ არის. რასაკვირველია, სხვა ქვეყნების შესწავლა და მეცნიერული მეთოდით შემუშავებულ თეორიით ხელმძღვანელობა ამ მხრით დიდ დახმარებას გაგვიწევს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ადგილობრივ პირობების შესწავლა და გაცნობა. და აი, სწორედ ამაში კოჭლობენ უმთავრესად ყველა ის წერილები თუ სტატიები, რომლებიც ჩვენში იბეჭდებიან აგრარული საკითხის შესახებ. მეორე მხრით, ისიც მართალია, რომ ამას თავის გასამართლებელი საბუთი აქვს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მეურნეობის გასაცნობად და შესასწავლად ან სრულებით არ მოიპოვება შესაფერი მასალა, ან თუ ასეთი მოიპოვება, იგი სულ დაძველებულია და ან კიდევ იგი მეტად საეჭვოა, რადგანაც სრულებით არა საიმედო წყაროებისაგან არის შეგრავილი, როგორც არის მაგ. ადმინისტრაცია, პოლიცია. როგორც კი მეურნეობის შესწავლას შეუდგები ჩვენში, მაშინვე წინ გადაგეღობება მეტად დიდი დაბრკოლება: სტატისტიკური ცნობების თითქმის სრული უქონლობა. უამისოდ ხომ აქ ფეხს ვერ გადადგამ.

ათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ამიერ-კავკასიის ეკონომიურ მდგომარეობის და კერძოთ მეურნეობის შესწავლა და გამოკვლევა დავიწყეთ. მაგრამ ერთი მხრით ზევით დასახელებულმა მდგომარეობამ, ე. ი. საჭირო მასალის უქონლობამ, და მეორე მხრით კარძო ხასიათის დაბრკოლებამაც, ამ მიზნის განხორციელებაში ხელი შეგვიშალეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვმუშაობდით ამ საქმისათვის. სხვათა შორის, ამ წიგნის უდიდესი ნაწილი (სახელდობრ, პირველი ნაწილი) თითქმის ამ სამი წლის წინეთ უკვე მომზადებული გვქონდა დასაბეჭდათ. სწორედ იმ დროს იფეთქა რევოლიუციამ და პირველ წყებაზე წამოყენებულ იქნა დღიური საჭირბოროტო კითხვები, რის გამო ამის გამოქვეყნება შევაჩერეთ. ამნაირად ამ წიგნის უმთავრესი ნაწილი დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ჩვენში აგრარულ ნიადაგზე თითქმის არავითარი მოძრაობა არ იყო. აქა-იქ თუ გაიგონებდით რომელიმე კერძო მემამულის მიერ გლეხების შევიწროებაზე, ხიზნების ოჯახის ძალით გადასახლებაზე და ამ ნიადაგზე გამოწვეულ კერძო შურისძიებაზე, მაგ., რომელიმე მეტის-მეტ სასტიკი მემამულის მოკვლაზე,—ეს იყო და ეს, სხვანაირი მოძრაობა ჩვენში იმ დროს ჯერ კიდევ არსად იყო. მაგრამ საკმარისი იყო ცოტაოდენი ყურადღება და ჩაკვირვება, რომ უფრო ღრმა და სერიოზული ნიშნები გამოაშკარავებუ-

ლიყენენ. კერძოთ ჩვენთვის ასეთ მოძრაობის აუცილებლობა, რამდენიმე წლის-წინეთ მის დაწყებამდე, სრულებით აშკარა იყო. ეს გასაკვირალი არ არის. ეს იყო პირდაპირი დასკვნა იმ ცნობების გაცნობისა და შესწავლისა, რომლებიც ამ წიგნის შედგენის დროს ჩვენ მასალად გამოვიყენეთ. უიმეორებთ, ეს მასალა მცირე და ღარიბ ცნობებს იძლევა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც საინტერესოა დღესაც. ამიტომ მისი გამოქვეყნება ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია. მაგრამ მეორე მხრით, ამავე დროს ჩვენ არ შეგვეძლო უყურადღებოდ დაგვეტოვებია ის, რაც ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოხდა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო როგორც გლეხების მოძრაობის მოკლე განხილვა და მისი მთავარი მიმართულების გარკვევა, ერთი მხრით, ისე იმ სხვადასხვა პროექტის დაფასება, რომლების საშუალებით ფიქრობენ აგრარული კითხვის გადაჭრას. ეს შეადგენს ამ წიგნის მეორე ნაწილის შინაარსს. თავის თავად იგულისხმება, რომ იგი სრულებით ახლად შედგენილია.

## ნაწილი პირველი

### თ ა ვ ი I.

იმ მწვავე კითხვათა შორის, რომელთა გადაწყვეტილება წამოაყენა დღევანდელმა ცხოვრებამ, აგრარული საკითხი, ე. ი. ყოველივე ის, რაც მიწის მფლობელობას და მიწის მუშებს ეხება, ერთი უმთავრესი საკითხთაგანია. არსად, საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროში წარსული ცხოვრების გავლენა ისე საგრძნობელი არ არის, როგორც მეურნეობაში. წარსულ ცხოვრების უმთავრეს ძალას მეურნეობა შეადგენდა, პირიქით, აღებ-მიცემობა და მრეწველობა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველია, და ამიტომაც მეურნეობაში დღემდისაც კიდევ შენახულია ძველი ცხოვრების, ბატონ-ყმურ წესების ნაშთები. რაში გამოიხატებიან ეს ბატონ-ყმური ურთიერთობის ნაშთები? ერთ დროს თითქმის ყველას სჯეროდა, რომ ჩვენში ბატონ-ყმური წეს-წყობილება გაუქმებულ იქნა ეგრედ წოდებულ 1861 წლის საგლეხო რეფორმების მეოხებით. მაგრამ ეს სასტიკი შეცდომა იყო. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ზეციდან მოვლენილ რეფორმას, როგორც იყო 1861 წ. ცნობილი რეფორმაც, ხალხის ძირითად მოთხოვნების დაკმაყოფილება როდი აქვს მხედველობაში, არამედ მისი მთავარი მიზანი ხალხის მოძრაობის შეჩერებაა, მოწინააღმდეგე ბანაკში არევ-დარევის გამოწვევაა, რათა ისევ გაბატონე-

ბულმა კლასებმა, და უწინარეს ყოვლისა, თვით მთავრობამ ძველებურად შეინარჩუნოს თავისი ძალა ხალხის გასატყავებლად. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად ბატონ-ყმურ ურთიერთობათა გაუქმებისა 1861 წელს, ძველი ფეოდალური წოდებები, როგორც მაგ., თავადი, აზნაური და გლეხი, ისევ დატოვეს. არსებული კანონი ბატონ-ყმურ წესწყობილების გაგლენითაა შედგენილი და პირდაპირ მასთან უფრო შეთანხმებული, ვინემ ახალი ცხოვრების პირობებთან. თავად-აზნაურობას ყოველგვარ უპირატესობას ანიჭებს და იმავე დროს გლეხკაცობას, როგორც დაბალ და გადამხდელ წოდებას, ყოველგვარ უფლების და კანონის გარეშე აყენებს, რამდენათაც კი რაიმე უფლებაზე ან კანონზე შეიძლება ლაპარაკი თვითმპყრობელ სახელმწიფოში. მაგრამ რადგანაც ასეთი განსხვავება წოდებათა შორის დღეანდელ ცხოვრებას სრულებით აღარ შეეფერება, ამიტომ ამ ნიადგზე თავად-აზნაურობასა და გლეხობის შორის იმართება და თანდათან მწვავდება დიდი უთანხმოება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უფლებრივ, ანუ იურიდიულ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებას, ანტაგონიზმს, ზედ ერთვის ბევრად უფრო საგრძნობელი ანატაგონიზმი, რომელიც ეკონომიურ ნიადაგზე ვითარდება. საქმე იმაშია, რომ გლეხ-კაცობა ნივთიერად იმავე თავად-აზნაურობისაგან არის დამოკიდებული. მესამოცე წლების „დიდებულმა“ რეფორმამ არა თუ დაბალ, გადამხდელ წოდებათ გამოაცხადა, არამედ მიწა-ადგილის მხრით იგი თითქმის ცალიერზე დატოვა-ღაწვრილებით ამის შესახებ ჩვენ ქვევით გვექნება ლაპარაკი. ჩვენ აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, თუ უმთავრესად რაში იხატება ბატონ-ყმობის გავლენა მეურნეობაზე. მეფის მთავრობის მიერ მინიჭებულმა რეფორმამ საქმე ისე მოაწყო, რომ გლეხები თავის სარჩენად და ოჯახის შესანახად იძულებული არიან უმთავრესად ისევ წინანდელ თავის მებატონეებს მიბარათონ და იმათ მამულზე იმუშაონ. და რადგანაც იმავე დროს ეს მემამულეები უპირატესი უფლებებით არიან აღჭურვილი და ამასთანავე ისინი შთამომავლობის ასე სიმდიდრის წყალობით ხშირად მთავრობის მოხელეებათ, ჩინოვნიკებად არიან დაყენებული, და როგორც ასეთებს, იმათ ძალაც აქვთ ხელში თავის სურვილების განსახორციელებლათ, ამიტომ ეკონომიური დამოკიდებულება გლეხებსა და მემამულეებს შორის ისევ ძველ ბატონ-ყმურ დამოკიდებულების სახეს ღებულობს. ამ შემთხვევაში მიწის მუშის, ე. ი. გლეხის წინაშე უბრალო მემამულე კი არა დგას, რომელსაც იურიდიულად ისეთივე უფლება აქვს კანონის წინაშე, როგორც პირველს, ე. ი. გლეხს, არამედ მისი ყოფილი მებატონე, თუმცა რამდენიმედ შელა-

ხული, ე. ი. არა ისეთი უფლებებით აღჭურვილი მის წინააღმდეგ, როგორც ეს ბატონ-ყმობის დროს იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელიც უფლებითაც და საზოგადოებრივი მდგომარეობითაც ბევრად მასზე მაღლა დგას და რომელიც იმავე დროს მთავრობის წარმომადგენელიც არის და თუ საჭიროება მოითხოვს, ძალის ხმარაც შეუძლია.

ამნაირად წმინდა ბურჟუაზიულ ურთიერთობის ადგილას, როგორც არსებითად უნდა ყოფილიყო დღევანდელი ურთიერთობა, ჩვენ ვხედავთ სოფელში ნახევრად ფეოდალურ, ნახევრად ბატონ-ყმურ პირობებს. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ყველა თვითმპყრობელი სახელმწიფო თავის თავად ბატონ-ყმურია, სადაც ბატონის როლს თამაშობს მეფე თავისი უთვალავი მოხელეებით და დანარჩენი მცხოვრებლები კი მეფის ყმებად, მის მონა-მორჩილებათ, ანუ ქვეშევრდომებად არიან გადაქცეული. ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენს რუსეთი *).

მეორე მხრით, ყოველ ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ მეურნეობაში, ფულის ანუ კაპიტალის სახით, სრულიად ახალმა მოვლენამ იჩინა თავი. ამ უკანასკნელმა მოვლენამ მთელ ადგილობრივ მეურნეობას უკვე თავისი დაღი დაასვა. რა თქმა უნდა, ნახევრათ ბატონ-ყმური წესები, რომლებიც ჯერ კიდევ დაცულია სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში და რომლებიც ახალ ურთიერთობის განვითარებას ეწინააღმდეგებიან, მეტად დიდ დაბრკოლებას უწევენ მეურნეობის კაპიტალისტურად განვითარებას. ამ ნიადაგზე მეურნეობაში ხდება დიდი შეჯახ-შემოჯახება, დიდი ბრძოლა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გამარჯვებული დღეს დღეობით ამ ბრძოლიდან ის წეს-წყობილება გამოვა, რომლის საფუძველს თანამედროვე ეკონომიური ცხოვრება ამზადებს და არა ის, რომლის არსებობა ისტორიამ უკვე დიდი ხანია უარყო.

ამნაირად დღეს ჩვენში მეურნეობის სფეროში არსებობისათვის ერთი ეთრმანეთს ებრძვის ორი მოწინააღმდეგე ძალა: ერთს წარმოადგენს ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნაშთები და მეორეს—თანამედროვე ბურჟუაზიული ანუ კაპიტალისტური წესწყობილება. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს აგრარულ საკითხს, კიდევ უფრო ბურუსში ხვევს თანამედროვე მეურნეობის მრავალ მხარეებს. რა ხდება გლეხ-კაცობაში? შერჩა თუ არა მას წინანდელი ერთიანობის სახე, როცა გლეხ-კაცობა თითქმის სულ

*) ასე იყო ამ ორი სამი წლის წინათ მაინც, როცა ეს წიგნი იწერებოდა. დღეს კი ეს რამდენიმეთ შეიცვალა და სრული იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში რუსეთის ხალხი სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას მოიპოვებს.

მცირე გამონაკლისს გარდა ერთი მისწრაფებით და სურვილით იყო გამსჭვალული, როცა გლეხ-კაცობაში ინტერესთა წინააღმდეგობა ან სულ არ იყო, ან, თუ იყო, ძლიერ იშვიათ მოვლენას შეადგენდა? ან შეიძლება გლეხ-კაცობა, როგორც ერთიანი წოდება, შეუჩერებლად ირღვევა და იშლება და მის ნანგრევებზე ჩვენ ერთი მხრით ვამჩნევთ გლეხობის შეძლებულ ელემენტებს—სოფლის ბურჟუაზიას და მეორე მხრით სოფლის ღატაკთ, ე. ი. პროლეტარებს და ნახევრად პროლეტარებს.

თანამედროვე გლეხის ცხოვრებას ბევრი უფრო თავის ოცნებაში იცნობს, ვინემ სინამდვილეში. და ოცნებაში ხომ მათ გლეხი სულ სხვანაირად ეჩვენება, ვინემ იგი სინამდვილეშია. ბევრი ფიქრობს, რომ გლეხი. ქალაქის მუშასთან შედარებით, ბევრათ უფრო კარგ ბედნიერ პირობებში იმყოფება; ზოგიერთების წარმოდგნით გლეხი უმეტს ნაწილად ცხოვრობს სუფთა ჰაერზე, კარგათ სვამს და ჭამს, მუშაობს ზომიერად, მას არ აწუხებს ფიქრი ხვალინდელ ლუკმისათვის, ე. ი. უმუშაოთ დარჩენა, როგორც მუშას. გლეხი ცოლშვილიანდება თავის დროზე, ერთი სიტყვით, ბევრის აზრით, ქალაქის მუშასთან შედარებით არხეინად, მეფურად ცხოვრობს და იგი დიდხანს ძლებს. უეჭველად ასეთი გლეხები მართლაც მოიპოვებიან თანამედროვე სოფელში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი მეტად მცირე და უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ იმათთან შედარებით, რომლებიც სულ სხვა პირობებში იმყოფებიან. გლეხობის დიდი უმრავლესობა დღეს წარმოუდგენელ ცუდ და აუტანელ პირობებში სცხოვრობს, იგი სანახევროთ, თუ სულ არა, მშიერ-მწყურვალი და ტიტველია, მას უდროოთ სიცოცხლეს უსპობს უკიდურესი სიღატაკე და გონების სიბნელე; მას შიშისაგან თავიც კი ვერ აუწევია მაღლა და „ღვთის“ და ბატონის მოგონებაზე კრთის და კანკალებს *).

მეორე მხრით, კაპიტალისტური წარმოების მოწინააღმდეგენი ქალაქის მუშებში ხედავენ მხოლოდ ერთ დიდ ბოროტებას; მათთვის ქალაქის მუშა-ხალხის ცხოვრება არა მარტო დაუსრულებელი ტანჯვა და წვალებაა, არამედ იგი საზოგადოებისათვის მეტად საშიშარია. ამათთვის სრულებით გაუგებარია, რომ თანამედროვე ქალაქის მუშებში, პროლეტარიატში, საუკეთესო მომავლის, ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების—სოციალიზმის, საფძველი იყრება. ისინი მხოლოდ ზედა მხარეს ხედვენ და ცხოვრების სიღრმეში ჩახედვა ვერ მოუხერხებიათ. ისინი ხედ-

*) აქ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ გლეხის დაბეჩავება დღეს ოქვე ისეთი აღარ არის, როგორც ეს ამ ორი სამი წლის წინად იყო.

ვენ მხოლოდ იმას, რომ ქალაქში მუშა ივიწყებს წინანდელი ცხოვრების ზნე-ჩვეულებას და ძველი იდილიური ცხოვრება ქრება; ამაში ისინი ოჯახის გახრწნას და გარყვნილებას ხედვენ, და მათი აზრით, თუ ეს ასე გაგრძელდა, ერს, ნაციას, განსაცდელი მოელის, იგი დაიღუპება *). ამიტომ, როცა თანამედროვე მუშა-ხალხის, პროლეტარიატის იდეოლოგები შეუბრალებელ ომს და სასტიკ ბრძოლას უცხადებდენ ძველი წარმოების წესს ყოველ ფეხის ნაბიჯზე და იმავე დროს საჭიროდ აღიარებდენ თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილების დაუბრკოლებელ განვითარებას, როგორც მრეწველობა აღებ-მიცემლობაში, ისე მეურნეობაშიაც, ეს გარემოება ჩვენ მოწინააღმდეგეებს მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნდათ, და ასე წარმოიდგინეთ, თავიანთ გაუგებრობას და გონებრივ სიღატაკეს ჩვენ გვახვევდენ თავზე. იმათი აზრით, ჩვენი, მარქსისტების მიზანს შეადგენს გლეხების გაღატაკება, იმათი გაპროლეტარება ე. ი. უმიწა-წყლოთ დარჩენა და ფაბრიკა-ქარხნის დღიურ მუშებათ გახდენა [62]).

---

*) მეტად საინტერესო გამოხატულებას ასეთი ბატონ-ყმური და თავად-აზნაურული შეხედულებისას ჩვენ ეპოულობთ ქართულ მწერლობაში ამ 30—40 წლის წინეთ. სხვათა შორის, მოგვყავს აქ ერთი მეტად საინტერესო ადგილი ერთი წერილიდან, რომელიც ამ 26 წლის წინეთ იყო დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში". „ქვეყანა ვისია"?—კითხულობს ავტორი. „ყოველივე ჩემიაო ამბობს ოქრო; ყოველივე ჩემიაო—იძახის ხმალი. ყველაფერს ვიყიდიო,— იკვეხის ოქროყოველივეს ხელში ეიგდებო, იძახის ხმალი. მართლა ეგრეა? არა გვგონია, ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს, და გაზვიადებულს ხმალს,—ამ ორ ბატიოსან მეტოქეს დავიწყებიათ, რომ ქვეყანაზე მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც თუ არა პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში... იმას რომ ერთ ბეწო ხანს ჩაეთვლიმოს, არ ეიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგას და ხმლების ტყეები. უიმისოთ ოქროს ქვეყანაზე მოედანი არ აქვს და არც თითონ. . . . . ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა გუთანია. . . . დიახ, ბატონებო, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. . . ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. . . გუთანი, ქართველებო, გუთანი. და ხმალი იყოს ფარი მისი (ხაზს ჩვენ ეუსვებთ). . . (იხ. ჟურნ. „ივერია", № 1881 წ. № 11. შინ. მიმოხ., გვ. 150—152). როგორც ხედავთ, აქ ავტორი პირდაპირ საშუალო საუკუნოებისაკენ, ე. ი. ბატონ-ყმობისაკენ გვიწვევს. გუთანი და ხმალიო. ესე იგი ყმები და მებატონეებიო. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ასეთი შეხედულება მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა იყო ჩვენში. პირიქით, ასეთი შეხედულება დიდხანს ბატონობდა ჩვენს მწერლობაში და იგი ერთი დამახასიათებელ მიმდინარეობას შეადგენდა სულ უკანასკნელ დროამდე. სანამ ხალხის ძლევა-მოსილმა მოძრაობამ იგი სრულიად არ დაარღვია.

## დამატება III

# პასუხად ბ-ნ კიტა აბაშიძეს. [63]

არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც გამარჯობის თქმაზედაც კი ბრაზი მოსდით, თორემ თუ რამე წინააღმდეგობა შეგწამათ, ან მათი აზრი არ მოიწონეთ, მაშინ ისინი არავითარ საშუალებას, არავითარ ლონეს არ დაზოგავენ, ოღონდ კი დაგამცირონ, მიწასთან გაგასწორონ და თუ შესაძლოა, სრულიად მოგსპონ. უმეტესობა კარგათ იცნობს ასეთ პირებს, რადანაც პრაქტიკულ ცხოვრებაში ისინი თითქმის ყოველთვის მაღალ საფეხურზე დგანან და თავიანთ ბრაზ-მორეულ ენერგიათა დასაკმაყოფილებლად ყოველგვარი საშუალება ხელში აქვთ. ჩვენ არ გამოუდგებით ამ გვარ პირთა დაწერილებით დახასიათებას. აქ ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ერთ იმათ წარმომადგენელზე, მაგრამ ისეთ სფეროში კი, რომელშიაც მისი დასმა მატად გასაკვირი თუ არა, ყოვლად უხერხული მაინც კია. ეს სფერა გახლავთ ლიტერატურა,ე.ი. სიტყვის და აზრის რესპუბლიკა. ადვილი გასაგებია, რომ ამა სოფლის ძლიერთ, დაჩვეულთ პრაქტიკულ ცხოვრებაში ადამიანის პიროვნების შელახვას, მისი უფლების გათელვას, მასზე ბრძანებლობას და ბატონობას, ესევე წესი ლიტერატურაშიაც სურს შემოიღოს; და როცა აქ ხედავს თავის სრულ უძლურებას და უალაგობას, სიბრაზისაგან აღარ იცის რა ქნას. რომ შეეძლოს, ერთი ბრძანებით მოსპობდა ლიტერატურას, ე. ი. აზროვნების და სიტყვის თავისუფლებას და თავის ყურ-მოჭრილ ყმათ გახდიდა; მაგრამ თითონვე თვალდათვალ რწმუნდება, რომ ამ გზით აქ ფონს ვერ გავა. გამარჯვებულნი ყოველგან, აქ მარცხდებიან, ანუ ამარცხებენ თავის თავს თავიანთ უზომო ვნებათა დაკმაყოფილების წადილით: ამ მხრით ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო თავი ისახელა ჩვენში ბ-ნმა კიტა აბაშიძემ.

ბ. კ. აბაშიძემ შემოაღო ქართული მწერლობის კარები, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ, როგორც მთელი ქართული მწერლობა, ისე მისი წარმომადგენლები მის, ბ-ნ აბაშიძის, ყურ-მოჭრილ ყმებათ გახდებოდენ, მის წინაშე მუხლს მოიდრეკდენ და გულზე ხელ-დაკრეფილები მოისმენდენ მის სწავლას. მაგრამ დახეთ გულის წუხილს! ბ. კ. აბაშიძე

ქართულ მწერლობაში ყურ-მოჭრილ ყმების მაგივრად მოწინააღმდეგეებს წაწყდა. და მერე იცით, როგორ მოწინააღმდეგეთ?—ისეთებს, რომლებიც უშიშრად და მოურიდებლად ამხელენ ლიტერატურულ შეცდომებს, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ეს. ახლა არ იკითხავთ ვინ არიან ეს მოწინააღმდეგენი?—ვილაც სულ უბრალო მომაკვდავნი, რომლებიც არც გვარიშვილობით და არც ხარისხით შესანიშნავი არ არიან! გაგონილა? „ჩვენი ლიტერატურაო—ბრძანებს ბ.კ. აბაშიძე*)—დუჭან-ბაზრად შეიქნა, საცა ვინც გნებავს, შემობრძანდება (დახეთ გამბედაობას!), წამოწვება (რა თავხედობაა! ალბად დავიწყებიათ, რომ იქ ბ. კ. აბაშიძე განისვენებს) სალიტერატურო სამეფო ტახტზეო" და სხვ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ეს მოწინააღმდეგეები სრულიად უარს ყოფენ ბ. კ. აბაშიძის და მის მსგავსთა ლიტერატურულ ნამოქმედარს და მათ მიმართულებას, და აი სწორედ აქ არის ბ. კ. აბაშიძის გასაჭირის დღე, მისი განსაცდელი. დაინახა რა თავის მოწინააღმდეგეთა შეურყეველი და სასტიკი ლოღიკა და მათ მიერ მოყვანილ ფაქტების სინამდვილე, შეჩერდა და დაფიქრდა: ხმა ამოვიღე და პასუხი გავეცი, ხომ უარეს დღეს დამაყენებენ, რადგანაც აშკარა ჭეშმარიტება და ცხადი სიმართლე, უნდა ძალაუნებურად უარვყოვო და თუ სრულიად გავჩუმდი, ეს კიდევ სულ უარესი იქნება, რადგანაც პასუხის გაუცემლობა ჩემი უღონობის უტყუარი ნიშანი იქნებაო. ამიტომ მან აირჩია მესამე გზა. მაგრამ აქ უმჯობესი იქნება ვალაპარაკოთ თვით ბ. კ. აბაშიძე, თუმც მკითხველთან კი ბოდიშს ვითხოვ ამდენ ამოწერისათვის. „სრული სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ჩვენის საზოგადოებისა და მწერლობის დამცირებათ მიგვაჩნია ისეთი წერილების მსგავსი დასწერო რამე, რომელიც აგებულია ინტრიგაზე და ნაშობია ბინძური გრძნობისაგან. მაგრამ ეს კი მიუცელებელია, ჩვენს საზოგადოებაში მაინც აღვიარო შენის მდუმარების მიზეზი, თორემ ურიგო მწერლისაგან იმასაც უნდა მოელოდე, რომ შენს დუმილს თავისი ჭირისა და ინტრიგის დამამტკიცებელ საბუთათ აღიარებს"... შემდეგ „რაც უნდა დასწერონ „კვალში", ვერ გავცემთ პასუხს იმიტომ, რომ საზოგადოებისა და ჩვენი ღირსების უპატიურობათ და დამცირებათ მიგვაჩნია ისეთ კაცებთან ლაპარაკი, რომელთა სულიერი მეხანიზმი შეზავებულია ღვარძლიანობითა და შურისაგან, რომელთა

*) „მოამბე" 1900 წ. № 11.

ნალაპარაკევი ცალიერს ინტრიგასა, ჭორსა და ცილისწამებაზე არის დაფუძნებული“ („ივერია“, 1899 წ. № 62 *).

ამ სიტყვებს განმარტება აღარ უნდა. ისინი ცხადათ და ნათლად ხატავენ ბ. კ. აბაშიძის თავ-გადასავალს მის ლიტერატურულ მოწინააღმდეგეთა გამო, მთელ მის სულიერ ტანჯვას, გამოწვეულს იმის გამო, გასცეს თუ არ გასცეს პასუხი იმათ. მკითხველი აშკარად ხედავს, თუ რა საშუალების მეოხებით მოუწადინებია ბ. კ. აბაშიძეს თავისი უხერხული მდგომარეობისაგან თავის დაღწევა: გამოვლანძღავ, გავაქიაქებ და დავამცირებ ჩემს მოწინააღმდეგეთ უსაბუთოთ და დამიჯერებენო. მაგრამ ველარ მივართვით. ჩვენის აზრით, და, ვგონებთ, მკითხველიც დაგვეთანხმება ამაში, ასეთი ოინბაზობით ბ. კ. აბაშიძემ კიდევ უფრო გაიფუჭა საქმე. ნუ თუ ის ისე დაბრმავებულია და აქამდის ვერ მიმხვდარა, რომ ლიტერატურა მისი ბრძანების აღმასრულებელი არ არის, და აღარც ქართველი მკითხველია დღეს ცალიერი ქვევრი, რომელსაც რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოგძახებს?

მაგრამ ერთ პატარა გარემოებას შეუშფოთებია ბ. კ. აბაშიძე. ამას წინათ ბ. ანტ. ფურცელაძე სწერდა („ივერია“, № 85):... „მისტიციზმზე ერთხანად ასტყდა კამათი ჩვენს მწერლობაში კიტა აბაშიძისა და მახარაძის შორის, სადაც მახარაძე იდგა იმ მკვიდრ ნიადაგზე, რომლებზედაც ჰყრის დღევანდელი ეაცობრიობა თავისი მომავალი ცხოვრების შენობის საფუძველსო“. აი, ამ უბრალო სიტყვებს შეურყევია რამდენიმედ ბ. კ. აბაშიძის ილლიუზია და ამასთანავე ის კიდევაც გაჯავრებულა ბ. ანტ. ფურცელაძეზე: რატომ ის მიზეზები, რომელნიც მე დავასახელე შარშანდელ „ივერიაში“, შენ მხედველობაში არ მიიღეო, ე. ი. რატომ არ დამიჯერე, რომ მისი (მახარაძის) „ნალაპარაკევი ცალიერ ინტრიგასა, ჭორსა და ცილის წამებაზე არის დაფუძნებულიო“. „მე მახარაძესთან—აცხადებს ბ. აბაშიძე—არავითარი პოლემიკა არ მქონია ისე, როგორც „კვალის“ არც ერთ თანამშრომელთან და არც მექნებაო... პოლემიკა შესაძლოა მხოლოდ რიგიან მოწინააღმდეგესთან, მისი ფარ-ხმალი სიმართლისა და ჭეშმარიტების მოყვარეობა უნდა იყოს და არა ჭორები და ინტრიგები, ე. ი. ბინძური საშუალებაო“ (ივერია № 95). ამის შესახებ ჩვენ ვიტყვით: სრულიად ამაოთ იწუხებს თავს ბ. კ. აბაშიძე: დღეს ისეთი მკითხველი ჩვენში

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

ალარ მოიპოვება, რომელმაც ეს სრულიად დაუსაბუთებელი ფრაზები დაიჯეროს. სიმართლის გასაგებათ მკითხველს ყოველგვარი საშუალება აქვს ხელში და ბ-ნ აბაშიძესთან ალარ წავა ამის შესატყობათ. როცა თვით მკითხველი ამ საშუალებას მოძებნის, მაშინ იგი კიდევ უფრო ნათლად დაინახვს, თუ ვინ სარგებლობს და ვინ რყვნის ჩვენს მწერლობას ჭორებით, ინტრიგებით და ცილის-წამებით. შორს რათ წავიდეთ. იმავე წერილში ბ. აბაშიძე ისეთ ცილს წამებს განსვენებულ გ. წერეთელს, რომელიც თავისი უმსგავსობით და ურცხვობით აღემატება ყველა დანარჩენ ჭორებს და ცილის-წამებას, რომელნიც კი დღემდის კიტა აბაშიძეს შეუთხზავს და ჩვენს მწერლობაში გაუვრცელებია *): გ. წერეთელმა „ლეკვები" უწოდა „კვალის" თანამშრომელთო. რა უნდოდა ამით ეთქვა ბ. აბაშიძეს? ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი ცილის-წამებით მას ერთი მხრით უნდოდა „კვალის" თანამშრომლების დამცირება საზოგადოების თვალში: დახეთ, როგორ ჰყეფენ ეს „ლეკვებიო", და მეორე მხრით უსიამოვნება დაებადებია იმავე პირებში გ. წერეთლის მიმართ. მაგრამ აქაც სასტიკად უმტყუნა მას ოინბაზობამ. განა „კვალის" თანამშრომლებმა და მკითხველებმა არ იციან ვის სწყურია მათი არა თუ დამცირება, არამედ სრულიად მოსპობა, ვინ იგონებს მათ შესახებ ყოველგვარ ჭორებს და სხვადასხვა ეპიტეტებს? ნუ თუ ამას კიდევ გამოცნობა უნდა? მაშ, აბაშიძენო, განაგრძეთ თქვენი შრომა! პიროვნების გაქელვა და დამცირება, ჭორიკანობა და ცილის-წამება, დასამცირებელ სახელწოდების თხზვა და სხვა ამგვარები: ეს თქვენი ხელობაა! ჩვენ ამის არ გვეშინია „რათა მიენიჭება თითოეულს საქმეთა მიერ თვისთა".

მცირე შენიშვნა კიდევ. ბ. კ. აბაშიძე გვატყობინებს, რომ მას ერთი დიდი გასაჭირი კიდევ სხვა დასდგომია. თურმე ნუ იტყვით, ეს გასაჭირი მისთვის მის „ლიტერატურულ მეგორებს"**) მიუყენებიათ: ეს უკანასკნელნი მისდგომიან ბ. აბაშიძეს და მოსვენებას არ აძლევენ, გინდ არ გინდა ნ. ჟორდანიას „პრესას" შენ გაეცი პასუხიო. ბ. აბაშიძე ორ წყალში ჩავარდნილა: გასცეს პასუხი, რა აქვს სათქმელი, არ გასცეს და დუმილი

*) ბ. აბაშიძე ამბობს, რომ თუ საჭირო იქნება, ამ ცილისწამებას მოწმეებით დავამტკიცებო. აშკარაა, რომ ბ. აბაშიძეს სურს მთელი ჩვენი ლიტერატურა ჭორების და ცილისწამების ბურჭლათ გახადოს. ამიტომ ეურჩევთ ასეთი დამტკიცება მან ისევ თავისთვის შეინახოს თავისი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსაყენებლათ.

**) ბ. აბაშიძე ფურჩხილებში შენიშნავს, რომ „მეცა მყავ მეგობრებიო" თუმც არა . . . . . რიანებიო. ჩვენ არ ვიცით, რომ ამაზე მეტი სიმართლე სხვას წამოცდენოდეს ბ. აბაშიძეს.

კარგად იცის რისი ნიშანია. რა ქნას! თავი როგორ იხსნას ამ მოულოდნელ განსაცდელისაგან? მაგრამ ბ. კ. აბაშიძე რაღა ოინბაზი იქნებოდა თუ ამისთანა გასაჭირიდან თავს ვერ იხსნიდა? „იმავე მიზეზების გამო—უპასუხებს ის თავის „ლიტერატურულ მეგობრებს“,—რომელნიც 1899 წელს „იეერიის“ 62 ნომერში მქონდა დასახელებულიო“... მორჩა და გათავდა: რა კარგი ყოფილა ოინბაზობა! ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო—სწორედ ამას ჰქვია. მაგრამ ეტყობა ბ. ახალმოსულს ძლიერ ესარჩლება ბ. კ. აბაშიძე. სხვათა შორის უკიჟინებს რა „კვალის“ თანამშრომელთ ახალმოსულს რათ მოსთხოვეთ ნიღაბის მოხდაო, შემდეგ ასე განაგრძობს: „ტალახში სიარულის დროს კალოშები გვჭირია და მაგათანა მოდავესთან ნიღაბი ერთგვარი კალოშებია; როგორ ვერ წარმოგიდგენიათ, რომ ყველას არ სურს თავისი სახელი და გვარი (ალბად დიდებული ვინმე კი უნდა ბრძანდებოდეს ბ. ახალმოსული!) გააჩირქიანოს (საქმე ცუდათ ყოფილა!) და მაგათ სახსენებლათ და სათრეველად გახადოსო“. სჩანს აქ ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის, სჩანს, ბ. ახალმოსულს რაღაც ძველი ცოდვები უნდა აწუხებდეს, როცა თავის ვინაობას ფარავს, თორემ სხვა მხრივ ეს ვერ აგვიხსნია, მით უმეტეს ასე ვფიქრობთ ბ. კიტა აბაშიძის სიტყვების შემდეგ. „На воре шапка горит“, ამბობს რუსული ანდაზა. ახლა ვიკითხოთ, რამდენ ხანს უნდა მალოს თავის ვინაობა ბ-ნმა ახალმოსულმა? ვთქვათ ჩვენ დაგვიფარა, ისტორიას რას უშვრება, იმას ხომ ველარ გაეჭცევა?

ფ. მახარაძე.

ქ. ოზურგეთი,
1896 წ. 8 მაისი.

# შენიშვნები.

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

1) **ვლ. ილინი.** ვლ. ილინი ნ. ლენინის (ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის) ფსეუდონიმი იყო.

2) **ოგიუსტენ ტიერი.** ოგიუსტენ ტიერი საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკოსი იყო. ის დაიბადა 1795 წ. გარდაიცვალა 1856 წ.

3) **გიზო.** გიზო საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ის დაიბადა 1787 წ. მამა მისი იყო გამოჩენილი ვექილი, რომელიც მოკვდა ეშაფოტზე დიდი რევოლიუციის დროს. სწავლის დამთავრების შემდეგ 1812 წ. ის დანიშნულ იქნა პარიზის უნივერსიტეტში ახალი ისტორიის პროფესორად. იმპერიის დაცემის შემდეგ მან მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი მდივნის ადგილი. კუნძულ ელბიდან ნაპოლეონის დაბრუნების შემდეგ ის გაყვა ლიუდოვიკ მე-XVIII გენტში, სადაც რედაქტორობდა ბურბონების ოფიციალურ გაზეთს. შემდეგ, როდესაც საფრანგეთში დაბრუნდა ბურბონებთან ერთად, დანიშნულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. შემდეგ მან მიატოვა სახელმწიფო მოღვაწეობა და ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ მუშაობას. თავის ლექციებში ახალი ისტორიის შესახებ ის ცდილობდა გამოერკვია იმის მიზეზები, თუ რატომ ინგლისში წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა ადრე დამკვიდრდა. 1822 წ. მთავრობამ აუკრძალა მას ასეთი ლექციების კითხვა. 1828 წლიდან ის ხელახლა უბრუნდება სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზს. შემდეგ, როდესაც დაეცა მონარქია საფრანგეთში 1848 წ., ის გაიქცა ინგლისში, საიდანაც დაბრუნდა მეორე წელშივე. გარდაიცვალა გიზო 1874 წლის 12 ოქტომბერს.

4) **გერცენი.** ა. ი. გერცენი გამოჩენილი რუსი პუბლიცისტი და რევოლიუციონერი იყო. ის დაიბადა 1812 წელს. რევოლიუციონურ მოღვაწეობას ხელი მიყო დიდი სოციალისტ-უტოპისტების გაელენის წყალობით. 1834 წ. ოგარიოვთან და სხვებთან ერთად გადასახლებულ იქნა პერმში, ხოლო შემდეგ ვიატკაში. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გერცენი „ზაპადნიკების" (ე. ი. დასავლეთ ევროპის კულტურის ორიენტაციის მომხრეთა) ერთი ბელადთაგანი ხდება და აწარმოებს ბრძოლას სლავიანოფილების (ე. ი. სლავიანობის პატრიოტების წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, სლავიანოფილობის წინააღმდეგ ასეთი ბრძოლისა, ის მაინც თელიდა თვითონაც, რომ რუსეთში სოციალიზმი წარმოიშობა გლეხური თემიდან. ეს შეცდომა შედეგი იყო უმთავრესად იმისი, რომ მას გული გაუტყდა დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ წყობილებაზე. 1851 წელს რუსეთის სენატმა დაადგინა აეყარა მისთვის ყოველგვარი უფლებები და გაძევებული ყოფილიყო რუსეთიდან საუკუნოდ. 1857 წლიდან გერცენი სცემს ლონდონში ცნობილ კრებულს: „პოლიარნაია ზვეზდა"-ს და ჟურნ.: „კოლოკოლ"-ს, სადაც მოითხოვდა

გლეხების განთავისუფლებას, ცენზურის გაუქმებას, საჯარო სასამართლოსა და სხვა რეფორმებს. გერცენის თხზულებებს დიდი გავლენა ჰქონდა რევოლიუციონერთა ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე. გარდაიცვალა ის 1870 წ.

5) **ბაკუნინი.** მ. ა. ბაკუნინი იყო გამოჩენილი რუსი რევოლიუციონერი, ანარქიზმის თეორეტიკოსი და ერთი დამაარსებელთაგანი, კოლექტივისტი და ფედერალისტი. ის დაიბადა 1814 წ. დაასრულა საარტილერიო სკოლა პეტერბურგში. მონაწილეობდა მოსკოვში სტანკევიჩის წრეში. სადაც შეისწავლა გეგელის ფილოსოფია. 1840 წ. წავიდა საზღვარგარეთ, სადაც გაიცნო ვეიტლინგი, პრუდონი და მარქსი. 1847 წელს გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან. 1848 წელს რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა პარიზში და განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ მალე მიატოვა საფრანგეთი და გადასახლდა გერმანიაში. მონაწილეობას ღებულობდა სლავიანელ მოღვაწეთა ყრილობაზე ქ. პრაგაში. მონაწილეობას ღებულობდა ის აგრეთვე პრაგის აჯანყებაში, ხოლო 1849 წელს—აჯანყების მომზადებაში ქალაქ დრეზდენში; მისჯილი ქონდა ორხელ სიკვდილით დასჯა, მაგრამ გადაცემულ იქნა რუსეთის მთავრობაზე, რომელმაც მიუსაჯა მას 20 წლის ციხე შლისელბურგში. ალექსანდრე მე-II შეუცვალა ციხე ციმბირში გადასახლებით, საიდანაც 1861 წ. გაიქცა ის იაპონიითა და ამერიკით ლონდონში. მოკლე ხნის შემდეგ გადავიდა იტალიაში და დაარსა „საერთაშორისო ძმობა". ამ ხანებში ის უკვე იქცევა უბრალო მეამბოხედან საერთაშორისო ანარქიზმის თეორეტიკოსად და ხელმძღვანელად. 1869 წ. ბაკუნინი შევიდა მუშათა საერთაშორისო ასოციაციაში" (I ინტერნაციონალი), საიდანაც გამორიცხულ იქნა ჰაგის კონგრესის დადგენილებით 1872 წ. 1870 წელს მან ენერგიული მონაწილეობა მიიღო ლიონის აჯანყებაში. 1873 წელს დაარსა ანარქისტული „ფედერატიული კავშირი". 1874 წ. გადავიდა იტალიაში და შეეცადა აჯანყების მოწყობას ბალონიეში. აერთიანებდა რა თავის მსოფლმხედველობაში ჰეგელის, კონტის, პრუდონის და მარქსის იდეებს, ბაკუნინი იყო პოზიტივისტი. ის ხელს არ იღებდა პოლიტიკურ ბრძოლაზე და უარყოფდა სახელმწიფოს და კერძო საკუთრებას (განსაკუთრებით სამემკვიდრო საკუთრებას). სახელმწიფო იყო მისთვის თეზა, ანარქია ანტითეზა, ხოლო სინთეზი იყო „ფედერალიზმი". თავისუფალი მწარმოებლების, განსაკუთრებით გლეხების თავისუფალი კავშირების მოწყობა მიაჩნდა მას უებარ საშუალებათ კოლექტივიზმისკენ გადასასვლელად. გადატრიალების საშუალებათ თვლიდა: ამბოხებას („სული დამრღვეველი არის სული აღმდგენელი"), რევოლიუციონურ ბრძოლას, აჯანყებას, ტერორს, ფარულ ორგანიზაციებს, შეთქმულობას.

6) **ტკაჩოვი.** პ. ნ. ტკაჩოვი იყო პისარევის „რუსკოე სლოვოს" თანამშრომელი სამოციან წლებში. პასუხისგებაში იყო მიცემული ნეჩაევის საქმის თაობაზე. ემიგრანტი 1870 წლიდან. ის სცემდა ქ. ჟენევაში 1875—77 წ.წ. „ნაბატ"-ს, სადაც ანვითარებდა იმ ხანის რევოლიუციონურ ნაროდნიკობისათვის უჩვეულო აზრს—დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენის შესახებ, შეთქმულობის გზით სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობას. ტკაჩოვის თეზისი იყო:

„რევოლიუციას ანსორციელებს რევოლიუციონური სახელმწიფო, რომელიც ანადგურებს საზოგადოების კონსერვატიულ და რეაქციონურ ელემენტებს, აუქმებს ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებიც ეღობებიან წინ თანასწორობისა და ძმობის მოწყობას და ქმნის ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ განვითარებას". პ. ნ. ტკაჩოვმა დიდი გავლენა მოახდინა „ნაროდნაია ვოლია"-ს პარტიის იდეოლოგიაზე.

7) **ნ. ჩერნიშევსკი.** ნ. გ. ჩერნიშევსკი (1828—1889 წ.წ.) გამოჩენილი რუსი მატერიალისტი და სოც.-უტოპისტი იყო. ჟურ. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკ"-ში და „სოვრემენნიკ"-ში გამოდიოდა, როგორც კრიტიკოსი და პუბლიცისტი. 1862 წ. 12 ივნისს ჩერნიშევსკი დატუსაღებულ იქნა და მოთავსებული პეტრე-პაველს ციხეში. საიდანაც გაგზავნილ იქნა კატორღაში—ციმბირში. დაბრუნდა რუსეთში მხოლოდ 1883 წ. ჩერნიშევსკიმ ფილოსოფიურად დაასაბუთა შემდგომი ნ ა რ ო დ ნ ი კ უ ლ ი მოძრაობა. მას მომავალი სოციალისტური საზოგადოების ჩანასახად მიაჩნდა რუსეთის გლეხური თემი (იხ. მისი: „Критика философских предупреждений против общинного землевладеня" და სხვ.) ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში გამოვიდა ის ფეიერბახის მომხრეთ და ნ. ლენინის თქმით „შესძლო სრულ 1888 წლამდე შერჩენოდა მთლიან ფილოსოფიურ მატერიალიზმს და შორს გადაეგდო ნეოკანტიანელების, პოზიტივისტების, მახისტებისა და სხვა ასეთების სულელური ბოდვა. მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ მოახერხა. ანუ. უკეთ რომ ვთქვათ, ვერ შესძლო რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, ამაღლებულიყო მარქსისა და ენგელსის დიალექტიურ მატერიალიზმამდე".

8) **კოვალევსკი.** მ. მ. კოვალევსკი რუსი ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. 1888 წ. ის გაძევებულ იქნა საზღვარგარეთ. სადაც კითხულობდა ლექციებს (სტოკჰოლმს და ოქსფორდში). 1901 წ. დაარსა პარიზში საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი რუსული სკოლა, სადაც კითხულობდენ ლექციებს ბევრი რუსი ემიგრანტი-მეცნიერები (კარეევი, გამბაროვი, მეჩნიკოვი. მილიუკოვი და სხვა) და აგრეთვე ემიგრანტი-რევოლიუციონერები: ლენინი. პლეხანოვი. ჩერნოვი და სხვ. 1905 წ. კოვალევსკი დაბრუნდა რუსეთში და მიიღო მხურვალე მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო ზომიერი ლიბერალი. 1906 წ. ის წევრია პირველი სახელმწიფო სათათბიროსი ხარკოვის გუბერნიიდან. სათათბიროს გარეკის შემდეგ დაარსა მცირერიცხოვანი პარტია „დემოკრატიული რეფორმებისა" და რედაქტორობდა ამ პარტიის ცენტრალურ ორგანოს: „სტრანა" (1906—1907). შემდეგ იყო წევრი სახელმწიფო ზედა პალატისა, სადაც ბელადობდა მემარცხენე „აკადემიურ ჯგუფს." 1909 წელს ხდება ის ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის" რედაქტორ-გამომცემლად.

9) **ეს წერილი** დაწერილია 1907 წელს.

10) **ეს წერილი** დაწერილია 1907 წელს.

11) **იმამი.** იმამი არის მაჰმადიანთა სასულიერო ხელისუფლების უზენაესი წამომადგენელის სახელწოდება.

12) **აზატი გლეხები.** აზატი გლეხები ეწოდება თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ გლეხებს.

13) **გ. თუმანოვი.** გიორგი მ. თუმანოვი ცნობილი პუბლიცისტი იყო. ის თანამშრომლობდა ტფილისის ქართულსა და რუსულ პრესაში. უმთავრესად სწერდა ქალაქის თვითმართველობისა და კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. მასთან ერთად აქვს ნაწერები გლეხთა განთავისუფლებაზე და საზოგადოთ აგრარულ საკითხზე. ერთხანს სცემდა ის ტფილისში რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს". უკანასკნელ ხანებში თანამშრომლობდა ტფილისის „კავკაზსკოე სლოვოში". გარდაიცვალა გ. თუმანოვი 1919 წელს.

14) **ფ. გოგიჩაიშვილი.** ფილიპე გოგიჩაიშვილი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მან უმაღლესი სწავლა მიიღო საზღვარგარეთ, სახელდობრ, გერმანიაში. საქართველოში დაბრუნებისას მას კიდევ მოჰქონდა თავი მარქსისტათ, მაგრამ მალე სავსებით შეაქცია ზურგი ამ მოძღვრებას და გადაბარგდა ნაციონალისტების ბანაკში. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ის რედაქტორობდა ნაციონალისტების „განახლებულ" ორგანოს „ივერიას". ამ ჟამად ფ. გოგიჩაიშვილი კითხულობს ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში და მუშაობს ამავე დროს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

15) **ე. ი.** 1910 წელს.

16) **ადრიანოპოლი.** ადრიანოპოლი ერთი მთავარი ქალაქია ბალკანეთში. იმ დროს ის ეკუთვნოდა ოსმალეთს, ამ ჟამად ის მოქცეულია ბულგარეთის საზღვრებში.

17) **პურიშკევიჩი.** პურიშკევიჩი ეკუთვნოდა ბესარაბიის მემამულეთა წრეს. ცარიზმის დროს პურიშკევიჩი იყო ხელმძღვანელი და მთავარი ორატორი მონარქიულ ბლოკისა სახელმწიფო დუმაში. ამ უკანასკნელის ტრიბუნიდან ის არა ერთხელ მოუწოდებდა დაუზოგველ ბრძოლისაკენ რევოლიუციონერებთან და ებრაელებთან. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა „პოგრომული" ორგანიზაციები, როგორც, მაგალითად, „რუსი ხალხის კავშირი". კერენსკის მთავრობის დროს და საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ის რამოდენჯერმე იყო დაპატიმრებული თავისი კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის. საკამომძიებლო კომისიის ცნობებით კონტრ-რევოლიუციონური მონარქიული ორგანიზაცია პურიშკევიჩის მეთაურობით დაარსდა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში. ორგანიზაციის მიზანი იყო მტკიცე ხელისუფლების დამყარება ომის გაჭარჯვებით დაგვირგვინებისათვის და შემდეგში—უეჭველი აღდგენა მონარქიისა რუსეთში. თვითონ პურიშკევიჩი იმ აზრის იყო, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირი კადეტებთანაც, მასთან კიდევ სავინკოვთანაც, რადგანაც მონარქისტები თავის თავად ძალიან სუსტები არიან და მემარჯვენე ესერების დაუხმარებლად გამარჯვებას ვერ მიაღწევენო.

18) **მარკოვები.** მარკოვი რუსეთის მემამულეების ბელადი იყო.

19) **ოქტომბრისტები.** ოქტომბრისტები—ეს 17 ოქტომბრის კავშირის წევრების შემოკლებული სახელწოდება იყო. 17 ოქტომბრის კავშირი დაარსდა: 1) 1904—05 წ.წ. ერობათა ყრილობების მემარჯვენე უმცირესობისა; 2) რეაქციონური მსხვილი ბურჟუაზიისა და 3) „წესიერების" სხვადასხვა ელემენტებისაგან,

რომლებიც მოწყობილი იყო ბიუროკრატიის მიერ 1905—06 წ.წ. რევოლიუციისადმი დასაპირდაპირებლად. მისი ბელადები იყვნენ: დ. შიპოვი, მ. სტახოვიჩი და ა. გუჩკოვი. კავშირმა თავიდანვე კონტრ-რევოლიუციონური პოზიცია დაიკავა. ის გამოვიდა ვიტე-დურნოვოს პოლიტიკის, სტოლიპინის სამხედრო-საველე იუსტიციის დასაცავად. არც პირველსა და არც მეორე სახელმწიფო სათათბიროში ის არავითარ როლს არ თამაშობდა. მან ნახა თავისი ადგილი მხოლოდ სამი ივნისის სათათბიროში, სადაც „მმართველ“ პარტიად გახდა. მასთან აღსანიშნავია, რომ აქაც ის მემარცხენეთ იქნა ცნობილი სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ რეაქციის მიერ. იმპერიალისტურ ომში დაიკავა პოზიცია: „ომი სრულ გამარჯვებამდე“ ანექსიითა და კონტრიბუციით. თებერვლის რევოლიუციამ მყისვე გადატყორცნა ოქტომბრისტები მონარქიულ კონტრ-რევოლიუციის შავ ბანაკისაკენ.

20) **კადეტები.** კადეტები ეს ლიბერალური ბურჟუაზიის კონსტიტუციონურ-დემოკრატიული პარტიის შემოკლებული სახელწოდებაა. დაარსდა ის 1905 წლის ოქტომბერში: 1) ეროობის მომხრე კონსტიტუციონალისტების—ლიბერალურ მემამულეებისაგან და 2) „განთავისუფლების კავშირის“ წევრებისაგან, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენციისა და თავისუფალი პროფესიის პირთა წარმომადგენლებისაგან. პროგრამის ძირითადი მუხლებია: 1) პარლამენტარული მონარქია; 2) მემამულეებისათვის ჩამორთმეულ მიწებში სასყიდელის მიცემა და 3) მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება 8 საათის სამუშაო დროის დაშვებით იქ, სადაც ეს შესაძლებელია.

21) **მილიუკოვი.** პ. ნ. მილიუკოვი რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადი იყო. ის იცავდა მარქსისტების წინააღმდეგ რუსეთის ისტორიული პროცესის თავისებურობას. 90 წ. წ. ის იმიგრანტია, ღებულობს მხურვალე მონაწილეობას „განთავისუფლების კავშირში“. 1905 წლის რევოლიუციაში ის იყო ლიბერალური მოძრაობის ბელადი, კონსტიტუციონურ-დემოკრატიული (კადეტების) პარტიის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მუდამ მოლაპარაკებას აწარმოებდა ბიურროკრატიასთან ძალა-უფლების განაწილების შესახებ ბურჟუაზიისათვის (1905 წლის ნოემბერში და 1906 წლის ივნისში). არ ყოფილა არც პირველ და არც მეორე სახელმწიფო სათათბიროში, ხოლო მესამესა და მეოთხეში კი იყო რა ლიბერალურ-ოპორტიუნისტული ოპოზიციის ბელადი, ის გამოხატავდა ბურჟუაზიის დიდ მპყრობელურ ანექსიონისტურ გეგმებს და აპყრობდა მთელ ყურადღებას საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთს. იმპერიალისტური ომის დროს ის იყო მომხრე ლოზუნგის: „ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე“ და მოითხოვდა სრუტეების (ბოსფორისა და დარდანელის) ანექსიას. 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის დროს ის იყო გარეშე საქმეთა მინისტირი და ატარებდა თავის ანექსიონისტურ პოლიტიკას. მისმა 18 აპრილის ნოტამ გამოიწვია დიდი აღშფოთება რევოლიუციონური პროლეტარიატის რიგებში, რამაც იძულებული გახადა ის დაეტოვებია თავისი პოსტი. მას შემდეგ ის ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობის ბელადია. დაწყებული კორნილოვის გამოსვლიდან ის ხან გერმანიის ორიენტაციას ემხრობა და ხან „მოკავშირეებისას“.

ახლა ის პარიზშია და ბელადობს კადეტების პარტიის მემარცხენე ფრთას. ის ბლოკის მომხრეა კერენსკისა და აქესენტიევის სახის სახელმწიფოს „სასარგებლოდ მოაზროვნე“ ესერებთან და იცავს „დემოკრატიული“ ანტი-ბოლშევიკური ბლოკის იდეას.

22) **საზონოვი.** საზონოვი იყო რეაქციონერი-ნაროდნიკი. თავის შრომაში „ობშჩინა“-ს შესახებ ამტკიცებდა თემურ მიწათმფლობელობის ცხოველ მყოფელობას, მის ღირებულებას, როგორც უშუალო ბაზისისას მომავალი სოციალისტური წყობილებისათვის.

23) **გუჩკოვი.** ა. ი. გუჩკოვი რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი და 1904—05 წ.წ. მემარჯვენე საერობო-საქალაქო ყრილობათა ბელადი იყო. ის იყო „17 ოქტომბრის კავშირის“ ორგანიზატორი, დამცველი სტოლიპინის პოლიტიკისა და სამხედრო საველე იუსტიციისა. მას ირჩევენ სამი იენისის სახელმწიფო სათათბიროში და შემდეგ მის თავმჯდომარეთაც და ენერგიულად მუშაობს ის ქვეყნის მილიტარიზაციისათვის. იმპერიალისტურ ომში „ომის ბოლომდე“ მომხრე და დამცველი იყო. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გახდა სამხედრო მინისტრი. მაგრამ გადის სამინისტროდან დროებითი მთავრობის აპრილში მომხდარი კრახის თანავე. 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ის კონტრრევოლიუციონური ძალების ორგანიზატორია.

24) **ბობრინსკი.** გრაფი ბობრინსკი კიევის გუბერნიის მსხვილი მიწათმფლობელი და შაქრის მექარხნე იყო.

25) **სკუტარი.** სკუტარი ერთი მთავარი ნავთსადგურია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამ ჟამად ის საბერძნეთს ეკუთვნის.

26) **ილია ჭავჭავაძე** მოჰკლეს სოფ. წიწამურის ბოლოს (მცხეთის მახლობლად). ამ დროს ის მიემგზავრებოდა თავის ცოლთან ერთად ქალაქ ტფილისიდან სოფ. საგურამოში (ცოლის მამულში).

27) **ჟურნალი „მოგზაური“.** ჟურნალი „მოგზაური“, რომელიც გამოდიოდა ქ. ტფილისში 1905 წ., სოციალ-დემოკრატიული ლეგალური ორგანო იყო. მისი მთავარი რედაქცია ამხ. ფილიპე მახარაძის მეთაურობით მეორე ნომრიდან თითქმის ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა და ამიტომ, შეიძლება ითქვას, ფაქტიურად ის ბოლშევიკების ფრაქციის ორგანო იყო. მისი გამოცემა შესწყდა 1905 წლის 20 ნოემბერს.

28) **„ცნობის ფურცელი“.** „ცნობის ფერცელი იყო სოციალისტ-ფედერალისტების ყოველდღიური ორგანო, რომელსაც მეთაურობდა ფედერალისტების ცნობილი ლიდერი განსვენებული არჩ. ჯორჯაძე და რომელიც გამოდიოდა 1905 წელში.

29) **„ივერია“.** 1877 წ. ქართველმა საზოგადოების კონსერვატიულმა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაარსა საკუთარი ორგანო: „ივერია“. ეს გაზეთი პირველად გამოდიოდა კვირაში ერთხელ. მაგრამ 1879 წ. ის გადაკეთდა თვიურ ჟურნალად, ვინაიდან ამ დროს გაზეთმა „დროებამ“ (პირველად ის დემოკრატიული ორგანო იყო) იმდენად იცვალა ფერი, რომ შესაძლებელი გახდა მისი და გაზეთ „ივერიის“ რედაქციების შეერთება. ამის მიხედვით მათ შორის

მოხდა შრომის ერთგვარი განაწილება; „დროებამ" გაზეთის სახე შეინარჩინა, ხოლო „იერია" კი თვიურ ჟურნალად გადაკეთდა. მაგრამ ეს შეერთება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1881 წ. ისინი ისევე გაიყარენ: „დროება" დაუბრუნდა თავის ძველებურ ტრადიციას და ხელახლად იწყო თავისი ჩვეულებრივი მსელელობა. ეს, რასაკვირველია, კარგად ვერ იმოქმედებდა „იერიაზე", და ეს უკანასკნელი ისე უძლურდება. რომ დღე-დღეზე მოსალოდნელი ხდება მისი დახურვა. მაგრამ აქაც მას „დროება" შველის. 1885 წ. გაზეთი „დროება" დაიხურა და ქართველი საზოგადოება სრულიად უგაზეთოდ დარჩა. ამ გარემოებით ისარგებლა „იერიამ" და 1886 წ. პირველი იანერიდან დასტოვა ყოველთვიური ჟურნალის სახე და იწყო გამოსვლა ყოველდღიურ გაზეთად. ამიერიდან ის უძლიერესი ლიტერატურული იარაღი გახდა ილია ჭავჭავაძის ხელში, ვინაიდან ის იყო მისი რედაქტორი. თუ როგორ უყურებდა გაზეთი „იერია" ჩვენი ქვეყნის განვითარებას, ეს სჩანს მისი რედაქტორის შემდეგი სიტყვებიდან, რომლებიც წარმოსთქვა მან ჯერ კიდევ 1881 წელს. „დიახ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ეისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. ხმალი იცავს გუთანს. ხოლო გუთანი ასაზრდოებს ხმალს". რამდენიმე წლის შემდეგ „იერია" ვითომდა შეიცვალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას სათაურში ჩაუდგა ფილიპე გოგიჩაიშვილი. მაგრამ ფაქტიურად „იერიას" „განახლების" შემდეგაც არ უღალატია თავისი ძველი ტრადიციისათვის და ის ბოლომდე შერჩა ამ გზას.

30) **„გლახის ნაამბობი"**. „გლახის ნაამბობი" ილია ჭავჭავაძის მოთხრობაა.

31) **„კაკო ყაჩაღი"**. „კაკო ყაჩაღი ილია ჭავჭავაძის პოემაა.

32) **გაზეთი „თემი"**. გაზეთი „თემის" ყოველკვირეული უპარტიო ქართული გაზეთი იყო, რომელიც გამოდიოდა ქ. ტფილისში დიასამიძის რედაქტორობით

33) **დიასამიძე**. დიასამიძე გაზეთ „თემის" რედაქტორი იყო.

34) **„სახალხო გაზეთი"**. „სახალხო გაზეთი" სოციალისტ-ფედერალისტების ყოველდღიური ორგანო იყო.

35) **ჟურნალი „ჩვენი წყარო"**. ჟურნალი „ჩვენი წყარო" გამოდიოდა ქ. ბაქოში 1913 წელს. პირველად მას ერქვა „წყარო" და ფაქტიურად მენშევიკების ორგანო იყო, მაგრამ მეთერთმეტე ნომრის შემდეგ მას სათაურში ჩაუდგა ამხ. ფილიპე მახარაძე და ეწოდა სახელად „ჩვენი წყარო". ამიერიდან ის ფაქტიურად ბოლშევიკური ფრაქციის ორგანოდ იქცა.

36) **17 ოქტომბრის მანიფესტი**. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი შედგენილი იყო ვიტეს მიერ და ხელმოწერილი იმ პირველი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დღეებში, რომელმაც მოშალა მთავრობის აპარატი და იმუქრებოდა შეიარაღებულ აჯანყებად გადაქცევას. მანიფესტის ძირითადი მუხლები იყო: 1) მიცემა მცხოვრებლებისათვის სამოქალაქო თავისუფლებისა პიროვნების ნამდვილი ხელშეუხლებლობის, სინდისის, სიტყვის, კრებისა და კავშირის თავისუფლების ნიადაგზე; 2) სახელმწიფო სათათბიროში დანიშნულ არჩევნების შეუჩერებლად მოწვეულ იქნან სათათბიროში მონაწილეობის მისაღებად. რამდენადაც ამის ნებას იძლევა ის დრო, რომელიც დარჩა სათათბიროს მოწვევამდე, მცხოვრებთა ის კლასები, რომლებიც მოკლებულნი არიან ამჟამად საარჩევნო უფ-

ლებას, რის შემდეგაც ასეთი საარჩევნო უფლება დამტკიცებულ იქნას საკანონმდებლო გზით; 3) დაწესებულ იქნას, რომ არც ერთ კანონს უფლება არ აქვს, თუ ის მოწონებული არ არის სახელმწიფო სათათბიროს მიერ და რომ ხალხის მიერ ამორჩეულთ უფლება ექნეთ ნამდვილად მიიღონ მონაწილეობა მეფის მიერ დაფუძნებულ ხელისუფლებათა კანონიერ მოქმედების ზედამხედველობაში. მიუხედავად იმისა, რომ მანიფესტი ფაქტიურად მხოლოდ დაპირებებს იძლეოდა (ლივით მისი გამოქვეყნების დღეს, 18 ოქტომბერს, გამოცემულ იქნა ტრეპოვის ბრძანებაც: „პატრონები არ დაზოგოთ"), მას მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა. როგორც მეფის მთავრობის პირველ დათმობას რევოლიუციისადმი. მანიფესტის გამოცემა ეს გარდატეხის წარტილი იყო სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფების დამოკიდებულებაში თვითმპყრობელობასთან. 17 ოქტომბრამდე აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ, კონსტიტუციის მხარეზე იყვნენ ცოტათ თუ ბევრად ყველა ჯგუფები: „თითქმის არც კი იყვენ მემარჯვენეები ანუ, თუ იყვნენ, ჩუმად, დაფარულად. 17 ოქტომბერმა ზოგიერთები გონს მოიყვანა, წარმოშვა პარტიები; ამეტყველდა პატრიოტიზმი, საკუთრების გრძნობა",—სწერს ვიტე თავის „მოგონებებში". მხოლოდ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დააფასა სწორად მეფის დაპირება. გაფიცვის გაგრძელების გადაწყვეტა იყო პასუხი მუშათა დეპუტატების საბჭოთა მანიფესტზე.

37) **„ნოვოე ვრემია"**. გაზეთი „ნოვოე ვრემია" გამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან ყოველდღიურად. მას სცემდა ა. ს. სუვორინი. გაზეთს დაარსების დღიდანვე უკიდურესი კონსერვატორული პოზიცია ეკავა. იყო რა არსებითად ოფიციოზი, „ნ. ვრემია" თავის ფურცლებზე განუწყვეტლივ აწარმოებდა კამპანიას რევოლიუციონური დემოკრატიის, მუშათა კლასისა და რადიკალური ინტელიგენციის წინააღმდეგ. იყო რა ბიუროკრატიული ზედაფენების ორგანო, ის არ იყო განსაკუთრებით მტკიცე და ჩვეულებრივად ცვლიდა თავის კურსს იმის მიხედვით, თუ როგორი პერსონალური ცვლილებები ხდებოდა სამინისტროში. 1905 წლის რევოლიუციის დროს ეჭირა უკიდურესი რეაქციონური პოზიცია და გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვდა რევოლიუციონერებისა და გაფიცულ მუშების მიმართ.

38) **ზდანოვიჩი**. გიორგი ზდანოვიჩი (გ. მაიაშვილი) ქართველი ფედერალისტების ერთი ცნობილი ბელადთაგანი იყო. ის დაიბადა ქ. ქუთაისში 1855 წელს. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ ეს უკანასკნელი აღარ დაუმთავრებია, ვინაიდან ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში. ის მიემხრო ნაროდნიკების ჯგუფს და მისი ერთი მებრძოლთაგანი გახდა. 1875 წლის სექტემბერში გ. ზდანოვიჩს ასამართლებენ (ეგრედ წოდებული „50-ის პროცესი") და უსჯიან 8 წლისა და 8 თვის კატორღას. 1889 წელს ის გაანთავისუფლეს, რის შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში. აქ, საქართველოში, პირველად ის არც ერთ ჯგუფს არ ეკუთვნოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან დაუახლოვდა და ბოლოს შეუერთდა საქესებით ჩვენ ნაციონალისტების იმ წრეს, რომლისაგან შემდეგ გამოიჩეკა ფედერალისტების პარტია. გ. ზდანოვიჩი მოღვაწეობდა ჩვენში სამწერლო ასპარეზზე გ. მაიაშვილის ფსევდონიმით. ის გარდაიცვალა 1917 წლის 31 ივლისს ქ. ქუთაისში.

39) **კოკოვცევი.** კოკოვცევი მაშინდელი თეითმპყრობელური მთავრობის ფინანსთა მინისტრი იყო.

40) **აი ეს დოკუმენტი:**

**„ბაქოს „ჩვენი წყარო"-ს რედაქციას.**

დიდებულ ბრბოს ბაიარაღდარს და მტარვალს უმანკო სისხლის მთხეველს და ხალხის ზნეობით დამცემს ფ. მახარაძეს.

დიდებულო უაჩაღთა სარდალო და ვაჭრუკა დემოკრატო ფილიპე!

ყოველს ცუდსა და ბოროტს აუცილებლად ერთი რამე იოტის ოდენა ღირსებაც მოსდევს თან და სწორედ ამას ვაწერ იმ სისხლში ამოსვრილს ატამანს ბ. მახარაძეს. ერთის მხრით დიდი ჭეშმარიტება წამოროშა ფ. მახარაძემ ბაქოს უაჩაღთა მებაირაღდრემ „ჩვენმა წყარომ" ჩვენებურს მოდემოკრატე მოღვაწეებზე და მათს ლაჩრობაზე და მშიშრობაზე. ჭეშმარიტია და დიდებული ეს საზიზღარი მხილება მათი და ღირსიც არიან სამარცხვინო ბოძზე გაკვრისა და თავსლაფ დასხმისა და აღარც აქვთ ზნეობრივი უფლება ამტყუნონ ის საზიზღარი ბრბოს მოთავენი, რომლებმაც ასე საზიზღრად შეისვარეს უმანკო და მთელი ერის მოამაგდრე მოღვაწის სისხლში თავიანთი მურტალი ხელები და გაამხეცეს ეს გულუბრყვილო შეგნებული ხალხი და მით დაიმსახურეს სამუდამოდ მთელის ქართველის გულწრფელი და სამართლიანი წყევა-კრულვა! ამაში დიდი წილი უდევთ იმ უბადრუკთ და ვითომდა მამულის დამცველებთ და არასოდეს ისინი ამ სილაჩრეს და სიფრთხილის ფეჩატს ვერ აიშორებენ, სამართლიანის და მიუდგომელის ისტორიკოსიდან! ეს ჭეშმარიტება აღვიარა თავისი ჭუჭყიანითა და სისხლიანის კალმით მახარაძემ და მით სინანურიც და საყვედურიც იხატება იმის უმსგავსო წერილში! საყვედური სამართლიანია, სადაც ამბობს:—რატომ არ შეგწევდათ იმდენი ვაჟკაცობა, რომ ჩემისთანა თავხედისათვის ხელი შეგეშალათ და აგეცილებიათ ამნაირი უბედურება თავიდანო, თუმცა აქვე (ვერ გავარჩიეთ) სთესავს უმსგავს უაჩაღურ შხამს! განა თვითონ არ იცის, რომ მისი საზიზღარი ცილის-წამება აღემატება ყოველივე ნორმას და ყოველად შეუძლებელია ითქვას იმნაირ ადამიანებზე. როგორც იყო ილია. მაგრამ სოც.-დემოკრატი და ისიც ქართველთა უაჩაღათა ბრბოსაგან შემდგარი სოციალ-დემოკრატებისაგან მეტს რაღას უნდა მოველოდეთ. განა ცოტა უბედურება დაატეხეს თავს ჩვენ ხალხს? მაგრამ იმაში მართალნი არიან, როცა უსაყვედურებენ ჩვენს მოწინავე მოღვაწეებს, რომ იმათ ხელი არ შეუშალეს, იმათ ისეთ არა ადამიანურს საზიზღრობაში და ისინიც ჩონაწილე არიან ფ. მახარაძესთან ერთად, თუ არა ულ ადვილი შესაძლებელი იყო ეს თავზარ-დამცემი ტრაგედია თავიდან აგვეშორებინა და ჩვენი დიდებული ილია ღღესაც გვყოლოდა ჩვენდა სადიდებლად! ამაში სტყუიან ყველანი და იმათი რწმუნებაც მეტია იმაში და იმათი მოქმედებით წილი არ ედვათ ფ. მახარაძეს საზიზღარს მოქმედებაში და ეხლა სინანური და თავში ხელის ცემა მეტია! ილიას ხსნა შეეძლოთ იმ უბედურებიდან ყველას, ოღონდ თავიანთი ავტორიტეტული და მასთან ჭეშმარიტების აღმადგენელი მოწინააღმდეგეობა და არა ტყვილი

მფარველობა გაეწიათ და ჭეშმარიტება აღედგინათ და ნათელ ეყოთ. რომ ყოველად შეუძლებელია ასეთი ყოვლად უმსგავსო და კაცის გულის გამგმირავი ცილის წამება და არც შეიძლება იმის არ უარყოფა და აშკარათ გამოსჭედა იმისი არა რაობა და ყაჩაღური და ხელოვნურად შექმნილი უმსგავსი ცილის წამება. იმისი უარყოფა ყველას შეეძლო და თავიდანაც ავიცილებდით ამ უბედურებას! განა ცოტანი იყვნენ მაშინ და ეხლაც, რომ ეთქვათ. ერთი თავისი აეტორიტეტული სიტყვა მას წინააღმდეგ გაბათილებდენენ ყოველივეს, ეხლაც არიან ის დიდებული პირები, რომელნიც ეხლა იუდასავით ნიანგის ცრემლებსა ღვრიან იმის საფლავზე და წუწუნებენ და შეჩვენებას უძღვნიან იმ არა-ადამიანებს ილიას მოკვლისათვის, მაგრამ არ არიან ისეთებიც და მოიპოვება ჩვენს შორის, რომ იმ სიტყვებს ზიზღით უყურებენ, თუმცა ამ სიტყვების მთქმელებს დიდს პატივსა სცემენ! ამაში სტყვიან ყველანიც, მათთან ფ. გოგიჩაიშვილიც, ვიღაც, ლასხიშვილიც და დიდი მთავარიც, რომელიც სიტყვა ისეთ ზარს დასცემდა. გააქარწყლებდა მახარაძეების ყაჩაღების მოქმედებას და მზგავს ცილისწამებას და ბოლო მოეღებოდა ახლანდელს უთავბოლო თავის მართლებას და წუწუნს!

ეს ასე ბატონებო. მაგრამ ამისი განა რა უნდა თქვას ფ. მახარაძემ! იმას რიღათი შეუძლია თავისი სისხლიანი ხელები მიჩქმალოს? ის ხომ მანიც ფაქტიური მკვლელია ილიასი და ამას რაღას ეუბნება, ეს ხომ ჭეშმარიტება არის, რომ ის მეთაურია ამ მკვლელობაში და ეს იმისმა ჭუჭყიანმა გონებამ და ჭუჭყიანმა ხელებმა მოიმოქმედა, ისიც ხომ აშკარად ესმის მახარაძეს და იცის დანამდვილებით, რომ იმისი ცილისწამება იყო ფანატიკოსური ფანტაზიურად შეთხზული. ამას ხომ ყოველივე უვიცი, თუ ცოტათი გონება განვითარებული აქვს და ჩაუკვირდება იმ საზიზღარს წერილებს თუ გინდ, ერთი მესამედი სიმართლე ერიოს შიგ ეს იმნაირათ, ხელოვნურად, ფანატიკურის სიძულვილით არის შეთხზული, რომ ყველა ზიზღით შეხედავს იმ ფანატიკოსის მოქმედებას, თუ ის ფანატიკურად არ არის შეპყრობილი და შეჯაჭვული კაციჭამიაობით! ამას რა პასუხს აძლევს ჩვენი ყაჩაღთა ატამანი და მისნი მგზავსნი! განა ძალა შესწევთ მახარაძეს მოტრფიალეებს. რომ ის საზიზღარი ცილისწამება აღიარონ. ჭეშმარიტად და ან თვითონაც იცის ბრბოთა ატამანმა და იცოდა კიდევაც. მაგრამ ალღო აუღო ამ ბოროტ საგანს და გაიმარჯვა კიდევაც და მოთხუპნა უკვდავ ადამიანის სისხლში და მით შეასრულა თავისი და თავისი დამქაშების ავაზაკური განზრახვა! ეს იმ ხანაში მოიმოქმედეს, როდესაც ნ. ჟორდანიას დამქაშებით შეყარეს ჯიბგირთა ბრბო და მონათლეს სოციალ-დემოკრატების სახელით და მოედვენ მთელ ქვეყანას, და დაუწყეს ცარცვა-გლეჯა და დიდებული მამულიშვილიც მონათლეს ხალხის მტრად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ ყაჩაღთა ბრბოს რათ ეშაშნიკებოდა ისეთი ადამიანი, როგორიც იყო დიდებული ილია! ეს ჩაიდინეს სწორედ მაშინ, რასაც სამართლიანად უწოდებს მახარაძე:—„ლაჩრობის დროთ“, გასოციალ-დემოკრატება ყაჩაღთა ბრბო (ამას ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებზე მოგახსენებთ) გასოციალისტდნენ და ზოგიერთებიც და ბებრუხანა მოღვაწეებიც, რომელნიც დღეს ნიანგის ცრემლებსა ღვრიან და მაშინ კი ვერ გაბედეს თავისი ავტორიტეტული ხმა ამოეღოთ და მით ბრბოთა ხროვა შეეყენებინათ ფ. მახარაძის წინამძღვრობით!

ესე გავხდით ამისი მოწმე, მაგრამ ჩვენ რა ღონე შეგვწევდა, როდესაც ისეთი მამათმთავრებიც კი შეაშინეს ამ ბრბომ, რომ კრინტიც ვერ დასძრეს ბოროტების წინააღმდეგ და დალაჩრდენ! ამას ჭეშმარიტად აღიარებს მახარაძე და თავს ნუღარავინ მართულობს:

ნუღარც ბებრებთაგანი და ნუღარც ახალმოდის სოციალისტები! შენ კი ქიზიყის დეპოს ჰოტორო ყაჩაღთა ბელადო სჯობიან ეაჟკაცურად აღიარო შენი ყაჩაღური მოქმედება, რაღათ ეფარები ნიღაბქვეშ და ანთხევ შენს უმსგავს შხამს. შენ ხომ ის დრო აღარა გგონია, როდესაც შენს სისაძაგლეს გასაეალი ქონდა და დემონურად იღრიჭებოდი და ხალხს აქეზებდი უამნკო სისხლის ღვრაზე და შესძახოდი—„ამხანაგებო, მოთმინების ფიალა გასკდავო, დაჭკათ და მოჭკალით ეგ თქვენი მტერიო" და ბრბოს მეტი რაღა უნდოდა ან რა საჭირო იყო ყაჩაღთა ბრბოსათვის ილიასთანა კაცები, მაშინ ხომ მახარაძეებისთანა ყაჩაღთა ბელადს აღარ ექნებოდა ადგილი, მაშინ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მახარაძებთანა სისხლით გაუმაძღარნი! ეს არის ვათავებ ამ წერილს და გაახლებთ ბატონო რედაქტორო და თუ სინათლის არ გეშინიათ და მართლა ლაჩრები არა ხართ გამოამზეეთ ეს ჩემი გულის წყრომა მდაბიო ხალხისა და გააგებინეთ ხალხს, რომ მდაბიო ხალხიცა გცნობთ ვინც ბრძანდებით და რასაც ემსახურებით თქვენის ფანატიკურის და ბნელის განზრახვებით, ნათელ ყავთ ჩვენი აზრიც, როგორც მდაბიო ხალხისა და პასუხი მოგვეცით, ხართ თუ არა მონაწილენი ილიას უმანკო სისხლის ღვრაში, გამოიღო თუ არა ნაყოფი თქვენმა უმსგავსმა ცილისწამებამ, რომლის დამწერსაც თუ კიდევ იოტის ოდენა სინდისი შერჩენია შეიძლება განა ეგრეთი რომანტიული ცილისწამება სინამდვილეს?

თავის დღეშიაც არა და არასოდეს არ შეიძლება, ამნაირი რამე შეუძლიან მხოლოდ ფრანგულს, რომელიმე გამოჩენილს რომანტიკოს აშენებული ფანტიზიაზე როკომბილიერით!

ეს არის ბატონებო!

ქიზიყელი მშრომელი გლეხი.

— ახლად მცნობი ქიზიყის დეპოს ჰოტორი ეაჭრუკასი ფ. მახარაძესი, რომელმაც იგემა ქალაქელი ეაჭრების და საზოგადოების ტაბლათი! და თავი კი მოაქვს ხალხის მეგობრათ და სოციალ-დემოკრატად თუმცა ჩვენში სად არის უკეთესი".

41) **ივ. გომართელი.** ივანე გომართელი თავიდანვე ნაციონალისტებისაკენ იხრებოდა და ღალატობდა მარქსიზმს. პირველ სახელმწიფო დუმაში ის აქედან გაგზავნილი იყო დეპუტატად. ამ ეამამდის ჩამოშორებულია პოლიტიკურ მუშაობას

42) **„თემი".** იხ. შენიშვნა 32.

43) **„მერცხალი".** გაზეთი „მერცხალი" ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ყოველდღიური ორგანო იყო.

44) **„ნიშადური"** „ნიშადური" ქართველი ნაციონალისტ-ფედერალისტების იუმორისტული ეურნალი იყო, რომელიც გამოდიოდა გუნიას რედაქტორობით.

მისი უმთავრესი დანიშნულება იყო სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველგვარი საშუალებებით.

45) **მილიუკოვი.** (იხ. შენიშვნა მე-21).

46) **პურიშკევიჩი** (იხ. შენიშვნა მე-17).

47) **კ. ჩხეიძე.** კარ. ჩხეიძე მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ბელადი იყო.

48) **„თანამედროვე აზრი“.** გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ქართველ სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ყოველდღიური ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა 1915—1916 წ.წ. ქ. ტფილისში.

49) **„მეგობარი“.** გაზეთი „მეგობარი“ ქართველი ფედერალისტების ყოველდღიური ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა 1916 წელს ქ. ტფილისში.

50) **„ზვირთი“.** გაზეთი „ზვირთი“ ქართველი ფედერალისტების ყოველკვირეული ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა 1916 წელს ქ. ტფილისში.

51) **ა. ჯორჯაძე.** არჩილ ჯორჯაძე იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დამაარსებელი და ბელადი. მისი მოკლე ბიოგრაფია ასეთია: ის დაიბადა ქ. ტფილისში 10 იანვარს 1872 წელს. სწავლობდა ტფილისის პირველ გიმნაზიაში და ითვლებოდა პირველ მოწაფედ. მისი მეთაურობით მოწაფეებს სალიტერატურო წრე ჰქონდათ შედგენილი და სცემდენ ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც „შრომა“ ერქვა. გიმნაზია არჩ. ჯორჯაძემ დაამთავრა 1891წელს, რის შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ რადგან იქაურმა ჰავამ ცუდათ იმოქმედა მის აგებულობაზე, მიატოვა პეტერბურგი და გადავიდა ეარშავის უნივერსიტეტში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ისევ დაბრუნდა პეტერბურგში და შევიდა ახალ ფაკულტეტზე: საბუნებისმეტყველო ნაწილზე. შემდეგ ის თავის ცოდნის გასაფართოებლად და აგრეთვე ფილტვების დასუსტების გამო, წავიდა საზღვარგარეთ. საქართველოში დაბრუნებისას მან მიყო ხელი მწერლობას, მან მოასწრო მრავალი წერილების დაბეჭდვა: გამოსცა თავისი ნაწერების ოთხი ტომი. 1913 წლის იანვარში ძალზე დასუსტების გამო ის გაემგზავრა ქალაქ ბათომს საექიმოდ. მაგრამ ამით მაინც ვერ უშველა თავს და 21 მარტს (1913 წელს) გარდაიცვალა.

52) **გრ. გველესიანი.** გ. გველესიანი ქართველი ფედერალისტების ერთ ბელადთაგანათ ითვლებოდა.

53) **გ. მაიაშვილი.** გ. მაიაშვილი გიორგი ზდანოვიჩის ფსევდონიმი იყო. იხ. შენიშვნა მე-38.

54) **გელოვანი.** ვ. გელოვანი სოციალისტ-ფედერალისტი იყო. არჩეულ იქნა დეპუტატათ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში.

55) **პ. სტრუვე.** პეტრე სტრუვე რუსეთის ბურჟუაზიის ერთი გამოჩენილი პოლიტიკური ბელადია. 90-იან წ. წ. დასაწყისში პეტრე სტრუვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნაროდნიკებთან ბრძოლაში. 1894 წ. მან გამოსცა წიგნი: „Критические заметки“, რომელიც აკრიტიკებდა ნაროდნიკობას მარქსიზმის თვალსაზრისით. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინაც მოქონდა თავი „კრიტიკულად მოაზროვნე მარქსისტად“ და მოუწოდებდა ყველას წასვლას „კაპიტალიზმთან სას-

წავლად", რამაც გამოიწვია კრიტიკა მარცხნიდან ნ. ლენინის მხრიდან. 1898 წ. სტრუვე კიდევ ითვლებოდა სოციალ-დემოკრატად და შეიქნა ჩვენი პარტიის პირველი ყრილობის ცნობილი მანიფესტის ავტორად. ამ მანიფესტში ის სწერდა წინასწარმეტყველურ სიტყვებს იმის შესახებ, რომ რამდენათც უფრო აღმოსავლეთისაკენ მიდის, იმდენად უფრო გაიძვერა ხდება ბურჟუაზია. 1-2 წლის შემდეგ ბ. სტრუვე უკვე ილაშქრებს კრიტიკით მარქსიზმის და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. პოლიტიკურ ეკონომიაში ის აკრიტიკებს შრომის ღირებულების თეორიას, სოციოლოგიასა და ფილოსოფიაში—დიალექტიურ მატერიალიზმს. პოლიტიკაში კი „ისკრას" პოზიციას. 1905 წლამდე სტრუვე „რადიკალური" ინტელიგენტების ხელმძღვანელი იყო. რევოლიუციამ კიდევ უფრო მარჯვნივ გადაისროლა ის. სტოლიპინის ბატონობის დროს იდეურ საფუძველს უდებს სამეფო ივნისის მონარქიას და მსხვილი კაპიტალის იმპერიალისტურ ზრახვებს. მოითხოვს „მეცნიერებისა და კაპიტალის" დაკავშირებას ერთად და აფურთხებს რუსი ინტელიგენციის რევოლიუციონურ წარსულს. 1917 წლის რევოლიუცია უცვლ ხდის სტრუვეს აქტიურ კონტრ-რევოლიუციონერად. ოქტომბრის შემდეგ სტრუვე იკავებს მინისტრის ადგილს ვრანგელის მთავრობაში. ამ ჟამად სცემს საზღვარგარედ (ქ. პრაგაში) რეაქციონურ-მისტიურ ჟურნალს: „Русская Мысль"-ს.

56) **„სახალხო ფურცელი"**. გაზეთი „სახალხო ფურცელი" ქართველი ფედერალისტების ყოველდღიური ცენტრალური ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა ქ. ტფილისში 1916—21 წ.წ.

57) **„საქართველო"**. გაზეთი „საქართველო" ქართველ ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა ქ. ტფილისში 1917—21 წ.წ.

58) **აქ ლაპარაკია** ქალაქ ტფილისზე.

59) **„წერილი ჩვენი ცხოვრების შესახებ"** „წერილი ჩვენი ცხოვრების შესახებ" ამხ. ფ. მახარაძის პირველი წერილია, რომელიც პირველად მხოლოდ ახლა იბეჭდება. ის დაწერილია 1891 წელში ქ. ვარშავაში. რიგის მიხედვით ეს წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული პირველ ტომში. მაგრამ არ მოხერხდა, ვინაიდან ის მხოლოდ ახლახან იქნა აღმოჩენილი ავტორის ძველ ხელნაწერებში.

60) **ალექსანდრე მაკედონელი**. ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიის ცნობილი მეფე იყო, რომელმაც დაიპყრო აუარებელი ქვეყნები.

61) **„აგრარული საკითხი"**. „აგრარული საკითხი", როგორც თავი, ისე ბოლოც ავტორის ხელნაწერებში აღმოჩნდა, ამიტომ ის იბეჭდება ასეთი სახით.

62) **აქ** თავდება ეს ხელნაწერი.

63) **„პასუხად ბ. კიტა აბაშიძეს"**. ეს წერილი: „პასუხად ბ. კიტა აბაშიძეს", პირველად ახლა იბეჭდება.

---

წიგნი შედგენილია **ს. ჩიხლაძის** რედაქციით და შენიშვნებით.